

114
1958/2

116
საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

114/2

მედიონი

11

3

82600



1958



სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაკთა

წიგნი 35-ე

№ 3

მარტი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორბანო

7758
7744

შ ი ნ ა რ ს ი

| | |
|---|------|
| დემნა შენგელია — განძი მოთხრობა | 38-3 |
| ოთარ ჭილაძე — ლექსები | 40 |
| სოლომონ დემურხანაშვილი — ლაპუა. მოთხრობა | 43 |
| გიორგი კალანდაძე — ოცნება ცისკრად ამომავალი. ლექსი | 48 |
| სანდრო მათიაშვილი — ლექსები | 49 |
| როსტომ ბეჟანიშვილი — სამამულე რქა. რომანი, გაგრძელება | 51 |
| აღიშტე ტოლბოი — ტანჯვის გზაზე. თარგმანი ეთერ როსტომაშვილისა | 86 |

ქრიტიკა და პუბლიცისტიკა

| | |
|---|-----|
| პროკოფი რატანი — ილია ქავკავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ | 96 |
| ამერცი ვაჩიანი — მებრძოლი პოეტი | 104 |
| ლილი ქუთათელაძე — ბესიკის ზოგიერთი „სადავო“ ლექსის ავტორისათვის | 113 |
| გ. შვეტიციანი — ქართული რევოლუციური ხალხის მემკვიდრე საუკუნის 70-იან წლებში | 126 |

მეცნიერება

| | |
|--|-----|
| პროფ. შალვა ნუცუბიძე — ბრძოლა ქართული კულტურის ირგვლივ | 135 |
| ნიკო კახიანი — ტყე და ზღვიანი ქვეყანა | 139 |
| ალ. ჯგერელი — ხაიხის განძი | 142 |
| ლუბა მუხარბიანი — ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ზღაპრულ ფონდი | 158 |

ხელმოწერების საკითხები

| | |
|--|-----|
| ირაკლი კენჭოშვილი — ულიამ შლეიკი | 163 |
|--|-----|

ბ. შე-2 გვ.

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი



გ. არაბული, დ. გოგობერი — შთის ხალხური პოეზიის შესწავლისათვის



წიგნების მიმოხილვა

| | |
|---|----------------------|
| ერიკლ მაჭავარიანი — ქოლა ლომთათბის თხზულებათა სრული კრებულის გამო | 170 |
| ვანო გორგაძე — ოსური პროზის ანთოლოგია | 171 |
| ბ. არჩვაშვილი — მთების სიმღერა | 174 |
| პრ. ბახტაძე — ნარკვევები მე-19 საუკ. რუსული ლიტერატურის ისტორიიდან | 176 |
| ი. მეგრელიძე — რუსთველოლოგიური ლიტერატურა | 179 |
| ზურაბ ჭუმბურიძე — ძველი ქართული სასულიერო რომანი | 181 |
| ვიორგა ნაჭრაძე — საბელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია | 182 |
| მიაა მამაცაშვილი — კრებული რედაქციის შესახებ | 184 |
| ალ. გვახარია — ზოგადი ნასრედიწის ანექდოტები | 186 |
| ვ. ბახტაძე — აღმოსავლეთ საქართველოში აგრარული ურთიერთობათა განვითარების საკითხისათვის | 187 |
| დ. გვრიტიშვილი — დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება | 190 |
| ახალი წიგნები — | გარეკანის შესაშვ გვ. |

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63, ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბელოწერილია დასაბეჭდიდ 30/III-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12, შეკვეთა № 154, ტუ 00147, ჭიდალის ზომა 70 X 108, ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили 5.



გ ა ნ ძ ი

ამბავი

I

საულია დღეს სათოხარში არ წასულა. ნადარბაზევის მწვანე ფერდობზე „ჩას“ ბარავდა. ოფლით სველი ნარმის პერანგი მკლავდამარღვეულ ვეება ვაქყაცს გულზე განივრად მოღელვოდა და ბალნიანი ფართო მკერდი კლდესაგვით მძლავრად მოუჩანდა. ბარს აქეთ-იქით ნაფოტივით ატრიალებდა და ამობრუნებულ მიწის ნოტიო, მსუყვე სუნს სიამებს ჰგვრიდა.

ახალგაზრდა, თასმასავეით მოქნილი ფუნდუც ქმარს იქვე გვერდში ამოსდგომოდა და ჩაის კრეფდა. ფართოფარფლიანი კილის ქედით მოჩრდილებულს და კბაბაკვალთულს ეშხით სავსე ნაზმქრქალი სახე არ უჩანდა. ჩაის ფოთლებში ორივე ხელს ისე მარდად ამოძრავებდა, თითქოს ჩიტები ფრთხილებდნენ. მწვანე ბუჩქების თანაბარ მწკრივს ერთი თავიდან ბეორემდე რომ გაყვებოდა და მერე უკან გამაყვებოდა, კვალში ბარით ჩამდგარ კაცს მაცდურვით ხან შორდებოდა და ხან ისევ უახლოვდებოდა.

დღე იღვოდა. შორი ზღვაური ათასში ერთხელ თუ მობერავდა. ნაშუადღევის თაკარა მზე მაინც აქერდა, მიწას ალმური ასდიოდა.

ულრან ტყეებით დაბურული მაღალი მთები აქეთ თანდათან დაბლდებოდნენ. ამწვანებული მთა-გორები ოდაწამოდგმულ ეზოებით და ჩაის ლურჯი პლანტაციებით ლარვით გაბმულ რკინიგზასთან მოულოდნელად შემდგარიყვნენ, უცებ გადახსნილ ზღვას და ცისიერს გაოცებულნი გასცქეროდნენ.

ნადარბაზევის ეს თავქოჩორა გორმაღალიც ამ შავი მთების ნატოტეარი და

სულ რალაც ერთი ხელის დადება ადგილი იყო. აქაურობას თავის ნაბუხრალ-ნაფუხარით და გაუვალი ბნელი ტვერით ერთ დროს ყიამეთს, ნაძრახ ადგილს ეძახდნენ, — მის ახლო გავლას ერიდებოდნენ.

საულია მაშინ სად იყო, როცა ტურების და ლამურების ამ საბრძანებელს კომკავშირი, მთელი სოფლის ახალგაზრდობა ბარით და წალდით შესევია. მათ მოხუცებიც წაშეკლებია და ადამყამობის შექერი, წყავი და ევალბარდი ვრია-მულთ, სიცილ-სიმღერით გაუჩეხიათ, კაცის სიმაღლე გვიმრის ხსენება მოუსპიათ და მერე ჩაი დაუთესიათ.

იმ დაკარგული წარსულის მოწმედ ძველი დარბაზის ანწლმოორეული ნანგრევები და ბებერი ლეღვის ეს მრუდე ხე-ღა დარჩენილა.

საულიაც ამ ატეხილი მაღალი მთების ერთი უბირი, უჯიათი ნაგლეჯი იყო. თავისი კლდოვან-ლორღალოვანი ვიწრო სოფელი ამ რამდენიმე წლის წინ ვითომ დროებით დაუტოვებია და კილოფში გახვეულ ნაქრის საბნით და რამდენიმე წველა ყველით აქ სწორედ მაშინ ჩამოსულა, როცა რიონის ამ თვალუწვდენ დაბლობს აშრობდნენ და ოდინდელი დამყავებული კაობები საყანებესა და საძოვრებს ადგილს უთმობდა.

ბუღდოზერების და გრეიდერების გუგუნ-გრიალი, აფეთქებული ამონალის ქექა-ქუხილი და ბარ-წერაკვით ქენჭკოლიებში ჩამდგარი ხალხის ქრიაშული აქაურობას აყრუებდა. ირგვლივ ისეთი ამბავი იყო, რომ ხამად ჩამთვარდნილ

კაცს მეორედ მოსვლა, ქვეყნის დაქვევა
ევგონებოდა.

ჯანსა და ღონეს არც საუღია ზოგაე-
და. იმის იმედით, რომ ალალი შრომით
ორიოდ ფარას ისიც როგორმე იშოვიდა
და ისევ უკან გაბრუნდებოდა, ტყეებს
კაფაუდა, არხებს სჭრიდა და რამდენიმე
წელიწადი ხელში ისე შემოადნა, რომ
უკან მოხედვაც ვერ მოასწრო.

ამ ნაზმაზუნა და თვალმახარა ფუნდუ-
მაც მალალი მთების ეს ოშანგელა კუშ-
ტი შვილი თავისი ეშხით ისე დააბა, რომ
ველარსადაც ვერ წაუვიდა, ბინა აქვე სა-
მუდამოდ დააღებინა.

ჯერ სამი წელიც არ გასულა, რაც
ისინი ერთად ცხოვრობენ, ჭაპანს
ერთადვე ეწვევიან და ერთმანეთის ჭი-
რიც მიწაზე დასაგდებად არ ემეტებათ.

საუღიას თავისი წყნარი, უთქმელი
ცოლის მოთმინება აქამდე მაინც აკვირ-
ვებდა. დაღლილობას ან მწუხარებას აღ-
ვილად როდი შეატყობდი და, თუ რამე
ასტკივდებოდა, შენით უნდა მიმხვდარი-
ყავი.

ფუნდუ ახლაც ხმას არ იღებდა. ვინ
იცის, იქნებ დაიღალა, მზემოკიდებული
ღამაში სახე რაღაცა ფიქრით დაბინდ-
ვოდა.

საუღიამ ბარს ხელი სწრაფად მოუ-
ნაცვლა, მაგრამ მიწისთვის არ დაუკ-
რავს. კობიტის ტარს ორივე ხელით ჩა-
მოეყრდნო.

ქვემოთ, რკინიგზასთან, სოფლის პი-
რობაზე კარგა მოზრდილი მალაზია, ერ-
თი ყავრულა სასადილო და ნავთის ცის-
ტერნი ღელის პირას აშლილ ხეებში ჩა-

ძირულიყო. კლუბისა და ცისფრად შე-
ღებულ პატარა ფიცრულ სანაღოქსს
წინ შქერის ტყრულული ღონით შემოკა-
ვებულ ფართო ეზოში კოლექტივის აიე-
ნიან-სვეტებიანი აგურის სახლი, ორსა-
თულიანი ძველი ოდა და გარაე-სამქედ-
ლო თავის კანტორით, სილოსის კომპით
და ნალიებით აქეთ-იქით უწესრიგოდ
მოფანტულიყო.

რკინიგზის აქეთ, სკოლის წყნარ ეზო-
ში, გაკვეთილების დასრულების ზარიც
დარეკეს. კლასებიდან გამოფენილი ბაე-
შვები უცებ ახმაურდნენ. ჩანთები ხის
ქვეშ მიჰყარ-მოჰყარეს და, სანამ ღედე-
ბის დასახმარებლად ჩაის საკრეფში წა-
ვიდოდნენ, ბიჭებმა იქვე ბურთს ფეხი
გაჰკრეს, გოგონები დატრიალებულ თოკ-
ზე ხტოდნენ. მთელი სოფელი სიცოც-
ხვირლით, ხალისიანი ყრამულით გა-
მოაცოცხლეს.

საუღიამ სახეზე ოფლი მოიწმინდა.

— ფუნდუ! ა, ფუნდუ! — თქვა ისე,
რომ მისკენ არც მიუხედავს.

ფუნდუმ თავი აიღო.

— რა იყო, საუღია? — იკითხა წყნა-
რად და წელზე შებმული სახელდახე-
ლო მომცრო კალათა გაისწორა.

— არაფერი, ჩემო ოქროვ... ის მათი-
ქრებს, ასე უშვილოდ ხომ არ უნდა დაე-
ბერდეთ-მეთქი.

ფუნდუმ ამოიხზრა:

— რა ვიცი, საუღია.

და ჩაის კრეფა ისევ განაგრძო.
სკოლის ეზოში ხმაური მიწყდა.

მზე მძიმდებოდა, თანდათან დაბლა
ემეებოდა.

2

ნადარბაზევის მწვანე ფერდობს, თუ
ერთი მხრივ, საღლაც სკვარაშში ჩაკარ-
გული მთის მდინარე ჩაუდიოდა, მეო-
რე მხრივ, კოლექტივის თუთის საწერ-
ვე და დაფნის ტყეები ემიჯნებოდა. სა-
წერგის ქვემოთ მალარა ვენახით დაჩრ-
დილული ვრილი დობირო და ახალგა-
ზრდა სამარგილე ტყე საუღიას ბოსტან-
სა და ფაცხაწამოდგმულ უკანა ეზოს
თავს უცაბედად წასწყდომოდა.

ძირს კი, ასფალტმოსხმული შარავზა
რკინიგზის გასწვრივ გველივით შავად
მისრიალებდა, სოფლის ბოლოში ჩა-
თეთრებულ საავადმყოფოს ოღნავ იქით
ლეგა ნისლში იკარგებოდა.

ავდრებისაგან ჩაყამებულ-ჩაშავებულ
ყაპის საშრობ ფარდულის უკან ექსკა-
ვატორი სულმოუთქმელად ჭაქანებდა,
ელსადგურის ბალავერს თხრიდა და ნა-
ყარ მიწას იქვე გორებად აყენებდა.

ღელესთან ერთად ხეობიდან უცებ გამოჭრილ ვიწრო შუკას ბერაამართულ ლიანდაგზე ოკრო-ბოკროდ გადაერბინა და რკინიგზის პატარა თეთრი ბუდრუგანა ასე საჩქაროდ და უკან მოუხედავად თითქოს იმიტომ მოეტოვებინა, რომ ყანებისკენ ბუჩქნარებში, რაც შეიძლება, თავი შალე მიეცა.

კირით შეფეთებულ ამ ბუდრუგანას სოფლელები ბუდკას ეძახდნენ. მის მოხუც, მაგრამ ქარბავ ბინადარს, ოტია მებუდკეს ვინ არ იცნობდა.

ფუნდუ ხუთი წლის არც იქნებოდა, როცა საშინელ სურდო-ხველისაგან დედ-მამა ერთად დაღუპვოდა და სოფლის სამადლოდ იზრდებოდა.

ქვეყნად მოდებულ ამ მთარულ სენს, ყველგან „ისპანკას“ რომ ეძახდნენ, მთელი სოფლები ძირს დაეფინა და არც ბერეხანა ოტია მებუდკე დაეიწყებოდა. იქ, სადაც თავის საწყალ სოფელში, ცოლ-შვილი ამოსწყვეტოდა და უსამველო დარდს ამ სიშორეზე გამოტყეოდა. ეს სამუდამოდ გულმოკლული და უთვისტომო პირხმელი კაცი მას აქეთ ამ პატარა ბუდრუგანაში განდევნილივით მართო ცხოვრობდა და დღე და ღამე ამ საქვეყნო გზას დარაჯობდა. ეს ართვალი და აჯამი კაცი შუბლქვემოდაც ისე კუმტად იცქირებოდა, რომ აქაურ ონავარ ბავშვებს მისი ცეცხლსავით ეშინოდათ.

ის კი, ვითომ ვერაფერს ვერ ამჩნევდა, რკინიგზას ჩუმად ყარაულობდა, თავისი მწვანე ბაირალით ანდა ფანარით მატარებლებს გზას ულოცავდა და ლიანდაგზე უხვად მოყრილ ზღვის კრიალა ზრუშს ყოველდღე თოხით ასწორებდა, თარაზოში საგულდაგულოდ გამოჰყავდა.

პატარა ფუნდუც რის ბავშვი იქნებოდა, რომ ოტიასთვის სიცოცხლე არ გაემწარებინა? ზოზია კენჭების ძებნაში მის მთელი დღის ნამუშევარს ერთ წუთში ფუშავდა და ღამაზად ჩამოსწორებულ დაქანებას სულ ყირამალა აყენებდა, ტოლებთან ერთად ვარხალალოს ვაიძახოდა.

საალათოდ გზაზე გამოსულ ყაჩაღანე-

ბის დანახვაზე ოტია თავის ბუდრუგანიდან როხროხით, ერთის ვიწრო ვიწრო ვარდებოდა და ყანჩასავით ვარდელი სუკს ხეებით მათკენ მორბოდა, ხელებს ქარის წისკვილივით მოიქნევდა.

ფუნდუც, — „არიქა, ოტია მებუდკეო!“

ბავშვებიც ამის გაგონებაზე აქეთ-იქით ფაცხაფუცხით იფანტებოდნენ, ბუჩქნარებში იმალებოდნენ.

მინდორ-მინდორ ფეხშიშველა ნარბენსა და ღელეში ნატყაპუნებ პატარა ფუნდუს ყველაზე მეტად მაინც ოტიას თითბრის დუღუკზე რჩებოდა თვალი. იმას რა სჯობდა, მატარებლის მოკივლებაზე ოტია ბერას ძირს რომ დაუშვებდა და იმ საოცარ დუღუკს გაბმით ააპიპინებდა, — აქოდა, გზას ჩამოეცალეთო!

ნეტავი ერთი იმ ყვითელ დუღუკში სული ერთხელ რაა, ერთხელ მაინც ჩაბერვინა და სხვა არაფერი არ უნდოდა.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ის ფუნდუ ახლა ოჯახის ქალია და ქმრის გვერდით თავაუღებლად ირჯება. ოტია დარაჯიც მოხუცდა, წელში მოიხარა. წვერ-ულვაშიც ბამბასავით გაუთეთრდა, მაგრამ ისტიბარს მაინც არ იტეხს. სიცხით გავარგარებულ ლიანდაგზე დღესაც ჩვეულებრივ გამოსულა და საქონლისაგან ჩამოშლილ ხრეშის დაქანება თარაზოში ისევ გულდაგულ გამოჰყავს.

ფუნდუს ალერსიანად გაელიმა.

— საწყალი ოტია. თვალსა და ხელს შუა როგორ დამიბერდა!

საულიამ ბარი შეაჩერა.

— ეს ბებრეკი სულ ამ გზის სწორებაშია და რათ უნდა? მატარებელში, მგონი, არც მჯდარა.

— რას იზამ, კაცია და გუნება. ეჰ, ჩემ ბავშვობაში რამდენი მიწვალეზიო! და ქმარს უამბო, ერთხელ ლიანდაგზე ტოლებთან ერთად გამოსულსა და ქრელა-ჭრულა კენჭების ძებნით გართულს მოხუცი როგორ წამოეპარა.

— ჰაი, თქვე ავაზაკებო, აქ რას აკეთებთო? — დასძახა და ბავშვები დაფრ-

თხენ, აქეთ-იქით გაიფანტნენ, ფუნდუს გარდა, ყველამ თავს უშველა. ის კი, გაქცევა რომ ვეღარ მოასწრო, ოტიას წელზე ტირილით შემოეხევა და გულგახეთილი შეევედრა:

— შენ ხელში ვარ და ნუ მომკლავო! მეზღვევ ერთი გადინარხარა და თვალეხი ცრემლით ავესო. ეს ფაფხაქელა ჭინკა-გოგო სიცილ-ტირილით აიტაცა და გულში ჩაიკრა.

— არა, ბაბა, არა, ნუ გეშინია! ნუ გეშინია, შე სულელოვო! — გულადუღებული გაიძახოდა და აღქაჯივით თმაგაწეწილ ბავშვს ცრემლით დალტობილ ლოყებს და კისერს ისე უკოცინდა, თითქოს ყვავილია და ეშინია ხელში არ შემომეხსროსო.

ფუნდუმ თავი სამშვიდობოზე რომ დაიგულა, ცრემლი მუქებით მოიწმინდა. თავისი ნატერის ასარულეზლად ეს მართლაც ჭინკა ამაზე უკეთეს დროს სად იშოვიდა? ბაწარივით გრძელსა და ვიწრო წვერზე ხელი კადნიერად მოუცაცუნა და საცოდავად დაედროჯა:

— ბაბუ, ჩემო ლამაზო ბაბუია, მაგ დუღუქში ერთი სული ჩამაბერვინო, რა იქნებაო?

ოტიას ისევ გაეცინა. ეშმაკის ფეხს თხოვნა აღარ გაამეორებინა, საყვირი ხელში შეაჩეჩა და ახლა თვითონ ეხეეწებოდა:

— ჩაბერე, ბაბა, მაგრა ჩაბერეო.

ფუნდუმაც საყვირს ხელი წაავლო და, შიგ რომ ჩაბერა, იმაზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იყო. თან ბუჩქნარებში მიმაღულ ტოლებსაკენ იქჳირებოდა, — ერთი შემხედეთ, რა ყოფამი ვარო.

ოტიას კი ეცინებოდა, უხაროდა და იმ დღის აქეთ ეს კაცი გაცოცხლდა, თითქოს ხელახლა დაიბადა.

ის დღე იყო და ის დღე, — მინდობილ ბავშვს შვილსავით ეფერებოდა, ანუ ბიერებდა და ათასნაირი საწუწკარი მისთვის ჯიბეში არ ელევოდა.

წითელ-წითელ საკაბეებს ყიდულობდა, მეზობელ ქალებს აცერვინებდა და თვითონ აცმევდა, თმასაც თავისი ხელით უვარცხნიდა. მერე რა, რომ ბუწუწებს შიგა და შიგ უნებლიედ აწიწინიდა და ბავშვს სულ კურცხლებს აყრევინებდა, მაინც უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

— ჩემი ოტია! — დაასრულა ფუნდუმ ამბავი და მერე განაგრძო: — ამ ბოლოდროს ძალიან მოტყდა. ერთი უნდა ჩავაკითხო. იმდენს რას გაუუკეთებ, მარა იამება.

— რა ვიცი, მე კი მაგისი გული ვერ მოვიგე და. — თქვა უკმაყოფილოდ საულიამ.

— როყო ხარ, უკმეხი და იმიტომ. — შეუბრუნა სიტყვა ფუნდუმ და მერე აღერსით დაუმატა: — საწყალი კაცი, ქვეყნის გზას უვლის, ყარაულობს და თვითონ...

ძირს, შარაგზაზე, რაიკომის მსუბუქმა მანქანამ შავ ხოქოსავით ჩაიქროლა, ელსადგურის მშენებლობისაკენ შეუხვია.

მზე კიდევ უფრო დაბლა დაწეულიყო და მიწიდან ავარდნილ აღმერთში ეხვეოდა.

მალა, სულ მალა, ცის გიდელში, ფოლადისფერი ქორი ნებევრად ბოინობდა და ქათმების გულის გასახეთქავად სოფელს ზემოდან ათვალევრებდა.

3

გაზაფხულის ალო წლეულს ადრე ჩამოდგა. აღზით ჩახუთულ პალიასტომის ნოყობსა და ჭაობებს იქით მდორე რიონი ბარის პირივით ლალაკებდა. თეთრ ბურსეულით თავწაკრული გლეხები ზღვამდე გაშლილ ეწერებსა და ნარიონალებს თოხით მოსდებოდნენ და სიშინდს მარგლიდნენ, — მათი „ოდოიას“

მძლავრი გუგუნი გვალვის ზუზუნს უერთდებოდა.

საზრუნავსა და ათას თავსატეხს სოფელში ამ დროს რა გამოლევს. ეს ისაო, ის ესაო, და საულის პირის გაპარსვის დროც ვერ ეშოვა, ჩაის დაბარვა ამიტომაც, ცოტა არ იყოს, დაუგვიანდა.

ყოველ გამრჯე და თავმოყვარე

გლებს თავის ნაშრომით და მონაგარით მოაქვს თავი. საულიაც ერთი მშრომელი, გულმართალი და, კირსა და ლხინში ღმერთმა მოგცესო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ყაძახი იყო. ჯარში ნაწრთობსა და სამხედრო წესის აღიდაში ათასგზის მაინც გატარებულს საერთო საქმე თავის პირად საქმედ მიაჩნდა. შენჩემობა, წუწურაქობა კირივით სძულდა და მეზობლებში, კოლექტივშიც თვალი უჩანდა. მართალია, ცოტა გადატრა, ძმაკაცებში ყოფნა უყვარდა, მაგრამ ღვინის წუწუი და ხელს გადაწყობილი მაინც არასდროს არ ყოფილა.

ალიონზე ამდგარსა და ჯერ ისევ ძილგამოყოლილს ყანაში კაცი ვერ ჩასწრებდა. მთელი დღის ჯაფით დაქანცული და ოფლად გაღვრილი საღამოთი შინ ისე გვიან ბრუნდებოდა, რომ ფეხის დაბანის, წავახშვების თავიც არ ჰქონდა, — ძილი თვალს ჩუქად მოჰპარავდა. გლებკაცის ამ დიდ მუწუხში არ გაუგია, ოციოდე წლის ტანამოლტილ და თვალბრიალა ცოლის ნაჩვევ ალერსს თანდათან როგორ დანატრებოდა.

ის კი — ვითომც არაფერიო — წელში გამობმულ ხელკალათს ჩაის ფოთლით ზედიზედ ავსებდა და გოდორში იქვე სცილიდა. ეს ჩითის კაბაც ჯერ უშვილობით შენახულ ტანს იმნაირად ეკვართებოდა, რომ საულიამ ბარს მთელი ძალით ფეხი დაჰკრა, ქვესკნელში ხენეშით გააქანა.

ფუნღემ იცოდა, თვითონვე გრძნობდა, ქმრის ვაეკაცურმა ტლანქმა ალერსმა ამ საში წლის განმავლობაში თანდათან როგორ დააქალა და დაამშვენა. ის ჭალიშვილური მოკრძალებაც როგორ გაქრა და მოწიფულ ქალის გულახდილი ლაზათით მისთვისვე შეუქმნევლად როგორ აივსო. წინ წამოშლილი ოდნავ მუქი, წაბლისფერი თმა ხელუკუღმა გადაისწორა და ქუდი ისევ დაიხურა. სპილენძისფერი ახოვანი ტანით საულია თითქოს მიწიდან ამოზრდილიყო და მზეზე ისე ალანჯულებო, რომ მორეული თუთუნისფერი წვერ-ულვაში თითქოს კიდევაც უხდებოდა. მის მო-

გიზგიზე ქროლა თვალებს, ვითომ უცაბედად რომ შეეფეთა, თუქმის თაფთან კალთაჩაკეცილი კაბა მზისგან დამკრახულ შვეტ კარწახებზე ჩაიფარა. უკანასკნელ ბუჩქს უკანასკნელი ყლორტი მერე ერთბაშად შეაგლიჯა და რატომღაც ხელით მოსრისა.

— ესეც ასე. — თქვა შემკრთალი ხმით და საესე გოდორი ორივე ხელით შეანჯღრია, ოდნავ შეტყეპნილ ფოთლებს მერე თავი ლამაზად მოუსწორა.

— რაღა დაგრჩა? — განაგრძო საქმის გაადვილებით. — ბარემ ეს კვალიც მოათვეე და ის იქნება.

და ამ სიტყვებით წელზე ხელი დაიდო, ძლივს გაიმართა.

გაზაფხულის მშვიდი საღამო ენაგისფრად ინავლებოდა. გობისტოლა მზეცისა და მიწის დასალიერში როგორღაც უშნოდ გახირულიყო და ზღვაში ისე იძირებოდა, თითქოს ჩასვლა ეძნელებო. ფოთოლციმციმა ალვის ხეების ჩეროები უფრო დაგრძელდნენ, პლანტაციას წამოეფინენ. ბებერი ლელვის ეს მრუდე ჩრდილიც უხიაგად მობრეცილიყო.

აი, ზღვაურმაც წამოუბერა. შორს, ცისიერში ჩამავალი მზით შეფერილი თოვლიანი მალალი მთები აფრაგაშლილი ზომალდებივით წამოიშალნენ და საღდაც იქით, ვინ იცის საით, მიირწეოდნენ.

საულიამ ბარი მიწაში ღრმად ჩაარკო და ოფლით ამომწვეარი ქროლა თვალები პერანგის კალთით მოიწმინდა.

ქმრის მოშიშვლებულ და ფერდებში ღრმად შევარდნილ მუცლის დანახვაზე ფუნღემ კინალამ წამოიძახა: „ჩემი სიყვდილი, მოშიებიაო!“

ქილის კრაქუნა ქუდი მერე რატომღაც მოიხადა და ისევ დაიხურა. შინ მარტო წასვლა და მშვიერი კაცის აქ დატოვება ეძნელებოდა.

წასვლა მაინც რომ გააპირა, იქვე მიწიდან ამომძვრალ კვახის ლორთქო ღივს ფეხი უცაბედად კინალამ დაადგა.

— ერთი უყურე, ამ შეჩვევებულს ეს რა უქნია! — წამოიძახა სიხარულით და მერე განაგრძო: — გუშინ არ იყო და,

ხელად, ამ ერთ ღამეში სად ამოსულა!

— აბა რავე გეგონა! მიწამ ასე იცის.—
თქვა საუღიამ სასაცილო თავგამოდე-
ბით: — შენ რომ გბინავს, ის მუშაობს,
მინც მუშაობს. მიწის ფასი ამ ქვეყანა-
ზე არაფერია.

და ღივს ძირი ხელით ფრთხილად შე-
მოუჩინა, ირგვლივ ბალახი შემოაცა-
ლა. მერე მიწა მუქით აიღო და დააც-
ქერდა.

— რა მიწაა! — წამოიძახა აღტაცე-
ბით და ხელში მოფშვნა, გადაყარა.

ამ დროს ნიაგმა რაღაც შხუილი მოი-
ტანა. შხუილი მაღე ხმაურად იქცა და
სამგზავრო მატარებელმა თავისი მწვა-
ნე, ოღნავ განუხელებული ვაგონებით ლი-
ანდაგზე გუგუნ-გრილით ჩაიჭროლა.

ფუნდუმ მატარებელს თვალი გააყო-
ლა. ამ ხნის ქალია და ქალაქში ერთ-
ხელს მეტად არ ყოფილა. ვინ მოთვლის,
ასეთი და სხვა კიდევ რამდენნაირი მატ-
არებლები თავის პატარაობაში ოტია
მებუღკის გვერდით ამომდგარს რამდენ-
ჯერ გაუცილებია.

ცალი ხელით გოდრის ძვირდეს მძიმედ
დაეყრდნო და მეორე ხელით რბილან-
ჩიანი უქუსლო წულა აკატუქებულ ფეხ-
ზე ხელდახელ გაიხადა. შიგ ჩაცვივულ
მიწას გულდაგულ რომ ბერტყავდა,
ფეხსაცმელისაგან სასაცილოდ შეკუქ-
ნული თითები და უმზეობით თეთრად
შემოხაზული პატარა ტერფი იმნაირად
უჩანდა, რომ საუღიას თვალი იქით გა-
ეკცა.

ჭმრის წადიერი გულის ძვრა ფუნ-
დუმ მაშინვე იგრძნო და იმის შიშით...
არა, იმისი კი არა, თავისი თავის შეეშინ-
და. ვნებაპორეულ ვეკაცს რამე ვაგლა-
ხად რომ არ ეფიქრა და აქ, ამ ალაიაში,
თავი საქვეყნოდ არ მოსჭროდა, შაქრის-
ფერი ნახმქრქალი სახე შეეკუმუნა, მომ-
სხო ტუჩებიც მიზეზიანად დაებუსხა.

ჩაის ფოთლით სავსე გოდორი მხარზე
საჩქაროდ მოიგდო, ბეჭის აქნევით გა-
ისწორა და ოღნავ წელგაზნექილი დაღ-
მართზე ნელა დაეშვა.

აღაგეს რომ გადაბიჯა, შედგა, სახ-
ტად დარჩენილ ქმარს მოხედა.

— მალე მოდი. — თქვა მოუთმენლად.
თავზე გადატარებულ მკლავისა და გოდ-
რის ქვემოდან ქმარს ეშმაკურად გამო-
ხედა და ცოტახანს შემდეგ დაუმარტა: —
არსად შერჩე. ტყუილად არ მალოდინ-
ნო.

და ამრიალებულ თხმელარში მიი-
მალა.

4

გაზაფხულის წყნარი საღამო ახლოვ-
დებოდა. ძირს, ღელეში, ჩაფხვილი
კოდის წისკილი თავისთვის გაბმით
ხმაურობდა. პაერი ისე დაწმენდილიყო,
რომ მთა-გორებზე დაფრენილი კრელი
ოღები და ყანჩასავით აყლაყულა ნალი-
ები, როგორც დურბინდში, მკაფიოდ
ჩანდნენ, უფრო ახლოც მოწეულიყ-
ნენ.

შორს, ჩაწითლებულ ცისკიდურში,
ხარის ბუშტივით აგორებული ვეება
მზე სისხლით თანდათან იტენებოდა.
თავის სიმძიმეს ბოლოს თვითონვე ვე-
ლარ გაუძლო. უშნოდ გაბრტყელდა, გა-
იღლლა და, თითქოს გასკდაო, ყვე-
ლაფერი მეწამულის ფრად შეიღება.

ხეობებში ბინდი ისფრად წამოიშა-
ლა. პლანტაციები უფრო და უფრო
მეტქებოდნენ, მწუხრს უქუმრად უერ-
თდებოდნენ.

ღღე და ღამე იყრებოდა. პაპანაქება
სიცხითა და ჯაფით დაღლილი ბუნებაც
დასაძინებლად ემზადებოდა. სოფელი
კი, პირიქით, ახლა ცოცხლდებოდა. ყა-
ნებიდან და ჩაის საკრეფიდან დაბრუ-
ნებული ქალ-ბაღდათა ძრიაშლით ეზო-
ები ახმაურდა. კერის ცეცხლი აქა-იქ
წითლად აბრიალდა. ისლის ბურულში
გატანებული კვამლი ლეგად იფუტ-
ნებოდა, მთაგორებშიც წონა დაკარგეს
და ლიბრ ნისლში წამოტივტივდნენ.

სამოკრიდან აგერ ნახირიყ ამორეკეს.
ჭიშკართან მიმდგარ ძროხის ზმული
ხან აქ და ხან იქ სევდის მომგვრელად
გაისმოდა. მათ ხბოებიც ბლავილით აპყ-
ვნენ.

ყველაზე მეტად საუღიას დაღამების
ეს დრო უყვარდა. მის მშობლიურ
მთებშიც თითქმის ასევე, თუმც უფრო

ძალე დამდებოდა. იქ, ჩრდილოეთში, ჯარში ყოფნის დროს, ეს საოცნებო საღამოები ნატვრად გადაქცეოდა.

მარტოაკი პურის ქამამიცი ბრალი-
აო, და მუშაობაში ზომ ბრალია და
ბრალი. საუღია კარგა ხელლონიერი და
ხელმართალი გლეხაკი იყო და კო-
ლექტივში საერთო შრომას წლიდან
წლამდე ისე შესჩვეოდა, რომ ახლა,
როცა აქ მარტო დარჩა, საქმეზე გული
როგორღაც აეყარა.

ძველი დარბაზის ანწლმორეულ
ნამუღლევეს ვახედა, საბარაფი არც იმ-
ღენი დარჩენილიყო, მისი ხეალისთვის
გადადება მართლაც არ ღირდა.

ბარს კიდევ უფრო მოუხშირა. მის
წაღმა-უჯულმა ტრიალში ფიქრებშიც
თავში წაღმა-უჯულმა დაუტრიალდა.
მართალია, საუღია ერთი ახალმოსახლე
აკი იყო, მაგრამ ზოგ აქაურ გლეხს
შეძლებით კიდევ წააჯობებდა. მაშ
ისეთი რა გაუქირდა, რომ ამ ერთ საქ-
მეს თავი აქამდე ვერ მოაბა? მქვარტ-
ლეთ გამტრულ სამზად სახლში ასე გა-
ჯაზირებით, კაცმა რომ თქვას, სანამ
უნდა ეცხოვრა? სხვა რომ არა იყოს რა,
კერიის ფუტკა თვალები ამოსჭამა, ქარ-
მა გვერდები გამოუცივა.

კიდევ კარგი, რომ სახლის მასალა
რიონის ტყეში ამ ზამთარსვე მოიზარაგა
და ნალიის ქვეშ გასაქარაგად უწყვიცა.
კოლექტივიც დახმარებას, ხელის შეწყ-
ყობას დაჰპირდა და, თუ მშვიდობა იქ-
ნებოდა, ამ შემოდევზე სამთვლიან
ოდას თავის ქრელად დაჩითულ პარ-
მლითა და ფანჯრებით მაღალ ბოცნებ-
ზე წამოღვამდა. ელსადგურიც ამასობა-
ში, როგორც ამბობდნენ, დენს გაუშ-
ვებდა და მის ახალ სახლსაც ეზოიანად
გადააბდღრიალებდა.

ის ნაოფლარი და შავი დღისთვის
შემონახული ორიოდ ფარაც რათ უნ-
დოდდა, თუ საქმეში არ წაადგებოდა?
ბედლებს, ნალიებს ამ ნასთვლევეზე ჭი-
ნახულით რომ დამქვავდა, ჯაფისაგან
ცოტას არის, თავს აიშვებდა, ახალ
ლაფჩინებს, საგარეო ტანისამოსს ჩაიცი-
ვამდა და ახალ-უხალით მორათულ-მო-

კაზმულ ფუნდუსთან ერთად ქალაქის
გზას მატარებლით დაადგებოდა. იქ-ვე-
მე განთქმულ ექიმ-ჯალდოსოს ცოლს
გულდადებით გაასინჯებდა, უმკურნა-
ლებდა, თორემ ასე უძვილოდ და უნა-
დგამოდ მართლაც და სანამ უნდა ყო-
ფილიყვენენ?

მერე? მერე საშური ამ ზამთარში აბა
რა ჰქონდათ? ქალაქში გაივლ-გამოივ-
ლიდნენ. ბოლოს იმ ქრელ თეატრში
უსათუოდ წავიდოდნენ, შარშან მოწი-
ნავე კოლმეურნეთა საგაზაფხულო შეკ-
რებისათვის გამართულ წარმოდგენას
ისიც რომ დაესწრო.

საუღია ოცნებამ გაიტაცა, თითქოს
ახლაც იქ იყო.

დიბა-ატლასით მორათულსა და ელექ-
ტრომუქით გაჩახჩახებულ დიდ დარ-
ბაზში ცხენი გაქენდებოდა. ვინ მოთვ-
ლის, ირგვლივ რამდენი ოქრო ვერცხ-
ლი და ვარაყ-ზარნიში ბრჭყვიალბ-
და, — ბიჭი იყავ და თვალს როგორმე
გაუსწორებდი! ბროლს, ფარჩას და ხა-
ვერდს ხომ ნულარ იტყვი. საუღიას ამ
ელვა-ბრწყიალში ელეთ-მელეთი მოს-
დიოდა. ეს კამარად შეკრული და ქრე-
ლა-ქრულად მოჩითული პატარ-პატარა
აიუნები და ცასავით განიერი ჭერი ასე
ლამაზად ნეტავ რა ხელმა მოხატა და
მოაჩქურთმა?

საუღიამ თავისი ფუნდუ რბილ სა-
ვარძელში ჩასვა და თვითონ დაჯდო-
მაც ვერ მოასწრო, რომ ელექტრომუქი
უცებ კი არა, გამთენიის ვარსკვლავე-
ბივით თანდათან ჩაქრა. მოვარდისფე-
რო ბაცი ბინდი დარბაზში ნელა, რბი-
ლად ჩამოწვა.

აი ნაირნაირი საკრავების გულში
ჩამწვდომი შორეული ხმაც საიდანლაც
ტკბილად მოისმის, სადღაც ვიღაცას
გული უკუნესის და ვიღაცას ემუდარე-
ბა, ეს მუდარა ირგვლივ ყველაფერს
აესებს, მაგრამ... ერთბაშად ისე დას-
ქექ-დაქქუხა, დალბანდები, წინწილები
და რაღაც ყაიდის საკვირველი ღორ-
ტოტოები დამაყრუებლად აგრიადდნენ,
ლამის ჭერი ძირს ჩამოინგრა.

... და მერე ისევ ჩუმი ქვითინი, ისევ

ის ტბილი, ნაზი ზუზუნი, ასე უსიტყვოდ რომ გვედრება... გულამომჯდარს ყველაფერი გავიწყდება, ყველა გიყვარს და სადღაც, ალბათ მეშვიდე ცაში, ბედნიერი მიექანები.

ამის უკეთესს საუღია თავის ფუნდუს რას აჩვენებდა?

5

მზით დამწყვარსა და ლოყადატყრეცილ დედაკაცებს ჩაის ფოთლით სავსე გოდრები ფარღალა საწონ ფარღულთან ჩემწყრივებინათ და თვითონ იქვე, ქადრის ჩრდილში, შექუჩულიყვენენ. მათ არც ბაღლები ჩამორჩენოდათ. თავისი სავსე კალათები გოდრებს შორის ჩაედგათ და ისინიც ჯერს ელოდნენ.

სადაც ამდენი დედაკაცი ასე ერთად და მოკლილად თავს მოიყრის, იქ რამე ჭორი რომ არ ითქვას, ხომ არ იქნება. ისინიც რას არ ამბობდნენ. ამას ქირდავდნენ, ის კი ცაში აპყავდათ და ყოველ წვრილმანს კუდს აბამდნენ, ერთი-ათად აზვიადებდნენ.

საქვეყნოდ განთქმული ჩაის მკრეფავი კესანეც რის კესანე იქნებოდა, რომ ენა იმასაც არ წაეგდო. ფოთოლი წონით ჩაებარებინა და ცარიელ გოდრით დედაკაცებში ჩამდგარი ენას აქარტალებდა. ამ მთის ამბავი, იმ მთის ამბავი — ზოგი ტყუილი, ზოგიც მართალი და შინ წასვლა დაეწყებოდა.

ფუნდუმ თავისი სავსე გოდორი ჯერში ჩადგა და ქალებში ისიც გაერია. კოლექტივის მოანგარიშის, ყარაშანა სალანდიას შარშან გათხოვილ გოგოს თოთო ბადანა გამოართვა და რძისა და ბავშვის ტბილი სუნი ისე იამა, რომ გვიან შენიშნა, ის საიდანლაც მოთრეული ტლანქი შოფერი ფარღულს იქიდან რა უტიფრად მოსჩერებოდა.

ფუნდუმ ბავშვი დედას ხელში შეაჩენა და სახე ბრაზით წამოუფაკლდა.

«ვაი, ეგ თვალებიც წამოგვარდნილი!» — მხოლოდ იმიტომ არ მიამახა,

ნეტავი ერთი აცოდინა, ამ კაფანდარა, მოქნილი ქალის სიყვარულით როდის გაძლება?

ოცნებად წასულს არ გაუგია, ანწლამორეულ ნანგრევებს ბარით როგორ წაადგა.

რომ ცარიელი გოდორი ჩაის მწონავმსწორედ ამ დროს გადმოუვლო.

ფუნდუმ გოდორს ხელი დასტაცა, მერე უკმეხად შეტრიალდა და აქაურობას გაეცალა.

ლიანდაგის დაფრებებაზე ირიბად დაქნილ-გათელილი ბილიკი სწრაფად აირბინა და, გული როგორღაც უჩვეულოდ რომ აუძგერდა, დიდად არაფრად ჩაუგდია. ქალიშვილურად კობტად დადგმულ ტანის ქვეყევით რკინიგზის გასწვრივ ისე წავიდა, რომ ეტყობოდა, თავის ეშხსა და ლაზათს თვითონვე გრძნობდა.

აქეთ ხავერდივით ამწვანებული მთაგორები ამართულიყვენენ, იქით თვალშეუდგამი დაბლობი დაცემულიყოწინ კი, ზღვასთან ჩანისლული თვალსაწიერი წითლად, აღისფრად ალანძულიყო.

ფუნდუმ ფეხს აუჩქარა. საცა იყო, ქმარი პლანტაციიდან დაბრუნდებოდა და დალილ კაცს აბა ვინ მიხედავდა? მაგრამ გული ისევე როგორღაც აუთამაშდა და ნაბიჯს უკლო. ამოდენა ქალი გაზრდილა, რა კლდე-ღრეებში არ უკლია და ასეთი რამ არასოდეს არ დამართნია. ეს ქოშინიც რა უნდა იყოს?

შეღა. ცოტას შევისვენებო, მაგრამ იმის მაგიერ, რომ შეღავათი ოღნავ მაინც ეგრძნო, სული უფრო შეეხუთა.

შიშით, აქ გული არ გამისკდესო, მკერდზე ხელი იტაცა და მარცხენა ძუძუ მობღუჯა, სული მაინც ვერ მოიბრუნა.

ეს რა მოსდის? გუშინ, გუშინწინ და თუნდა დღესაც, ალიონიდან ქმარს

გვერდით უდგა, საღამომდე ფეხჩაუდგ-
ბელად ირჯებოდა და არაფერი ამისი
მსგავსი არ უგრძენია. არა, როგორ არ
უგრძენია, მაგრამ ასე არ შეწყუბებულა.

გოდორი პირით დაამხო და ზედ ჩა-
მოვლდა. მერე ხელები კალთაში ჩაიყუ-
რა და უკან თავგადაგდებულმა პაერი
პირით მოხაბა. საყვირველი ის უფრო
იყო, რომ იქ, გულის სიღრმეში, შიშთან
ერთად გამოუტანელ სიზმარივით რა-
ღაც ბუნდოვან სიხარულს გრძნობდა.

გაკვირვებულმა თავისივე თავს მია-
ყურა და გულ-შეკრდს ისრესდა. ქა-
ლიშვილურად გაუტეხავი ძეძუები
ალაგ-ალაგ როგორღაც დასჯირჯვოდა,
კიდევ სტკიოდა, და ახლა მიხვდა, ქა-
ლური წესი ამ დღეებში ასე რატომაც
აერია.

შენ არა ხედავ, ბედნიერება კარს მოს-
დგომია და არ იცოდა. და ისე, რო-
გორც ეს ბავშვმა იცის ნეტარებისგან
თვალები მაგრა, ძალიან მაგრა დახუჭა.
მერე ერთბაშად გაახილა და თავი ხე-
ლებში ჩარგო. მუშტის ოდენად მო-
კუნტულმა თავისივე თავს კიდევ უფ-
რო დაკვირვებულად მიაყურა, — ტან-
ში სიჩუმე ჩასდგომოდა, და ეს სიჩუმე
ალბათ სიცოცხლის ის სანატრელი
კრთომა იყო...

მერე ჩიტვით შეფრთხილდა. გო-
დორი ზურგზე ისევ მოიგდო. თუმცა
ქოშინი ახლა ეგრერიგად არ აწუხებდა,
გზა მაინც ნელა, ფეხმძიმესავით ფრთ-
ხილად განაგრძო:

ბინდი წვებოდა, ღამდებოდა, გულ-
ში კი შუქი მატულობდა.

ფუნდუ ერთბაშად გამოიცივალა. ამ
რამდენიმე წუთში დაქალდა და ყვე-
ლაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. მი-
დიოდა და ფეხქვეშ მიწას არ გრძნობ-
და. მიდიოდა და ოცნებით გატაცებუ-
ლი რკინიგზაზე მომუშავე მოხუც ოტი-
ას კინალამ ზედ არ წააწყდა. იმ ერთ
სიხარულს მისი გრძნობა-გონება ისე
წაუღო, რომ არავეისთან, არავეისთან
ლაპარაკი ახლა არ უნდოდა, საყვარელ
მოხუცს მოკლე საღამით ჩაუარა.

ამ ბეხრეკმაც ხმა რომ არ გასცა!

მაშა-შვილური ტყბილი ღიმილი უკან
ისეთნაირად დაადევნა, რომ უსათუოდ
რაღაცას მიხვდა.

ფუნდუს ხმაშალა გაეცინა და ბაბუ-
ას აცეტებულად მოხვდა.

— რა გაეცინებს, შე კუდიანო? — ჩა-
ძიებით ჰკითხა ოტიამ და, ჩანაოქებულ
ვიწრო თვალებით რომ გამოხედა, მო-
ხუცური ხლიჩინით ჩაეცინა.

— არაფერი, ჩემო ბაბუა. მერე გეტყ-
ვი. — მოუტრა ფუნდუმ და იქვე დაუმა-
ტა: — ისე, რატომღაც გამეცინა.

— იცინე, ბაბა, იცინე. — თქვა ოტი-
ამ. — მე რას მიყურებ, ჩემი კალო კარ-
გახანია გაიღუწა.

ფუნდუმ კიდევ უფრო უღარდელად
გადიკისკისა და გზა განაგრძო.

ბოგირს იქით მარცხნივ, შუკაში ფეხ-
აჩქარებით შეუხვია და ვეება ხეებით
დაჩრდილულ მთის მდინარეს ზემოთ
აჰყვა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. ამ სიჩუმეს
კოდის წისქვილის ხმაური არღვევდა.
კალაპოტში აქა-იქ დორანებად შეგუბე-
ბული ანკარა წყალი მისი გულივით კამ-
კამებდა და ღიბ ქვებსა და ხის ფესვებს
როგორღაც მრუდედ ადიდებდა. შიგ
თავუკულმა ჩახატული წაბლის ჩოჩქები
და ცისიერი ტალღებზე უხმოდ ქანა-
ობდებენ.

ფუნდუმ ჩოჩქს მქადის საფენი ფო-
თოლი შეაკრიფა და სახლის აღმართი
სვენებ-სვენებით აიარა. მის დანახვებზე
ბომბორა ფაცურია სიხარულით გადაი-
რია.

ის იყო ფუნდუმ გოდორი წინკარში
მიაგდო, რომ მთელი ღლით მარტო მი-
ტოვებული ქათმები და ინდაურები
კრახა-წიპქით შემოესივნენ. ზოგი მათ-
განი იმდენად გათავებულა, რომ პატ-
რონს ზედ გაბედულად ახტებოდა და
კაბას აკორტნიდა.

შინ ვრამულით შეყოლილ ფრინ-
ველს ფუნდუმ ცივი ხმით მიამახა:

— აქმა, აქმა, თქვე ტურის შესაქმე-
ლებოვო!

და სიმინდით სავსე კალთა გარეთ ხა-
ხელდახელად გამოიტანა.

წინკარში ჩაცუქული ქათმებს რომ აპურებდა, ერთი რუქანი ვარია საყენ-
კით ახლო მოიტყუა და ხელი დასტაცა.
ძირს ჩაფენილ კაბის კალთაზე მერე სი-
მინდის ბრელო ჩაიბერტყა და, სანამ
სხვა საქმეს მიხედავდა, დასააკლავად და-

პერილი ქათამი იქვე გოდრის ქვეშ და-
ამწყვდია.

გარკინსული
დავწყვდია

ფუნდუს არც ფაცურია. ცივი მკადის მოზრდილი ნატები იმასაც
მიუგლო. მერე შუაცეცხლი დაანთო და
ქვის დიდი კეცი ავარდნილ ალზე გასა-
ხურებლად წამოამხო.

6

დღე და ღამე ის იყო გაიყარა. ღამის
ჩრდილები ნელინელ მალლა ამოცოცდა.
ანწლმა, წალიკამ და ომბალომაც სუნი
უფრო მძაფრად გაუშვა. ვასაკები თავ-
დავიწყებით აკრუალდნენ. ღამის ცვა-
რიც იწინწყლებოდა.

საღლაც ურემი აპრიალდა, მაგრამ მა-
ლე ისიც მიუჩრდა.

უსიერი ტყით ჩაშვებულ საყუდარა-
ზე დევერხანა წითელი მთვარე კეცის
მკადივით ამოგორდა. სანამ ის დიდი
იყო და წითელი, მხოლოდ თავის თავს
ანათებდა, მაგრამ მალე სულ მალლა აი-
წვერა, დაპატარავდა და მთელი ქვეყანა
გადაანათა.

ასე არ იცის, როცა ძალიან გეჩქარე-
ბა, საქმეც მაშინ გაჯანჯლდება? „ბა-
რემ ამ კვალის ამოთავებას“ საულაა
დიდხანს მოუნდა. კარგა შეღამებული
იყო, ძველი დარბაზის ნანგრევებამდე,
როგორც იქნა, რომ მიატანა.

მიწას ბარი უკანასკნელად დაჰკრა და
ბელტი ნაბარავზე წააწვინა. მერე ბარზე
აკრული მიწა ჩოტით ჩაფხიკა და
თავის ნაწრომს თვალი მოაგლო. რაც
მართალია, მართალია, ბარაქიანად ემუ-
შავა. იი, ეს ვალიც მოისტუმრა და ხეალ
კოლექტივის ყანაში შეზობლებთან ერთ-
თად „ოლოიას“ ისევ დააგუგუნებდა.

მთვარით განათებული კამკამა ცა ხა-
ვერდივით მოწმენდილიყო. შუქურ-
ვარსკვლავი თვალს ხან ხუჭავდა, ხან გა-
ახვლდა და, ცოტა არ იყოს, აგრილდა
კიდევც.

„ახლა შინ წავალ.“ — გულში გაივლო
და ბარი მხარზე გაიღო, წასასვლელად
გაემზადა, მაგრამ რათ შეყოყმანდა, არ
იცოდა, — ალბათ სვრელის თავის ჩამო-
სასწორებლად, ბარი ისევ შეატრიალა

და იმ ადგილას, სადაც არასდროს არ და-
უკრავს, თავისი ჰკუთით ახლა მართლა
უკანასკნელად დაჰკრა.

ქვესკნელიდან რალაც ბუბუნი ყრუდ
მოესმა.

„რა უნდა იყოს?“ — გაუელვა. ბარს
ხელი ისევ მოუნაცვლა და, რაც ძალი და
ლონე ჰქონდა, კიდევ დაჰკრა. რკინის პი-
რი ალბათ ქვას მოხვდა, უსიამოვნოდ
აღრაჰუნდა.

საულია ასე ადვილად ახლა აქედან
ვერ წავიდოდა. კოტას ფეხი დაარტყა
და ბარი მიწაში ღრმად გააქანა. მერე
კოპიტის პრილა ტარს მთელი ტანით
მძიმედ დააწვა და ამობრუნებულ ბელტ-
თან ერთად რალაც სარჩველივით მრგვა-
ლი და ბრტყელი ამოვარდა.

საულიამ ამოვადებულ ბელტს ფეხი
წაჰკრა და, ანწლიან-ბალახიანად გვერდ-
ზე რომ გადააყირავდა, მიწამ პირი უცებ
მოაღო, ღრადომ თუ სორომ თვალეზში
შავად შემოაბნელო.

საულიას ბარი ხელიდან გაუვარდა.
მუხლის თავებს ორივე ხელით დაეყრდ-
ნო და ხვრელს დახვდა.

„არა, აქ რალაც ამბავიაო!“ — გაიფიქ-
რა და დაფაცურდა, სოროს ახლოს მი-
უჯდა. ვინ იცის, იქნებ ზედაშის ძველი
ქვევრია? თუმცა არა, აქ მარანი არ უნ-
და ყოფილიყო.

ცალ ხელზე დაყრდნობილი შიგ ჩა-
ვიენულ ნოტიო მიწას მეორე ხელით
მალლა ყრიდა და მიწასთან ერთად თით-
ქოს სიბნელეც ამოჰქონდა. ხვრელში
თანდათან თენდებოდა და ბოლოს რა-
ლაც უცნაური ყვირელი შუქი ცივად
რომ აკიანთდა, კინაღამ წამოიძახა:

„არა, არა, აქ სულ სხვა ამბავიაო!“

ცალ ხელს ახლა მეორე ხელიც მია-

შველა. თითქოს ვილაცა აჩქარისო, მიწას მალლა ზედიზედ ყრიდა, ბუტბუტებდა და ამ მურმათში ალბათ რეტი დაესხა. ყველაფერი ასე უცებ მამ რათ განათდა, ანდა ქვესკნელში ასე საზარლად რა სისინებდა?

საულია უკან მიაწყდა. ზამთრის ძილისაგან გაღვიძებული მაისის გველი ორკაბიან ნესტრის სანსალით ზერელედან წამოყვლეყვლავდა.

შიშით უკან გადაწეული საულია ევენებდა ასხმულ წითელ გველს გავეშებული შესცქეროდა. ხედავდა, რაღაც უწმინდურ ნაყოფივით გაბრტყელებულ თავს აქეთ-იქით როგორ ასხმარტალებდა. ზამთრის ძილისაგან გაღვიძებულს და მოღუნებულს ძალა ჯერ კიდევ ვერ მოეკრიფა, წელში ცახცახით იზნიქებოდა.

თავზარდაცემულ საულიას უცებ რაღაც შელოცვა მოავონდა.

„ენა, ენაო!“ — მიამახა.

ამ სიტყვამ თითქოს მართლა გასჭრა, ორკაბიანი შავი ენა გველს მუცელში ჩაუვარდა, ჩაიღუშა და ღორღში გაპარულ წყალივით კლაკნით გასრიალდა. საულიამ მაინც მოასწრო, ბარს ხელი სტაცა. სანამ გველი ბარდნალში შეძვრებოდა, მთელი ძალით წელში ჩაართვა და შერე თავიც გაუსრისა.

— შენ არა ხედავ, რა ყოფილა! — თქვა საულიამ. აქაურობას ნაძრახ ადვილს თურმე ტყუილად როდი ეძახდნენ! მოკლული გველი ანწლებში ბარით გადაისროლა და ნაბუხრაღზე ჩამოჯდა. კოტა რომ დაწყნარდა, თავანდილ დერგს ისევ დახედა. უნდოდა ხელი შიგ ჩაეყო, მაგრამ უკვე ვედარ ბედავდა. არა და, ენახა მაინც შიგ რა იყო. ვინ იცის, იქნებ ძველი რამ განძია, ხაზინაა! ბოლოს, რაც იქნება იქნებაო, გადასწყვიტა და დერგში ხელი ერთბაშად ჩაყო. არაფერიც არ მომხდარა. ამან უფრო წაათამაშა, მაგრამ უეცრად ხელი რაღაც გრილს რომ შეახო, შიშით უკან ამოიტაცა.

საულიას თუმც ღმერთი არ სწამდა, პირველად მაინც გადაიწერა. შერე მი-

წაზე პირველ დაემხო და დერგში ისე ჩაიხედა... ოქროში არა, ოქრომ ვე არა, ოქროებმა... წითელ-წითელმა... ბეჯადლოებმა დველფში შენახულ ნაკვერცხლებივით... არა, ნაკვერცხლებივით კი არა, მაისის გველის თვალბივით მომწულსხავად შემოანათა.

საულიამ თვალი დახუჭა. ბაჯალლოები, ეს ცინცხალი ბაჯალლოები თვალწინ წარმტაცად ხასხასებდნენ.

თავს მაინც არ დაუჯერა. ვინ იცის, იქნებ აქაურობა მართლა ეშმაკის სამყოფელია? ნაძრახ ადგილსაც სწორედ იმიტომ ეძახიან და ყოველივე ეს მოჩვენებაა? არა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ტყუილი იყოს. თვითონვე იგარძნო, თვალეზი როგორ გაუგანიერდა. დერგს ერთხელ კიდევ ხარბად ჩახედა, — არა, ნამდვილად ოქრო იყო. და ერთბაშად ისე დაიღალა, რომ იქვე მიეგდო, თავი ბელტზე მისდო.

თეთრი მთვარე კი თავს მოწმესავით წამისდგომოდა და სულელურად იცინოდა.

სადღაც ზარნაშომ დაიჩხავლა. აქვე მახლობლად თითქოს ვილაცამ შეშლილივით გადხიარხარა. საულიამ თავი აიღო. თურმე ნუ იტყვი, თვითონ ხარხარებდა. ანდა, ვინ იცის... ხელი დერგში მოათეთურა, აურდაურია და ოქროებით სავსე პეშვი მთვარის შუქზე ამოიტანა. რაღაც უცნაურ ჯადო-ფულეების დანახვან სხე გვერდზე მოექცა და აცაბაცად წასული თვალეზი დაებრიცა. წითელ-წითელ ბაჯალლოებს მუქიდან მუქში აქეთ-იქით ყრიდა და... ეს ხომ ეს იყო, და იქ, ვინ იცის, კიდევ რამდენია.

წუთით თავი სიზმარში ეგონა. თვალეზი მოიფშენიტა. რის სიზმარი, რა სიზმარი! დაკოქრებული, შრომით დაღვარქნილი თითები როგორღაც უწნოდ, თავისთავად გაფარჩხა და მთელი ეს ავლადიდება დერგში კი არა, სადღაც სკვარამში თითო-თითო ბრჭყვიალ-წკრივალთ მიცვივოდა. ერთი ცალი ზერელის პირს ასცდა და ნაბარავში ნაპერწკალივით აკიაფდა.

შიშით, არ დამეკარგოსო, — საულია

ოქროს დასწვდა და ჰაერში ჩუმი სიცი-
ლით შეათამაშა. მერე, თითქოს ხელი
დასწვაო, დერგში უცებ გადაუძახა.

წამოდგა. ტანში აუოლილსავით გააზ-
მორა. მკლავები მხრებზე მჩერებოვით
დაეკიდა. მთვარის შუქზე ეს მისი ჩრდი-
ლიც ამ მრუდელ ლეღვის ჩრდილივით
უშნოდ მობრეცილიყო.

— ეს არის რაღა! — ამოიოხრა და
თავი მძიმედ ჩაჰკიდა.

იქ კი, შიგნით, რაღაც სტკიოდა, ძაან
სტკიოდა და რა სტკიოდა, არ იცოდა.

„წავალ, შინ წავალ და იქ... იქ...“ —
აზრი გაუწყდა. იქ რა უნდოდა, როცა
ეს ამოდენა ქონება, მთელი ხაზინა აგერ
აქ იყო!

ბებერი ლეღვის დაღრანკულ ფესვზე
ჩამოჯდა და თავჩაქინდრული, საგონე-
ბელში ჩავარდნილი რაღაც უაზროს გა-
ურკვევლად ბუბბუტებდა: ფუნდუ?
თავისი წყნარი და უთქმელი ფუნდუ
აქამდე რათ არ მოაგონდა?

და სიხარულით აქცლობინდა:

— ჩემ ფუნდუს ვეტყვი... იმას ვეტყ-
ვი... იმას ვეტყვი... ყველაფერს ვეტყვი...

შეკრთა. თვალები წამოეკარკლა. ახ-
ლა მიხვდა, რომ ამას ვერავისაც ვერ
ეტყოდა და ვერც ვერავის ენდობოდა.
ამდენ დოვლათსა და სიმდიდრეს ასე
ალა-ალად მარტო იმას ვინ სულელი და-
ანებებდა? არა და, რა ჭნას? თავისი ბე-
დი და უბედობა ვის გაუმხილოს, ვინ
გაახაროს?

გულში რაღაცამ მწარედ უჩხელიტა.
იმ სისხლიანმა ბნელმა წარსულმა და
ჟამთა სიაცემ თავის სიხარბით, ძარცვა-
გლეჯით და მკვლელობებით საიდანდაც
თავი წამოჰყო.

— ღმერთო! ეს რა გაგანია გამიჩი-
ნე! — შეშხარავი ხმით დაიღრიალა და
მიწაზე დაეცა, ბელტებში პირუტყვივით
დაოთხილი ბობლადა. ღორღში, ბელ-
ტებში, ჩაის ბუჩქებში აქეთ-იქით ბო-
რიალობდა, ხელებს ბრმასავით აფათუ-
რებდა, — რა უნდოდა ან რას ეძებდა?
და აი, თურმე სად ყოფილა ბუჩქის
ქვეშ შეგორებულ დერგის სარკველს
ხელი დაავლო და დააშტერა. პერანგის

კალთით მერე რატომღაც კარგად გაწ-
მინდა, სულიც შეუბერა და, არავინ და-
მინახოსო, დერგს უცებ თაფზე წაიჭი-
რა. ორივე ხელით ზედ დააწვა, თითქოს
შიგ რაღაც მოიმწყვდია და ეშინია, არ
გაეჭვოსო.

— რათ არ დავთვალო? შენახა მაინც
რამდენია. — და კვარაჭინა მრგვალი
სარკველი გაფაციცებით დერგს ისევ
ახადა. მერე რაც ოქრო იყო, სულ მუქა-
მუქა ამოკრიფა და კალთაში ერთად ჩა-
იხევა.

— უჰ, რა მძიმე ყოფილა! — წამო-
იძახა ალტაცებით და ხელი შიგ ხარბად
აურ-დაურია.

ამდენი ფული საულისას ასე ერთად
თავის დღეში არ ენახა.

— აი, სიმდიდრეც ამას მიქვია! —
თქვა გუნებაში და თავისთვის ჩუმად ჩა-
იკუჭკუჭა.

მთვარე კი ისევ ქათქათებდა და სუ-
ლელურად იცინოდა.

რაღაც ლითონის ეს კოკროჭინა ხარ-
ტულეები მთვარის თეთრ შუქზე ისე
მაედურად ბრწყვიალებდნენ, თითქოს
თეთითონ ეშმაკს გამოეკედა, აქ საგულდა-
გულოდ შეენახა და გველიც დარაჯად
მიეჩინა.

სიძუნწე, შური, შენჩემობა და ყველა
სიაცე, რაც საულისას აქამდე თითქოს ქი-
რივით სძულდა, რაც მამა-პაპას ერთ
დროს ასე ამბოროტებდა და ხშირად ძმა-
საც აკვლევიებდა, მის შიგნით ბნელად
ამოძრავდა, იმ ნამძინარეც გველივით
უცებ გაიღვიძა.

ირგვლივ კი ისევ სიწყნარე იყო.

ეს სოფელი, მთელი ქვეყანა ახლა მი-
სი მოსისხლე მტერი, მოშურნე იყო და
ყველაფერისათვის მზად უნდა ყოფილი-
ყო.

უკან რაღაცა გაფაჩუნდა. საულიამ
ზარს ხელი სტაცა, ვინმე წერამ ზომ არ
იტანა და მითვალთვალესო. მიიხედ-
მოიხედა, არავინ იყო. ალბათ ტურამ ან
მაჩვმა გაიჩუჩუნა და საულიამ გული
ერთბამად დაიმშვიდა.

ოქროებიც კი კალთაში ისევ გიზგი-
ზებდნენ.

საუღიამ ერთი ცალი პიწკად აიღო, ორი თითით მალა ასწია და მთვარის შუქზე შეატრიალ-შემოატრიალა.

— ერთი. — თქვა და ღერგში ჩააგდო, წკრიალს ღიმილით მიაყურა.

— ორი. — და მეორე ცალიც პირველს ზედ მიაყურა.

ეს წუთები ახლა მისთვის დიადი იყო. სახეზე ღიმი წაეშალა, შუბლი შეიკრა.

— სამი. — და სახე უფრო მოედუნა. ეწინოდა, სათვალავი არ არეოდა.

— ოთხი. — თქვა ახლა ისევ გულჩახურულად, თითქოს ღერგმა ამოსძახაო.

— ოთხი. — გაიმეორა და მერე დაემკვებულად იკითხა: — რამდენი იყო? არ ახსოვდა რამდენი გადათვალა. ოფელმა ტანზე ცოვად დაასხა. არა და, ოქრო იყო, ის ხომ არ იყო, რომ შეშლოდა. შენ არა ხედავ, თურმე დათვლაც საქმე ყოფილა!

გადათვლილი ოქროები ღერგიდან უცებ ამოკრიფა და, ოთხამდე ისევ რომ გადათვალა, ფუი ეშმაკს! ახლა ის დაავიწყდა, ოთხს შემდეგ რამდენი მოდიოდა.

— ჰო, ოთხი იყო, ნამდვილად ოთხი! მერე? კი მაგრამ, მერე რამდენია? ჰო, ხუთია, ხუთი!

და რამდენადაც შეტს ცდილობდა, რომ სათვალავი არ არეოდა, მით უფრო ეშლებოდა.

— მერე? მერე? რა შემართება? თერთმეტის შემდეგ რამდენია? ეს ოხერი რა ჯანდაბამ დამაეიწყა! ჰო, თორმეტი, თორმეტი! — სინარულით წამოიძახა და მეთორმეტე ოქროც მეთერთმეტეს ზედ მიაყურა.

მერე თითქოს გონი ვახსნა. თვრამეტამდე შეუცდომლად რომ დათვალა, შეეწინდა, თვლა ისევ არ დამაეიწყდესო.

„ასი ხომ მაინც იქნება. ესეც შეყოფა!“ — გაიფიქრა და კალთა ღერგში ჩაბერტყა, შვებით ამოისუნთქა.

— მერეც დაეთვლი, რა მეჩქარება. — თქვა და ღერგს სარქველი აუჩქარებლად წააფარა.

მთვარის შუქით ნაქარგი ღამე ციცი-

ნათელებით ავსებულიყო. წისკილის კოდში წყალი ისევ გულჩახატობილად ღურღურებდა.

საუღიამ ღერგს მიწა მიიყარა და ზედ ბელტები ისე მიაწყ-მოაწყო, ვითომც და აქ არაფერიო. საქმით გართულს არ გაუფიქრა, შეუღამის მატარებელი სოფელს როგორ წამოპარვოდა. ელექტრონით სარკმლებგანათებულმა ვაგონებმა ძირს გუგუნ-გრაილით ჩაიქროლეს. ყველაფერი ისევ მიწყნარდა. არსაიდან ხმა, ბაიბური არ მოისმოდა. მხოლოდ მოხუცი ოტას განუყრელ ფანრის მწვანე შუქი სადღაც ქვემოთ ტორტმანით მიბარბაცებდა.

საუღიამ შუბლი ღონივრად მოისრისა.

„გვიან ყოფილა.“ — გაიფიქრა და ბარი მხარზე გაიღო, დაღმართზე წელა წაბანდალდა.

ალაგესთან შეჩერდა.

— მიწა ხომ კარგად მიეყარა? — იკითხა და რა ეთქვა, როცა აღარაფერი არ ახსოვდა.

„ეჰ, წავალ, ისევ დავხედავ.“ — გადასწყვიტა და უკან გაბრუნდა. აი, აღმართი აიარა. მრუდე ლელემდეც მიატანა, მაგრამ ღერგისთვის არც დაუხედავს, გაახსენდა: როგორ არა, ის არ იყო, მიწა წელან საგულდაგულოდ რომ მიაყარა და ბალახიანი ბელტებიც თავზე მოალაგა? ის ადგილი ერთხელ კიდევ ყოველ შემთხვევისათვის მოასწორა და. მერე წელში გაიმართა, ლელვის ხეს ზურგით მიეყურა.

ზის მრუდე ჩრდილი რომ აცახცახდა და თავზეც ცუარი დააცივიდა, მიხვდა, — თვითონ ცახცახებდა.

მერე უაზროდ ცას შეხედა და დაღმართი ისევ ბანდალით ჩაიარა.

მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა. მიდიოდა და რაღაც შიგნით მაინც სტკიოდა. ალაგესთან ღობის სარს ორივე ხელით ჩაეჭიდა და გული ერთბაშად ამოუჯდა, მამაკაცური უღაზათობით აზლუქუნდა.

ირველიც დაბნელდა. მთვარეს ღრუბელი წამოეთვარა და იქ, ქვემოთაც ოტია მებუღვის ფანარი ჩაქრა.

სოფელს ეძინა.

ფუნდუს კი ჭრაქი ისევ ერთო. დღევანდელი დღის სიხარული არ აძინებდა. ჩანაგლებულ კერასთან სამფება სკამზე მოკუნტულიყო და ჭმარს ელოდა. ერთი სული ჰქონდა, მის ფეხის ხმას როდის გაიგონებდა და თავისი დიდი სიხარულით იმასაც გაახარებდა.

ძირს წისკვილი თვლემის მომგვრელად ხმაურობდა და მის ხმაურში ფუნდუს თავისი პირველი სიყვარული სიზმარივით აგონდებოდა.

ეს მაშინ იყო, სამი წლის წინათ. შემოდგომის უმთავრო ღამე მსხვილ ვარსკვლავებით მოთესილიყო.

ორსართულიან სკოლის გვერდით ახლად წამოდგმულ უზარმაზარ სახალხო სახლში მთელ სოფელს თავი პირველად მოეყარა. რაიკომის მდივანმა ახალი კლუბი საზეიმო მოხსენებით გახსნა. ჯერ პარტიის ხალხურობაზე და საბჭოთა ხალხის უძლეველობაზე ილაპარაკა, შერე სიტყვა სოციალიზმის უპირატესობაზე ჩამოაგდო და ბოლოს კოლმეურნეებს მიმდინარე წლის ამოცანებიც დაუსახა.

სიტყვა მას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და პარტორგანიზაციის მდივანმაც დააწია და საზეიმო ნაწილიც ამით დაასრულეს.

ახალგაზრდობაც ამას ელოდა. სად იყო და სად არა, ვერცხლის ფიფინებიანი დაირაც გააჩინეს და კესანემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ააბრაბუნა, ცეკვა-თამაშიც დაიწყო.

ყველას ფუნდუსთან უნდოდა ცეკვა და ისიც ხათრს არავის არ უტეხავდა. ირგვლივ სიცილ-კისკისი, ტანის გრიალი გაისმოდა. დაირა კი სულმოუთქმელად ბრაბუნობდა, ახლად ვატანილ ბურბუშელის და წებოს სუნი ჰაერში ჯერ ისევ იდგა. თავისივე ახალგაზრდობით ისედაც მთვრალ ფუნდუს ეს კიდევ უფრო აბრუებდა, ხელებგაშლილი ირგვლივ ჭარივით ტრიალებდა და სახეზე ცეცხლი ატმის ყვავილივით ედღ-

ბოდა. იცინოდა და თვითონვე გრძობდა, ირგვლივ ყველას როგორ მიხედავდა.

იმას კი, იმ უბირ მთიელს სახე სულ უფრო ექუფრებოდა და რატომღაც იზღვირებოდა. ფუნდუს ეს კიდევ უფრო ახარებდა. მის ახლოს ლაღად ჩაქროლებულმა ერთი ხმამაღლა, უღარდელად გადიესკისა, ცახოცი ცხვირწინ გამომწვევად აუფრიალა და გარეთ გაიქრა. ცეკვით დაღლილი და აგზნებული იქვე ეზოში ხის ძირას დაჯდა და ცხვირსახოცის გამალებული ქნევით ალექვით სახეს იგრილებდა.

— შეიძლებაო? — საულისა მოკრძალებული და თითქოს კიდევ შეშინებული ხმა რომ მოესმა, ფუნდუ გაყურდა. მაშინ მიხვდა, — ვაჟაკს ცახოცი წელან რისთვისაც აუფრიალა და აქაც თურმე ამიტომ გამოსულიყო. წამოდგომა და წასვლა მაინც რომ დააპირა, როდი წამოდგა, არც არაფერი მისთვის არ უთქვამს.

— შეიძლებაო. — უთხრა კარგახანს შემდეგ უკვე დამჯდარ კაცს.

— ფუნდუ... — თქვა საულიამ ხმის კანკალით და უშზრახ ქალიშვილს თავისი სახელი რატომღაც უცებ ეუცხოვა. ხის ქვეშ ბნელოდა და დაირის ბრაბუნვლარუნიც ახლა, აქვე კი არა, სადღაც შორს ოდნავ გაისმოდა.

ფუნდუმ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ცხელმა კონამ სული შესტაცა, თავბრუ დაესხა.

— მხეციო! ნადირო! — განრისხებულმა შეუტია და მის ვანიერ მკერდს თან უნებლიედ აეტმასნა.

ამ დროს ცაში მასხალაც აუშვეს და შავი ღამე ერთბაშად ჭრელად განათდა. ფუნდუ წამოხტა.

— ხელა სალამოს წისკვილთან მოდი. — მიამახა და ვერ გაეგო რა მოსდიოდა, თავისივე ხმაც ეუცხოვა.

რკინიგზაზე რომ გამოვიდა, შედგა. გული ისე უფანცქალებდა, რომ არ იცოდა სად წასულიყო. არც დედა ჰყავდა, არც მამა ჰყავდა, — წუთიც და ბულრუგანასთან გაჩნდა.

მოხუც ოტიას ვიწრო ოთახში ფანა-
რი ენთო. ტახტზე ჩამომჯდარს თავი
ძირს დარდიანად ჩაეკიდა.

გულამოვარდნილ ქალიშვილის ფე-
ხის ხმაზე აიხედა.

— რა მოგივიდა? — იკითხა და მა-
შინვე მიხვდა, რაც მოსვლოდა.

ფუნდუ ფეხებში ჩაუვარდა და ყვე-
ლაფერი ამითი უთხრა.

მოხუცმა ხელი თავზე წყნარად დაა-
დო.

...ოცნება გაქრა. ყოველივე ეს ფუნ-
დუს ახლა ისე შორეულად ეჩვენებოდა,
რომ ერთი პირობა გაუკვირდა, იქ რა
უნდოდა.

მისი ფუძე ახლა აქ იყო, საულის ხე-
ლით გამართულ ამ პატარა ქოხში. ეს
საკიდელიც მკედელს მაშინ გააქედვი-
ნა, როცა ფუნდუმ აქ პირველად ფეხი
შემოდგა. ეს ოჯინჯალიც საულიამ თა-
ვისი ხელით მაშინ გათალა და მის ქვეშ
პირველი ცეცხლი ფუნდუმ თვითონ და-
ანთო.

ერთი ამოიხენეშა და თავის ფაცხას
თვალი მოავლო.

კეცში მჭადი რაცხანია გამომცხვარი-
ყო. შამფურზე გაფარჩხული ქათამიც
წითლად შებრაწულიყო. ფეხის საბანი
წყალიც კარდალში ეს მერამდენედ გა-
დადუღდა. ის კი არ ჩანდა. ეს გალანჯუ-
ლი ვიწრო კედლებიც თითქოს თანდა-
თან შევიწროვდნენ, სხვენიც დაბლა და-
იწია და ჭრაქს თავის, ჩრდილებიანად
ბნელად შემოეჯარა.

ფუნდუმ შემწვარი ვარია აქნა, ახალ
ტყემალში ჩააწყო და თავზე თეფ-
ში წააფარა, იქვე კედელზე მიჭედებულ
ბუჯერში შეინახა. მერე ფეხები სპი-
ლენძის ტაშტში ამოიბანა და ცეცხლს
გასაშრობად მიუშვირა.

„მანც ამდენხანს სად უნდა
იყოს?“ — გაუელვა და რა არ იფიქრა,
რა არ წარმოიდგინა. ის სიხარული, რი-
თაც ის ასე სავსე იყო, ამ მოლოდინში
თითქმის განელდა, გული როგორღაც
აუწრიალდა.

ფეხები ჯღარკებში წაპყო და ნაბანი
წყალი ეზოში გადადვარა. ვარსკვლავე-
2. „მნათობი“, № 3.

ბი ცაში სიმინდის საკენკივით მოფან-
ტულიყო. გრილი ბინდი ახლად დაბი-
ნოლ ფეხებზე სასიამოვნოდ დაეღწეო-
ნალიასთან გასაქარავად დაწყობილ სახ-
ლის ფიცრებზე ჩამოჯდა და ფაცურიათ
დრო იხელთა, მის ფეხებთან მოიკალა-
თა. ნადარბაზევი აქედან არ ჩანდა, მაგ-
რამ ფუნდუს თვალი და ყური მაინც
იქით ჰქონდა.

ცა ქათქათებდა. მთელი ეზო საოცნე-
ბოდ დაჩათულიყო. პალიასტომის კაო-
ბებს იქით ფოთის შუქურა შორეულ
ნისლში ობლად კიაფებდა. ხან ჩაქრებო-
და და ხან წითლად აინთებოდა.

„იქნებ ვინმესთან შეიარა და ღვინოს
შერჩა?“ — მაგრამ ეს ვარაუდი დაუჯე-
რებლად მოეჩვენა.

— არა, იმ კაცს ფარსაგი არ უნდა
სჭირდეს! — წამოიძახა და ტანში შეცი-
ებულსავით გააქრეთოლა. მოსასხამი მა-
ინც გამოეტანა.

ფაცურიათ ერთი კნავილით დაამტქა-
რა. მთელი ტანი ყურებიანად გაიბერტ-
ყა და, თითქოს დიდი საქმე გააკეთაო,
მიწაზე ისევ გაიშხლართა.

ფუნდუ წამოდგა. შინ შევიდა. კედელ-
ზე მიკიდებული ქმრის საგარეო შარვა-
ლი ჩამოიღო. ხელში კარგახანს ატრია-
ლა, მაგრამ დასაკერებელი არაფერი არ
სჭირდა. სათავესთან ოდნავ მოშვებულ
ლილს რომ მიავნო, გაუხარდა. ღილი
კბილით ძლივს ააგლიჯა, მერე ხელახ-
ლა დააჭერა და ისევ თავის ადგილას
დაჰკიდა.

შუასახლში ერთხანს უძრავად იდგა.
მერე მოწყდა და ქმრის ლოგინზე მძი-
მედ დაეცა. ქვეშაგებისგან შენახულმა
საულის სხეულის სუნმა ერთბაშად ისე
გააბრუა, რომ თავისი თავის თვითონვე
შერცხვა, თვალი დახუტა.


„აქ არ დამეძინოსო,“ — გაიფიქრა და
წამოდგა, ცეცხლს შეშა შეუკეთა.

შუალამის მატარებელმა სახლის წინ
ამ დროს გუგუნ-გრილით ჩაიქროლა.
მიწა ისე ააზანზარა, რომ თაროზე შე-
მოწყობილმა ჯამ-ჭურჭელმა წკრიალი
დაიწყო.

საულია მაინც არ ჩანდა.

h h t

2577





ქართული

დამის ცვარით ამოღუმპული საულია ეალტამპორულ ფერდობზე თავჩაქინდრული მოდიოდა. იმ ერთ აზრსა და ერთ გრძნობას მისი არსება ისე წაეღო, რომ კიდევ კარგი, გვიან იყო და გზაში არავინ შემოხედებოდა. გულის სიღრმეებზე შეძრულსა და გაოგნებულს არაფერი აღარ ახსოვდა. არაფერი, ვარდა ოქროებისა, მას ახლა აღარ იტაცებდა. ასე დასამალავიც არასოდეს მას არაფერი არ ჰქონია. არა, არა, სხვა გზა არ იყო, თანაგრძნობას ისევ ფუნდუ თუ გაუწევდა. ფეხს აუჩქარა. ბოლოს სულმა წასძლია და კიდევ გაიქცა. არა, როდი გაიქცა, სოფლის ძაღლივით წაძუნძულდა. უნდოდა ცოლისთვის გული, რაც შეიძლება, მალე გადაეშალა და ეთქვა, როგორ გამდიდრდა და გაიტანჯა. ვინ იცის, იქნებ ეტირნა კიდევ. ეთქვა, ამ მთვიან დამეს ნადარბაზევის ნაძრახ ადგილას სულის სიმშვიდე როგორ დაკარგა. უნდოდა, მისი სიყვარულით დამთვრალიყო, მის ალერსში ყველაფერი დაეწყებოდა. და ნატურად ქცეული სანდომიანი, წყნარი ფუნდუ თვალწინ ისე ცოცხლად დაუდგა, მისი სხეულის ასე ნაჩვევი და ნალოლიავეები ყოველი ნაწილი ისე ურცხვად გამოეხატა, რომ სისხლი თავში აუვარდა.

მაგრამ ვინმესთან რომ წამოსცდეს? არა, არა, ვერც იმას ეტყვის, ქალი მამინც ქალია. და ახლა მიხვდა, რომ ამიერიდან ის მუდამ მარტო იქნებოდა. მამ რალა დარჩა? შრომა? ის ახლა ისე მდიდარი იყო, რომ არავითარი აზრი შრომას არ ჰქონდა. სიყვარული? რის სიყვარული, რა სიყვარული, როცა საკუთრების ამ ხარბმა გრძნობამ ყველაფერი გაატილია.

— არა და, ასე მარტოსულს რა მაცოცხლებს? — და ხელები მალა ხმელ ტოტებივით. აიშვირა, მაგრამ ეშმაკის ლუკმად გადაქცეულს ახლა ღმერთიც ვერ უშველიდა.

მწვანის სუნით ჩახუთულ ბოსტანთან გაიქცა და, ეზოში რომ ჩაეიდა, ფა-

ცურია კუდის ქნევით შემოეგება: მერე მიწაზე გაუგორდა და ფეხებს წამუტუნით მალა პლაკავდა, გზას არ აძლევდა.

— იქით, შე მგლის არჩივო, იქით-მეთქი! — საულიამ ძალს წიხლი ჰკრა და სახლის კარი კი არ შეაღო, შეანგრია.

ამ ხმაურზე ფუნდუ უსულოდ წამოვარდა.

— რა დაგემართა? სად იყავი? — მიამახა და გული მერე მოუვიდა.

„სად ჩაეცხლეო?“ — უნდოდა ესეც მიეყოლებინა, მაგრამ ამდენიც ვეღარ ჰკადრა.

— ვისთან სვამდიო? — დაიძახა.

საულიას მისი სიტყვები ვითომ არც გაუგონია. სახეჩამოფხავებული კართან ისე ატუზულიყო, თითქოს შემოსვლას ვერ ბედავდა.

— მანდ რას უდგახარ? — თქვა ფუნდუმ და გულმა უთხრა, რომ ნასვამი არ უნდა ყოფილიყო.

საულიამ თავისი კი არა, ვიღაც სხვისი ფუთიანი ფეხები ღირეზე თითო-თითოდ გადმოათრია და კედელს იქვე აეყუდა.

სახლში სიჩუმე იყო. ყველაფერს — კედლებს, თაროებს და ზედ შემოწყობილ ჯამ-ქურქელსაც ჩასძინებოდა. თუნუქის ჭრაქის მკრთალი ნათელი ამ სიბნელეს ძლივს ერეოდა. ოჯინჯალაზე შავი თოვლივით დადებული მჭვარტლი მატყლივით ჩამოქნძილიყო. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოფილა, მაგრამ ჩაბუტულ კერიიდან ბაჯალოსფერმა ნაკვერცხლებმა უცებ ისე შემოანათეს, რომ საულიამ თვალი ერთბაშად აარიდა.

ფუნდუს ტანი აებურძღვა. კარგად იცოდა, რომ საულია ერთი გულფიცხი კაცი იყო და, ვინ იცის, ამაღამ რას გადააწყდა.

— რა მოგდის? ვინმე ხომ არ შემოგაკვდა? — დაიკივლა და თვალები შიშით გაუგანვირდა.

საულიამ ცოლს ხმა არ ვასცა. აყალო მიწით მოდღურული სახე გვერდზე რო-

გორლაც მოებრიცა და უცებ ისე გადა-
იხარხარა, რომ ამღვრეული კროლა
თვალეზი ცრემლებით აევსო.

ფუნდუ ქმარს წყნარად მიუახლოვდა,
ერთხანს გამომცდელად მიშტერებოდა.
წუთის რაღაც უმოკლეს დროში მის
თვალეზში ისეთი რამ ამოიკითხა, რომ
ელდნაცემი გაქვავდა და ტანში ცივად
ვასცრა. არა, ეს მისი საულია როდი
იყო, ვილაც სხვა იყო.

ლამის ნიავეს ღია კარში სწორედ ამ
დროს შემოუბერა. კრამის შუქი აპარ-
ბალდა და ეს ვილაცა უცხო კაცი სახლის
სხვენიან-კედლებიანად ზემოთ აქანდა.

თავბრუდასხმული ფუნდუ ტორტმა-
ნით აქეთ წამოვიდა და კერასთან შედგა.

საულიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგ-
რამ რა ეთქვა?

ფერდაკარგული ლამაზი ქალი შუა
სახლში რაღაც წარმტაც, მაგრამ შხამიან
ყვავილივით აღერილიყო.

საულიამ კარი მიხურა და აქეთ ნელა
წამოვიდა. ცოლთან ახლოს, სულ ახ-
ლოს რომ მივიდა, მკლავში ხელი ჩა-
ავლო.

— წამო. ჩემთან წამოდი. — თითქმის
ჩურჩულით, ხრიალით უთხრა.

ფუნდუ კიდევ უფრო შეშინდა. გა-
ფითრებული ტუჩები აუცახცახდა, თა-
თქოს სატირლად დაეპოპრა.

— სად? სად უნდა წამოვიდე?

საულია ჩაფიქრდა. ქალს ხელი უშვა.
მართლაც და, სად უნდა წაიყვანოს?
სახე ტკივილით დაემანჭა, არა, არა, ამ
დედაკაცის გადაამკიდე თავს უსათუოდ
წააგებდა.

— არაფერი... — წაიბურტყუნა სა-
ულიამ და ხელი აგდებთ ჩაიქნია. —
არსადაც არ მივდივარ... ისე ვთქვი.

და კერასთან ძელსკამზე, დაენარცხა.

მართალია, საულია ერთი მოსული,
ჯანიერი ვაჟკაცი იყო, მაგრამ ამდენ
წყვეტებას ვერც მან გაუძლო. ძველმა
ციებამ თუ გაუხსენა? ჩაბუტულ კე-
რას მთელი ტანით გადაეფაჭვა და კან-
კალმა აიტანა.

— ფუნდუ, მიშველეო! — დაიღმუე-
ლა და კბილებს კბილებზე აცემინებდა.

ამის დანახვაზე ფუნდუს ყველაფერი
დაევიწყდა.

— ახლავე, ჩემო საულია, ახლა-
ვე! — შემკრთალი ხმით გაიძახოდა და
ცეცხლს ხმელ შეშას აყრიდა. ქმარს
ქევისაგან მუხლებამდე დასველებული
შარვალი, ტალახიანი წულეები საჩქაროდ
გახადა და ფეხები თბილ წყალში ჩააყ-
რევინა. თურმე საცოდავს თავისი გაჭირ-
ვება ჰქონია და არ იცოდა. შეციებულ
კაცს ხან გვერდით ახლოს უჯდებოდა,
ფართო ბეჭებზე მკლავებს ხვევდა, ხან
მკერდზე თრთოლივით ეხუტებოდა, თა-
ვისი ნაზი სხეულით ვითომ ათბობდა და
თანაც ტაშტში ცალი ხელით ცხელ
წყალს უშატებდა.

ყოველივე ამას ფუნდუ ჩუმიად, სა-
გულდაგულოდ აკეთებდა და საულიაც
მის ნება-სურვილს უსიტყვოდ ემორჩი-
ლებოდა. ოღონდ ხელ-პირი საპნით თვი-
თონ დაიბანა, ნაოფლარი პერანგიც
თვითონ გამოიცვალა და, როგორც იქ-
ნა, ცოტა დამშვიდდა.

ახლა კერასთან წყნარად იჯდა და
თავჩაღუნული ცეცხლს გაშტერებით
დასცქეროდა. მერე ერთი ამოიხარა და
ცოლს ხმადაბლა შეეხვეწა:

— მოდი, ფუნდუ, ჩემთან დაჯექი. —
და ამ სიტყვებით ძელსკამზე იქით მი-
წია.

ფუნდუ ქმარს გვერდით მიუჯდა.

— მაპატიე, ჩემო ფუნდუ! მაპა-
ტიე! — თქვა საულიამ და თავი კალთა-
ში ჩაუღო.

— რა გაპატიო? განა ისეთი რა დაა-
შავე? — იკითხა ფუნდუმ. გულმკერ-
დით მერე თავზე გადაეფარა და მისი
ფერდებში ღრმად შევარდნილი მუცე-
ლი ახლა გაახსენდა.

— ვახშამს გაკმევ. ისეთი ვარია შე-
გიწვი, რომ თითებს ჩაიტყვერ.

საულია მის თბილ კალთაში ისე ჩაი-
თენთა, რომ ჰამის თავიეც აღარ ჰქონდა.

— არა, ფუნდუ, არ მშია. — და ცო-
ტახანს შემდეგ მიზეზიანად დაუმატა: —
ხომ ხედავ, რომ დაღლილი ვარ. ბარემ
ლოგინიც გამიშალე.

და ძელსკამზე წამოჯდა.

ფუნდუმაც დიდად არ დაუჩემა. ადგა და ლოგინის გაშლა დაიწყო.

საულიამ ხეირიანად ზეწრის დაფენაც არ დააცალა, იქვე ლოგინზე მძიმედ მიეგდო. მერე საბანი თავზე წამოიხურა, თვალიც დახუჭა, მაგრამ რა ჯანდაბა დააძინებდა! ამ გვერდზე დაწვა, ვერ მოეწყო. იქით გადაბრუნდა, ძილი მაინც გაურბოდა. უცებ ისეთი სიმარტოვე იგრძნო, რომ გული შეეკუმშა ცოლს შეეხვეწა.

— მოდი, ფუნდუ, ჩემთან დაწევი.

ფუნდუმ დიდხანს არ ალოდინა. ცეცხლი დადარში შეახვია, ტანთ გაიხადა და

მეორე დილას მზეს თვალი კარგად არც გამოეჭყიტა, რომ სოფელში ხმა დაირხა, — საულიამ, ცოტა არ იყოს, აურიდა და ჰკუა აღარ ეკითხებოდა.

ამ მითქმა-მოთქმას ბევრმა ყური როდი ათხოვა. მაგრამ საულია სამუშაოდ რომ არ გამოვიდა, ეს ამბავი მაშინ ენიშნათ. დილიდანვე დარხეულმა ხმამ ის არემარე ელვის სისწრაფით მოიარბინა. ყანებსა და პლანტაციებში, ელსადგურის მშენებლობაზე და რაიონშიც ყველა ამას ლაპარაკობდა. წუხდნენ, ნანობდნენ, ასეთი გამრჯე კაცი რომ ფუქდებოდა და სოფელს ბურჯი ეცლებოდა.

საქაქანო და საჩურჩულო დედაბრებმაც ზომ იშოვეს და იშოვეს. საულიას უბედურებას იმ დასაშუბავ ნაძრახ ადგილს და შიგ ჩაბუდებულ უქმურთა უქმურს აბრალებდნენ, თან ახალგაზრდებს ნიშნს უგებდნენ, ასე იცის, დედის წინ წამხტარი კვიცი მგლის ანაწერა-აო.

ამ ლაპარაკში, მიეთ-მოეთში მზე კარგა მალდა წამოვიდა. თუმცა ის დღე საქმედღე იყო, მაგრამ მაინც, ვინც მოახერხა და დრო იშოვა, ხელი მოსაკითხავით დაიმშვენა და ხურმის ჩრდილში გამლილ ქილოფზე მიგდებული ავადმყოფი ამ ცხელ გულზევე ინახულა.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ვინ თბილ წყალში ფეხების ჩაყრას, ვინ

ქმარს ლოყაზე ლოყით აელამუნდა.

იმის სათქმელად, რითაც დღესმეცასზე ბედნიერი იყო, ამაზე უკეთესს დასწავლა იშოვიდა? ბალნიან მკერდზე ხელით დაეყრდნო და ყურში ისე ჩასჩურჩულა:

— იცი რა, საულია... ორსულად უნდა ვიყო.

საულიას არაფერი არ გაუგონია.

— არა, ვერ გეტყვი... არ შემობლია... — წიბურტყუნა და თავქვეშ ხელი გამოაცალა, გვერდზე გადაბრუნდა. ფუნდუ ერთბაშად ჩაიფუფქა. თავი ბალიშში ჩარგო და აფლუტუნდა.

9

კეფაზე წურბლის მოკიდებას, ვინ ძარღვის გახსნას და ვინ რას ურჩევდა.

ის კი, წუხანდელი შფოთვით დაღლილი, ჩრდილში პირაღმა იწვა, ხელები თავქვეშ ამოეღო და ტოტებს ქვემოდან შესცქეროდა. ეს დობე-ყორეს მიღებულ-მოღებული ლაპარაკი მის გულს ახლოც არ ეკარებოდა. რა იცოდნენ, საულიას გვამში რა ცეცხლი ჩანთებოდა და ერთიორჯერ კინალამ ხმამალა წამოიკენესა.

მის ტყვილს ისევ ფუნდუ თუ გრძობდა, მაგრამ სახელდობრ რასტკიოდა, არც მან იცოდა. ვერ გაეგო, წუხელ ასე მოულოდნელად რა წაეკიდა. თავწაღუნული საქმიანობდა, ხელფურჩობდა, დარდიანი გული იქნებ როგორმე გადაეყოლოვო. დალაგებული საბლი მოდგა და ისევ დაალაგა, ქმრის ნაოფლარი პერანგი მერე კარგად ამორეცხა და ახლა ცივ წყალში ავლებდა.

პატრონის დარდი, ეტყობოდა, ძალსაც ეგრძნო. იქვე მიწაზე მთელი ტანით დაგდებულყო და წინ წაყრილ თათებში თავწარგული თვალების ჰუტკით თითქოს ეკითხებოდა: კაცო, რა მოგივიდაო?

საულიამ გაიცინა თუ ამოიგმინა, კაცი ვერ გაიგებდა. ერთადერთი უანგარო მეგობარი მისთვის ახლა ეს შოშბორა ნაგაზი იყო და ალერსიანი წრუტუნათა და თითების ტყაცუნით დაუძახა.

ფაცურიაც ამას ელოდა. ფეხზე წამოხტა და მასთან გაჩნდა.

საულიამ კისერზე ხელი შემოხვია.

— ხედავ, ფაცურია, რა დღეში ვარ? დანარჩენი ფიქრში განაგრძობ:

„შე სულელო, მართლა აეად ხომ არ გგონივარ? გავკეთდით, ბიჭო! იმდენი ოქრო გვაქვს, რომ აღარ ვიცო სად წავიღო“.

ფაცურია პატრონის ფიქრები თითქოს თვალეში ამოიკითხა. გულზე უშინოდ შეტოტებულმა სახის ალოკვა გაუპირა. საულიამაც მის ენას პირი აარიდა, მაგრამ თვალში ბომბორა კლდი მწარედ რომ მოხვდა.

— დაიკარგე, შე ყურბანაო, — შეუტია და წიხლი ბრაზით მოუქნია.

ძალმა კლდი ამოიქა და თვალეზის სკურვით იქვე დამნაშავესავით ჩაცუცქდა.

ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ საულია თავის ფუნდუსაც ვერ ენდობოდა. რის მეგობარი, რა მეგობარი, როცა ცოლიც მოსისხლე მტრად ეჩვენებოდა. მაშ, რა წყალში გადავარდეს? დიდ სიხარულსაც გაზიარება და თანაგრძნობა თურმე ისევე ნდომებია, როგორც დიდ მწუხარებას. ანდა, ეს სადაური სიხარულია, როცა ისიც ტანჯვად ვადაქცევია, როცა მთელი ქვეყანა იქით გამდგარა და ის კი მარტო, სულ მარტო აქეთ დარჩენილა. ეს დიდი დარდი ვის გახანდოს, როცა ისეთ ალაღმართალ კაცს, როგორც ის აქამდე იყო, ყველაზე გული გასტეხვია და მის სანახავად მოსულ მეზობლებსაც ისე გაუბეზრებია, რომ ყოველ მათგანს ფეხებში შესცქერის, აქედან როდის წაფორთვევო.

თვალეზი ცრემლით აევსო. აქ არავინ შემამჩნიოსო, თავი დახარა. ხედავ, დარდიც დასამალავი გახდომია! მაშ სიყვარულიც, ერთგულებაც გაათავებულა. მის ვარჯილობასაც, რითაც თავი ეგრე მოჰქონდა, ფასი დაჰკარგვია. მისი დღე და მოსწრება უშრომია, ქვეყნის ჭირის და ლხინის მონაწილე ყოფილა და ეს რა გამოდის? ნამუსისაგან ისე გარეცხილა, რომ ამ გაგანია მუშაობის

დროს მხარ-თეძოზე წამოწოლილა და ქვეყანას ატყუებს, აეად ვარო დააბედებულ კვანჩებს, დააბედებულ რედ ჩაეცინა.

ძირს, ზღვამდე გაშლილ ყანებში, მზე ბულრაობდა, აღხსა და ბღღერის კორიანტელად აყენებდა. „ოდოიაც“ ამ სიცხე-პაპანაქებაში კიდევ უფრო მძლავრად გუგუნებდა და შრომის ეს დიდებული საგალობელი გულში ისე შედიოდა, რომ საულიამ ვეღარ შესძლო... მთელი არსებით ისიც იქ, მათთან, ყანაში იყო.

აი, მოთხნელებმა, საცა არის, სვრელი ბოლოში უნდა გაიტანონ. გამოსშირული აღერდი წვება, სიმინდი წელში იმართება და ყანაში ღეთის თვალი დატრიალდა. აი, გულმოდელილმა და ფეხშიშველა მესვეურმა მიწას თოხი ღონივრად დაჰკრა და ერთი ისე დიფუგუნა, თითქოს მიწის ღმერთს, მოსაელისა და ზევის გამგებელს გვესკნელში ჩასძახისო:

— ოო-ოდოია, ო!

გლებებმაც ხმა აქეთ-იქიდან დააწიეს:

— ოო-ოდოია, ო!

და ბაჯაჯღანა, ბელტისფეხებიანი ოდოია მიწის ქვეშ ზანტად იშმუშნება. თავკვატუშასა და პოსლიკას საცრისტოლა ჩხია თვალეზი მელაკუღურად უღომის და წამოშლილ სიმინდს ქვემოდან აწეება, მასთან ერთად მალა მობობდაც.

— ოო, ოდოია, ო! — შესვეური ისევე გუგუნებს.

— ოო, ოდოია, ო! — შეთოხურებმა აქეთ-იქიდან უფრო მძლავრად შემოუტრეს. მას თოხების მოხშირებული ჩახიჩუხიც შემოუერთდა და გვალვის ზუზუნში ეს ლა ისმოდა:

— იიო, ჰო! იიო, ჰო!

ეს ხალხი კი არა, თვითონ ქვესკნელი ზანზარებდა, მის ნესტიან ბნელში ყოველი ფესვი ბჯალს უშვებდა და ბარაქა სამზეოზე მოიწვედა. უშნო, ბაჯბაჯა ოდოია კი ნათობარში ბუქნავდა, მალაყს გადადიოდა და მზის თაკარა სხივებს თავზე ზეესავით იყრიდა.

სერელი ბოლომდე თუ გაიტანეს? გუგუნი მიწყდა.

ეს ოცნებით წარმოდგენილი შრომა აბა რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ საულის ცოტათი მაინც გულს მიუფანა. ის ჯოჯოხეთიც წუხელ წამებით რომ გაიარა, დაავიწყდა, ისევ ის ალალი და ხელმართალი გლეხკაცი იყო.

მზეს საშუადღეოდ ამოვეაკებინა. ჩრდილი დამოკლდა. სიცხეც თანდათან ჩამოიხუთა. მადალ შუადღის ის დრო იყო, როცა ჯაფით დაღლილ-დაქანცულ საულის ცოლი ყანაში ქოთნით ლობიოს, კვახის ფურცელში გახვეულ მჭადს და დოქით ღვინოს ჩამოუტანდა. გლეხებთან ერთად ისიც მაძრისად ისადილებდა და მერე იქვე, ბელოს ჩრდილში, ცოტა თვალს მოატყუებდა.

ჩვეულებას ვერც ახლა უღალატა. მის სანახავად მოსულ მეზობლებს არ დაეროდა და ისე, ვითომ ყანაში იყო, თავი ხის ფესვზე მისდო.

ძილში კარგა დრო გაჰპარვოდა. ჩრდილი იქით მიწეულიყო და მზეც საცაა მოადგებოდა. მნახელებიც აქეთ-იქით გაკრეფილიყვნენ და ფუნდუს ხელში მხოლოდ მეზობლის შინაბერა კნაჟა კესანე შერჩენოდა.

ყველას თავისი დარდი აღნობს და კესანესაც თავისი სადარდელი გასჩენოდა. თურმე ნუ იტყვი, კოლექტივის იმ ჩახუნდარა მოანგარიშის, ყარამანა სალანდიას ცხვირმოუხოცავი გოგო ამ ბოლოხანს ჩაის კრეფაში სჯობნიდა და საცაა პირველობასაც ჩამოართმევდა. გამწარებული კესანე ახლა იმის ძვირში იყო და, რაც შეეძლო, თათხავდა, მიწასთან ასწორებდა.

ფუნდუს იმის დარდი აბა სად ჰქონდა, მაგრამ ხათრით მაინც უსმენდა.

კესანეც ენას არ აჩერებდა. ბოლოს სიტყვამ როგორღაც მოიტანა, და თავისებურად გააბრტყელა:

— არა, ფუნდუ, შენ არ მომიკვდე, ნამეტანი ხარ! შექალო, ყველასი რაფა უნდა გერიდებოდეს? რაფა, ღმერთო მომკალი და, აბა რის ყურის მეზობელი

ვარ! შენ ავადმყოფს მიხედე და იმ ჩაის, ნუ გეშინია, მე მოგვირფევე. ამ სიტყვების გაგონებაზე კესანე ეღვინა და ეცა, კინაღამ ფეხზე წამოვარდა.

— რაო? — წამოიძახა და თვალები ბრაზით გაუმშვანდა. ის ჯოჯოხეთი მთელი თავისი საშინელებით მის გულში ისევ დატრიალდა და დაიღრიალა: — არა, არა! ჩაის ფუნდუ მოკრეფს, სხვას რას მიკეთებსო?

კესანე სახტად დარჩა. ვერ გაეგო მის გადარეულ მეზობელს ასე უცებ რა წაეკიდა.

ფუნდუმაც შიშით, წუხანდელი ამბავი არ განმეორდესო, მის გვერდით ჩაიმუხლა და შემკრთალი ხმით მიემარიალა:

— არა, ჩემო საულია! მე მოვკრეფ, თქო! შაგისთვის გულს რას იხეთქავ, მე მოვკრეფ, გენაცვალე...

და ყველაფერი აღბათ ერთბაშად დაავიწყდა, კმარს ისე საწყლად ესიყვარულებოდა, რომ ენატარტალა, მაგრამ კეთილ კესანეს გული აუღუღდა და შინ შეუმჩნევლად გაიბარა.

საულია ოდნავ დამშვიდდა. შემდეგ მუქარით თქვა:

— იცოდე შენ უნდა მოკრიფო, აი! სხვისი ფეხი იქ ჩადგმული არ დავინახო.

— ვიცი, საულია, რაფა არ ვიცი. ჩვენ ჩაში აბა ვის რა ესაქმება? — შეეღეკვა საწყალი ფუნდუ. — ვიცი შენ შემოგველე.

საულის თვალები წამოენთო. რა იციო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ არ ჰკითხა. მოაგონდა რომ არაფერი მან არ იცოდა.

— შეგაშინე? — თქვა და მერე ამოიგმინა: — გული მტკივა, გული!

და ვითომ ტკივილის გასაყუჩებლად, ცოლს მკლავები მოუზომავად შემოხვია.

— დათვო, ნეკნები არ ჩამალეწო! — ფუნდუმ ისე ნაზად უსაყვედურა, რომ საულის თვალი დაუბნელდა. მკლავი მართლა დათვივით შემოხვია და მის

მომსხო ტუჩებს ხარბად დაეწაფა. მერე რაღაცა მოაგონდა და თვალბში ჩაიციებით ჩააქვერდა.

— ის რა მითხარი? ხომ არ მომეჩვენა?

ფუნდუ ვერ მიხვდა, საულია რას ეკითხებოდა.

— მართალია? მამ მართალია? — იკითხა ისევ საულიამ და ცოლს მუცელზე ხელი ფრთხილად მოუსვა.

ფუნდუ გაწითლდა.

— რა ვიცი. — თქვა და თავი დაბლა დახარა. — ვფიქრობ, მართალი უნდა იყოს.

და ამის გაგონებაზე საულია რაღაც საოცარმა ძალამ მოიკცა, ცოლი გულში ისევ ჩაიკრა. მერე კალთაში თავი ჩაუდო და მის მუცელს გადაარაკებით მიაყურა, თან ბედნიერი ბუტბუტებდა:

— მესმის, მესმის, ჩემო სიცოცხლე...

და თითქოს სიგიჟემ მოუარაო, ფუნდუს ისე ჰკოცნიდა, სამოსს აგლეჯდა,

მის ტანს ხელის ფათურით, თრიაოლვით ეძებდა. ქალმა გონს მისცლნეც ვერ მოასწრო, ამ მართლაც დამთქმნს ზეღში ბავშვივით აიტაცა და სახლისაკენ გააქანა.

ფუნდუ ისევ ბედნიერი იყო. ფეხებს პაერში სიცილით აფხარკალებდა და საჩუმათო აბა რა ჰქონდათ, მაგრამ ქმარს მაინც ეხვეწებოდა:

— სო, საულია! სო, შენ შემოგველე! ოჲო, ვინმემ არ დაგვინახოს!

და თან კისერზე ვითომ იმიტომ ეხვეოდა, უცებ ხელიდან არ გავევარდყო. თავბრუდასხმულ საულიას კი არაფერი არ ესმოდა. მის ტუჩებს ტუჩებით ეძებდა და გაუპარსავი წვერ-ულვაშით სახეს აფხაჰნიდა.

არ გაუგია, სახლამდე როგორ მიატანა. არც ის იცოდა, ფეხი მართლა დირეს წამოსდო, თუ თავისთავად წაფორჩხილდა. თავის ძვირფასი ტვირთიანად სოხანეზე უცებ ზღართანი მოაღინა.

10

დრო გადიოდა.

საულია გახდა, ჩამოხმა. მოღუშული და წვერმოარული მთელი დღეები შინ მარტო იჯდა. ხან ისევ ისე საყვარელმა და გულზიარმა, ხან კიდევ კუშტმა და უკარებელმა გული უფრო და უფრო ჩამოიხურა. სულ ჩუმად იყო, არ ამბობდა რა აწუხებდა ან რა ღრღნიდა. პლანტაციის უწინ ათასში ერთხელ, ისიც ცოლის ხათრით, ჩაის ბუჩქების გამოსათოხნად ან საბარავად თუ წავიდოდა. ახლა პირიქით, არაფერი არ ესაქმებოდა და მაინც იქ იყო, მრუდე ლეღვის ქვეშ მარტო იჯდა. მიწას მთელი დღე ჩასტკეროდა და გუნებაში თითქოს რაღაცას ვარაუდობდა, მაგრამ ეს რაღაც, როგორც ჩანდა, ჰქუაში თვითონვე არ მოსდიოდა, ოხრავდა, რაღაცას ბურტყუნებდა. ბოლოს ისე განაპირდა და გაირიყა, რომ სოფლის ზარუნვა და თანაგრძნობა, პირიქით, უფრო აბრაზებდა. არც ექიმსა და არც

არავის არ იკარებდა. ის კი არა და, ვერც კოლექტივის თავმჯდომარე და ვერც პარტორგი ვერ მოუდგა, ვერაფერი ვერ შეასმინა.

ოტია ხომ ჯავრით არ იყო და აღარ იყო. მის ხელში გაზრდილ ბაღანას საცოდაობით იდაგებოდა. ბოლოს ისე გამწარდა, რომ იმ შუადღისით ლიანდაგი თავის სიცოცხლეში უთვალუწროდ პირველად მიატოვა და ზრეშმოყრილ ვაკეზე სიარულს ნაჩვევი კაცი თავისი ხმელი ფეხებით შუკაში ისე მოუხერხებლად მიდიოდა, თითქოს ეკლებზე შიბიჯებდა. ასედაც მოგრძო და ცვილივით ყვითელი სახე თოკივით ვიწრო თეფარი წვერით და ქორისებურ კეხიან ცხვირით კიდევ უფრო დაგრძელდებოდა და მიწისფერი დასდებოდა.

აი, აღმართიც აიარა. კიშკართან შედგა. საწყალი ფუნდუს უთქმელობის ამბავი იმაზე უკეთ ვინ იცოდა? ჰოდა, რა ეთქვა, რითი ენუგეშებინა? მისი

უბირი ქმარი ოტიას გულზე ჯერ ისე-
დაც არ ეხატებოდა და ახლა რა თვა-
ლით შეეხედა?

აღმა და უკან გამობრუნდა. ბუდრუ-
განაში ჩაიკეტა. მატარებლებმა მისგან
გზის ასე დაულოცავად იმ დღეს პირ-
ველად ჩაიქროლეს. სოფლის ცელქებ-
მაც დრო იშოვეს და მთელი დღე უმატ-
რონოდ მიტოვებულ რკინიგზაზე მა-
ლაყს გადადიოდნენ, არც დამშლელი
და არც დამტუქსავი არავინ იყო.

ქმრის ასეთი ყოფით გულმოკლულ
ფუნდუს ძილი და მოსვენება არც ღამე
ჰქონდა. კი არ ეძინა, გათენებამდე
ბურხანში იყო და ჩაყოლილი ფიჭრი
სიხმრად გადაქცეოდა. ფერგამკრთალსა
და უფრო დაღლილს დილის სისხამზე
ელვიძებოდა. ლოგინიდან წამოვარდნი-
ლი ქათმებს ხელდახელ დაარუებდა და
მერე ხელ-პირს ცივი წყლით დაიბან-
და, თმას გულდაგულ დაივარცხნიდა.
მოწველილ ძროხას მენახირეს ბუდრუ-
განასთან ჩაულალავდა და წყლით სავ-
სე კოკით შინ ბრუნდებოდა.

ქმართან ერთად უგემურად და ისე
უბრად ისაუზნებდა, თითქოს ეს სახლი
მისი კი არა, სხვისი იყო და შინ ერთ
წუთსაც არ მოიცილდა, ჩაის საკრეტში
წაივლოდა.

პლანტაციის დაბინდებამდე მუშაო-
ბდა, გულის დარღს მაინც ვერ იჭარ-
ვებდა. ასე ეგონა, ყველა მის გამო
ლაპარაკობდა, ყველას ებრალებოდა და
ეს სიცოცხლეს კიდევ უფრო უწამლავ-
და. დაღამებისხანს ფეხებს შინისკენ
ძლივს მიითრევდა და ჰილის ქუდის
ფარფლისქვემოდა ჩამქრალ თვალებით
უგულოდ იცქირებოდა. ამდენ სა-
წუხარში თავისი ფეხშიშობა სულ და-
ვიწყდა. ანდა იმისი დარდი ახლა ვის
ჰქონდა, როცა ეს ამოდენა ვაქცავი
თვალსა და ხელს შუა ეცლებოდა.

ფუნდუმ ჩაის ფოთოლი საწონ ფარ-
დულში ამ საღამოსაც ჩვეულებრივ
ჩააბარა. რკინიგზის გასწვრივ მომავა-
ლი შინ ჩაფიქრებული ბრუნდებოდა.
ოტია გზაზე რომ ვერ დაინახა, შეეშინ-
და. ის ბერიკავი ავად არ იყოსო. ცარი-

ელი გოდორი ბუდრუგანის კართან
დაავდო და შიგ ფეხაკრეტში შექრდა.

ეს ახმახი კაცე წელში ფოთხალ მსუქე
ცილიყო და იატაკზე დადგმულ ფანარ-
ში ნავთს ასხამდა, ღამის საგუშაგოდ
ემზადებოდა.

ფუნდუს დანახვაზე გამხდარი სახე
ერთბაშად გაუნათდა. ჩვართ შეწმენ-
დილ ხელებით მუხლებს დაეყრდნო და
წელში ძლივს გაიმართა.

— ღმერთმა გაგახაროს, შეილო, რომ
კიდევ გახსოვარ.

და ამ სიტყვებით დერეფანში ვაეიდა.
სანამ ის ნავთიან ხელებს საპნით დაი-
ბანდა, ფუნდუმ პაწია ბუდრუგანა ცოც-
ხით ხელდახელ გამოგავა. ამასობაში
ოტიაც შემობრუნდა. ფუნდუს პირის-
პირ ტახტზე დაჯდა. ერთხანს უხერ-
ხული სიჩუმე იყო, ხმას არცერთი არ
იღებდა.

— რაცახანია ვფიქრობ, მარა ვერ
მოგაკითხე. — თქვა ბოლოს ფუნდუმ.
— შენც ხომ იცი...

— ვიცი, ბაბა. რავე არ ვიცი. —
თქვა ოტიამ და მერე ჰკითხა: — რავეა?

— რავე იქნება. — ამოიოხრა ფუნ-
დუმ. — დანა პირს არ უხსნის... ვერ
გამიგია, რა სჭირს, ასე რამ დაზაფრა.

— გულს ნუ გაიტეხ, ბაბა, მაგრად
იყავი. ვაქცავია, ჯავრს მოერევა,

ფუნდუს თვალეზე ცრემლი მოადგა.

ოტიამ თავი ჩაჰქინდრა და მერე
ვითომ სხვათაშორის თქვა:

— გუშინ შენთან მოვდიოდი.

— მერე?

— მერე და, კიშქართან მოველი და
უკან გამოვბრუნდი. ბაღნობიდანვე ასე
უთქმელი იყავი, გულჩახვეული... ვი-
ფიქრე, მაინც არაფერს მეტყვის და
ტყუილად მოვაცდენ-მეთქი.

გაჩუმდა. ახლა შენიშნა, რომ ფუნ-
დუს მისი სადგომი გამოეგავა და ფანა-
რიც იქვე კუთხეში მიედგა.

ოტახანს შემდეგ კი არ თქვა, ამოი-
ოხრა:

— გახსოვს, ფუნდუ? ფანარში ნავთს
სულ შენ მისხამდი.

ფუნდუმ მოხუცს ნაწვალეები ღიმი-

ლით შეხვდა. სანამ ის აქ მოვიდოდა, ეგონა, რომ ბაბუს გულს ახლა მაინც გადავუშლიო, მაგრამ ენა დაება და რა ეთქვა, როცა ყველაფერი ისეც ნათქვამი იყო.

— ნუ გეშინია, ბაბა! — ისე დაიწყო ოტომი, თითქოს იმის ფიქრს განაგრძობსო. — შენ არ იცი, ბაბა. მე რომ აი, ამ რკინიგზას მომამოხრან... ღმერთმა ნუ ქნას და ალბათ გადავირევი. ისიც ასეა. ერთი მშრომელი ყაბახია და უყაროდ რა გააძლებინებს? მოითმინე, ბაბა, ცოტაც მოთმინე და... მიწას დიდი ძალა აქვს, შვილო. მიწა გლეხისთვის დიდი რამეა. ერთხელაც იქნება, დაუძახებს... და მიწა მოარჩენს.

ფუნდუს გაახსენდა, იმ საღამოს ჩაის ბუჩქის ქვეშ კვახის ღვივ როგორ იბოვა და საუღია მიწის გამო რა სიყვარულით ლაპარაკობდა.

— შეც ასე ვარ, ბაბა! — განაგრძობდა ოტომი. — ამ ლიანდაგზე მაგარი ვარ, რომ გადავცდები, დავგლახდები და ყველაფრის მეშინია...

ფუნდუ წამოდგა.

ოტიაც აღვა.

გარეთ ერთად გამოვიდნენ, იქვე ამართულ ბერას რომ მიუახლოვდნენ, შედგნენ.

— წავალ ახლა, ბანძო. — თქვა წყნარად ფუნდუს. — მთელი დღე საკრეფში ვარ და, ვინ იცის, საწყაროეცეცი რა დღეშია.

— წადი, შვილო, წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ფუნდუს წავიდა.

ზიდიოდა და თითქოს ზურგივთ გრძნობდა, აწეულ ბერასთან მისი ოტომი როგორ იდგა და თვალს ერთი წუთით არ ამორებდა. ეტყობოდა, გულისწყყეობდა და ალბათ იმიტომ დაუძახა:

— ფუნდუ, მოიცა!

ფუნდუს ერთბაშად მოიხედა. მხრებჩამოყრილი ოტომი მებუდვებ ბერასთან იდგა და მისკენ მუდარით იცქირებოდა. მაშინვე მიხვდა, რომ მოხუცს სათქმელი არა ჰქონდა რა, მხოლოდ მისი ერთხელ კიდევ დანახვა უნდოდა. გოდორი ძირს დაავლო და მისკენ გაქანდა, საყვარელ მოხუცს მხრებზე მძიმედ ჩამოეკიდა.

ოტიას გული ამოუჯდა და შვილივით საყვარელ ქალს ორთავე თვალი დაუკოცნა. თავზეც აკოცა და მერე ჩელი ჰკრა.

— წადი, შვილო, შენ ქმარს მიხედე!

და შეტრიალდა, ბუდრუგანაში ისე შეეარდა, თითქოს ვიღაცას შეასწროვო.

11

ეს კიდევ არაფერი, რომ საუღია ორი კვირა სამუშაოთ აღარ გასულა. უბედურება ის იყო, რომ შრომამ მისთვის არამცთუ ფასი, აზრიც დაჰკარგა და ახლა ცოლსაც შეუჩნდა, ამდენი ჯაფით წელს რათ იწყვეტ, ისეც დედოფალსავეთ გაეცხოვრებო.

ფუნდუს ეს აბდაუბდა აინუნშიც არ მოსდიოდა. ერთხელ კიდევაც შეეკითხა:

— სულ მაგას რომ მეუბნები, იმისთანა რა ნახე, შე კაი, კაცო?

— ჰმ, იქნებ ვნახე. შენ რა იცი! — და ერთი ისე ჩაიქირქილა, რომ ფუნდუს ელდა ეცა, უსათუოდ შეიშალაო. იმ დღის აქეთ ფუნდუს გული კიდევ

უფრო ჩამოიხურა. ჩაის საკრეფში ისევ ისე იკარგებოდა და ქმარს მთელი დღე შინ ტოვებდა.

უსაქმობით გაბეზრებული კაცი შინ საღამომდე ჯახირობდა. ზან დობიროში რალაცას ცოდვილობდა, მერე ბოსტანში მიწას ჩიჩქნიდა და გულს მაინც აკლდა. ეს ჩირთი-ფირთი მისი ვეება მკლავებისათვის აბა რა უნდა ყოფილიყო. არა და, რა ექნა? მამისეული ჯახივრით ტყე-ღრეშიც ბევრი იწაწა, ერთი ორჯერ იმ ყავრულა სასადილოშიც შეუხვია, მაგრამ არავის მისთვის არ ეცალა და ბაიყუშივით მარტო დარჩა. ეს სიმარტოვე საუღიას, ლამის იყო. გააგიჟებდა.

მოსვენება ხომ დღისით არ ჰქონდა, — გაზაფხულის ღამეც ისე დაგრძელდა, გათენებას არ აპირებდა. იმ ნაძრახს და ოხერს ადგილზე ნეტავი ფეხი სულაც არ დაედგა, ოქროს თავის სიცოცხლეში თვალთაც არ ენახა. ოღონდ როგორმე მოსვენება და მზად იყო სადმე ჯანდაბაში გადაეყარა და თვითონაც გადაჰყოლოდა. ეძინა — ოქროს ესიზმრებოდა, არ ეძინა და, ისევე ოქროს ელანდებოდა. წუხდა ოხრავდა და თვითონ ხომ ვერ იძინებდა, ახლა ცოლსაც არ უსვენებდა.

— დაიძინე, საულოა, დაიძინე. — ეხვეწებოდა ფუნდუ მთელემარედ, მაგრამ რა ჰქირი დააძინებდა. ეეპ, რა მყუდრო, მშვიდი ცხოვრება დაეკარგა! იმას რა სჯობდა, სისხამ დილით ცვარი ვერცხლისფრად რომ ციმიძებდა. საულოა პირზე ცივ წყალს შეისხამდა და შორს ქალებში ჩაბნელებულ ყანებს თავმომწონედ გადახედავდა. მერე მისთვის წუხელვე გამზადებულ საგზლიან კალათას თოხის ტარს ყურში გაუყრიდა და გზას გაუდგებოდა.

ყოველივე ეს საულიას თვალწინ ისე ამჟვარად დაეხატა, რომ სინანულით ამოიოხრა.

ფუნდუს გაეღვიძა. ფაცხაში ბნელოდა.

— ამ ღამეში რა მოგეჩვენა? — იკითხა, მაგრამ ძილმა თავი ისევე წაართვა.

— არა, ფუნდუ, მეტი ასე არ შემოიძლია! — წამოიძახა საულიამ და ფუნდუმ თვალი ისევე რომ გაახილა. ფაცხაში ჰრავი ენთო. საულიას ტანთ ჩაეცვა და კერას მისჯდომოდა.

— გადავირევი, ნამდვილად გადავირევი! — თავისთვის ბურტყუნებდა და მერე ცოლს დაუყვირა: — ადექი-მეთქი! გესმის? ყანაში მივდივარ. საგზალი გამიმზადე.

ფუნდუ სიხარულით ცას ეწია.

— ახლავე, ჩემო საულოა. — და ოტიას ნათქვამი ენიშნა, ფეხზე წამოიჭრა. — წადი, საულოა, ყანაში წადი და გულზე დარდი გადაგიყურება.

თან ფაციფუციტ ტანთ იცეკბდა და თანაც ჰმარს გახარებულ მისჩერებოდა.

— რას მიყურებ? — იკითხა საულიამ და ცოლს ისე სასტიკად შეუბღვირა, თითქოს ყოველივე ეს იმისი ბრალი ყოფილიყოს. — აბა ასე სანამ ვიტანჯო? საგზალი ჩამიწყვე. ალიონზე ყანაში უნდა ვიყო.

ფუნდუმ თავზე წამოცმული კაბა ხელდახელ ჩაისწორა და თმაზე ხელი გადაისვა.

— წადი, საულოა, წადი, შენ შემოგეველე! — წამოიძახა და ნაქაზე მიკიდებული ხელკალათა ძირს ჩამოიღო. — წადი, ჩემო სიცოცხლე, წადი და ვინ იცის, იქნებ იმისი ბრალია, რომ ყანაში ფეხი არ გაგიდგამს. ნეტავი აქამდეც წასულიყავი. ხალხში გახვიდოდი. გულს გადააყოლებდი. მიწის მუშამ მიწა უნდა თოხნოს, აბა სხვა რა საქმე აქვს? წადი, იშრომე... ვიცხოვროთ, როგორც გვიცხოვრია.

და თვალში ცრემლი მოერია. არ იცოდა სიხარულით კიდევ რა ეთქვა.

პიტნით გაზავებული ნაღული, მუკონტი ყველი და წუხანდელი, ჯერ ისევე თბილი პიწკინა მჰადი კვების ფურცელში შეახვია და კალათაში ჩაულაგა. ხარადოჭიდან ლიტრაში ღვინო ჩაუხსხა და ისიც შიგ ჩადგა.

საულოა ამასობაში ეზოში გასულიყო და თოხს პირს უსინჯავდა. მერე ტარზე ხელი ოგრძივ დაუსვა და წინკარში სახლის კედელზე მიაყუდა.

გათენებამდე ჯერ შორს იყო. უმთვარო ცა ბნელად მოქუფრულიყო. ვგონებ წვიმასაც აპირებდა.

— ეს ამინდიც რას შემომიჩინდა. — თქვა ბუზღუნით საულიამ და სახლში შემოალაგა. — წვიმა იქნება.

ფუნდუს, ჩანს, ძილი ისევე მორეოდა და ლოგინში ტანისამოსიანად შეწოლილიყო.

— ჯერ მიანც ადრეა, საულოა. დაწექი, თუკი დილაამდე ალბათ კიდევ იანკრებს.

შიშით, — გათენება არ გამომება-

როსო, საულია არ დაწოლილა. ჩამქრალ კერასთან ჩუმად იჯდა. გათენებას კი საშველი მაინც არ აღგებოდა. ფუნდუსთან ერთად თითქოს ყველაფერს, მთელ ქვეყანას ჩასძინებოდა. ამ მგლის შესაქმელ ფაქტურასაც ხმა რა ჯანდაბამ ჩაუწყვიტა?

მუდამ ნოტიო სიხანის ნესტს ღრუბლიან ღამის სიგრილვე დაემატა და ფაცხაში, ცოტა არ იყოს, აცივდა კიდევ.

საულიამ საცეცით დველფი გამოჩხრიკა და ხმელი ფიჩხი მიაყარა. ჩინჩხვარში კვამლი ერთხანს შეავად, უღიმღამოდ იხრჩოლებოდა. მერე ალმა უცებ იფეთქა და მკვარტლით გაზინთულ ოჯინჯალს ნაპერწკლები სულ ტკაცატკუსით შეაყარა. მის ტბილ ბირბილში კრაქის ისედაც მკრთალმა შექშმა ძალა კიდევ უფრო დაკარგა.

საულიამ ძელსკამზე თავი მისდო. ერთხანს ფიქრობდა, თავის თავს რაღაცას ედავებოდა, წუხდა, შფოთავდა. უძილობამ ბოლოს თავისი გაიტანა. თვალის დახუქვაც ვერ მოასწრო, რომ შავი ნისლი როგორღაც რბილად წამოებურა და კუპრივით ბნელმა მორევმა სადღაც უეცრად ჩაითრია. მერე საბარგო მანქანით ცოლთან ერთად სადღაც მირახრახებდა და ფუნდუსთან ცივად ჰკიოდა. საულიას არ გაუგია, შუალამის მატარებელმა სახლის წინ როგორ ჩაიქროლა, არც ის იცოდა. რაიონში საიდან გაჩნდა. ეს ოქროებიც ისე მძიმე ყოფილა, რომ ორივე ჯიბეს აგლეჯდა და სადღაც ქვესკენლისაკენ ეწეოდა. შუა ქალაქში კი რაღაც უცნაური, უზარმაზარი შუშის სახლი ამართულიყო და სარკმელისა თუ ნისლის იქით კოლექტივის ჩახუნდარა მოანგარიშე, ყარამანა სალანდია ოქროებს თვლიდა. საულიამ ჯიბეში ხელი ჩაიყო. უნდოდა თავისი ძველებური ოქროები ახალზე გადაეხურდავებინა, მაგრამ მიხვდა, რომ მათი გამოჩენა არ იქნებოდა. სალანდიას არ დაუნახავს და მაინც ჰკითხა: „ამდენი ოქრო ვინ მოგაქვავა, აქ მომეციო!“

მერე საულიამ თვითონაც არ იცოდა. აქ, დუქანში, საიდან გაჩნდა „არც“ ის იცოდა ოქრომკვედელთან „რა“ უნდოდა. მაგრამ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: „ქურდი, ქურდიო!“ — და ამ ყვირილზე ხალხმა იხუვლა, ქვებით, კეტებით და ღრიანცელთ დაედევნა. ის კი ხნულში მირბის, მირბის და ვეღარ მირბის. ეს ოქროებიც ძირს ეწევა. ისე ეწევა, რომ მიწა ფეხქვეშ უსკდება და, ის იყო, ქვესკენს უნდა ჩაენთქა, რომ მოხუცმა ოქრომკვედელმა მხარში ამ დროს ხელი ჩაავლო და კონწილით ამოათრია.

— აა, ეს შენა ხარ, ბიძიკო? — ჰკითხა მამაშვილური ალერსით და ეს მოხუცი ოქრომკვედელი კი არა, ჩვენი ოტია მებუდვე იყო...

საულიას გაედგოდა. ცოტა არ იყოს, შეცივნოდა, მაგრამ სიმწრის ოფლს შუბლზე მაინც გამოეყონა.

კერაში ცეცხლი ჩამქრალიყო. კრაქშიც ნავთი ჩამწვარიყო და ფაცხაში ბნელოდა.

„ისეთი ქონება მართლაც რათ მინდა, თუ ვერც გამოვაჩენ და ვერც მოვიხმარ?“ — ჰკითხა თავის თავს საულიამ და პერანგის სახელოთი შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

„ისეთი ფული რათ მინდა, თუ ვერ დავხარჯავ? რის ყანა? რა დროს ყანა? ახლა მე ვიცი, რასაც ვიხამ. დღესვე მოვთხრი და თავის გზას ვუჩვენებ...“

ბნელში ხელი მოაფათურა. კუთხეში მიდგმულ ხარადოქს წასწვდა და პირზე ისე სულსწრაფად მოიყუდა, რომ კინაღამ კბილები ჩაიმტვრია. დოქის ტუჩს ტუჩებს მაინც არ აშორებდა და ღვინოს ხარბად, ყლუპ-ყლუპით სვამდა. რამდენი მეტს სვამდა, იმდენი უფრო სწყუროდა და მორეულ წვერზე ღვინო აქეთ-იქიდან მოწურწურებდა. ცოტა შეისვენა და ხარადოქს ისევ დაეწაფა. უძინარსა და დარდით დატანჯულს ღვინო არ ეკიდებოდა.

გული კარგად რომ მოიჯერა, სიბნელეში ხარადოქი ისე მიიგდო, რომ

აღბათ წაიქცა. ესმოდა, ღვინო დგაფუნით როგორ იღვრებოდა, მაგრამ იქით არც გაუხედავს. მერე წამოდგა, კარი ფრთხილად გააღო და, ეზოში

რომ გამოვიდა, ერთი წაბარბაცდა, გრილ ჰაერზე ღვინო ერთბაშად მოქრინდა. შორებულული ცა აღმართულქით წყლისფრად გაცრეცილიყო.

12

ფუნდუ ღვინის სუნმა გამოადვიმა. თავის ეს საშინელი ტკივილიც აღბათ იმიტომ აყვავა. შუბლზე ხელი მიიღო. არა, ღვინოს აქ რა უნდოდა? ფეხშიშობისაგან მიზეზიანად იყო და ეს სუნიც აღბათ იმიტომ მოეჩვენა. ანდა, ვინ იცის, იქნებ სიმშობისაგან აწრიალებულ ქათმების წიაკ-კრიახმა გამოადვიმა? ასე მკვდარვით მაინც რამ დააძინა, რომ საულისა ყანაში წასვლა არ შეუტყვია?

ფაცხაში ისე გრილოდა, რომ ფუნდუს გარეთ თქორი ეგონა.

ლაფაროში ბატები დოგდოგობდნენ და მათ იხევიც ბანს აწევდნენ.

ეს ტიალი ღორიც თავის ღრუტუნ-ქვეირილით გულს აწყალბდა.

ფიცრული კედლის ჰუჭრუტანებასა და არალღებში დილას შუქი აქა-იქ ოდნავ ატანდა. მაგრამ ბინდს მაინც ვერ ერეოდა. ღვინის სუნს ფუნდუმ ყურადღება ახლა მიაქცია. ეგონა ისევე მეჩვენებოდა. სახლის გვერდით, ქართიდან ძროხის ზმული რომ მოესმა, ახლა კი მართლა გაუქვირდა. კარგი, წვრილფეხობის გამოშვება საულისა, ვთქვით, დაავიწყდა, მენახირისთვის ძროხა მაინც რათ არ გაუტანებია? გული მაშინვე დაიშვებოდა. ამდენი ხნის ავადყოფობის შემდეგ ყანაში დღეს პირველად მიდიოდა და აღბათ იმიტომ არ გაახსენდა. ეჰ, მადლობა ღმერთს, მათი ცხოვრება ისევე როგორღაც ლაგდებოდა. სიყვარულიც და მშვიდობაც ამ სახლში ისევე შემოვიდოდა. მალე შვილიც ეყოლებოდათ და... როგორც ეს სიხარულის დროს იცოდა ხოლმე, ფუნდუმ თვალები მაგრა, ძალიან მაგრა დახუჭა და მერე უცებ გაახილა.

შენ არა ხედავ, ამ ორ კვირაში ყა-

ნას ისიც გადასჩევოდა. ახლა მოაგონდა, რომ დღეს ქმრისთვის სადილი უნდა ჩაეტანა. საბანი იქით მიაგლო და ძირს ჩაკიდებული ფეხები ლოგინქვეშ მოათათურა, წუღებში სწრაფად გაუყარა. ტანში სიცივიტ გააერეოლა. „არ გავცივდო“, — გაიფიქრა და იქვე ლოგინთან მიკიდებულ შალის შავ კაბას ბნელში წასწვდა, ჩამოიღო. ამ სიბნელეში სიჩქარეში ვერ შეემჩნია, — კაბა უკუღმა რომ ჩაეცვა, გვიან შენიშნა და გულიანად გაეცინა. გაიხადა, გადმოაბრუნა და ახლა წაღმა ჩაიკცა. ორივე ხელით მერე თმა ალაღებდად გადაისწორა და სახლში არც მიუხედ-მოუხედავს, ეზოში გამოვიდა.

ყველაზე უწინ ბატები და სხვა წვრილფეხობა ეზოს გადაღმა გადარეკა. ღორიც მათ მიაყოლა. მერე ქათმებიც დაარუა. სხვა საქმეებიც რომ მოათავა, ხელ-პირი დაიბანა. იქვე, წინკარში, მიღებულ კოკას დასწვდა და მიწაზე ატაცებულ წვეპლას ქნევით ძროხა წინ გაიგდო. ქვემოთ, ღელესთან, ბარდით დაფარულ კლდის ძირას გამომქუხარ წყაროს კოკა მიუდგა და ასავსებად ისე დასტოვა. ბერაპართულ ლიანდაგთან შექუჩულ ნახირს თავისი ძროხაც შეუერთა. ოტიან შინ არ იყო. ბუღრუგანის კარი მიეგდო და სამუშაოთ წასულიყო.

იმ ვარაუდით, რომ ქმარს სადილს ნაუცბათევად გაუმზადებდა და ჩაის საკრეფში წავიღოდა, უკან საჩქაროდ გამობრუნდა. ამასობაში კოკაც აესებულიყო და ვიღაცას აქეთ გადმოედგა.

დილის სუფთა ჰაერზე თავის ტკივილმაც გაუარა. გულიც როგორღაც გაუხალისდა, ცხოვრება ისევე იწყებოდა.

სველი კოკა მხარზე მოიგდო, ბეჭის აქნევით შესწორა და სახლს მიაშუ-

რა. ჩაის საკრეფში მიმავალი კესანე კიშკართან შემოეფეთა. ენაქართალა, მაგრამ გულკეთილ ყურის მეზობელს დილის საღამო არც კი დაესრულებინა, რომ სიტყვა უცებ შეაბრუნა და საუღია მოიკითხა.

— კარგადაა, ჩემო კესანე, ძალიან კარგად. — მოუჭრა სიტყვა ფუნდუმ რატომღაც ნიშნის მოგებით და არ უნდოდა, მაგრამ იმავე კილოთი მაინც განავრძო: — ამ დილას სათოხარში წავიდა, აბა-აჰ!

და გაცბუნებულ ქალს ზურგი უკმეხად შეაქცია. ეზოს აღმართი სულმოფთქმელად აირბინა და... ყველაფერი ერთად ჩაშხამდა. წინკარში კედელზე მიყუდებული თოხი მხოლოდ ახლა დაინახა, — კინალამ კოკა გაუვარდა. წელმოწყვეტილი და დაზაფრული შინ შელასლასდა. საგზლის კალათა საკიდელზე ისე ეკიდა, როგორც წუხელ დაკიდა. იქვე, კერასთან, ხარადოქი წაქცეულიყო, ღვინო დაღვრილიყო და ის ზარბოზის სუნიც თურმე იმიტომ მოდიოდა.

თხმელის ბუჩქნარში ვიწრო ბილიკზე ფუნდუ გზას შრიალით მიიკვლევდა. აი, პლანტაციასაც მიატანა. ალაგესთან ღობეს მიეყრდნო. არა, ეს გული სიარულისგან კი არ უძგერდა, — ის სანატრელი და ნაცნობი ქოშინი იყო, მაგრამ ახლა ეს ვის ახსოვდა. ალაგეზე გადააბიჯა, მაგრამ ქმარი არც იქ დახვდა. გულის დასაჯერებლად ძველი დარბაზის ნანგრევებისკენ გაიქცა. ყურადღება მან მხოლოდ ახლა მიაქცია, ის კვახის ღვი ამ ორ კვირაში გაფურჩქნელიყო, თითქოს სიცოცხლე უზაროდა.

ბრუდე ლელვამდე რომ მივიდა, შედგა და თავში ორივე ხელი შემოიკრა. ნათხარ მიწაზე საულია მკვდარივით ეგდო.

ფუნდუ ახლა უფრო გამწარდა.

— ჩემო მკვლელი, ჩემო სისხლის

ფუნდუს რაღაც ცხელი გულს ისე მიმიმედ შემოაწვა, რომ ლუჯინზე უბიჭვე დაემხო. არ იცოდებოდა, რამდენ ხანს იყო. ძლივს წამოდგა.

— მაშ სად წავიდა? სად დაიკარგა? — გაოგნებულმა წამოიძახა და გარეთ გავიარდა.

მთელი ეზო, ბოსტანი და ეზოზე მობმული ღობირო სულ ფეხდაფეხ მოირბინა. ეძებდა, ეძებდა, მაგრამ მის კვალს მაინც ვერ მიაგნო. გზაკვალ-არეული შინ მოვიარდა. ხარადოქის დარდი ვის პქონდა, მაგრამ კუთხეში მაინც მოდგა და იქვე სამფეხ სკამზე დაენარცხა. ათასი ფიქრი და ეჭვები ისევ წამოშალა:

„ნადარბაზევეზე ხომ არ არის? ამ ბოლო ხანს იქ სიარულს რატომღაც მოუწმირა... თუმც ამ უთენია იქ რა უნდოდა?“

წყალწალღებული ხავსს ეკიდებოდაო. ისიც ახლა წყალწალღებულივით იყო.

„ვინ იცის, იქნებ მართლაც იქ არის?“ — და ფეხზე წამოიჭრა, სახლისკარი გაიჯახუნა.

13

გამშრობო, აქ რას აკეთებ? — თავის სიცოცხლეში ქმარს ასე უკმეხად პირველად შეუტია.

საულიას თითქოს ეძინა, არც განძრეულა.

ფუნდუ მაშინვე გვერდით მიუჯდა. ტალახით დასვრილი ქმრის ხელები რომ დაინახა, გაუკვირდა. აშკარა იყო, რომ ეს მიწა ფრჩხილით ეთხარა.

— საულია! — თქვა და თმაში ხელი ჩაავლო. თავი უკან ალურსიანად რომ გადაუწია, საულიამ გულის სიღრმიდან ერთი ისე ამოიოხრა, რომ ღვიწის სუნი ცოლს სახეში შეეყარა.

— ადექი, საულია, ადექი, კაცო, აქ რამ დაგამინა?

— თავი დამანებე, დედაკაცო! — თქვა საულიამ ტლანქი ბუზღუნით და, თითქოს ეშინოდა, რომ ნათხარი არ დაენახა, ზედ მთელი ტანით გადაეფარა.

ფუნდუმ მაინც იგრძნო, რომ იმისი გაუბედურების მიზეზი აი აქ, სადღაც ამ ახლო-მახლო იფარებოდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ეძებდა და ვერ პოულობდა.

— ეს მიწა მაინც რისთვის უთხრია? ან ზედ რად დაწოლილა? — გაუელვა და მერე მუდარით უთხრა:

— ადექი, საულია. ამ გრილ მიწაზე არ გაცივდე. — და მხარტვეშ ხელი ასაყენებლად რომ ამოსდო, საულიამ ხელი კისერზე შემოხვია. მერე პირადმა წააქცია და ნახევრად წამოწეული თვალეში ზემოდან ჩააქცერდა. ეს შავი კაბა ფუნდუს ისე უხდებოდა, რომ საულის გული ყელში ბურთივით შემოაწვა.

ფუნდუ ზედ წამომხობილ ქმარს სახეში და ამ სახესავით საწვიმარად პირმოქუშულ ცას უნებლიედ შესცქეროდა.

— ფუნდუ! — თქვა საულიამ და მისი ლამაზი სახე სახესთან ახლოს მიიტანა. — აბა ერთი თვალეში შემომხედე. და თვალეში ისევ ჯიუტად ჩააქცერდა.

— რომ გაგიტყდე, არავის ეტყვი?

— არა. — თქვა ფუნდუმ აღერსიანად და უნებლიედ გაეღიმა.

— აბა დამპირდი.

ფუნდუ მის თავს ორივე ხელით წაეტანა, დაბლა დასწია და გულში ჩაიკრა. მერე თმაზე ხელი ცახცახით გადაუსვა.

— არა, საულია, რატომ ვეტყვი? შენ ოღონდ კარგად იყავი და ყველაფერს გპირდები. შენი ფასი სხვა ვინა მყავს? — გაიძახოდა ფუნდუ სიყვარულით და ქმარს კისერზე ხელები ისე სულსწრაფად შემოხვია, თითქოს სადღაც ვარდება და შეელას მისგან ელისო. — ისე მიყვარხარ, საულია, რომ გპირდები... თუმცა არ ვიცი, რას გპირდები.

საულიამ მკლავები მძლავრად მოუჭირა და მის მომსხო ტუჩებს ზემოდან ხარბად დაეწაფა. პირს, სახეს, თვა-

ლებს ზარბოშმორეული უკოცნიდა და თან ჩურჩულით ეკითხებოდა: — და მაინც გიყვარვარ? — ჩემი გულისთვის გადაიტანე, მაინც გიყვარვარ?

საულიას გულში რაღაც ღარღარი მაინც უტრიალებდა.

— მიყვარხარ, საულია. შენც ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. — ჩურჩულეზდა ფუნდუ თავდავიწყებით და მის თავს გულში იკრავდა. — ოღონდ შენ კარგად მყავდე, ოღონდ შენ მყავდე...

საულია თვალეში ისევ ჯიუტად ჩააქცერდა და მბრძანებლურად, თითქმის მუქარით შეეკითხა:

— აბა მპირდები, მპირდები, ხომ?

— გპირდები, საულია, გპირდები! რა უნდა მთხოვო ისეთი, რომ არ შეგისრულო? — თქვა გატაცებით ფუნდუმ და გულში კიდევ უფრო მაგრა ჩაიკრა, ტუჩები ისე ეპოპრებოდა, თითქოს მისგან კოცნას ელისო. — სულერთია, რაც უნდა იყოს... მუდამ, სულ მუდამ შეყვარები, საულია...

— აბა კარგი... — თქვა საულიამ. — კარგი-მეთქი!

და ამ სიტყვას რაღაც სუსხი ამოაყოლა. ვეება ტანით მოფარებულ ნათხარ მიწაზე ერთბაშად იქით მიიწია და შემზარავად დაიხრიალა:

— აბა, დახედე! — და მერე უცებ გაიციანა.

ხედავ, რა მდიდარი ვართ?

და ღრადომ პირი რომ მოაღო, ფუნდუ გველნაკბენივით წამოვარდა. ჯერ ვერ გაეგო, ეს რა იყო. გონს თანდათან მოდიოდა.

— ეს რა არის? ნეტავ ვისი უნდა იყოს? — გაცბუნებული და ათრთოლებული კი არ ამბობდა, ჩურჩულეზდა.

ეს დაწყველილი ოქროები ღერგში ისე ბილწად ბრჭყვიალებდნენ, თითქოს ირგვლივ ჰაერს წამლაეღდნენ.

ფუნდუს სული შეეხუთა.

— როგორ თუ ვისი უნდა იყოს? — გადაიჩრია საულია და ხმას მრისხანედ აუწია: — ვისია და, ჩვენია, ჩვენია!

სიხარბისაგან სახე ისე მოღრეცვოდა

და ქროლა თვალებიც იმნაირად გამწვანებოდა, რომ ქალი შიშის კანკალმა აიტანა. ასე უცხო და საზიზღარი ის არასოდეს არ ყოფილა. ფუნდუმ ცივი ხმით დაიკვილა:

— მაშ ამას მთხოვდი? შე საცოდავო, ამან შეგშალა? ერთი მითხარი, ეს სხვისი ნაარამალი რა ოხრად გინდა?

საულოამ სიტყვა არ დაასრულებინა. მიწით დასკრილი ხელი პირზე საჩქაროდ ააფარა და დამფრთხალ თვალელებით აქეთ-იქით მიხედ-მოიხედა, ხომ არაფერს გაიგონათ.

— ჩუ, დედაკაცო, — თქვა იდუმალად. — არაფერს არ გაიგონოს, თორემ ხომ იცი...

და მერე თითქოს აზრზე ეს არის ახლა მოვიდაო, ხმას აუწია:

— როგორ თუ რათ მინდა! ფული რათ მინდა? ოქრო რათ მინდა? არა, არა, ამას მტერიც ვერ მეტყვის. ამის თქმას ისიც ვერ გამიბედავს!

და თავში ხელი სიმწრით შემოიკრა. მერე სახე დაედმოჭია და დაიღრიალა:

— აა, ვიცი, ვიცი, რომ გამცემ. მაგრამ მაგ ენას რომ ჩაგიგდებ, მაშინ რას იზამ? — და ზედ ისეთი კამარამეკრული, გინება მოაყოლა, რომ ფუნდუმ გაშტერდა.

„პირუტყვი. ნამდვილი პირუტყვი. აქამდე სად ვიყავი? თვალი სად მქონდა?“ — ფიქრობდა ფუნდუ და თითქოს ქარბა დაუბერაო, ეს ლეღვის ხე და ბუჩქნარები სადღაც გაქანდნენ. ხელებიც უცებ დაუბრუნდა, ძარღვებში სისხლი გაეყინა.

უნდოდა სადმე გაქცეულიყო. მის მწვანე თვალებს დამალვოდა, მაგრამ გამხეცებულმა კაცმა კი არა, მართლაც ნადირმა მუცელში წიხლი ისე გამეტებულად ჩააზილა, რომ ბელტებში იქვე ჩაანარცხა.

საულოამ ბრაზი ღვინოსავით თანდა-

თან უფრო ეკიდებოდა. მოთმინებრილად გამოსული და გამეხებული თავს უკვე ვეღარ ერეოდა.

— რაო? ოქრო რათ მინდა? შენ ერთი ამას დამიხედე, ოქრო რათ გინდაო?

ფუნდუს კრინტიც არ დაუძრავს. ატყობდა და არც ატყობდა, ვინ იცის, გამხეცებული კაცი კიდევ რას ჩიოდენდა. შიშით, მუცელი არ წამიხდესო, სწხეზე მიწისფერი დასდებოდა, ტუჩები თითქოს სატირლად ებოპრებოდა.

ფუნდუ მიწაზე უმწეოდ ეგდო და ცდილობდა ქმრისთვის სახეში არ შეეხედა. მშვიდი, სხივნართი თვალელები ჩაქრობოდა და მისი ფერმკრთალი სახე ისეთ მტკიცე გადაწყვეტილებას გამოხატავდა, გულიც ისეთი ზიზლით აგებოდა, რომ არავითარ ტყვიის ის ახლა აღარ გრძნობდა, ერთხელაც არ დაუყენესია.

საულოამ ეს კიდევ უფრო აცეცხლებდა. უილაჯო ბრაზისაგან თვალდაბნელებული პირქვე დაემხო, აცახცახებულ ხელებით მიწას ბლოტავდა, მომაკვდავივით ხროტინობდა.

აი, გაყურდა, თავი მალლა აიღო და ტალახით პირმოდღურულმა დაიღრიალა

— დაიკარგე, აქედან დაიკარგე! აქ შენ ცოდვაში არ გამრიო.

ფუნდუმ წელი ძლივსძლივობით წამოითრია. გამოვლილ ქარციცხლს მისთვის თვალელები ამოებუგა და ცრემლგამშრალი დაღმართზე ნელა ბანდალით დაეშვა. მუხლები ისე უკანკალეზდა, რომ ეშინოდა არ წაქცეულიყო.

საულოამ ცოლს თვალი ზიზლით გაადევნა.

— ეს რა ჩაფიდინე? — გაიფიქრა და გაბზარული ხმით დაუძახა: — ფუნდუ! ფუნდუ, მოიცა!

მაგრამ ფუნდუს აღარაფერი არ ესმოდა.

ფუნდუ დაღმართზე ისე მილასლასებდა, თითქოს მკვდარი იყო და რალაცა მანქანებით მაინც მიდიოდა. ბოლოს და

ბოლოს ქვა ხომ არ იყო, ისიც გატყდა. მეზობლების ზრუნვამაც ამაოდ ჩაიარა. გული ვერც ოტიას მამაშვილურმა

აღერსმა მოუბრუნა. წამება, დარდი და აი, ცემა... არაფერი, არაფერი არ დაჰკლებია. შენ არა ხედავ, თურმე ხელი ამ თქრობებმა მოუთავა და არ იცოდა. გულს ჩახვეულმა უთქმელმა დარდმა ორ კვირაში ისე დაადნო, რომ არაფერი არ ახარებდა. ეპ, რა ქმარი ჰყავდა, რა ბედნიერი ქალი იყო და, ხედავ, მის თავზე წისქვილი არ დატრიალებულა, თორემ სხვა არაფერი არ დაჰკლებია. რას იფიქრებდა, თუ ის ასე გულღრმად და ხარბი იყო, თუ მის სიყვარულს რაღაც ბრძკვილია ლითონში ასე დაუნანებლად გასცვლიდა. რომ გეკითხა, ქვეყნის ქირი თავის ქირად მიჰჩნდა, ოჯახისთვისაც თავს გადასდებდა და ეს რა არის? შური, ღვარძლი და სიძულვილი... არა, არა, საუღია ახლა ის საუღია როდი იყო, ვიღაც სხვა იყო. გული ფუნდუს ამ საავდროდ მოჭრულ და დაბლა დაწვეულ ცასავით კიდევ იმიტომ ეხურებოდა.

საუღიას ძახილი ამ დროს მოესმა, მაგრამ ფუნდუს მისკენ არც მიუხედვს. მხოლოდ ერთი წამოიკენესა და გვერდები უცებ ისე ასტივდა, რომ სუნთქვა შეეკრა, სიარული აღარ შეეძლო.

ცა საწვიმრად უფრო და უფრო იჭმუნებოდა. აი, თერხვამაც წამოუბერა და წამოხურებულ სახეზე გატანჯულ ფუნდუს ცივი ნიავი სველ ტილოსავით უსიამოვნოდ აეტყლაშუნა.

შორს, რიონს იქით, პალიასტომზე შხაბუნა წვიმამ ლეგა მტვერივით გადმოიარა, თანდათან აქეთ მოიწვიდა. წისქვილი აღარ ხმაურობდა, მთის მდინარის მოდიდების მოლოდინში წყალი ვინმეს თუ გადაეგდო?

ძირს, ლიანდაგზე, ოტიას გარდა, არავინ ჩანდა. გაწვიმების თუ შეშინებოდა, თავჩაღუნული და წახრილი ბუდრუგანისკენ მიიჩქაროდა.

ფუნდუს გულმა იქით გასწია, მაგრამ რა ეთქვა? ეთქვა, ქმარი წიხლით შემდგაო? ეთქვა, სიცოცხლე გავათავებო?

არა, ამას როგორ ეტყობა, მარტულს გულს როგორ მოუკლავდა. მუცელი ხელით მაგრად ჩაჭიმული ტყვილებით მოკრუნხულმა გზა განაგრძო.

ირგვლივ კი ყველაფერი ისე იყო, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო.

წვიმის შიშით ყანებიდან გამოტყეული მეზობლები დროს არ კარგავდნენ, შინ რაღაცას საქმიანობდნენ. იმას საბლზე კიბე მიედგა და ბურულს ასწორებდა. ამას თოხისთვის ხელი დაველო და მისალოდნელ ღვარქავს ქვემოთ გზას უკვალავდა. ყარამანა სალანდიას ტანზელი ცოლი თოკზე გაკიდებულ თეთრულს ხსნიდა. ბავშვები კი ნაღვარევი ში ჩალის წისქვილს მართავდნენ, წვიმაც სათამაშოდ უნდოდათ. აქ კი, ლობესთან თავსაფრიანი დედაკაცები მიმდგარიყვნენ და ალბათ რაღაცას ქორაობდნენ. ნეტავი იმათ, სალაპარაკო არ ელეოდათ. მას კი არაფრის თავი აღარ ჰქონდა, ყველა სათქმელი ჩამოათავა და ყველაფერმა აზრი დაჰკარგა. მერე?.. თავს ასე ერთად მოიყრიან და იტყვიან, — აქ არ ვიყავით, რატომ არ გვითხრაო... იმას კი არ იტყვიან, რომ ამისი თქმა არ შეიძლება, ძალათ სიცოცხლეც არ იქნება. ჰოდა, მაინც რა უნდა ითქვას?.. მერე თავის მართლებას მოჰყვებიან, — ეგ უბედური ერთი უთქმელი ქალი იყო და რა გვექნაო. მერე და, მე ხომ არავის არ ვაბრალებ!

თვალბზე ორივე ხელი აიფარა და სანერგის ღობეს მიეყუდა. მერე ხელეები სახეზე ისეთი თრთოლვით ჩამოისვია, თითქოს მწუხარების ჩამოსორებას ლამობსო.

ტყვილი თანდათან მატულობდა. სიარულიც უფრო და უფრო უძნელდებოდა. ეს და აყლდა, უკანა ეზოს ალაგესთან პლანტაციიდან მომავალი კესანე წამოიწია. თავისი დარდით ისედაც მჭრქალი პირის კანი ფუნდუს უფრო გამჭრქალდებოდა, მომსზო ტუჩები ტილოსავით გაფითრებოდა და ეშხით სავსე მწველი თვალბი როგორღაც შავად ჩალურჯდებოდა. თავისი დარდით

მანც ისე ამაყი და უკარბელი იყო, რომ შინაბერა დედაცაემა ენა პირში ვერ მოაბრუნა და უნებლიე მორიდებით ჩაუარა, ბუჩქნარს საჩქაროდ მიეფარა.

ფაცურია პატრონის დანახვაზე სიხარულით გადაიხრია. ჯერ იქით, შორს ლობისკენ გაიქცეოდა, ეზოს წყმუტუხნით მიირბენ-მოირბენდა და მერე ისევ მობრუნდებოდა, მაგრამ იმისთვის ვის ეცალა.

კოკისპირულმა წვიმამ ისე უეცრად წამოასხა, რომ ფუნდუმ წინკარში ცალი ფეხით შეასწრო, სახლის კარს ტანით ზედ მიაწყდა.

კერაზე ცეცხლი არ დაუნთია. სამფეხა სკამზე ოხერით დაჯდა. ნიკაპამდე აკეცილ მუხლის თავებზე ხელები შემოისალტა და ზედ თავი ლოყით დაანდო, ტყვიისფრად ჩამოქნძილ ცას და წვიმას ღია კარში ნალვლიანად გასცქერდა.

ვეება ზურმისა და ქადრის ტოტებში თქეში გამაბეზრებლად ტლაშუნობდა. ბურულიდან ჩამოდენილი მსხვილი წვეთები ოქვათოში ტყაუნით ხტოდნენ და ფუნდუს სული ეწუმპებოდა.

იმ ღამესაც ის ასევე მარტო იყო. საულიამ სახლის კარი შემოგლიჯა. სახე სიხარბით მოღრეცვოდა... დღესაც ის იქ ასეთი იყო.

„მამ ზრმა ვყოფილვარ, რომ აქამდე ველარ მიცენია. თუ ეს ასეა, აქ რა მინდა? უცხო კაცთან როგორ ვიცხოვრო?“

გუშინწინ ჩაის თავისთვის ჩუმით, გულდარდინად რომ კრეფდა, ბლანტაციანზე კოლექტივის თავმჯდომარემ ვითომ შემთხვევით გადმოიარა. ჯერ შო-

რიდან რალაც მიკიბ-მოკიბა, ლობე-ყორეს მიედ-მოედო და მერე უცებ შეეკოთხა, სადმე დასასვენებლად. რამე გზა გაგზავნოთ, რას იტყვიო? ფუნდუმ მისი სიტყვები შორს დაიჭირა. გული ჯერ კიდევ არ გასტეხვოდა და თავისი ბედნიერებაც ისევ სჯეროდა.

საულიამ ამის გაგონებაზე, ქვა აავლო და თავი შეუშვირა. თურმე ნუ იტყვი, იმ ოხერი ოქროების დატოვება ეძნელებოდა.

ეზოში წვიმა სულმოუთქმელად შხაპუნობდა. წყლის რიდეში ეს მოწყენილი ხეები უზარმაზარ ფრინველებით მოფუფულიყვნენ.

„პო, პო — შეუტია ვილაცას ფუნდუმ. — მე ვარ და, არავეის არ ვუთხარი. რა გქნა, თავი ვერ დავიმიკრე. იმისი დაბრუნება, რაც დაგეარგე, არ მინდა და არც შეიძლება“.

უცებ იელვა. ცა მინასავით დაიბზარა. სადღაც მახლობლად მეხიე გაეარდა.

ღია კარს იქით ფაცურია დირესთან ახლოს დაყუნტულიყო და მთელი ტანით ცახცახებდა, შინ შემოსვლა ვერ გაეზედა.

ფუნდუ წამოდგა. ძალს მქადის ნატენი მიუგდო და კარი ცივად მიხურა. მერე ლოგინზე პირქვე დაემხო.

არა, არა, ყველაფერი მართლა როდი გათავებულა, სიცოცხლე მანც შეიძლება. ცოტაც და ფუნდუ დედა იქნება. ხალხია, სოფელ-ქვეყანაა, და ასე მარტო, თავის ნებაზე უბედურ ქალს აბა ვინ გაუშვებს? ბაბუა ოტიაც აგერ არ არის?..

ბურანი ჩუმად წამოეპარა. ქანცამოლელულს ჩაეძინა, მაგრამ ის ტიფილები ძილშიც არ ასვენებდა.

გაზაფხულის შხაპუნა წვიმამ შხუილით, ქექა-ქუხილით სოფელი ერთხანს ჩამოაბნელა. ყანებში ტბორი დააყენა, გზებიც აატალახა და ტლაშუნით, წკაპა-წკუპით გული კარგად რომ იჯერა, ვითომდა არაფერიო, ერთბაშად შეწყდა.

ცამ გადიქარა. ბუნებამაც თვალი ბავშვივით გამოაჭყიტა და შხის ციმციმში უღარღელად გაიცინა. შავი ღრუბლების ნაკუწებიც კუნძულებივით ატიტივიდნენ და აქეთ-იქით მოიფანტნენ. ერთმა მათგანმა განიერ ჩრდილით ნადარბა-

ზევზე გადმოიარა და ერთხელ კიდევ წამოწინწკლა. ღრუბლის ნაგლეჯთა იალკიალაზე საშუაღდღოდ წამოსული ბღღერიალა მზე პირს იბანდა და თან ძალივით იკბინებოდა. თავპირის მტერევიტ დაქანებული ნიაღვრები მთის ფერდობებზე ლურღურებდნენ. ძირს კი, ლელეში, შლეგი ლესტერი ნადირივით ისევ ბრღღვიწავდა.

ძველი დარბაზის ნაბუხრაღზე საულა წელში მოხრილი იჯდა და ზურგზე კეკლი ორთქლივით ასდიოდა.

სად გაგონილა, ქალს ვაყკაცი ხელით შენებოდეს? თავი ცოცხალი რაღად უნდა? სისხლი გულზე ცხლად გადაეცლო. თითქოს ზედაედა, თავის საყვარელ ფუნდუს წიხლი მუცელში როგორ ჩაარტყა. ის კი მიწაზე უმწეოდ ეგდო და გაკერპებული ხმას არ იღებდა, ათასში ერთხელ გულის სიღრმიდან გმინვა თუ ამოხდებოდა.

— ვინ დამწყევლა? ვინ გამიმეტა? საულიამ შემზარავად წამოიძახა და ნაწვიმარით სავსე დერგს ნაღვლიანად დაასტერდა.

— ამან დამლუბა! ოჯახი ამან დამიქცია! — კი არ თქვა, დაიკენესა და ლამიანი ყვითელი წყალი დერგიდან მუქით ამოღვარა.

ჩასილულ ფსკერში ჩაყვითლებულ-ჩაწითლებულმა ოქროებმა უცებ ბრჭყვიალით რომ შემოანათეს, სახეზე ხელი აიფარა. წუთით თითქოს კიდევ დაბნეულა. ერთხანს ვითომ ლამეში იყო და სიხნელიდან საწყალი ფუნდუ თავის ცრემლიან დიდრომ თვალეებით ისე შემოსცქეროდა, რომ საულიამ დანჯღრეული ხმით დაიძახა:

— ფუნდუ! ჩემგან ასე გაწამებული ფუნდუ!

ტალახიანი ხელები ბუერის ბარდზე შეიხოცა და თავის თავს მართლა სულელებით ხან ამას ეკითხებოდა და ხან იმას ედავებოდა.

ეს რა მომდის? ცხოვრება, შრომა, სიყვარული მაშ რა ყოფილა? თუ ეს ასეა, მაშ არმიაში რა უნდოდა? ან კოლექტივში რა უნდოდა? წედანაც აი, აქ

სიყვარულს ფუნდუს აბა რისთვის ეფიცებოდა?

მზე ბრიალებდა. წვიმიტ, ნარეცხე ჩაის ბუჩქების თუნუქივით მწვანე ფოთლები თვალის მომჭრელად ლაპლაპებდნენ.

ძირს, ყანებში კი არავინ იყო.

ლამით დასერილი ოქროები საულიას დერგიდან მუქა-მუქა ამოქონდა და არავინ დამინახოსო, შარვლის ჯიბეებში აქეთ-იქით გაფაციცებით იტენიდა.

— ამან დამლუბა. ამან შემშალა. — კი არ ამბობდა, მოთქვამდა.

ოქროსთან ერთად ჩაყოლილმა წუმბის წყალმა ჯიბეებში ცივად გაეონა და ბარძაყები ჩაეწუნწკლა.

„მოდი დაეთვალო? — გაიფიქრა და მერე დაუმატა: — არა, იქ დაეთვლი“.

და ჯიბეებს ოქროებით რომ ივსებდა, თან ზენეშოდა, კრუსუნებდა და ამ ზენეშა-კრუსუნში ერთი ცალი ძირს დაუვარდა.

— იყოს. — თქვა საულიამ. — ეს ერთი მაინც იყოს, რა მენალელება.

მერე დერგში ხელი ერთხანს ურია. შიგ არათფერი აღარ იყო.

წამოდგა. წელში ძლივს გაიმართა. ეს ოხერ-ტიალი მართლაც რა მძიმე ყოფილა! ლამის არის, ჯიბეები დააგლიჯოს. პო... სიზმარშიც ხომ ასე იყო.

ხელი ჩაიქნია. თავახდილი დერგი დასტოვა და ძირს სირბილით დაეშვა:

ალაგესთან მისულიც არ იყო, შედგა, რალაცა მოაგონდა.

„არა, არ მინდა, არც ის მინდაო!“ — კინალამ წამოიძახა და უკან გამობრუნდა. ისევ იქ გაჩნდა, საღაც, ეს არის, ახლა იყო. მის დანახვაზე ბაყაყმა დერგში ტყაპანი მოადინა.

საულიას ის ერთი ოქრო ბევრი არ უძებნია. ეშმაკის თვალევიტ ბუჩქის ქვეშ ეგდო. იმასაც ხელი დაავლო და ჯიბისაკენ გააქანა. მერე ერთი „ფუიო!“ — იქაურობას მიაფურთხა და ძუნძულით ისევ დაბლა დაეშვა. ვიწრო ბილიკზე რომ გავიდა, შიშით, — არ გადავიფიქროვო, ჯიბეებს აქეთ-იქიდან ხელი მაგრა ჩასქიდა და გაიქცა.

ორსართულიან სკოლის ეზოსთან შედგა.

სული როდის-როდის მოიბრუნა. ახლა იგრძნო, მუხლები როგორ უკანკალებდა. ეს ოხრად დასარჩენი ოქროებიც სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა.

ღელეში მღვრიე ნიაღვარი თვალდათვალ იწრტებოდა, წყალი თანდათან იწმინდებოდა. სადღაც ტოტებში მიჩქმალული ჩიტი მესვია თავის მესვიას გასძახოდა.

წყაროს რომ გაცდა, მოაგონდა, — პირი წყურვილით უშრებოდა, მაგრამ უკან არ გაბრუნებულა, მზისაგან შემქმნარ გზაზე ფეხის ათრევით მიფრატუნებდა.

აი, წყალგადაგდებულ და თითქოს სამუდამოდ დადუმებულ კოდის წისქვილსაც ჩაუარა და ლიანდაგზე გავიდა. აგერ, თეთრ ბუდრუგანის ოღნავ იქით ოტია მებუღკეც შემოეფეთა.

ტალახში ამოთითხნილ არეულ ვაყკაცს მოხუცმა სალამი უღიმღამოდ ჩამოართვა და მერე ეჭვის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— დინჯად იყავი, ბაბა, არ აჩქარ-

მხარბეჭვანიერ ჩაგვერა თავმჯდომარის, კირილე კანკაეას კარგა მოზრდილ ოთახში სიწყნარე იყო.

შილაგადაფარებულ გრძელ მაგიდაზე პაპიროსის ნამწვებით სავსე პლასტმასის წითელი საფერფლე იდგა. გრაფინში წყალი მოლურჯოდ ლივლივებდა. განიერი სარკმლები ყურთამდე დაეღოთ, მაგრამ თუთუნის კვამლი ჰაერში ჯერ ისევ ღობრად ბორიალებდა. ეტყობოდა, გამგებობის კრება, ეს არის, ახლა დაშლილიყო, თავმჯდომარისა და მოანგარიშის გარდა, სამი კაცი მაინც დარჩენილიყო. საწერ მაგიდასთან მჯდარ კირილე კანკაეას ლურჯ ქაღალდში თავი ჩაერგო და რაღაცას ერთად ვარაუდობდნენ.

ფერმის გამგეს, მოხუც ყაფლამა ბარამიას, ეტყობოდა, ქუთაში რაღაც არ უჯდებოდა და სახე ბრაზით წამოჰქარ-

ღე. — თქვა ოტიამ ცოტანანს შეზღებ და მერე დაძინა: — ცხოვრებას კარგად ჩაუკვირდი, თორემ ვაითფიქრებ...

თეთრ წვერზე ხელი ჩამოისევა და ოღნავ ჩაჩაჩული ყარამანდული შარვალი ორივე ხელით ამოიწია.

— ჰოდა, ეუყურებ, ბაბა. ეუყურებ და ის ჩემი ვოგო რაცხა თვალში არ მომდის. გახმა. ჩამოდნა. ერთი უთქმელი ბაღანაა, შენც კარგად იცი. თვითონ არ იტყვის და შენ უნდა მიხედდე. ვატყობ, შეილო, კარგად ვატყობ რაღაცა დარდი გახსენია და რა ვქნა, ვერც შემიკითხავს... არა და, ჩემ ხელში გაიზარდა, ბაბა, შეილივით მიყვარს...

საულის ახლა მასთან ლაპარაკის თავი სად ჰქონდა. სიტყვა, ცოტა არ იყოს, უზრდელად გააწყვეტინა: -

— ვიცი, ჩემო ოტია, კარგად ვიცი და ახლა, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე. ჩემი ჯავრიც მიყოფა.

და არ მოუცდია, გზა განაგრძო.

აი, ყავრულა სასადილოს წინ ჩაიბრა, მაგრამ იქით არც გაუხედავს. აი, კოლექტივის კანტორასაც მიადგა.

16

ხლეოდა. ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ ნაადრევად დაეჯეკალებული ტილა მეჯოგე, სერაპიონა კილურაძე თავმჯდომარის ზურგს უკან მორიდებულად დამდგარიყო და ნახაზს ისიც ყურადღებით ჩასციკქინებდა. ცხრა შეილის გმირ დედას, ბოშასავით შეეტუნხა, მაგრამ ჯერ ისევ ტანმკვირვისა და ეშხიან დედაკაცს, მწველავ სალომე თელიხეს მაგიდაზე ჩამოწყობილ ხელებზე თავი ნიკაპით ჩამოეყრდნო და ყარამანა სალანდიას მისჩერებოდა. ის კი კეხიან ცხვირზე წამოსკუბებულ სათვალეს წარამარა ისწორებდა და შინაურ თუთუნის წვეთი გაყვითლებული სალოკი თითით „ჩოთქს“ აქეთ-იქით აჩხაკუნებდა, თან ბუტბუტებდა:

— ოცდაექვსს რომ ცხრა მიევმატოთ და მერე თექვსმეტსაც ჩაივლით... ყარამანას ის თექვსმეტი ანგარიშში ჯერ არ ჩაევდო, რომ თავმჯდომარემ

ჩემთა შემოსულ საულის თვალი მოპკრა და განზრახ ხმამაღლა დიძიბა:

— აა, ჩვენ საულისა გაუმარჯოს ყველა მისკენ მობრუნდა. სახეზე შეუქი მოეფინათ.

— მოიწი, კაცო, აქეთ მოიწი. რა შორს დამდგარხარ? — თქვა თავმჯდომარემ ისევ ხმამაღლა და ნახაზი ფრთხილად დაეცა. მერე სალანდიას გადულაპარაკა: — ახლა მაგისტვის არ მცალია, მერე ვიანგარიშითო.

საულია ქროდა თვალებს ხატანგში გამბულ მგელივით აბრიალებდა და ოქროებით პირამდე გატენილ ჯიბეებში ხელები რომ არ ეტეოდა, სად წაეღო არ იცოდა.

მისი უხერხულობა, როგორც ჩანდა, თავმჯდომარესაც გადაეღო.

— ჰოდა, ეს არის, ახლა დავადგინეთ... — თქვა მოუზომეად ხმამაღლა კირილემ და სკამზე უშნოდ აწორწალდა, — გაგრაში უნდა წახვიდე, საულია. ფუნდუც თან წაიყვანე და ერთად მოისვენებთ. ოთხი წელიწადი ვიყავი იქ აგრონომად და შენ არ იცი, სამოთხეა, ნამდვილი სამოთხე.

სათქმელი ალბათ შემოეღია, სიტყვა უცებ შეატრიალა:

— უუპ, რა წვიმა იყო, ა? — და ამ სრტყევებით დაეცილი ნახაზი იქით გადასდო. — თვეზე მეტი იქნება, რაც ცას ნამი არ გაუგდია. მონათლა, ძმაო, მთელი ქვეყანა, მონათლა. ცოტაც კიდევ რომ ეწვიმა, ხვალ უფრო სადაგი დღე დაგვიდგებოდა.

და მერე ისევ გაგრას დაუბრუნდა:

— უნდა წახვიდე, საულია. მართლა და მართლა, ასე ხომ არ იქნება!

საულიამ მისი სიტყვები შორს დაიჭირა.

„რის გაგრა, რა გაგრაო?“ — გაიფიქრა და განიერი ნაბიჯებით წინ წამოვიდა. მაგიდაზე დადგმული კიქა წყლით გაალიცილია და უცებ დასცალა. გრაფინი მერე იქით მიდგა და ყარამანას მიუტრიალდა:

— ერთი თუ კაცი ხარ, კარი ჩაეცტე. სათქმელი მაქვს.

ყარამანამ თხოვნა აღარ გაამეორებინა. ოღონდ ერთი დაეშვებეჭყე უხედა და რიკლედ დარჩენილი კარი მჭიდროდ მიხურა, გადაარაზა.

ყურნაკლული ყაფლამა მაშინვე მიხედა, რომ აქ რალაც უჩვეულო რამ უნდა მომხდარიყო და მოუთმენლად დაფაცურდა, სკამიანად მაგიდასთან ახლოს მიჩოჩდა. მერე ალბათ ასე არ მოეწონა. ლაპარაკი უფრო კარგად რომ გაეგონა, სახეარეულ საულისა გვერდით მიუჯდა და ყურზე ხელი მოიფარა. სალომე პირიქით, უკან დაიწია და ვეება ვაეკაცს ქვემოდან დაკვირვებით ახედა. სერაპიონა კილურაძე სარკმელთან მიდგა, ყარამანამ „ჩოთქი“ გვერდზე გადასდო და ცხვირზე სათელე წამოიკოსა. თავმჯდომარემ კი თავი რატომღაც დაბლა დახარა და ნახაზი ისევ გადაშალა.

ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

საულია არ ჩქარობდა: თვალი ყველას სათითაოდ მოავლო. მერე ჩაახველა და ყრულ, გულჩახვეულად იკითხა:

— რას მომჩერებხართ? — და გესლიანად განაგრძო: — გეცოდებით, ხომ? ცოდვა ვარ, ხომ?

სალომეს გულმა არ მოუთმინა და ტალახით პირმოდღურულ ვაეკაცს პირდაპირ მიახალა:

— რავე არ გვეცოდები, შვილო! ჩვენი სოფლის თვალი იყავი, თავი მოგეწონდა და... — გაჩუმდა.

— და? — ჩასდია საულიამ. — და... შევიშალე, ხომ?

სალომე არ დაბნეულა.

— ავად ხარ, შვილო, ავად და დაგვიჯერე. შენც კარგად იცი და მე აბა რას მალაპარაკებ.

საულისა სახე ისე დაეღმიქა, თითქოს ცხვირი უნდა დააცემინოსო. სარკმელთან მიმდგარ სერაპიონასთან მივიდა, მკლავში ხელი ჩასკიდა და ისიც მაგიდასთან ახლოს დასვა.

— ესეც ასე. — თქვა და მხრების აჩეჩვით ხელები გაშალა. — რა ვქნა ჩემო მეზობლებო? ღონე აღარ მაქვს! ეს ოხერი სიხარბე მაინც რა ყოფილა,

ა? ხომ ხედავთ, რომ კაცი აღარა ვარ?..
და მისთვისვე მოულოდნელად დაიღ-
რიალა:

— არ შემძლია მეტს ვერ ავიტანს!
და ამ სიტყვებით ხალათის კალთა
უცებ გადაიწია და, ამობრუნებულ ჯი-
ბეებიდან ოქროებს მაგიდაზე მუქა-მუქა
რომ ყრიდა, თან გამწარებით გაიძახოდა:

— ამან დამლუბა! ამან გადამრია! კა-
ცობაზე და ყველაფერზე ხელი ამან
ამალებინა... თუ შაპატივით, თქვენი ნე-
ბა... არა და... რა ვქნა, ისიც თქვენი
ნებაა...

ამდენი ოქროს დანახვაზე ყველა ერ-
თად წამოიწია და მერე ისევ ერთადვე
დასხდნენ, შილაზე ყვეითლად მოფან-
ტულ ბაჯალლოებს გოაცებულნი დას-
ცქეროდნენ.

აქეთ-იქით მოფანტულ რაღაც უცნა-
ურ ფულებს საუღიამ თავი ერთად მო-
უყარა და, გორად რომ დააყენა, მწარედ
ჩაიციანა.

კირილე კანკავა თითქოს თვალებს არ
უჯერისო, უღვაშების გრეხა დაიწყო.
სერაპიონა კილურაძემ თვალები მუქით
მოისრისა და ოქროებს ისე დახედა. სა-
ლომემ ბოლომდე მოუწვეელი ჩიბუნი
საფერფლეში ჩაბერტყა და ჯიბეში რა-
ტომღაც უცებ იტყუა. ყარამანამ კი პა-
პიროსს, პირიქით, ცეცხლი ახლა მოუ-
კიდა და სიჩქარისაგან უღვაშები კინა-
ღამ შეიფუტა.

ყაფლამამ პირთან მიტანილ მუცში
ჩახეველა, ყელი ჩაიწმინდა.

— ცეცხლივით არ ანთია, ეს ოხე-
რი. — თქვა და ოქროებს ხელი ისევ
მიუშვია, თითქოს ითბობსო.

— ჰოდა, ეს ცეცხლი აქამდე გულში
შენთო... თქვენ კი გიყი გეგონეთ. —
წამოიძახა საუღიამ და სიმწრით საკინძქ
შოიგლიჯა.

— შენ არა ხედავ, რა ყოფილა! —
წამოიძახა თავმჯდომარემ და საუღიას
მოუტრიალდა. — ამდენი ოქრო სად ნა-
ბე, კაცო?

საუღიამ ერთი ისევ ჩაიციანა, თითქოს
ამბობდა, თქვენ რა იცითო და მერე
აკითხა:

— ნაძრახი ადგილი ხომ — გაგიგონო-
ათ? ჰოდა, იქ ვნახე. დერგში იყო. თქვენ
კი გაგრაში წადიო.

და შესულილივით გადინარჩნარა. მერე
გაჩუმდა და თვალი ყველას სათითაოდ
მოაელო.

— თქვენც, ხომ? თქვენც, არა?

ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და
თვალეში ყველას სათითაოდ ჩააცვიდა,
მავრამ ვერაფერი, გარდა გოაცებისა,
ვერც სიხარბე და ვერც ვერავეითარი
ანგარება ვერ ამოიკითხა.

— მაჯობეთ, არა? — თქვა გულნატ-
კენად. — კაცობაში მაჯობეთ, ხომ? მე
კი ქქუა დავკარგე. თავი დავკარგე.

და სკამზე დაეცა.

ცოტახანს შემდეგ თავი აიღო და ყა-
რამანას დაუყვირა:

— რას უყურებ? დათვალე, დათვა-
ლე-მეთქი! შთავრობისთვის ჩამიბარე-
ბია.

სალანდიამ ბევრი არ დააყოვნა.
ცხვირზე სათვალე გაისწორა და ფული
საჩქაროდ გადათვალა. ისევ დათვალა და
ორივეჯერ იმდენივე რომ გამოვიდა,
დაჯდა და ოქმი შეადგინა.

— ბლომად ყოფილა. — თქვა და,
კალმისტარი საუღიას რომ გაუწოდა,
ოქმის ბოლოში თითი დაადო.

— აქ მოაწერე.

საუღიამ კალმისტარი გამოართვა და
შეეკითხა:

— კარგად დათვალე?

პასუხს არ დაელოდა, კალმისტარი
მუკით მობლუჯა. ოქმზე გეარს მონღო-
მებით რომ აწერდა, ხელი როგორღაც
უკანაკლებდა.

— კალამი აბა რა ჩემი საქმეა. — ჩა-
იციანა და წუთით თავი მაღლა აიღო. —
სადღური რუსთაველი ვარ? სამოყიანი
თოხი უნდა მეჭიროს და მაშინ მე ვი-
ცი... — ვითომ ინტურა და თავის ნაწერს
მუშტრის თვალით დახედა. კალმისტარი
მერე იქით მიაგდო და ერთი ისევ ამოი-
სუნთქა, თითქოს რაღაც უსამველო
ჭირი მოიშორაო.

ხელი ყველამ რომ მოაწერა, საუღია
წამოადგა. მძლავრი მკლავების გაშლით

ერთი განიერად რომ გაიზმორა, ოთახი თითქოს დაეწროვდა.

— აბა წავიდეთ. — თქვა და ირგვლივ ქუდი გაფაციცებით მოიძებნა. რომ ვერ იპოვა, გაიფიქრა, იქ თუ დამრჩაო და დაიძახა:

ფუნდუს გამოვლვიდა. გულგახეთქილმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. წვიმის შხაპუნი არ ისმოდა. მოსვენების მაგიერ ძილს კიდევ უფრო მოექანცა და მთელი ტანი ასო-ასო ახლა კიდევ უფრო სტკიოდა. უნდოდა წამოდგარეყო, მაგრამ წელი ვერ წამოიღო, არაფრის თავი აღარ ჰქონდა. იმედის ის რალაც ნაპერწკალიც, წელან ძილში რომ ჩაჰყვა, ჩამქრალიყო. მთელი მისი არსება რალაც ღუმლის მოეცვა. და ეს ღუმელი გულს ტყვიასავით დასწოლოდა.

მუცელზე ხელი დაიდო, სიჩუმე იყო. მუცელმოწყვეტილი სისხლისაგან დაცლილიყო და ქანცამოლეულს ტანში სიკვდილი ჩასდგომოდა. „შვილო, ჩემო შვილოვო!“ — უნდოდა დაეკვივლა და, ძალა რომ არ ეყო, თავისთვის ჩუმად ჩურჩულებდა.

და უცებ მიხვდა, რომ მისი საშველი

— ახლა წავიდეთ, თითო ქიქა დაელოთ.

ცოტახანს შემდეგ იქვე ^{გარეშული} სასადილოში, საუღია სუფრას თავში უჯდა და მეზობლებს ღვინოს აძალებდა.

17

აღარ იყო, თმის ძირები გაუცივდა.

— ვილუბები! მიშველეთ! — მთელის არსებით ყვიროდა, მაგრამ ხმა ყელიდან არ ამოსდიოდა.

უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და ღოაგინიდან ძირს ჩამოფორთხდა. კართან მიბობლდა და ძლივს გამოალო.

მზე ჩადიოდა. ბინდდებოდა.

თავში საშინელმა აზრმა გაუელვა. სცადა ვინმესთვის დაეძახა, მაგრამ... ბურანი ისევ მოერია, ძილმა წაიღო და აღარ გრძნობდა, სისხლთან ერთად ძაღლონისაგან, არა, ძაღლონისაგან კი არა, სიცოცხლისაგან როგორ იცლებოდა. იქ კი, ქვემოდან, ვგონებ სასადილოდან, საუღიას მთვრალი სიმღერა მოისმოდა.

სახლის კარი როგორღაც წყნარად და თავისთავად მიიხურა...

ფუნდუს ახლა არაფერი არ ეხებოდა, ყველაფერი სულერთი იყო.

18

საუღია სასადილოდან გამოვიდა.

მზე ჩადიოდა. ბინდდებოდა.

ღამე თითქოს დღეს კალთაში ეტანებოდა, ნაღვლიანად ეთხოვებოდა. მავთულგაბმული ეს სულელი ტელეგრაფის შავი ბოძები გუგუნებდნენ, ჩაკიჭკიჭებულ რძისფერ ქიქებით საღვაც იქით, ზღვისკენ, მირბოდნენ. ღვინით თავდამძიმებული საუღია მათ აედევნა, მერე ხელი ჩაიქნია და ბუდრუგანასთან შეუხვია, მთის მდინარეს მთვრალი ბურტყუნით ზემოთ აჰყვა.

„მაპატიებს აბა რას იზამს. როგორც მივაღ, ორივე ხელით გულში ჩავიკრავ და... ის კი, — დათვო, გვერდები ნუ ჩამალეწეო, და მკლავებში გაინაბება,

ყველაფერი დაავიწყდება. არა, არა, დღეს ისეთი რამ ჩავიდინე, რომ აღარ ვიცი, რა პირით უნდა შევხედო. არა, ქალია და მაინც შეგებეწეწები: გიცი ვიყავი, მზეცი ვიყავი და მაპატიე-თქო!“

საუღიას რატომღაც გული აუჩუყდა. სახელთი ცრემლი მიზეზიან ბავშვით მოიწმინდა. უნდოდა ეთქვა: — ფუნდუ, ჩემო ოქროვო, მაგრამ ვეღარ თქვა, ტანში უსიამოვნოდ გააერყოლა.

სახლში ის ახლა ალბათ მარტოა. ნაცემი და გულჩათუთქული შინ მარტო შის და ის კი არ იცის, რომ საუღია ის საუღია აღარ არის. არ იცის, რომ სიყვარულიც ამას იქით თავიდან იწყება... არა, ეს ჩიტი მაინც რამ გააგვიან?

ამ ხეზე ისე შემომჯდარა, ვითომ ქვეყანა მისი იყოს! ნეტავი ვიცოდე მაინც, ასე თავდავიწყებით რა ავიკვიებს?... ალბათ იმასაც თავისი ფუნდუ გასჩენია...

საულიამ ხელი აუქნია. ჩიტი-ჩიორა შეფრთხილდა და თავისი დიდი სიყვარულით საღდაც გაფრინდა.

„სულელი!“ — გაიფიქრა და გზა განაგრძო. მთის პატარა მდინარეზე რომ გადიოდა, მისი ლანდით შემკრთალმა თევზმა დანის პირივით გაიღევა და საღდაც ჯილეში მიიმალა.

საულიამ ვეღარ მოასწრო, მაგრამ მაინც მიამახა:

— ეპეი, კაცო, მანდ რა გინდაო?

მერე თავისთვის წაიბურტყუნა:

„ვინ იცის, იქნებ თავისი გულის მურაზი იქ, ჯილეში, ჰყავს და ვითომ ჩემი შეეშინდა.“

საულიას ღვინო თანდათან მოეკიდა და ბინდმორეულ შუკაში უწნოდ მიბარბაცებდა, თან ოცნებაში ფუნდუს ისევ ეხვეწებოდა:

„ფუნდუ! ფუნდუ, შე კაი ქალო, შენ ის საულია არ გეგონო, წელიან ისე რომ გაგამწარა. ცოდვა ვარ, ფუნდუ! განა არ ვიცი, რომ შენც ცოდვა ხარ... და აი, მოვდივარ, შენთან მოვდივარ და მაპატიე... შენც კარგად ხედავ, რომ შენს იქით გზა აღარა მაქვს. დღეს არ იყო, რომ მპირდებოდი? შენ არ მით-

ხარი, მთხოვე და ყველაფერს გპირდებიო? ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ უსათუოდ მაპატიებ და მერე...“

ამ ბურტყუნში უცებ რატომღაც მოაგონდა, რომ მისი ფუნდუ ორსულად იყო და სისხარულით გადარეულმა აღმართი სწრაფად აირბინა, ეზოს მიადგა.

ჭიშკართან ძალღი რომ არ შემოეგება, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. სახლს გახედდა. ფუნდუს კარი გამოეხურა. ალბათ მეზობლებში გადასულიყო. ეს წყევული ძაღლიც წინკარში ასე ნაღვლიანად რას დაყუნტულა? სახლთან მისულმა საულიამ ძაღლს ბრაზით წიხლი წაჰკრა, მაგრამ თვალებით ახედა და იქვე მახლობლად ისევ დაყუნტულა.

საულიას გულში რაღაც ეკალივით მოხედა. კარი რიღით შეაღო და იქვე გაქევედა. თითქმის ბნელ სახლში სობანეზე რაღაც შავი აჩრდილი უძრავად ეგდო. ცალ ფეხზე წულა წასძრობოდა და უმზეობისაგან თეთრად შემოხაზული პატარა ტერფი ისე უჩანდა, რომ საულიას თვალი დაუბნელდა.

— არ მაპატიე? მაინც გამწირე? — ერთი საზარლად დაიღრიალა და ფუნდუს ფეხებთან ზღართან მიადინა, სამუდამოდ გაციებულ ტანს ხელი ცახცახით მოუფათურა.

მას აქეთ ოტია მებუდღე არავის არ უნახავს. აქედანაც საღდაც გადაიკარგა.



აცვივა წიწვი გადაშლილ წიგნებს,
ქალბაის დაფებს, თმებს, ზურგებს,
მუცლებს.
რალაც გაკლია და ფიქრებს იკრებ,
რალაცა მოგწონს, რალაცა უძლებ.

და ირგვლივ მეფობს წიწვი და ცხიმი.
კაცები სთვლემენ, პატარებს სძინავთ,
ქალები გრძნობენ, რომ ახლა ღიმილს
აქვს მეთი ცეცხლი ან მეთი ყინვა.

და აგარაკის მშვენიერ ქალებს
უცინი, ჰკოცნი, აშვიდებ, არხევ...
და სადღაც, სულის სიღრმეში მალავ
ქალაქის მტვერში გაცნობილ სახეს.

იმ ქალაქივით ძვირფასს და უშნოს
და იმ მტვერით ჩუმს და მოწყენილს
ღილით გგონია, რომ იჯექ ქუჩაში,
მაგრამ გაიგე და ამოძვერი.

დედაა, რასაც პირველად ნახავ.
მამით იწყება გზებზე ფიქრები.
მერე ჩვენ ვჭერწავთ საკუთარ სახეს
იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით.

ბავშვობა გადის და უცებ გადის,
ჩვენ გვიხარია, რომ უცებ გადის,
აღარ ჩანს, დღემდე რაც ნათლად
ჩანდა,
ქრება უხილავ მეტოქის ლანდიც.

ვერც ჩვენ ვახერხებთ იმ განძის
პოვნას,
ვერც ჩვენ ვნახულობთ იმ საშიშ
სოროს,
რომელიც დიდხანს მოპყვება ხსოვნას
და ბავშვობაში არსებობს მხოლოდ.

და უცებ ამჩნევ სადგურის კვილს.
ჩნდება ქალაქი მძიმე ხილებით
და, როგორც მალე განსაცდელ ტკივილს.
გინდა გაცილდე და ვერ სცილდები.

აცვივა წიწვი გადაშლილ წიგნებს,
რომლებსაც, ალბათ, ფურცლავენ
მხოლოდ
ან არც ფურცლავენ... ასე სჯობს
იქნებ —
ვინც ცოტა იცის, უფრო ბევრს
ცხოვრობს.

სადგური კვიის, ხმაშალა კვიის.
კაცები თვლემენ, პატარებს სძინავთ,
და შენ იხსენებ უბრალო ღიმილს
და სულ უბრალო თვალების ბრწყინვას.

მერე სიზმრის და ოცნების მსგავსად
დღეებს ახალი დღეები ცვლიან.
და დაშნა რჩება კარადის თავზე
და რევოლვერი ვილაცას შიგნით.

მერე ჩვენს სულში შემოდის ქალი:
ვარდებით, თოვლით და ქრუანტელით
და ჩნდება დიდი იმედი ხეალის,
ოცნება ხდება უფრო ნათელი.

ჩვენ აღარ გვაკრთობს ხმაური ქარის
და აღარც დედებს არ ვეტირებით,
რადგან ზღაპრების გმირების დარად
ვართ ბოროტები ან კეთილები.

და ყველა ვცდილობთ რალაცის შოვნას,
ყველამ ვილაცას მივეცი თიცი.

ჩვენ უკვე ვიცით, რას ნიშნავს თოვლი,
ბავშვები როგორ ჩნდებიან, ვიცით.

ვიცით სიცოცხლე და მისი ფასიც,
ვიცით, სად არის განძი ჩაფლული,
ცხადი და არა ზღაპრების მსგავსი,
ყველა ზღაპარზე უფრო ზღაპრული.

გზაში, კუბეში, ბორბლებზე, ღამით...
მე ვიცი ერთი: ვიძენ ან ვკარგავ
და კიდევ ერთი: ეს დღე თუ წაში
გამახსენდება როდესმე კარგად.

ახლა კი იჯექ და წიგნი, ფურცლე.
ირგვივ დამეა ჩუმი და სრული
და ბნელ სოროდან გამოვა უცებ
სადგური თავის საკუთარ სუნით.

ტყაცუნობს კარტი, ჭრიალებს ჭორი
და ძილი მოდის ძალით და გვიან.
მე მიყვარს ყოფნა უცნობებს შორის,
ისინი კაცად მაშინვე გთვლიან.

მე ყველა მიყვარს, როგორც ჩიტები,
ყველას ვცნობ, როგორც ცხენი სცნობს
შუტებს.

გარეთ თოვს... შენთან მე დაერჩი
მარტო.

გარეთ თოვს... გარეთ ვიღაც იცინის,
რომ ცოცხალია და ასე ათოვს,
რომ ისევ იგრძნო თეთრი სიცივე.

მე, ალბათ, დიდხანს მექნება ვალი,
მაგრამ ვიჭნები სულ მზიარული.

ჩემთვის დარჩება შენი ცხოვრება
თოვლივით ჩუმი და შემპარავი
და მეც ის უფრო მემახსოვრება,
რაც ახლა მინდა, მაგრამ არ არის.

თუმცა ის მხოლოდ ზოგინთვის არის,
ზოგს გაშვებული რჩება ჭეღვებზე,
რადგან ზღაპრების გმირების დანაშაულებზე
ჩვენც ვართ სუსტები და ძლიერები.

და მას, ვინც ჩვენში დიდი იზრდება,
ჩვენ ან ვეჩვევით ან ვერ ვეჩვევით,
რადგან ხან ახლოს ჩანან მიზნები,
როგორც დაწმენდილ წყალში კენჭები.

მათ არ იციან და არც სჭირდებათ
შენ თუ ვიღაცას მობეზრდი უკვე.

შენ თუ როდისმე რალაცას სწერდი
ან თუ ზედიზედ იღებდი ვალებს...
და როგორც შემხვედრ თრთქლმავლის
ელდა,
ისინიც სადღაც ქრებიან მალე.

კრიალებს რკინა და წვეთავს ზეთი.
ამოდის მთვარე მკრთალი და მრგვალი
და უცებ ისევ სოროში შედის
სადგური თავის უთვალავ თვლით.

მე ვიცი ერთი: არაფრით არ ჰგავს
ჩემს ჩვეულებრივ ყოფას ეს წაში
და სულ ერთია, ვიძენ თუ ვკარგავ
გზაში, კუბეში, ბორბლებზე, ღამით...

ეს გაუმარჯოს შენს ეშმაკ თვალებს
და სარკეებში ნაწაველ სიარულს.

შემოდის კატა, როგორც ციციწო —
რაზე საუბრობთ ან როგორ ხართო...
გარეთ თოვს, გარეთ ვიღაც იცინის,
რომ ცოცხალია და ასე ათოვს.

ვინ ჩამოგწმინდა შუბლიდან თოვლი,
მე მახსოვს, იგი შენს შუბლზე იღო.
უმსუბუქესი და თეთრი ყოვლად —
მე მახსოვს, იგი შენს მხრებზე იღო.

და მისი სული არხევდა ტოტებს,
 არხევდა კედლებს... და იწვა ნისლში.
 მე მინდა: ჩემგან სახსოვრად გქონდეს
 იმ თოვლის უცებ გაქრობის შიში.

და დღე, რომელიც უშენოდ მოვა,
 მარტო გარედან იქნება მშვიდი.
 შრიალებს თოვლი... რა იცის თოვლმა,
 რა იცის ჩიტმა, — მიფრინავს ჩიტი.

ჩემი მზისა და სიზმრების მხარე
 მე მიბრუნდება ჩუმად და ნელა,
 როდესაც მხოლოდ ქარია გარეთ,
 როდესაც ცივა, როდესაც ბნელა.

ჩემს თვალში ფასი ეწევა მელანს,
 საწოლს და მაგრად ჩაქეტილ კარებს,
 როდესაც ცივა, როდესაც ბნელა,
 როდესაც მხოლოდ ქარია გარეთ.

მე მელანს შენზე და შენთვის ეხარჯავ,
 საწოლში შენზე და შენთვის ვფიქრობ
 და რადგან ქარი კარს იქით დარჩა,
 ოთახი იცავს შენს მტვერს, შენს
 მიკრობს.

რა შეიძლება, რომ ნახოს თვალმა
 ამ თეთრ, ამ მტვრიან და ამ ცხელ
 გზაზე, —
 მხოლოდ ხეები, რომლებიც თითქოს
 ჩუმად და შენთან ერთად მოდიან.

მე მიხარია, რომ არ იციან,
 რომ არც მე ვიცი, ხვალ რა იქნება...
 და ისევ მიყვარს დიდი სიცილი,
 დიდი სინათლე, დიდი ჭიქები.

მე ისევ მიყვარს და მიხარია,
 რომ შეორდება ამ ქვეყნად თოვლიც.
 მე მახსოვს, იგი შენს შუბლზე იღო
 უმსუბუქესი და თეთრი ყოვლად.

ჯანდაბას იქით წყეული წიგნი.
 მე მინდა გვირძნო ყველაფრით,
 სულმთლად.

მე მინდა შენი სუნთქვა და ფიქრი
 იქცეს ჩემ ფიქრად, იქცეს ჩემ
 სუნთქვად.

როდესაც შორს ხარ, როდესაც ცივა
 და ირგვლივ, როგორც უჯრაში,
 ბნელა, —
 თითქოს მათუღსაც ტყავა და წივის,
 თითქოს მინასაც ტყავა და ელავს.

მხოლოდ ხეები... რომლებიც თურმე
 ერთმანეთს მარტო შორიდან გვანან.
 და მე ვგრძნობ, როგორ ემატებიან
 ისინი ჩემთვის ძვირფას სახეებს.



ღ ა კ უ ა

მთხრობა

ბავშვობიდან მეხსიერებაში ჩამემა-
ხა ერთი უცნაური ამბავი, მამაჩემმა
რომ მიახმო. ის ვერც დრომ და ვერც
სხვა მრავალმა გაგონილმა ამბავმა ვერ
დამავიწყა. ბევრჯერ უნებლიეთ გამხ-
სენებია და ჩემი ფიქრის საგნად გამხ-
დარა. მდინარე თურდოსკენ რომ გა-
ვივლიდი, მაშინ ხომ ლამის ცოცხლად
წარმომიდგებოდა იმ ადამიანთა სახეე-
ბი, რომელთაც ის ამბავი გადახდათ.

ესენი ლაპუა და ლამარა იყვნენ.

— ...მე ლაპუა აი, ასეთი მახსოვს, —
მეუბნებოდა მამაჩემი, — პირში ხში-
რად ეჩარა თითი და გულმოდგანედ
სწუწნიდა. ყმაწვილობისას ტვინის ან-
თება დაემართა. მაშინ მამა მკედარი
ჰყავდა. დედა შეესწრო მხოლოდ შეი-
ლის წამებას და მასზე დარდი და წუ-
ხილი საბრალო დედაკაცს იმ სოფელ-
შიც თან წაჰყვა.

უთვისტომოდ დარჩენილი ბივი ცხოვ-
რობდა, ერთ ბნელ, სარდაფის მსგავს
ოთახში, სადაც სამარისებური სიგრილე
და სიმყუდროვე სუფევდა.

ოცდახუთიოდე წლისა იყო და წვერ-
ულვაში მიიწვ არ ამოსდიოდა, იქნებ
იმიტომაც, რომ მის სახეს სამართებე-
ლი არასოდეს შეხებოდა. ამობურცულ
ზედა ტუჩზე, რომელიც მოთეთრო,
მკრთალი ღინღლით ჰქონდა დაფარუ-
ლი, პაწია ღარად დაქდევოდა ქრილობა.
არავინ იცოდა და არც არავინ კითხუ-
ლობდა, როდის და რისგან ჰქონდა ასე
უშნოდ გახეთქილი, ეს ტუჩი.

უშნო, გაბრტყელებული სახე და რა-
ღაც ცივად, უგუნურად გამომზირალი
მოკუტებული თვალები ან სიცილს მოჰ-
გვრიდა კაცს, ან სიბრალულს, თმაც

ულაზათოდ ჰქონდა აფარჩხული, აი
ისე — შეშინებული კატა რომ აიბურძ-
გნება ხოლმე. ერთი სიტყვით, სოფელ-
ში რომ ვინმესთვის გეტყვათ — ლაპუას
ჰგავხარ, ან ლაპუასავით დადიხარო,
ალბათ ცოცხალს ვერ გამოასწრებდით.

ჯან-ლონე არ აკლდა და, თუკი ვინმე
სთხოვდა თოხნასა და ბარჯაში დახმა-
რებას, იოლად დაიყოლიებდა. გასამ-
რჯელოდ კი სულ ერთი იყო, რაც უნდა
მგეცათ, არასოდეს არ დარჩებოდა
უმაღური.

მუშაობაში თაღლითობა არ იცოდა,
თავუღებლად მუშაობდა, სანამ დაი-
ქანცებოდა და თუ თავს მარტოდ დაი-
გულებდა, ჯერ ღიღინს დაიწყებდა
ისე, თავისთვის, გულის გადასაყოლებ-
ლად თუ დარღების გასაქარებლად,
მერმე კი ხმას აუწევდა და მომაჯადო-
ებლად მღეროდა. მღეროდა და ხან-
დახან არც კი იცოდა, იქვე შუქაზე შე-
ჩერებული მგზავრი გულდასმით რომ
უსმენდა ხოლმე. მყუდროზე გამოსუ-
ლი მეზობლები ერთმანეთს გადაულა-
პარაკებდნენ:

— გესმის, ლაპუა მღერის, რა ხმა
აქვს მაგ სასიკვდილეს!

— მზიარულ ხასიათზე ჩანს!

— მარა-ა...

ამ დროს თუ ვინმე მივიდოდა მას-
თან, რაღაც უხერხულად შეიმუშუნე-
ბოდა, თითქოსდა სამარცხვინო დანა-
შაულზე წაასწრესო, ჯერ დაუწევდა
ხმას, ღიღინზე გადავიდოდა, მერმე კი
გაიტრუნებოდა, კრინტსაც აღარ დაძ-
რავდა და მიწას ისე გაშტერებით მია-
პყრობდა თვალებს, თითქოს მის სიღრ-
მეში რაღაცის დანახვას ლამობსო.

განგებას ეს მადლი მაინც არ დაუშვრებია მისთვის, ვერ კი გასჯილდით ეს საუნჯე მის სასიკეთოდ თუ ბედისწერად იყო მოვლენილი. თუ კაცი რიგაიანად ჩაუყვირდებოდა მის ბედსა თუ უბედობას ერთს კი იფიქრებდა: ბუნებაში ალბათ იმიტომ გაიშვეტა ამ აღამიანისთვის ასეთი საუნჯე, რომ ყველა დარდი და ქირ-ვარამი, რაც მას გარეშის დღიდან დათანამგზავრებია, ამ სიმღერაში უნდა ჩაძიროს და ჩაახშოსო.

წუალზეც ხშირად აგზავნიდნენ ლაპუას. მხარზე კოკაოდებული სერიოზობით გაუყვებოდა თემშარას. მიდიოდა თავისთვის, მუდამ რალაცაზე დაფიქრებული, რალაცაზე გაბუტული და, გზად რომ ვინმე შეხვდებოდა, ხალამს ვერ მოასწრებდა. თუ ნაქარევი დღე იყო, გზისპირად ჩარიგებულ კაკლის ხეებს გაუვლიდა ქვეშ-ქვეშ და სველი, წინ-გოიანი კაკლით უბეს გამოიტენავდა.

ასე შოულობდა დაუწყვედრებელ ლუქმას.

ლაპუას ერთ-ერთ მეზობელს ლამაზი ლამარა ჰყავდა. ეგებ თბოლ ბიქს მართლაც წამოსცდა სადმე ტოლების საქილიკაოდ: ლამარა მიყვარსო, ან ეგებ აუყია ყმაწვილებმა მოქორეს, ერთი რამ კი იყო ცხადი: ათ წელზე მეტი გავიდა და მწარე სინამდვილე თუ მოქორილი არაეინ დივიწყა. უკვე დაქალბულ, გათხოვებას მოწყურებულ ლამარას როცა შეეკითხებოდნენ ხოლმე, ვილას უცდი, რატომ არ გათხოვდებიო, ერთს ჩაიკისკისებდა და ლაპუას გასავიანად იტყოდა: ლაპუას ვუცდიო, მერე გულწასულივით გადაზნექავდა კისერს და ლაპუას გადაუწყრივლებდა: „პა, ლაპო, რალას უცდი, წამიყვანე, თორემ ჩვენები სხვაზე გამათხოვებენ“.

ლაპუა გაიტრუნებოდა, გაისუსებოდა. ეს კია, ერთხელ შეხვდავდა უსიტყვოდ და კაციშვილი ვერ ხვდებოდა, მის ჩასევდიანებულ თვალბში რამდენი უთქმელი დარდი იმალებოდა, რამდენი სათქმელი იყო მინაცრებელი. ასკილივით დახრიდა თავს, გაწითლდებოდა და უფრო რალაც შესაბრალისი,

რალაც ნალველით მოსილი ხდებოდა. თუ ამოიხრება იყო, თავისთვის ამოიხრებდა, რომ არავის დაენახა, ხრავის გაეგო...

ბიჭები რომ სადმე ჯგუფად იდგნენ, იქით გავლა სიკვდილივით არ უნდოდა ლაპუას. იცოდა: ან სიცილს დააყრიდნენ, ან აბუჩად აიგდებდნენ, ან უფრო უარესს უზამდნენ, მანამ არ მოეშვებოდნენ, სანამ არ ამღერებდნენ. ბევრჯერ აუქცევია მათთვის მხარი და სხვა გზით გაპარულა, მაგრამ ყოველთვის როგორ დაემალებოდა? სად გაექცეოდა სოფელს სადმე მოიხელებდნენ აბეზარი ყმაწვილები და უღეთოდ აწვილებდნენ.

ბევრჯერ სიბრაზისგან ბოლმა ყელში მოსწოლია და ლამის ატირებულა. მაშინ კი დაქარგავდა მოთმინებას, მიეტრიალდებოდა და გამოედევნებოდა დამფრთხალ ყმაწვილებს, მაგრამ ესეც ვერ უმსუბუქებდა მძიმე ხვედრს. ისინი უარესად ატეხდნენ ქრიაშულს და ეს რალაცნაირი თამაში უფრო ხალისიანი და ხანგრძლივი ხდებოდა. ლაპუა კი, საცოდავი ლაპუა, რადგან ჯავრს ვერაეისზე იყრიდა, რაკი იგრძნობდა, რომ ასეთი საქციელით უფრო სასაცილო გახდა იგი, თავს ველარ შეიოკებდა და ბავშვივით აქვითინდებოდა.

მივიდოდა შინ, ნახევრად ბნელ ოთახში ჩაიკეტებოდა, ტახტზე გულადმა დაწოლილი ჰერს შეამტერებდა თვალბს და, უსასოოდ დარჩენილი, საკუთარ ბოლმას ეურჩებოდა და ეჭიდებოდა. იმ დღეს უგზავნიდა წყევლა-კრულვას, როცა ამ ქვეყანაზე თბლად დარჩა და არაეინ უბატრონა.

აი, ასეთ დროს, აღარც სიმღერის ხალისი იყო ქვეყანაზე, აღარც ტირილისა. ყველას ისა სჯობდა, ასე პირქუშად, მუნჯურად მჯდარიყო ღრუბელივით წამოშლილ ფიქრებთან ერთად და კაციშვილის ხმა აღარ გაეგონა. ამ დროს თუ რომელიმე მეზობელი მივიდოდა და სთხოვდა რაიმე საქმეზე

ხელი წაეშველებინა, ცივ უარს ეტყო-
და და ისე გამოისტუმრებდა.

„რა კირი შეუდგა, რა ეშმაკები შე-
უსხდნენო“, ბუზღუნით იტყოდა მეზო-
ბელი და უკან გამობრუნდებოდა.

ლაპუას ერთადერთი მოსარჩლე მი-
სი მეზობელი ელისო იყო, — შუახნის
დედაკაცი, გულკეთილი, მაგრამ მკაც-
რი, რის გამოც ლაპუასა და მის შორი-
საც ხშირად გაირბენდა ხოლმე შავი
კატა. ატირებულ ლაპუას რომ დაინა-
ხავდა, დედა გაახსენდებოდა,
ტკბილი და უწყინარი დედაკაცი, რო-
მელზედაც ბევრი საამო მოგონება შე-
მორჩენოდა. გაახსენდებოდა და სად-
ღაც გულის სიღრმეში რაღაც დაუწყ-
ებდა ტეხვას, რაღაც მტკივნეულად
გაეკნწლავედა ერთ წუთას თითქმის და-
იფიქრებოდა, რომ ლაპუას დედა, მა-
რიაში, გარდაცვლილი იყო. ელისო რომ
შინ ბრუნდება მარიაში კარებს გამოა-
ღებს და ნაღვლიანი ღიმილით გამოვა
პარმალზე, ჯერ რაღაცაზე გაუბამს
ტკბილ საუბარს და შემდეგ კი... შემ-
დეგ ლომობიერი საყვედურით ეტყვის...

ელისო, ჩემო კარგო, დღეს ხომ იქ
იყავ ჩემს უბედურ შვილს რომ აწვა-
ლებდნენ. ხმას მაინც ამოიღებდი...
ელისო! — და შემდეგ დაინახავდა,
მარიაშის გამკრთალებულ, დამკნარ
ლაწევებზე როგორ ჩამოცურდებოდა
ცრემლი.

ზმანებაგამოცხადებული, გულჩათუ-
თქული ელისო თავისებურად დაუცაც-
ხანებდა ხოლმე ავყია ყმაწვილებს.
ისინიც დაფრთხებოდნენ და ქორისა-
გან დაწიოკებული წიწილებივით სად-
ღაც გაუჩინარდებოდნენ, მაგრამ ზოგი-
ერთი გულზეიადი, წამოზრდილი ბიჭი
ყვინჩილასავით გაიჭიმებოდა და აბურ-
დუნდებოდა: „ნეტავ შენ ვინა გკით-
ხავს, სხვის საქმეში რომ ეჩრებიო“.

ამაზე უარესად გაცეცხლდებოდა
ელისო.

— რაო, ვინა მკითხავსო? აბა მოიცა-
დე მანდ, მოიცადე! — ხილაბანდს შე-
ისწორებდა და მისკენ გაემართებოდა.

ბიჭი არც მოიცილიდა, არც მოკურც-

ხლავდა, პირში წყალს დაიყენებდა და
თავის გზით გასწევდა. ეს კატა, პაწია
შიშს მაინც ვანიცილიდა, რასაც მისი
წამოწითლებული კისერი ადასტურებ-
და.

ერთ დღეს ერთმა მეზობელმა —
იორამმა ფორნით წისქვილში გაგზავ-
ნა ლაპუა საფქვეთის მოსატანად, ლა-
პუამ სადავეებს მოსწია და ისეთი
სერიოზული, ამაყი სახე მიიღო, ჯერ
რომ არავის უნახავს. ასეთი საუე
მას იშვიათად ჰქონდა: ან მაშინ,
როცა ვინმეს გვერდით მიდიოდა და
რაღაც ძალაუფლებას გრძნობდა, რა-
ღაც ადამიანურს; ანდა ასეთ შემთხვე-
ვაში, ფორნის კოფოზე რომ იჯდა, რა-
საც, მისი აზრით, შეიძლება ზოგიერთ
ყმაწვილში შერი გამოეწვია. ურემზე
შემოსკებულ ბიჭებს წკაპლასაც კი
გადმოუშუილებდა, ესე იგი, თავის
ძალაუფლებას დაინახებდა მათ.

მეწისქვილე იოსებამ, რომელიც სი-
ზარულით შეხვდა ლაპუას, ხელდახელ
სუფრა გაშალა და, მანამ არ გამოეშვა,
სანამ თვითონაც არ დატკბა და სხვე-
ბიც არ დაატკბო ლაპუას სიმღერით.

ამასობაში მოსალამოვდა და მზეც
ჩაეგენა. ცა შეუქმნევლად და უცბად
დაიბურა, მდინარეზე და ახლომახლო
მიდამოებზე რძესავით თეთრი ბურუსი
დატრიალდა. მერმე ერთიანად გაიფან-
ტა, სადღაც გაიელვა, ირუხრუხა, კიდევ
გაიელვა და წვიმამ წამოუშინა. დიდი
ხნის ნაგვოლმა მიწამ ჯერ რაღაცნაო-
რი, მტერის თუ მიწის სუნის დააყენა
პაერში, შემდეგ კი, როცა წვიმამ უფ-
რო და უფრო მოუხშირა, პაერი ჯერ
თბილი და მძიმე გახდა, მერმე ისეთი
მსუბუქი და გრილი, რომ კაცი სუნთ-
ქვას ვერც კი იგრძნობდა. გახშირდა
ელვა-ქუხილი და წვიმა თითქმის ნიაღ-
ვრად გადაიქცა, მაგრამ წვიმა არც ისე
დიდხანს გაგრძელებულა, როგორც ეს
ელვა-ქუხილის დროს სჩვევია. მალე
ყოველივე დაწყნარდა და ისღა ისმო-
და, თუ როგორი მსუბუქი ელურტუ-
ლით მილიკლიკებდნენ ნაკადულები
პაწია ხრამებში და როგორ ითელებო-

და ბალახი მთვან. უფრო შორს კი შიშისმომგვრელად შხუღდა თურღო.

როცა ლაპუამ წისქვილიდან წამოსვლა დააპირა, მეწისქვილე იოსებამ ურჩია ცოტა ხანს მოეცადა, რადგან თურღო ადიღებული იქნება და იქ გასვლა გაჯიღნელდება. მაგრამ ლაპუას როდი დაევიწყდა, რომ იორამმა ლამის სული ხელში ჩაბერა; მგონი ათჯერ უთხრა: ჩქარა დაბრუნდი წისქვილიდან.

უკვე რიგიანად იყო დაბინდებული, ლაპუა რომ გზაზე ფორანს მიახრიგინებდა. ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ და აქა-იქ ვარსკვლავები ბუტუბუნდნენ. პაერა ქინძისა და სხვადასხვა ბალახის სასიამო სურნელით იყო გაქღენთილი, სეტყვას თუ დაეკრა სადღაც.

ერთი იმ საღამოთავანი იყო, ყველაზე მომეტებულად რომ განგაცდვივნებთ ხოლმე ბუნების მადლს...

დაფლეთილი ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა; ლაპუა მხოლოდ გზას უტკერდა და ცხენს აფიცებდა, მას არც ეს მალალი, ზვიადი ცა შეუშინევიდა და არც ამ ცაზე ლამაზი სადაფის ნიქარა.

დიდი მდინარე არ იყო თურღო, მაგრამ გაზაფხულობით, მთაში რომ თოვლი დაიწყებდა დნობას და ზედ წვიმაც დაერთვოდა, ისე ადიღდებოდა, რომ ამ ღროს ურმით თუ გაბედავდნენ გასვლას, თორემ ისე, რაც არ უნდა გრძელკანკებიანი ადამიანი ყოფილიყო, ამაოდ შეეცდებოდა მის გადალახვას.

ლაპუას ფორანმა თურღომდე მიიღწია და ის იყო მდინარეში უნდა შეეგდლო ცხენი, რომ ამ ღროს უქნიდან ქალის ხმა შემოესმა და მყისვე სადავეებს მოსწია.

„თუ შეიძლება, გაღმა გამოიყვანეთ, გზაში წვიმამ მომისწრო და ვარდისუბანში შევეფარე; შინ მიგვიანდება; ბოგირი წაღებული იქნება, თორემ არ შეგაწუხებდითო“, — ევეღრებოდა უცნობი. მთვარის მკრთალ სინათლეზე მიმზიდველად ჩანდა მისი მოგრძო სახე და ოდნავ ელაში თვალები. როცა ურემს უფრო მიუახლოვდა, უეცრად გაიღიმა

და ის შემწყყარებული გრძნობაც გაუჩინარდა მისი სახიდან, წელან რომ ასე ძალუმად ემჩნეოდა.

— ოი, ლაპო, შენა ხარი სადა ყოფილხარ, კიდეც კარგი შეგხვდი, აბა, საით უნდა გახვიდე. აი, აქეთ უფრო არ იქნება ღრმა! — ამბობდა და თან ფორანზე ბობლდებოდა, მერე ტომარაზე წამოსკუბდა და ქალს ჩაეჭიდა — მანდეთ ღრმა იქნება! აი, აქეთ წაიღი! — განავრძობდა ზუმრობის ხასიათზე მოსული ქალი. — არკი დამარხხო, ბიჭო. კი ვერ გამოიშვებ, მაგრამ... არა, მაშ?! — და ეშმაკურად გადახედა ლაპუამ ხმა არ გასცა, ეს კია, ერთ წამს რალაცნაირი, უშნო ღიმილით გაიღიმა და მერმე უეცრად დასვედიანებული და ჩაფიქრებული გახდა.

ლამარა იყო ეს ქალიშვილი, ლაპუას დანახვაზე ზუმრობის ხასიათზე რომ მოსულიყო.

მდინარე ისე შხუღდა, ყურთასმენას წაართმევდა კაცს. საიდანღაც ადამიანების ხმაური მოდიოდა. ლაპუამ ცხენი წყალში შეაგდო. ფორანი თითქო ზევით-ზევით წავიდა. მდინარე კი, თიხისფერი მდინარე, თავისი გზით მიიგრანგებოდა. ისმოდა შხუილი, ლაპუას ყვირილი, რომელიც ცხენს აფიცებდა... მერე ფორანი ჩაზლაცუნდა, გაჩერდა და ხმაურიც შენელდა. რაღაც ვეება მძლავრად მოხვდა ფორანს და შეატოკა. ისეც ატეხა წამქეზებული ყვირილი ლაპუამ. მაგრამ ესეც მიწყყარდა. ფორანი ღრმად იყო ჩაფარდნილი და ალბათ მალე წყალი გადაეველებოდა.

ძნელია, დაღუპვას ისე ელოდე, არ შეგეძლოს თავის გადარჩენისათვის მაინც გაიბრძოლო, ესე იგი, გულზელი დაიკრითო და უცადო სიკვდილს, რომელიც, იცი, შენს ახლოს დაბოროილობს და თითქოს იყნოსე კიდეც.

შემდეგ მდინარის ხმაურს ქალის ყვირილიც შეერთო: გვიშველეთ, გვიშველეთ!

ამ საღამოს მთვარის სინათლეზე ადამიანი შორიდანაც კი შეამჩნევდა,

წყალში გაჩხირულ ფორანზე რომ ვიღაც საბრალოდ წრიალებდა. ლაპუა ხან უმწეოდ გადააულებდა თვალს ადიდებულ მდინარეს, ხანაც ცხენს უტყაპუნებდა უმოწყალოდ და ხანაც წუთიერ შხერას ესროდა უსასოდ დარჩენილ ქალის შეშფოთებულ სახეს... მდინარე კი, გაგეებული მდინარე, სადაც იყო მიწასა და ლამს გამოაცლიდა ფორანს, ჩაძირავდა და დაფარავდა.

ლაპუამ ბოლოს ყოველგვარ ცდაზე აიღო ხელი, მდინარეს მოაგლო თვალი, მერმე თითქოს გაშტერდა, გარინდდა, და ლამარას შეწუხებულ, მიწშიდველ სახეს შეაშტერდა... უეცრად მიუახლოვდა, ხელი მოხვია და გამშაგებით დაუწყო კოცნა. კოცნიდა თვალბში, ტუჩებში, ქალი ჯერ წინააღმდეგობას უწყევდა: რას შერები... რას შერები, გიჟო, საზიზღაროო, — ყვიროდა, მაგრამ მერმე მიყუჩდა, მიინაბა. ლაპუას მკლავები მოეხვია და გულზე ისე მიეხუტებინა, თითქოს მის მოტაცებას ვადაც ლამობს და არ უნდა დაანებოსო. ამ დროს წყალმაც იმატა, ამოიხვირთა და

ფორანს გადაეგლო... მერმე ადამიანებს ყიყინა უფრო ახლოს დასტარევევით მოისმა.

ესაა ის ამბავი.

მამაჩემისგან შევიტყე რომ ქალის კივილზე ხალხი მოსულიყო და ორივე გადაერჩინათ, ლაპუას საქციელი ქალიშვილს არ დამალა, რაც მთელი სოფლის სალაპარაკოდ გახდა. ამ ამბით გაკვირებულნი ხშირად იტყოდნენ ხოლმე: ვინ ლაპუა და ეს საქციელიო.

ლამარა კი, ლამარა ძველებურად აღარ გაელაბუცებოდა ხოლმე ლაპუას. რაღაც ხათრი და რიდი ჰქონდა, თითქოს მათ შორის რაღაც არსებობდა, საიდუმლოებით მოცული, რასაც სხვა ვერავინ მიხედებოდა და რაც, შეიძლება, არც თვითონ ლამარამ იცოდა.

— ჰოდა, აბა აქ რა იყო საკვირველი, შვილო, მე არაფერი გამკვირებია. ჰა, რა იყო საკვირველი! — თქვა მამამ და მერმე თვითონვე დასძინა: არაფერიო.

გიორგი კალანდიაძე



ოცნება ცისკრად ამოშავალი

გულს მოგონების ოქროს დროიდან
ეხმაურება ერთი მშვენიერება
ის, ვით ოცნება, ცისკრად მოვიდა
და სიკაბუჯეს არ მისვენებდა.

მასთან შეხვედრის სურვილებს ვწერდი,
ჩემმა ლექსებმა მას ჩემზე უთხრეს,
იდუმალ სევდად შემომრჩა დღემდის,
რომ სიყვარულში ვერ შევხვდით
ურთერთს.

ის რომ სიზმრებში გაეხვეოდა,
მე მაშინ ვგრძნობდი მისი თმის
სურნელს,
როცა მე რული მომერეოდა,
ის ჩემზე მაშინ ფიქრობდა თურმე,—

ის, ჩემი გრძნობის ველური ქარი
და სიკაბუჯის გულის ჯავარი,
ერთი ქართველი ირემა ქალი,
ოცნება ცისკრად ამოშავალი.

სანდრო მათიასვილი



შატILIS ლამე

ანთებულ ნახშირს ჰგავდა
შატILის ნახული სახლი,
თოფი რად გამიფარდა,
რაზე დაეფრთხე ქალი!

სად არის ქმარი შენი,
კბილმა საკბილო ნახოს,
წაწალი იყავ ჩემი,
მენაც ლეიძლივით ახლო.

ესეც გხატავდი დიდხანს,
მერე ლოგინზე დავწექი,
ძუძუ გიგავდა ხინკალს,
ვსრიბე და ვერლა გავძებ.

ნეტამც დამეგდო შარა
და მოვსულიყავ ადრე,
ცას სუფრა გაეშალა
და აზარტეშად მივარე.

აკიც წამადგა ქმარი,
წერი დამადო ახლოს;

— ერთიც მოვსინჯოთ მკლავი,
— კბილმაც საკბილო ნახოს.

მერე კისერში მომკრა,
ბოლი მადინა თვალზე,
სისხლმა შეღება ლოყა
ზედ სოკოები დასხდენ.

იტყვიან, მოკვდა ჟინით,
ბანს გასძახებენ კლდენი,
გაღმა გადიდდა ჯიხვი,
შატILს წამწამი წენი.

ვერ მოვკლა შენი ხსოვნა,
ვერ ვნახო შენზე მეტი,
შაგებით ნულარ მოხვალ,
დალაის ნურცა მეტყვი.

მახსოვს, მაწედიდი წიწანს,
ლიმილით იდექი კარზე,
ძუძუ გიგავდა ხინკალს,
ვსრიბე და ვერლა გავძებ.

ვხედავ ჩამორბის არაგვი

დილამ გნოლების კრიახით
ძილი დაუფრთხო წნორებს,
ღამეს ბრმა ტყვიას მივახლი
და გათენდება სწორედ.

ვიცი ძეძვების ალაგი,
მგლის ნაფეხურსაც ვიცნობ,
ვხედავ ჩამორბის არაგვი
ქალის მუხლივით ვიწრო.

ვხედავ ჩამორბის არაგვი
ქალის მუხლივით ვიწრო,
მთებს იქით — დამარჩა ქალაქი,
მთებს აქეთ — ქოხი ვინძლო.

გიცდი ვით დილის მოსვლას,
მაჩუქე მიწის წყალობა,
პეშვით შენს ღიმილს მოვსვამ
შენი ტუჩების წყაროდან.

პეშვით შენს ღიმილს მოვსვამ,
შენი ტუჩების წყაროდან,
გიცდი ვით დილის მოსვლას,
გიცდი ვით წვიმა წამოვა.

ალბათ წნორებმა იციან,
ალბათ გნოლებმა იციან,
ალბათ გორებმაც იციან,
ასე დილასთან მოცდა
ის, რაც შენს თვალში მიცვნია
და დამინახავს ცოტად.

ხევსური ქალის მოტყუება

ცაზე სოსანმა იმატა,
 ღამე წავიდა წანწალით,
 წყალს იქით — მზე პირს იბანდა,
 წყალს აქეთ — ქალის წამწამი.

ხახმატის ახლოს ხევხევი,
 ნაბიჯი — წახვალ ყირასა,
 ჯერ წაწალს გადავხევევი,
 მერე თავს ვუკრავ შირაქსა.

აიმა მთასა ვადვილი,
 აიმა წვიმა ქარსაო,
 ჯერაც ღრუბლები ვაივლის,
 წყალს ვნახავ, მერე ქალსაო.

მალა ვაგებდავ, ცა არ ჩანს,
 დაბლა არაგვი კალმახობს,
 შენ რაღას ეტყვი ქალასა,
 შავო და თეთრო არაგვო!

მალა ცას ნაბდად დაგივებ,
 ცოტა მოვქანცო სულიცა,
 ტყბილსა და ბადავს დაგილევ
 შენი ტუჩების სურვიდან.

ლოყას დაგელბო კარაქი,
 სურვილს კბილებზე ლესავდი,
 მემრე ვაგებხსენ ფარაგი,
 ძუძუ აწითლდა მწესავით.

საჯიხვე სახლთან

საჯიხვე სახლთან მოვიდა წვიმა,
 კარებთან ქალის ღიმილი დახვდა...
 მთებია ირგვლივ
 და წამლად მინდა,
 ზოგჯერ მარტო ცას ვხედავდე მალა.

მთაზე დაჯდება ღამე კრუხივით
 და რას გამოჩეკს დილას — არ იცი,
 ჩვენში იტყვიან: მთაში ქუხილი,
 ალბათ ათას თოფს ყურთან დავიცლის
 მოხვდება მთვარეს...
 მთვარე, რომელიც ჯიხვის რქას ჰგავდა
 და ცა — ჯიხვივით

ორსა კოწოლსაც მოგპარავ
 და წყალს ვაჩუქებ მაყრითა,
 იმან ღიმილი წაილოს
 და დამწუხრება ნაპირმა!

იქით იკითხოს რძალ-მავლი,
 შესძახოს — მომყავს ქალიო,
 „ვისია ქალი ღამაზი“,
 „ვისია პატარძალიო!“

მაშინ გავარდეს ამბავი,
 ჩაჰკითხოს მცხეთას არაგვმა,
 მოუტაციათ ლელი,
 ჯალაბაური გვარადა.

ამოტერებიან მიწიდან
 მთები შიშით და ფართხალით,
 ძმაც წამოუვა წვიმითა,
 დედ-მამაც ღრუბლის ამალით.

ვერ მივცე ქალი მალალი,
 ვერ ვუთხრა იქით-წადიო,
 თავს მიდგას დილის მახარე,
 ოქროს ცულით და წალდიით.

ცაზე სოსანმა იმატა,
 ღამე წავიდა წანწალით...
 წყალს იქით — მზე პირს იბანდა,
 წყალს აქეთ — ქალის წამწამი.

მთაზე გაწვება...
 გამოვალ გარეთ
 და ფიქრის გარდა,
 ხედავ, რომ მთები
 და კიდევ მთები
 და უშენობა გულზე მაწვება.

წუთიც და ქარი წამოვა მთიდან,
 გაფანტავს ცაზე ღრუბლების დაღლას...
 მთებია ირგვლივ
 და წამლად მინდა,
 რომ ზოგჯერ ლურჯ ცას ვხედავდე
 მალა.



საგამუღე რძა*

რომანი

— დაგზაგრეს გენაცვათ, ყური არ გიგდეს, დაგაავადმყოფეს? დამაცათ, მე მოგარჩენთ! მე მოგარჩენთ! მე ვარ თქვენი ეჭიმი. აი მიყურეთ, რა ნაღვლიანად იცქირებით აქეთ-იქით? აგერ, ჩემ ვენახში, თქვენი ძმები არიან, იმათაც ეშინოდათ, რომ ეგრე საცოდავთ დარჩებოდნენ მთელი სიცოცხლე, მაგრამ მე ვუპატრონე და ჰკითხვით ახლა, რა ბედნიერნი არიან. გული რატო გაგტეხიათ! პატრონი ყურს არ გიგდებთ? ვინც თქვენ ყურს არ გიგდებთ, ის თქვენ პატრონად არ შეიძლება ჩაითვალოს. თქვენა იმისი მხოლოდ ქონება ხართ და არა სისხლის ძარღვები, ჩემთვის კი, ჩემთ საყვარლებო, გულიდან ამოკრილი სისხლის შხეფები ხართ. თქვენ ჩემ ერთადერთ კოტეში თუ გარჩევდეთ, აი თქვენსავით გავისხლა ადგილზე და ჩავექვადე. არა, სიყვარული განა იგეთი უნდა, როგორც ზოგიერთი ვამბევთ. თქვენ მე მიყურეთ, აი ეგრე; ეგრე... — ანაიამ მთელი დღე იტრიალა სტეფანეს ვენახში და საცოდაოდ მოზრდილი ნაწილი გასხლა. სტეფანე და გუჯა უკან კურდღლებივით დასდევდნენ და პირლია შეჭყურებდნენ მის საქმიანობას, ცდილობდნენ როგორმე დაესწავლათ გასხვლის ხერხი, გულმოდგინედ აცეცებდნენ თვალებს. მაგრამ გონებაში სხვა საფიქრალი უტრიალებდათ. „რატომ? რისთვის გვეხმარება?“

როცა ანაიამ საქმე გაათავა და თავის ვენახში გადასვლა დააპირა, სტეფანემ ცალკეად მიიპატიჟა პურ-მარიაზე. ანაიამ იგრე მკაცრად ახედა, რომ

სტეფანეს უნებურად თავი დაახრევიან. ეხლა ანაიას წინ მისი ავი და ბოროტი მეზობელი იყო, რომელთანაც, რომ დაეღრჩოთ, პურს არ გასტეხდა.

ანაია თავის ვენახში დაბრუნდა და საღამომდე ვაზებს დასტრიალებდა. სტეფანე და გუჯა ერთხანს გაშტერებულები იდგნენ, მერე არყით სავეს ბოთლი მოიყუდეს და უსიტყვოდ გამოსცალეს.

მხოლოდ საღამოს შევიდა ანაია შინ და სადილს მიუჯდა. მაგდანა სუფრას შლიდა, ჯამ-ქურჭელი გამოიქონდა, პურს ამტვრევდა და ხასხასა მწვანით ამკობდა სველ ხელადას. კოტეც მობრუნებულიყო ბაზრიდან, მთელი დღის სიარულით ისე დამშვეულიყო, რომ სადილს ვეღარ უცდიდა და ცარიელ პურს გემრიელად ილუქებოდა. კოტემ სული რომ მოითქვა, მამას შეხედა და ნაღვლიანად უთხრა.

— თუმნად ძლივს გავყვიდე ხორცი. გოქები თითქმის სულ მუქთად მივეცი, ჯერ რძეზე იყვნენ ის საცოდავები და მისი შენახვისა და გამოზრდის თავი ვისა ჰქონდა.

— რამდენი კილო გამოვიდა ღორი? — ჰკითხა მაგდანამ.

— ოთხმოცი. გოქებიანათ, სულ, ასორმოცი თუმანი ამოვიღე, მაშინ როცა, შემოდგომაზე, ხუთასი თუმნისა მაინც იქნებოდა.

— კაცო, ანაიავ, — შემობრუნდა მაგდანა. — ეგეთი ზარალი უნდა შეარჩინო იმ არდასაყენებელს? შენ თუ არ უჩივლებ, ქალობას გეფიცები, მე წავალ სიღნაღში და დედაკაცი სასამართლოს კარზე ვივლი.

— რად გინდა მაგდან, — ცივად მიუ-

* გაგრძელება. იხ. № 1, 2.

გო ანანია. — მოდი და უმტკიცე, რომ სტეფანე მთვრალი იყო და განგებ მოკლა. იტყვის, ჩემ ბაღში გადმოვიდა, იქაურობა გამოიხრა, რამდენიმეჯერ გაეფრთხილე, ავდექ და მოვკალი. მაგისთანა წუნკალთან ჩვენ საღ მოვალთ. ეინა გვყავს მოწმედ, რომ ერთხელ გადავიდა ლორი და სტეფანემ განზრახ მოკლა. თანაც, რაც არ უნდა იყოს, კარის მეზობელია, საღ თქმულა მეზობლის საქმე მოსამართლესთან მიეტანოთ. სინდისი აქვს და ის სინდისი იყოს მაგის მოსამართლე!

— ე, შენც ერთი, — ხელი აიჭნია მაგდანამ. — სულ პატიებაზე დგებარ. მაშ ეგ უნდა შეეარჩინოთ სტეფანესა? ქვეყანას არ უნდა გავაგებინოთ, ვინ არი ჩვენში შავი?

— მეზობელია და მაგას ვერ ვუჩივლებ. — მტკიცედ გაიმეორა ანანია.

— მეზობელიაო? ეგ რაღაა ვითომ? მაშ, ყელები რომ დაგვჭრას, ის გინდა? მაშინაც, ხელს არ გასძრავ?

— ნუ გეშინია მაგდან, სტეფანე ავს აღარ გვიზამს.

— რათა ვითომ?

— დაშოშმინდება.

— საიდან იცი, ანანიაე?

— შე დღეს იგეთი საქმე გავუკეთე, თუ მას ოღნაეი კაცობა მაინც შერჩენია, დღეისამასიქით ხმა უნდა გაიკმინდოს.

— მაინც რა? — დაეკითხა მაგდანა. — ხელწერილი მოგცა, თუ ფიცი დაადებინე?

— არც ერთი, არც მეორე. ვენახი გავესხალ და იშათა.

— ვენახიო? — წამოიძახა გაოცებულმა მაგდანამ და კოვზი ხელიდან გაუვარდა. — კაცო, რას ამბობ, გესმის?

— შშვენინერად. ისა ვთქვი, რაც გავაკეთე.

— ქათმები დაგპარა, დედალორი მოგკლა, ამოდენა ზარალი მოგაყენა კარზე და შენ ვენახს უსხლავ? არა გრცხვენინა? ეგ არი ვაყკობა?

— მე სტეფანეს დარდი არა მჭონია. ვაზი შემეცოდა, მაგდან, გული დარდით

გამისკლებოდა, რომ იგეთ ყოფაში დამეტოვებინა.

— ვაზი რა შუაა კაცო, რა მტკიცე უნეს ვენახი გაუკეთე. რა გამოვიდა. სტეფანეს დაეხმარე, მას ეცი პატივი, არა?

— რა ვქნა მაგდან, ერთმანეთს შევებერდით და ეს ზნე ვერ მოვიშალე. მიყვარს და რა ვქნა. მის გაფუჭებას არავის ვაპატიებ, გული მეწვება, მგონია, საკუთარი ხორცი ჩამომგლიჯესმეთქი, ავადმყოფ ვაზს რომ ვუყურებ. ეგეთი უცნაური სიყვარული მაქვს ვენახისა და კარგაცა და ავიც ამ სიყვარულით მომდის.

— მართლაც, ჩემო ანანია! კაცი დაბერდი და ჯერ ისეც ბალღევით ლაპარაკობ. მთელი სიცოცხლე, რამდენი ბოროტება გავუკეთებიათ შენთვის, შენ არავის ყური არ ათხოვე.

— რა ვქნა, მიყვარს და თუ გინდა მომკალ, მის ტრფილას ვერ შეველაფი. იმისათვის ყველაფერს გავაკეთებ, ცეცხლში ჩავევარდები და ადიღებულ მდინარეში გადავეშვები.

— ეპ, ჩვენ კი გული გვიკვდება, ანანიაე.

— გული გავგიტყდა, მაგრამ არ მოგვიკვდება. ჯანდაბას, ჩემი ოჯახის ზარალი, ქვეყნის სანაცვლო იყოს, სტეფანემ ქვეყნის საქმე არ გააფუჭოს და ჩემი მიპატიებია...

მაგდანას აღარაფერი უთქვამს. რატომღაც ტირილი უნდოდა. ანანიას უდიდესი სიკეთე გულს უჩვილებდა, ქმრის მალალი კეთილშობილება ძარღვებს უღუნებდა, მაგდანას უნდოდა ეტირა, როგორც მაშინ, ახალგაზრდობაში, დიდი ბედნიერების დროს ყოველთვის ტიროდა ხოლმე... იტირა, როცა ანანია მოსიყვარული შეჭფიცა, როცა მათი ქორწილი იყო... ბევრი ბედნიერი წუთი ახსოვდა მაგდანას ანანიასთან ერთად გატარებული. ამ წუთებს ის ყოველთვის ცრემლებით აწავებდა. არაერთხელ უთქვამს ანანიას, თუ ეგრე ყველაფერზე მოიღრუბლები და ცრემლვას დაიწყებ, მაშინ აღარ ვიცი, რა გზას დაეადგე და რითი გასიამოვნო...

ახლაც, როცა მაგდანა ქმრის ეგეთ დიდ სიკეთესა და კეთილშობილებას ხედავდა, თავისდაუნებურად, გატეხილ სახეზე, რამდენიმე კურცხალი ჩამოუვარდა, ისინი ნიკაპთან გაიყინენ და დაელოდნენ ცრემლების დიდ ნაკადულს, რათა ერთად შეგუბებულყვნენ და გულში ჩაღვროდნენ მაგდანას. დიასახლისს სახეზე თავმოსახვევი აეფარებინა და თრთოდა. ანანია ცოლს დააკერდა. იგრძნო, მაგდანა ტაროდა, უსიტყვოდ მიუახლოვდა, მხრებზე ხელი მოხვია და გაჩუმდა. მცირე ხნის შემდეგ მაგდანამ ტარილი შეწყვიტა, ცრემლები მოიწმინდა და დამნაშავესავით გაიღიმა. მის ღიმილზე კოტემ და ანანიამ თავისუფლად ამოისუნთქეს. კოტემ ვეღარ მოითმინა და მაინც უსაყვედურა.

— ნუ იცი, დედაჩემო, უცნაური გულჩეილობა, ან შენ, მამა, ქვეყნად რა ხდება და თქვენ ამ დროს...

— რაო, რა ხდება ბიჭო, — გაიღიმა ანანიამ, — ნინო მოგეწონა და თავგზა დაბნეული გაქვს?

— ეგე, რას არ იტყვი ზოლმე.

— თორე ტყუილია?

— ტყუილია, მაშ რა არი.

— როგორ, ნინო არ მოგწონებია. გულზე ხელი დაიდე და იგრე თქვი?

— ნინო კარგი აგრონომიაო, ამას მთელი მეურნეობა ლაპარაკობს.

— აგრონომს ზომ აქებენ, მაგრამ სხვანაირად არ მოგწონებია. რა ვიცი, ძან კი დაიბენი და!

— როდის დაიბენ, რას ამბობ?

— არ გახსოვს, წნორში რომ დავხვდით, მანქანით რომ წამოვედით, გზაში რა გემართებოდა?

— არაფერიც არ დამმართებია. გუბე იყო და იმან გაგაჩერა. მე ძან მშვიდად ვიყავ.

— შვილო, რად მიმაღავ, განა ეს ცუდია, ახალგაზრდა კაცი ხარ, ეგეთი შველევით გოგო ნახო, თანაც განათლებული და ჰკვიანი, რა თავილია მოგეწონოს... მე გამიხარდება თუ მართლა ეგრა.

— ჯერ არაფერი არ არი. მთელი მე-

ურნეობა კი მის ქალობას აქვებს. იცი, მამა, ბურულების გაკაფეყუ ნებრებს თურმე, ვილაცამა თქვაჯ გეგმავს! აწყობსო.

— ცუდს არაფერს დააპირებს ნინო. ახალგაზრდა აგრონომია, ინსტიტუტი ახლა დაამთავრა. ის ახლა მეცნიერივითაა. ყველაფერი იცის.

— ძან თავმდაბალია, კაცმა რომ თქვას. იმ დღეს გლეხებს ეკითხებოდა, ძველ დროს ვაზს რამდენ კვირტს უტოვებდითო. ზოგი მის ადგილზე რტყოდა, აგრონომი ვარ, ქალაქიდან ჩამოსული, გლეხებს თავს როგორ გაუყუადრებ და როგორ შევეკითხებო. ის კი თამამად შეეკითხა.

— არც წაავო შვილო! მერე რა, რომ ნინო აგრონომია და ისინი გლეხები არიან. ვენახში გაზრდილ კაცს შენ ეგრე ნუ უყურებ. ხომ გაგიგია, ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო... ნინო ჰკვიანი გოგოა და იცის, ვის რა შეეკითხოს. იცის, მოხუცებულებს ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვთ, უნდა მათგან გაიგოს, წარსულში ვენახს როგორ უვლიდნენ...

— ნინოს უთქვამს, მამა, ვაზს არა ვტვირთავდითო, ვანებვირებდითო, დაჩაგრული გვეგონათ. ათი-თორმეტი კვირტი კი არა, ოცდაათი კვირტი უნდა დავუტოვოთ და მაშინ მოსავალს სამჯერ მეტს მოგვეცემსო!

— სწორი უთქვამს, შვილო! ჩემ ბრიგადაში გექონია ბიჭებსა ამაზე ხშირად ლაპარაკი. გამოჩნდება ბევრი, ვითომდა გულშემატკივარი, დაიწყებენ იმის მტკიცებასა, ვაზი სათუთი მცენარეა, ეგეთ დატვირთვას ვერ აიტანსო, გახუბება და გაოხრდებაო... გამოვიდნენ, დიდი გულისდამწყველები! ჩემზე მეტად, არა მგონია ვინმეს ქვეყანაზე ვენახი უყვარდეს და უფროხილდებოდეს, მაგრამ ვაზსა ამოდენა შრომას იმისთვის კი არ ვაყრით, რომ პატარა მოსავალი მივიღოთ. რა დროს ვაზის განებიერებაა? ეყო, უხვირო მომვლელის ხელში, რაც ინებვირა. ახლა მთელი დატვირთვით უნდა იმუშაოს, შენ

ნახე, თუ რამე ცუდი დაემართოს და ეტკინოს...

— მუშაობის გარდა, მის სახელსა და პატიოსნებას უნდა გავუფრთხილდეთ, შვილო, გავიგე, ვილაცა ავსიტყვებს ჭორები მიუბოდავთ, ქალს სახელზე ძვირფასი, სიცოცხლეც კი არა აქვს; კარგად იცი, მე და ნინოს მამა დიდიხნის მეგობრები ვართ, ნინო საკუთარ შვილივითა მგონია, შენ ჩემი ხათრითა და პატივისცემით, ყოველნაირად ეცადე ენალაქლაქა ჭორიკანებს ყებები გადაუტეო...

— მე, ჩემთავათ, არანაკლებს ვიბრძვი მისი სახელისათვის, — თქვა კოტემ, — ყველა ადამიანს აქვს რალაცა განსაკუთრებული, რითაც ის სხვის სიყვარულს დაიმსახურებს. ნინო თავისი პატიოსნებით დღითიდღე მეტ მეგობრებს იძენს და მე ვარდიანში კაცი არ მეგულება, რომ მისი უმადური იყოს.

— სათავე ჭორისა მელანოს ყებებთან უნდა იყოს, კოტე, ამაში მე ექვი არ მეპარება, მაგათ, სახლ-კარის შიში ალაპარაკებთ. რა უნდოდა გიოს, თავის დროზე მოეკითხებინა სოფლისათვის, თავისი წილი გაეყო და მერე ისევ, ქალაქში წასულიყო. რაც არ უნდა იყოს, ნინო მშობლიურ სოფელშია და დაქირაებულ სახლში კი ცხოვრობს.

— ამაზე ბევრს ჰქონია ნინოსთან ლაპარაკი, მეც ვუთხარ რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ნინო თავის ტოლებს არ გვიჯერებს. სიტყვამ რომ მოიტანოს, შენ თუ რამეს ეტყვი, კარგი იქნება. ნინოს სიყვარული დაჰკარგვია თავისი სახლ-კარისა და შენი ვალია, როგორც მამამისის მეგობარმა, ნინოს ჯერ ეს სიყვარული აღუდგინო და წილის დაბრუნებაზე მერე ილაპარაკო.

— ყველაფერს ხანი უნდა შვილო, სიყვარულიც და სიძულვილიც წლების მანძილზე დედდება, რამდენიმე დღეში მისი შეკონწიწება არ მოხერხდება, დაციადე, დრო მოვა, ნინო თავათ გვეტყვის გულისტკივილს სახლ-კარზე და დახმარებას გვთხოვს.

— არა მგონია, ეგრე შეიცვალოს ნინომ აზრი.

— შენ მე დამიჯერე კოტე, ადამიანი ზოგიერთ რამეში იმდენად რთულია, რომ მის ასავალ-დასავალს ეშვაკიც ვერ გაიგებს. რა იცი, ნინო დღეს ეგრე ფიქრობს და ხვალე როგორ ფიქრებს. თუ არა და, ცხოვრება მიდის, იქნება რა ხდება ქვეყანაზე, სიბერემდე სიჭაჩლეს ელოდო, ჩვენც დაველოდოთ; გარდაუვალი მოხდება უცილოდ. დაჩქარება, ამ საქმეს მხოლოდ ავნებს. ნინო იგეთი პატარა არ არი, რომ თავის დროზე, როცა კენჭისყრის ხანი მოატანს, სწორი გზა დაკარგოს.

— ჩვენ ლაპარაკში დედას დასძინებია, — წამოიძახა უცბად კოტემ და მაგიდიდან წამოდგა.

მაგდანას გამოეღვიძა, მან ნამტირალევი თვალები ამოიფშენიდა და სუფრის ალაგებას შეუდგა. კოტემ ტახტზე გადაინაცვლა, კედლიდან სანადირო თოფი ჩამოიღო და წმენდა დაუწყო. ანანია ეზოში გამოვიდა, გომურიდან ძალი გამოიყვანა და ჯაჭვზე გამოაბა. ეზოში მიმოიხედა. სრული სიჩუმე იდგა. დამის სიმშვიდეს მხოლოდ მთვრალი კაცების ღრინაცილი არღვევდა, რომელიც სტეფანეს სახლიდან მოდიოდა. მიასურადა. ვილაცა მრავალკამიერის სიმღერას ცდილობდა, მაგრამ საცოდავი კივილი გამოსდიოდა. სტეფანეს სტუმრები, ეტყობა, ბაღშიც გაშლილყვენენ, რადგან მათი ხმა ხეთა მიღმიდან მოისმოდა. ანანია ბაღში გავიდა და სტეფანეს ეენახისაკენ გაიხედა. უცბად, ლობესთან, ჩურჩული მოესმა. აღვილზე გაიყინა. უნებურად ყური მიუვლო.

— დაიცა ქალო, სად გეჩქარება, რომ მიიწევი, — ისმოდა კაცის ზრინწიანი ჩურჩული. — ისინი ახლა იგრე არიან ჭუკებივით გამომთვრალი, რომ დიღამდე ვერ გამოფიზნულდებიან.

— შენ ეგრე გგონია. ჩემმა ვაებატონმა, ეტყობა, რალაცა შემატყო, მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩემი ჩასაძალღებელი დედამთილის თინებია. რაც უნდა მთვრალი იყოს, ყური და თვალი

ყოველთვის ჩემგენა აქვს. შენზეც ეპვი აქვს მოტანილი.

— რალას მეპატიეება ეგ ჰქუთგამო-
ლელუი! — ჩაიხითხითა კაცმა. — ზოგი-
ერთის სირვეგენე მაგიეებს. ეპვიანობს
და კიდევ მეპატიეება.

— ვითომ არ იცი, რისთვის დაგამა-
ხა. წყალი შეუდგა ბოლოსანს. ეში-
ნიან, მაგ საწყობიდანაც არ გამოაგდონ.
მეც გთხოვ, თუ სადმე საჭირო იქნება,
წაეხმარე, რაც არ უნდა იყოს, ოჯახს
ეგ ინახავს. რა გინდა, სახელად იმისი
ვარ და სახრავად ხომ შენი...

ცოტახანს სინძემე ჩამოვარდა და ანა-
ნიამ გუმანით იგრძნო, ქალი და კაცი
ერთმანეთს ძალუმად ეხვეოდნენ და
ლოშნიდნენ. მერე ისევ ჩურჩული მო-
ისმა.

— იმ დღეს ჩხუბი დამიწყო. — თქვა
ქალმა.

— რა უნდოდა?

— რა ვიცი, ქირი მაგის თავს! ლობე-
ყორეს ედება. სუნი აქვს მოტანებული,
მაგრამ ვერ გაუგია და ამიტომ გაეცე-
ხლებულა. ვერც გაიგებს. აბა, რა ეგო-
ნა. ეგ თავის ლეინოს გადაჰყვა და ეგო-
ნა მეც დაჰციანებული ვიყავი...

— რამდენი ხანია...

— სამი წელი... — ჩაილაპარაკა ქალ-
მა და ნაძალადევად გაიციინა.

— საწყალო, დალელხარ... მადლი
მომისხამს, აბა!

— გაჩუმდი! არცეი გცხვენიათ. ეგეთ
რამეზე ნუ ლაპარაკობ. მგონი ვიღაცა
მოდის. ნაბიჯების ხმა არ გესმის? პო.
ახლა ავდგეთ, ხვალხვეით, დღეზე მო-
ვალ, ვეტყვი, მეკრავთან მივდივარ მე-
თქი. მოდი, მაშინდელივით არ მომატ-
ყო.

ჩურჩული შეწყდა, ლობეს ამოფარე-
ბულები სახლისაკენ წავიდნენ. ანანია
გამეშებული იდგა და ყურს არ უჯერე-
ბდა.

მელანო გაბორტებული დადიოდა.
არ იცოდა ჯავრი ვიზე ამოეყარა, ვი-
ლაცის ჯავრი რომ სჭირდა, ეს ცხადი

იყო. ბოლმა უცბად არ გასჩენია მელა-
ნოს. მთელი ამ წლების განმავლობაში
ოჯახში გაბატონდა, მისი გულმსახური
ნელნელა დედებოდა, დღითიდღე ემა-
ტებოდა და ბოლოს ზღვარს მიაღწია;
მეტი მოთმენა აღარ შეეძლო, უნდა
ელაპარაკა, გულის ბუხარი ამოეწმინდა,
თორემ ნალგელი გახეთქავდა და ძარღ-
ვებს დაუწყევდა. მელანო ერთი ხანი
თავის შეკავებას ცდილობდა, მაგრამ
დარწმუნდა, თავშეკავება უშედეგო
იყო; ბუზღუნი დაიწყო, ბუზღუნი —
ქირდვაში გადავიდა, დღე არ გავიდო-
და, რომ ვისმესთან ენის ქავილი არ
დაეყოჩებინა.

მისი მესაიდუმლე და გულის ფიც-
რის გამჩორკნავი მეტწილად პელო იყო,
რომელიც ჩვეულებისამებრ, დილიდან-
ვე მელანოსთან ყბებს ჭორითა და გა-
მოგონილით ღლიდა.

— ნეტავი ამდენი ყბედობა არ გიყ-
ვარდეს და! — ეტყოდა ხოლმე მელა-
ნო.

— გაჩუმებული მარტო ჯორია, ქა! —
მიუგებდა პელო. — ცოცხალი ადამი-
ანი ან დავილაპარაკებ ან დაფიწყველები,
აბა, მუნჯად ხომ ვერ დაეჯდები?

— ვინ გეუბნება მუნჯად დაჯექო,
უმძრახად ხომ არა ვართ? პირზე კლი-
ტე დადებული დედაკაცი მეც შეჯავრე-
ბა, მაგრამ არც მეტისმეტი ვარგა, დედა-
კაცობას გეფიცები!

— ტყუილი რა გითხარ, ქა? სოსიკო
მკვდარიც გინახავს, აი უკვე ოცდაბუთი
წელწაღია და სტეფანე, ლეილი შვი-
ლი, რომ სალაპარაკოდაც არა გკადრუ-
ლობს, ტყუილია?

— ტყუილია, მაშ რა არის ყველას
ერთნაირი ხასიათი ხომ არ ექნება. სტე-
ფანე ეგეთი მიდეგა გამოვიდა, ლიჯირი
და კურკური არ უყვარს. მეც, სიმართ-
ლე გითხრა, ლაქუცა ხალბი ძაან მეჯავ-
რება. კაცი ხმლის პირივით უნდა იყოს,
დრომდე ქარქაშში ესვენოს, როცა დრო
მოვა, ამოანათოს და დაიქუხოს. ყბელი
კაცი — ჭორიკანა დედაკაცის ბადალია.

— დედა-შვილობაში ყბედობას რა
ხელი აქვს. ლეილი შვილი, რომ სიტყ-

ვის თქმის ღირსად არ გაგდებს, ეგ არი გაქვაცობა?

— გაიგე, პელო, სტეფანე ეგეთი ჯიუტი-მეთქი.

— მე რად მიმაღავ მელანო, — ცალკეზად გაიღიმა პელომ. — შენი ასავალ-დასავალი იგრე ვიცი, ჩემი არ მახსოვს, ალბათ. შენა და სტეფანეს, ტკბილი დედა-შვილობა რომ არა გაქვთ, რად უნდა ამას ეიყინი.

— ტკბილი სხვა რაღა არი ქვეყანაზე, დედა-შვილობა რომ იყო. მე რაც თვალი გაეახილე, ამ ტიალ წუთისოფელში, შხამისა და სიმწარის მეტს ჯერ ვერაფერს ვხედავ. ყოველდღე ავი გესმის მუზობლიდან და შვილიდან, ნათესავიდან თუ მტრიდან. არა მქონია იმედი, რომ სიტკბოს ვიგემებდი ოდესმე, ყოველ დღეს დასაკლავად გამეტებულ ძროხასავით შევეცქერი და ჩემს უბედობაზე ვბღავი...

— მელანო, შენგან დურდური ხშირად მსმენია, მაგრამ ეგეთი — არასოდეს. რა დაგეშართა? ჩემზე უბედური დედაქალი არა მგონია ვარდიანში, ჩემი საეალი ისე ჩამიღამდა, ღმერთმა ერთი ამხანაგი არ გამიჩინა... შენა, დღევანდლამდე არ ემდუროდო წუთისოფელსა და დღეს რაღა გეშართება?

— აქამდე ახალგაზრდა ვიყავი, ქა, ჯანი მომდევდა და ღონე. რაღაცას შეეზაროდი, ვიღაცის იმედი მქონდა. ახლა ამ დასავსეები თვალეებითა ვხედავ, ჩემ ცხოვრებაში რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერი შობდა და დღეის ამასიქით, არაფერია მოსახდენი, სიკვდილის მეთი. სიკვდილიც კალთააწიელი მიახლოვდება და სულ გამაქრობს...

— მარცხენა ფეხზე ხომ არ ადევქ, მელანო, — გაიკვირვა პელომ. — რა ქირისუფალივით იცრემლები?

— ქირისუფალი მალე იქნები პელოვ, შენ მეთი, არა მგონია, დამტირებელი მყავდეს... ეს ოხერი ავადმყოფობაც კალიასავით შემიჩინდა და აღარ მასვენებს...

— ორი ქმარი შენ მოიდნე, ტატრაცუნა შემოხველ და ამოდენა სახლ-კარი

დინარჩუნე... ჩემზე ბედნიერი იყავ, მელანო, ყოველთვის, და იგრე ვხედავ სიკვდილშიც ჩემზე ბედნიერად იქნებოდა...

— გული მეუბნება, ორიოდე თვის სიციცხლე დამრჩა, ეს დღეები მინდა ლოცვაში გავატარო...

— მორწმუნე არასოდეს იყავ, ქა, ორკაბიკიან სანთელს არ ანთებდი საყდარში და როცა გაგიპირდა, ღმერთი ეხლა იწამე?

— ეგლა მგონია თავშესათარი, პელო! სხვისთვის შეიძლება ცუდი ვიყავ, სტეფანესათვის მინდოდა ყველაფერი. შენც იცი, რა არ გაეკეთე, რომ ცხოვრებაში ეგ ბედნიერი ყოფილიყო. საბოლოოდ სოსიკოს პენსიითა ვცხოვრობ და ღვიძლი შეილი ლუქმას მყვედრის.

— რას ამბობ, ქა? — გაოცებისაგან მტკაველზე დაალო პირი პელომ. — ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა.

მელანო ჩემად იყო, ხმას არ იღებდა. პელოს დიდიხანია არაეინ ელანძლა, მიხედა, მელანოსაგან სტეფანეს ლანძლვა ნებადართული იყო, ყბები მესურნესავით გამობერა და რიხიანად დაიწყო.

— ეხლანდელმა შვილებმა როდი იციან პატივისცემა და მშობლის ამავის დაფასება. ასეთი არგასაზრდელი რომ გაგიჩნდება, ქუსლი უნდა დააქირო და გასტყუიტო. შენ გაათამამე, შენა ხარ გასალანძლი...

— ეგე, ისევე მე მომადექ, არა?

— მაშ ვის მივადექ? დედა ხარ, აგრემც დედამგელი გაიცეს...

— დაუწი ლამფასა, — წაიდრინა მელანომ. — ნუ იცი ენის უშნოდ ტარტარი.

— მაშ რა გეგონა! ოქროს ძეგლს დამადგამსო? დაიცა, თუ შენ ჩამასწარ საფლავში, იმასაც დავინახავ, შენმა შვილმა ძალი დაგაკლას ზემოდან.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე ჯოჯოხეთის მუგუზალო! — დასტყვილა მელანომ. — გულმოკლულ დედას, ეგ უნდა მითხრა...

— შენ ბევრჯერ გაგილანძლივარ

უმიზეზოთა, შენცა და სხვასაც, ბევრ-
ჯერ შემდგომიხართ წიხლითა და ჩემი
თავი გიბეგვიათ რისთვისა? ერთი ბეწო
დანაშაული არა მქონია. სიმაართლე რომ
გითხრა, რადა გწყინს? ენამწარეს მეძა-
ხიან, მე კი არა მაქვს მწარე ენა, შენა
და შენისთანებს გაქვთ მოშხამული გუ-
ლი და სწამლავთ ყველასა. რისთვის
გარევე სახლიდან დართ და გით?

— მე არსადაც არ გამირეკია. შენ
კარგა იცი, ქალაქში ისინი თავისი ნე-
ბით წახირდნენ.

— სახლის კარზე თუ გველს დაუგ-
დებდი, როგორღა შემოვიდოდნენ ოჯა-
ხში, გენაცუათ!

— როდის დაეუგდე გველი, შენ
სრულ ჰქუაზე ხარ?

— ღმერთს იმოდენა შესცოდე, ამ
ცოდევებს ვერასოდეს ჩამოიბერტყავ...

— მაშ ვერასოდეს? — თავისდაუნე-
ბურად შეშინებულმა იკითხა მელანომ
და სახეზე სრული უმწეობა გამოეხატა.
მერე ბრაზიანად დაამატა. — რეებს მიმ-
ქარავ!

— ღმერთი არ შეგარჩენს, მელანო,
იმისი რისხვისა გეშინოდეს. ჯამბარას
ძელებია, მოსვენებას რომ გიფრთხობს,
ეს ძელები, ერთხელაც იქნება, საფლა-
ვიდან ამოაშუქებს და სამართლის დად-
გენას მოითხოვს. რა გინდოდა შე უბე-
დურო, შენი ხელით რისთვის გაითხარე
სამარე, სხვას რომ წაართვი და წაღლი-
ტი, ამით რა გამორჩიომა ნახე ცხოვრე-
ბაში, ამოდენა ცოდვის გალება ვინ და-
გიფასა, რა მიიღე წყევლისა და ლანძლ-
ვის მეტი?

— დაჩუმდი! — დაიკვილა მელანომ.
— ეშმაკივით ნუ დამსისინებ. დამიკა-
დე, სული მოვითქვა. რა გინდა პელო,
რისთვის მიმოკლებ სიცოცხლეს, ვინ
გამოგზავნა, ვის საქმეს აკეთებ, შე
მათხოვარო...

— გამლანძღე, ვირისაგან წიხლი არ
მეწყინება.

— დაჩუმდი! — კვლავ დაიკვილა მე-
ლანომ, ქოში გაიძრო და პელოს მთელი
ლონით ესროლა.

— ვაი, დაიგმინა პელომ და ჩამტე-

რეული კბილები გამოაფურთხა, — ღმე-
რთი ჩვენ მაღლაა მელანო და ყველა-
ფერს ხედავს.

— წახირდი აქედან და ჩემმა თვა-
ლებმა არ დაგინახოს! — ხმაჩახლეჩილი
ამბობდა მელანო.

პელომ გულმხურვალედ ამოიგმინა,
დამკენარ სახეზე თავმოსახვევი იფურა,
ნაცემი ძალღივით, კენესითა და ღურ-
ღურით გავიდა ეზოდან.

მელანო გაშეშებული დარჩა. მას თა-
ვისათვის ანგარიში ვერ მიეცა, რის-
თვის დაიუმძრახა პელო, უკანასკნელ
ხმისგამცემს რად ამოაყვეთინა ფეხი
თავისი სახლიდან. მას ბევრჯერ უგი-
ნებია პელოსათვის, ისიც ერთგული
ძალღივით ჩუმად იჯდა ხოლმე და
წყვეწყავებდა. ხანდახან მელანოს კბე-
ნას ყრულ გაეძრახებოდა, ერთმანეთს
შეუღრენდნენ, მცირე ხნით წაიკიდე-
ბოდნენ, მაგრამ შემდეგ, ყველაფერი
მშვიდობიანად მთავრდებოდა. ცხოვრე-
ბიდან ბევრს ელოდა მელანო, საბო-
ლოოდ სულიერი სიღატაკე და ლანძლ-
ვა-გინება შეხვდა. თავათაც გაბრაზე-
ბული იყო სტეფანზე და სიღოზე,
პელომ, იმის მაგივრად, რომ ენუგეშე-
ბინა, ცეცხლზე ნავთი დაასხა, შეუნთო,
შეუკეთა, შეუპიღპილა. მელანოსათვის
ცხადი იყო, დღის შემდეგ, პელო მის
ოჯახში ფეხს აღარ დაადგავდა. რიას-
თვის უნდა მოსულიყო? ერთადერთ
დამტარებლად პელო ეგულდებოდა და
სახლიდან კი გაავლო. რატომ, რა უთ-
ხრა ტყუილი?

მელანო გაშეშებული იჯდა, ნანობ-
და, მაგრამ გვიანლა იყო. უეცრად მან
ისე მარტო იგრძნო თავი ქვეყანაზე,
რომ შეეშინდა, უცნაურმა ცახცახმა
აიტანა, წინ თითქოს სიკვდილის ლანდი
აესეცტა და თავისი სისხლიანი თვალე-
ბით სახეში ჩააქცერდა.

მელანომ ხელი გაიქნია, ეგონა მოჩ-
ვენება გაქრებოდა, არა, ის არ გამქრა-
ლა, უფრო მკვეთრი და ხელშესახები
გახდა, ემანქებოდა, უცინოდა, მერე,
უზარმაზარი ცელი დააძვრინა და ისე
მოხერხებულად გაიქნია, უთუოდ ქალს

წელზე გადასჭრიდა. მელანომ დაიცივ-
ლა და ტახტიდან გადმოვიარა.

ეროში სტეფანე შემოსულყო, ჩალე-
წილ კოშკარს დაღლილი თვალებით
დასცქეროდა. მელანოს კვიელი რომ
გაიგონა, სახლისაკენ გამოქანდა, სანამ
მივიდოდა, დედა ტახტიდან გადმოვიარ-
ღნილი და გულწასული დახვდა.

სტეფანეს ძალიან შეეშინდა. ჯერ
ქეჩოზე ხელი იტაცა და შუა ოთახში
გაჩერდა. მერე კოკა აიღო, ჯამში წყა-
ლი გადმოსახა, პეშვებით ამოხაპა და
დედას მიასხურა. ცივი წყლის წვეთებ-
ზე შეკრთა მელანო, მაგრამ თვალები
არ გაუხელია. სტეფანემ მთელი ჯამი
წყალი სახეზე მიასხა. ლოყებისა და
ნიკაპის ზეღვა დაუწყო. მელანომ ღრმად
ამოისუნთქა, თვალი გაახილა. რამდენ-
იმე წუთში ისე დასუსტებულიყო, რომ
სტეფანემ მისი ხმა ძლიესდა გაიგონა.

— შენა ხარ, შეილო? — იკითხა მე-
ლანომ.

სტეფანემ არა მიუგო რა, მხოლოდ
მელანოს წინ უფრო მოხერხებულად
დაუდგა, რომ მას კარგად დაენახა, ვინც
იყო.

— ბიჭო, ხმის გაცემაც გეზარება? —
დაიკვნესა მელანომ. — აი, მოგკედლები
და მოისვენეთ ყველამ.

— შენც ერთი, — დაიღრეჯა სტე-
ფანე. — რას აგიტეხია სიკვდილი. გგო-
ნია, ძიან გამახარებ.

მელანოს შვილის სიტყვები ესიამოვ-
ნა. ხმადაბლა თქვა.

— მოდი სტეფანე, ჩემ გვერდით
დაჯექ.

სტეფანე უკვე დროული კაცი იყო,
მშობლის ალერსი მისთვის ისეთი შო-
რეული ბავშვობის მოგონებად ქცეუ-
ლიყო, რომ მელანოს სიტყვები საოც-
რად ეხამუშა.

— რა ძიან გაგიტყბი! — წაილაპარა-
კა უხიაკად. — მე ვიცი, სულ ხელის
გულზე გამოზარდე.

— რატომ არ მეხსნები, შეილო, —
ამოიგმინა მელანომ. — ავად გაგზარდე
თუ კარგად, რამდენჯერ უნდა წამაყ-
ვედრო? მე გაგზარდე, რაც არ უნდა

იყოს, შენ, მშვიდი სიკვდილი მაინც და-
მაცალე...

— ეგეთ გაზრდას სიკვდილი სჯობს!
— შენ თუ კარგი იყავ, მე რას მიგ-
ლებდი ყურს. ზოგს დედა სულ არა
ჰყავს...

— ეჰ, იცი რას გეტყვი, დედაკაცო, —
გააბრტყელა სტეფანემ, — შენისთანა დე-
დას ზოგჯერ უდებობაც სჯობს!

მელანოს ხმა აღარ ამოუღია, ლოყები
კვლავ გადაუფითრდა და თავი ჩამოუ-
ვარდა. სტეფანე წამოხტა.

— ეე, ამანაც ერთი, არ გააჭირა სა-
ქმე! სილო, სადა ხარ, მოდი!

სილო მეორე ოთახიდან გაწითლებუ-
ლი გამოვიდა, ეტყობა სძინებოდა.

— რამ დაგამინა ქალო, ამ შუადლი-
სას? იმიტომაა, რომ სიკვდები და კანში
აღარ ეტევი, ე, შენ დედამთილს ყური
არ უნდა მიუგდო, რომ გიკვდება?

— კვდება? — ძალიან თავისუფლად
იკითხა სილომ.

— რა გაგიზარდა! — იტყცა სტეფა-
ნემ. — შე დასაბრმავებულო, რა შეგიჭა-
მა ამ მოხუცებულმა, რომ ამისი სიკვდი-
ლი აგრე გაზარებს. ჰა, რა-მეთქი? აიღე
წყალი და უპატრონე თორემ გულმუ-
ცელს გამოგიღებ ცემით...

სილომ იგივე გააკეთა, რაც სტეფანემ
და მელანოს თვალები გაახელინა. სტე-
ფანემ შეებით ამოისუნთქა, ტახტზე
დედას თავით დაუჯდა და კისერქვეშ
დიდი მუთაქა დაუღო, მელანომ მად-
ლობის თვალთ შეხედა შეილს, მერე
ხელი ანიშნა, ოთახიდან სილო გასუ-
ლიყო. სილო ბუნღუნით გავიდა.

— ნეტა რა გაქვთ საიდუმლო, რომ
სულ ერთმანეთს ეჩურჩულებით. აი,
თქვენი გაჩენის დღე გაქრა!

— გაიქრე სასი და გახირდი, რომ
გეუბნებიანი! — დაუტია სტეფანემ ცოლს
და თან ბრახიანი მშერა გააყოლა.

— აი დამიწლით ორთავე და თქვენი
ორი კუბო, ამ სახლიდან ერთად გატა-
ნილი მანახვა. — შემოსძახა საჩეხიდან
სილომ.

სტეფანემ არა მიუგო-რა, დედას თვა-

ლით ანიშნა, მარტონი ვართ და თქვი, რა გინდოდაო.

— ბიჭო, — დაიკვნესა მელანომ, — ჩემი შვილი ხარ, ჩემი სისხლხორცი და დღემდე ვერ გავიგე, ცხოვრებაში რა გწყინს და რა გიხარია. მე რომ დაღუპული და გულმოკლული ვარ შენგანა, ამას არ გედავები, შენ ეს მითხარ, ყველასთან ეგეთი დაუნდობელი და ბაიყუში როგორ უნდა იყო? ვინ არი სოფელში რომ გიყვარდეს? ეგეთი გულღრმობა რომ შეგქმნა, ის დღე დაიწვას შენ რომ გაგაჩინე... ნეტავ, მაშინ შენი თავი ქალაქში გამეშვა, აგრონომობა გესწავლა, იქნება რამე გშველებოდა და ბედისაგან ეგეთი ჩარეგვილი არ დარჩენილიყავი... ვენახი მაინც ჩამოგვართვეს, მაგრამ სახლი შენია და ვერავინ შეგეცილებდა...

— მაგ იმედით მოკვდი, შე უბედურო! — წამოიძახა სტეფანემ. — არ გესმის, მთელი სოფელი, ჩვენ სახლზე ლაპარაკობს, რაც იმ ქეციან გიოს გოგო ჩამოეთრია.

— ნუ გეშინია, ვაყვაცურად დახვდი!

— სამართალი ამას როდი უყურებს, დედაცაყო!

— სხვა რამე მინდოდა შეთქვა, სტეფანე, — სიტყვა ბანზე შეისროლა მელანომ. — რაც არი შენ თავზე უბედურება, ეხლა აღარაფერი ეშველებდა, მაგრამ შენი პატიოსნების შელახვას არავის დავანებებ...

— სულ ამას ჩამჩიჩინებ და გულს მიხეთქავ, — ბრახიანად წაილაპარაკა სტეფანემ.

— რად არი ეგრე, ბიჭო, რომ ყოველთვის მოტყუებული უნდა დარჩე და შენი ცოლის უნამუსობა ბოლოს გაიგო?

— რა ვიცი, აბა!

— ჰოდა, დამაცა. ერთი კიდევ ფეხზე წამოვლახლახნდე...

— ექ, მართლა რა უბედური კაცი ვარ ცხოვრებაში, — წაიღუღუნა სტეფანემ.

დადგა მელანოსათვის სიმარტოვისა

და ყველასაგან დავიწყების საშინელი დღეები. რისი შიშიც ჰქონდა მელანოს — მთლიანად გამართლდა. ის ამ ტიპალ ქვეყანაზე სრულიად მარტოდმარტო იყო, მისთვის გული არავის შესტიოდა, მისი დარდი არავის დამძიმებდა; იგი ყველასაგან მივიწყებული და გადაგდებული იყო. მელანომ თავისი ქალობა, თავისი ყველა გრძნობა — დაუფიქრებლად, მთელი გულით, სტეფანესა და მისი ოჯახის ბედნიერებას მიუძღვნა და აი, შედეგი რა იყო. შვილი და რძალი, ბოლოსანს, მასთან ლაპარაკსაც არ კადრულობდნენ. გული ეწოდა მელანოს, ბოლია სუნთქვას უგუბებდა, ყელს უქუშმავდა, უნდოდა ეყვირა, ეღრიალა, მთელი ქვეყნისათვის მოეფინა თავისი გასაჭირი, იქნება ვინმე მშველელი გამოჩენილიყო. იქნება მისი დაუყურებელი ჭირლობისათვისაც შეეზავებინათ მალამო, იქნება განგებას მისთვისაც მოეცალა და აეხსნა, ამოდენა ამაგი წყალში რად გადაუყარეს, ზედ რად დააფურთხეს?

აი ეს მარტოობის, განწირულობის, ყველასაგან დავიწყების გრძნობა სულთამაზუთავივით დასდგომოდა მელანოს თავზე და უკანასკნელ დღეებს ბალღამით უფესებდა. მას თითქოს ყოველივეზე ხელი ჩაეჭნია, სიკვდილს ყრუ დრტივნით ეგებებოდა და სიცოცხლეს ჩუმი ოხვრით აცილებდა.

უკანასკნელ ხანს მელანოს უცნაური ძალით აეკვიატა მოგონებები. როგორ არ ცდილობდა მათთვის ხელი აეკრა, მოეშორებინა, შორს, დავიწყების მორეეში გადაეყარა, მით უფრო თვალნათლივ ეხატებოდა ყველაფერი, უფრო გარკვეულად და ყოველმხრივ, რადგან საკმაო ხანი გასულიყო და შიშისა და სიფრთხილის გრძნობა აღარ არსებობდა.

მელანო დაკვირვებული იყო, სტეფანემ ორნაირი ლაპარაკი იცოდა: „საგარეო“ და „საშინაო“, რითაც გლეხები განცვიფრებაში მოჰყავდა. სტეფანეს ვისთანაც თავის გამოჩენა უნდოდა — ლაპარაკობდა ნელა, ბრტყლად, უცხო

სიტყვების ხმარებითა და ქალაქურის არევით. თუ შინაუბრუნად უნდოდა ვისმესთან გასაუბრება, თავისუფლად ლაპარაკობდა, ისე როგორც ყოველ დღე და ყოველ წუთს.

მელანომ იცოდა, თუ ვინმე სტეფანეს ქალაქურად იკითხავდა, — ბოდიშებითა და მადლობით, — მაშასადამე, სტეფანეს მასთან უნდა „საგარეოდ“ ელაპარაკა, სტუმარი საქირო კაცი იყო და კარგი პურმარილიც უნდა გაშლილიყო. ხოლო თუ ვინმე უბრალოდ, შინაურულად დაუძახებდა სტეფანეს, მაშასადამე — სტუმარი დიდად საქირო და საფრთხილო კაცი არ იყო, შეიძლებოდა იგი ლობესთან კარგახანს გაეჩერებინათ, შინ არ შეეპატოათ, სუფრის გაშლაზე ზომ ზედმეტი იყო ყოველგვარი ფიქრი.

გერმანელები რომ კავკასიონთან მოვიდნენ, სტეფანე ისევე ვარდიანში იყო. მან ორჯერ ზედიზედ აქეიფა ვილაღ-ვილაღები, იმდენი ქნა ინვალიდობა მოიგონა და ბილეთის მიღებაც მოახერხა. სტეფანემ თავისი ავადმყოფობა მალე დაივიწყა, ლაგოდეხში თამბაქოს დამზადების რწმუნებულად დაიწყო მუშაობა, დღეგამოშვებით თბილისში დაარბენინებდა მანქანას, წნორში რომ მრავალქამიერს დაიწყებდა — ლოქინისხევამდე ვერ ათავებდა. მაშინ იყო სტეფანემ „საგარეოდ“ ლაპარაკს მოუხშირა და ვარდიანშიც, მისი სახლის კარზე, ყველანაირი ჯურის სტუმრები არიან; თბილისელი სპეკულანტები, ვაჭრუკანები, წვრილფეხა ქურდები, მეტად გაბღენძილი და დიდმუცელა ქონდრის კაცები... ლაგოდეხიდან თამბაქოს ვზიდებოდნენ თბილისში, მაშინ იყო რომ ლოქინზე, მანქანის ავარიები გახშირდა. თამბაქოთი დატვირთული მანქანა უცბად ამობრუნდებოდა ხოლმე, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ სტეფანეს მკლავიც არ გაუკაწრია. ავარიებს არავინ აქეცვდა ყურადღებას, გახურებული ომი იყო, ფრონტზე ათასობით მანქანა და ადამიანი იღუპებოდა, ვის ჰქონდა იმის დარდი, საღდაც, კახეთის

გზაზე, სამი თუ ოთხი ავარიის გამოწვევით ემტერია თავი. სანამ თამბაქოს საქონელს შეაქურებდნენ, — თამბაქო მსხვეარი აღარ იყო. ყველაფერი ბრალდებოდა ლოქინის ხევს, რომელიც სინამდვილეში ბევრ მანქანას აფუჭებდა, მაგრამ სტეფანესთან უცოდველი იყო. თამბაქოს ფოთოლი შავ ბაზარზე მიდიოდა, ის ქრელი ხალხი, ვისთანაც სტეფანე „საგარეოდ“ ლაპარაკობდა, იყო ამ თამბაქოს გამყიდველი და დამახარისხებელი. როცა სტეფანეს გაუგეს და საქმე მის დაქვრამდე მივიდა, მან თანამდებობიდან სრულიად უმტყვენეულოდ გაინთავისუფლა თავი და მცირე ხნით, იქაურობას გაეცალა, მასზე ლაპარაკი რომ მიმწყდარიყო და დავიწყებოდათ.

მელანოს ბევრი გულისხეობვა ჰქონია შეილისაგან, იცოდა, ის პატიოსნად არ ცხოვრობდა, მაგრამ დაშლა არ შეეძლო, — ყოველივე ისე აწყობილად ზდებოდა, მელანოცა და მთელი ოჯახიც ისეთი პირისგემოსა და ჩაცმა-დახურვას იყენენ მიჩვეულნი, თუ ცოტა რამ დააკლდებოდათ, მაშინვე ბუზღუნს ასტეხდნენ; მელანოს ერჩივნა თვალი დაეხუჭა, სტეფანეს საქმიანობა თითებშუა გაეტარებინა, ყური დაეყრუებინა და დამუნჯებულყო.

ერთხელ, ის დღე არ ავიწყდება მელანოს, ომი ახალი გათავებული იყო, სტეფანემ თბილისიდან ორი უცნობი კაცი მოიყვანა და დედას „ქარხნის დირექტორებად“ გააცნო. მაშინდელი საუბარი, ახლაც, ზარივით რეკს ყურში:

სტეფანე სტუმრებს „საგარეოდ“ მიეგება.

— გამარჯობათ ბატონებო! ძლიერს არ ველირსე თქვენს ნახვას! მობრძანდით, თქვენი ჭირიძე, „მილოსტი პროსიმ“..

მელანომ სტუმრებს შინიდან ხალიჩა გამოუტანა და ეზოში, მწვანე მოლზე გაუშალა. სტუმრები ჯერ კოპწიად ჩამოსხდნენ, ფეხების ვერც შეეცვა მოა-

ხერხეს და ვერც გაშლა, მაგრამ უხერხულად დიდხანს არ მსხდარან, დალიეს თუ არა თითო ჭიქა, ხალიჩაზე წამოკოტრიალდნენ და დილაზე მუთაქებივით გორაობდნენ. მელანო უსიტყვოდ ემსახურებოდა სტუმრებს, საკმელ-სასმელი მოჰქონდა, ჭუჭყიან თევზებს აკლიდა, ხელადებს ღვინით ავსებდა. სტეფანე „საგარეოდ“ ლაპარაკობდა.

— მე სოფელში ვცხოვრობ, მაგრამ შევარცხვინე ბევრი ქალაქელი რომელიც თბილისშია, გარეთ კი ცხვირი ვერ გამოუყვია. მთელი ომი თბილისისა და კახეთის ავტოსტრადაზე გავატარე, ბევრი ხალხი გავიცან და გავიგე მათი გასაჭირი. მე თუ მკითხავეთ, სოფელს ახლა ჩასაცმელ-დასახური უჭირს, ქალაქს კი — საკმელი. თუმცა, პურის საქმე ჩვენთანაც ვერ არი კარგად, მაგრამ, მოგეხსენებათ, გლეხი ოხერია, ბაღბითა და ქინკრითაც თავს გაიტანს და არ მოკვდება. ქალაქელს აზიზი ქამა უნდა. მე ვგრე მიფიქრია, ერთ ფუთ პურში სამი შარვალ-ხალათი მომეცით, ყაბულსა ვარ...

სტუმრებმა მუთაქებივით გორაობას თავი დაანებეს და სტეფანეს გაოცებულებმა შეხედეს.

— რას ამბობ, კაცო, გინდა გავვაკოტრო?

— სხვანაირად არ იქნება. დიდხანს ივაჭრეს. სტეფანე ჯიუტი იყო, ადვილად არ დასთმობდა თავისას. როცა ინათა და მელანომ სუფრაზე მეშვიდე ხელადა მიიტანა, სტუმარ-მასპინძელი შეთანხმდა — ერთ ფუთ პურსა და ორ შარვალ-ხალათზე.

მელანოს კიდევ ბევრი რამ აგონდება, მაგრამ თავი აღარ შესწევს, რომ ორი სიტყვა მაინც თქვას, ან რიდასთვის მოიგონოს, გული ხომ ბოლმითა და დარღით ჰქონდა სავსე.

დედამთილი ცალკე ოთახში იწვა, სიღო დღეში ორჯერ შევიდოდა ხოლმე და საკმელს შეუტანდა. დანარჩენი დრო, არავინ იცოდა, სად დადიოდა და რა დაქონდა. მელანო ჯავრობდა.

— რას დაქაჩანებ, ქა, ფეხმოტეხილ

ძალივით! დაჯე პატა ხანს, მკითხე, მოგვედი თუ დავრჩი.

— ჯერ სად მოკვდი *ბაბულისთვის*

— მალე წავალ ამ ქვეყნიდან და დაეხსნები ტანჯვასა.

— ეჰ, თუ ღმერთი გწამს, ენა დააყე, თავს ნუ მაცოდებ შენი სიკვდილითა.

— გაცოდებ, მე ვიცი, ძან გული დაგეწვება.

— როგორც რძლებს ეწვებათ ხოლმე გული დედამთილზე, მეც იგრე ჩამეთუთქება.

— დაგეხსნები, შე არ გასახარებლო. ორიოდ დღე დამრჩენია, ცოტა შუბლი გამიხსენ, რომ საფლავში გულმოკლული არ ჩავიდე.

— მე რას გიშველი. ვინც გააჯავრეს ის შემოირიგე.

— ვინა, სატიალევე?

— ქვეყანა.

— ეჰ, ის მე რას გამიგონებს, დღევანდლამდე მეგონა, წუთისოფელს ვაჯობე და ქეჩოზე მოვაჯექ-მეთქი. ტყუილი გამოდგა. ღმერთიც რომ იყო, ქვეყანა იგეთი ჰრელია, ვერას გაუგებ. გატინგიცლები და მეტი არაფერი.

— აღრევე უნდა გეფიქრა ეგა შეუბედურო!

— ვიფიქრე, განა-არ ვიფიქრე, მაგრამ მეგონა მოვატყუებ-მეთქი, ქუთით ვაჯობებ, ამ იმედით ვცოცხლობდი და დავლაზლახებდი...

— შენ ის იკითხე, სახლი თუ აგვიზომეს! — ბომბივით დაახეთქა სიღომ.

— აფსუს, რატო ფეხზე არა ვარ. მე მაგათ ვაჩვენებდი სეირსა, გაეკეთებინათ, არ დავფულიდი, მერე, ერთ ბნელ ღამეს მივეპარებოდი, ნავთს გადავასხამდი და ცეცხლს მივცემდი...

— საცხებით გინდა თავი გაიხადო?

— არ შევარჩენდი! მე თუ წამართმევდნენ, სხვასაც ძმრად წამოვადენდი ცხვირიდან.

სიღომ ყური აღარ უგდო, მაგიდაზე სარკე ააყუდა, სკამზე ჩამოჯდა და ლოყების ზელება დაიწყო. მელანომ ერთხანს მღუმარედ უყურა, მერე ველარ მოითმინა და ჰკითხა.

— რას აკეთებ, ქა?

— ჭირი შენ თავს! რა გული გადმო-
მიბრუნე, — შეერთა ფიქრებში წასული
სიღო.

— ე, ლოყებს რად ისრესამ, კინჰარ-
მა დაგსუსხა თუ?

— ბაღლივით იცი ახირება. ყველა-
ფერი შენ თუ არ ჩაგიკენვე, იგრე ვე-
ლარ გამიტოკებია ხელი.

— რა პირკატა გეცემა ხოლმე, შე
თვალბდასაესებია..

მელანო ცოტახანს გაჩუმდა და თა-
ვის საფიქრალს დაუბრუნდა. დუმილი
ველარ გასძლო, კვლავ იკითხა.

— ქა, აგრემც შავი მიწა დაგყრია
მაგ წითელ ლოყებზე, არ იტყვი რას
აკეთებ?

— პულრას ვისვამ, შენ მშვენიერ
შვილს რომ მოგეწონო და...

— ეგ გამოუგონე, ეგლა აკლია.

— შენ რა იცი?

— მუნჯის ენა დედამ იცისო.

— აი დამუნჯდით ორივე და ცხელი
შანთით ამოგეწვით ეგ მურღალი ენა,
რომ აღარ გაატოკოთ.

— ი, ბიჭ, ნუ მილანძღავ, სიღოვ,
თორე, თავს გეფიცები, რა პელოს და-
ვაკელ, შენ ამოგინაყავ ცხვირ-პირსა!
რაო, ეაკაცობაც არ დაუწუნო სტეფა-
ნესა!

— სწორედ ე, მაგას გეუბნები.

— სასი გაიქრე! ეგეთი მურღალი
მეორედ აღარ დაგცდეს პირიდან.

— ფერუშარილს ვისვამ, როგორმე
თავი მოვაწონო ქმარსა და ახალგაზრ-
დობა მოვაგონო. ეგ დასაესები, სანამ
ახალგაზრდა იყო, სიქა გამაქალა, ახლა,
რა შავი მგელი ეცა, წელიწადები გადას
და ველარაფერი მოუხერხებია...

— ფუი, ფუი! — იფურთხებოდა მე-
ლანო. — რა გაიგონა ჩემმა ყურებმა.
მაგისტვის ისვამ და იგლესავ ლოყებსა?
ე, მაგამი ყრი სტეფანეს ფულებსა?
ახირდი, კაცებს საქმელი გაუქეთე.

— რა უნდა გვაკეთო, რა, ი კაცსა
არაფერი მოაქვს და პირისგემო კარგი
აქვს, მამაცხონებულს!

— რატომ არ უნდა ჰქონდეს პირის-

გემო კარგი, შესავით მოტეხილ პერზე
როდი გაზრდილა!

— ახლა, თქვენმა მზემ, ^{ეკონუსული} ^{სწორედ}
გაზრდაშიც არ დამეღაროთ!

— აგრემც არ გაზრდილიყავ და მუ-
ცელშივე გაწყალეზულიყავ — ბედნი-
ერი ვიქნებოდი. რას მაყვედრი შენ ჯე-
ციან თავსა, შენზე ნაკლები რომ ჰყავ-
დეს სტეფანე, თავი ცოცხალი რაღად
მინდა.

— ტეტი, ჩემი თუ აღარ გახსოვს,
ღარო მაინც მოიგონე — სულ პრაფე-
სორებთან რომ მუშაობდა!

— იმიტომაც ვერ დაიჭირა ორი კურ-
დღელი!

— უბედურება ყველას თავზე ხდე-
ბა, ნიშნი არ უნდა მიუგო.

— ჰოდა, რას მირბოდა სიღნაღში,
გდებულისო აქა, ლამაზად გაეთხოვებ-
დი, თავისი ოჯახი და სახლ-კარი ექნე-
ბოდა.

— ე, მაგას ახლა იძახი, არა, როცა
ლოგინად ჩავარდი და მომვლელი გჭირ-
დებო? წინათ ეგრე არა მღეროდი. ღარო
სულელი გოგო როდი იყო, შენა და შენ
ოჯახს მოსამსახურედ დაგდგომოდით.

— ეხლა მაგასაც იტყვი, ღარო მო-
სამსახურედ დამეყენებინოს.

— სანამ აქ იყო, გიყვარდეს, მჯერა,
არ დააკლებდი, კიდე ღროზე წავიდა,
როგორც კი მოიზარდა და ქქუაში ჩა-
ვარდა.

— მამაჩემთან წასულა და უკან აღარ
დაბრუნებულა! რა ძან მახარებებ იმის
წასვლასა, რა გააკეთა მერე ამით?

— რა ვიცი, რა გააკეთა, მე იმას
გეუბნებოდი, ღაროსი მაინც არ გახსოვს
მეთქი, როგორ ხალხში ტრიალებდა?...
მე იგეთი ქმარი შემეძლო შემერთო,
რუსულიც კარგა სცოდნოდა, თბილის-
შიც სახლები ჰქონოდა, თეატრში გვეე-
ლო...

— კიდე, „მაერთობლანები“ და „მაში-
ნები“ რომ ჰქონოდა, ამაზეც არ იტყო-
დი უარს. შე დასაბრმავებელი, რუსუ-
ლი კარგა სცოდნოდა, ჩემი სტეფანე
რით არი შენგან დასაწიხლავი, თავისი
სამყოფი რუსულიც მშვენივრათ იცის

და თათრულიც... ან თუ არა და, შენ რუსული უნდა გეჭამა და გეხეთქა, თუ პურ-ღვინო? მითხარ, რა გაკლია რას მოინდომებ, რომ ვერ ისრულებდე, რასაც დაამთქნარებ, სტეფანე, თავისი უბედური ხასიათით, ყველაფრის ნებას გაძლევს და იმიტომ გადააჯექ თავზე. შენ იგეთი ქმარი უნდა გყოლოდა, დილა-სალამო შეინდის სახრით ფერდები აეჭრელებინა და მაშინ, თვალ დაევიქრდი როგორი ბუღბუღი იქნებოდი... ახლანდელ რძლებსა, ადამიანი სიკეთეს ვერ დაანახებებს. ახლა ყველა პრანკიაობს და ითხლიშება. იმას აღარ უყურებენ, შეშენის თუ არა. წინათ დედაკა-

ცი, ჯერ თავისი პატიოსნებითა და ოჯახიშვილობით ამაყობდა, მერევე ხსენებდა ფიქრობდა. ახლა, შენა და შენი ქვამისანი ერთმანეთს ლოყების წითლად დათხუპენაში და ნაირნაირი აბრეშუმების ჩაცმაში ეჯიბრებით! სადღაა თქვენი პატიოსნება...

— ენა დააყე, თორე ცხვარივით ყელ გამოგკრი! — დაუბღვირა სიდომ. ამაზეც გადბომწვდი?

— დამაცა, ერთი წამოვდგი! მე შენ გაჩვენებ, დავრდომილ დედამთილს რა შეუძლიან. სტეფანეს შერცხვენას, ღმერთსაც არ ვაპატიებ!

8. ლამი

თებერვლის დამლევს მზექალა ავად გახდა. ლამლამობით დიდ სიცხეს აძლევდა, აბორგებდა. თვლებში დანთებული ცეცხლის ალი ჩაეშრიტა. უბებები ჩაუშავდა. ქუთუთოები დაუმიმიდა. შავგვრემან სახეს ლიმონისფერმა გადააქრა. სამუშაოს კარგახნით მოსცდა. ეს უფრო უძლიერებდა შფოთვას და ყოველწუთს მზად იყო, როგორც კი თავს მართოდ დაიგულებდა, ქვეშაგებიდან ამღვარიყო. დღენიდაგ ამბობდა: ოთახში ნუ მკლავთ და წამებით ნუ მაწვალებთ, გარეთ გამიყვანეთ, სუფთა ჰაერი მომარჩენსო... მაგრამ „ჯიუტი“ ექიმები არ სთანხმდებოდნენ და ეუბნებოდნენ: გარეთ გასვლა არ შეიძლება, ფანჯარა კი გაიღო.

მზექალას სიცხისაგან სახე ეწოდა. ოფლიან ხელებს საწოლს უსვამდა და შლამზე ამოგდებული თევზივით პირს აბაკუნებდა. ავადმყოფობაზე ძლიერ ფიქრები სწევდა. წამდაუწუმ ალუანს იგონებდა, იალაღებზე გატარებულ ბავშვობას. ერთ ღამეს ძილში დათვის ღრიალი შეესმა. საწოლში გაფითრებული წამოჯდა. სიმწარისაგან თითებს იმტერვდა. ჩალურჯებული ტუჩებით ჩურჩულებდა: დათვი მომდევსო... და ანაზღად ნადირობა მოაგონდა.

სწორედ ეს დრო იყო. თებერვლის გასული. გაზაფხულის წინადღეები. ქიუხებში თოვლი ჩამომდნარიყო. გაყინულ

კლდეებზე სითბო იკიდებდა ფეხს.

ქუჩებს ციკაბო ჩაებლუჯა და სველ ტინებს ისე ძალუმად ეკიდებოდა, როგორც ეს უფსკრულის პირას შუბლგანგმირულმა ჯიხვმა იცის, ხეეში რომ იჩეხება და დასუსტებული ფეხებით მიწას ფხოკნის. ცაზე ჯუფთად მიჯარულ ღრუბლებს მზის სხივი დასხლტოდა და ნაადრევ სითბოს სიცივისაგან მიკარგული ჩანჩქერები მოედიდებინა. თოვლი მიწაში იწურებოდა და ვიწროებში ატალახებულ ზვავებად ცვიოდა.

გაზაფხულის პირს მზექალა აბრიას მგელზე სანადიროდ გაჰყვა, ბატკანს დღენიდაგ რომ აწუხებდა.

გვიანი ღამე გადასული იყო, რომ ქამანდასავით ნასროლ ბილიკებს შეჰყენენ. ცხენები შინ მოიტოვეს, რადგან ერთი მტკაველი სიგანის ბილიკზე ეშმაკიც ფეხს მოიტეხდა.

მზექალას თავზე ბატკნის ტყავიდან ამოღებული ქუდი ეხურა. ხელში ცალკულიანი თოფი ეჭირა.

აბრიას გებადა! მხრებზე ჯიქურ მოეგდო, ძველებურ, ლულაწაქრილ შამხანას ციკაბობებზე ხელჯოხად იშველიებდა.

სულგაცანცული მიდიოდნენ, როგორც მთაში ნადირობის რიგი იყო.

ერთი უღაგილო, მცირედი ჩქამი და

1 მოკლე ნაბადი, მებღებამდე, მთის ხალხი იცავს.

ეს თავწამახული ქიუხები და ყამთა რეცხვით ვეშაპის ხახასავით ამოფულრული უფსკრულები იქაურობას ეხოთი გააყრუებდნენ. და მაშინ ამ ხმაზე მგელი კი არა, სვავიც გაფრთხებოდა.

ის იყო ბეჭობებს რიყრაყი ჩაეფინა, რომ ამბობდა ატალახებული სერები ჭოგრიტით დაღანდა.

მზექალა ჭარმაგს გვერდით მიუდგა და ირგვლივ მდუმარედ მიმოიხედა.

მათ ახლო რაღაცას გაეგლო და თუშური ქულისხელა ნათესურები დაეტოვებინა.

ამბობდა მყისვე დათვის კვალი შეიცნო, მაგრამ თქმით არა თქვა, ენა კბილებში ჩაიკვინტა, ქალწულს რომ არ შეშინებოდა.

მზექალა ჭარმაგს გუმანის გაორებას ვერ მიუხვდა.

ორიოდ ნაბიჯი გაიარეს, როცა მოტიტვლებულ სერზე მზექალამ ძაღლის ლეკვისხელა ბელი დაინახა.

ქალწულს სახე გადაებადრა, თოფი შემართა.

ამბობდა შეუწყრა. ნუ მოკლავ, პატარაო.

მაშ ცოცხალი დამიჭირე, — შეევედრა მზექალა.

ამბობდა მკირხანს იფიქრა, ნაბადი მიწაზე მიაგდო, თოფის ტუჩს მაქის ტყავის თავისი უდიდესი ქუდი წამოაცვა.

მზექალას უბრძანა ჯაგს ამოფარებოდა, თავათ თოვლზე გაწვა, გახობდა და თან თოფის ტუჩით ქუდი გადააგორა.

ბელმა ბანჯგვლიანი ქუდი შენიშნა მისკენ რომ მიგორავდა, შესაგებებლად თვითონაც ძალუმად გამოვარდა.

ამბობდა ქუდი ბელს სათამაშოდ და სადორბლავედ დაანება.

როცა ბელი ბეწვიანი ფაფახის გორბობამ შეიტყუა, ამბობდა მზექალას ანიშნა გეზადა მომაწოდო.

პაერში გეზადის კალთებმა ორბის ფრთებივით გაიშხულიეს და ქუდთან ატორლილებული ბელი გრძელ ბეწვში გაებლანდა.

ამბობდა ბელი წამსვე გაყოქა და მზექალას ჩააბარა.

ქალწული ძლიერ იყო გაბარებული, ეთამაშებოდა, თათებს უქრტყრდა. გათენდა და ამბობდა შინისაკენ გამოძრუნება არჩია.

თოფები ორივემ მხარზე გადაიკიდეს და ძვირფასი ნადავლით ხელში ბეჭობს დაჰყენენ.

მთის ყელი ძუნძულით ჩამოიბრძინეს და აშლილ თხემზე გავიდნენ.

ის იყო ამბობდა თავისი საყვარელი შაირი წამოიწყო, რომ ნადირის საშინელმა ღრიალმა შეზარა.

გაქავედნენ. მიაყურეს. მიხედნენ: ქიუხებში დათვი ნობლაოდა, ბელწართმეული დედა.

ჯერ მარდად დაქუსლეს, მაგრამ მალე მოახლოებულ ღრიალზე ისევ შეჩერდნენ.

„ბელწართმეულს სისხლის აღება უნდა.“ — ცივად თქვა ამბობდა.

მზექალას ხმა არ გაუცია.

შვილდაკარგული დათვი ღრიალგებდა, ბუბუნებდა, მთა-ბარს აზანხარებდა.

ქალწულის ძუძუსთან დრუნჩმიდებულმა ბელმა დედის გოდება შეიცნო და აკრუსუნდა.

ბეჭისთავეები აუცახცახდა. ფერდები დაებერა, ლაშებზე დორბლი წაეკიდა.

ცოდოა ქალავ მშობელი, ბელი დავებრუნოთ! — უთხრა ამბობდა.

მზექალა გაჯიუტდა.

მაშინ ამბობდა თავისდაუნებურად მაშხანა შემართა და ლაქეარდს თოფის წამალი მიაყარა.

ჭარმაგი შეცდა. თოფის ხმა გაავებულ ნადირს როგორ დააფრთხობდა.

ეხოებრს მოძახილი რომ დასრულდა, დათვმა ალლო აილო და ამბობდა იგრძნო, ნადირი სწორედ მათკენ მომავალ ბილიც დაადგა.

მეტი გზა არ იყო. სისხლი უნდა დავლერილიყო.

ამბობდა თოვლი ააქუჩა და მარჯვედ სასროლად საფარი გააქეთა.

მზექალა გვერდით მიუჯდა.

ღრიალი ახლოვდებოდა. გამოვლილ მეკობართა ნაკვალევზე ტორების ბღლარძენი ისმოდა.

მზექალა შიშისაგან გაფითრდა. თოფი თოვლზე ცივად მიაგდო და ბელსაც ხელი უშვა.

მცირე ეპი ვალახლანდა და უცხად ბილიკზე წაბლისფერი დათვი გამოჩნდა.

ის ჯერ უკანა ფეხებზე შედგა, აიყალყა, წენგოსფერი თვლებით მიდამო მოათვალღერა, მტრები რა შენიშნა, საზარლად დაიღმევლა, ტორები მიწას მთელი ძალით დაათხლიშა და საბელგაწყვეტილ ბულასავით გამოქანდა.

ბელდაკარგულმა დედამ თავისი ხისხლ-ხორცი დანახა და თვალებიდან სიხარულის ნაკვერჩხლები დასცივდა. აბრიას ნადირის ღრიალმა სახეზე ტო დააყარა.

ფიჭრის ღრო აღარ იყო.

აბრიამ გებადა მხრებიდან გადაიგდო, წაუწეა და თოფის ტუჩზე დათვის შუბლი დასვა.

ის იყო ჩახმახისათვის სალოკი თითი უნდა გამოეკრა, რომ შეშინებულ მზექალასგან მივიწყებულმა ბელმა თათები გაინათვისუფლა და დედისაკენ კოტრიალით ვადახტა.

მზექალა წამოიჭრა, ანაზღვეულად უკან მიჰყვა.

აბრიამ მოასწრო და კოჭხევით ხელი სტაცა. საფარში გადმოაგდო.

— რას შერები, ბედშავო! თუ სიკვდილი მოგინდა რაღა ვაგვიყვებუდი ნადირის თათებით! — წასცრა ვალურჯებელი ტუჩებიდან.

ამასობაში დედა-შვილი ერთმანეთს დაუახლოვდა.

ბელი არხეინად მიკუნტრუშობდა და ვერ გაეგო მისი დედისათვის რა საბედისწერო წუთები იყო.

დათვი გაზარებული მობაჯბაჯებდა და აქაფებულ ლამებზე დორბლი ჩამოსდიოდა...

აბრიას სახლში ორმოცი დათვის ტყავი ჰქონდა, ბელის დაკარგვა ეწყინა.

აყალყული დათვი ბელს უნდა ჩახვეოდა, აბრიას თოფმა გულგრილად დაიბუბუნა.

დათვი მიწას ჯერ ზურგით დაეთხლიდა. „მნათობი“, № 3.

შა, მერე წამოიწია და შიშისაგან განზე გამხტარ ბელის ტორებში მოკვდება მოასწრო.

არ დასცალდა. მეორე ტყვიამ ბილიკზე გაჩახხა.

აბრია საფარიდან წამოიჭრა, ნადირთან მივიდა. დათვის ტორებში ვაბლანდულ ბელს დასწედა. აიყვანა. ხელიდან ცივად გაუშვა.

ორმოცი დათვი მოეკლა და ჯერ გული არ სტკენოდა.

ახლა ავკაცობა გამოუვიდა. ბელი უნდოდა მოეტაცნა და ნადირს ისიც ზედ დააყლა.

მზექალა ატირდა. მას შემდეგ კიუხებში სანადიროდ აღარ ასულა. თითქმის აბრიაც შეეჯავრა.

და აი, ახლა, ავადმყოფობისას მზექალას დიდიხნის წინათ ყურსჩასმენილ დათვის სასიკვდილო ღრიალი მოაგონდა.

საწოლში შემკრთალი წამოჯდა, ყური მიუვდო.

გარეთ გაწიწმაცებული ნაგაზის ყეფა, ნახირიდან დაბრუნებული ფურების ბლავილი ისმოდა.

„ჯიუტი“ ეჭიმები მზექალას წამლეზით არ ასვენებდნენ და მანაც სულ მალე მოკეთება იგრძნო. სანდრო მის სასთუმალს არ სცილდებოდა.

— შენ და ნინომ ხომ გაიმარჯვეთ, ახლა რაღა გინდათ! — ხანდახან მზექალა წააყვედრებდა და ტუჩები ბავშვივით დაებერებოდა.

— გამარჯვებამდე ჯერ შორს არიხ. საბას ალბათ სამინისტროს კოლეგიაზე გამოიძახებენ და ჩვენი გეგმის დაცვა იქ მოუწევს. შენ კი, რას გვეთოშები. რატომ შე და ნინო, და, არა, შენც ჩვენთან ერთად?

— თავი გამანებე! სლუკუნით ამბობდა მზექალა.

— რომ იცოდე, რა შესანიშნავია ჩვენი გეგმა, — გაიღიმა სანდრომ. — თუნება დავერთეს და ბურღულები გავაყაფინეს, გაკათულს მოვხნავთ, ნამყენს ჩაყვრით და ორი-სამი წლის შემდეგ

საუკეთესო ღვინოს მივიღებთ.

— საუკეთესო ღვინოს! — გაიმეორა მზექალამ და ხელისგულით ქუთუთოები მოისრისა. — რაღა გიჭირთ შენ და ნინოს. დასხედით და ერთმანეთის სადღეგრძელოები სვით!

— შენდა? — გულუბრყვილოდ ჰკითხა სანდრომ.

— რა ვქნა, ღმერთო ჩემო, რა ბაღლს გადავეყარე! — გაჯავრდა მზექალა. — ცხოვრებაში მარტო ვენახის ცოდნა როდია საკმარისი. ცოტა სიყვარულშიც უნდა გესმოდეს რამე. რით ვერ გაიგე, რომ შენ აღარ გიყვარვარ.

— რას ბავშვობ, მზექალა — სანდრომ ხელები მოხვია და ლოყაზე ნაზად აკოცა.

— ნუ მეხები! — ჰირვეულად წამოიძახა მზექალამ. — სენი არ გადაგდო.

— მზექალა! ველარ მიცენიხარ?

— მეც დიდიხანია ველარ მიცენიხარ, ჩემო რაინდო. მას შემდეგ რაც ნინო ჩამოვიდა, გამოიცვალე. ვერავის ვერ ამჩნევ. გაბლენძილი დადიხარ, შენი თავი პროფესორი გგონია.

— რომელი პროფესორი, რის გაბლენძეა, რას ამბობ?

— რასა და რაც გეყურება. შენ ამ ბოლო დროს ჩემი ენაც ვერ გაგიგია. მეცნიერულ მსჯელობებში ხარ გადავარდნილი, ლოგიკურ საუბრებში, „სილოგიზმებში“ და „სისულელიზმებში.“

— მზექალა, შენ ავადმყოფობის შემდეგ განერვიულებული ხარ, — დაუყვავა სანდრომ. — ლაპარაკი გაწყენს.

— როგორ, ლაპარაკსაც მიკრძალავ?

— სხვა რა ავიკრძალავ?

— ენაც აღარ შემძღვია გავატოკო? დამუნჯდევ?

— ნაავადმყოფარი ხარ შეთქი და ჯანმრთელობას უნდა გაუფრთხილდე.

— დი-დი მადლობელი ვარ ზრუნვისათვის! ავივსე, ყელამდე ავივსე შენი პატივისცემით. ოხ, ოხ, რა რაინდი მყევ-ხარ!

— ვერ გამიგია, ჩემგან რა გინდა?

— ვერ გაგიგია! კარგი თავის გამართლებათ. რის გაგებაც არ გინდა, მაშინ

ყურსაც დაიყრუებ, დამუნჯდები, გასულელდები, აზროვნების უნარს დაკარგავ და ბუნდოვან ლაპარაკს სხვას დააბრალებ, რომ შენ მისი სიტყვებისა ვერა გაგიგია — რა რა თქმა უნდა, ჰირი-მე, ყველა ქალაქურად ვერ ლაპარაკობს, ყველა არ იგრიხება, ყველა ხომ მაღონა ვერ იქნება!

— ნამდვილად სიცხე გაქვს, მზექალა! დაწყნარდი.

— შენ იცი, ვინ დაიწყნარე, აგერ ჩვენ სოფელში კვირაობით ერთი გიგი ქალი დადის! მე შენი დაწყნარება არა მჭირდება. პასუხი გამეცი, რასაც გეკითხები.

— მითხარი რა გინდა და მე მზადა ვარ.

— მზადა ხარ? იმდენი მე ვავიხარო, რომ გული გიკანკალებს.

— არა, სრულებითაც არ მიკანკალებს.

— არა?

— სინდისს გეფიცები, სრულიად დამშვიდებული ვარ.

— დამშვიდებული ხარ, გული არ გიკანკალებს? — თვალეში გაუდიდდა მზექალას.

— ჰო, ჰო, გარწმუნებ.

— აი შე, მატყუარავ! გული რატომ არ გიკანკალებს? სანამ სიყვარულს მეფიცებოდი, სულ იმას გაიძახოდი უხეირო პოეტივით, შენზე ფიქრით დავი-ლიე, გული დამიავადმყოფდა, აღარ მძინავსო. ახლა ისე შეგპოლდი, რომ ჩემს გაბრაზებაზეც შენ არხეინად ხარ! ასეც ვიცოდი, რომ მოხდებოდა. მე ხომ ქალაქელი არა ვარ, სხვასავით პროსპექტებზე არ მისეირნია, მოდაზე არ ჩამიცვამს, ტუჩები წითლად არ მომიტუხ-ნია. მე არც საყურეებს ვატარებ, არც ბეჭედს, თმებიც არა მაქვს შეკრეჭილი. გრძელი ნაწნავები ჩამორჩენილობაა, აზიელობა. რას ვიზამ!

სანდრო ხელებს იქნევდა, პირს აღებდა, მაგრამ მზექალა აღარ აცლიდა და ურახუნებდა.

— მადლობელი ვარ! დი-დი მადლობელი ვარ პატივისცემისათვის! ყოველი-

ვე იმ სიკეთისათვის, რაც ჩემთვის გაიღეთ. მე რაღა დამრჩენია, თუ არა დამორება. ცოლ-ქმარი შორდება ერთმანეთს და ჩვენ ხომ ჯერ ხელიც არა გვაქვს მოწერილი.

— მზექალა, სცდები, ყური დამიგდე.

— ნინოს ჩამოსვლამდე თუ სულ ჩემს გვერდით იყავი, ახლა რათა ხარ მასთან, რათა, მიპასუხე?

— ნინო ნიჭიერი აგრონომია. კვლევის უნარი აქვს... მან მუშაობა გამოაცოცხლა. ნუთუ არ გესმის? ჩვენ საერთო საქმე გვაკავშირებს.

— გაკავშირებთ?

— ცუდს ნურადფერს ნუ აკადრებ. შენ ნინოს ახლოს არ იცნობ, მას სოფელი ჩვენზე მეტად უყვარს. იცი, ის ვინ არის? ჯამბარას შვილიშვილი.

— არ მაქვს პატივი ჯამბარას ვიცნობდე. — ცივად თქვა მზექალამ.

— შენ საიდან უნდა იცნობდე. შენ დაბადებული არ იყავი, ის რომ მომკვდა. მას ვარდიანში ყველა იცნობს. საწყალი, გამრჯე, ღარიბი კაცი ყოფილა!

— მერე მე რა?

— ის რომ, ნინო პატიოსანი ახალგაზრდაა და მე მასთან არავითარი სხვა გრძნობა არა მაქვს, გარდა საერთო საქმისადმი სიყვარულისა.

— შემომფიცე, შემომფიცე, — ჰირვეულობს მზექალა, თვალები ღიმილით ეცხება, უნდა დაივიწყოს რაც თქვა, იქნებ მართლაც ყველაფერი ავადმყოფობის ბრალია, ადრე სანდროს არ ეჩხუბებოდა. თუმცა სანდროც რომ ყოველთვის მასთან იყო? საქმე ვიღას არ ჰყვარებია, მაგრამ ეგრე მთელი დღეები გაქრობა ხომ არ შეიძლება. არა, შეხურება მოუხდება, — ფიქრობს მზექალა. — უსათუოდ მოუხდება! საქმის სიყვარული იმას არ ნიშნავს, რომ შეყვარებულები დაივიწყონ. ეს ისეთივე დანაშაულია, როგორც ოჯახის დანგრევა. დიან, მე როგორც ქალს, სრული უფლება მაქვს სანდროს ვედავო. მე მამაკაცის ყურადღება მჭირდება. მე ქალი ვარ, ჩემი მოთხოვნებიანი მაქვს.

სანდრო ვალდებულია მას ასრულებდეს. თუ არა, ვუჩივლებ. იცი ვინაა ნინოსთან ნინო განათლებული, კულტურული გოგონაა. რაც არ უნდა იყოს, ქალაქიდან არის ჩამოსული, ჩვენზე ცოტა უკეთ ესმის. ის მე გამოგებს და სანდროს გაიციტავს. ჰო, თუ ეგრე გაგრძელდა, უსათუოდ ნინოსთან ვუჩივლები ნინო აუგად როდის ვახსენე? — იღიმება მზექალა.

თოვლი გადნა, სიცივე გაქრა. სუსხი და ზამთარი ველ-მინდვრებიდან აიბარგა.

მთებს თეთრი სამოსელი შემოაცვდათ. შიშველი ხეები მწვანით შეიმოსნენ.

ცას რუხი ტყვიისფერი წაერთვა და ლაყვარდი საამო სილაღემ დასერა.

კულმაკრატელა მერცხლები მოფრინდნენ. მინდვრებში გაზაფხული ფრთებით შემოიტანეს.

დამზრალ ბელურებს სითბომ ხალისი შემეტა, ზამთარს გადარჩენილი ერთადერთი მასპინძლები მოფრინილ მერცხლებს სიხარულით შეხედნენ.

ჭიკჭიკმა კვირტები გააბრუა. ტოტებმა ზმორებას თავი მიანებეს. ხეები შეიფოთლნენ.

გაზაფხული იყო. სიყვარულის და სიცოცხლის განახლების დრო.

სისხლის მოქარბების, ძარღვების და ბერვის, გრძნობების დახეთქის დრო.

ბუტკოდაბერილი მინდვრის ყვითელი ყვავილები ძალუმად მრავლდებოდნენ. ფულუროგებსა და ნასვრეტებში თავშეფარებული მწერი აწივდა, აზუზუნდა.

შავი წერტილებით მოწინწკლულ ჭია-მაიებს ბავშვები არ ასვენებდნენ. დაიჭვრდნენ, ხელისგულზე დაისვამდნენ და საათობით იმეორებდნენ: — ჭია-მაია გაფრინდი, წითელ კაბას გიყიდი, დიდი, მუხის ფოთლისოდენა პეპლები ფარფატებდნენ, სითბოს და სიტკბოს გულლიად ეგებებოდნენ. პატარა პეპლები საცოდავად დაგოგმანებდნენ, ყვავილიდან ყვავილზე ფუთფუთებდნენ, ფრთებს აპარპაშებდნენ.

ტყეში ფუტკარი ზუზუნებდა და მცენარეთა გულუხვობით გახარებული მარად ეზიდებოდა ფიქვებში ნექტარს.

კორდებზე, აქა-იქ, ენქლებმა ხბოს ძუძუებით ამოყვეს თავი. ბაღებში ვარდებს მეწამული ფერი დაპატრონებოდა. კვირტები კოკრდებოდნენ, იფურჩქნებოდნენ და ლალის კენჭებივით ღვიოდნენ. ნუში და ტყემალი აფეთქდა და თეთრად გადაიპენტა. ძარღვებში სისხლი დაბევრდა, სიყვარულს ვნების ცეცხლი წაეკიდა. ალაზანს მოდიდება დაეტყო; ზარმაცი მებორნეები ჩიოდნენ: ეს დიწხი ალაზანი ისე ავდება, რომ დაღწილ ბორნებს შეგვაკეთებინებსო.

9. ტის ბახსნა

ბურღლები ცულის პირით შემოიხაზა. წარაფი ჯველმა ბიჭებმა წალდით აკაფეს, კორომი გაჩეხეს. კვლავ ადგა ქულზე კაცი მეურნეობიდან. დაბალ, უვარგისს ბუჩქნარს ტრაქტორებს უბამდნენ და ძირფესვიანად გლეჯდნენ. მიწაში ჩარჩენილი კუნძები და ფესვები ნაღმა ბურთივით ზევით შეისროლა. ნაკაფავი საძირკვე გუთნით ჯვარედინად მოხნეს. ერთი მეტრის სიღრმეზე პლანტაცი მიაყოლეს. ბელტებად აქოჩრილ მიწას პირი მოუსწორეს. ხერხის ჭრიალმა, წალღის წკაპუნმა და ცულების რაკარტკმა ყურთასმენა წაიღო.

გაზაფხული იყო, ბუნება იღვიძებდა, ადამიანს ხალისით ავსებდა, მაცოცხლებელი ნექტარით ელაძუნებოდა, აღვივებდა და ანებივრებდა. ნინო მხნე ნაბიჯით დადიოდა, გრილ ჰაერს მთელი გულით სუნთქავდა, ფართოდ იღიმებოდა, ადამიანებს ხელს მაგრად ართმევდა და ფაქიზი თვალებით შესცქეროდა. გივის ოინზაზობით მოღლილი, უკანასკნელი კვირეების ნერვიულობას უფრო მოექანცა. ბუნდათ ახსოვდა გეგმის შედგენა, სამინისტროში გაგზავნა, საბას თბილისში ჩასვლა და ის საბედისწერო ბრძანების ქაღალდი „სამუშაოდან მოხსნილი ხარო“.

განცდებს თავი მოეყარათ, შეერთე-

სითბომ აიძულა ყველაფერი გაზაფხულის ტალავარში გადაცმულყოფა. მაგრამ ზვიად კავკასიონს ვერაფერი მოუხერხა. ის გაზაფხულის გალაღებას აინუნშიაც არ ავდებდა, თოვლის დობანდით თავწაქრულს, ყინვა ჩამობეტყოდა, ათქვირებულ ბუნებას კოპებშეკრული გადმოჰყურებდა და თითქოს ეუბნებოდა: დამაცადეთ, ყინვის თეთრ გველშაპებს თქვენკენ კიდევ გამოვგზავნიო. მაგრამ მას ყურს აღარავინ უგდებდა. შინ თუ გარეთ, ჯიქანდავსებული, ვნებამოწყურებული, სისხლჭარბი და გალაღებული გაზაფხული ნებევრობდა...

ბულიყენენ, ერთ დიდ, ბობოქარ გულისღელვად ქვეულოყენენ, ნინოს ჯერ კიდევ კარგად ვერ აეხსნა რა როგორ მოხდა, ამ საქმეს თავი საიდან დაედო, მისი ბოლო სად გასრულდა, მოვლენები როგორი რიგით წარიმართა. ნინომ იცოდა, რომ მას არავითარი ანგარება არ ამოძრავებდა, არც განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, რომ რაღაც უცნაური აღმოჩენებით და გამოგონებით სამინისტრო გაეკვირვებინა, ყალბი სახელი მოეხვეჭა, ფუჭი ავტორიტეტი შეექმნა, მოჩვენებითი რეპუტაცია ყველასათვის თავზე გადაეფარებინა, აღზევებულოყო. ნინომ იცოდა, რომ ეს ასე არ იყო და სჯეროდა სამინისტროშიც მასზე ასეთი დამამცირებელი შეხედულება არ ჰქონიათ. მაშ რა მოხდა, გივის რა წითელი კვერცი ვერ უვარეს, რით გააღიზიანეს, რომ ასეთ ინტრიგაზე დაპროვოკაციაზე წავიდა? ნინო იჯონებდა ინსტიტუტს, სტუდენტობას და ფიქრობდა ასეთი ბოლო უნდა ჰქონოდა თუ არა „პატიცემულს“. მისი ცხოვრების გზა კრიალა და ლალი იყო, ის მაღლა თანამდებობისაკენ ხმაურით მისრიალებდა, მაგრამ პატიოსან ადამიანებთან პირველსავე შეხლის დროს საპნის ბუშტივით გასკდა. ასეთ დასასრულს ყველაზე ნაკლებად გივი ელოდა, მას ვერ

წარმოდგინა თავისი ნიქისა და შესაძლებლობის სრული გაფურჩქვნის დღეებში თავს ასეთი გამაყრებელი მეხი დასცემოდა, გაებრუებინა, დაერეტიანებინა და ქედმაღლობისა და მლიქვნელობის ოჩოფეხებიან პედესტალიდან კისრისტხვით გადმოეგღო. გივი ხომ ფრთხილი იყო, ის გამოზომილად, აფთიქის სასწორის დოხებით, წინდახედულად, შორსმჭვრეტელურად, ეშმაკობით შიიწედა კარიერის კიბეზე და ეგონა ყოველთვის მზიანი დარი დადგებოდა. როცა მინისტრმა ანდროს ჰკითხა ვარდიანის მეურნეობაში შესამოწმებლად ვინ გაგზავნეო და განყოფილების გამგემ გივიზე მიუთითა, მაშინ კი ნათელი ვახდა მინისტრისათვის ძალის თავი სად იყო დამარბული. ტექნიკური პერსონალიდან შემოსული საყვედურებიც შოიგონა, ანდროს ცოლი იზოლდა მანქანით როგორ დაგრიალეზდა, ქმრის თანამდებობას მხოლოდ იმით აფასებდა, მანქანა ჰყავდა თუ არა, ნაცნობებში ჩიოდა — დავიღალე, წელი მეტკინა მანქანაში ჯდომითო. კაკომ, ჯარიმებით ზულგამწარებულმა შოფერმა, ხელმძღვანელს გულახდილად აუწყა თავისი ვასაქირი. ქალადღი გახსნილი იყო. ანდრო და გივი ახლა აბუზული იდგნენ სამინისტროს კარებთან. სად გაქრა მათი სიამაყე, მათი გოროზი იერი. საცოდავად მხრებჩამოყრილები, თვალბეზსიებულეზი, ტანსაცმელშეფერთხილები ასჯერ და ათასჯერ მიაკაყუნებენ ახლა ნაცნობ-მეგობრების, ბიძების, მეფარველების კარს, რომ სადმე დროებით ჩამოსასკულებელი ადგილი მაინც იშოვონ. მიუხედავად იმისა, რომ ნინო შეთითხნილი საქმის მთელ სიყალბეს ცხადად ზედავდა, ყოველივე მაინც გულსიფრიალით გადაიტანა და მისი ცრემლები მხოლოდ ქალურ სისუსტეს არ მიეწერებოდა. საბოლოოდ დამტკიცებული გეგმა უკვე ძალაში იყო შესული და ბურულეზი იკაფებოდა.

საკუთარი ეჭვებით შეშინებული მზექალა თითქოდა განკურნებულიყო, თავის წინანდელ ეჭვიანობას გულუბრყვი-

ლობად სთვლიდა და ახლა, როგორც ინეინერი, ბურულეზის მამოხანს გამაყრებას ხელმძღვანელობდა. ნინო მხიარულ იყო მასთან და ახალგაზრდა ქალები მხოლოდ ვენახით რადი იყენენ გართული.

— ჰა, შე კუდრაქავ, — ილიმებოდა ნინო. — შენ და სანდრომ ერთმანეთს როდემდე უნდა სდიოთ?

— შენ რა, დაიღალე? — მზექალა თვალებს ეშმაკურად ჰუტავდა.

— მე რა დამლოის, მაგრამ დრო და ხანი აქვს ყველაფერს. მეურნეობაში კაცი არ არის დარჩენილი, რომ თქვენი სიყვარული არ იცოდეს.

— რა ვიცი, შე არავეისთვის მითქვამს და.

— თქმა რა საქირია.

— მაშ ხალხი გულთმისანია?

— ერთმანეთს რომ თვალებით სჭამთ, კულში დასდევთ და ქვეშ-ქვეშ უღიმით, მეტი რაღა გინდათ?

— თქვენც ნუ გვითვალთვალეთ! — მზექალა იხტიბარს არ იტებსდა.

— თვალდახუჭული ხომ ვერ ვივლით, გენაცვა. გავიელო და მზექალა მხედება სანდროსთან ერთად, გამოვივლი ისევე ისინი არიან. როდემდე და სადამდე?

— მე კი ვავიგე, რომ თურმე სამინისტროს წარმომადგენელს უყვარდი? — სიტყვას შეუტრიალებს მზექალა.

— ვინ ვითხრა?

— მართალია? — გაიცინა მზექალამ. — დიდი სულელი ყოფილა ის გივი. შეყვარებულებს ვაყები დედოფლობის ბირდებიან, მან კი...

— არავითარი სიყვარული არ ყოფილა და საერთოდ სისულელეა ამ საკითხზე ლაპარაკი.

— რაზე? სიყვარულზე?

— არა, გივიზე.

— ქვეყანაზე ბევრი უცნაურება ხდება, — ხელები გაშალა მზექალამ.

— სჯობია ისევე შენ მომავალზე ვილაპარაკოთ.

— რა მომავალი? ყველაფერი თითქმის გარკვეულია. შემოდგომაზე ხელს

მოვაწერთ. გაზაფხულზე სახლის მშენებლობას დაიწყებთ.

— სახლი ხომ გაქვს?

— დიდი, ორსართულიანი სახლისას! ფართო აივანით, დიდი ფანჯრებით, მაღალი ქერით. ეზოში საქათმეს, საღორეს ავადგებ. ფერმას გავაშენებ... რომ იცოდე, რა კარგია ჩვენი საკარმიდამო ნაკვეთი! თვითვე ნერგთან ერთად შიგ რამდენი სიხარულია ჩაყრილი!

სალამოხანს ბურულღებში ნინო ანანიას შეხვდა. ანანია რალაციტ ისე იყო გაცეცხლებული, რომ ნინომ ჯერ გვერდის ავლა გადაწყვიტა, მაგრამ ანანიამ თვითონ დაინახა, მივიდა, ხელი მოკიდა და ხმამაღლა თქვა.

— კიდე აქა ხარ? აქი „უვარგისი მუშაობისთვისაო“...

— მკვდრებით აღვდები.

— ვინა? — წამოიყვირა ანანიამ. — იმ ხალხს უნდოდა შენი დაჩაფვრა? ვაი დედასა, რატომ ადრე არ ვიცოდი! როცა აქ იყო, თქვე თჯახაშენებულებო ჩემთვის გეთქვათ, ერთი ჩემებურად ვეტყვოდი, იმ ქიყელასა გვერდებს ლაზათიანად გამოვეუშედი... რატომ არ მითხარით, ჰა?

— იმას უჩვენოდ მოუარეს. თავებლობა არ შერჩა! — მტკიცედ თქვა ნინომ.

— თავებლობა არ შერჩაო? ვინ შეარჩენდა? ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული? არა შეილოსა, მავთი მოსატყუარი კბილები დიდხანია დავიცვალე. მეყო, რაც თავს ვიბრთყებდი და მჯეროდა. თანამდებობის კაცია... მავთზე დიდებიც ყოფილან, მაგრამ სავარძლებიდან გადმოუბრძანებიათ და მარანში ზოფლების მრეცხავებთან არიან... ერთი დრო არავის შერჩება. შენ მე მიუყრე!

— არც შემშინებია, ანანია.

— შენა, ერთი წელი არც არი ჩვენთან მუშაობ, გეგონა ხალხისათვის რალაცა საქმეს აკეთებდი და ამ დროს დაგითხოვეს. უნდა დაფიქრებულიყავ, რა საძრახია შეილო, მაგრამ შენა ჯერ გამოუცდელი ხარ, ეგეთ ხალხს არ იცნობ. დოყლაბიები და მყვირალები ვინ

იცის ჯერ კიდევ რამდენი შეგზვდება. მეც თავის დროზე ბევრი ამიჩხავლებოდა. „ქალაქელი“ აღექსა არ გაგვიგია?

— არა, არ გამოვიცა.

— ჰო, მამაშენს არ ეცნობება, სოფლიდან უკვე წასული იყო, ყური დამიგდე, ჩვენ დროში, ხანდახან, წინანდელი ბატონები როგორ ცოცხლდებიან.

— ცოცხლდებიანო? — ვერ გაიგონინომ.

— არა, ჩაცმულობით, ტალავრით, ლაპარაკით ჩვენები არიან, პატროსანი, ამხანაგის დამფასებელი, მაგრამ გულში რომ ჩახედავ ეგეთ ხალხსა—შეგზარავს. გული სულ ტინჭრითა და ძალღუპრქებით აქვს სავსე...

— ვინ იყო ეგ „ქალაქელი“ აღექსა? — ჰკითხა ნინომ.

— აღექსა ჩვენი მეურნეობის დირექტორი იყო, სანამ სხვა მოვიდოდა. დირექტორი, ხო იცი შეილო, ტვინი და გულია მეურნეობისა, იმან უნდა იცოდეს ხალხის გაქირება და ყველას სატყვიარს თითონა პირველი გრძნობდეს. სანამ უდირექტოროდ ვიყავით — ყველა ჩვენ გვეჯიჯგნიდა. რაიკომის ინსტრუქტორს ქეიფი მოუნდებოდა — ლენისთვის ჩვენ მარანს უნდა ეზრუნა; ქალაქიდან სტუმარი ჩამოვიდოდა — სახლებში ეგზეკუციისავით ჩვენ უნდა ჩაგვეყენებინა, მოკლეთ, ძალდი პატრონს ვერა სცნობდა...

შიომ ბევრი იბორგა, იმღელვარა, ლანძღვით გული მოიოხა, მაგრამ ნაკათავს არაფერი ეშველა. სოფელში ბერიაცმა ორ დღესაც ვერ გასძლო, გვიან ღამით სახლიდან გამოიქცა და ერთ პატარა ბორცვზე, ობლად შერჩენილ ბუჩქნარს თავი შეაფარა. ამ ბუჩქნარში რამდენიმე ძირი ბამბუკი ერია და მეურნეობის დირექტორმა დიდი ამბით ჩააბარა ისინი მოსავლედად. შეველეს ბამბუკის სიყვარვე გააცუნეს, რადგან ამ უცხო მცენარეს კახეთს გაუცოდებელი ბერიაცთ პირღია შეპყურებდა.

— ბამბუკის სამშობლო ჩინეთი და იაპონიააო. თავის სამშობლოში ეს მცენარე დღე-ღამეში ერთ ადლს იმატებს,

ხოლო ჩვენში სამ გოჯასო. ჩინეთში და იაპონიაში ისეთი უზარმაზარი იზრდება, რომ ხიდების მშენებლობისათვის ხმარობენო. ბამბუკს შეუძლია ფოლადის მიღები შესცვალოს და მიწაში ათთხუთმეტ წელიწადსა სძლებსო. ჩვენში კარგად იხარა, და სასურველია მისი მომრავლება, ვენახის ქიგოდ გამოგვადგებაო.

შიოს უკვირდა და ფიქრობდა ხომ არ მატყუებენო, ამ ყვითელ ჩხირებს ფოლადის სიმტკიცე როგორ ექნებათო, მაგრამ მალე დარწმუნდა. მაჯის სისქე ბამბუკს დიდიდან საღამომდე ეჯჯჯგურა და ძლივს გადატეხა. ვენახის ქიგოდ გამოდგებაო, — გაიფიქრა და ბამბუკს გულმოდგინედ დაუწყო ყარაულობა.

სიარულს დაჩვეული ბერიკაცი ორი ნაბდის სიგრძე ბორცვზე ვერ ისვენებდა. ადგებოდა, ბუჩქნარს ერთი ოცჯერ შემოურბენდა და ისევ ჩრდილქვეშ მიწებოდა. დაღლილი, ცოტახანს ჩასთვლემდა, მერე თვალებს შემკრთალი გააყვებდა და ბუჩქნარის გარშემო სირბილს თავიდან დაიწყებდა. მზე რომ მთას გადაეფარებოდა, გულიდან გამხმარ პურს ამოიღებდა და უქბილო პირით კარგა შებინდებამდე ლოლნიდა. ნაწილი ხან სასულეში გადასცდებოდა, ხან ლუქმა გულზე დაადგებოდა და წყაროს ცივი წყლით სავსე ღოქს მალამალ იყუდებდა. ჭამის შემდეგ მთვარის ამოსვლამდე ჩიბუხსა სწევდა. ამოვიდოდა თუ არა მთვარე, შიოსი ვაცვეთილ ნაბაღზე გულდმა გაწვეებოდა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და სახეს მთვარის ლიცლიცა სხივებს ანებებდა. პირბადრი მთვარე მალე ჰქანცავდა და ჩაძინებულ შიოსს თავი გულისპირზე დაეკიდებოდა. მთვარე ტბაში ჩავარდნილ გაყვითლებულ ცაცხვის ფოთოლივით დაკურავდა. ხან აღმა ავიდოდა, ხან დაღმა მთებისაკენ ეშვებოდა და ჩრდილი გრძელდებოდა. მთვარე ჩავიდოდა და შიოც იგრძნობდა განთიადის მოახლოებას. მზის ამოსვლას ბერიკაცი ყოველთვის დაასწრებდა. ბუჩქობზე ჩაირბენდა და მოთენთილ სახეს

ცივი წყლით დაიბანდა. სანიაოზე დაჯდებოდა და სველი სახე ხელად გაუმრეზებოდა.. ასე მიდიოდა შონუცი შეველის ცხოვრება.

ანანისთან ლაპარაკის შემდეგ ნინოს პატევსა სცემდა, ბურულები კარგი საქმისათვის გაეაფიო, მაგრამ გულში შიო ღრმად იყო დაჭრილი და ორმოცდაათი წლის შეჩვეული ადგილის დაკარგვა უძძიმდა, ვერაგვით ვერ შეგუებოდა, წუხდა, ბორგავდა, ილანდებოდა. ხანდახან ნაშუალამევს წამოჯდებოდა და სერებს მთვარეულივით გააყურებდა. შიო ნინოსთან შეხვედრას გაურბოდა.

ამბები უცნაურად წაეწყო ერთმანეთს. ჯერ ერთი ცეცხლი არ იყო გამქრალი, — მეორე იწყებოდა. ამ მეორე, უფრო მზურვალე და მწველი ცეცხლის წამომწყები, ბედიოთ თუ განგების ძალით, კვლავაც ნინო შეიქმნა. მას, დიახაც რომ არ უნდოდა კვლავ შფოთში და გაუგებრობაში გაბმა, მაგრამ მოხდა ისე, სურდა თუ არა, კვლავ უნდა ახალ წამოწყებას სათავეში ჩასდგომოდა.

ნინო მესამე უბნის აგრონომი იყო; უბანში თადარიგი დაიჭირა. მუშები ცერად უყურებდნენ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ყველა სამწიფო საქმეში პირველობდა, მართალია, ჯერ მარცხი არ განიცადა, მაგრამ მისი ცხოვრების გზა არც ია-ვარდით იყო მოფენილი. სახელის მოპოებას დრო და საქმენი უნდოდა, სხვა ვერაფერი მოუტანდა ნინოს, მანაც თავდადებით დაიწყო შრომა, აღმაცერ გადმოხედვას, დამკინავ ღიმილსა და უცნაურ მხრების აჩეჩვას არაფრად ავლებდა, მიზნად დაესახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავისი უბანი სანიმუშო გაეხადა. მაგრამ კაცმა რომ თქვას, მას არ დასცალდა თავის უბანში ხეირიანად მოტრიალებულიყო. ხან რა გამოვარდებოდა და ხან რა. „პატივცემულ“ გივისთან პაექრობამ იმდენად განწერვიულა და დრო წაართვა, რომ ნინო რამდენიმე ხანს ცდილობდა თავისი ძველი კალაპოტი მოეძებნა, წამოწყებული საქმე წინანდელი დადინჯები-

თა და სიხალისით განეგრძო. მოწადინე ერთი იყო, მაგრამ ამ საქმის აღსრულებას მრავალი რამ ეღობებოდა წინ. ნინოს ძალიან უნდოდა გარეშე ფიქრისათვის თავი გაერიდებინა, მთელი თავისი არსებით უბნის ჭირ-ვარამში გადასულიყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სანდროსაგან შენიშვნა მიიღო და უფრო მეტიც, როცა საბასთან მთავარ აგრონომზე საჩივართი მივიდა, დირექტორმა კი ცივად გამოისტუმრა უკან. აჲ ეს როგორ იყო.

კაცი თუ კარგად დაუყვირდებოდა უბნის აგრონომს, მას საბოლოო ჯამში დროც აღარ რჩებოდა თავისი უბნისათვის მიეხედა. ნინო გაერთო მეცნიერულ ძიებაში, მას სულ გადაავიწყდა, რომ ინსტიტუტის პრაქტიკულ მეცადინეობაზე კი არ იყო, არამედ დიდი მეურნეობის ერთ-ერთი უბანი ებარა, რომელსაც მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. ამის თაობაზე ლაპარაკიც მოუვიდა ნინოს სანდროსთან.

— ნინო, — თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიღინჯით ამბობდა სანდრო, — მე როგორც გატყობ, ჯერ კიდევ კარგად გარკვეული არა ხარ შენ მოვალეობაში.

— კმარა, სანდრო! მე ბავშვი აღარ ვარ, რომ ერთიღაიგივე ათჯერ გამიმეორო. ვფიქრობ, იმდენი მესმის...


— მე არ ვამბობ, რომ არ გესმის, გეთყვია, შე ისეთი უფონო არა ვარ, ეს გაკადრო. მაგრამ შენ ურევ შენ მოვალეობას, როგორც უბნის აგრონომი სამეცნიერო-საეკლევ ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაის მოვალეობასთან.

— ვერ გამოიგია, რის თქმა გინდა?

— უბანს უკეთ უნდა მიხედვა. შენს ჯარდა, თითქმის ყველა აგრონომებმა დაამთავრეს საგაზაფხულო ხვნა, შენ ჯერ სასუქის შეტანას ახლა იწყებ. რა არი ეს, ჩამორჩენა თუ არა? მე პირველ რიგში საწარმოო მიღწევები მაინტერესებს.

— მაშ შენა ფიქრობ, რომ მე იაფფასიან სახელში გამიტაცა და არა ნამდვილმა საქმემ?

— სამწუხაროდ, ესეა.

— ვერ გიცენივარ, სანდრო,  თუ კი ცა ნინომ.

— მე სრულებითაც არ მინდოდა ცუდად გაგეგო, მაგრამ სიძარტის თქმა მიყვარს და არ შემძლიან პირი აგარიდო, ჩემთვის რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს.

ეს იყო და ეს. სხვა აღარაფერი უთქვამთ. ნინო იმავე დღეს საბასთან მივიდა და ცრემლებით უამბო მთავარი აგრონომის „ბიუროკრატობა“. საბა ჩუმად უსმენდა, როცა ნინომ თხრობა დაამთავრა, დირექტორს ხმა მაშინაც არ ამოუღია. ნინო საბას სიჩუმემ შეაშფოთა. გონებაში გაიფიქრა, ალბათ ეშხადება სანდროს მისამართით საყვედურის სათქმელადო, მაგრამ საბას სახეზე სრული სიმშვიდის დადი აჩნდა. ნინომ გადაწყვიტა ჩემი საქმე ხელიდან არის წასულიო და თავი ჩაჰკიდა.

— სანდროს ბოდიში უნდა მოუხადო, — წამოღვა საბა, — კიდევ ბევრი მოუთმენია შენთვის. გახსოვდეს ნინო, შინ რომ ყმაწვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვს? ჯერ შენი აგროუბანია მთავარი, ის არის შენი პირველი აკადემია. ჩვენ მამა-პაპას ყველას რომ თვალი ღრუბლებსიკენ სჭეროდა, მიწის საქმე ვილას გაეკეთებინა? ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო. ჯერ რაც გევალება, ის გააკეთე და მერე დანარჩენზე ვისაუბროთ. ჩემი სიტყვა ალბათ არ მოგწონს და გულში მლანძღავ, ხომ მართალია? მეც ბიუროკრატი ვარ? მე მუჩანი ვარ და ჩემს ცხვირის იქით ვერაფერსა ვხედავ? თქვი, ხომ ასე ფიქრობ?

ნინოს სახეზე აღმური ასლიოდა. წინანდელი ხასიათი დაბრუნებოდა. მის მტკიცე ნებისყოფას, დროებით რომ უმტყუნა, კვლავ გადაეცევა ჯაყმანი. ის ტუჩებმოკუშული იდგა, თვალები საესე ჰქონდა რისხვით. რისხვითა და გვრემით საკუთარ თავზე... ნინო ისე იყო გაცეცხლებული, რომ ერჩინა მიწა გასკდომოდა, თუ არა ისევ საბას მამო.

— წყალს რაც უფრო აურევ, უფრო აიძვრება. წალი ნინო და დივიწყე ყველაფერი. ვითომ ცუდი სიზმარი გინახავს. მორჩა და გათავდა.

საბამ თითქმის ძალად გაიყვანა თავისი ოთახიდან ნინო, რომელსაც სირცხვილით წასვლა ვეღარ მოეხერხებინა.

ნინო მუერნობის ხეივანში გამოვიდა და უმისამართოდ გასწია ვენახებისაკენ. მას ახლა, ამ წუთებში არავისთან შეხვედრა არ უნდოდა, არც საუბარი, არავითარი ხმაური, სურდა სიჩუმეში დაძირულიყო, მყუდროებაში ეპოვა წამალი ნატკენი გულისა და ისე დაეუწყებინა ტყვილი, რომ უცხოთ ვერაფერი გაეგო.

ფიქრში ნინოს კარგა დიდი გზა გამოველო, თავის აგროუბანს გასცდნოდა და თითქმის ბოლოში მოქცეოდა ვენახებს. თავჩაქინდრულს თითქმის მხარი ეცვალა, გაოგნებული თვალკაით იყურებოდა აქეთ-იქით და ვეღარ გაეგო სად იყო, რომელ უბანში, უკან, მეურნეობისაკენ რა გზით უნდა წამოსულიყო. სწორედ ამ დროს რაღაც ხმაური მოესმა. ნინომ მიაყურა და სულ ახლოს კაცის ქშენა გაიგო. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაინახა, კოტე, რომელსაც მანქანა გაფუჭებოდა და მის შეკეთებაში იყო.

კოტემ, როგორც კი ნინოს შეასწრო თვალი, „ვთი სირცხვილო“ — დაიძაბა და მანქანის ქვეშ ხელიკით შეძრა.

— კოტე, რა დაემართა მანქანას, სულ ამის ჯაჯგურში უნდა იყო? — ჰკითხა ნინომ და დაინახა, რომ მანქანის ქვეშ შეხებდა და დაენახა კოტე რას აკეთებდა.

კოტე უფრო მოიკუჭა და იმოდენა გაეკაცი ისე დაპატარავდა, რომ ნინომ ვერცკი გააჩნია, წინა ღერძის ქვეშ იწვა ის თუ უკანა ღერძისა.

— ჰო, ნინო ხარ? — გამოეძრება კოტე. — გამარჯობა! როგორა ხარ? რა ამბავია ქვეყანაზე?

— ნინო ვარ, ჰო, რა დაგემართა, რა დამიხეზებულებით იმეორებ ჩემ საჩელს, პირველად მხედავ?

— ბოდიში ნინო, რომ ეგრე გელაპარაკები. ამ ოხერს ქვა წამოფეხო და მგონი დიფერი აქვს გატეხილი, ეხლავე შევაკეთებ, არ წამოხვალ კანტორაში, საქმე არაფერი გაქვს?

— კანტორაში რა მინდა?

— როგორ, საქმე არა გაქვს? მაშინ, ჩვენთან წამოდი, მამაჩემს კატრი უნდა ამოეტანა წინა მხრიდან, დაეძლიოთ! ჰა, რაო? გადადი ე მანდ და ჩამოგექ.

— ვიღებები, რა დამლღის. ცოდო ხარ მარტო, მანქანის ქვეშ რომ შემძვრალხარ, გინდა მოგეხმარო?

— რაო, მომეხმარო? არა, არა, — ხმამალა დაიძაბა კოტემ. — შენ რად უნდა გაისვარო, მე მარტოც გავაკეთებ, ეს სატილო რაღა ეხლა გაფუჭდა.

კარგი, ნულარ ლაპარაკობ, გააკეთე და წავიდეთ, თორემ ჩამოცხა.

ნინომ მანქანას გარშემო შემოუარა. მხოლოდ ეხლა დაინახა, რომ მანქანა უკანა თვლებით ტალახში ჩამჯდარიყო.

— კაცო, აკი დიფერი გაუტყდაო?

— ჰა, როგორა ვთქვი? დიფერი მეთქი? არა, ჯერ არ გატეხილა, ლაფში ჩამივარდა და ვეღარ ამოვიტანე.

— მანდ რაღას უწეხარ, გამოდი, ზევით ტრაქტორი ხნაედა, გადასახე, ჩამოვა და ამოვიტანს.

— იყოს, ნინო, ქვეყანას ხომ არ შევეყრი, მე თითონ მოუელი, მერე პარკის უფროსი დამიწყებს დავას, იმასთან კამათის თავი არა მაქვს, თავათ გავაკეთებ როგორმე... თანაც ტრაქტორისტები იგეთი გაციგნებულები არიან, პირზე სულ კანონები აწერიათ, უგრაფიკოდ ერთ მეტრს არ გაივლიან, მე ვიცი, სწორე, ჩემი მანქანისათვის ახლა აქ ჩამოვა.

— მაშ აქ როდემდე უნდა იჯდე?

— ამოვიტან — როცა იქნება.

— ამოიტან და გარეთ გამოდი, მანდ რაღას გორაობ ლუარსაბივით.

— რომელი ლუარსაბი, ნინო, სკოლაში რომ ვისწავლეთ? აბა, იმასთან რა შესადაარებელი ვარ, უცნაური ლაპარაკი იცი, ის მეტისმეტი ჭამისაგან გორაობდა, მე მანქანა გამიფუჭდა...

ნინომ თვალები მოიჩრდილა და მიმოიხედა, იქნება ვინმე დაეინახო და დახმარება ვთხოვო. უცხად, პირდაპირ, ორიოდ ნაბიჯზე, ხის ტოტზე ფაქიზად დაკეცილი და გადაკიდული კაცის შარვალი დაინახა. სახე ღიმილმა გაუუნათა, დაიხარა და ცალი თვალით მანქანის ქვეშ შეიკეცა. საცოდავად მოკრუნჩხულ კოტეს შიშველ მუხლებს მოჰკრა თვალი. კოტე მანქანის ქვეშ იწვა და სირაქლემასავით თავდამალულს, ეგონა ვერა მხედვენი.

უცებ ისეთი სიცილი აუტყდა ნინოს, რომ მუცელი ორი ხელით დააქერინა. კოტე გასუსული იწვა და ხმას არ იღებდა. ნინო სიცილით რომ მოიღალა, ძლივს ამოილაპარაკა.

— მე თვალებს დავხუჭავ, კოტე, გამოდი, რად დაიტანჯე თავი, შე საწყალო...

— რა ვიცი... — სირცხვილისაგან გაღუული დუღუნებდა კოტე.

ხუთი წუთის შემდეგ მანქანა ტალახიდან ამოიტანეს და ვენახებიდან შარაზე გამოვიდნენ. კოტე ოფლად იღვრებოდა. ვაჟის სირცხვილი ნინოს ახელებდა, თვალები გიჟურად უელავდა, ბავშვივით ხმამაღლა, გულუბრყვილოდ იცინოდა, კოტეს რამდენიმეჯერ მხარზე ხელი დაჰკრა, რამაც ყმაწვილკაცი ისე შეაქრთო, თითქოს ბომბი დაეცაო.

სიცილში და მხიარულ ლაპარაკში, რაც თანდათან კოტესაც გადაედო, მანქანამ დიდხნის წინ გაიარა ერთის საზლიც და მეორისაც, ახლა, ალაზნის გასწვრივ გაქიმულ გზატყეცილზე მიჰქროდა.

სადამო უცებ ჩამოწვა. მანქანის გაღებულ ფანჯარაში სიგრილე შემოიჭრა. ნინომ ფანჯარა დახურა და უნებურად კოტესაკენ მიიწია.

ნინოს სიახლოვემ საბოლოოდ დასიცხა კოტე, მან მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და ნოტიო ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა.

ქალი უხმაუროდ მხარში ამოსდგომოდა, მან ხმადაბლა მოიჩილა.

— რომ იცოდე, როგორ მომშვიდა.

— მოგშვიდა? — დარდიანად გაიმეორა კოტემ და უმწეოდ გაიხედა აქეთ-იქით. — დუქანი მაინც იყოს საღმე!

— ახლო-მახლო არაფერია?

კოტე საბოლოოდ გაეოფდა.

— მეზორანესთან იქნება პურ-მარლი. წავიდეთ, რაც იქნება, იქნება! — ბრძანებას გაელა კოტეს სიტყვები, ნინო ჩასვა მანქანაში და ათიოდ წუთში მეზორანესთან ამოჰყო თავი.

მეზორანეს მართლაც აღმოაჩნდა ცოცხალი, შოთი პურები, მწვანილი და ღვინო. ნინომ უარი ღვინოზეც კი არ განაცხადა, ვაჟაკურად აიღო ჭიქა, ხელებით ჩამოილოცა და გადაჰკრა. დანაყრდნენ. მთელი დღის სიარულმა, განცდამ, ნერვიულობამ, ისე დაღალა ნინო, რომ მან კოტეს სთხოვა, ცოტახანს აქ დაეისვენოთ და მერე წავიდეთ, მანქანაში ჩაჯდომის თავი აღარა მაქვსო.

ახლად მოთიბულ ბალახზე, რომელსაც ელექტრონივით შეენახა შვის სხივების სითბო, ჩამოსხდნენ ახალგაზრდები. კოტე ღვინოს გაეთამამებინა, ოხუნჯობდა, რატომღაც რამდენიმეჯერ ტრისტანი და იზოლდა ახსენა, მე ხანჯალი არა მაქვს, რომ ჩვენ შუა ჩავედო, სიწმინდის დასაცავად, ამბობდა, იცინოდა, მანქანიდან დანგრავი გადმოათრია, ჯერ შუაში ჩადო, მერე ზედ თავისი ქუდი დაადო და ნინოს ბალიშად შესთავაზა.

ნინო ბალახზე მიწვა, თვალები მილულა, კოტე ხარბად დასცქეროდა, რაღაცის ლაპარაკობდა, უცებ ხუმრობას მოუკლო და ბოლოს მთლად მიეუჩნდა. კოტეს გულში უცნაურმა ზარმა შემოჰკრა, შემოჰკრა და აღარ გაჩერდა, დაიწყო გაუთავებელი რეკვა, დააზრიალა, დააზანზარა ვაჟაკი, მთელი სხეულით შეახურა. ნინო თვლემდა. კოტეს უნდოდა რამე საალერსო ეთქვა, პირს ატოკებდა, ენის წვერით სიტყვას ეჭებდა, ფიქრობდა, როგორც ბავშვობაში იცოდა, ენაზე მადვას და ვერ მითქვიაო, ბევრი იფიქრა და ბოლოს მზრუნველად, ძალიან მზრუნველად ჰკითხა.

— ხომ აღარ გვიან?

ნინომ თავი გაიქნია, გაუღიმა...

— ძნელია შიმშილი, — ჩაილაპარაკა კოტემ, თავის ნათქვამზე თითონ გაეცინა, ნელნელა დაეშვა, მხარეთქოზე წამოწვა, ერთ წყრთაზე იყო მისი სახე ნინოს სახიდან; კოტემ მთელი გულით შეისუნთქა ქალის სახიდან, თმებიდან, გულ-მკერდიდან ასული სურნელი, უცნაური წილობით წაიხარა წინ, მაგრამ თავი შეატრია, შეიმაგრა, შერცხვა და წელში გაიმართა.

ცალი თვალი გაახილა ნინომ, დაღლილად გაუღიმა, ისე, როგორც საღდაც წაეკითხა კოტეს, ლოცვით მინაზებულმა ქალმა. რაც იქნება, იქნება, — კოტე დაიხარა, დაუახლოვა სახე, ნინომ ორივე თვალი აახილა სწორედ მაშინ, როცა ვაჟის ტუჩები ორ გოჯზე იყო მისი სახიდან. ქალიშვილს აღარ გაუღიმა, მკაცრად შეხედა, ნამდვილად გულში ჩაგვიარდი თუ სალალობოდ გინდივარო?... სულ ორიოდ წამის მანძილზე იყო ეს იდუმალი შეკითხვა თვალებით, მაშინვე მიიღო დასტური, კოტეს გუგები ანთებული იყო, ძლიერი და შექიანი, მის ჯანმრთელ, მზით დამწვარ, მართალ სახეზე მურდული არა იყო-რა, გული სიყვარულით უცემდა... როცა ნინომ ვაჟის ეს იდუმალი გულისხმასი დაიჭირა, თანხმობის ნიშნად გაუღიმა, ღიმილში მიიღუშა კიდეც. კოტე ტუჩებზე დააკვდა, ერთ კონცანში სურდა თითქოს მთელი ცხოვრების სიტკბო ამოეწოვა. ფრთხილად, სულ ნელა შემოხვია ხელი ნინომ, ამით გათამამებული ვაჟი ჩუმში, სიტკბოსა და სიამოვნებისაგან აღძრული კენესით ქალის მკერდზე გაირინდა.

მანქანაში უცნაურად დაფიქრებულნი იჯდა ნინო, გამომშვიდობებისას, მხოლოდ თვალებით გაუღიმა კოტეს, ნახვამდისო, ნიავეით შევიდა სახლში, ფეხაკრეფით აძირებდა თავის ოთახში გასვლას, რომ დუსას ხმა მოესმა.

— მოხველ, ვოგო?

— მოვედი. — ჩურჩულით მიუგო ნინომ.

— სად იყავ, შუალამემდე?

— არსად, სად უნდა გყოფილიყავი, — თქვა ნინომ და თავისათვის გონებაში დაამატა. — ერთ დღეში ამდენი სისულელე.

გათენდა და ეგონა, რომ მისი ამბავი ყველამ იცოდა. სანდროსთან და საბასთან როგორც იქნებოდა მორიგდებოდა, მაგრამ კოტე, რა იყო ეს? ღვინომ დამათრო? ჰაერმა? არც კი მიფიქრია. არ ვაპირებდი. ადრეა მეთქი და ეს რა მოხდა? დღეიდან უკვე უნდა მიყვარდეს და უყვარდეს. რათა, განა ადრე კი არ მომწონდა არ უთვალთვალდებდით ერთმანეთს? მაშ რათა მგონია, რომ ყველაფერი ერთ ღამეში მოხდა? შე ისევ წმინდა ვარ და შეუღლებელი. ჩვენ მხოლოდ ფიცი მივეცი ერთმანეთს, რომ სიყვდილამდე გვეყვარება და ერთგულნი ვიქნებით; რა განა ეს აჩქარება? რა არის სიჩქარე? არ მესმის. სიყვარული ცეცხლი ყოფილა. ის უკითხავად გედება სხეულზე, რამდენიც გინდა გასჭირვეულდე, ენაზე-ბოდე, ის მაინც არ დაგინდობს, მოვა, აგიტაცებს, ჩაგხვევს, დაგათრობს, გაგაბრუნებს... მე ეხლა ძალიან მახლობელი ადამიანი მყავს, მამაზეც მახლობელი... მას შემძლიან ყველგან და ყველაფერში მივენდო, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ის არ მიღალატებს, არ დამცინებს, ჩემი სიხარულითა და ჩემი ცრემლით იცხოვრებს, სულ ჩემთვის იქნება სულიან-ბორცვიანად, ჩემი, საკუთარი...

სანდრო მართალია ნაწყენი იყო ნინოზე, მაგრამ წყენა დიდხანს გულით არ უტარებია, მალე მიივიწყა. მას ნინოს საქციელში თავისი თავი ეხატებოდა, იგი გულწრფელად იღიბოდა, როცა იგონებდა ნინოს მუქარას ღირქტორთან გიჩივლებო. სანდრო ხანდახან შემკრთალი გაიფიქრებდა, ახალგაზრდა აგრონომმა ძალიან არ იწყინოს შენიშვნა და სასოწარკვეთილებას არ მიეცესო, მაგრამ როცა მან, რამდენიმე დღის შემდეგ ნინო ნახა, ქალის სახეზე ნატამალიც ვეღარ იპოვა წინა დღეების შფო-

თისა. ნინოს ერთი სიტყვითაც არ მოუგონებია თავისი აღრინდელი ქირევეულობა, სანდროსთან მორჩილად მივიდა და თავის უბანში საგაზაფხულო ხენის გეგმა წარუდგინა.

მზექალას ტრაქტორებთან საერთო არა ჰქონდა-რა, ნინოს მისი დახმარების გარეშეც შეეძლო სატრაქტორო პარკის უფროსისათვის ეთხოვა ტრაქტორი, მაგრამ მზექალას დახმარება საქმეს მაინც არ აწყენდა.

ის იყო ნინო თავის პატარა ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ გუჯამ შემოპყო თავი. ქალს მაშინვე ცხვირში ეცა არყის სუნი და ნაცვამი ყმაწვილკაცის სახეზე არეული თვალეები ძლივს დაიშალა.

გუჯა ისე შუბლშეკრული იყურებოდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებული გაეცეთებინოს და არაჩვეულებრივ გასამრჯელოს მოითხოვდა თავისი ამ გმირობისათვის. ნინომ მკაცრად ახედა გუჯას და თვალებითა ჰკითხა, თუ რა სურდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ნინო, როგორა ბრძანდებით, — მოჩვენებითი ზრდილობით იკითხა გუჯამ და ამოაბოყინა.

— რა მოხდა, რა გაგვირებია, ოღონდ ჩქარა თქვი, დრო არა მაქვს.

— მინისტრთა კაბინეტში ხომ არ მიგეჩქარებათ, მე ბოდიში, მადამ, თუ ხელი შეგიშალეთ.

— ლაყბობის თავი არა მაქვს, მუშები მელოდებიან, გამატარე!

— არ შეიძლება! — გუჯას სახეზე ბოროტმა ღიმილმა გადაკრა, ორივე ხელი გაშალა და წინ გადაუდგა ნინოს.

ნინოს უკან ერთი გოჯითაც არ დაუხებია. არც გუჯა აპირებდა ფეხის მოცვლას. იღვწენ ერთმანეთის პირისპირ და თვალებით ზომავდნენ ერთ-ერთს. ნინოს არყითა და ნივრის სუნით აევსო გულისპირი, ამას უერთდებოდა მამაკაცის ოფლის სუნი და შოფრის ჩვეულებრივი სურნელება, ბენზინისა და ზეთის ნარევი. ქალი ცდილობდა, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, აუ-

ღლეებლად და მშვიდობიანად, გუჯა გზიდან გადაეგდო და გაფეხლი მაგრამ გუჯა დათმობას არ აპირებდა. გაჯიქტებულ სახედარივით გაეფგვიმა ფეხები და ზევიდან დაპყურებდა თავისზე ერთი თავით დაბალ აგრონომს.

ორი თხის ამბავი გაახსენდა ნინოს. გზა რომ არ დაუთმეს და სიჯიუტით ორივე ხრამში გადაიჩეხა. ტუჩზე იკბინა, რომ არ გაღიმებოდა, უკან დაიწია და ცივად თქვა.

— რა გნებავთ?

— პო, აი ეს სხვა ამბავია! მომწონს! ახლა დაესხდეთ და ვილაპარაკოთ.

— მე სალაპარაკო დრო არა მაქვს. — სიცადა წასვლა ნინომ.

— დროს გამოგანახებენბ! დაჯექი მანდ...

ნინო შეაკრთო ხმამ. უნებლიეთ ჩამოჯდა სკამზე და ყური მიუგდო.

— გავიგეთ, საბჭოში გილაპარაკია სახლის თაობაზე. ეზოს ნახევრის ჩამორთმევა უპირებით.

— მერე, მე რა?

— საიდან მოვლანდა საბჭოს თავმჯდომარეს ჩვენი ეზოს ჩამორთმევა? შენ ჩამოსვლამდე არხეინად ვცხოვრობდით, ახლა გაახსენდა ყველას მამული და მამა-პაპა? რა გინდა, რატომ არ დაგვეხსენები?

— მე არაფერიც არ მინდა თქვენგან. კანონი არ გეხსნებათ.

— რომელი კანონი, უფროსობისა? სანდრო და საბა მოქრთამე, საბჭოს თავმჯდომარეს სილნალიდან დაურეკეს, რაიკომშიც უთხრეს? ვიცი შენი ოინები, ვიცი... შენი მულამი ხელისგულზე მიდევს, შენ ხომ სახლის ჭია გალაპარაკებს, რა გინდა, დაგვეხსენ, მიწა საბჭოს არ ჩაუგდო ხელში, ისინი ვინ იცის, როგორ გასწეწავენ...

— მე ცოტა შეკითხება ამ საქმეში, გუჯა, საბჭომ თითონ გამომიძახა, მე არსადაც არ წაესულვარ და არ მიჩივლია, თუ დამიჯერებ, ჩემი ნამდვილი პასუხი ეს არი.

— მართლა ეგრე უთხარ, გო? — პირი დაალო გუჯამ.

— რაც სიმათლეა, ვერ დავფარავ.

— ყელი გამოგიჭრია და ეგ არი!

— რაც გინდა დაარქვი.

— ჩვენ რაღა პასუხს გვეუბნები?

— ვახ მე. — გუჯამ თითები თმებში წაირია და შუბლზე ჩამოიწეწა. მცირე ხანს ჩუმად იყო, მერე მუდარის თვალე-ბით შეხედა ნინოს და ხმაშეცვლილმა უთხრა. — საწყალი ბიჭი ვარ, მოდი, ერთ რეისზე ხელი მომიწერე.

ნინომ ვერ გაიგო შოფრის ქარაგმა.

— ხუთი თუმნის საქმეა, ორი ხელა-და ღვინო, რა იყო, შე კაი ქალო, მამუ-ლი შუა გამიყავი და ხუთი თუმანი გენა-ნება?

— ყალბად? — გაოცება აესახა ნი-ნოს.

— გეყოფა, ხო, არიფევით ნუ ლაპა-რაკობ.

— შენ ვისთან გგონია თავი, — ნი-ნო გაბრაზებული წამოდგა და გასვლა დააპირა. გუჯა კვლავ წინ გადაუდგა, ხელები გაშალა.

— ლამაზო, იგრე ლაპარაკობ, გეგო-ნება ჯერ არაფერი არ გინახავს! ჰა მეთქი...

— რას მიბედავ, შე უბედურო!

— შენმა მზემ, ჯერ ალაზნის ქალებ-ში არ უბურთავებიხართ!

— ხმა ჩაიწყვიტე! — შეჰკივლა ნი-ნომ და ხელი გაიქნია, რომ გუჯასათვის სილა გაეწნა.

გუჯამ თავი დახარა, ნინომ მოწყვე-ტილად გაქცეული მკლაფი ველარ შეი-მაგრა და კედელში ჩარქმულ ლურსმანს მიახეთქა. სისხლის დანახავზე შეკრთა, გამბედაობა დაკარგა, გულმა უმტყუნა, მოწყვეტილად დაეშვა იატაკზე.

შოფერმა ცერად გადახედა, იფიქრა დამატება, მაგრამ რაღაც ხმაური შეეს-მა და ლანდივით გაიპარა ოთახიდან.

ნინო სულ რამდენიმე წუთს იყო შე-ლონებული, უცბად თავი წამოსწია და წამოდგა. ოთახი მოათვალიერა. კარი გა-აღო და გაჩქარებული გავიდა გარეთ. გზაზე მტრის ფარდას მოჰკრა თვალი. გუჯას უკვე თავისათვის ეშველა. მოწმე არა ჰყავდა აგრონომს, ვინ დაუჯერებ-

და, რომ შოფერმა ნამდვილად შეაყენა შეურაცხყოფა. გაბრაზებული „მემობ-რუნდა ოთახში. გახეთქილი ხელისგულს მხოლოდ ესლა შენიშნა. დოქიდან წყა-ლი გადმოსახა, გადაიბანა, ცხვირსახო-ცი შემოიჭირა და გულზე მიიღო. გული გაჩქარებული უცემდა. ლანძვეა, რაც მან გუჯასაგან მოისმინა, ჯერ ცხოვ-რებაში არავისაგან არ შეხვედროდა. ნი-ნო იჯდა და ფიქრობდა. „სახლი წამარ-თვიო, საბა და სანდრო მოქრთამეო, სი-ლნალიდან დაარეკვირეო... აი თურმე როგორ ლაპარაკობს სოფელი... რამდე-ნიმე საათის წინ სერიოზული, მტკიცე ხასიათის აგრონომი, ესლა ისევე პატარა გოგოდ ქცეულიყო, მაგიდასთან იჯდა, სლუქუნებდა და რატომღაც ეგონა, რომ ქვეყნად მასზე უბედური არაიყო იყო.

ვინ იცის როდემდე იჯდებოდა ნინო ასე, რომ ტრაქტორისტების ძახილი არ გაეგონა. მათ ხმაზე ერთბაშად გამოერყ-ვა ბურანიდან, გარეთ გამოვარდა და სირბილით გაეშურა ვენახებისაკენ.

სანამ მივიდოდა, გარკვევით გაიგონა, რომ ერთმა ტრაქტორისტმა მეორეს გა-დასძახა:

— ხო ვითხარი ბიჭო, ოქრო გოგოა ეგ მზესავსე, მერე როგორი აგრონომია, არ იკითხავ? ერთი გახედე, ფარშევიან-გივით არ მოფრინავს...

ნინომ ლალად მოიბრინა და ხმაშალა მიესალმა მუშებს.

— გაგიმარჯოს, აბა ერთი, ნახნავი ნახე, როგორ მოგეწონება?

ნინომ მწყრივები დაიარა, დაკვირვე-ბული თვალით მოათვალიერა ვენახი, მუშებს ნაჯაფი მოუწონა. ქებაც არ დაუგვიანა.

— მაგრე მიდით, თქვენი ჰირიმე, მარჯვეთა, კოტეს უბანი გვეჯიბრება და რად უნდა თქვან, ჯაბანი არიანო... თქვენი იმედი მაქვს, ლომებო...

— ფიქრი ნუ გექნება... იგრე დავხ-ნავთ, რომ სულ ერბო აცრიფოს. ვას დავეჯაბნინებით, მამ ქუდი რილასთვისა გვხურავს თაზე და კაცები რაღათა გვქვიან?...

ნინო გახარებული გაჰყურებდა ვენახს

და გუნება თანდათან ეწმინდებოდა. დღე სწრაფად გადიოდა. სადილობამაც გაირბინა და მალე ვაზებში ბინდის პირველი ნაბადი გაიშალა.

ტრაქტორისტებმა შუქი აანთეს და მანქანები პარკისაკენ წაიღეს. ნინო ფეხდაფეხ მიჰყვა მათ, მერე გზაზე გადავიდა და თავისი სახლისაკენ მიმავალ მანქანაზე აპირებდა ასვლას, რომ მზექალამ შენიშნა. მზექალას დანახვაზე გუჯა მოაგონდა და მთელმა დილანდელმა წყენამ, თითქოს შეკუმშული ღრუბელი გაშალესო, გულში დაუწყაო ჩაწვეთება. ხასიათი შეეცვალა, მაგრამ მზექალასთან თავის დარღვის გამოჩენას მაინც მოერიდა და ნაძალადევად გაიღიმა. მზექალა რაღაცით იყო გაცეცხლებული და სულ არა ჰქონდა ჯავრი ეკვლია, ნინო ბუნებრივად იღიმებოდა თუ ნაძალადევად. ნინომ თავის მოვალეობად ჩათვალა მზექალასათვის გაბრაზების მიზეზი ეკითხა და თუ ნაღველი რამ აწუხებდა, გაეზიარებინა.

— როგორ რა იყო, ისე ვარ ალესილი, გუჯა რომ აქ იყოს, შუა ვავგლეჯაული! ეგეთი რამე გავგონილა?

— გააფუქა რამე?

— შოფერს რა დავმართებოდა, არ იცი? ახალი ავარია.

— დათვრებოდა ალბათ, სადმე?

— ისა და კოლა გახეთქილან მარანში. დიდი ბუტისათვის ლურსმანი დაუკრავთ, ნახვრეტს მისდგომიან და დედის რძესავით უწოვიათ ღვინო. მერე ჩამჯდარა გუჯა მანქანაში, ავტოპარკიდან გაპარულა, მე რომ იქ ვყოფილიყავი კი ვუჩვენებდი სეირსა, მაგრამ მეც ფეხი მომტყდა, ბულალტერიაში შევყოვნდი, ჩვენი ქოსა მოღარე ობლიგაციებს შაძლევდა და თან მლოცავდა — ასი ათასი მოგაგებინოსო ღმერთმა. იმასთან ყბედობაში დამაგვიანდა და გუჯას ვეღარ ჩამოვუსწარ. ერთი საათიც არ იყო გასული, ამბავი მოიტანეს, არხში გადავარდნილა და მანქანა დაუღეწიაო..

— თითონ ცოცხალია? — შემკრთალმა ჰკითხა ნინომ.

— მკლავი აქვს მხოლოდ ნარძობი.

ეს ლოთი შოფერები ისე როგორ არიან გააფუთული მანქანის მტკრევეაწი, რომ ახალთახალ ფოლადის ძრავას ლეწვავენ, თვით კი ფრჩხილიც არ მოსტყდებათ ხოლმე! ამასაც მოხერხება უნდა, თქვენმა გახარებამ!

— შენ როგორა ხარ, ხომ არაფერია გიჭირს?

— ხელისათვის დარჩა ცოტა ბოლოებზე მოსახნავი. საწყობიდან შაბი რომ გადმომიზიდე, დიდი მადლობელი ვარ, სწორედ რომ სულზე მომისწრო.

— ჩემთან ფიჭირი ნუ გექნება. მე ჩემი მანქანებით არ დაგაბრკოლებ. სატრაქტორო პარკის უფროსია ცოტა უხიაკი. ბევრი ჭრიჭინი უყვარს. თუ გაგიჭირდეს, გამაგებინე... შოფრებთან არ დაგზარდები. ხომ იცი, მათთან პროფესორიც და ინჟინერიც ყველა ერთია. ეგ იგეთი ხალხია, ცოტა მაგრა თუ არ ელაპარაკე, არაფერი გამოვივა...

მზექალასთან შეხვედრამ ნინო ჩინებულ ხასიათზე დააყენა. შინ წასვლა გადაიფიქრა, სასოფლო გზიდან ორლობეში გადაუხვია და კოტეს სახლისაკენ აიღო გეზი. ყური მოჰკრა, სანდროც ანანიასთან აპირებდა ჩამოსვლას; ნინომ ანანიას საჩხეში რომ შეჰყო თავი, შინ მაგდანას მეტი არაეინ დაუხვდა. მაგდანა ბუხართან იდგა და ქვებს დასტრიალებდა. როგორც კი დიასახლისმა სტუმარს თვალი შეასწრო, შიშველ მკლავზე სახელოები ჩამოშალა და მის შესაგებებლად გაემართა.

— მოდი ნინო, რა ახალ მთეარესავით გამოჩნდები ხოლმე ამ ბოლოხანს, დაგვივიწყე თუ გლებებს აღარ გვკადრულობ?

— საქმეები გამოჩნდა ძალუა მაგდან, ბევრი, ხენა ჯერ ვერ დავამთავრე, მთელ დღეს კი უბანში ვალამებ.

— ცოტა შემიგვიანდა. უფროსებს არ დავუჯერე და კინალამ ჩემი გამოუცდელობით სირცხვილი ვქამე.

— კარგია, რომ ეგრე გულახდილად მეუბნები. არა უშავს, შეილო, რა თაკილია, შენ კი არა, ვენახში დაბერებულებს მოსდით შეცდომა; დრო გავა —

შენ სხვას ასწავლი. პური არა გზიან? თუმცა ვიცი, მარტო არ შესუამ. კაცებს მოუცილი? ჰო, ანანიაშა თქვა, სანდროც უნდა ჩამოვიდეს საღამოთიო, მე წავალ, ერთი, მარანში, ქვევრიდან ლეინოს ამოვიღებ, შენ ცეცხლს მიხედე, თუ შემავიანდეს, მიუტევე, ძან კი არ ვაახურო, ნელ ცეცხლზე გემრიელი გამოდის სადილი...

ნინო მორჩილად წამოდგა ტახტიდან და ბუხართან გადაინაცვლა. ფიქრობდა, მაგდანას ვამჩნევ თუ არა ცვლილებას, რაც შეიძლება კოტეს ნალაპარაკებით იყოს გამოწვეულიო. მაგრამ მაგდანას არავითარი ცვლილება არ ემჩნეოდა. ნინომ გადაწყვიტა გამოძიებისათვის თავი დაენებებინა და კოტესათვის მოეცადა.

მაგდანა მალე შემობრუნდა მარნიდან. ხელადები მაგიდაზე დაამწყრივა და ნინოს ჰკითხა.

— ქალაქიდან რა ამბავია შეილო, რასა გწერს მამაშენი?

— შევბუღებამი ყოფილა, წყალტუბოს წასასვლელად საგზური მიუციათ, მამას რევმატიზმები აწუხებს რა ხანია და წყალტუბოში დადის ხოლმე სამკურნალოდ. მწერს, მიშველა აბაზანებმა, მუხლებში აღარა მხრავსო. ჩემი ამბავი აღარდებს. სამინისტროში გაუგებრობამ და ინტრიგამ ისე შეაშფოთა, ამბობდა, პენსიაში გავალ, ვარდიანში ვადმოვსახლდები, მარტო აღარ იქნები, სამუშაოს უფრო გულს დაუდებო. მარტობა არ მაშინებს, მაგრამ მინდა მამა პენსიაში გავიდეს... თავათ არ სტოვებს სამუშაოს, ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო...

— თავათ კარგად იცის, რახან ამბობს ჯერ კიდევ უნდა ვიმუშაოთ, აბა ისე, მოეწყინება...

— ძალუა მაგდან, მოგეხმარებით!

— იჯექ, შენ დადლილი ხარ, მეც გაუფლდები.

— სიკობტავე გიყვართ, — გაიღიმა ნინომ, ხუთი კაციისათვის შლით სუფრას და იმდენი ქურჭელი გადმოალაგეთ, გეგონება საქორწილო ხალხს ელოდებოდეთ...

— რა ვქნა, ეგრე ვარ მიჩვეული, სუფრას თავისი ლაზათი უნდა ჰქონდეს, ხომ იცი, საქონელს თვალსაშვამსა! ზედ ბევრი არაფერიც რომ არ მიიტანო, იგრე უნდა იყოს გაშლილი, თვალსა და გულს ესამოგნოს.

— სამარილეები სათითაო დაედგა?

— მაინც მეხმარები? ჰო, სათითაო დადგი. საქორწილე ხალხს არ ველოდები, მაგრამ ბიჭი მყავს დასანიშნი. ეს, ერთი მაგისი შეილი გამიგორა კალთაზე და, მაშინ რალა მომკლავს!

— განა კოტე ცოლის შერთვას არ აპირებს?

— აბა, მე რა ვიცი, შენა ხარ იმისი ტოლი, შენ უკეთ უნდა იცოდე.

ნინო გაჩუმდა და აწითლებულმა თვალები განზე წაიღო.

ყველა სიტყვაზე უკეთესად, დედაკაცის შორი გუმანით იგრძნო მაგდანამ, მის ოჯახში შემოსაფრენად ნინოს ფრთები გამობზოდა, ამ ფრთებს ღონიერად იქნევდა იგი, მოუხაროდა აქეთკენ, სადაც ელოდა მშობლიურ აღურსსა და სითბოს. მაგდანას მოუნდა, რალაც ძალიან კარგი ეთქვა ნინოსათვის, ეგრძნობინებინა, თუ მასა და კოტეს, გული ერთ ბადეში შეეგდოთ, დედას საწინააღმდეგო არა ჰქონდა-რა, პირიქით, სიხარულით, ორი ხელით მიიღებდა, ოღონდ გაებედნიერებინა ნინოს თავისი პატიოსნებითა და კაიქალობით ეს ოჯახი, სიბერის შხამიანი წლები სიტკბოთი აევსო...

— შეილო, — წაიჭურჩულა მაგდანამ და ამ ერთ სიტყვაში იმდენი დედური სითბო იყო, ქალიშვილს მოეჩვენა თითქოს ნამდვილი დედა ეძახდა.

მან წრფელი თვალები შეანათა მაგდანას და ისე ლამაზად გაუღიმა, როგორც გაუღიმა კოტეს, მაშინ, ქალაში; ამ ერთ ღიმილში ჩაყარა ყველა გრძნობა, რაც კარგი და სასიკეთო გააჩნდა გულში.

ის იყო სუფრაზე უკანასკნელი დინა-ჩანავალი მიიტანეს, რომ ეზოში კაცების ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა.

ქალები დაფაცურდნენ. ყველაზე ომანი-
ანად ანანიას სიტყვა ისმოდა.

— იმას გეუბნებოდი, სანდრო, რა
კარგია, რომ კოტეს უბანში ცდებით
ფიქვე შედეგები მიიღეს და ამას ზედ
შენი თანხმობაც ერთვის. რაღა დაგვიდ-
გება წინ, პა!

— ეჰ, ჯერ ადრეა ანანია, გამარჯვე-
ბაზე ფიქრი. არ ვახსოვს, ბურულეების
გაყაფვაზე რა ამბავი დაგვაწიეს სამი-
ნისტროში?

— მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყ-
ვეტია, შე დალოცვილო.

— კაცო, — დაუძახა მაგდანამ, —
ეგრე რად იცი სტუმრის შუა ეზოში გა-
ჩერება და ლაპარაკით ვაბერწება.

ნინოს დანახვაზე კოტემ, რომელიც
აქამდე ჩუმად იყო, სიხარული ველარ
დაფარა, იმდენი უტრიალა გულის-
ტოლს, სანამ მამისაგან შენიშვნა არ
მიიღო.

— ბიჭო რას გადაეკიდე მაგ ქალს,
ჩვენ ხალხი აღარა ვართ? პატივისცე-
მა აღარ გვინდა? ჩვენც მოგვხედე ერ-
თი!

სადილმა საერთო სიმზიარულეში ჩა-
იარა. მაგრამ როგორც კი დაამთავრეს
სადილი და სუფრიდან წამოიშალნენ,
მამინვე განახლეს ეზოში გაწყვეტილი
საუბარი.

— კარგით, გეყოფათ ქა, დაისვენეთ,
ესლა სხვა რამე თქვით ქვეყნისა, ამ
თქვენი ოცდაათი კვირით ყურები ნუ
გამომიკვდეთ, — იღიმებოდა მაგდანა.

სანდრო აღარ გაჩერებულა, მასპინძ-
ლებს გამოემშვიდობა და წაეიდა. ანა-
ნიამ ერთხანს ახალგაზრდებთან იტრია-
ლა, მერე მაგდანას მიხმარა სუფრის
აღაგებაში.

ნინო და კოტე ეზოში გამოვიდნენ.
დაღამებული იყო. მეზობლად პატე-
ფონს უკრავდნენ, ბუღბუღების სტე-
ნაში უცნაურად ისმოდა ტანგო. ორ-
ლობეში ვიღაცამ გაიარა, ხველა აუფარ-
და, საიდანღაც ძალი გამოხტა და შეა-
შინა. თანდათან ხმაური მიწელდა. ნინო
და კოტე ჩუმად იყვნენ. ნინოს უნდო-
და ეკითხა კოტესათვის ის, რაც დილი-

დან გუჯასთან უსიამოვნების შემდეგ
სტანჯავდა, მაგრამ ლაპარაკის წიშოწყვე-
ბა ეზარებოდა. კოტე გამოემგებულყო,
რალაც გამოუცნობ ღრმა ფიქრს წაეღო,
თითქოს დაეიწყებოდა ნინოს სიახლოვე,
ლურჯად ჩამოწოლილ ბინდში, შავი
ბრღვივალა თვალებით იყურებოდა.

ნინოს მკლავი აეწვა. ქალმა ნაკბენზე
თითები მოისვა და შეიშმუნა. კოტე
გამოვიდა თვედაეიწყების ბურანიდან.
მზრუნველად შეეკითხა.

— რა მოხდა, ნინო?

— მუმლი იყო.

— აგროლდა და მომრავლდა სატია-
ლი!

— როგორ მეწვის...

— მომეცი დაგიზილო... — კოტემ
ნინოს მკლავზე ხელი მოკიდა, თითები
დააკრა და ველარ დააცილა.

— აცი, დაგიზელავო? — შეახსენა
ნინომ.

— ბოდიში, დამავიწყდა...

ნინო ქვეშევრეშ უყურებდა კოტეს, მე-
რე ხმადაბლა ჰკითხა.

— როგორა ხარ?

ყმაწვილკაცმა იგრძნო, კითხვა მათ
სიყვარულს შეეხებოდა. თვალწინ დაე-
ხატა ალაზანი, ქალები, ერთად გატარე-
ბული საღამო, მთელი ღამის უძილობა,
უკანასკნელი დღეების განუწყვეტელი
ფიქრი, რომელიც თითქოს მივიწყებო-
და და ნინოს ამ ერთმა შეკითხვამ გო-
ნებაში წამოშალა.

— მე ბევრი ვიფიქრე ნინო და დავრ-
წმუნდი... ნამდვილად, წრფელი გრძნო-
ბა მქონია და იმედი მაქვს...

— კოტე, — გააწყვეტინა ნინომ, —
ჩვენ ხომ შევთანხმდით, რაც გვეწყინე-
ბა თუ ვაგვიხარდება, საერთოდ, ყვე-
ლაფერი მნიშვნელოვანი ჩვენ ცხოვრე-
ბაში ერთმანეთს ვუთხრათ ხოლმე? პა,
ხომ მართალია, შევთანხმდით?

— მაშ, შევთანხმდით! რა მოხდა,
ვინმე ხომ არ გაწყინინა? — კოტე უ-
ვე თვალებს აბრიალებდა, დარქენილი
იყურებოდა, თითქოს ორ ნაბიჯზე ყა-
ჩაღთა ბრბო დგას და მარტოღმარტო
უნდა შეებასო.

— გუჯა ხომ იცი, შოფერი, სტეფანეს შეილი?

— ვიცი, ვიცი, რა უცხოავეთ მისხნი, მოკლეთა თქვი, ხულიგანი-თქო...

— აი ის, დილას, უბანში, ჩემს ოთახში ვიჯექ, შემომივარდა და ერთი ყოფა დამაყენა.

— სად ვიყავი!

— ჯერ სახლზე მედავა. საბჭოს თავმჯდომარემ ეს რა ხათაბალა ამკიდა, შენ მოწამე ხარ რამდენს ვეხვეწე, რომ თავი დაენებებინა, გუჯამ კი დამიწყო, და, რაც, ალბათ, თავისი დედ-მამისაგან და ბებისაგან გაეგო, ყველაფერი მითხრა...

ნინო დაწვრილებით უამბო კოტეს გუჯასთან ჩხუბის ამბავი.

— რას ამბობ, — დროდადრო აწყვეტინებდა კოტე და კბილებს აკრაქუნებდა. — დახე იმას, იმ კუს ვერ უყურებ, ერთი ხელში ჩამაგდებინა, მიეჩეჩქვამ, დაეამტერე, შეეკამ...

ნინო უცებ გაჩუმდა და სიტყვა შუაზე გაწყვიტა.

— რა გინდოდა გეთქვა? — ჰკითხა კოტემ.

— კიდევ რაღაცა სისულელეები ილაპარაკა...

— თქვი, რაღას უყურებ, ყველაფერზე ერთად მოვითხოვ პასუხს.

— კოტე, შენი ჰირიმე, უბედურებაში არ გაეხვიო, იმ ხულიგანს თავი დაანებე, არ გეკადრება თავი გაუყადრო.

— რას ამბობ, თავი გაუყადროვო? რად უნდა იფიქროს, რომ უპატრონო ხარ. მე იმას ვაჩვენებ როგორ უნდა ქალის აბუჩად აგდებდ. აი ის ლაჩარი, ეპიკოტან ხმას ვერ იღებს და მარტო ქალთან გულადია? რატომ იქ არ ვიყავი! პო, რის თქმა გინდოდა? ბოდიში, სიტყვა წაგართვი.

— არაფერი...

— მითხარი, ბოლოსათვის რა ხან შეზოგინახავს, ეგ იქნება მთავარი.

— კოტე, ჩემ სიცოცხლეს გაფიცებ, ვინმესათვის ხომ არ გითქვამს...

— შერცხვენილი ვიყო, თუ სადმე ხმა ამომეღოს. ეგ კი არა, მამა ჩამაცივ-

და, იმასაც არ ვუთხარ, უცხოის ვის რას ვეტყვოდი...

ეროვნული

ნინოს ტირილი აუფარდა კოტე ვიწრო, გაოგნებული ეკითხებოდა თავს, სადმე სიმთვრალეში ხომ არ წამომცდიაო, სიფხიზლეში არ ვიტყვოდით ნამდვილად, არა, კოტეს დღესავეთ ახსოვდა, რომ არსად არაფერი არ დასცდენია. მაშ გუჯა რას უგონებდა ნინოს? ნინო რადღა ჩიოდა ამას? რამდენ სისულელეს იტყვის სოფლის ხულიგანი, განა პატიოსანმა ქალმა ყველაფერს ყური უნდა ათხოვოს. კოტე მიხვდა, ნინო, რაღა თქმა უნდა, გულნატკენი იყო გუჯას ნათქვამით, შეურაცხყოფილიც, მაგრამ ახლა, როცა თავის დარდს სატრფოს შეჩიოდა, ის კი არ უნდოდა, კოტეს მაინცადამაინც გუჯასათვის ამ სიტყვების გამო პასუხი მოეთხოვა, არამედ ნინო დაერწმუნებინა თავის სიყვარულში, გაეკარწყლებინა მისთვის ეპიკები, ეთქვა, რომ მათი სიყვარული წმინდა იყო, უმანკო, მას ვერავის მაენე ხელი ვერ შეეხებოდა... ქალს ალერსი უნდოდა, სიყვარულის დამტკიცება, პატიოსან ქალიშვილს უნდოდა ეგრძნო, რომ მახჰყავდა ნამუსის დამცველი, წმინდა სიყვარულით მასზე გამიჯნურებული ვაჟი.

კოტემ ხელი მოჰკიდა ნინოს, ეზოდან გამოვიდნენ. კოტე მსუბუქად მიჰყვებოდა გვერდით და მზად იყო დედამიწისათვის საშვერ შემოეცლო.

უტბად, შუა გზაზე, ორდობიდან ვილაც დედაკაცმა გამოჰყო თავი და სიბნელეში იკითხა.

— ვო, ნინო არა ხარ?

— მე ვარ დუსა, რა იყო? — მიუგო ნინომ და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ შუალამემდე შინ მიუსვლელობით მისი სახლის პატრონი შეშფოთდებოდა და როგორც ჩანდა, მდგმურის საქებნელადც წამოსულიყო.

— მერე სადა ხარ, აქამდე, ვო, მამლებმა უკვე იყივლეს. კიდევ ვენახში იყავ?

კოტე გასუსული იდგა. ერთხანს, მახ რატომღაც ეგონა, რომ დუსა ვერ ხე-

დავდა, მერე ისეთი იერი მიიღო, ვითომ, თავთ ვერ ამჩნევდა.

ნინომ სახლის პატრონის კითხვაში დაცინვა იგრძნო, შერცხვა და ძლივს ამოილაპარაკა.

— ანანიასთან ვიყავ სადილად და დავყოფნდი. აი, კოტე მაცილებდა.

— კოტე? ეგეც აქ არი? ოპ, გამარჯობა ჯეელო, რა გაჩუმებულხარ, ეგრე ჩუმად აცილებდი მეზობელს, თუ, მე რომ დამინახე?

დუსამ ჩაავლო ნინოს ხელი და შინისაკენ გაუძღვა. კოტეც შორიასლო აღედევნათ.

— რას მოგვდევ უკან? — დაეკითხა დუსა.

— გაგაცილებთ...

— რა შენი გაცილება მინდა, მომიტაცებენ?

— არა, მაგრამ...

— ნუ გეშინიან, არც ნინოს მოგტაცებს ვინმე... .ძოღი, რის თქმაც გინდა უთხარ, მე კი უკან მოგყვებით.

ძალიან ნელა მიდიოდნენ ნინო და კოტე, რომ როგორმე დრო გაეწეათ, ორასიოდე მეტრის გავლას საათნახევარი მოუღნდნენ, თან სულ იმის შიში ჰქონდათ, დუსა უკან მოგვდევს და ჩვენი ლაპარაკი არ გაიგონოსო.

ბოლოს, როგორც იყო, ნინო მივიდა შინ, სახლის პატრონს დაელოდა, ისიც ამოვა და ერთად დავიძინებთო. უცბად, რალაც ხმაური მოესმა. ოთახში შეიხედა. დუსას სხვა გზით გამოესწრო მათთვის, სახლში რაბანია მოსულიყო და გულარხინად ეძინა.

კოტე მამლის მეორე ყვივლმა წამოაგდო ფეხზე. ერთხანს თვალი წახუჭა, ორი ღამის უძილოს, სხეული ისე დამძიმებოდა, თითქოს ტყვიით ამოუესიაათო, ძილი წაართმევდა თუ არა თავს, მაშინვე გულში უცნაური შინაგანი რამ შფოთი დაუღიტინებდა, შეაფრიალებდა, აცატხატახებდა და იქამდე არ მისცემდა გასაქანს, სანამ თავისას არ გაიყვანდა, თავის მორჩილებაში არ გადააგდებდა.

დღესაც უთენია მოუხდა კოტეს აღ-

გომა. ლოგინში კარგახანს იტრიალა, იქნება როგორმე დავიძინოო, მაგრამ არ იქნა და არა, ძილმა მასთან მისცლა აღარ ინება. კოტემ იფიქრა, როდემდე დავიტანჯო თავიო, ადგა და ეზოში გამოვიდა.

მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ ცაზე საადროდ აშლილი ღრუბლები ისე დათარეშობდნენ, რომ მთვარის სხივებს ელობებოდნენ და დედამიწას აბნელებდნენ. ცივი ნიავი უბერავდა. ხევიდან ამოდირდა ნოტიო. კოტეს შესცივდა, შინ შესვლა დააპირა; გაახსენდა, რომ მანქანას კამერა გამოსაცვლელი ჰქონდა და მისი შეკეთება განიზრახა.

ჩქარი ნაბიჯით მივიდა მანქანასთან, კარი გამოხსნა, ღია დატოვა, ფარდაგი გადმოათრია, ზედ ხელსაწყოები გაშალა და ბორბლის შეკეთებას შეუდგა. ის იყო გახურდა და მუშაობის ეშხში შევიდა, რომ უცბად ორივე ხელი გაუჩერდა და რალაც საფიქრელმა წაიღო. გაირინდა. თვალები მოჭუტა, თითქოს მთვარის სუსტი სინათლე ფიქრს უშლიდა, იღუმალი გაიზრა და ნამალევად ვილაცას გაუღიმა. ღიმილი სახეზე დაადნა, თავისდაუნებურად ხელი გაუშვა ხელსაწყო-იარაღებს და წელში გაიმართა. მისი ჩრდილი თუთაზე აბობლდა, მთვარის სხივებით შემინებული ტოტებს დაეკიდა, კენწეროზე გაითამაშა და ისევე მიწაზე მოიღო ნახტომი. კოტეს დავიწყებოდა თავი, ფიქრს აყოლილი შორს იცქირებოდა.

შეკრთა, დაიძაბა, გაშლილი იარაღები ააქუნა, უკან მანქანაშივე ჩააწყო და წასასვლელად გაეშადა. ქუდი მაგრად დაიხურა თავზე, წელზე ქამარი მკიდროდ შემოიკრა, მაღალ ჩექმის ყელზე ზეც დაისვა ხელი. უხმაუროდ გავიდა ეზოდან და ორღობეში გაუჩინარდა.

გასუსული მიდიოდა. სუნთქვაშეკრულს თვალები გადმოეარდნაზე ჰქონდა დაჰყეტილი, ისე იცქირებოდა, თითქოს ავი მოემოქმედნოს, ან ბოროტი განზრახვა ჩაუღვია გულში, ახლა მიიპარება მის ასასრულებლად და ეშინია ვინმეს არ შეასწროს თვალიო. კოტე ფიქრობდა,

გავივლი, მის სუნთქვას დავთვლი და მე-
რე ისევ შინ მოვბრუნდები, მანქანას
შევაკეთებო. ამ ფიქრით ნინოს სახლს
დაუახლოვდა. ის იყო ორლობის ჩრდი-
ლიდან მთვარის შუქზე უნდა გასულიყო,
ხმაური გაიგონა. შეჩერდა, სუნთქვა შე-
იკუმბა, მიაყურადა. სახლის კედელთან
ორი ლანდი აკრულიყო და ჩურჩულებ-
და. დროადროს ნიაც მათი ხმა მოჰქონ-
და.

— მაშ, როგორ ვგონა, იქნება იგრე
გაუსკდეს გული, რომ დირექტორს ეხ-
ვეწებოდეს, შენი ჰირიმე, ქალაქში გა-
შიშვი, თქვენი არაფერი მინდაო! სხვანა-
ირად არაფერი დაუშავო, შარში არ გა-
შაბა, თორემ ციხეს ამკიდებენ.

კოტე ადგილზე შეხტა და კბილები ისე
დააკრაკუნა, რომ სახლის კედელთან
აკრულმა ლანდმა სიბნელეში იკითხა: —
ვინმე არ იყოს, ე?

— გეყოფა ჰო, საცაა გათენდება, უნ-
და ვინჩქაროთ.

— აი, შენ თავზე იმისი ფანჯარაა,
შედი, ოთახის კუთხეში მიგექ და კა-
ტასავით კნავილი დაიწყე. როცა გაელ-
ვიძება, უთხარ, აქედან დაიკარგე, თო-
რემ სიკვდილს მოეწევიო... თან კნავილი
განაგრძე... იგრე უნდა გააკეთო, რომ
მან შენი სიტყვები გაიგონოს, მაგრამ
ვერ მიხვდეს ადამიანი ხარ, ეშმაკი თუ
რალაცა მოჩვენება...

— ვიცი, ვგეთი რამე არ შემეშლება,
ერთისა და ორისათვის გამიკეთებია...
გახსოვს, მასწავლებელი რომ ვიფრინეთ
ვარდიანიდან!

— კარგი, ნუღარ აყოენებ, მე აქა
ვდგევარ და თუ რამე იქნება, დავუსტ-
ვენ.

— გვერდზე დუსას ფანჯარაა?

— ჰო, კაცო, რით ვერ დაიხსომე,
მარცხნივ ის ვოვოა და მარჯვნივ —
სახლის პატრონი...

ლანდი კალიასავით მიასტა კედელს
და მალა აფოფება დაიწყო. კოტემ
თითქმის ყველაფერი გაიგო მოსაუბრე-
თა ნალაპარაკვიდან, შეიცნო კიდეც
ისინი, მაგრამ დაბნეულობისაგან აღარ
იციოდა რა გაეკეთებინა. დაეყვირა? ნი-

ნოს შეაშინებდა. ჩხუბი აეტება? ისინი
ორნი იყენენ და შეიძლება მოსტოდნენ,
საფიქრელი იყო თან იარადიე მქონო-
დათ; სოფლისათვის ეცნობებინა? ნი-
ნოს სამუდამოდ სახელი უნდა გასტეხო-
და, მისი სახლის კართან ახალგაზრდა
კაცებმა იჩხუბესო... ამ ფიქრში და გა-
წამაწიაში იყო კოტე, რომ ლანდმა თან-
ჯარას მიაღწია. მოთმენა აღარ შეიძლე-
ბოდა. კოტემ უცებ გონებაში რალაცა
იაზრა, ორლობეში თავქუდმოგლეჯილი
გაიქცა და ათიოდ წუთში უკვე შინ
იყო.

ოთახში ლანდი გადმოცურდა, ფე-
ხაკრფით გაიარა სამი ნაბიჯი და ბნელ
კუთხეში ჩაცუცქდა. რამდენიმე წამი
დაძაბულ მყუდროებაში გავიდა, უცებ
კნავილი გაისმა. საწოლში მწოლიარე
შეიშმუნა და გვერდი იცვალა. კნავილი
გრძელდებოდა.

— აცხა კატაე! — დაიძახა მწოლია-
რემ და თვალი გაახილა. ლანდმა ბურ-
ტყუნის დაიწყო.

დუსამ საბნიდან ხელი გადმოჰყო,
იატაზე დაგდებული ქოში მოძებნა და
მთელი ძალით გაისროლა.

— ვაიმე დედაე! — დაიღრიალა ვი-
ლაცამ და შეხტა ფანჯარაზე.

დუსა ყოჩალი დედაკაცი იყო, მარ-
ტობას გაეგულადებინა, ელვის უმალ
წამოფრინდა ქვეშაგებიდან და შეუძახა.

— არ გატოკდე, თორემ აქვე გაგა-
თავებ!

ლანდი ფანჯარაზე გაიყინა.

დუსა შტეფსელს ეცა. სინათლე არ
იყო. სიმწრის ოფლმა დაასხა. უმწეოდ
მიმოიხედა აქეთ-იქით. ამ დროს ორ-
ლობე მანქანის შუქმა აავსო.

— რომელი ხარ მანდ, ხალხო მიშვე-
ლეთ, ქურდია! — დაიკვილა დუსამ და
კბილებჩამტერეულ ბიქს ქეჩოში ჩაფ-
რინდა.

ცალბორბალდაშვებულმა მანქანამ
ორლობე გამოიარა და დუსას სახლის
წინ გაჩერდა. მანქანის შუქმა პრეტექ-
ტორივით გაანათა ფანჯარა.

— შოფერ, შოფერ, რომელი ხარ, ბო-

ქო, მიშველეთ, — ყოჩაღად კიოდა დუსა.

კოტე უკვე სახლის კიბეზე ამორბოდა. აივანზე ძილგამფრთხაღმა, შეშინებულმა ნინომ გამოჰყო თავი, კოტე რომ დაინახა, გაოცებისაგან პირი დააღო. კოტემ რაღაცა წაულაპარაკა და სახლის პატრონის ოთახში შეეკარა. ნინოც თან მიჰყვა.

— მოხველ, შოფერ? — დაიძახა დუსამ. — აი ქურდი, დამეხმარე შენმა გახარებამ, საბჭომდე მივთარიო.

კოტემ ჯიბის ფარანი ამოიღო. მაგრამ უიმისოდაც მანქანის სინათლეზე კარგად ჩანდა მახეში გაბმულის სახე.

— ბიჭო, კოლა არა ხარ, აქ რა გინდა? — დაეკითხა კოტე.

კოლა ჩუმად იყო.

— აღარ იტყვი, აქ რა გინდომეთქი? — უფრო მკაცრად თქვა კოტემ.

— შენ რა, მოსამართლე ხარ! წამიყვა, საცა გინდა.

კოტე დაბნია კოლას მორჩილებამ. გამოძიებას თავი დაანება და უთხრა.

— მე მილიციონერი არა ვარ, შუალამისას სად უნდა წაგიყვანო. ეხლა წადი, საცა გინდა, როცა გათენდება — საბჭოს მოაკითხე. ხომ ხედავ, სამ მოწმეს ვერსად გაქეცევი. თან ისიც წამოიყვა, ვინც გაქეზებდა.

— ეხ, შენც ვართი, — წაიბურტყუნა კოლამ და ფანჯარაში გადახტა.

— დაიმტვრევი, ბიჭო, — მიაყოლა კოტემ.

— ეგ ცოტაც არის მაგისათვის, რად გაუშვი კაცო? — თქვა დუსამ.

კარგახანია მიწყდა ორლობეში მანქანის ხმა, დუსა და ნინო ისევ ფეხზე იდგნენ და შეშინებულებს დალაპარაკებაც ვეღარ მოეხერხებინათ.

დუსამ ღრმად ამოისუნთქა და ხმის კანკალითა თქვა:

— ხომ გეუბნებოდი, გოგო, სოფელი გაუთხოვარ ქალს მარტო რომ დიგულებს, აღარ დაეხსენება-მეთქი.

— რას ამბობ, დუსა?

— არა, გენაცვა, შენი ლაპარაკი გულზე აღარ მებახვება. მაშინაც სულე-

ლი ვიყავ, ქვეყანა შენზე რომ პრელს-ლაპარაკობდა, მე კი შენი ქუბით ყუბები ამოვიგდე...

— გრცხვენოდეს! — თქვა ნინომ და ქვითინი აუვარდა.

— ეჰ, იტირე, ეგ არი ახალგაზრდა ქალის ხელობა... მე დიდხანია, რაც ცრემლები გულის წვერს აღარ მიწვამს. დაღვრილსა და გატეხილს აღარაფერი ეშველება...

ნინომ ცრემლი შეიშრო და მკეახედ უთხრა:

— მე არაფერს გეტყვი, მხოლოდ ჩემი პატრონების ავად ხსენებისათვის მოგთხოვენ პასუხს.

დუსა ამას არ ელოდა. შეკრთა, საბოდიშოდ დაიგრინა.

— მოიცა, გოგო, მე ეგრე როდი მინდოდა მეთქვა... რათა ხარ ეგეთი ფიცხი... ბებერი დედაკაცი რას არ იტყვის ცხელ გულზე.

— ლოგინსა და ტანსაცმელს ხვალ წაეიღებ. ქირასაც მაშინ გადავიხდი. ახლა კი მშვიდობით...

— სად მიხვალ, გათენებულყოფ მაინც!

ნინომ სწრაფად ჩაიცვა, დიდ ჯოხს წამოავლო ხელი და ორლობეში გავიდა. მზექალა სოფლის ბოლოზე ცხოვრობდა, ისე რომ, სანამ ძაღლების გნისასში ნინო იქ მივიდოდა, ინათა კიდეც მასპინძელი უკვე ქვეშაგებიდან ამღვარი დახვდა. როცა მზექალამ ასეთი ნაადრევი სტუმარი დაინახა, ჯერ შეკრთა ავის მოლოდინში, მერე კი ნინოს გამოეგება.

— ასე ადრე რამ ავაყენა? ვენახში მიდიოდი?

— ჰო, ვენახში მივიდიოდი, — იცრუა ნინომ, მართალ ქალს ტყუილი არ გამოუვიდა, თავი დახარა და შუბლზე ხელი მოისვა.

— რა დაგემართა? — ფერშეცვლილმა ჰკითხა მზექალამ. — როგორი გაფითრებული ხარ?

— ისეთი არაფერი, სახლის პატრონს ვეჩხუბე და წამოველ. მე იქ მიმსვლელი აღარა ვარ.

— რა გქონდა დუსასთან სადაო? ის ყბელი დედაკაცი წამოარაკუნებდა რა-მეს. დედას ვუბრუნებ, თუ ცული გაკად-რას!

აქამდე თავს იკავებდა ნინო, ახლა საწყლად შეხედა მზექალას, დააპირა ყველაფერი მოეთხრო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და დაუდევრად თქვა.

— ავს დუსას კი არა, ქვეს არ შევარ-ჩენი ნუ გეფიქრებ, სულ უბრალო რამე იყო.

— შენ იყავ მართალი... ახლა კი წავი-საუზნოთ, — სიტყვა ბანზე შეაგლო მზექალამ, რადგან მიხვდა, რომ ნინო რადიკალს უმალავდა, თქმას არ აპირებდა, მას კი, ჩვევა არა ჰქონდა, ადამიანისა-თვის, სანამ თავათ, ხასიათზე არ მოვი-დოდა და არ ეტყოდა, სიტყვები პირი-დან ძალით ამოგვიღია.

დილის საუზმე ხანმოკლე აღმოჩნდა, ნინოს თითქმის არაფერი შეუტკამია, მოჩვენებითი ხალისით წამოდგა და მზე-ქალასთან ერთად სახლიდან გამოვიდა.

კანტორაში ჯერ ადრე იყო, მზექალამ ავტოპარკში გაიპატივია, მაგრამ ნინომ უარი უთხრა, ბაღში მოვიციდი, დირექ-ტორის ნახვა მინდაო. მზექალამ ძალა აღარ დაატანა, ნინო ბაღში დასტოვა და თავათ ავტოპარკისაკენ გაეშურა.

ნინო სკამზე დაჯდა, ხელისგულეებს ყვრიმალეებით დაეყრდნო, ჩაფიქრდა, გაიჩინდა. მის გვერდით ვიღაცა დაჯდა, ნინო შეკრთა და მიიხედა.

— კოტე, აქ რა გინდა?

— როგორ რა მინდა, მთელი ღამეა უკან დაგდევ.

— რათა? — დიმილი ვეღარ დაფარა ნინომ.

— აბა, იმ არეულობაში, ზომ ვერ მიგატოვებდი.

— რატომ აქამდე არ გამოჩნდი?

— რა ვიცი, კიდევ რამე არა თქვან მეთქი. დედაკაცები ძიან გაქორიკანდნენ ამ ბოლო დროს.

— იცი, დუსამ როგორ გამომლანძღა?

— ყველაფერი გავიგე.

— საიდან?

— კიბის ქვეშ ვიყავ ამოფარებული,

თქვენ რომ ლაპარაკობდით, მანქანა შინ ავიტანე და მე ისევე ფეხით შევიქცე-ბიყვარული.

— სახლიდან რომ გამოვედი, დამინა-ხე?

— დაგინახე რომელია, ორ ნაბიჯზე მოგდევდი. მაგრამ არ მინდოდა იგეთ ყოფაში გამოვჩენილიყავ, ესლა აკლდა სწორედ დუსას!

— შენ რა ყურს უგდებ იმ სულელი დედაკაცის ლიჯინს.

— ცუდად აირია წყალი...

— რა უნდოდა ნეტავ კოლას, რისთ-ვის გადმოიბარა?

— შენი შეშინება სდომებიათ და დუსას ოთანში მოხვდა შეცდომით.

— სხვაც იყო ვინმე?

— აბა, მამ რა, კოლა მარტო რას გაბედავდა, გუჯასა და სტეფანეს ოი-ნებია.

— რატომ არ დამეხსენებია, რას მერჩიან?

— ძნელი ყოფილა მამულის დვრიტა. სახლ-კარი არ ასვენებთ. სანამ არ გაწ-ყდებია, არაფერი ეშველებათ. მაგათ მარტო შავი მიწა გააძლობთ.

— რა გინდა, იყვენენ ქვეყანაზე, ერ-თი ლუქმა პური ჰქაონ...

კოტეს რაღაცა უნდა ეპასუხნა, მაგ-რამ სანდრო დაინახა და წამოდგა. ის იყო ნინოც უნდა გასულიყო ბიდიდან, რომ საწყობის კარი ჰრიალით გაიღო და ეზოში სტეფანე გამოჩნდა. ნინომ თვალის არიდება გადაწყვიტა, მაგრამ სტეფანემ გზა უყელა და თავაზიანად მიესალმა.

— როგორ გიკითხოთ, ნინო?

ნინოს გამკილავად მოეჩვენა კითხვა, მაგრამ როცა სტეფანეს შეხედა, აზრი შეეცვალა. საღლა იყო მისი კუჭტი გა-მოხედვა. სტეფანე ისე საცოდავად იჯ-ლანებოდა, ისე ჰუტავდა ზღარბის თვა-ლებს, რომ ნინოს უნებურად შეეცოდა.

— რა იყო, რა მოხდა? — თანაგრძ-ნობით ჰკითხა და ამოიხენწა.

— რაც არ უნდა იყოს, ნინო, ძალღ-მა ძაღლის ძვალი არ გადააგდო... ფუი, ეს არ უნდა მეთქვა... ჩვენ მინც ერ-

თი ხიდანა ვართ მოჭრილები... ცხონებული შენი პაპა ჯამბარა, სულ იმასა ტიროდა, როცა ჩვენ ვიყრებოდით, ერთიანობა რომ მოიშლება, ოჯახსაც საძირკველი მაშინ ენგრევაო... მაგრამ რა გვექნა, შენც კარგა იცი, მართო ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. ცხოვრება მრუდელ წავიდა, ჯერ იყო და ვენახები ჩამოგვართვეს, როცა კოლექტივი დააარსეს, მერე შეუონეობაო, ათასი ჭირი და ღოზანა გამოვარდა... არც მოცლა იყო, არც ხალისი ერთმანეთისათვის მიგვეხედა და ყური გვეგდო... მამაშენმაც სწორედ მაშინ ამოიკეთა ფეხი ოჯახიდან, წავიდა ქალაქში და ერთი აღარ ჩამოიხედა, — „საგარეოდ“ ლაპარაკობდა სტეფანე.

ნინო მოუთმენლად შეჰყურებდა და მალიმალ საათზე იცქირებოდა.

— გეჩქარება, შვილო? გაგაჩერე, მაგრამ უნდა მაპატიო, ჩემი ძმისწული ხარ, რაც არ უნდა იყოს... შენა და გუჯა იგრე უნდა იყოთ, როგორც ნამდვილი და-ძმა...

— ვერა გყავს, კარგი ბიჭი, სტეფანე, — თქვა ნინომ. — ვეჭვობ, რომ მავან კისერი არ მოიტეხოს...

— სწორედ ამაზე უნდა მომეხსენებინა, გენაცვა... რალაცა სისულელეები ჩაუდენიაო, კოლა გაუბრიყვებიაო... ნუ გაახმაურებ, შენი ჭირიმე, თავით გაგი-

ეებულია ეგ ბიჭი და ახლა თუ ზულიგნობისათვის ციხეში უკრეს თავზე ხაშიწელი პატიმრობა, ეს კანონები კარგად იცი... ჰოდა...

— მე არ დავებულვებ, თუ გუჯა თავის ფეხით მოვა და ბოდიშს მომიხდის.

— ბოდიშის მოხდა, რა არი, შენი ჭირიმე... ორი ფუთი ბოდიში... დღესვე ყურით მოვათრევე, ოლონდ, ბიქს ნუ გამოუბედურებ.

— კარგა იყავ, მეჩქარება.

— მოიცა, ჯერ მთავარი არ მითქვამს. — უფრო დაეღრიჯა სახე სტეფანეს.

— სხვა რალა გინდა?

— აი, საბჭოს რომ ააზომინე მაშულო... ცალკე სახლს აგიშენებ, ოცო ათასს გადავადგებ, ჯანდაბას ჩემი თავი!

— ახლა აღარ მიკვირს გუჯას სიივე, — კუშტად თქვა ნინომ. — მოჭრთამევს მიპირებ? მე პაპის ნასახლარი არ ამიზომია... ეს სოფლის საბჭოს გადაწყვეტილება იყო, რით ვერ გაიგეთ, საერთო საცხოვრებელი უნდა ააშენონ იქ მეურნეობის მუშებისათვის... წადი და, თუ ციხე მოგენატრა, ეგ ფული თავშეღდომარეს შეაძლიე.

— რას ამბობ, გოგო, ამაზე თორმეტი წელი ციხეა... მე ეს კანონები კარგად იცი.

— ჰოდა, თუ იცი, მით უკეთესი!

(გაგრძელება იქნება)



ტანჯვის გზაზე *

ტუსტუსით მიდიოდნენ ოდნავ განათებულ მცირე ნიკიტის ქუჩაზე დაშა და კატია. ორივეს ქურთუკები ეცვათ და თევთიკის თავშელები ეხვიათ. ყინულის თხელი ბრკე ფეხქვეშ უხრაშუნებდათ. გაცრეცილ მომწვანო ცაზე ორქვიმიანი კაშკაშა მთვარე ამოდიოდა. აქა-იქ ეზოებში ძაღლები იყეფებოდნენ. ამონასუნთქი ორთქლისაგან დასველებულ თავშელების ღინღლში ჩაეყო პირი დაშას და ღიმილით ისმენდა ყინულის ხრაშუნს.

— კატია, ვინმე რომ გამოიგონებდეს ისეთ ხელსაწყოს და აქ მომადებდეს, — დაშამ ხელი გულზე მიიღო, — შეეძლო არაჩვეულებრივი რამეები ჩაეწერა... — მერე ჩაიღიღინა. კატიამ მკლავზე გამოსდო ხელი.

— ნულარ აგვიანებ, წამოდი, წამოი
რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ დაშა ისევ გაჩერდა.

— კატია, გჯერა, რომ რევოლუციაა? შორიდან თვალს სჭრიდა იურიდიული კლუბის მთავარ შესასვლელთან დაკიდული ელექტრული ნათურა. პეტერბურგიდან წამოსული გიყური ხმების გამო იყო გამოწვეული კადეტთა ფრაქციის მიერ სახალხო კრება, შობაექდღობათა გაცელა-გამოცვლისა და ამ მღელვარე დღეებში მოქმედების საერთო ფორმულის გამოსანახავად.

დებმა კიბეები აირბინეს და მეორე სართულზე ავიდნენ. ქურთუკები არცკი გაუხდიათ, მხოლოდ თავშელები შეიხსნეს და ხალხით გაქედილ დარბაზში შევიდნენ. მთელი დარბაზი გულისყურით უს-

მენდა სახელადაცავებულ წვერებიან ძორძობა ბატონს, რომელიც დიდ ხელებს ღამაზად შლიდა.

— ...თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება ამბები... — ამბობდა ღამაზი ბარიტონით ის კაცი. — გუშინ პეტერბურგში მთელი ხელისუფლება გენერალ ხაბალოვს გადაეცა, რომელმაც ქალაქში ასეთი აფიშები გააკრა: „ამ უკანასკნელ დღეებში პეტროგრადში უწესრიგობა მოხდა, რასაც თან ახლდა ძალადობა და სამხედრო და პოლიციურ ჩინებზე თავდასხმა. ვერძალავ ქუჩებში ხალხის ყოველგვარ შეჯგუფებას. ვაფრთხილებ პეტროგრადის მოსახლეობას: ეუბრძანებ ჯარებს ამ საქმეში გამოიყენონ იარაღი, ნუ დაინდობენ ნურავის, რათა აღდგენილ იქნას წესრიგი დედაქალაქში...“

— ჯალათები! — დაიგუგუნა დარბაზის სიღრმეში ვილაციის სემინარიულმა ხმამ.

— ამ განცხადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოთმინების ფილა გააფესო. პეტროგრადის გარნიზონის ყველა სახეობის ოცდახუთათასი ჯარისკაცი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა...

მან ვერც კი მოასწრო სიტყვის დასრულება, რომ დარბაზში მკახედ დაიგრიალა ტანმა. რამდენიმე კაცი სკამებზე ახტა და ყვირილი დაიწყო, ხელებს იქნევდნენ, თითქოს თითოთ უნდა გააპონო ძველი წესრიგი. ორატორმა წრფელი ღიმილით გახედა ამბოხებულ დარბაზს, შემდეგ მალდა ასწია ხელი და გაავრძელა:

— ეს-ეს არის მივიღეთ საგანგებო მნიშვნელობის ტელეფონოგრამა. — მან კუბოკრული პიჯაკის ჯიბიდან ქალა-

* ნაწყვეტები ტრილოგიის I-II წიგნებიდან.

დის ფურცელი ამოიღო და გაშალა. — დღეს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ როძიანკომ პირდაპირი მავთულით გაუგზავნა დეკემა ხელმწიფეს: „მდგომარეობა სერიოზულია. დედაქალაქში ანარქიაა. მთავრობა პარალიზებულია. ტრანსპორტი, სურსათ-სანოვაგე და სათბობის მოწოდება მოშლილია. ქუჩებში უწესრიგო სროლა მიმდინარეობს. ხანდახან ერთიმეორეს ესვრიან ზვენი ჯარები. აუცილებელია, სასწრაფოდ დავეალოს ახალი მთავრობის შედგენა ისეთ პიროვნებას, რომელიც ნდობით სარგებლობს ქვეყანაში. მოცდა არ შეიძლება. ყოველგვარი აღჩქარებლობა სიკვდილს უდრის. ღმერთსა ვთხოვ, რომ ამ წუთებში პასუხისმგებლობა არ დაეკისროს გვირგვინოსანს“.

აღაქდაცებულმა ბატონმა ძირს დაუშვა ქაღალდის ფურცელი და გაბრწყინებული თვალები მიმოავლო დარბაზს. ასეთი მიშობილველი სპექტაკლი არ ახსოვდათ მოსიკელებს.

— ბატონებო, ისტორიაში უდიდესი საქმეების გადაწყვეტის მიჯნაზე ვდგავართ ჩვენ, — განაგრძო მან ხავერდოვანი, ომანიანი ხმით, — შეიძლება, ამ წუთას აქ, — მან ისე გაიშვირა ხელი, როგორც დანტონის ქანდაკებასა ჰქონდა, — იქ უკვე შესრულდა თაობების ნატვრა და დეკარისტთა მქმუნვარე აზრდილების წილ შურიც ნაძიებია...

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — მოუთმენლად აღმოხდა ქალს.

— შეიძლება ხვალ მთელი რუსეთი ერთ წმინდა ძმურ გუნდში — თავისუფლებაში გაერთიანდეს!..

— ურა!.. თავისუფლება!.. — გაისმა ხმები.

ბატონი სკამზე დაეშვა და ხელის ზურგი შებლზე მოისვა. მაგიდის კუთხიდან წამოდგა მაღალ-მაღალი კაცი. მას ჩალასავით გაფშეკილი თმები ჰქონდა, ვიწრო სახე და უღიმღამო წითური წვერები, არავისთვის არ შეუხედაია, დამცინავი ხმით დაიწყო:

— ეს-ეს არის გავიგონე, — ვილაც

ამხანაგები ყვიროდნენ: ურა, თავისუფლებაო. სწორია, ამაზე უკეთესი რა უქნება: მოგილევენი დეპუტატისროთ ნიკოლოზ მეორე, სამართალში მივეცეთ მინისტრები, პანლურით გავყაროთ გუბერნატორები, პოლიციელები... გავშალოთ რევოლუციის წითელი დროშა... დასაწყისი სწორია... მიღებული ცნობებით რევოლუციური პროცესი სწორად და ენერგიულად დაიწყო. მას ისეთი პირი უჩანს, რომ ამჯერად აღარ ჩიშლება. მაგრამ, ი, ეს-ეს არის ჩვენს წინაშე ძალიან ლამაზად ლაპარაკობდა ერთი ბატონი. მან მგონი ასე თქვა, — მე ვერ გავიგონე სწორად, თუ არ ვიცი, — ის სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამდა რევოლუციის მომზადების გამო და მოგვიწოდებდა უახლოეს მომავალში გვეერთიანებულყავით რუსეთის ერთიან ძმურ გუნდში...

ჩალისთმიანმა კაცმა ცხვირსახოცი ამოიღო და პირთან მიიტანა, თითქოს ცდილობდა ღიმილის დაფარვას. მაგრამ ყვირილები წითელმა ლაქებმა დაუფარეს. გამხდარი მხრები აიწურა და ჩაახველა. დაშას უკან ეკატერინას გვერდით მჯდარ ქალს ვილაცამ ჰკითხა:

— ვინ ლაპარაკობს?

— ამხანაგი კუშმა, — ჩემად უპასუხეს სხაპასუბით, — 1905 წელს მუშათა დეპუტატთა საბჭოში იყო. ამასწინათ დაბრუნდა გადასახლებიდან.

— მე კი ცოტა ხანს მოვიციდიდი და ალტაცებაში არ მოვდიოდი, რომ ვყოფილიყავ ჩემზე წინ გამოსული ორატორის ადგილზე, — ამბობდა ამხანაგი კუშმა, უეცრად მას სანთლისფერი სახე გაუბოროტდა და გაბედული გაუხდა. — თორმეტი მილიონი გლეხი სასიკვდილოდა განწირული, ისინი ისევე ფრონტებზე არიან... მილიონობით მუშა სარდაფებში იღრჩვება, სურსათის რიგებში შიმშილით იხოცება ხალხი. მუშებისა და გლეხების კისერზე გინდათ შეკქმნათ ძმური გუნდი.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, მოთმინებიდან გამოსულმა ვილაცამ დაიყვირა: „ეს პროვოკაციააო!“ აღაქდაცებულმა

ბატონმა მხრები აიჩეჩა და ზარს წამოაელო ხელი. ამხანაგი კუზმა განაგრძობდა ლაპარაკს:

— იმპერიალისტებმა ევროპა საშინელ ომში ჩაითრიეს, ბურჟუაზიულმა კლასებმა დაწყებული ქვეყიდან ზევითამდე ამ ომს წმიდათაწმიდა უწოდეს, მსოფლიო ბაზრებისა და კაპიტალის გაუფონარო ზეიმის მოსაპოვებლად... ყვეთელმა ნაძირალეებმა, სოციალ-დემოკრატებმა ბატონს მხარი დაუჭირეს, მათაც ასე სცნეს: სწორედ აგრეთაო, ომი ნაციონალურია და წმიდათაწმიდა. გლეხები და მუშები სასაკლაოზე წაიგდეს... ვინა ვარ მე, გეკითხებით, ვინ აღიმაღლა ხმა ამ სისხლიან დღეებში?

— რას ამბობს?... ვინ არის?... გააჩუშეთ! — გაისმა გაბოროტებული ხმება. ატყდა ხმაური. ზოგიერთები წამოხტნენ და ხელებით დაიწყეს ლაპარაკი.

— დაკრა ქამმა... რევოლუციის აღიუნდა გადაიტყორცნოს მუშებისა და გლეხების მკიდრო ფენებში...

სიტყვების გარჩევა აღარ შეიძლებოდა, ისეთი ხმაური ატყდა დარბაზში. რამდენიმე ვიზიტკიანმა კაცმა მაგიდასთან მიიბრინა. ამხანაგმა კუზმამ ესტრადაზე უკან დაიხია და კარში მიიმალა. მის ადგილას გამოჩნდა ბავშვთა აღზრდის ცნობილი მოღვაწე.

— წინა ორატორის აღმაშფოთებელი სიტყვა...

ამ დროს დაშას ყურთან ვიღაცამ აღღევებითა და ნაზად წაიჩურჩულა:

— გამარჯობა, ჩემო ძვირფასო...

დაშას არ მიუხედავს უკან, სწრაფად წამოიჭრა ზეზე, კარში ივან ილიჩი იდგა. დაშამ შეხედა: მთელს ქვეყანაზე ყველზე ლამაზი იყო მისი საკუთარი ადამიანი. ივან ილიჩს კვლავ, როგორც ეს არაერთხელ მოსვლია, თავზარი დასცა იმან, რომ დაშა ისეთი არ იყო, როგორაც მას იგი თავის ფიქრებში წარმოედგინა. არამედ უფრო ძლიერ ლამაზად მოეჩვენა. სახეზე ცეცხლის ალი მოედო, მონასტრისფერო ლურჯი თვალები თითქოს ორი უძირო ტბააო. ყოველმხრივ შემკული იყო, არა-

ფერი აკლდა. დაშამ ჩუმად უთხრა: — გაგიმარჯოსო, — მკლავში ჩველი გამოსდო ივან ილიჩს და ქუჩაში გავედრნენ.

ქუჩაში დაშა გაჩერდა და ღიმილით დაუწყო ივან ილიჩს ცქერა, ამოიხრა, ხელები მაღლა ასწია და ტუჩებში აკოცა. ქალური სიფაქიზისა და დუხის მომწარო სუნი ასდიოდა. დაშამ ისევ მღუმარედ გამოსდო მკლავზე ხელი. ისინი წავიდნენ მოხრაშუნე ყინულის ქერქით დაფარულ გზაზე, რომელსაც ქუჩის სიღრმეში დაბლა დაკიდებული ნამგალა მთვარე აელვარებდა.

— ოჰ, მიყვარხარ, ივან! რომ იცოდე, როგორ გელოდი...

— მე ვეღარ ვძლებდი უშენოდ, რომ იცოდე...

— ნუ გამიწყობი, რომ ცუდ წერტილებს გწერიდი, არ მეხერხება წერა...

ივან ილიჩი გაჩერდა და მისკენ აღებულ უხმოდ მომდინარ სახეს დაუწყო ცქერა. ეს სახე განსაკუთრებით გაელამაზებინა და გაეუბრალოებინა ლანდლის თავშალს, მის ქვეშ შავად მოჩანდნენ წარბთა ზოლები. ივან ილიჩმა ფრთხილად მიიზიდა დაშა, ისიც მიუახლოვდა, ფეხსაცმელები ააპაყუნა და მიეკრა, სულ ისევ ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში. ივან ილიჩმა კვლავ დაკოცა და გზა განაგრძეს.

— დიდი ხნით ჩამოხვედი, ივან?

— არ ვიცი, — ასეთი ამბებია...

— ჰო, იცი, ეს ხომ — რევოლუციაა...

— შენ იცი, რომ მე ორთქლმავლით ჩამოვედი...

— იცი, ივან, რომ... — დაშამ ფეხი აუწყო მას და თავისი ფეხსაცმელების წვერებს დაუწყო ცქერა.

— რა?

— ახლა შენთან უნდა წამოვიდე, — შენთან წამოველ...

ივან ილიჩმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ დაშამ იგრძნო, რომ მან რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. დაშას გული აუჩვილდა და შეებრაღა ის.

.
.

სასტუმროს ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა, ქვემოლ, ვიწრო მტვერის ქუჩაზე როგორ მდორედ და შავ ნაკადად მიედინებოდა ხალხი. თავები ირხეოდნენ, მოჩანდა უთვალავი კარტუზები, ქუდები, თავშლები, ყვითელ ლაქებივით ადამიანთა სახეები. ყოველ ფანჯრიდან გადმომდგარიყვნენ ცნობისმოყვარეები, სახლის სახურავეებიდან ბიჭები.

ეკატერინა დიმიტრევნა ფანჯარასთან იდგა, ხან ტელეგინს წაატანდა ხელს, ხან დამას და წარბებამდე აწეულ პირბადეს ქვემოლდან ამბობდა:

— რა საშინელებაა!.. რა საშინელება!

— ეკატერინა დიმიტრევნა, გარწმუნებთ, რომ ქალაქში განწყობილება საგსებით მშვიდობიანია. — ამბობდა ივან ილიჩი, — თქვენ მოსვლამდე მე კრემლთან ვიყავი, — იქ მოლაპარაკება მიმდინარეობს, ეტყობა, არსენალი უნდათ ჩააბარონ უცეცხლოდ...

— მაგრამ, შეხედეთ, რად მიდიან ისინი იქით?.. რამდენი ხალხია! ნეტავი რა უნდათ გააკეთონ?

დაშა დაჰყურებდა აღელვებული თავების ნაკადს, სახურავეებისა და კოშკების გამოსახულებებს. დილა ბნელი და თბილი იყო. შორს, კრემლის ტაძრების ოქროსფერ გუმბათებზე, გაფარჩხულ არწივებსა და თაქწამწვეტებულ კოშკებზე ჭკების გუნდები ტრიალებდნენ.

დაშას ეჩვენებოდა, თითქოს რომელიღაც დიდ მდინარეებს გამოემსხვრიათ ყინული, გადმოეხეთქათ ნაპირები, დედამიწა დაეფარათ, თვითონაც საყვარელ ადამიანთან ერთად გაეტაცა ამ ნაკადს, და ახლა მის ხელსლა ეჭიდებოდა მაგრად. გული სიხარულითა და შიშის ხარით ისე უფანქვალბდა, როგორც ცის კამარაში აჭრილ ჩიტს.

— ყველაფერი მინდა დავინახო, ვავიდეთ ქუჩაში, — თქვა კატამ.

ფურის ქუქყისფერი შენობა, რომლის სვეტები ბოთლებს წაგავდნენ, სულ ერთიანად რიკულებით, აივნებითა და კოშკებით იყო შემკული. აქ იყო მოთავსებული რევოლუციის მთავარი შტაბი,

ქალაქის სათათბირო. შენობა წითელი დროშებით მოერთოთ, სვეტებზე წითელი ტილოები შემოეხვიათ, რომლის ბოლოები მთავარი პარმალის თავზე ეშვებოდა. პარმალს წინ გაყინულ ქვაფენილზე იდგა მაღალ თვლებზე შეყვებულ ოთხი ნაცრისფერი ზარბაზანი. პარმალზე ისხდნენ ბექებში მოხრილი მეტყვიამფრქვევეები, მხრებზე წითელი ლენტის ჯინჯილები ეკეთათ. ხალხის დიდი ბრბო წითელ დროშებსა და სახელმწიფო სათათბიროს ჩანაცრისფერებულ — შავ ფანჯრებს მზიარული ძრწოლით შესცქეროდა. როცა პარმალს ზემოთ აივანზე გამოჩნდებოდა ხოლმე პატარა, მღელვარე ფიგურა, რომელიც ხელებს იქნევდა და რაღაცას უხმოდ ყვიროდა, ხალხში სიხარულის ღმუილი ისმოდა.

დროშებისა და ზარბაზნების ცქერით დამტკბარი ადამიანები მიაქყაუნებდნენ ადრეული სითბოთი გამდნარ ჭუჭყიან თოვლში, ივერსკის ღრმა თაღების გავლით წითელ მოედანზე გადიოდნენ, სადაც სპასკისა და ნიკოლას კართან ამხედრებული სამხედრო ნაწილები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას კრემლში ჩაკეტილ სათადარიგო პოლკის რჩეულებთან.

კატია, დაშა და ტელეგინი ბრბომ ზედ სახელმწიფო სათათბიროს პარმალთან მიიტანა, ტვერის ქუჩიდან მთელს მოედანზე, სულ უფრო და უფრო ძლიერ მოდიოდა ყვირილის ხმა.

— ამხანაგებო, გზა მოგვეციო... ამხანაგებო, დაიცავით წესრიგი! — გაისმა ახალგაზრდული მღელვარე ხმები. ზოზინით უკანდახეულ ბრბოში სახელმწიფო სათათბიროს პარმალისაკენ შაშხანების ქნევით, მხარით მიარღვევდა ხალხს; ოთხი გიმნაზიელი და ერთიც თმაგაწეწილი ხმალამოწვდილი ეშხიანი ქალიშვილი. პატიმრები მოჰყავდათ — ხთი გასავათებული ზურგსუკან ხელებგაკრული, თავჩაქინდრული, სახემოქუფრული ამხანი პოლიციელი. წინ ქუდმოხდილი ბოქაული მოუძლოდათ, წმინდად გაპარულ ვეჟან თავზე საფეთქლებთან შემხმარი სისხლი მოუჩანდა; ქერა მო-

ელვარე თვალებს დაფეთებით აცეცებდა ხალხის მომღიმარ სახეებზე; სამხრეები პალტოზე ნაჭრისადა ჰქონდა ავლეჯილი.

— ამასაც მოესწართ, შევარდნებო! — ამბობდნენ ხალხში.

— მასხრად რომ გვიღებდით, ახლა თქვენც იწვინეთ...

— იბატონეს და...

— წყეული თაობა!.. ფარაონები!..

— ვტაცით ხელი და ვწამოთ რაღა...

— ბიჭებო, მოდით დავცხოთ!..

— ამხანაგებო, ამხანაგებო, გაგვატარეთ, დაიცავით რევოლუციური წესრიგი! — ხმის ჩაწყვეტამდე ყვიროდნენ გიმნაზიელები. პოლიციელები ააჩქარეს, სახელმწიფო სათათბიროს პარმალზე აიბრინეს და იქ, დიდ კარში გაუჩინარდნენ. მათ უკან ხალხის ჯღიმვით მიჰყვა რამდენიმე კაცი, რომელთა შორის იყო კატია, დაშა და ტელეგინი.

მოცარიელებულ, მაღალკერიან, მჭრქალად განათებულ ვესტიბიულში სველ იატაკზე აპარატებთან ჩაკუნტულიყვნენ მეტყვიამფრქვევეები. დაქლავოყებიანი სტუდენტი, ეტყობოდა, ყვირილისა და დაღლილობისაგან გაოგნებული, ყოველ შემომსვლელს ღრიალით ეფეთებოდა:

— არაფერი ვიცი! საშვი წარმოადგინეთ!..

ზოგი საშვს უჩვენებდა, ზოგი ისე, ხელს ჩაიქნევდა და ფართო კიბით ადიოდა მეორე სართულზე. მეორე სართულზე განიერ დერეფნებში კედლებთან ისხდნენ და იწვნენ მტვერში ამოგანგლულები, ხელეპში შაშხანები ჩაებლუჯათ და დუმდნენ. სხვები პურსა ლონდინდნენ, ზოგიერთებს ნაჭრებშემოხვეული ფეხები შეეკეცათ და ხერინავდნენ. მათ გვერდით ირეოდნენ უსაქმო ადამიანები, კარზე მიკრულ ქაღალდებზე უცნაურ წარწერებს კითხულობდნენ, უყურებდნენ ოთახიდან ოთახში მორბენალ, მეტისმეტად ავზნებულ, ხმაჩახლეჩილ კომისარებს.

კატია, დაშა და ტელეგინი დატყბნენ ამ საოცრების ცქერით, მერე ხალხში გა-

იკვლიეს გზა და მაღალკერიან, ორ სართულად ჩამწკრივებულ მ. ფანჯრებთან დარბაზში შევიდნენ. ვეებერთელა ფანჯრებზე გადახუნებული მეწამული ფარდები იყო ჩამოშვებული, ამფითეატრის მრგვალ სკამებს მეწამული ქსოვილები ჰქონდა გადაკრული. წინა კედელზე თითქოს ორსაყენიანი საკერებლები დაუღვითათ, მოჩანდნენ იმპერატორთა პორტრეტების ცარიელი მოჭრეოვილი ჩაჩხოები. მათ წინ ბრინჯაოს მანტიით უკან გადაღვრილი, იღვა მარმარილოს ეკატერინე, რომელიც ალერსიანად და ცბიერად უღიმოდა თავის ხალხს.

ამფითეატრის სკამებზე თავდაყრდნობით ისხდნენ სახეჩაშავებული, წვერებგაჯაგრული ტანჯული ადამიანები. რამდენიმეს სახე პუპიტრაზე დაემხო და ეძინა. სხვები უხალისოდ ატყაყებდნენ ძეხვის ნაჭრებს და პურს ატანდნენ. ქვემოთ, მომღიმარ ეკატერინეს წინ ოქროსფორებშემოვლებულ მწვანე მაგიდასთან ისხდნენ შეხალათიანი სახეგალეული ადამიანები. მათ შორის ერთი—წითელწვერიანი და გრძელთმებიანი კაცი...

— დაშა! შეხედე! — ამხანაგი კუზმა ზის მაგიდასთან, — თქვა კატია.

ამ დროს ამხანაგ კუზმასთან მივიდა თმაშეკრეკილი ცხვირისსკარტა ქალიშვილი და რაღაცა ჩასჩურჩულა. კუზმა ჯერ უსმენდა თავჩაღუნული, შემდეგ წამოდგა და თქვა:

— ქალაქის თავმჯდომარე გუჩკოვმა მეორედ განაცხადა, რომ მუშებს იარაღი არ მიეცემათო. წინადადება შემომაქვს კამათის გარეშე კენჭი ვუყაროთ რევოლუციური კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტს.

ტელეგინმა ბოლოსდაბოლოს შეიტყო (ტანდაბალ გიმნაზისტს ჰკითხა, რომელიც ვაშმაგებით ეწეოდა პაპიროსს), რომ ამ ეკატერინეს დარბაზში ორ დღე-ღამეს არ შეწყვეტილა მუშათა დეპუტატების საბჭოების სხდომა.

სადილობისას სათადარიგო პოლკის ჯარისკაცებმა, რომლებიც კრემლში ისხდნენ, წითელ მოედანზე დაინახეს სავლელ სამხარეულოების კვამლი, — სულ-

მა წასძლიათ და კარი გაუღეს. მთელს მოედანზე ატყდა ყვირილი, ქუდებს ისროდნენ პაერში. თხემის ადგილზე, სადაც ოდესღაც ცხერის ნიღბიანი, მუცელზე სტიკარშემოდგმული განგმირული ცრუდიმიტრი ეგდო, სადაც ირჩევდნენ და ამხობდნენ მეფეებს, სადაც კითხულობდნენ კანონებს რუსი ხალხის ყველა უფლებებისა და უუფლებობის შესახებ. იმ პატარა ბექობზე, რომელიც ბევრჯერ გაბარდნილა ორაენდით და ბევრჯერ მორწყულა სისხლით, ავიდა უხეშმშარბიანი ჯარისკაცი. თავს უკრავდა ხალხს, ორივე ხელით იწვედა ყურებზე ბოზოხს, რაღაცას ამბობდა. ხმაურში არავის გაუგონია მისი ნათქვამი. სულერთიანად დაჩივებული იყო ის ჯარისკაცი, მივარდნილი სოფლიდან უკანასკნელი მობილიზაციით წამოყვანილი. მაგრამ მიინც, ვიღაც ქალბატონმა, რომელსაც ბუმბულებიანი ქუდი გვერდზე მოჰქცეოდა, მის საკოცნელად გაიწია, შემდეგ ჯარისკაცი თხემის ადგილიდან ჩამოათრიეს, ხელში აიტაცეს და ღრიანცელით წაიღეს.

ამ დროს, ტვერის ქუჩაზე, გენერალ გუბერნატორის სახლის პირდაპირ სკობლევის ძეგლზე აცოცებულიყო ერთი თავზეხეულადებული და ძეგლისთვის ხმაზე გამოება წითელი ნაჭერი. „ვაშა“ გრიალებდა ხალხი. რამდენიმე გამოუცნობმა პიროვნებამ შუკადან დაცვის განყოფილებაში შეაღწია. კარგად ისმოდა მინების ლეწვა, შემდეგ ბოლიც აეარდა. «ვაშა» გრიალებდა ყველგან. ტვერის ბულვარზე პუშკინის ძეგლთან ცნობილი მწერალი ქალი ცრემლების ლაპალუპით ლაპარაკობდა ახალი ცხოვრების განთიადზე, შემდეგ რომელიღაც გიმნაზისტის დახმარებით, ჩაფიქრებით მდგარ პუშკინს ხელში ჩასჩარა წითელი დროშა. ხალხი «ვაშას» გაიძახოდა. მთელი ქალაქი იმ დღეს მთვრალივით ბარბაცებდა. გვიან ღამემდე არავინ წასულა შინ; ჯგუფდებოდნენ, ლაპარაკობდნენ, სიხარულისაგან ცრემლებსა ღვრიდნენ, გულში იკრავდნენ ერთმანეთს, რაღაც დებეშებს ელოდებოდნენ. სამი წლის

მწუხარების, სიძულვილისა და სისხლისღვრის შემდეგ დღედა და გაიმობხიოდა მათი გონებაშეზღუდული სქელი.

კატია, დაშა და ტელეგინი შებინდებულზე დაბრუნდნენ შინ. მოახლე ღიზა უწმინდეს ბულვარზე წასულიყო, მიტინგზე. მზარეული ქალი სამზარეულოში ჩაკეტილიყო და ყრუ ხმით ღმუროდა. კათიას ძლივას, დიდი ხეყნის შემდეგ გაულო კარი.

— რა დაგეშართათ, მარფუშკა?

— ჩვენი ხელმწიფე მო-ო-ო-კლეს, — ჩაილაპარაკა მან და ტირილისაგან დასიებულ სქელ ტუჩებზე ხელი აიფარა. სპირტის სუნი ამოსდიოდა.

— რა სისულელეებს ამბობ, — წყენით უთხრა კატიამ. — არავის არ მოუკლავს მეფე.

კატიამ გაზზე ჩაიდანა შემოდგა და სუფრის გასაშლელად წავიდა. დაშა სასტუმრო ოთახში დივანზე იწვა, ფეხებთან ტელეგინი ეჯდა. დაშამ მას ძილის წინ დაუბარა:

— ივან, თუ ვინიცობაა, ჩამეძინოს, ჩაის რომ მოიტანენ, გამაღვიძე, ძალიან მინდა ჩაი.

დაშა გვერდზე გადაბრუნდა, ლოყის ქვეშ ამოიღო ხელი და უკვე ძილის ხმაზე ჩაიჩურჩულა:

— ძალიან მიყვარხარ.

საღამოს ბინდში თეთრად მოჩანდა თიეთიკის თავშალი, რომელშიც დაშა იყო გახვეული. დაშას სუნთქვაც კი არ ისმოდა. ივან ილიჩი გაუნძრევლად იჯდა — გულს დაგადუგი გაუდიოდა. ოთახის სიღრმეში კარის ჭუჭრეტანაში შუქი გამოჩნდა, შემდეგ კარიც გაიღო. კატია შემოვიდა. ივან ილიჩის გვერდით დივანის სახელურზე ჩამოჯდა, მუხლზე შემოიჭლო ხელი და ღუმლის შემდეგ დაბალი ხმით იკითხა:

— დაიძინა დაშამ?

— მთხოვა ჩაიზე გამაღვიძეო.

— სამზარეულოში მარფუშკა ღრილებს, მეფე მოკლესო. ივან ილიჩ, ნეტავი რა უნდა მოხდეს?... ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ყველა კაშხალი გაირღვა... გულიცა მტყვი: ნიკოლაი ივანო-

ვიჩის გამო ვწუხვარ... ჩემო მეგობარო, გთხოვ, ხეალ ცოტათი ადრე გაუგზავნეთ დეპეშა... მითხარით, თქვენ და დაშა როდის აპირებთ პეტროგრადში გამგზავრებას?

ივან ილიჩმა არაფერი უპასუხა, კატიამ მისკენ მიიბრუნა თავი, ყურადღებით ჩახედა სახეში დიდი, დაშასნაირი, მაგრამ უფრო ქალური, სერიოზული თვალებით, გაუღიმა, თავისკენ მიიზიდა ივან ილიჩი და შეუბლზე ეამბორა.

მეორე დღეს დილიდანვე მთელი ქალაქი ქუჩაში იყო გამოფენილი. ტვერის ქუჩაზე ხალხის ჰედვასა და „ეპოსას“ განუწყვეტელ ძახილში მიდიოდნენ ხიშტებიანი და ხმალამოწვდილი ჯარისკაცებით საეცე საბარგო მანქანები, გზაზე მორახრახე ზარბაზნებზე ბიჭები ისხდნენ. თოვლის ჭუყიან გროვებზე ტროტუარებს გასწვრივ წესრიგის დასაცავად ჩამწყრივებულოყვნენ ახალგაზრდა ქალიშვილები, მაღლა აწვდილი ხმლები ეჭირათ მათ და დაძაბული სახეები ჰქონდათ. აქვე იყვნენ შეიარაღებული გიმნაზიელები, რომლებიც არაფერს დაინდობდნენ, — ეს იყო ნებაყოფლობითი მილიცია. მედუქნეები კიბეებზე აღიოდნენ და აბრებიდან ჰგლეჯდნენ იმპერატორის არწივებს. რომელიღაც დასნეულებული ქალიშვილები—თამბაქოს ფაბრიკის მუშები — ქალაქში ლევ ტოლსტოის სურათს დაატარებდნენ. კუშტად შეკრული წარბებიდან მკაცრად უყურებდა ყველა ამ საოცრებას ლევ ტოლსტოი. გეგონებოდათ, ბოლო მოეღოთ ომსა და სიძულვილს, გეგონებოდათ, კიდევ სადღაც, რომელიღაც ცათაბჯენილ სამრეკლოზე უნდა აღიმართოსო წითელი დროშა და მთელმა მსოფლიომ უნდა შეიტყოსო, რომ ჩვენ ყველანი ძმები ვართ, რომ ქვეყანაზე არ არის სხვა ძალა, — არის მხოლოდ სიხარული, თავისუფლება, სიყვარული, სიცოცხლე...

როცა დეპეშებმა თავზარდამცემი ცნობა მოიტანეს, მეფის გადადგომისა და ქვეყნის მიზელის ხელში გადაცემის შესახებ, რომელმაც თავის მხრივ უარი განაცხადა მეფის გვირგვინზე, არავის

შეუცხადებია, გეგონებოდათ ამ დღეებში ამაზე უფრო საოცარ, ამგებულ და მოხდესო.

ბანჯონის ბზაზე

სახურაეების უსწორმასწორო ხაზზე, ნარინჯისფერ დაფიონზე, ცის გამკვირვალე უფსკრულში ვარსკვლავი ციმციმებდა. ფოთლებშემოძარცული ცაცხვის შავად გამოშინალი რტოები არ იძვროდნენ. მათ ქვეშ სიბნელე იდგა. ფილაქანზე გაყინული ტბორები ხრამუნებდნენ. დაშა შეჩერდა, ივან ილიჩის მკლავზე გამოდებული ჩაქლობილი ხელები ერთიმეორისთვის არ დაუშორებია, გალავნის იქით აწოწოლავებულ ნიკოლას საყდრის განათებულ კედელში ღრმად ჩამჯდარ შეოფლილ ფანჯარას გახედა.

ეკლესიას და ეზოს ცაცხვის ჩრდილი ფარავდა. შორს კარის ჯახუნი გაისმა, ეზოში ბავჯების ქრიალით გაიარა დაბალ-დაბალმა კაცმა, გრძელი პალტო მიწაზე დასთრევდა, სოკოსავით ქუდი ეხურა. კარგად ისმოდა, როგორ გაჩხაკუნა გასაღებები და დინჯად ავიდა სამრეკლოზე.

— მნათე ზარის დასარეკად ავიდა, — ჩაიხურჩულა დაშამ და თავი მაღლა ასწია. სამრეკლოს პატარა ოქროსფერ გუმბათზე ჩამავალი მზის ნათელი იდგა.

— ბუმ, — დაჰკრა ზარმა, რომელიც სამას წელიწადს მოუხმობდა ამ ხალხს მწუხრის ეამს ძილის წინ სულებს დასამშვიდებლად. ივან ილიჩის მესხიერებაში წუთიერად აღდგა პატარა სამლოცველო და მის ზღურბლზე ჩუმად მტირალი თეთრსეიტკიანი ქალი, მუხლებზე მკედარი ბავშვით. ივან ილიჩმა ნიდაყვით მაგრად მიიხეტა დაშას მკლავი. დაშამ შეხედა, თითქოს ეკითხებოდა: რა მოგივიდაო...

— გინდა? — ჰკითხა მან ჩურჩულით და სხაპასუპით. — შევიდეთ.

ივან ილიჩმა გულიანად გაიღიმა. დაშამ შებლი შეიკრა, ფეხსაცმელები ააპაქუნა.

— რა არის აქ სასაცილო? — როცა მკლავგაყრილი მიჰყვები ამ ქვეყანაზე შენთვის ყველაზე უფრო საყვარელ ადა-

მიანს და ფანჯარაში სინათლეს მოჰკრავთვალს, — უნდა შეხვიდე და ჯვარი დაიწერო... — დამამ ისევე გამოსდო მკლავი ივან ილიჩს — გამიგე?

ყველაფერი გათავებულყო. დაღუპებული პეტერბურგის მოცარიელებულ ქუჩებში სუსხიანი ქარი აფრიალებდა ნაგავ ქალაღებს — სამხედრო ბრძანებების, თეატრების აფიშების, „სინდისიერებისა და პატრიოტიზმისადმი“ რუსი ხალხის მოწოდებების ნაგლეჯებს. ქალაღის წებოშემხმარი კრელ-კრელი ნაფლეთები ბოროტი შრიალით მიგორავდნენ ქვენა ქარისაგან აშლილ თოვლთან ერთად.

ეს იყო და ეს, რაც დარჩა ჯერ კიდევ ახლახან მოხმაურე და მთვრალი, ანთიქოლებული დედაქალაქისაგან. მოედნებიდან და ქუჩებიდან გაიკრიფა უსაქმური ბრბოები. დაცარიელდა ზამთრის სასახლე, რომელსაც „ავტორადან“ გამოსროლილმა კურვმა სახურავი გაუხვრიტა. არავინ იცოდა სად გარბოდნენ დროებითი მთავრობის წევრები, გავლენიანი ბანკირები, ცნობილი გენერლები... მოუვლელსა და ქუჭყიან ქუჩებში უჩინარდებოდნენ ბრწყინვალე ეტლები, მდიდრულად ჩაცმული ქალები, ოფიცრები, მოხელეები, აზრებაფორიაქებული საზოგადო მოღვაწეები. დამდამობით სულ უფრო და უფრო გახშირდა ჩაქუჩის კაქუნი. მალაზიების კარებებს ფიცრებით ჰედავდნენ. აქა-იქ ვიტრინებზე კიდევ მოჩანდა: ზოგან ყველის ნაჭერი, ზოგან გამხმარი ღვეზელი. მაგრამ ეს მხოლოდ მატებდა გამქრალ ცხოვრებაზე წუხილს. შეშინებული მგზავრი კედელს ეკვროდა, ალმაცურად გაყურებდა პატარულს — გაბედულ ადამიანთა ჯგუფს, რომლებსაც ქულზე წითელი ვარსკვლავები ეკეთათ და ძირს ლულადაშვებული შაშხანები ეკიდათ მხარზე.

ჩრდილოეთის ქარი სახლების ჩაბნელებულ ფანჯრებს ყინვას აფრქვევდა, დაჰქროდა გამოცარიელებულ მთავარ შესასვლელებში, თან მიჰქონდა ყოფილი

ფუფუნების მოჩვენებები. საშინელი სანახავე იყო პეტერბურგის ჩუილმუტი წლის ბოლოს.

საშინელი, გაურკვეველი, მიუწვდომელი იყო ის ყველაფერი გათავდა, ყველაფერი შეიცვალა. ქვენა ქარისაგან მოკრიალებულ ქუჩაზე შლაპაჩამოხეული კაცი გადაბობდა, ხელში ვედრო და ფუნჯი ეკავა. დეკრეტების სულ ახალ და ახალ ფურცლებს აკრავდა. ფურცლები თეთრი საკერებლებით ედგვა სახლების საუკუნოვან ზეძირკველებს. ჩინები, დამსახურება, პენსიები, ღმერთი, კერძო საკუთრება და თვით ოფიცერთა სამხრეები, ასო „იატი“, თავნება ცხოვრება — იცვლებოდა. შეიცვალა ყველაფერი! შლიაბის ქვემოდან მრისხანედ იყურებოდა აფიშების გამკვრელი იქითკენ, სადაც ბროლის ფანჯრებს უკან კიდევ დაეხეტებოდნენ თავიანთ გამოცარიელებულ დარბაზებში ბაგვებსა და ქურქებში გამოწყობილი ადამიანები, თითებს იმტვრევდნენ და იმეორებდნენ:

— ეს რა მოგვივიდა? რა უნდა მოხდეს, რუსეთი უნდა დაიღუპოს, ყველაფერი დასრულდეს... სიკვდილი..

თალებიან მომცრო ოთახში მაგიდასთან ხუთი კაცი იჯდა, — დაქმუნული პიჯაკები და ჯარისკაცული მულის ხალათები ეცვათ. სახეები უძილობისაგან ჩაშავებოდათ. მაგიდაზე გადაფარებულ ალაგ-ალაგ ამომწვარ მუღღზე ქალაღებსა, პაპიროსის ნაშვებებსა და პურის ნატებებს შორის, ჩაის ჭიქები და ტელეფონის აპარატები იდგა. ხანგამოშვებით იღებოდა კარი და გრძელი, ხალხისაგან აუღუნებული დერეფნიდან შემოდინდა ფართო მხარბეჭიანი, ლეღებით აკაზმული სამხედრო პირი. ხელმოსაწერად შემოჰქონდა ქალაღები.

თავმჯდომარეობდა მაგიდასთან მჯდარი მეხუთე, ტანდაბალი კაცი. ნაცრისფერი მოკლე პიჯაკი ეცვა მას. თავის სიმაღლესთან შედარებით მეტისმეტად მაღალ სავარძელში იჯდა და გვეგონებოდათ თვლემდა. მარცხენა ხელი შუბლზე მიედო, ცხვირი და თვალები დაეფარა;

მხოლოდ სწორი პირი, ურჩი უღვაშები და კუნთებათამაშებული გაუპარსავი ლოყა უჩანდა. ვინც ახლოს იცნობდა მას, მხოლოდ ის შეატყობდა, რომ თითებს შორის, ნაპრალში, რომლითაც ზანტად დაეფარა სახე, მომხსენებელს უყურებდა თავისი მახვილი, ცბიერი თვალით, მოთათბირეთა სახის თამაშს უკვირდებოდა.

თითქმის განუწყვეტლივ რეკავდნენ ტელეფონები. ისევ ის ფართო მხარბე-პიანი, ღვედებით აკაზმული კაცი იღებდა ყურმილს, დაბალი ხმით ლაპარაკობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხებდა: „კომისართა საბჭო, თათბირია. არ შეიძლება...“ ხანგამოშვებით ვიღაცა აწვებოდა კარს ღერეფნიდან, კარის თითბრის სახელური ტრიალებდა. ფანჯრებს უკან ზღვიდან წამოქროლილი ქარი ბობოქრობდა, ფანჯრებს ხოშკაყალს და წვიმას აყრიდა.

მომხსენებელმა დაამთავრა. იქ მსხდომთ, ზოგს თავი ჩაექინდრა ზოგს ხელები შემოეხვია თავზე. თავმჯდომარემ ხელისგული მოტკლემილ კეფაზე გადაისვა და პატარა ბარათი დაწერა, ერთ სიტყვას სამჯერ გაუსვა ხაზი, ისე რომ კალამი ქაღალდს ჩაესო. ბარათი მის მარცხნივ მჯდარ მესამეს, ხმელხმელ, შავ უღვაშებიან, უკან თმაგადავარცხნილ კაცს ესროლა.

მარცხნიდან მესამემ წაიკითხა, უღვაშებში ჩაიკინა, იმავე ბარათს დააწერა პასუხი...

თავმჯდომარემ ფანჯარაში გაიხედა, სადაც ქარბუქი ბობოქრობდა და ბარათი წერილწერილად დაკუწა.

— არმია არა გვეყავს, სურსათიც არა გაქვს, მომხსენებელი მართალია, ჩვენ სიტყვიერებაში ვბორგავთ, — ჩაილაპარაკა

კა მან გაბოროტებული ხმით. — გერმანელები გვიტევენ და შემოგვიტევენ უბედურად. მომხსენებელი მართალია.

— მაგრამ ეს განა დასასრულია? როგორია გამოსავალი? კაპიტულირება? იატაკქვეშ ჩაკეტვა? — სიტყვა შეაწყვეტინეს ხმებმა.

— გამოსავალი როგორია? (მან თვლები მოკუტა) უნდა ვიბრძოლოთ. სასტიკად უნდა ვიბრძოლოთ. გაეანადგურათ გერმანელები. ახლა თუ არ გავანადგურეთ ისინი, — მოსკოვში დავიხვეთ. თუ გერმანელები მოსკოვს აიღებენ, — ურალსკენ დავიხვეთ. ურალ-კუნძუცის რესპუბლიკას შევქმნით. იქ — ქვანახშირია, რკინა და მებრძოლი პროლეტარიატი. ევაკუაციით გავგზავნით იქ პიტერის მუშებს. არასასიამოვნო საქმეა. მაგრამ თუ გაკვირვება დაგვადგა, კამჩატკამდეც დავიხვეთ. ერთი, მხოლოდ ერთი უნდა გვახსოვდეს: უნდა შევინარჩუნოთ მუშათა კლასის ნაღები, არ უნდა დავუშვათ მათი გაწყვეტა. და ჩვენ კვლავ დაეიკავებთ მოსკოვს, პიტერს... დასავლეთში კიდევ ორჯერ შეიცვლება... ცხვირის ჩამოშვება, ხელების თავში ცემა — ეს ბოლშევიკების საქმე არ არის...

მოულოდნელი სიმკვირცხლით ზეზე წამოდგა ის მაღალი სავარძლიდან, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, მუხის კარისკენ გაიქრა, კარი გამოაღო. ღერეფნიდან ბულსა და ბინდნარეე სინათლეში მოუახლოვდნენ მას ქანცგაწყვეტილი, გამზდარი, ნაოკიანი სახეები, პიტერის მუშების ანთებული თვალები... მან მელნით დასერილი დიდი ხელი მაღლა აღმართა:

— ამხანაგებო, სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!..

თარგმანი ეთერ როსტროვაჟილისა

პროსოვი რაზინი



ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებათა შესახებ*

თემა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი“ მეტის-მეტად ზრცული თემაა და მოიცავს მეცნიერებისათვის უარესად საინტერესო საკითხების ფართო წრეს. ამ წრეს მიეკუთვნებოდა, მაგალითად, ისეთი დიდწინაშენელოვანი საკითხები, როგორიცაა: ფეოდალურ-ბატონურ წყობილებასთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება, კლასებისა და კლასთა ბრძოლის თეორიის ილიასეული გაგება, კოლონური ჩაგვრის წინააღმდეგ და ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის მისი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლა, მის მიერ წაფიქრებელი „სამართლიანი საზოგადოების“ პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათი და შინაარსი, სურათშიორისო ურთიერთობისა და ევროპის მეშვეობით მთავრობის ილიასეული გაგება-შეფასება და მრავალი სხვა. ამ წერილში შევხებით მხოლოდ ორ საკითხს, რომელთა გაშუქება საშუალებას მოგვცემს დაახლოებით მაინც წარმოვადგინო ვიქონით ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე საერთოდ.

პირველი საკითხი, ესაა ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზე, ე. ი. მისი სოციოლოგიური შეხედულებანი.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერების გულისხმობით შესწავლა სავარაუდოა, რომ ის როგორც მოაზროვნე, სიკვდილთა თვისი ეპოქის მოწინავე აზრის სიმბოლურე ღვა.

ამ ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს საზოგადოებრივი აზროვნების მარქსამდელი პერიოდი, რომელშიც თავის უმაღლეს განვითარებას მიღწეა გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსებისა და რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაშრომებში. ი. ჭავჭავაძე ამ გამოჩენილ მოაზროვნეთა მოწინავე და თანამებრძოლი იყო და საკვებით იდგა რუსეთის მამინდელი მოწინავე აზრის ღონეზე. შეიძლება უფრო მეტიც ითქვას: მის შეხედულება სხენებელი რუსი რევოლუციური დემოკრატები

ისტორიული სცენიდან ჩამოვიდნენ და რუსეთში საყოველთაოდ დიდხანს გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა იდეალისტურ-სუბიექტივისტურმა, ნაროდნიკულმა მიმართულებამ, — რამაც უდავოდ დააქვეითა რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების დონე, — ილია ჭავჭავაძემ შესწავლილ გვერდი აიღო გაბატონებული იდეალისტურ-სუბიექტივისტური მოძღვრების დაძლეული გაეყენისათვის და არა მარტო შეინარჩუნა ძმინი წლების მატერიალისტური აზროვნების ტრადიციები, არამედ შემდგომ განავითარა კიდევ ისინი ახალი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის დროს.

როგორც ცნობილია, კაცობრიობის საფუძვლად გონებადია საუკუნეთა მანძილზე ცდილობდნენ ჩასწვლილდნენ საზოგადოების განვითარების შინაგან კანონზომიერებას და გაეკოთ მისი მამოძრავებელი ძალების ხასიათი. კაცობრიობის ისტორიის ძველ და საშუალო საუკუნეთა საფუძვრებზე არ მოხერხებულა რაიმე, ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი თვალსაზრისის შემუშავება ამ საკითხზე. აღმართის აზრი, რომელიც მამინდელი თეოლოგიის ტყვეობაში იმყოფებოდა, შორი ახლოს უტრიალებდა სოციოლოგიის ძირითად პრობლემებს და ამოდ ეჭებდა ცივილიზაციისა და პროგრესის მიზეზებს.

ახალ ხანაში, ფეოდალური წყობილების რღვევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბების ეპოქაში, ევროპის მოწინავე სახელმწიფოების გამოჩენილმა მოაზროვნეებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ და უყარადეს თეოლოგიურ-სქოლისტიკური აზროვნების დომენი. მაგრამ XVIII საუკუნეში თითქმის საყოველთაოდ გაბატონდა ისტორიის გაგების იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ფრანგმა მატერიალისტებმა და განმანათლებლებმა ჩამოაყალიბეს. ამ თვალსაზრისის მიხედვით საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს სუბიექტური ფაქტორი — აღმართის გონება, აზრი. „აზრი მართავს ქვეყანას“ — ასე ფიქრობდნენ ფრანგი მატერიალისტები და თუმცა მათ თავიანთ მოძღვრებით სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს თეოლოგიას, მაგრამ ისტორიის ნამდვილი, მეცნიერული გაგებიდან ისინი ჯერ კიდევ ძალიან

* ეს წერილი წაეთხელი იყო მოხსენების სახით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1957 წ. 18. X.

შორს იყვნენ.

ბურჟუაზიული რევოლუციების ქარიშხლიან-მა ეპოქამ და მასთან დაკავშირებულმა მასების დიდმა მოძრაობამ შეიარაღო ფრანგი მატერიალისტების მოძღვრება და უკვე XIX საუკუნის ოციან წლებში იმავე საფრანგეთში ისახება ახალი ისტორიული კონცეპცია, რომლის წარმომადგენლები, — ცნობილი ისტორიკოსები ტიერი, ვიზო, მენენ, — ისტორიის მამოძრავებელ ძალებს ეძებენ უკვე არა ადამიანის გონებაში, აზრში, არამედ ადამიანთა სამოქალაქო ცხოვრებაში, სამიწათმოქმედო ურთიერთობაში. ან კიდევ საერთოდ ქონებრივ ურთიერთობაში. მაგრამ საიდან წარმოიშვა თვითონ ქონებრივი, ან სამიწათმოქმედო ურთიერთობა? სხვა სიტუაციაში, — რა განსაზღვრავს თვითონ სამოქალაქო ცხოვრებას? ამ კითხვის პასუხი ახალმა მიმართულებამ ვერ იპოვნა, ამიტომ ის იძულებული გახდა ისევ XVIII საუკუნის იდეალისტური ფილოსოფიის საგანძურს დაბრუნებოდა და ისტორიის ახსნა „ადამიანის ბუნების“ საშუალებით ეცადა.

„ადამიანის ბუნების“ თვალსაზრისი მეტისმეტად გაერცვლებული თვალსაზრისითა მე-19 საუკუნის ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა შორის. მარქსამდელი მოაზროვნეები ცდილობდნენ ადამიანის როგორც ბიოლოგიური არსების თვისებებით აეხსნათ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი. თვით ლუდვიგ ფთიერბახიც კი, რომლის აზროვნება გერმანული ფილოსოფიის შვეყრეალს წარმოადგენს, ადამიანის ანთროპოლოგიურ გაგების ემუხარებოდა და ვერ ამოღდა ადამიანის როგორც სოციალური არსების გაგებამდე.

მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა შესძლეს მოეხდინათ უდიდესი რევოლუცია საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში და შეექმნათ ისტორიული მატერიალიზმის თეორია, რომელიც იძლევა საზოგადოების განვითარების პროცესის ნამდვილ, მეცნიერულ ახსნას. როგორც ლენინი მიუთითებს, ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ ინდივიდუუმების მოქმედება დაიფანჯა კლასების მოქმედებამდე, რომელთა ბრძოლა განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას.

ისტორიული მატერიალიზმის თეორიის შემუშავება XIX საუკუნის 40-50 წლებში მოხდა მაგრამ საქმე ისაა, რომ ისტორიის გაგების ეს ერთადერთი სწორი და მეცნიერული თეორია ერთბაშად როდი გამხდარა საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ თეორიად. ახალი მოძღვრება, რომელმაც თავის ეპოქას ვაუსწრო, საემაოდ დიდხანს იკვლევდა გზას მრავალრიცხოვანი იდეალისტურ-სუბიექტური ნააზრების ეკალბარებაში. ევროპის მოწინავე სახელმწიფოების პროგრესულ მოაზროვნეთა შორისაც 7. „მნათობი“, № 3.

კი მარქსიზმის არსი დიდხანს გაუგებარი რჩებოდა.

ამ მხრივ ფრიალ დამახასიათებელია ჟოზეფ მერიენგის ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ თვით მუშათა მიმდინარეობის შეგნითაც კი 70 წლებში ევროპის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს წარმოდგენაც არ ჰქონდა მარქსიზმზე. აი, მაგალითად, რას ამბობს მერიენგი საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ ბელაზე ეიულ გედზე: „Жюль Гед в своих воззрениях не отличался теоретической ясностью... Хотя „Капитал“ уже был переведен и издан на французском языке, Гед не имел понятия о Марксе, с теориями которого его впервые ознакомил Карл Гирш“ (Ф. Мериенг, „К. Маркс, история его жизни“, стр. 545).

რაც შეეხება რუსეთს, — რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ისეთი შესანიშნავი მცოდნე, როგორიც გიორგი პლუხანოვი, გვიმოწმებს, რომ რუსი რევოლუციური დემოკრატები არ იცნობდნენ მარქსიზმს და მათსადამე მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მარქსიზმის მოძღვრებას არაფერი გაეგებინათ არ მოუხდენიათ. აი, მაგალითად რას ამბობს პლუხანოვი ჩერნიშევსკის შესახებ:

„Чернышевскому не пришлось ознакомиться с философией Маркса и Энгельса, выросшей из Фейербаховской философии. А так как философия Маркса и Энгельса представляла собою, несомненно, большой шаг вперед сравнительно с системой Фейербаха, то можно сказать, что последнее слово философской мысли осталось, к сожалению, неизвестным нашему автору. Но в то время оно было и на Западе известно лишь немногим“ („Сочинения“, т. V, стр. 248).

ის, რასაც აქ პლუხანოვი ჩერნიშევსკის შესახებ ამბობს, შეეხება რუსეთის დანარჩენ რევოლუციური დემოკრატებსაც. თვით გერცენიც კი, რომელიც ევროპაში ცხოვრობდა და რომელმაც 1870 წელს იცოცხლა, ვერ ჩასწვდა ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრებას და მან ვერ გააგო მარქსიზმის არსი. აქედან ცხადია, თუ რა ძნელი იყო მაშინდელი, თუნდაც ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნეებისათვის მარქსის მოძღვრების გაგება და სათანადოდ დაფასება. სიმწველე წაითხოვს გაგებამოკიდებულს, არამედ იმ ჭეშმარიტებათა აღიარებაში, რასაც მარქსის მოძღვრება შეიცავდა; ამაში კი მაშინდელ მოაზროვნეებს ხელს უშლიდა მათივე საკუთარი, წლობით შემუშავებული თვალსაზრისი, რომელიც წარლბურჟუაზიული და გლეხურ იდეოლოგიას გამოხატავდა. იქ საქმეს ამა თუ იმ მოაზროვნის პირადი ნიჭიერება კი არ სწყვეტდა, არამედ ის ეთიარება, რომელიც მას გარს ერტყა.

თუ ამ გარემოებას კარგად გავითვალისწინებთ, უნდა ვიღავთ, რომ როგორც გამოჩენილი რუსი რევოლუციური დემოკრატები, ისე მათი სახელგანთქანი ქართველი თანამებრძოლი ილია ჭავჭავაძე შესწრამეტე საუკუნის უდიდესი მოაზროვნეები იყვნენ.

საესწავლო საპარტოლიანად ამბობდა პლენაროვი ჩერნიშევსკის შესახებ: საკვირველი ის კი არაა, რომ ჩერნიშევსკი ჩამორჩა მარქსსა და ენგელსს, საკვირველი ისაა, რომ იგი ასე ცოტათი ჩამორჩა მათ. ეს სიტყვები საესწავლო შეიძლება გავიმეოროთ ილია ჭავჭავაძის მიმართაც.

უდაოა, რომ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები და მათი ქართველი მეგობრები სწორ გზაზე იდგნენ. ეს გზა მიდიოდა დიდალქტურები მატერიალიზმისაკენ. მართალია მაშინდელი რუსეთისა და საქართველოს ჩამორჩენილობის გამო მათ ვერ შესძლეს ამ გზის ბოლომდე გაეცა, მაგრამ ისიც უშუალოა, რომ ისინი მთელი რიგი საკითხების გაგებაში მჭიდროდ მიუახლოვდნენ მარქსიზმს. მათი ნააზრევების ეს სიახლოვე მარქსიზმთან იმდენად აშკარა და თვალში საცემია, რომ ზოგიერთი მეცნიერის მტყიცებით ამ მახლოვნების ფაქტი მხოლოდ მარქსის ნაწერების უშუალო გაგებით შეიძლება აიხსნას. ანალოგიური აზრი დიდი ხანია გამოთქმულია ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში. მაგალითად, პროფ. გ. თავიშვილმა ჯერ კიდევ 1938 წელს გამოთქვა ასეთი აზრი და შემდეგ კვლავ გაიმეორა იგი ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ ნაშრომში „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“ (გვ. 493).

„ილია ჭავჭავაძე, — ამბობს გ. თავიშვილი, — კარგად იცნობდა გ. მარქსის ნაშრომებს და ამ შემთხვევაში — აზრისა და მოქმედების განმარტების და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხში, ის უკვე აღადგინა მარქსის მოძღვრების გავლენის ქვეშ იმყოფება“ (იხ. ი. ჭავჭავაძე, „პედაგოგიური თბულებანი“, 1938 წ. გვ. 26).

ეს აზრი თავისთავად ზენე შემეღარად მიგვაჩნია, რადგან არ არსებობს არავითარი საფუძველი ვამტკიცოთ, თითქოს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მარქსის ნაწერებს რაიმე გავლენა მოეხდინოს, მაგრამ პროფ. თავიშვილის სიტყვები ამ შემთხვევაში ზენეთვის საინტერესოა როგორც მოწმობა მარქსიზმთან ილიას აზრების სიახლოვისა. მართლაც ვინც იცნობს მარქსისტულ დებულებებს ისტორიული მატერიალიზმის ისეთ საკვინძო საკითხებზე, როგორცაა: აზრისა და აზრის ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიური ცხოვრების როლი საზოგადოების განვითარებაში, მარქსისა და ზენდენის ურთიერთობა, მსუენებისა და პიროვნების როლი ისტორიაში, და ვინც არ მოერადება შრომის შეღაროს ეს დებულებები ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ აზრებთან ამავე საკითხებზე, — ის თვალნათლივ

დაინახავს დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის შეხედულებათა სიახლოვეს მარქსიზმის შეხედულებებთან. **ქართული**

მაგრამ ილია ჭავჭავაძე არა მარტო მარქსიზმის 60-იანი წლების ყველაზე მოწინავე აზროვნების სიმაღლეზე იდგა, არამედ — როგორც უკვე ვთქვით — მან გარკვეული ნაბიჯი გადადგა ამ აზროვნების ტრადიციების შემდგომი განვითარებისა და გარემოების მიმართულებით 70—80-იანი წლების პირობებში.

როგორც ცნობილია, რუსეთში 60-იანი წლების შემდეგ საზოგადოებრივი აზრის განვითარება ნაროდნიკობის გზით წავიდა. ნაროდნიკებმა შეითვისეს ჩერნიშევსკის — ვერცხის მოძღვრების სუსტი მხარეები, განვითარეს ეს სუსტი მხარეები იდეალიზმის მიმართულებით და გადაიტყეს ის აბსურდულ თეორიად, რომლის მიხედვით კაცობრიობის ისტორიას წარმართავდა „კრიტიკულად მოაზროვნე“ ცალკეული პირები, — ვმირები, ხოლო ხალხი — უბრალო ბრბოა, რომელიც ბრბად მიყვება ყოველის შემდეგ ვმირებს.

ილია ჭავჭავაძე არ ვაყვია ნაროდნიკობის გზას და არ მიიღო მათი სუბიექტურ-იდეალისტური თეორია. მან შეითვისა ჩერნიშევსკის მოძღვრების საუკეთესო მხარეები და ბოლომდე დაარბა დიდ მატერიალისტ-მოაზროვნედ. ნაროდნიკების ფილოსოფიური შეხედულებანი თავისი ფესვებით ფიერება-ჩერნიშევსკის ანთროპოლოგიურ პრინციპს ეყრდნობოდნენ და არსებითად ამ პრინციპიდან გამოშლინარე დასკვნების საზოგადოების განვითარების მიმართ მიყენების ცდას წარმოადგენენ. ილია ჭავჭავაძემ კი არ ვაიზიარა ანთროპოლოგიური პრინციპი და ბრბოლა გამოუცხადა ნაროდნიკების მიერ ამ პრინციპის საფუძველზე განვითარებულ იდეალისტურ ისტორიულ კონცეფციას.

თუ რამდენად დიდი იყო ილია ჭავჭავაძის როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში, ვერძოდ კი იდეალისტურ-ნაროდნიკული და ნიბილისტური ისტორიული კონცეფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს კარგად ჩანს თუნდაც ნაროდნიკ ივ. ჯაბაძარის წინააღმდეგ ილიას ბრწყინვალე გამოსვლებიდან.

ილიას წერილებს ჯაბაძარის წინააღმდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათი ავტორის ისტორიული კონცეფციის, მისი საციოლოგიური შეხედულებების გასარკვევად; ამიტომ თავს ნებას მივცემ მოკლედ შეგჩერდე ამ წერილებზე.

როგორც ცნობილია, 1889 წელს ივ. ჯაბაძარმა ეყრნა „Северный вестник“-ში გამოაქვეყნა ოთხი წერილი, საერთო სათაურით „Письма о Грузини“ (იხ. № 2, 3 9 და 10). ამ წერილებში ავტორი აწვითარებდა იდეალისტურ-ნიბილისტურ თვალსაზრისს და უბრალოდ აყალიბებდა საქართველოს ისტორიის ფაქ-

ტებს. ავტორი რუს შეთხვევლებს არწმუნებდა, რომ ქართველები თამარ მეფის ხანაშიც კი შერის-შეტად ჩამორჩენილი, ბარბაროსი ხალხი იყო და მათი კულტურა სახსენებელიც არ არის. საქართველოს განვითარება ისე წელიწადი იყო, რომ ქართული ფეოდალიზმი მეტად პირველყოფილ თემური წყობილებით (родовым строем) იყო გაყვანილი. Эти патриархально-родовые основы грузинского феодализма остались неизменными до наших дней. (№ 3, გვ. 43), — აცხადებდა ჯაბადარი. თუ როგორ წელიწადი ვითარდებოდა ქართველებში პირველყოფილი წარსახებიც კი მატერიალური კულტურისა ეს იქედანაც ჩანს, რომ ისინი დღესაც იმ წესით ეწევიან მიწათმოქმედებას, რომელიც მათ 3.000 წლის წინათ ისწავლეს ევრაეტლებსაგანო კანონმდებლობა ახალ დრომდე სრულად არ გააჩნდათ, ანაბი განუვითარებელი და პრიმიტიული აქეთ, ლიტერატურა უდარესად ჩამორჩენილი და მთლიანად სპარსული მიხამება, — არც ერთი ორიგინალური ნაწარმოებიც არ აქვით. განსაკუთრებით შკაცრად ჯაბადარი თავს ესხმოდა და მიწასთან ასწორებდა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც, მისი აზრით იყო სპარსულიდან გადმოკეთებული, სრულად უსუსური ნაწარმოები. „Грузинская литература... становится вялой, безжизненной и не в силах разобраться ни в своих, ни в чужих явлении истории, жизни и мыслей“. (№ 3, გვ. 56), ამბობდა თავის მსჯელობას ჯაბადარი.

ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ასეთი აბრაზი იყვანა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა უბასხოდ დარჩენილიყო და ილია ჭავჭავაძემ თავს იღვა პასუხი გაეცა საქართველოს ისტორიის ამ გზაბნეული მკვლევარისთვის*. პასუხი მართლაც საკადრისი გამოვიდა ილიამ გასწია უდიდესი შრომა და დასწერა წერილების მთელი სერია საერთო სათაურით „ი ისტორია“, რომელშიც გააცამტერა ჯაბადარის იდეალისტურ-ნიჰილისტური მონაზნება.

ჩვენ ამ არ გამოუდგებოდა ილიას და ივ. ჯაბადარის კამათის შენაარის გადმოცემას, ან კიდევ საქართველოს ისტორიის კონკრეტულ საკითხებზე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს შეფასებას, რადგან ეს ცალკე გამოკვლევის საგანია. ჩვენ ორივე სიტყვას ვიტყვი კამათის შხილოდ შეთოდოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ მხარზე.

ილიამ წინა პლანზე წამოაყენა საკითხის სწორედ შეთოდოლოგიური მხარე და მეცნიერული საფუძვლებით ვაკრიტიკა ჯაბადარის ქედარი მსჯელობა ერის სიბერეზე, აგრეთვე „ინტენსიური ცხოვრების“ მნიშვნელობაზე ენაწი წინსვლა-განვითარების საქმეში. ილიამ მითითა, რომ ჯაბადარის ისტორიული კონცეფცია არსებითად ეყრდნობა დრეპერის თეორიას, რომე-

ლიც ყალბი და დრომოკმელოა. ან, ილიას სიტყვებით: „ამაჩინა, ავტორს, ცუტად დრეპერად უწამებია უკვე დაძველებული და კვერთხიან განაგებულნი იყვნენ აზრის დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითთვლეს ცალკე აღამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ქვაბობა, ვაჟაკობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიყველი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდუვალი კანონია, როგორც ცალკე აღამიანისათვის“ (1940 წ. ტ. II, გვ. 316).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აზიარებს ილია ჭავჭავაძის აზრს და თავის მხრით აღსატრეხს, რომ „იგი (ივ. ჯაბადარი — პ. რ.) დრეპერის ოდესღაც გავრცელებულ აზრს ემყარებოდა, ვითომდა ყოველ ერს, თავისი განვითარების, ყრმობისა და ქვაბობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე, ეწვეოდეს ხოლმე“ (ს. ჭავჭავაძე და საქ. ისტორია, 1938 წ. გვ. 6).

მგონია თვით ჯაბადარი ერთ-ერთ თავის საბასულო წერილში, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „Новое обозрение“-ს 1889 წლის 5 მაისის ნომერში, კატეგორიულად უარყოფს თავისი კონცეპციის დრეპერისეულობას და აცხადებს, რომ ის ეყრდნობა არა დრეპერს, ან თუნდაც სპენსერს, არამედ გაცილებულ უფრო ახალს და უფრო მეცნიერულ სოციოლოგიურ მოძღვრებას, რომელიც ჩამოყალიბებულია ლეტურნოს შრომებში. „Не имея ни малейшего понятия о сложных законах эволюции и экономии народных и общественных сил, — ამბობს ჯაბადარი ილიას მისამართით, — где же ему догадаться, что разъяснения этой мысли следует искать не у Дрепера и даже не у Спенсера, а в других, более новых и более научно обоснованных социологических трактатах, — ну хотя бы, например, у Летурино, в его „Социология, основанная на этнографии“.

ილია ჭავჭავაძე ჯაბადართან კამათის დროს ამ საკითხს აღარ დაბრუნებია და არ გამოუთქვამს თავისი შეხედულება ლეტურნოს კონცეპციაზე. ეს შესაძლოა იმიტომ ახსენებოდეს, რომ, როგორც ჩანს, ლეტურნოს ნაშრომები მაშინ რუსულად იქნა კიდევ არ იყო თარგმნილი, ფრანგული გამოცემები კი ალბათ თბილისში არ იშთებოდა.

ესე იყო, თუ ისე ჯაბადარმა ილიასთან კამათის დროს მოახერხა შევექნა შთაბეჭდილება რომ თითქოს მას უსაფუძვლოდ დასწამეს დრეპერის თეორიის მიმდევრობა და რომ სანამდელიც იმ ლეტურნოს გაცემებით უფრო მეცნიერულ ნაშრომებს ეყრდნობოდა.

ჩვენ სავანგებოდ გავაფთხავთ ივანე მანუჩის შეფასებებს მიმდევარი ისტორიკოსის დრეპერისა და ფრანგი ისტორიკოსის ლეტურნოს შრომები, რომელთა რუსული თარგმანებ-

ამჟამად მოიპოვება თბილისის წიგნთსაცავებში, და გამოფარკვიეთ, რომ ლეტურნო საეცემთ იმავე კონცეფციას ეურდნობა, რომელსაც დრებერა და ე. წ. ორგანიული თეორიის შემქმნელი სპენსერი ეურდნობოდნენ. ყველა ისინი „ადამიანის ბუნების“ იდეალისტური პრინციპით ხელმძღვანელობენ და ადამიანის როგორც ბიოლოგიური არსების თვისებებით ედილობენ საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესის ახსნას.

ვილიამ დრებერი თავის კაპიტალურ ნაშრომში „История умственного развития Европы (С.-Петербург, 1873 г.)“, აშობს: „Общественный прогресс также вполне управляется естественным законом, как и физический рост человека. Жизнь отдельного человека есть миниатюра жизни народа“ (том I, გვ. I). შორე ნაშრომში, რომლის სათაურია „Физиология человека“ (Санкт-Петербург, 1867 г., часть первая). დრებერი გვარწმუნებს, რომ ისტორია სოციოლოგიის ნაწილია, ხოლო სოციოლოგია თავის მხრით ფიზიოლოგიის შემადგენელი ნაწილია. ის აშობს: „История составляет в сущности только ветвь физиологической науки“ (გვ. IX).

უმყარება რა ასეთ თვალსაზრისს, დრებერი ედილობს შეისწავლოს ცხოველთა და ადამიანთა ფიზიოლოგია და მისი განვითარების საფუძველზე ახსნას საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი.

ზუსტად ასეთივე გზას ადგას შარლ ლეტურნოც თავის სქელტანიან ნაშრომებში: „Физиология страстей (С.-Петербург, 1836)“, „Эволюция рабства“ (Москва, 1898 г.) „Социология, основанная на этнографии“. მისი აზრით, „Человек, есть ничто иное, как животное, стоящее лишь на более высокой ступени развития, чем другие животные“ (Соч. etc., გვ. 60).

ამის შემდეგ არ არის ვასაკვირი, რომ ადამიანთა საზოგადოების კანონების ვასაგებად ლეტურნო დიდი გულმოდგინებით იკვლევს პიანჭველების, ფუტკრების და სხვა ცხოველთა ცხოვრებას. ლეტურნოს სწორად იმ ნაშრომში, საიდანაც ახალი აზრების „მეორედის მარჯვლებს“ ჰკრებდა ჩვენს ნაოთრდნი ივანე ჯაბაძარი, განყოფილება, რომლის სათაურია „Общественная жизнь“, იწყება ქვესათაურით „Половые отношения в животном царстве“. ხოლო ოჯახის პრობლემის ვარკვევა იწყება ქვეთაურით: „Семья у животных“ ამ თავში ავტორი იმ დისკენამდე მიდის, რომ „ქიანჭველების საზოგადოება ადამიანთა მრავალ საზოგადოებაზე მალა დგას“-ო. (გვ. 220). სხვა ნაშრომში ავტორი ასევე უბრუნდება ქიანჭველებს და აზრს ასაბუთებს, რომ „Многие муравьиные общества еще не додумались до введения у себя рабства“ („Эт. р.“, 19).

როცა აზრის ისეთ გიგანტს, როგორც ილია ჭავჭავაძე, ადარებ დრებერ-ლეტურნოს ტიპის შობარონეებს, ან კიდევ მათე გზათ მქმნელ ნაროდნიკ-სოციოლოგებს, არ შეიძლება არ აღიარო, რომ დიდი ჭარბული მწერალი მათზე მთელ თავით მალა იდგა და რომ ის მარქსამდელი მატერიალისტური აზროვნების ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებს უტოლდებოდა.

დრებერ-ჯაბაძარის ერის სიბერისა და ეკლომის თეორიის ილიამ გამანადგურებელი კრიტიკა დაუბრისძირა. „რას გვიჭინავს ერის სიბერე? ან, როგორ შეიძლება, რომ ინტელიტურმა ცხოვრებამ“ ერი ძალ-ღონისაგან დაცულოს? — კითხულობდა ილია და თვითონვე უპასუხებდა: „სიბერე ერისა არამც თუ ბუნებრივი მოეცნა, არამც თუ არსებობს. წარმოდგენითაც — კი ყოველ შემდგომედა... ინტელიტური ცხოვრება“ ერისა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც ეულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავე და დუქინებულ ჯადით, ვარჯითა და მხენებით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიკალოს, არამედ იმისთვის რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოიკვდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც ეულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხელია. იგი თითონ დაუშობიელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგია ფარი და ხმალი არსებობისათვის ქიდილი“ (ტ. II, გვ. 318).

ილიას წერილებში „ი ისტორია“ გამოთქმულია მრავალი უადრესად საინტერესო და ღრმად მეცნიერული აზრი, რომლებიც მატერიალისტური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებად ჩათვლება და რომლებიც ამშვენებენ ქართული საზოგადოებრივი აზრის მდიდარ საგანძურს. მოვიტანო მართა ორ ციტატას:

„ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულება, მრეწველობის სიმდიდრის მეტ-ნაკლებობა, რწმუნება (верование) იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩენვეია, მმართველობა, წეს-წყობილება-ოჯახური საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მოქმედნი, ქმნიან იმას, რასაც რომელსავე დროის მდგომარეობის ერისისა, თუ კაცობრიობის ემბიან, ანუ ეცილიზაციას თავისის მეტნაკლებობით“...

„ეცილიზაცია ანუ წარმატებულება ადამიანისა, მიზნუი — კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად ერებულად მოქმედებენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითუღელ ერში ცალკე-ამგვარს

მალიონის სოციალურ ძალ-ღონეს ვახანან²
(ტ. II, გვ. 322).

ან კიდევ:
„ველა დროს თავისი ტყვილი აქვს და ვა-
გება ამ ტყვილისა ზედრია მარტო ჩინებულ
კაცებისა, და ქვეშარტი მვისტორიე, ვითარცა
გამოთხველი, ჯერ ამ დროების ქვერქში უნდა
ჩაჯდეს და შერე განიკითხოს თვით დროებს
შეიღწიოს... ეს ხომ ანანია ისტორიის ფილოსო-
ფიისა“ (იქვე, გვ. 346).

აქ სავსებით ნათლად არის გამოთქმული
დიალექტიკის ის დებულება, რომ ქვეშარი-
ტება კონკრეტულია, და რომ ყველაფერი და-
მოკიდებულია დროსა, ადგილსა და ვითარე-
ბაზე.

ამათი იყო მოკლედ ილია ჭავჭავაძის ისტო-
რიის ფილოსოფია, ანუ მისი სოციალიზმური
კონცეპცია. თუ რა განუზომლად შალა იდგა
ის ივ. ჯაბაძარზე, ამის სიილუსტრაციოდ საყ-
მარისა გავიხსენოთ მათი კამათის ერთი ად-
ვილი, სადაც საქართველოს ისტორიის კონ-
კრეტული ფაქტის სულ სხვადასხვანაირი შე-
ფასებაა წარმოდგენილი.

ივ. ჯაბაძარი ეხება თამარ მეფის დროს
ქართველთა ჯარის ყარსზე ვალაშკრების
ფაქტს და სერიოზულად ამტკიცებს, ეს ვალაშ-
კრება მარტო იმიტომ მოხდა, რომ თამარ მე-
ფეს თავისი ახლად შობილი შვილის გიორგის
შეფის გამოცდა უნდოდლო. ამ წინადაგზე ის
თავს ესმის თამარ მეფეს და ბრალს სდებს
მას, ტყუილ-უბრალოდ აქცევდა ქვეშევრდომ-
თა სისხლსათ.

ამაზე ილია ჭავჭავაძე ასეთ ბრძნულ პასუხს
აძლევს: „ნუთუ ძველის-ძველ საქართველოს
შეისტორიემ ეს ანანი არ უნდა იცოდეს, რომ
შეს შეშდებ, რაკი სომხეთი შეიშურსა, სამხრეთი
ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასვლად.
ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც
ერთი მეფე არ ყოფილა — დირსეული ამ სა-
ხელისა, რომ აქვდა სამხრეთისაყენ არა სქე-
როდეს და აქველ საბრძოლველად არ გასულე-
ყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქარ-
თველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა უშიშ-
როებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი
დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებუნდა — რა
საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური სა-
ჭიროება, რომელიც ეთადლებებოდა ჩვენი
შვიდილობით ყოფნასა და არსებობას... ვანა
სულელები იყვნენ დავით აღმაშენებელი და
მისნი შემდგომნი თამარამდე და თამარის შემ-
დეგ სხვა მეფენი, რომ სულ აქეთ იწივდნენ
საომრად?“ (ტ. II, გვ. 347).

მეგავსი მცნიერული გაგება საქართველოს
ისტორიის ფაქტებისა და მოვლენებისა უხვად
არის გაბნეული ილია ჭავჭავაძის მრავალრიც-
ხოვან პუბლიცისტურ წერილებში. შეიძლება
ავადუბრებულად ითქვას, რომ ილია ჭავჭავა-

ძე ახალი ქართული, მეცნიერული ისტორიო-
გრაფიის ფუძემდებელია.

უაღრესად საინტერესოა აგრეთვე ილია მე-
ხედულებანი ევროპისა და რუსეთის ისტორიის
უშნიშვნელოვანი პრობლემებზე და აგრეთვე
მისი დროის საერთაშორისო ურთიერთობის
აქტუალურ საკითხებზე. ევროპის სახელმწი-
ფოთა ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა და ამა-
ვე დროს, ძალიან ზნირ შემთხვევებში, მატე-
რიალისტური თვალსაზრისის მომარჯვება
ილისა საშუალებას აძლევდა საოცარი სიზუს-
ტით განესახლებრა საერთაშორისო ურთიერთო-
ბის აქტუალურ პრობლემათა არსი და ანაიშ-
ვითად წინასწარ განეკვირბა მოვლენათა შემ-
დგომი განვითარება რაკი ილია ევროპის ხალ-
ხთა გამათავისუფლებელ მოძრაობის ეხება, ან
რომელიმე „აღმოსავლეთის საკითხის“ არსს
არჩევს, ან კიდევ ბისმარკის პოლიტიკის იფი-
სებს, ის სრულიდაც არ ზელმძღვანელობს
იდეალისტური კონცეფციებით — „აღამიანი,
ბუნების“, „კრატიკულად მოაზროვნე“ გვირან-
ნება-სურვილებს და სხვა მისთანების მსგავსი
იდეალისტური აზრებდით, ის ეყრდნობა სა-
ხელმწიფოთა ეკონომიური და პოლიტიკური
ვითარების ანალიზს და კლასთა მდგომარეობის
ანალიზს, ე. ი. მატერიალისტურ თვალსაზრისს.
სწორედ აქედანაა მისი საოცარი მსხვერპევი
და იშვიათი უნარი საერთაშორისო მოვლენათა
განკვრეტისა, რაკ არა ერთ მკვლევარს აღუ-
ნიშნავს.

ყოველ ექვს ვაჩეშეა, რომ ილია ჭავჭავაძის
80—90-იანი წლების ნაწერები საერთაშორისო
ურთიერთობისა და შემოთა საერთაშორისო
მოძრაობის საკითხებზე იხვევ როგორც მისი
ნაწერები მთელ რიგ სხვა საკითხებზეც, წარ-
მოადგენს რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე
მატერიალისტური აზროვნების შემდგომ გან-
ვითარებას.

დიდი ლენინი, რომელიც დაუნდობლად ებ-
რძოდა ნარადნიკულ იდეოლოგიას, მუდამ ზახ-
ვასით აღნიშნავდა 60-იანი წლების რევო-
ლუციურ-დემოკრატიკთა აზრებს სახლოვეს
მარქვის მოწიფეების აზრებთან. ლენინი სთვ-
ლიდა, რომ ზერნიშვესკი და მისი უახლოესი
თანამებძობლები რუსეთის სოციალ-დემოკრა-
ტიული მოძრაობის წინამორბედები იყვნენო.
თუ ჩვენ ქართული საბჭოთა ისტორიული მეც-
ნიერების უახლოეს გამოკვლევებს დაეყვრდ-
ნობით და ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს,
ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, იაკობ
გოგებაშვილს და სხვებს დამსახურებულად
შევაფასებ, ჩვენ ვაძლვებელი ვიქნებით და-
ვადასტუროთ მათი აზრების დიდი, სახლოვე
მარქსიზმთან და ვალანოთ, რომ საქართვე-
ლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-
ბის გამოჩენილი მოღვაწენი, ჩვენი სახლოვე-
ნი თერგვაღუფლები საქართველოს სოციალ-

დემოკრატიული მოძრაობის წინამორბედები იყვნენ.

უნდა შეეჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე, რომელსაც ილიას საზოგადოებრივ შეხედულებებში ფრიალ საპარტიო ადგილი უჭირავს, სახელდობრ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ილიასეული გაგების საკითხზე. ეს საკითხი ვრცელი საკითხია და მრავალი ასპექტი გააჩნია, მაგრამ ამჟამად ჩვენი სურვილია ხაზი გავუსვათ იმ მეთოდს, რომლითაც დიდი ილია მის ვალწევრებს უდგებოდა.

ცნობილია, რომ ეროვნულ საკითხს ილია ჰეგელიანური შეხედულებებისა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ძალიან დიდი შეიძლება ითქვას, უმთავრესი იდეალი უჭირავს ილია ჰეგელიანურ დუნდობლად ებრძოდა არა მარტო ბატონყმობასა და საერთოდ სოციალურ უკუღმართობას, არამედ აგრეთვე ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის პოლიტიკას. იმ დროშას, რომელიც ი. ჰეგელიანურ 60-იან წლებში მიღდა აღმართა, ერთ მხარეს ეწერა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლოზუნგი — „შრომი, ერთობა და თავისუფლება“, ხოლო მეორე მხარეს, ქართული ხალხის ეროვნული ლოზუნგი — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფლებს“.

მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს ამ უკანასკნელი ლოზუნგის შინაარსი? შევდგეთ იქნებოდა გვეფიქროს, რომ მისი შინაარსი XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის მანძილზე მუდამ ერთნაირი და უცვლელი იყო. პირიქით, ილიას ნაწერების გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ხსენებული ლოზუნგის შინაარსი შეიცვალა საქართველოსა და რუსეთის ცხოვრების პირობების შეცვლის შესაბამისად. პირველ პერიოდში, — სახელდობრ 60-იან წლებში ამ ლოზუნგის ქვეშ ილია გულისხმობდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობის მოპოვების საოცველთაო-სახალხო აჯანყების გზით. ამიტომაც იყო, რომ იმ ხანებში დაწერილ შხატერულ ნაწერებში მას აშკარად აქვს გატარებული ეროვნული თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის იდეა.

„ქართველო, ზელი ხმალს იყარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხა,
დრო მოდის გამარჯვებისაო“.

ამბობდა ილია და ასეთი მოწოდება დამახასიათებელია მისი მაშინდელი პოზიციისათვის.

მაგრამ მეორე პერიოდში, სახელდობრ 80-იან წლებში ილიამ შეიცვალა პოზიცია, უარყო რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის აზრი და საქართველოს რევოლუციონარული ფლემბელი მოძრაობის ამოცანად დასახა ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებშივე ქართველი ხალხის პოლიტიკური უფლებების მო-

საპოვნელად. ამიერიდან ი. ჰეგელიანურ ცნობილებად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეხედულება თანასწორობის, უტოლანობის, უსუსტოებისა და მგობრობის საფუძველზე, რისთვისაც უაღრესად ენერგიული ბრძოლა გააჩნდა. ამის შესაბამისად შეიცვალა ლოზუნგის „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფლებს“ შინაარსიც.

ილიას პოზიციის ასეთი შეცვლა გამოწვეული იყო იმ დროს ცვლილებებით, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში რევოლუციონარული შედეგები ხანში მოხდა. ისეთ დიდ მოახროვანეს, როგორც ი. ჰეგელიანურ იყო, არ შეიძლება არ დავანახა, რომ რევოლუციის შედეგად რუსეთის ცხოვრება სწრაფად წაიდა წინ, და ის სულ უფრო და უფრო მზარდ დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაზე; ილიას არ შეეძლო არ მიხედვრილიყო, რომ რუსეთის ცხოვრებასთან საქართველოს მკიდროკავშირი უაღრესად სისარგებლო იყო საქართველოსათვის და რომ ამის გამო რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფა იმ დროს არ იქნებოდა პროგრესული და „სასარგებლო ნაბიჯი საქართველოსათვის. ამით აიხსნება, რომ ილიამ თავისი სამშობლოს ბუდი უყოყმანოდ დაუკავშირა დიდი რუსეთის ბედს და უუფრესი მომავლის რწმენა ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის მოწინავე ძალებს ბრძოლას დაუკავშირა. ამრიგად ილია ჰეგელიანურ საქართველოს ეროვნულ განმთავისუფლებელი მოძრაობა სწორ გზაზე დააყენა და იმ ძნელ პირობებში, როდესაც ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგთა ერთი ნაწილი ცდილობდა სეპარატისმის შესანიშნავი პოლიტიკური აღმოსაფხვრით, დიდმა მწერალმა მიღდა აღმართა რუსი და ქართველი ხალხების შეგობრობის დროშა.

საინტერესოა ილიისთვის, რომ ი. ჰეგელიანის მიერ ნაციონალური საკითხის დაყენება და ვალწევრება დაახლოებით ანალოგიურია იმ პოზიციისა, რომელიც მის დროს პოლიტელმა რევოლუციონერებმა დაიკავეს ნაციონალურ საკითხში. როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში მარქსი და ენგელსი სამართლიანად სთვლიდნენ და პროგრესულ მოღონელ მიიჩნევდნენ რუსეთისაგან პოლიტელის გამოყოფას, რისთვისაც პოლიტელური პარტიები იბრძოდნენ. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პოლიტელმა რევოლუციონერებმა შეიცვალეს პოზიცია და უკუაბრუნეს რუსეთისაგან გამოყოფის იდეა, რადგან ამ დროისთვის დროს ცვლილებები მოხდა რუსეთისა და პოლიტელის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ეხებოდა რა პოლიტელური რევოლუციონერების მიერ ნაციონალური საკითხის ასეთ, ისტორიული ვითარების შესაბამის და, მასშაბადამე, საყვებით მართებულ ვალწევრებას.

ი. ბ. სტალინი ამბობდა: „აქედან გამოდინარეობს ის, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით, თუ ამ პირობებს მათ განვითარებაში ავიღებთ... თუ სადმე აუცილებელია საკითხის დიალექტიკური დაყენება, — ეს სწორედ აქ, ნაციონალურ საკითხში“ („პარტიზმი და ნ.კ. კოლხ. საკითხი“, 1934 წ. გვ. 23).

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის, როგორც მთავროვნის დამსახურება სწორედ ნაციონალური საკითხის დიალექტიკურ დაყენებაშია. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის გამოარკვევას, თუ რამდენად მართალია ილიას პოზიცია 80-იან წლებში, რადგან ეს იმდროინდელი საქართველოს შინაური და სარეგიონური პირობების შეცნობიერებულ ანალიზს მოითხოვს და მასთანადავე, ცალკე გამოკვლევის სიგანაზე, მაგრამ ამათ ვიტყვი, რომ ილიას შეთქმული, მისი მიდგომა ნაციონალური საკითხის დაყენებისადმი სავსებით სწორი და შეცნობიერებულია.

მაგრამ ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალისტურად განწყობილ იდეოლოგთა ერთმა ნაწილმა, კერძოდ ცნობილმა პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ (იხ. მისი თხზ. ტ. II, გვ. 110-111) და მისმა თანამოაზრეებმა ილია ჭავჭავაძის დანაშაულად ჩაუთვალეს ის, რაც ჩვენ მის უდიდეს დამსახურებად მიგვაჩნია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში ილიას პოზიციის ზემოდხსენებულ შეცვლასთან დაკავშირებით ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შეტყმინეს

ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოს 80-იან წლებში ილია ცარიზმისა და მემშველეთა პოლიტიკურ პროგრესულ შეხედულებებს. ამის შესაბამისად ისინი ილიას მოღვაწეობისა და შემოქმედების წინააღმდეგ უფლებდნენ: 80-იან წლებშივე, როცა ის თითქოს პროგრესული მოღვაწე და მწერალი იყო, და 80-იანი წლებიდან, — როცა თითქოს მის მსოფლმხედველობაში ძირეული გარდატეხა მოხდა და მწერალი რეაქციის მხარეზე გადავიდა. ამ შეცნობიერებულ შეხედულებას, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაშიც უაზრო გასაქანი აქვს (ს. ხუნდაძე, შ. რადიანი).

მაგრამ საკითხის დეტალურმა შესწავლამ ჩვენ ამ დსკენამდე მიგვიყვანა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს და სრული უზრუნველობა ლამარაკი ილიას რაიმე გადახრებზე რეაქციისაკენ, მის მიერ წინანდელი შეხედულებების რაიმე ლაღატზე. უბრალოდ გამოკვლევებით სავსებით დამტკიცებულია, რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდე დარჩა თავისი ახალგაზრდობის დროინდელი პროგრესული იდეალების ერთგული.

ამის შესახებ შესანიშნავად თქვა ვეია-ფრეიველი: „ამბობენ, ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას უღალატაო. მე ეს არა მჯერა, პირაქით, უნდა დარწმუნებული ვიყუნეთ, ილია სამარტმდის მთლიან აღმართად დარჩა, როგორც ზოგი ოქროსი“ (ი. ჯ. საიუბ. კრებ., 1939, 491).

შეხვეტი ბაზილიკა



მეგრული პოეტი

„ბათუმის გაზეთი“ 1912 წლის ნომრებს ვათვალიერებდი. შემთხვევით წაეაწედი ამავე გაზეთის რედაქტორის ს. ქედიძის წერილს სათაურით: „ილია ქავეკავაძის პოემა „აჩრდილის“ ახალი ვარიანტი“. რედაქტორი წერს: „რამდენიმე წლის წინათ თფილისში, მეწვრილმანე სპარსელთან, წყნეთის ქუჩაზე რაღაცას ვყიდულობდი. ჩემი ურადლება მიიპყრო პატარა რვეულმა, ძველმა ქართულმა ხელნაწერმა, რომელიც სხვევ ქალაღის ნაღლეუებში ვგდო. მე ავიღე იგი და გადავთვალიერე. ის აღმოჩნდა ილია ქავეკავაძის პოემა „აჩრდილი“ თავიდან ბოლომდე სუფთოდ გაღაწერილი და 1860 წ. თარიღით აღნიშნული. მე გამოვიკითხე სპარსელს, თუ სად იყიდა მან ის ძველი ქალაღები, რომლებშიაც ეს ხელნაწერი აღმოჩნდა. გამოიკვია, რომ მას ეყიდა ვინმე ძველი თჯახის შვილის, გვარად არღაზიანისაგან. ხსენებული ხელნაწერი ვიყიდე სპარსელისაგან. გაღაწეითხე და აღმოჩნდა ძალიან დიდი განსხვავება დამტკილ „აჩრდილთან“ შედარებით. ამ ხელნაწერში არის ისეთი თავები, რომლებიც სრულიად არ არის უკვე დამტკილში. განსხვავება დიდა შინაარსის მხრივაც. ბოლოს აქვს დამატება „ქართველთადმი“, რასაც პოეტი იყვებს შემდეგ სიტყვებით:

აჲ ვათავდი... ქართველნი მიცნობთ,
ამ ლექსში შუხარს და მტირალ ქართველს,
შორით, რესეთით ძმა-ძმებს მოვიხიბობთ,
მას, რაც არ უწრობს ნამდილ შვილსა ცრემლს.
სხანს, პოეტს რესეთში დაუწერია ეს პოემა,
რაც ამ ვარიანტით ფრიად საინტერესო მასილის
წარმოადგენს ავტორის მსოღლმხედველობის
გამოსარკვევად მისი სიჭაბუქის დროს, როცა იგი
ვაპოვებდა სამწერლო ასპარეზზე“ 1.

ეს არის და ეს. სამწუხაროდ, ს. ქედიძე არ დაინტერესებულა თუ სპარსელ ვაჭარს რომელი არღაზიანის თჯახიდან შეიძლება წამოეღო ეს ხელნაწერი, წერილში არც ის არის აღნიშნული, თუ სად წაიღო მან „აჩრდილის“ ეს ტექსტი. ჩვენთვის ცხადი იყო ხელნაწერი დაცული იქნებოდა ლაერნტი არღაზიანის მემკვიდრეთა თჯახში. ამიტომაც, პირველ ყოვლისა, ვინახულე

ამჟამად ლ. არღაზიანის ერთადერთი ჩამომავალი, მისი შვილიშვილი მარიაში, რომელიც რამდენიმე წლის დაბრუნებული აღმოჩნდა მოსკოვიდან. მას ძველად მოსკოვში დაუშთავრებია ქალთა გიმნაზია და იტვე მოუწყვია თავისი ცხოვრება. სამწუხაროდ, მარიაშია ქართული ენაც კი არ იცის; იგი ჩემი მისვლისას ფრანგულ ენაზე კითხულობდა ბილზაის რომელიღაც რომანს. მას თავისი ძვირფასი წიხარის შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აღმოაჩნდა. მიიხე მიმიითთა, რომ მუხუდებშიათვის მიმეშართა. ვინ იცის, ლ. არღაზიანის მემკვიდრეებმა რა ძვირფასი ხელნაწერები შესახვევ ქალაღდად მიჰყიდეს ვაჭრებს. სამწუხაროა ისიც, რომ ს. ქედიძეს, როგორც ჩანს, არ ვაუსინჯავს სხვა ხელნაწერები, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლ. არღაზიანის პირადი არქივი, რომელიც ვაჭარმა არღაზიანებში-საგან შეისყიდა. ეს მოხდა 1911 წელს.

ჩვენ ვავსინჯეთ საქართველოს მუხუდებში დაცული „აჩრდილის“ ხელნაწერები, შედარების შედეგად ვაჩრკვია, რომ მეწერლობისაგან შეტუნული „აჩრდილის“ ვარიანტი, გაღაწერილი 1860 წელს, დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუხუდებში (Q—181). ამის შემდეგ ჩვენ ეს ხელნაწერი შევადარეთ ლ. არღაზიანის ავტოგრაფებს. გამოიკვია, რომ იგი გაღაწერილია ლ. არღაზიანის ხელით. ჩვენ მოვეკუბებმა 1861 წელს პეტრე უშაკაშვილისა და კირილე ლორთქიფანიძის ხელით გაღაწერილი პოემა „აჩრდილიც“, ახლა მას ვაატება 1861 წელს ლ. არღაზიანის ხელით გაღაწერილი „აჩრდილის“ მეორე ვარიანტი, რომელიც მხოლოდ ლაერნტი არღაზიანის არქივს შემოუნახავს.

ცნობილია, რომ ლ. არღაზიანი ახლა თინამშრომელი იყო ეფრ. „ციცქისა“; 1862 წლიდან იგი „ციცქარში“ ვანუთილებას განაგებდა და დასამტკილ ტექსტებს ხშირად უყეთებდა რედაქციას. პ. ინგოროვია ი. ქავეკავაძის ნაწარმოებთა ტექსტის კომენტარებში სპარითლიანად შენიშნავს, რომ „აჩრდილის“ ეს ვარიანტი „დამხადებული ვოფილა ცალკე გამოსაცემად 1860 წელს. იგი თბილისში უნდა გამოსულყოი და გამოცემისათვის ზრუნვა ილია წინამძღვრისვილს ჰქონდა შინდობილი. ხელნაწერი, ჩანს, წარმოადგენს და-

საბეჭდად გამოხატულ პირს¹. თვით ი. ჭავჭავაძე თავის მეგობარს ი. წინამძღვრისთვის „აჩრდილის“ შესახებ წერდა: „ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს. ერთი წიგნი მომწერე ჩემი აჩრდილი და პაჯი აბრკი და ყოფაში აჩიან“². აქ ზედმეტია არ იქნება აღნიშნოთ, რომ ეს ის წინამძღვრისველია, რომელიც ი. ჭავჭავაძეს საპოეტიან წლებში მკველად დასდევდა, როცა მის ბატონყმობის პორტრეტად მებატონეები მძაპელად დასდევდნენ. წერილი წინამძღვრის-შვილისადმი დაწერილი უნდა იყოს 1860 წელს. როგორც ჩანს, ილიას „ციკლის“ რედაქტორ ი. კერესელიძისათვის გამოსაქვეყნებლად გამოუგზავნია „აჩრდილი“ და მის მიერ თარგმნილი ლერმონტოვის პოემა „პაჯი აბრკი“. უნდა ვიფიქროთ, რომ „აჩრდილი“ გამოსაცემად მომზადებისა და რედაქციისათვის რედაქტორმა გადასცა ე. არდაზანს, რომელმაც პოემა დასაბეჭდად მოამზადა. სჭვა მხრივ წარმოდგენილია, თუ რატომ გადაწერდა, ან ტექსტს მოამზადებდა ე. არდაზანი ისე, როგორც იგი შეაფერის გამოსაცემად მომზადებულ წიგნს.



პოემა „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი შევჩაღმა დასრულა ჯერ კიდევ 1859 წლის 26 იანვარს. ყოველ შემთხვევაში, ამ წლით არის დათარიღებული პირველი ვარიანტის დაწერის დრო. რა თქმა უნდა, პოემა უფრო ადრე იწერებოდა. აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში პოემა „აჩრდილის“ დაწერის თარიღად 1850 წელია მიჩნეული, სწორედ ეს წელი, როდესაც ილიამ პოემა სრული სახით გამოსაცემად მოამზადა. გამოცემის შემდგენელი აცხადებს: „შეცდომით მოგვივიდა, რომ ზოგიერთი ლექსი ამ წიგნში დაბეჭდვის წელიწადით არის აღნიშნული... ახლა ვასწორებთ ამ შეცდომას იმით, რომ სარჩევში ვასვენებთ ცალცალკე წლებით — როდის რა ლექსია დაწერილი“. ცხადია, ეს თარიღი სწორად გამოატარებს მხოლოდ პოემის II ვარიანტის დაწერის დროს, როცა „აჩრდილი“ დასაბეჭდად მომზადდა.

პოემა „აჩრდილის“ გამოქვეყნება როგორც იკვეთა, მაშლ რიგ სიწველებთან იყო დაკავშირებული. პოემას საინტერესო ისტორია აქვს. როგორც აღნიშნეთ, პოემა ჯერ კიდევ 1860 წელს მომზადდა გამოსაცემად, მაგრამ ცენზურული პირობების გამო ვერ მოხერხდა მისი დაბეჭდა. ვერც ცალკე წიგნად და ვერც „ციკლარში“.

საერთოდ, ცენზურა დიდად ბორკავდა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების ბეჭდვას. ცენზურის

შემმუსერელმა კალამმა „აჩრდილი“ ძლიერ დასაბინრა და მისი სრული სიწველებად დაიხანს შეადგება.

შენიშვნები

„აჩრდილი“ ი. ჭავჭავაძემ 1859 წელს ეჭრ. „ციკლარში“ დასაბეჭდად წარადგინა, მაგრამ მისი დაბეჭდვა ცენზურული პირობების გამო ვერ მოხერხდა. ამ პოემიდან „ციკლარში“ გამოქვეყნდა წარადგენილი პოემის მეექვსე თავი სათაურით — „არაგვი“. შედარებამ გვიჩვენა, რომ დაბეჭდილი ტექსტი მისდევს პოემის I და II ვარიანტების მეექვსე თავს, შეიმჩნევა მხოლოდ ზოგიერთი შესწორება. ამ მხრივ იგი, ჩვენი ფიქრით, უფრო ახლოსაა II ვარიანტთან, ისე რომ ნაბეჭდ ტექსტში რაიმე აზრობრივი შესწორებები არ არის შეტანილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჩანგურში“, რომელიც პეტერბურგში გამოსცა კ. ლორთქიფანიძემ, კვლავ დაიბეჭდა „აჩრდილის“ აღნიშნული მეექვსე თავი.

შემდეგ სათაურით — „ლოცვა აჩრდილისა (აჩრდილიდან)“ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა (II ვარიანტის მეოცე თავი). აღსანიშნავია, რომ II ვარიანტშიც ეს თავი ცალკე სათაურით სწორად აჩრდილისა“ არის გამოყოფილი. აქაც ნაბეჭდი ტექსტი II ვარიანტს მისდევს და არსებითი რაიმე ცვლილება არ შეიმჩნევა.

„საქართველოს მოამბის“ მერვე ნომერში სათაურით — „აჩრდილიდან“ (ნაწყვეტი)“ გამოქვეყნდა ცენზურისაგან დამახინჯებული ტექსტი. ცენზურას „აჩრდილის“ ამ ნაწყვეტიდან სწორედ ის სტრიქონები ამოუღია, რომელშიაც ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო გაერთიანებაზე ლაპარაკი:

როს ეს ტოტები ერთ ცხოვრების, ერთის საგნისა ახლა გაყრილნი ერთ მდინარედ შეერთდებიან? როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასიისა ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღუღლებიან? თავისუფლების მშენებლის სხივთ ბზინვარება როდის დააღწობს შედინებულ დიდ ხნის ბორკილსა?

ამ სტრიქონების ნაცვლად, უფროაწილად წერტლებია აღნიშნული, რატ, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ ტექსტი სრული არ არის.

თუ რამდენად უხეშად ამახინჯებდა ცენზურა „აჩრდილის“ ტექსტს, ეს ნათლად ჩანს ილიას წერტილიდან, რომელიც მას ეჭრ. „კრებულში“ პოემა „აჩრდილის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძისათვის მიუწერია: ჩემი „აჩრდილის“ პირველ ნაწილს გვაგზავნი, თუ მოგეწონათ, სრულად დაბეჭდეთ. „ვიცი რომ XVI ხანის უკანასკნელ თონ სტრიქონს ცენზურა ამოშლის. ისეც ისა მსჯობია, ჩვენ წინადადე დაესწრაოთ, რომ სჭვაჯე მაინც არ აღუღდეს“. ეს ასეც მოხდა. სტრიქონებთან ცენზურამ ბოლო ორი სტრიქონი, რომელიც თანამედროვეობას შეეხებოდა, ტექსტიდან ამოაგდო.

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. I, 1953, გვ. 413.
2 ი. ჭავჭავაძის წერილები, 1949, გვ. 27.

ვარძობას იჭროსა ფისად ჰყიდიან, მთავრის ღიმილზე — პატროსნებას, და დაეინგულ ბორკილზე სცვლიან თავის მიმელის თავისუფლებას.

ახლად გადამუშავებული „აჩრდილი“ ილიამ 1872 — 1873 წლებში გამოაქვეყნა ჟურ. „კრებულში“, ხოლო პოემის ბოლო რედაქცია 1881 წელს — „ივერიაში“. მაგრამ „აჩრდილის“ ამ ვარიანტებსაც ცენზურამ თავისი დიდი დასავი. ისე რომ ჩვენ დღემდე არ გვაქვს პოემა „აჩრდილის“ სრული ტექსტი.

ჩვენთვის რომ ნათელი იქნეს, თუ წლების მანძილზე რა ცვლილებები განიცადა პოემა „აჩრდილში“, ამისათვის სამი ძირითადი ვარიანტი — I (1859 წ.), II (ლ. არღანიანისეული, 1860 წ.) და III (ბოლო რედაქცია, 1872 წ.) შევიადართო ერთმანეთს.

I და II ვარიანტების ტექსტი ძირითადად ერთმანეთს მისდევს, მაგრამ მათ შორის სხვაობა მაინც შეინიშნება. პირველი მათგანი რედაქციულია. პოეტი ასწორებს, მხატვრულად აღამაზებს ტექსტს, ისე რომ სტრიქონებში აზრობრივი შესწორება არ შეაქვს.

II ვარიანტი I ვარიანტთან შედარებით, როგორც ცალკე გამოსაცემად მომზადებული, უფრო გამართულია. აღსანიშნავია, რომ ლ. არღანიანისეულ ვარიანტში ხმაურებაშია ასოები კ და ხ. შესაძლებელია, პოემის რედაქცია ეკუთვნოდეს ლ. არღანიანს, რომელმაც „აჩრდილი“ დასაბუთებლად მოამზადა, მით უმეტეს, რომ ეს პოემა ჰმაბუქმა ილიამ გამოსაქვეყნებლად პეტერბურგიდან გამოგზავნა და შესაძლებელი იყო მისი ადგილზე რედაქციული გასწორება. მაგრამ ახალი სტრიქონები, რომლებიც II ვარიანტში მოიპოვება, ცხადია, თვით ავტორის მიერ პეტერბურგშია ჩამატებული. შეუძლებელი იქნებოდა რედაქტორის მიერ ისეთი სტრიქონების ჩამატება, რომლებიც, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, „აჩრდილის“ I ვარიანტის მებრძოლ აზრებს, კიდევ უფრო აღრმავებენ.

II ვარიანტს წამომდებარებული აქვს რუსთაველის ცნობილი სიტყვები:

„რა ვარდმან მისი ვეფილი გაახმოს, დაიმკენროსი, იგი წივა და სხვა მოვა ტურფისა საბადნაროსა“.

ეს სტრიქონები შემდეგ არის ჩამატებული, ისე რომ იგი I ვარიანტში არაა. აღსანიშნავია, რომ „აჩრდილის“ ბოლო რედაქციაში აღარ არის ფსალმუნის სიტყვები, რაც I ვარიანტშია, მის ნაცვლად პოეტს ბოლო ვარიანტისათვისაც დღურტოვებია რუსთაველის ზემოაღნიშნული სიტყვები. უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, პოემის II ვარიანტში პოეტს უფრო ფართოდ შემოკავებს რუსთაველი.

I ვარიანტის XV თავი იწყება შემდეგი სტრიქონებით:



მაგრამ, ჰე ველო სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ ვით მწირსა მწირა.

ეს სტრიქონები პოეტს II ვარიანტში გადაუცვრებია ასე:

მაგრამ, ჰე, ველო სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირა.

ამ სტრიქონებით პოეტმა ჯერ კიდევ I ვარიანტში გამოხატა ეროვნულ გამოავისუფლებელი გმირის ძებნის იდეა. მაგრამ ასეთი მებრძოლი გმირისა და თვით პოეტისათვის შეუფერებელი იყო მწირის სახელწოდება. ზგოსანს თავისი მისწრაფებისათვის უფრო რომ გაესვა ხაზი, ფრანზ „ვით მწირსა მწირი?“ შეუცვლია ფრაზით „რომლისთვის ვსტირა“.

II ვარიანტში ჩვენ ვეღარ ვხედავთ I ვარიანტის ბოლო თავის სტრიქონებს:

ოხ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება დიდ ძილის შემდეგ რა ტყბილ იქნება!

რა თქმა უნდა, ილიას „ქართული ხალხის გაღვიძების“ იმედი არასდროს არ დაუკარგავს. პირიქით, მისი პოეზიისათვის ასეთი პოეტიკი დამახასიათებელია. მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ილიამ ეს სტრიქონები ამოიღო იმის გამო, რომ მან 1859 წელს ცალკე ლექსი „ელეგია“ მიუძღვნა ამ საკითხს. ეს ლექსი ასე თავდება:

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

პოტივების განმეორება კი უზერხული იქნებოდა, თანაც „ელეგიაში“ შესანიშნავი ლირიული ფერებით არის გადმოცემული ხალხის „გაღვიძების“ იდეა. იქედან ჩანს, რომ პოემა „აჩრდილი“ უფრო აღრმა დაწერილი, ვიდრე ლექსი „ელეგია“. ეს უკანასკნელი პოემა „აჩრდილს“ ჩაუგონებია ილიასთვის. მართლაც, პოემა „აჩრდილი“ პოეტს დაუსრულებია 1859 წლის 26 იანვარს, ხოლო „ელეგია“ დაუწერია 1859 წლის 4 თვისს.

მათლოებით ასეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს პოემა „აჩრდილსა“ და ლექსს „გუთონის დედას“ შორის. პოემის II ვარიანტის XIX თავი იწყება:

საბარალო მონაეი მძიმე უღელი შენ ერთგულ ხართან სწიფეი მედგრაო და დალოცვილი ეგ მარჯვე ზული ამრომე: შრომა შენია მხვედრაო.

ეს სტრიქონები მოგვაგონებს „გუთონის დედის“ ცნობილ სტრიქონებს:

ერთს ბედ ქვემა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.

ერთგულად გვითთ ჭაბანი ჩვენი, და სხვ.

„გუთინის დედის“ I ვარიანტი ი. ჭავჭავაძეს 1858 წელს დაუწერია, ხოლო მისი საბოლოო რედაქცია — 1863 წელს და ამ სახით „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებია. მოტივებისა და სხეულების განმეორების რომ ადგილი არ ჰქონოდა, პოეტს „აზრდილის“ II ვარიანტის აღნიშნული ადგილი პოემის ბოლო რედაქციამაც ასე გადაუყვებია:

შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად.
თუმცა ტვინთაშიმეთ შემწყენარებელი
შენის დახსნისთვის ჯგერს ეცვა ქვეყნად.

1860 წელს ი. ჭავჭავაძემ დაწერა ლექსი „მუშა“, რომელშიაც მან დაგვისურათა ბატონყმური სოფლიდან თბილისში გამოქცეული ყმის უკაცური ცხოვრება. შრომელის მდგომარეობის ასეთ სახეებში გადმოცემის ტენდენცია „აზრდილის“ თავდაპირველ ვარიანტებში უკვე ჩანს. I და II ვარიანტში ასეთ კონკრეტულ მაგალითს ვხვდებით:

აგერ ვიღაცეა პატვიმყოფერ
მოდის ამაყად ოქროთ მღვიმარე;
გლახა მშვიტი ხელს უწევდის მასსა
და იგი მოყვას არიდებს თვალსა.
აგერ მსაჯულიც თვის სიამართალსა
სწონავს და ჰყიდის ვერცხლისა ფასად,
მდიდრისა მსხვერპლად ზღის ის მართალსა
და ღირბის ღუპავს მარად და მარად.

ეს სტრიქონები, „აზრდილის“ ზოგიერთ სხვა ადგილიდან ერთად, მოგვაცოცხლებს „მუშის“ იმ ადგილს, სადაც ილია მდიდარსა და სოფლიდან გამოქცეულ ყმას ერთმანეთს უპირისპირებს. შემდეგ ი. ჭავჭავაძე I და II ვარიანტების ეს სტრიქონები ბოლო რედაქციიდან ამოუღია, სამაგიეროდ, მან „მუშაში“ ამ საკითხს ფართო, კონკრეტული გაშუქება მისცა.

ამრავად, ი. ჭავჭავაძის შესანიშნავი ლექსები „გუთინის დედა“, „მუშა“ და „ელეგია“, რომელიც თავან პირველი ორი მონური ცხოვრებისა და მეორე ეროვნულ საკითხის ღრმა გაშუქებას გვიძლევს, თავდაპირველად თავისი იდეურ-მხატვრული სახით ჩაფიქრებული ყოფილა პოემა „აზრდილის“ თავდაპირველ ვარიანტებში.

I ვარიანტის XXIX თავი II ვარიანტში ორ ნაწილად არის გაყოფილი. ეს თავი განსაკუთრებით აღსანიშნავია თავის მებრძოლი აზრებით. ცნობილია, რომ I ვარიანტის ამ თავის მეორე ნაწილში, რომელიც II ვარიანტში ცალკეა გამოყოფილი, გადაოცემულია ამიერკავკასიის „ტომთა ერთობა აზრით“ გაერთიანებისაკენ სწრაფვის იდეა. ი. ჭავჭავაძემ, ვაუსვა რა ზახა ამ იდე-

ისი განსაკუთრებულობას, ეს საკითხი II ვარიანტში ცალკე თავად გამოყო. ჩვენს წინაშე დგანს, რომ ეს თავი „საქართველოს მოამბეში“ ცენზურის მიერ დაახინჯებული სახით დაიბეჭდა. გამოსაკემად გამხადებულ „აზრდილში“ ეს თავი ცალკეა გამოყოფილი და, თანაც სრული სახითაა წარმოდგენილი.

I ვარიანტის (XXX თავი) სტრიქონებს —

წარუღლენ წელნი ძილის გამისა,
ხალხი აღითებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დახსნის შვილსა!

მეორე ვარიანტში დამატებული აქვს სტრიქონები:

შვილი აღსდგება, შეიკრებს ძალსა
და ბედნიერსა შეიქმს მყობადსა.

ამ სტრიქონებით ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც მომავალში „შვილებს“, ახალ თაობას უნდა შეესრულებია ქვეყნის განთავისუფლების საქმეში, რომ იგი მომავალში ბრძოლით გაიკეთავს გზას ბედნიერი ცხოვრებისკენ. აღსანიშნავია, რომ ფრაზაში „სისხლი მამათა დახსნის შვილსა“ სიტყვა „სისხლს“ სქოლიოში შენიშვნა აქვს გაკეთებული, „სისხლი“ შრომის ნიშნავს. ეს შენიშვნა I ვარიანტში არაა. ჩვენი ფიქრით, ვინაიდან აქ „სისხლი“ ბრძოლის აზრითაა ნაშვარი, ამიტომ ავტორს, თუ რედაქტორს (რადგან მას ავტორგრაფში ვერ ვხვდებით) იგი ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით განუმარტავს.

II ვარიანტში ასევე ჩამატებულია:

ახლა გზა კაცის არს გაკვლულად
და უნდა წღომა და მწნეი გულად
რომე მიხედეს ის ბედნიერ ყამსა
და შეეყაროს ტყბილს მომავლსა!

ეს სტრიქონები მნიშვნელოვან ჩანამატს წარმოადგენს. პოეტი მიგვიითხებს, რომ XIX საუკუნეში ახალი ცხოვრების გზები გაკვლულია, ახლა საჭიროა „მწნეი გულად“, რომ „შეეყარო ტყბილს მომავლსა“. ამ შეზიხევეში ი. ჭავჭავაძე უღვივოდ გელისხმობს თავისუფალი ცხოვრების ბრძოლის საშუალებით მოპოვების გზებს.

ამას გარდა, მრავალი სტრიქონი I ვარიანტისა II ვარიანტში გადაადგილებულია, ისე რომ II ვარიანტი უფრო თანმიმდევრული და სრულყოფილია. ეს გადაადგილება ისეთი ხასიათისაა, რომ თუ I ვარიანტში 32 თავია, სამაგიეროდ, II ვარიანტი 34 თავისაგან შედგება.

ამ ანალიზის შედეგად ძველ აზრდინში, რომ „აზრდილის“ II (ლ. არდაზანისეული) ვარიანტი თავისი ჩანამატებითა და შესწორებებით აღრმეივებს იმ მებრძოლ, გამათავისუფლებელ

მისწრაფებებს, რაც ჯერ კიდევ 1859 წელს I ვარიანტისათვის იყო დამახასიათებელი.

არასრული სახით ეურნ. „კრებულში“ (1872 — 1873 წ. წ.) დაბეჭდა პოემა „აზრდილი“. ცენზურამ აქაც დაამახინჯა ტექსტი.

პოეტს ამ რედაქციაში არ შეუტანია უმოკრესად ისტორიული პრაქსისების ამსახველი ზოგიერთი ადგილი, რომლებიც I ვარიანტის მეორე ნაწილშია მოთავსებული, ხოლო 1873 წლის შემდეგ, ბოლო რედაქციაში ეს ისტორიული ნაწილი გადამუშავებული სახითაა წარმოდგენილი. როგორც ირკვევა, ილიას განსაკუთრებით აფიქრებდა ამ პოემაში საქართველოს წარსულის გაშუქების საკითხი. ი. ჭავჭავაძე „ველ თაობასთან“ ბრძოლის დროს, ჯერ კიდევ სამოციან წლებში, მიუთითებდა, რომ ხალხთა ცხოვრების მამოძრავებელი ძალა ხალხია და არა თავდაზნაურთა წოდება.

ეს საკითხი „აზრდილის“ გადამუშავებისას თუ რაოდენ პრინციპულ საკითხად ჰქონდა ილიას მიზნული, ამჟამად ჩანს მისი წერილიდან, რომელიც მან 1872 წელს „აზრდილზე“ მუშაობისას დავით ერისთავს გაუგზავნა: „მე არაფერსა ვერ, ამ „აზრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ ვაქარა ვირსავით და ერთი ბოჯი წინ ვეღარ წაგდგი. რა ვწნა? ვამბობ, ამ „აზრდილს“ თავი დავანებო მეთქი. ეს ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და შედეგების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების საზე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვირავ და ვანკითხვა არსით არის.“

პოეტს განსაკუთრებით ამ მხრივ გადამუშავებია „აზრდილის“ ბოლო რედაქცია. ამ ვარიანტში, I და II ვარიანტთან შედარებით, საკითხები უფრო ზოგად და რადიკალურ ასპექტშია განვითარებული, თანაც პოეტის უნა, სტილი უფრო დახვეწილი და ვახალხურებულია.

ამას გარდა, ხშირად II ვარიანტის ადგილები ბოლო რედაქციაში ან შესწორებულია ანდა ახლად დაწერილი. მაგალითად, მეორე ვარიანტის სტრიქონები. —

მარად და ყველგან შენთან ვიყავ, ტყეშილი
ჭევეთავე
დასამაპითვე შენი დამყვა მე სიყვარული!
შენ შეილთა სისხლით ჩემი გული
გარდაბანა,
ამ გულში მეპყრა შენი აწმყო, შენი წარსული

ბოლო რედაქციაში ასეა შესწორებული:

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ
შენთანა..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.

შენთა შეილთ სისხლით გული სრულიდ
გარდაბანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული,

აზრობრივად აქ არაფერია შეცვლილი, მაგრამ ბოლო რედაქციის სტრიქონები, II ვარიანტთან შედარებით, ისეა გარდაქმნილი, რომ იგი უფრო ნათელი და დახვეწილია. ახლა ჩვენ თუ ავიღებთ II ვარიანტის ბოლო სტრიქონებს: ვიდრე ძე შენი არ დადგება ამ სიმაღლეზე, სიღამე მშვიდით სკვრეტს კაცი ლეთიურს

უცვლელ განგებებს
და ღრმა შეხედვით ყოველ ხალხთა მთელ
ცხოვრებაზედ
ჭკვით არ განსკვრიტავს საზოგადოს ცხოვრების
დენას,
იმ დრომდინ იგი დაარწმუნებს წყველით თვის
თავსა,
რომ მომავალი არ ექმნება მის ლეიძლსა ხალხსა!
და ცრემლი მისი იმ მტარჯველის წყველ წუთისა
იქნება ზოლით ცრემლი მისვე სიძულურისა.

ეს ადგილი პოეტს საბოლოო რედაქციაში ასე გაუსწორებია:
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზეაღზიდულ,

ამაღლებული
ჭკვით არ განსკვრიტავს საზოგადო ცხოვრების
დენას,
იმ დრომდე იგი უიმელო, შეწუხებული,
უქმისა დრტვივით, გულის-წყვითა მწარე ცრემლს
დაღვროს,
მაგრამ არ ირწმუნს, წამებულო, შენს ადგენასა,
და იგი ცრემლი ურწმუნოების, ექვის და
ტანჯვის,
პლაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

აქაც ბოლო რედაქციის სტრიქონები უფრო გამკვირვად და დახვეწილია. ამას გარდა, ზოგიერთი მხატვრული სახე, რომლებიც პოეტს II ვარიანტში თავისი აზრის მოტივირებისათვის მოუშველებია, ბოლო რედაქციიდან ამოუღია, როგორც შეუფერებელი.

II ვარიანტის ფრაზა, რომელშიაც ლაპარაკია „ლეთიურს უცვლელ განგებზე“, როგორც იდამიანის უმაღლეს იდეალზე, ბოლო რედაქციიდან ამოღებულია. ცხადია, ილიას თავისი დემოკრატიული აზრების ნათელსაყოფად ასეთი რელიგიურ-დოგმატური ფრაზა არ დაეკამათებებოდა და იგი, როგორც ზემოთ ციტირებული სტრიქონებიდან ჩანს, შეუცვლია სხვა სტრიქონით.

ბოლო რედაქციაში მოხუც კაცს, რომელიც პოეტს მოველინება, როგორც ქვეყნის დიდი მოჭირბაწე, შედარებით უფრო რეალისტური, მოწინავე ადამიანური თვისებები გააჩნია, ვიდრე ეს იყო I და II ვარიანტებში. II ვარიანტში პოეტი მოხუცს მიმართავს:

ნათუ მუნით ხარ წარმოგზავნილი,
რომ ჩემი ხალხი ბედით დასჯილი
გამოაღვიძო ღვთიურის სიტყვით?
და შექმნა შეილი მამაპაპით?
და საქართველო ჩემს მიმულს ტბილას
იმედით ქვეყნიდა იმედი ჰბერო!

პოეტი ამ სიტყვებით „ბედით დასჯილ“ ხალხს მოუწოდებს გამოფხიზლებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აჯანყებისაკენ. ეს მებრძოლი სტრაქონები ბოლო რედაქციაში გაღრმავებულია და აყვანილი დიდ პოლიტიკურსა და მხატვრულ სიმაღლემდე. ამ მიმართულებით ბოლო რედაქციაში სრულიად ახალ თავებს ვხვდებით. გაეხსენოთ ბოლო რედაქციის XIII და XIV თავები, სადაც გარკვევით ლაპარაკია მონობაზე დამუარებული „ძველი ქვეყნის“ წგრევასა და „ახალ წერგზედ შობილი ქვეყნის“ აყვავებაზე, რომელიც დაფუძნებული იქნება „მშობასა, ერთობასა და თავისუფლებაზე“.

აღსანიშნავია, რომ II ვარიანტის XVIII თავი პირდაპირ იწყება ყმა გლეხისადმი მიმართვით: „ყმაჲ შენში კაცის გრძნობას აო ზედდენ“... ბოლო რედაქციაში სიტყვა „ყმაჲ“ აიოღებულია და მის ნაცვლად ზოგადად მშრომელისადმი მიმართვაა გამოხატული: „შენში კაცისას გრძნობას არ-ზედდენ“... აგრეთვე II ვარიანტის ფრაზა „ღმერთო ძლიერო“ ბოლო რედაქციაში (XXVI თავი) შეცვლილია ფრაზით „ჩაგრულთ სასოა“. ეს მაგალითები მოწმობენ, რომ თუ „აჩრდილის“ I და II ვარიანტებში, რომლებიც ბატონყმური ცხოვრების პირობებში იწერებოდა, წარმოდგენილია კონკრეტულად ყმა გლეხის მონური ცხოვრება, ბოლო რედაქციაში, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგია შეუმოწვეული, ლაპარაკია ზოგადად მშრომლის მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იგი ბატონყმობის „გაუქმების“ შემდეგ ჩაყენა ახალმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ.

როგორ იყო წოდებათა შორის დამოკიდებულების საკითხი გაშუქებული „აჩრდილის“ მეორესა და ბოლო ვარიანტში, ჰქონდა თუ არა ამ მხრით ცვლილებას ადგილი? II ვარიანტში (XIX თავი) პოეტი მიმართავს ყმას:

მხენ იყავ მუდამ, ნუ დამეცმი,
ძნელ ტანჯებშია გამოიკალე,
შობავერა ნუგეშ მომეცმი,
რაც ვერა ჰყოვე ღლეს, იპოვი ზეაღ,
შოვა დრო, როცა მაგ შენს უფალსა,
შეუბრალებელს ხარბსა, გულქვასა,
ფუქი, ამაო თვისი დიდება,
ამპარტაენობა დაიფუცდება,
მაშინ გიბილავს უბრალოთ დასჯილს,
სინანულითა გარდგებვება ძმას,
შენს მტკიცე გულზედ ცხარე ერემლს დაღერის
და შენც, კეთილო, მიუტრევე მას!

მაშინ ვგ შენი წერვა ოფლისა
შენ გეკუთვნება და შენ ცოლმეფილს.

აქ მებატონე თავადაზნაურობა დახასიათებულია, როგორც „შეუბრალებელი“, „ხარბი“, „გულქვა“, ხოლო მისი „დიდება“, როგორც ფუქი, რომელსაც საფუძველი არა აქვს. მწერალი ანუგეშებს მშრომელს, რომ შოვა დრო და თავადიშვილითა „ფუქ დიდებას“ ბოლო მოეღება, მონობაზე დაფუძნებული ბატონყმური ცხოვრება მოსპობა და თავადაზნაურობა შეიგნებს თავის დანაშაულს, ყოფილ ყმას „გიბილავს უბრალოთ დასჯილს“ და „სინანულით გარდგებვება ძმას“. როგორ უნდა მოიქცეს განთავისუფლებული გლეხი? აქ თავს იჩენს მორალისტური შეხედულება დანაშაულის პატივების შესახებ.

ბოლო რედაქციის XIV თავში კი წოდებათა ურთიერი დამოკიდებულების საკითხი სხვაგვარ ასპექტშია განხილული. ისე რომ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში საერთოდ მშრომელისა და შრომის თავისუფლებას, თანასწორობას, მშრომელის „განკაცებას“ მოითხოვს.

პოემა „აჩრდილი“ — ხალხურია არამარტო თავისი იდეური მიმართულებით, არამედ ხალხურ ზეპირსიტყვიანობასთან კავშირითაც.

„აჩრდილი“ შექმნილია „შრომის სუფევისა“ და პოლიტიკური თავისუფლების იდეა, როგორც ეროვნულ-გამანთავისუფლებელი იდეის, ისე ბატონყმური ცხოვრების დახასიათებისას ილია შთაგონებულია ხალხური შემოქმედებით. პოეტისათვის „არსენის ლექსი“ შეიქმნა „კაკო ყაჩაღის“ შთაბეჭდილებით წყარო. შემთხვევით არაა, რომ ილია ზაქროს ათქმევინებს: „მე არსენობა მენატრებოდა“. არსენის სახით ხალხმა წარმოგიდგინა ბატონების, ვაჭრებისა და მეფის მოხელეების, ე. ი. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. ეს საცემთხელი, რომელიც მშრომელს გარს ერტყა, ასევე ხალხის მტრად არის წარმოდგენილი „აჩრდილში“.

„აჩრდილის“ I ვარიანტის ის თავები, სადაც გადმოცემულია ბატონის არადაზნაური დამოკიდებულება ყმისადმი, პირველ ყოვლისა, შთაგონებულია მამონდელი ბატონყმური ცხოვრების სინამდვილით, მაგრამ ხალხმა ასეთი დამოკიდებულება ბატონისა და ყმის შორის გამოხატა „არსენის ლექსში“, რომელსაც ილია „აჩრდილის“ დაწვრილ კარგად იცნობდა. ჩვენ აქ მოვიყვანთ ხალხურ ლექსს, რომელიც „დროების კალენდარში“ არის გამოქვეყნებული¹.

¹ ორი სახალხო ლექსი, „დროების კალენდარი“, 1875, გვ. 10.

ღობეზელ ჩიტი შემოჯდა,
ძახის: ნინო ნინოსა!
ღარიბსა კაცსა ვინ მისცემს
აღები ღამის ღვინოსა,
ფინის შემის სწველათა,
ფქლის პურსა საპმელათა,
სიყრმის შეილსა საზრდელათ!

II

ჭავჭავაძემ დამბატოცა,
ღვინო მასო ტბილი;
ამაყვედზე წამოვედი,
მომეკიდა ძილი,
საცა კარგი ჯაგი იყო,
იქ წავუავი ცხვირი.
ჩემი სტვირის მომპარავსა
დაუსიედეს ცხვირი...

ეს მეორე ხალხური ლექსი ჩვენ განზრახ მო-
ვიყვანეთ. მესტვირე, რომელზედაც ამ ლექსშია
საუბარი, არა ერთხელ იქნებოდა ი. ჭავჭავაძის
სტუმარი. ზემოაღნიშნული ლექსი ყვარელში
უნდა იყოს ჩაწერილი და ილიასაც, ალბათ, იგი
ზეერჯერ მოუსმენია. კ. ფხვნი იკონებს: „ილი-
ას უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან. ჰყრუფდა და
აგროვებდა ზღაბრებს, ანდაზებს, გამოცანებს,
უყვარდა მესტვირეები და საამოვნებით უგდებდა
ყურს“.

პირველ ხალხურ ლექსში გარკვევით არის გა-
მოხატული მშრომელა გლეხის დუხჭირი ცხოვ-
რება, და რაც მთავარია, ისე როგორც „აჩრდილ-
ში“ (XII თავი), აქაც მითითებულია, რომ
გლეხს საკუთარ შეღის ართმევენ, მას არავინ
დაანებებს „სიყრმის შეილსა საზრდელთა“.

„აჩრდილში“ მკვეთრად არის გატარებული,
რომ თავისუფლების მოპოვებისათვის საჭიროა
გმირული ბრძოლა. პოეტი გმირებს მოუწოდებს
ბრძოლისაკენ. ასეთი მებრძოლი განუყობილებე-
ბი ხალხმა ილიას თავისივე შემოქმედებით თა-
ვიდანვე ჩააგონა. ი. ჭავჭავაძემ შემდეგ მის მიერ
ადრე ჩაწერილი ხალხური ლექსების ზოგიერთი
ნიმუში გამოაქვეყნა კიდევ 1873 წლას „კრებუ-
ლის“ ნომერში.

ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნომერში
დაბეჭდილ ხალხურ ლექსებს, ისე როგორადაც
იგი ი. ჭავჭავაძის ჩაუწერია და გამოუქვეყ-
ნებია:

გლეხის სიმღერა

(ილია ჭავჭავაძისაგან მოგროვილითაგანი)

I

ტირილითა და გლევითა მტერნი არ
შეგვებრალებენ,

მოვლენ, დავეწვიენ და დავდავკენ, მზე
იყოს დავებულსუნებნი
ნიგლნიყუნებნი

II

ვაქაცისა რას გამოიდგება სოფელს შეენება
თავისა:
ხმალს უნდა აკრევენბედეს, იმედი ჰქონდეს
მკლავისა.

III

კარგი ყმა მაშინ კარგია, ხმალნი რო
შველენ ელეხსა,
მოციქულობენ ისარნი, მშვილდნი აძლებენ
ენსა.

IV

გავვიძელ, ბერო მინდიავე, მუხლი მაიბი
მგლისათ,
გაფყოლე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს
ცდისათ.

„ასეთი „გლეხური სიმღერებით“ ილია დიდად
ყოფილა გულგებელი, განსაკუთრებით მას შთაში ხიზ-
ლავდა მაღალი მხატვრული ოსტატობით გამო-
ხატული ხალხის მებრძოლი განუყობილებანი.
ძნელი არა შეამჩნიეთ „აჩრდილის“ მებრძოლი
მისწრაფებების სიახლოვე ამ ხალხურ ლექსებ-
თან. ლექსი „გავვიძელ, ბერო მინდიავე“ ილიამ
ეპიგრაფად წინ წაუძმღვარა „ჭარბელის დედას“,
რომელშიც თავისუფლებისათვის თავდადების
იდგა გამოხატული.

გმირის დაბადების საყიბოში „გლეხური სიმ-
ღერების“ დიდი მნიშვნელობა შეადიოდ არის გა-
მოთქმული „აჩრდილის“ ყველა ვარიანტში.
პოეტი საშავალითოდ აღნიშნავს, რომ სამშობლო-
სათვის თავდადებულ გმირს უყვდაყვიფს ხალხი
თავისი სიმღერებით. ეს სტრაქონენი ხალხური
პოეზიის საუკეთესო ნიმუშებით არის შთავო-
ნებული. ამისი საუკეთესო შავალითია არსენა,
აგრეთვე ზეზვა გაფრანდაული, რომელსაც ხალ-
ხი გატაცებით უმღერის. თვით ილიას „კრებულ-
ში“ გამოაქვეყნებული აქვს ასეთი ხალხური სიმ-
ღერები:

ნეტავი ლაშქარს შეგვეყარნა სამი ბატონის
ყმანიო,
მოვეწვივა მძიმე ლაშქარი, სწორებს გვეცადა
თავიო,
მალიდგან გაღმთაკცირა ლამაზი ქალის
ჯვარიო!
ბევრს ქალს კი შესძულებოდა თვალად ლამაზი
ქვარიო,
ბევრს ქალს კი შეტყუარებოდა პირად გულური
ქვარიო!

ლაშარის გვარსა ჰყილია ლალის ჯურღაის ფაჩო,
მოუელის ომის სურვილი, ხანდისხან შეჰსძარავს
ჭარიო...

—
თქმი ვარ, მგვრამ კარგი ვარ, ნუ მუერობ
ტალავერზედა:
დამკვრავ დებს, გადავკვარდები ბატრიონ-
გალავანზედა,
ჩუთი ვერ მოგვალ ხმალ და ხმალ, გამცვალეთ
კახის ქალზედა I.

ამ უკანასკნელი ლექსის რამდენიმე ვარიანტია შემონახული. ხალხი დღემდე დიდი გიტაცებით უმღერის პატრიონის გმირს ზეზა ვაფრანდიელს, რომელმაც დამპყრობ ირანელთაგან კახეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საიაკო ვაჟკაცობა გამოიჩინა. ამ რომელ ხალხურ სიმღერებზეა ლაშარაკი „აჩრდილში“.

„აჩრდილი“ მკიდროდა დაკვეთიებული ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთანაც. პოემას, როგორც სახელმძღვანელო აზრი, წინ მიუძღვის რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „რა ვარდმან მისი ყვაილია გაახმოს, დამპყნარისა...“

„აჩრდილი“ გამოხატული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოტივებით ენათესავება ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასაც. პოემა „ბელი ქართლისში“ ღრმად დაისვა საკითხი საქართველოს ბედის ტრიალს შესახებ. სოფიოს სიტყვები: „რა ზელ ჰყრის პატევს ნაზი ბულბული, გალაშვია დატყვევებულა“, ახლებურად წამოიჭრა „აჩრდილში“ ბარათაშვილის სიტყვა:

ვინა ჰვავს გულის შემატყვიარი,
მაშელს ასული, ახლა თქვენ გვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველის
ჯანი გავარდეს აწ შეილსაც, მაშელს,
ოღონდ ვაამით ჩვენს საკუთარ გულს,
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა? —

თავისებურ პარალელს პოელოებს „აჩრდილში“: მგვრამ, ქართველნო, საღ არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტრირი? იგი აღარ ვაგეთ... მის მიუდანი ვაგეთ აღვილა, ვერანად ქმნილა, გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წაწყყვიდილა. გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, დაგინგრევათ დიდი შამული. —

რალა დამბადავს თქვენში დიდს ვრძობას?
ასევე შეიძლება შემხვედრი აღვლენის მოყვანა ი. ჰევქვიავისა („გოგჩის ტანა“) დნ ჰტანტოლ ორბელიანის პოეზიიდან („აბაბლმსქქქსსსდღე-გრძელა“). ჩვენ, ცხადია, სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ „აჩრდილის“ იდეურ-პოლიტიკური მიმართულება ეფიით შ. რუსთაველის, ი. ჰევქვიავის, გ. თარბელიანის და თუგანდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებებში. „აჩრდილი“ ახალი სიტყვა იყო ქართულ მწერლობაში. მასში ახლებურად გამოქვედა საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება და მისი თავისუფლების საკითხები. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ი. ჰევქვიავე „აჩრდილის“ წერისას მთავონებული იყო მშობლიური ხალხური პოეზიისა და მწერლობისაგან. სხვაგვარად ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ილია, პირველ ყოვლისა, ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი პოეტია. თუთ ილია წერდა: „ჩვენნი აზრის ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დედოს“. ცხადია, ამვე დროს ილიაზე ვაგუნას ახდენდა რუსეთის მაშინდელი მოწინავე, რევოლუციონერ-დემოკრატიული იდეები. ილიას ცენზურამ თავიდანვე არ მისცა საშუალება სრულ სიხით გამოექვეყნებინა „აჩრდილი“. ეს რომ წამდკულად ასე იყო, ამას ი. ჰევქვიავის პირადი წერილების ვარდა, მოწმობის არქივში დაეული მაშინდელი ცენზურის საბუთები. ირყვევა, რომ მაშინ სპეციალური საცენზურო ინსტრუქციით ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული წაწარმოების გამოქვეყნება აკრძალული იყო. მეფის მთავრობის განსაკუთრებით ეშინოდა გლეხობის აჯანყების. ამიტომაც ჯერ კიდევ 1858 წლის თებერვალში კავკასიის ოქვის სასწავლო მინისტრის, რომელიც მაშინ ამორცილებდა ბეჭდვის ორგანოებზე საცენზურო ზედამხედველობას, ზემოდან საიდუმლო მითითებები ჰქონდა მიცემული, რათა არ დამეკდილიყო ისეთი ნაწარმოები, რომელთაც „შეუძლიათ ააღელვოს მემშობლებსა და გლეხკაცობის ვონება“. აქვე აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ნაწარმოებს, რომლებიც „დამბალი ხალხისათვის არის განკუთვნილი ასეთ ამაღლებებელ“ ნაწარმოებს წარმადადგნდა „აჩრდილი“, „კაკო ყანილი“, „გლახის ნაამბობი“, რომელთა სრული გამოქვეყნება მაშინ ილიამ ვერ შეულო. მგვრამ ყოველივე ეს როდი იწმინავს, რომ ილიას აღნიშნული ნაწარმოებები ბატონყმობის პერიოდში საზოგადოებისათვის ცნობილი არ იყვნენ. ვარდა ავტორგრაფებისა, ჩვენამდე მოაღწია სამოციან წლებში გადაწერილი „აჩრდილის“ რამდენიმე ვარიანტმა.

ცნობილია, რომ ლავრენტი არდაზიანმა თავისი ნაწარმოები „მოგზაურობა თბილისის ტროტერზე“ ავაციის გადასცა წასაკითხავად. გ. ბარათაშ-

I „გლეხური სიმღერები“ (ი. ჰევქვიავისაგან ჰოგროვილითაგანი), „სრებული“, 1873, № 10.

ვილი ილიას წინააღმდეგ დაწერილ წერილში აღნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძის კრატეული წერილი „ორიოდ სიტყვა“ დაბეჭდვამდე იყო გაერცელებული, ილიას იგი „ბევრათვის წაუკითხავს და ყველას მოწონებია“. ასევე ხელნაწერის სახით გრცელდებოდა ხალხში ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ა. წერეთლისა და სხვათა ზოგიერთი ნაწარმოები, რომელთა დაბეჭდვა მაშინ შეუძლებელი ჩებოდა.

„აირდილიდან“ რომ ცალკეული თავები საჯარო საღამო-შეკრებებზე იკითხებოდა, ამას მოწმობს გვიანდელი ცნობაც, რომელიც გაბ. „დროების“ ფურცლებს შემოუნახავს. გაბ. „დროება“ ვრცლად აღწერს თბილისში გამართულ ლიტერატურულ საღამოს და, სხვათა შორის, აღნიშნავს: „მაგრამ ნამდვილი დამამშვენებელი და გამაცხოველებელი ამ საღამოსი იყვნენ: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად ვგეგვივინია ისეთი ასტატური და ხელოვნური წაქთხვა, როგორც აკაკიმ თავის „ადეოკატის დილა“ და „სიენა საპრობილეში“ წაიკითხა და ი. ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანის“ ერთი ალაგი და გ. ორბელიანის „დ. თვის დარდები“. დ. გ. ერისთავი ახლა უკეთ მკითხულობს ქართულს, ვიდრე ამ ორი-სამი წლის წინათ მკითხულობდა. უმიზნოდ მშვენიერი და ძლიერი ლექსები პოემის „აირდილისა“ დ. ერისთავის წაქთხვაში უფრო მშვენიერად და ძლიერად გამოისმოდა.

რადგან ძალიან ბევრს გამოუცხადებია სურვილი, რომ ხელმოთრეთ გაიმართოს ამგვარი სალიტერატურო საღამო, როგორც შეეიტყვეთ, ილდგომის პირველ კვირაში ვიდრე სალიტერატურო საღამო იქნება. ამას გარდა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ასევე წამკითხველები შემდეგ ქუთაისში აპირებენ წასვლას და იქაც ამგვარ საღამოს გამართვენ“¹. ამ დროს „აირდილი“ უერს. „კრებულში“ დაბეჭდილი იყო და, შესაძლებელია, დ. ერისთავის ამ დაბეჭდილი ტექსტიდან კითხულობდა თავებს.

აღნიშნავენ, რომ პოემა „აირდილს“ ა. წერეთელი გასცნობია ჯერ ვიდრე პეტერბურგში და „ციცკარში“ გამოქვეყნებული მეხუთე თავის გამო 1860 წელს დაუწერია ილიასადმი მიძღვნილი ლექსი „ამათ ჭებნა“. ამას მოწმობს კ. ლორთქიფანიძის შენიშვნა: „ჭავჭავაძის არაგვის გამო არის დაწერილი“. აკაკი წერეთელი მოუხაბლავს „აირდილის“ იდეურ მხარეს. იგი ამ ლექსში წერს, რომ, მაშინ როდესაც ყოველი სულდამუ-

ლი მოხაბლელი ბუნების სიმშვენიერით და ნეტარებას არის მიცემული, ჭავჭავაძე კვების და ოხრავს, სტირის უბადრეო და წარსულს დროებას ოცნებით ეძებს! მთა კლდეთ შეზღაბვის, ჩასახის ქვესკნელს, წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მომავალსა, მაგრამ ვერ ჰპოვებს ნუგეშის მიცემელს და უმრავლდება წყლული საწყალსა.

ეს არის აკაკის ლექსის მხოლოდ ერთი პატარა ნაწიევი. აქედანაც ჩანს, თუ ილია თავიდანვე როგორი ტყვილით განიცდიდა დახატრული სამშობლოს მდგომარეობას. მაგრამ აკაკი აქ როდის შეჩერებულა. შემდეგ მან ეს თავისი შეხედულება ილიას მიმართ, რომელიც „აირდილის“ გამო შეიმუშავა, ვრცლად დაასაბუთა 1865 წელს ეურ. „ციცკარში“ დაბეჭდილ წერილში: „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“.

აკაკი წერეთელმა აქ ერთმანეთს დაუპირისპირა ზოგიერთი ქართველი პოეტი. ერთ ჯგუფში მოაქცია ბესიცი, ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ხოლო მეორე ჯგუფში — ნ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე. მისი აზრით, „ი. ჭავჭავაძის ლექსები მართო ხელოვნებას ვა არ ეძებს, მაშინ მის ლექსებს აღარ ექნებათ დიდი ღირსება, რადგან ხელოვნურად ნათქვამი სისულელე და ოცნება მიანც სისულელე და ოცნება იქნება. ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და მას კიდევ ვპოულობთ ი. ჭავჭავაძის ლექსებში“. აკაკი ბესიცი, ა. ჭავჭავაძესა და გ. ორბელიანზე შალდა აყენებს ნ. ბარათაშვილსა და ი. ჭავჭავაძეს იმიტომ, რომ ესენი პოეზიაში ხალხის სულისკეთებას და აზრებს უფრო მკვეთრად გამოხატავენ. აკაკის ამ აზრის შემუშავებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა პოემა „აირდილმა“, რომელშიაც დიდი ხელოვნებით არის გადმოცემული ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური რადიკალიზმი.

„აირდილი“ მაშინდელ ქართველ საზოგადოებრიობაზე იმდენად დიდ გავლენას ახდენდა, რომ მას ეპიგონებიც კი გაუჩნდნენ. 1876 წლის „დროების კალენდარში“, რომელსაც მაშინ სერგი მესხი რედაქტორობდა, ი. ბაჭრაძემ გამოაქვეყნა ლექსი სათაურით „მე ქართველი ვარ“, რომელიც აშკარა მიბაძვია „აირდილის“ ზოგიერთი თავისა.

ასე წარმოგიდგება ჩვენ ი. ჭავჭავაძე, როგორც თავისი დროის დიდი მებრძოლი პოეტი.

1 „დროება“, 1875 წ., № 42.



ბესიკის ზოგიერთი „სადავო“ ლექსის ავტორისათვის

XVIII საუკუნისა და XIX-ის დამდეგის ქართველ პოეტთა მრავალი ლექსი შემოუნახავს ჩვენს ზელნაწერებს. მათი გადაწერანი ზოგ შემთხვევაში ცნობილი არიან, ხშირად კი — უცნობი, მაგრამ არა მარტო გადაწერანი, არამედ თვით ლექსთა ავტორები ყოველთვის არ არიან დასახელებული. იშვიათი როდია, აგრეთვე, როცა ერთი და იგივე ლექსი სხვადასხვა ზელნაწერში სხვადასხვა პირს მიეცეთენება. ასეთ შემთხვევაში ანგარიში ეწევა ზელნაწერის სიძველესა და გადაწერის ვინაობას.

ამგვარი მდგომარეობაა შექმნილი არა მარტო ნაყლებად ცნობილ ან უცნობ მწერალთა ლექსების მიმართ, არამედ კლასიკოსი პოეტის ბესიკის მიმართაც.

ბესარიონ გამაშვილის ლექსთა ავტორრადები არ შენახულია, გარდა ერთი პატარა ნაყლები რვეულასა, რომელიც დაწერილია კრემენჩუგს 1788 წელს და რომელშიც შესულია მისი ლექსების მცირე ნაწილი 1.

ბესიკის თხზულებათა გამომცემელი სარგებლობდნენ ლექსთა სხვადასხვა კრებულებით და მისი ლექსების დასადაგენად მიმართუდნენ სანდოსა და შედარებით სანდო ნუსხებს, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ძნელია ყოველთვის შეუმცდარად განისაზღვროს, თუ რომელი პოეტის კალამს ეკუთვნის ზელნაწერში უავტოროდ შეტანილი ან სხვადასხვა ავტორთათვის მიეცეთენებული ერთი და იგივე ლექსი.

ჩვენ შემთხვევა მოგვეცა დაგვედგინა ბესიკის ლექსების გამოცემის² სადავო განყოფილებაში მოქცეული რამდენიმე ლექსის ავტორი. ეს მიგვჩვენა ორ მხრივ არის საყურადღებო: ერთი — აღმოჩნდა გიორგი ბაგრატიონის უცნობი ლექსები და მეორე — შესაძლებლობა შეაქმნა ბესიკის ლექსების „სადავო“ განყოფილების განტვირთვისა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გიორგი ბაგრატიონის ლექსების ბესიკის ლექსთა კრე-

ბულში შეტანა, თუნდაც „სადავოში“, მას, გიორგი ბაგრატიონს, აყენებს კლასიკოსი პოეტის გვერდით, ამდენად იგი ღირსია ყურადღების, შესწავლისა და გამოშვებებისა.

საუცუნენახვევარია, რაც მნიშვნელოვანი ლექსების ავტორი, აქამდე ანონიმი პოეტი, ვარადაცეალა მის შესახებ ცნობებს ვაჟულობის საისტორიო მწერლობაში¹, „აქტებში“² და მის ორ თხზულებაში. ერთ მათგანს ეწოდება „შემთხუპვანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა, გიორგი ალექსანდრესისა“. ეს ავტობიოგრაფიული თხზულება სათაურით: თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილისშვილის ბატონიშვილის გიორგისა“³ გამოაქვეყნა თედო ყორღანიამ 1900 წელს უფრო „მოამბეში“ (№ 5) და დაურთა ბიოგრაფიული ცნობების შემცველი განმარტებანი.

მეორეს ეწოდება „ხუბმარდინი“⁴, ვიღა ლირიკულ-ეპიკური თხზულებაა. ამ უკანასკნელს ვრცელი გამოკლევა უძღვნა დოც. ტრ. რუხაძემ⁵.

გიორგი ბაგრატიონი, რომელსაც ყრმობაში გოგია ბატონიშვილსაც უწოდებდნენ, იყო იმერეთის მეფის სოლომონ 1-ის უკანონოდ შობილი შვილიშვილი, ძე ალექსანდრე ბატონიშვილისა. დედა გიორგისა. ყოფილა ვინმე მარია ელენტიის ქალი⁶.

¹ დავით ბატონიშვილი — ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი — ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა 1941; მ. ბროსე Histoire de la Georgie II Partie.

² Акты Кавказской археографической комиссии, т.т. II, III, IV.

³ ამ თხზულებას ქვემოთ შემოკლებით ვეწოდებთ „თავგადასავალს“.

⁴ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აღწერილობა, II კოლექცია, ტომი V, № 2205; ხუბმარდი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „ქაჯ კაცს“.

⁵ იხ. ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდასავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1939 წ., გვ. 21—64.

⁶ Центральный государственный исторический архив в Ленинграде ф. 128, опись 4—6, дело 252—260, 1815 г., стр. 208—209.

¹ იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია, ტომი VI, №2662, გვ. გვ. 111—114.

² იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1930 წ., აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურაის რედაქციით.

გიორგი ბატონიშვილი (ასე იხსენიება იგი ოფიციალურ დოკუმენტებში) დაბადებულია 1778 წელს. „თავგადასავალიდან“ ვიგებთ, რომ შამის იგი წლინაბერისა ხოლო პაპის ექვსი წლისა დარჩენია. 1784 წლის 23 აპრილს უეცრად გარდაცვლილ სოლომონ I-ს სხვა პირადამირი მემკვიდრე არ ჰყოლია, უკანონოდ შობილი შვილიშვილი კი მემკვიდრედ არ ჩაითვლიათ.

სოლომონ I-ის გარდაცვალებისთანავე იმერეთში დიდებულთა ორა ბანაკი შექმნილა. ერთ მათგანს ეწადა სოლომონ I-ის ბიძაშვილის დავით გიორგის ძის გამეფება, მეორეს კი სოლომონის ძმისწულის—დავით არჩილის ძისა, რომელიც ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო და, იმ დროს მცირეწლოვანი (12 წლისა), ცხოვრობდა კახეთში ღვდამთან. დავით გიორგის ძის გამეფებას მხარს უჭერდნენ სხიეთ ძლიერი და გავლენიანი ფეოდალები, როგორც იუვენენ პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე და სხვა.

მეფის გარდაცვალების შესამე დღეს, 1784 წლის 26 აპრილს, ფიცის ქვეშ დადებული პირობის შემდეგ იმერეთის ტახტად დავით გიორგის ძეს ჩამარტეს. „პირობა მფიცი დავითისა“ (ასე ეწოდებოდა ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს) აგებულია სოლომონ I სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის საფუძველზე. ამ „პირობაში“ ერთ-ერთ მუხლად ისიცაა შეტანილი, რომ დავით და გიორგი² მამამეწილურა სიყვარულით განუშორებლად მასთან შექმობდნენ და კეთილის რიგით აღიზრდებოდნენ...

როგორც საისტორიო მასალები ადასტურებენ, იმერეთის სამეფოს მშვიდობიანობა დიდხანს არ შეტანია. დავით მეფეს იმერეთის დიდებულთათვის თავი ვერ დაუჭერია; „პირობა“ დარღვეულია და სრული არეულობა დაწყებულია. პაპუნა წერეთელსა და ბერ წულუკიძეს მოლოდინი არ გამართლებიათ, პირველობა სასახლის კარზე მათ არ რგებიათ. დავით მეფე მოქმედებდა არა მათი რჩევითა და კარნახით, არამედ ელიზბარ ერისთავისა, რომელიც თავის დროზე ერეკლე II-მ გააძევა ქართლიდან დელატისათვის; სოლომონ I-მა კი შეიკვდლა იგი და თავისი ქალა მარიამი მიითხოვა.

იმერეთის კარზე პატივით სარგებლობდა, ჯერ კიდევ სოლომონ I-ის დროს, ბესარიონ გაბაშვილი. დავით მეფის დროს, ცხადია, ელიზბარ ერისთავის გვერდით, იგი პირველი შრიველი იქნებოდა მეფისა. ქართლიდან გადმოსუ-

ლი ამ ორი პირის დაწინაურებას, აქვე ვაჩვენებ, ხელს შეუწყობდა ანა დედოფალიც. ორბელიანის ასული; მიითმეტეს, რომ ელიზბარ ანა დედოფლის დედის ძმა იყო. უნდა ვითქვით, რომ სოლომონ I-ის დროს პირველობას დატყვეული, ძლიერი ფეოდალები ბერა წულუკიძისა და პაპუნა წერეთლის სახით, ასეთ ეითარებას ვერ შეუტარებდნენ.

1785 წლიდან დაწყებული, იმერეთის ტახტისათვის იბრძვის სოლომონ I-ის ორი მემკვიდრე. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავებულია 1787 წლიდან, ხოლო 1789 წელს იგი დავით არჩილის ძის გამარჯვებით დამთავრებულია. დავით არჩილის ძე გამეფდა (1789 წ.) სოლომონ II-ის სახელწოდებით. 1792 წელს დავით მეფემ მოახერხა ტახტის დაბრუნება, მაგრამ სულ რამდენიმე თვით. 1792 წლის დამლევეს სოლომონ II-მ კვლავ გააძევა დავით გიორგის ძე და საზოგადო დამკვიდრა შეფობა.

იმერეთის დიდებულები არც სოლომონ II-ის დროს დამტყარდნენ. 1796—97 წ. რამდენიმე წარჩინებულ თავადსა და ეფთვიმე გენათელს, დღიანობიდან გააუყენებელი გრაივის მონაწილეობით, მოუნდომებიათ სოლომონ I-ის პარდაპირი მემკვიდრის, უკანონო შვილიშვილის გიორგის გამეფება.

როგორც თვით გიორგი გეაქციობინებს „თავგადასავალიში“, „ხუბმარდიანსა“ და სხვა ლირიკულ ლექსებში, იგი ერთგული ყოფილა სოლომონ II-სა და იმერეთის ტახტზე პრეტენზია არა ჰქონია. მთავარი ის იყო, რომ წარჩინებულთა ახლა სოლომონ II-ის თავიდან მოცილების წადილი გასწინით. დავით მეფე უკვე გარდაცვლილია (გარდაიცვალა 1795 წ. ახალციხეში), მისი მცირეწლოვანი ვაჟი კონსტანტინე, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მძევლად ჰყავდა სოლომონ II-ს; გიორგის გარდა სხვა მემკვიდრე არ ჩანდა. ზოგიერთთა შეშინებით სოლომონ II-მ გიორგი შეიპყრო და მუხურის ციხეში ჩასვა.

მთუხედავად იმისა, რომ გ. ბაგრატიონი თავისი პატიმრობის ხანგრძლივობად „თავგადასავალიში“ 9 წელსა დებს, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდის შესახებ, მინც, სხვადასხვა აზრი არსებობს¹. ამის მიზეზია გიორგი ბაგრატიონის შეპყრობის ხანად 1795 წლის აღიარება. ახლად გამოვლენილმა დოკუმენტებმა²

¹ იხ. თ. ქორდანიას შენიშვნები „მოამბე“ (1900 წ. № 5); ტრ. რუხაძის დასახელებულა წიგნი.

² აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება Ad-№ 1414; საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდ 266, № 2184.

¹ იხ. ქუთათელაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთების ფონდი № 327.

² დავით არჩილის ძე, ხოლო გიორგი—ალექსანდრეს ძე, შვილიშვილი სოლომონ I-სა.

დაიდასტურა, რომ იგი დაუტყვევებიათ არა 1795-ს, არამედ 1797 წელს (21 იანვრის შემდეგ). გიორგი ციხიანი პირველად გაპარულა 1798 წელს. „ბორიონად შესწავლელთაგან“ სოლომონ II-ს თავი ვერ დაუღწევია და რამდენიმე დღის ყოყმანის შემდეგ გ. ბატონიშვილის მეორედ შეპყრობაზე დაუცია დასტური. 1806 წლის 16 ოქტომბერს, რუს ხელისუფალთა, საზღვლობრ პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვის მხარდაჭერით გიორგი მეორედ გაპარულა მუხურის ციხიდან და შეპყრობებია იმპერატორის დროშასა და მხედრობას: „... რომელთა მიერცა მომუცნეს სასობა სიუცქლისა ჩემისა“ — გადმოგვეცმს იგი „თავდასიავაღში“. ამივე წლის (1806) 26 ნოემბერს გ. ბატონიშვილი ეჭვის მხლებლით (მათ შორის იყო გ. ბატონიშვილის მგზავრობაზე და პეტერბურგში ჩაყვანაზე პასუხისმგებელი პირი სვიმონ ბაზლიძე) ვაგზავენს თბილისში, ხოლო 1807 წლის 23 აპრილს (იმპერატორისაგან ნებართვის მიღებისთანავე) იგი გაემგზავრა პეტერბურგს.

ბელმა არც იქ გაუღიმა განაწიებე გიორგის, პეტერბურგში იგი ჩაიღია 1 სექტემბერს, ნოემბრის პირველ ნახევარში იგი იყო დღიანებს იმპერატორს, როგორც იმერეთის ბატონიშვილი, მაგრამ აუღიენციის შემდეგ იუცქლა რამდენიმე დღე. 1807 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა უკავილით. იგი დაუტყვევებიათ აღქსანდრე ნეველის მონასტრის სასაფლაოზე. ითანვე ბატონიშვილის ზრუნვის შედეგად, სულ მალე (რამდენიმე თვეში), მის საფლავზე არქიტექტორ რუსკოს I პროექტით დადგამთ ძველი რომელიც სამწუხაროდ არ შენახულა; მოგვეთხუთება მხოლოდ მისი აღწერა და ეპიტაფიის პირი, გადმოღებული გიორგი საძაგლიშვილის (ციხირონი II) მიერ².

გ. ბატონიშვილის ცოლი დარეჯანი (გურიის ერისთავის — როსტომის 3 ქალი) თავისი ორი ვაჟით, აღქსანდრეით და დემიტრით, 1810 წლის 29 დეკემბერს გაუგზავნიათ რუსეთში³, ისინი პეტერბურგში ჩასულან 1811 წელს. დარეჯანისთვის დაუნიშნავთ პენსია. ვაჟები სახელმწიფო ხარჯზე მიუღიათ პაეთა კორპუსში⁴.

¹ ЦГИА в Ленинграде, ф. 1284, оп. 3, л. 20—26, 1807 г., а. л. 232—233.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი II—№ 1461, ფ. 35.

³ მ. ბროსეს დასახელებული ისტორია, გვ. 264 შენიშვნად აქვს, რომ დარეჯანი იყო შეილა რაქისა და არა გურიის ერისთავის — როსტომისა. რიგი საარქივო ისტორიული დოკუმენტები ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება.

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A კოლექცია, ტ. V, გვ. 111, შინაწ. ბ.

⁵ ლენინგრადის დასახელებული არქივი.

დარეჯანი გარდაიცვალა 1816 წლის 16 იანვარს (37 წლის ასაკში). იგი დაუტყვევებიათ კარის გვერდით. არც მისი საფლავი შენახულა ეპიტაფიის პირი დაუღია კირიონის დასახელებული ნუსხაში.

ასე წარმოგვიდგება ძლიერ მოკლედ გ. ბატონიშვილის ბიოგრაფია, რომლის ახალი ცნობებით შევსება მოგვიხდება ქვემოთ, მისივე თხზულებების დახმარებით.

„ხუმბარდიანის“ წინასიტყვაობაში გიორგი წერს: „...ამას გარდაცა (ე. ი. გარდა ხუმბარდიანისა“ — ლ. ქ.) მიითქვამს ანანთქებანა თხუთმეტრი, იამბიკონი სეზიდი და წყობილი-ნახურხაული და ტაეპნი მრავალნი და მუხამაზიცა მრავალ, შესხამიცა ვისიმე კიდე, ხოლო ესე ქვემოთ თქმულნი აქაიქ მდებარეობს წარმოუჩინებლად...“

შწერალ ვ. ცვეტოვის, რომელსაც 1851 წელს უმოგზავრნია იმერეთში, აუწერია გიორგი ბატონიშვილის მუხურის ციხეში ტყუობის ამბავი, 90 წლის მოხუცის, ხელისნის ხახუტა აბესაძის გადმოცემის მიხედვით. ეს ხახუტა ყოფილა, როგორც ცვეტოვი გადმოგვეცმს, ნათესავი კონსტანტინე ბატონიშვილის გამძღელისა, რომელიც მუხურის ციხეში უვლიდა მცირეწლოვან ბატონიშვილს, გიორგისთან ერთად რომ იმყოფებოდა პატიმრობაში.

ვ. ცვეტოვი, როგორცა ჩანს, დინტერესებულია მოხუცი ხახუტას მონათხრობით და ცნობები გიორგი ბატონიშვილის შესახებ სხვა წყაროებიდანაც შეუესია. იგი წერს: „Тут говорят: князь Георгий написал сазандарскую песню в нескольких стихах, в которой он описывал несчастья в заключении. Как статьи идет сюда известный экспромт Публия Сира: вдвойне тот несчастлив, кто прежде был счастлив. Стихи эти, говорят, были адресованы к жене и малолетнему сыну“. შემდეგ იგი შენიშნავს: „Сколько не старался я отыскать эти стихи, не мог найти. Говорят они очень хорошо сложены; впрочем я не теряю надежды приобрести их. Даже в Тифлисе отрывки этих стихов я слышал от стариков...“¹

ვ. ცვეტოვის იმედი შესახებ იმისა, რომ იგი როგორმე მოიპოვებდა გიორგი ბატონიშვილის ლექსებს, როგორც ჩანს, არ გამართლებულა, თორემ უმეველია გამოაქვეყნებდა მათ. გიორგი ბატონიშვილის არა მცირერიცხოვანი ლექსების მიუგნებლობის მიზეზი, ლექსების მიფარებით თქმისა საძიებელი. პოეტი თავის ლექსებს სახელს არ აწერდა ერთი ბედნიერი

¹ „Кавказ“, 1851 г., №№ 40—41, „Селение Мухури“.

გაშინაყლისის გარდა; „ხუმბარდიანს“ ავტორმა შეტად საინტერესო წინასიტყვაობა დაერთო თავისი ვინაობის აღნიშვნით.

ჩვენ შემთხვევა მოგვეცა მიგვეცვლია გიორგი ბატონიშვილის რამდენიმე ლექსისათვის. ხელნაწერი კრებული № 874 I, რომელშიაც ისინი აღმოჩნდა, გადაწერილია 1808 წელს ენიშე შია ავალიანის ხელით. მასში შედის: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და 8 ლექსი. აქედან პირველი ბესარიონ გაბაშვილის „სეველის ბაღს შეველ“, მეორე — ანანთაქება („ახლად აღეაგობ აღვასა“) დიმიტრი ბაგრატიონისაა, მესამე და მეოთხე უცნობი ავტორისაა, ხოლო მეხუთე, ისიც ანანთაქება, გიორგი ბატონიშვილისადაა დასახელებული. საიმოდ ძნელი მისახვედრია იყო, თუ რომელი გიორგი ბატონიშვილია მწუხარებით აღსაყვ ლექსის ავტორი. შეველს ლექსის (პოეტი რა ვიყო ტირილი?) მეორე სტროფში იხსენება სახელი „გოგია“. ამ ლექსის შინაარსმა შეგვაცოხინა, რომ ვიღაც გოგია დაუბეჭდვლიათ მეფეთთან, დამაბეჭდვლები ყოფილან აენი კაენი, მღვინჯანი... შეველს იგი ჩაუსვამს ციხეში. შეუბრძობა მომხდარა ძილის დროს. ამ ლექსის შემთხვევათაგან ერთი ანანთაქებაშიაც, რომლის ავტორად გიორგი ბატონიშვილია დასახელებული, მწუხარისას, ძილის დროს ატეხილ ღალაფზე, დაქვარაზე და აებუდზეა საუბარი. განწყობილებით ეს ლექსები ძლიერ გვიანან ერთმანეთს, რამაც გვაფიქრებინა, რომ ორივე ლექსის ავტორი ერთია, მით უმეტეს, რომ მეორე ლექსში სახელი გოგიაა მოხსენებული. როცა ეს საკითხი შევისწავლეთ და გამოვარკვეეთ გიორგი ბატონიშვილისა და გოგიათ იგივეობა, ძიებამ „ხუმბარდიანთან“ მიგვიყვანა „ხუმბარდიანი“ შეიქნა გასაღები, რომელმაც გვაბოძინა გიორგი ბაგრატიონის სხვა ლექსებიც.

ასეთია გ. ბაგრატიონის „მიღარავით“ დაწერილი ლექსების ერთი ნაწილის მიგნების მცირე აღტორია.

„ხუმბარდიანის“ შინაარსის აღმოცენებას არ შეუძლებელია, მაგრამ გზადგება მის გვერდს ვერ ავუვლით. იგი პოეტ ბატონიშვილს დაუწერია პატიმრობისას ერთი წლის განმავლობაში (1803—1804 წწ.). „ხუმბარდიანს“ წინასიტყვაობას ავტორი იწვევს მისი დამატყვევებელი სოლომონ II-ის ქებით. დასახელებული თხზულების დაწერის თვეა მის დაბადებას „დროსა

უმაღლესისა და უკეთილმსახურესისა; სრულად აღსიძვრეთოსა და სხვათა მეტეს, მეტე სულთა მომის არჩილის ძისა, რომელი აღმობრუნისა და ახალ მორჩად, დავითის ყვავილად და პირველ ზემოთე თქმულთა დიდ-დიდათა შეფეთა თანა აღრაცხილ იწოდა... ეგამსა ამას დაწყეს თემთა ტრფობად ზელოვნებად-სიბრძნისადა...“ საერთო წიგნებს უმეცარნი ვერ სწერდნენ, ამბობს იგი, „ხოლო მეცნიერბა არა იყადრებდნენ ესე ვითართა შემბრთვად... გარნა მე, რადგანაც შეგულსწინავეობა და სურვიელ ვიყავ ესე გვართა საერთოთა, მდაბიურთა ლექსმოკობილებთა, ეგამდ უმყოვარეს ადრე... რუსთველისა ლექსსა, რომ ვეგდ-განვიხილებდი, მანვე თამამ იყო ღარ იხმარებ რა ხელსა ყრი საუნჯესა დიდარულსა, ხოლო საუნჯე ესე არა იყო რიტორებისა, არცა მეცნიერებისა, არამედ რომელსაცა ესაღვურებოდა, ისევე გამოიჩინა მდაბიური ესე, საეროდ თქმულა...“

მასთანავე, გიორგი ბაგრატიონი „ხუმბარდიანის“ წინასიტყვაობაში გადმოცემს, რომ იგი ადრეც წერდა მდაბიურ ლექსებს, არა რიტორულს, არა საღმრთოს. რუსთველის ლექსის ძალამ, მისმა განხილვამ სიამაყე აგრძნობინა და გაათამაშა მდაბიურ-საერო თხზულების შესაქმნელად. რუსთველისავე სიტყვებით გაამართლა და გაამაგრა თავისი შემოქმედება: „არ იხმარებ რა ხელსა ყრი საუნჯესა დიდარულსა“.

„ხუმბარდიანი“ გიორგი ბაგრატიონის ავტობიოგრაფიაა. რუსთველით აღტაცებულმა და, როგორც თვითონ ამბობს, „გამამბრატუნებულმა“ ბევრ რამეში მიბაძა უბადლო ოსტატს. რუსთველის მსგავსად მან „ხუმბარდიანის“ გმირების მოქმედება გადაიტანა უცხო ქვეყნებში, რუსთველის მსგავსადვე მგვობრობა და სიყვარული გაიხადა თავისი პოემის ლეიტმოტივად. ამ ეპიკურ-ლირიკული ტილოს შექმნის დროს ერთი წუთითაც არ იფიქრებს შთამბრატუნებელ პოეტს და ცდილობს მძალი და დამბალი შირის თქმამადაც კი წაბაძოს მას. „ხუმბარდიანში“ გადმოცემულია ძლიერი ლირიკული განცდები აფორიზმების გამოყენებით. კითხულობ მას და გრძნობ, რომ პოეტი საყვითარ, დაკარგულ სიყვარულს უმღერის. ამასთანავე, გაცეცხის ის გარემოება, რომ თავის გრძნობას დამწერი სიყვარულის სახელწოდებით ნათლავს; საყვარელს შიშარ-თავს ღობით.

ხშირია და ძლიერია პოემაში აღვლიები, სადაც აღწერილია სოფლის სიმუხტლე, გაუტანლობა. უმთავრესად პოეტი ილაშქრებს ბოროტობა, ავი ენის მქონე, მათხელაია და მლიქვნელი ადამიანების წინააღმდეგ. პოემის მთავარ გმირს ხუმბარდს საყვარელ დასთან (ღუნია ჩემმასთან) დაშორებისა და გაყრის

1 იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. II, გვ. 245—247; ამ ხელნაწერს (№ 874) ქვემოთ, სიმოკლისათვის, ვუწოდებთ B-ს.

2 იხ. ტრ. რუხაძე, დასახელებული შრომა, გვ. 34—64.

„მიზეზად სწორედ მამებლარობა და ბოროტებები მიანიხია:

„ხედავ დაო, აჰმა ენამ თვით გემორკა მე
ქმა, შენ და,
თვალთ არ გმზერ, მაგრამ სულით
მოვისწრაფი ხილვად შენდა,
რა მოგმორდი შენ, საყვარელს, მზენი
ჩემთვის დია ბნელდა...“

(სტრ. 42).¹

ა ნ დ ა:

„ესე არს ჩემი სიკვდილი, ნახვანი შენნი
მომაკლდეს,
მზენი დაბნელდა, ვარსკვლავი და მთვარე
დია დაბადდეს,
ხანდახან მწერდენ ბარათსა, ვგონებ შენ არა
დავაკლდეს,
და ნუ შეგძულდები ავ ენით, ავ ენა აღნობს
ქვის და კლდეს“.

(სტრ. 43).

„ხუმარდს „დათ“ წოდებული დენია ჩემმა
პასუხსა წერს:

„გნახე წიგნი საყვარლისა, გულს მომედვა
ცუტლებბრ ალი,
ზაფრანად ვქმენ იავუნდი, სახე ჩემი
ფერებბრ ლალი...“

(სტრ. 45).

ა ნ დ ა:

...„რაღა მამინენ არზითა, გულსა შემეჭმნა
ურვანი,
ვა, ბედმა ჩემმა უბედომ მიყო სოფლისა
მღერვანი,
ვიფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მეტად მაქვს
შენი სურვანი,
და რაც მოგმორდი მას აქეთ მაქ ცრემლთა
შინა ცურვანი“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, არა ნაკლებ
წუხს და განიცდის დენია ჩემმა ხუმარდთან
დამორებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, წერილს
ასე ამთავრებს:

¹ დასაბუთებულია ხუმარდიანისა სტროფები, „ხუმარდიანი“ გიორგი ბაგრატიონის
სხვა თხზულებებთან ერთად მომზადებული
აკრებულს გამოიცემად.

...მომორება ჩვენ თრისა სიტყვით ბევრმა
დავაწახევა,
და ასე მოხდა, ამა ეამსა აღკრამ ხანს ჩვენი
ნახვა. (სტრ. 48).

არ გნახო ნუ შესწუხდები, გული ისევ
ჩემ კერძ გქონდეს,
მოვიკვეთით ხალეთობა, აღარ ექნეს
არასოდეს,
ქარტა ჩვენი, ჩვენს წინაშე შედამ ეამსა
ტუბილად მზობდეს,
და იავუნდი მოცინარე და ვარდიცა ასე
ტყობდეს... (სტრ. 49).

ავი ენით, შურითა და მამებლარობით და-
ცილებულნი შესტრიონ ურთიერთს, მაგრამ
ქალი მონიცი უკრძალავს შევრას — „აღარა
ხამს ჩვენი ნახვა“—ო ატუობინებს, თანაც დას-
ძენს: „გული ისევ ჩემ კერძ გქონდეს“—ო.
საყვარელი მეგობრის („დის“) ასეთი პასუ-
ხით გულმოკლული ხუმარდი გაიჭრება ვე-
ლად მსგავსად ტარიელისა, შევერება რუზი-
ხანს და დაუმეგობრდება მას მსგავსად აეთან-
დილისა, ხუმარდი უამბობს რუზიხანს თავის
თავდადისივალს:

ისმინე ჩემი ამბავი, ვითა მწვეგს ცეცხლის
აღვნი,
მამკლავს, დამაზრობს, დაკამკლავს შავის
გოწრისა ხალუბი,
დამქრა მან ტყვიამ აღმასი, თუმცაღა ვიყო
სალუბი,
და ვისწრაფი შევრად მზისა შუქო, თუმც
ფრთები შექონდეს მალუბი... (სტრ. 71).

შემდეგ „დავკარავ ჩემი სოფელი, რადგან
მომშორდა იგი და,
მასაქეთ ეტირი და არ შრულს, ქვეშე ქვანი
დაკავიგადა,
ახლა შენ გნახე ფნალმუნა, მამეც, შენგან
არს რივი და,
და სრულად ვერ გეტყვი ყველისა, ენის
თქმას ველარ ვიგნი და“. (სტრ. 77).

მოტანილი ადგილები სრულიად ცხადყოფენ
იმ გარემოებას, რომ პოემის ავტორი იძულებ-
ულია თავისი გმირის გრძობებში გაახეიოს
დამპობის სამოსელში და ამით დაფაროს
სინამდვილე. ჩანს, ამის საჭიროება არსებობ-
და, მაგრამ სამოსელი მეტად გამჭვივრეა...
როგორც აღენიშნეთ, „ხუმარდიანი“ ლირი-
კულ-პიკტური თხზულებაა, რომელშიაც ავტო-
რი პირად ღრმა განცდებს გადმოგვცემს;
თუმცა იგი ყოველწინარად ცდილობს თხზულ-
ების ნამდვილი არსი დაფაროს:
...„გიორგიმ ვიგულსმოდგინე და ფიტრითა

ჩემთა ეს წიგნი აღწერე, არცა თუალოთ ამისთანა მიხილავს, მაგრა მტორე ამბათ გავიგონია და იმ აზრზე განეფერცელე, რადგინა ეხედვიდი სხედასხევისა გარეშესა წიგნისა, ვიცოდი არცა სრულიად იგი ქმნიდი იყო და არცა სწენილ, გარანა უცხოთა მდიდრეთა ვაეკეთებნათ ვონებითა ვარეშენი იგი წიგნი, ამისთვის მტე, ფიქრულმან აღწერე ესე, ესე მიზნებისათვის, რომ სოფლის სიმუხთლეს წარმოაჩენს და შეგობრობისა პირსა შემოიყვანს¹—ო, გეუღწევებს ავტორი პოემის წინასიტყვაობაში, თანაც ემუდარება მკითხველს, რომ არ იფიქროს საარწიყოდ და საძეოოდ ეთქვა მას ეს ლექსები. მეორე — „ეს არ იფიქროთ, თუ ესე გვარნი საქმე იმას წაეიდებიათ, არა, არც ამისთვისცა მითქეამს...“¹

მიუხედავად პოეტის რწმუნებისა, რომ აქ აღწერილი მას არ შეეხება და, რომ იგი (ამბავი) ნაწილობრივ მოგონილი, ნაწილობრივ გაგონილი აქვს, მკითხველი მაინც დაჯერებულია პოემის ლირიკულობაში. პოემის გმირს ხუმმარადს, რომელიც დასთან განსორებაზე მოუთხრობს ახლად შექმნილ შეგობარს რუხისანს, უნებლიეთ წამოედება:

„რიგე არის ყოველ კაცთა მიჯნურთა შეებრალის... რომელს ძმა უწოდებს თავის თავს დასთან დამოკიდებულებაში მიჯნურს?! რისთვის კირდება პოეტს თავისი გრძნობებას დაძმური სიყვარულისათვის ამოფარება?“

ცხადებდ უცხადესია, რომ პოემაში აღწერილია წრფელი, სუფთა სიყვარული, მაგრამ დასაფარავი, ვერ გასამხელი...

უბრუნდებით მაია ავღანისისეულ კრებულს (H — № 874), რომელშიაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესულია რამდენიმე ლექსი ავტორის დაუსახელებლად. მას შემდეგ, რაც ამ კრებულში მოთავსებული ანბანთქების ავტორის გიორგი ბატონიშვილისა და მომღვეწო ლექსში („პოთ რა ვიწყო ტირილი“) მოხსენებულ გოგიას იგივეობა დადასტურდა და მისი ვინაობა გამოირკვა, ხელნაწერებში აღმოჩნდა სხვა, ნაკლებ სრული (გიორგის ლექსების თვალსაზრისით — ლ. ქ.), მაგრამ უფრო ძველი და უკეთ დასათავსებული ლექსები გიორგი ბატონიშვილისა (კრებული, H № 1420),² იგი გადაწერია ლამაზი მხედრულით 1799 წელს. ზემოთხსენებულ ანბანთქებას, რომელიც შინაარსის მიხედვით გიორგი ბატონ-

შვილის შეყვარობის გამომსახველ ლექსად მივიჩნიეთ (B ხელნაწერის მიხედვით) ამ კრებულში უფრო გამოკვეთილი ქაოთურყო ექვსე „ანბანთქება ყოველი ანბანი გამოკვენილი, დაკვირისათვის თქმული გო გია (და არა გიორგი, როგორც ეს B-ში იყო). ბატონიშვილისა მიერ“. მომღვეწო ლექსს („პოთ რა ვიწყო ტირილი“) აწერია: „ლექსად თქმული მის მიერე“, ე. ი. ზემოთ დასახელებული ავტორისაგან. სწორედ ამ ლექსშია სახელგოგია მოხსენებული, ასე რომ, ამ ორი ლექსის ავტორის იგივეობა უკვე სამტკიცებელი არ არის, მიუხედავად, რომ „ხუმმარადისნი“ ვხვდებით თითხმეტ სტროფიანი ლექსის „პოთ რა ვიწყო ტირილი“-ს პოეტურ სტრიქონებს, მაგ „ხუმმარადისნი“ სტრ. მე-19 იმეორებს დასახელებული ლექსის მე-4 სტროფს, მე-20³ მე-7-ეს, ზოლო 41-ე — მე-8-ს.

ხელნაწერში, ზემოგანხილულ გიორგის ლექსებს წინ უსწრებს კიდევ ორი ლექსი, ავტორის დაუსახელებლად. პირველი იწყება ასე:

„მოგიწერ დასა ტურფასა, ქალსა კეკლესა და ნახსა, ჩემსა სულესსა, ამბავს ამოსა, ჩემთვის საკმოსა, მგვანსა საბოსა, ნაბრწინ გულესსა, შენგან შორს მყოფსა, სულთა გამყოსა, ხორცთა წამყოსა, შენთვის თნულესსა, შენთვის მისურვე, მე მომისურვე, ნათელს სულა, კეთილ გულესსა. როს განვიცადე ტურფათა, გულს მეცისირად რვალები, ბაბულ-ბალანშ-შინა შეთხულო, ჯავაბი ხარ ლალები...“

მე, სული ჩემი, ფეშქაშად შენთვისაც შემოწირია, შენს სიყვარულზე სიკვილმდე შაქს გასატანი პირია...“

ეს ლექსი შეიცავს 7 სტროფს. პირველი მათგანი ძლიერ მოგვაგონებს „ხუმმარდის წერილს-მიწერილს დასთან და მგვობართან“, ასე მაგალითად:

„მოგიწერ დაო ტურფათა, ამბავსა ჩემსა გულისას...“ (სტრ. 39).

მეორე სტროფი „როს განვიცადე ტურფათა“, როგორც დაინახეთ, ამ ლექსის განუყოფელ ნაწილია. იგი დაბეჭდილია და დამოუკიდებელ ლექსად შესულია ბესიკის ლექსების „სადაო“ განყოფილებაში¹. ამავე ლექსის მესამე სტროფი: „მე, სული ჩემი, ფეშქაშად“ და შემდეგ მიყოლებით IV, V, VI და VII სტროფებიც;

¹ „ხუმმარადისნი“ წინასიტყვაობა, იხ. დასახელებულ ხელნაწერთა აღწერილობის V ტომი, გვ. 144.

² იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III გვ. 358—359, ამ ხელნაწერს ვუწოდებთ A-ს.

¹ იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 96.

დამოუკიდებელ ლექსიდაა მიჩნეული და, აგრეთვე ბესიკის თხზულებათა გამოცემაშია შეტანილი.

ამ ლექსის ფაქტორი, წერის მანერა და განწყობილება საკუთრივ შეესაბამება „ხუმბარდიანისას“, მაგრამ მხოლოდ ამიტომ არ მიგვაჩნია იგი გიორგი ბაგრატიონის ლექსად. მისი შესამე სტროფი ანუ „შე სული ჩემი ფეშქაშად“ შესულია „ხუმბარდიანში“ (სტრ. 13), მაგრამ არა მისგანგებით, არამედ მთლიანად.

შესს არ იწყვეს ის ვარაუბები, რომ B ხელნაწერში მოთავსებული უაქტორო ლექსიც „მოგწერ დასა ტურფასა“ ეკუთვნის გიორგი ბაგრატიონს, და როგორც აღინიშნა, ლექსი „შე სული ჩემი ფეშქაშად“¹ მისი ნაწილია.

განვიხილოთ ამავე (B) ხელნაწერში შესული, მომდევნო ოთხტეხიანი ლექსი, რომლის სათაურია: „მისტიკურად თქმული მავამბ“.


სახელით მზეობ, სახით მოთვარებ, ტანად
საოო ხარ ტურფად ასული
შეენებით შეტობ ყოვლითა კაცდრითა,
შენით გაუძღდეს მნათნი ასული,
სადავითთსა სახლსა აღუვადდენ დიდ გვირ-
ტომობით შეფედ ასული,
აჲ ძმა მოგიწერ მადლობას დასა, მიიღე
ნაცდლად მსხვერპლად ასული.“

დავიწყეთ ბოლო ტეხიდან: აჲც ძმა მიუ-
წერს დას, მადლობას უხდის (წერბილის მიუ-
რისათვის?) და სანაცვლოდ თავაზობს თავს,
რომელსაც „მსხვერპლად ასულს“ ანუ მსხვერ-
პლს უწოდებს. სხვა ტეხებიდან ვიგებთ, რომ
შეგების ობიექტი ატარებს მისს მსგავს
სახელს („სახელით მზეობა...“), იგი ტურფაა,
თანვე დიდი გვირის წარმომადგენელია, შეფის
ასულია.

გახილული მავამაც გიორგი ბაგრატიონის
კალმს ეკუთვნის და მიძღვნილია დავით შე-
ფის ასულს მზეხათუნისადმი.

B ხელნაწერში ლექსს „პოი რა ვიწყო
ტირილი“ მოსდევს „იამბიკოდ თქმული“.

¹ პოეტი — აკადემიკოსი გ. ლეონიძე წერს:
„...მზეხათუნისადმი უნდა იყოს, აგრეთვე,
მიძღვნილი ლექსი „შე სული ჩემი ფეშქაშად“,
თუ მართლა ბესიკს ეკუთვნის, როგორც გვამ-
ცნებს ზოგი ხელნაწერი...“ გ. ლეონიძე, ბესი-
კი (დაბადებიდან 200 წლის გამო), 1953 წ.-
გვ. 100. გ. ლეონიძის ვერაუდიცა და დაკვირვებაც
გამართლებულია, თუმცა აღნიშნულ ლექსს
(არც სრულსა და არც თავსაკლებს) არც
ერთი ხელნაწერი ბესიკს არ მიაწერს.

არსთა მზადისა მდინიტი, ანგელსებრიც
მუქალაქეთ,
და დაბეჭდული ნიშითა სიმებისა,
შარავანდ შეფეთა...


ამ ხელნაწერში ეს იამბიკო ოთხტეხიანია,
A-ში კი იგი ორადეა გაყოფილი. პირველს
აწერია: „იამბიკოდ თქმული“, მეორეს —
„კულად იამბიკო“. აღნიშნული იამბიკოები
ჩვენ გიორგი ბაგრატიონისად მიგვაჩნია. ამაზე
ქვემოთ.

არსებობს მესამე ხელნაწერი (S-1088), რი-
მელშიაც, აგრეთვე შესულია გიორგი ბაგრა-
ტიონის ლექსები. იგი კარგადაა ცნობილი
ბესიკის გამოცემულთათვის. ეს ხელნაწერი
ჩვეულებრივი ჩვეულის ზომისაა, აქვს ქალა-
დის ყდა, დაზიანებულია და ნაკლები. რი-
გორც ტვირნიშანიც (1813) მიუთითებს, იგი
გადანესტულია მე-19 საუკუნის ოციან წლებ-
ში. მეორე ფურცლის პირველი გვერდი და-
ლაქავებულია და ნაწერიც ძნელად იკითხება.
ვილციას უცდია ნაწერის აღდგენა და რაც
ამოკეთიხავს, მუქი მელნით გაუცხოველებია,
მაგრამ შეგადამიც და, აგრეთვე, ბოლო ნაწი-
ლი წაუკითხავი დაჩენია. ხელნაწერის მესამე
ფურცელს დასაწყისი მოხეული აქვს. ამ ნაჯ-
ღულ გვერდზე მოთავსებულ ლექსიდან იკით-
ხება ორი სტროფი ამგვარად:

...ეაბარლებ ამოთ (?!) გარნა... ცოდვათა,
ვარ მოიმედე ღვთისაგან... დვისა შენანობათა,
მას მერმესაცა მადარებს, მართალ ვარ,
განმართლებასა,
ძელო ცხოველო, დამიხსენ
საპყრობილისა...“

დაზიანებული ხელნაწერის აღდგენის მსურ-
ველს ზოგი სიტყვა სრულიად ვერ წაუკით-
ხავს, ზოგი კი დაუმახინჯებია გაცხოველების
დროს. ესა და მომდევნო, მეორე სტროფი
არის ბოლო ნაწილი გიორგი ბაგრატიონის
ლექსისა „პოი რა ვიწყო ტირილი“. იგი რომ
აღვადგინოთ A-სა და B ხელნაწერების მოშ-
ველებით, ასე წაიკითხება:

...[არვის] ¹ ვაბარლებ [საქმესა], გარნა
თავისა ცოდვასა,
ვარ მოიმედე ღვთისაგან [მიქმს ცო] დვის
შენანობასა...
მას მერმესაცა მადარებს, მართალ ვარ,
განმართლებასა,
ძელო ცხოველო, დამიხსენ საპყრობილისა
პყრობასა.

¹ კედრატულ ფრჩხილებში აქაც და შემდ-
გომაც თავსდება სხვა ნუსხების მოშველებით
აღდგენილი ადგილები.

ასე ბრძანებს ერთი ვინმე ლ [აუფი არს ეს] წერა...“

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ C ხელნაწერში ფრაგმენტულად შემონახულ ლექსს („პოი რა ვიწყო...“) A-ში ჩართული აქვს¹ ტაეი:

მოგზორდი სულსა, ვინება სრულსა, ანდამატ გულსა, ბრძენ განკაზმულსა“.

B-ში იგი „უტუბოდა“ წარმოდგენილი. იგივე ტაეი უფრო სრულად C-შია გამოერებული, მაგრამ არა ლექსში „პოი რა ვიწყო ტირილი“ (როგორც A-ში), არამედ გ. ბაგრატიონის სხვა, ზემოაღნიშნულ ლექსში „მოვიწერ დასა ტურფასა“.

ბესიკის გამოკვმელთ, რომელთაც C ხელნაწერი ხელთა ჰქონიათ, ეს ლექსი ბესიკის სადავო ლექსებში შეეტანიათ, დაზიანებული ადგილები მრავალწერტილით აღენიშნათ, ხოლო ძლიერ დაზიანებული პირველი სტროფი ანგარიშში არ ჩაუთვლიათ. იგი ასე იკითხება:

„მოვიწერ დასა [ტურფასა, ქალსა ევალღესა და ნახსა, ჩემსა სულესსა],

ამბავს ამოსა, ჩემთ ვის საემოსა, მგევანსა საროსა, ნაბრწყინ გულესსა] შენგან შორს შყო [ფსა, სულთა გამყოსა, ხორკთა წამყოსა, შენთვის თნულესსა], შენთვის მისურვე, მე მომისურვე, ნათელს სულთ კეთილ გულესსა“

ამ სტროფს ამავე ხელნაწერში მოსდევს: „ტაეი“¹.
მოგზორდი სულსა, ადნავ შექელსა, ბრძენ განკაზმულსა, ანდამატ გულსა, ჩემთვის მოსრულსა, გონება სრულსა“.

ეს „ტაეი“ დამოუკიდებელ ლექსად, სათაურით „მოგზორდი სულსა“ C-ს მიხედვით შეტანილია ბესიკის სადავო ლექსებში², ხოლო ამავე ლექსის („მოვიწერ დასა...“) მეორე სტროფი: „როს განვიცადე ტურფათ, გულს მეცა ისრად რეალები“³.

რაც C-ში ზემოთ აღნიშნულ „ტაეს“ მოსდევს, და თანაც დასაწყისი ორი სიტყვა სინგურითა დაწერილი, კვლავ ბესიკის დამოუკიდებელ ლექსადაა შინნეული და შეტანილია მის სადავო ვანყოფილებაში³.

როგორც აღვინახეთ, C ხელნაწერში აღმოჩნდა გ. ბაგრატიონის ორი ეპემიტრანელი ლექსი „ტაეებთა“. ერთი მათგანის („პოი რა ვიწყო ტირილი“) ორი უკანასკნელი სტროფი-

¹ ხელნაწერის მიხედვით „ტაეი“
² დასახელებული გამოცემა, გვ. 92
³ იქვე, გვ. 96.

და შემორჩენილი; მეორე — („მოვიწერ დასა ტურფასა“) კი მთლიანადაა, მაგრამ უტყვევო დაზიანებული.

C ხელნაწერშივეა შეტანილი იამბიკოები, რომლებიც მოთავსებულია A-სა და B-შიც. ისინი ე. ბაგრატიონისად მივაჯანია და აი რატიონ:

ა) „იამბიკოდ თქმული. — არსთა მზადისა მღნიტო, ანგელოსებრივ

მოქალაქეო, და დაბეჭდულთ ნიშითა სამებისთა შარაიანდთ მეფეო, ..ვილფიისა ლამპარო, მეოხ მეუეა, მართლისა მიმრქმელთურთ წინაშე ლეთისა“, ბ „ქუალად იამბიკო.

მესმა მზა სანატრელი ურანოსა შინა ნათლითა გამოშხობაბარე, სისხლითა მიინიქე ნეტარებანი, რამეთუ მსხვერპლ ხარ, და ტიხთოვ ხსნასა, ფრიად შემძლებელ ხარ, ნეტარ არიან, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა“.

პირველ იამბიკოში ქებაა მეფისა, რომელსაც ეტორი თხოვს შევლას, დახმარებას, „მეოხ მეუეა“-ო მიმართავს მას. აქვეა გამოთქმები: „ანგელოსებრივ მოქალაქეო“, „შარაიანდ მეფეო“, შდ. „ხუმბარდიანის“ წინასიტყვაობას: „...რომელ (სოლომონ II — ლ. ქ.) აღმობრწყინდა ახალ მორჩად, დავითის ყვავილად“...

ვედრება მეფისადმი: „მეოხ მეუეა, ვითხოვ ხსნასა, ფრიად შემძლებელ ხარ“, სრულიად შეეფერება გიორგი ბაგრატიონის მღვდმარეობასა და განწყობილებას; ვარდა ამისა, ხსენებულ იამბიკებს იმეორებს სამივე ხელნაწერი (A, B, C), რომლებშიაც მისი ლექსებია მოთავსებული.

გიორგი ბაგრატიონის ლექსები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ერთი, რომელშიაც იგი დასტურის თავის უბედობას იმის გამო, რომ მამბულარა, ბორიტი ადამიანებმა მეფე დაჯერეს მის მტრობასა და ღალატში და ჩაასყვიანეს ციხეში. ასეთ ლექსებში ჩართულია ყველა წუთის სოფლის გაუტანლობისა, ვიობა ორგულ, უპირო, ავ-ენა ადამიანებისა:

...უბრალთ მტერი კაცს აუნებს ავ ენით შენწყობითა“...

(ლექსიდან „პოი რა ვიწყო...“).
ამავე დროს, მის ლექსებში მძაფრად გაიხმის თავისმართლებების მზა:

...ტყუილი სთქვეს, ღმერთსა ვფიცავ, მეფესა ვაეს მოწმად ძელი“...

(იგივე ლექსი, სტ. 11).
ან კიდევ: „მართლდა ვარ, ღმერთმან უწყის,

თავი ჩემი რად იწყებინო?

(იგივე ლექსი სტ. XII).

ეს მხარე გ. ბაგრატიონის ლირიკული განცდების მატარებელია.

ამ თემაზეა აგებული მისი: „ანბანთქება... დაქვრისათვის თქმული“, „ში რა ვიწყო ტირილი“, და „ხუბმარდიანის“ დიდი ნაწილი, განსაკუთრებით შესავალი და ხუბმარდის ცხენი ჩანსაღვანად.

გ. ბაგრატიონის ლექსების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სიყვარულის გამოხატვა. სიყვარულის ობიექტს იგი ყველგან „დას“ უწოდებს, გრძნობას კი — „დაძმურს“ (იხ. „ხუბმარდიანი“ და სხვა მისი ლირიკული ლექსები, უმთავრესად შუაშია და ანბანთქებანი).

C ხელნაწერში ორი ლექსი აღრესატის ჩვენებითაა წარმოდგენილი. ესენია:

1) „ანბანთქება შეუფის ასულს მზეხათუნზე თქმული.

აღვამკობ ალვასა ამოსა, აღბუტკვილს
იღნგ არიად,
ბალახმზაფგესა ბრწყინვალესა, ბრთქელს
ბუტკესა ბარიად...

(ანბანთქება ნაკულადა), წყდება:

...ვარდო ვილალო, ვახ ვის (I) ვინათვის (I)
ვისადაგებია...“

II „მეფის ასულს მზეხათუნისთვის თქმული, ვართ კარგის მგონე, შენაღონე, მომხსენი
ახის,

ტან-ყვიარ-ბრდილმან, დალ-დათხუტლმან
რადა ვთქვათ ახის?
მივგზინდა ხანი, წამნი ვამნი მის გულთა
მნახის.
და დაგვირბინა ზარნი, საკუთარნი, სიციცხლე
კმახის.

მოგაწერ, დაო სუტთაო, ამბავსა ჩემის
გულისას,

ნუ მომიძულებ ტურთაო, თანსწორს შენსა
სულისას,

მომიფინებდე, ვახსოვდე, მე შენთვის
დაცაბმულისა,

შენ მაგონდები ნიადაგ, რა მიმეძინის
რულისას...“

ეს ლექსი შეიცავს ექვს სტროფს. იგი ამ ხელნაწერიდან გადაშვრილია ბესიკის „სადაო“ ლექსებში, ნამდვილად კი ეკუთვნის გ. ბაგრატიონს. ციტირებული მეორე სტროფი „მოგაწერ დაო სუტთაო“... შესულია „ხუბმარდიანში“ (სტრ. 39-ე). ეს გარემოებაც სამუშაოების ძალზე დადასტურებს, რომ „ხუბმარდიანში“ გამოყვანილია გმირი ქალი, მეფის ასული დუნია ჩემმა და დავით მეფის ასული მზეხათუნმა.

თუნე ერთილიაგივე პირია, ისევე, როგორც ხუბმარდი თვით გიორგი ბატონიშვილი.

ამის შემდეგ გასაგები ხდება „ხუბმარდიანი“ დაბტული ძლიერი გრძნობა რისთვისაა დამძვრსა მისიველი გახვეული. გიორგი ბატონიშვილი იზრდებოდა დავით მეფის, შემდეგ კი სოლომონ II-ის კარზე. პირველ შემთხვევაშიც და მეორეშიც იგი ხელებოდა მზეხათუნს, შტრტი, იზრდებოდნენ ერთად.

გ. ბაგრატიონის პოეზიისა და ცხოვრების შესწავლა საეჭვოს არ ხდის იმ გარემოებას, რომ ბავშვობიდანვე შერდილი ახალგაზრდებს გიორგისა (გოგისა) და მზეხათუნს ერთობით შეჰყვარებიათ, რის გამოქვლავნებაც შეუძლებელი იქნებოდა, ჯერ-ერთი, იმისთვის, რომ ისინი ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ², და ამასთანავე, უკანაო შვილს მეფის წულისას არ მისცემდნენ უფლებას გამოეხურებოდა მეფის ასული. მიუხედავად კონსობრაციისა, გრძნობის „ღობით“ სახელდებისა, როგორც „ხუბმარდიანი“ და სხვა ლექსებიდან ჩანს, შათი გრძნობა გამელაგნებულა და ისინი ვანუშობებიათ (შდ. ხუბმარდი გაიჭრა ველად, რადგან იგი ენამ მოაშორა სიყვარულ „დას“).

როგორც გამოარკვეა, ლექსი „ვართ კარგის მგონე“ მიძღვნილი მზეხათუნისადმი გ. ბაგრატიონისა, ასევე მისია ზემოთ მოტანილი „ანბანთქება მეფის ასულს მზეხათუნზე თქმული (აღვამკობ ალვასა“), მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკულადას ენებს გამო მესიკის „სადაონში“ არ მოხვედრილა.

გ. ბაგრატიონი თავის თხზულებებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავგამოდებით უარყოფს თავის დანაშაულს მეფის წინაშე, მაგრამ ამავე ღრეს, ხშირად ახსენებს საკუთარ ცოდვებს:

„არვის ვაბრალებ საქმესა, ვარნა თავისა
ცოდესა“...

(„ში რა ვიწყო ტირილი“ სტრ. XII).

„მე ჩემისა ცოდვისაგან განსაცდელსა დია
ემზერა“...

(იგივე, XIV).

„უველა ჩემი ცოდვისაგან დღე შემქმნა დია
ხნელ“
(იგივე, II).

გიორგის ლექსებში მოხსენიებულია „ცოდა“, ვფიქრობთ, ესება მზეხათუნის სიყვარულს, რომელიც გრძელდებოდა მისი ხანმოკლე სიცოცხლის მთელ მანძილზე.

გ. ბაგრატიონის ცოლი 16 წლისას უნდა შეერთო (17 წლისას უკვე ჰყავს ვაჟი), ერთი შეხედ-

¹ მზეხათუნის პატრონობდა სოლომონ II. მანვე მიათხოვა იგი სვიმონ წერეთელს, იხ. *ჩიქ-ი* 9666.

² მზეხათუნის გიორგის პაპის (სოლომონ I-ის) ბიძაშვილისშვილი იყო.



ვით, ეს ვარემოება, თითქოს, გავგებარას ზღის გიორგისა და მუხათუნის სიყვარულს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდების მოკრძალებული ტრფიალება შენიშნული იქნა, გიორგი სასწრაფოდ მოაშორეს სასახლეს და დაქარაზინეს როსტომ ერისთავის ქალზე — დარეჯანზე, ამ დეტალების გასარკვევად დოკუმენტები არ შენახულა, მაგრამ გიორგის მთელი პიუჯა ამის გასაღებს იძლევა. მიჯნურ პოეტს მუხათუნი არც პატიმრობისას დაეწივებია (იქ დასწერა „ხუბმარდიანი“) და არც პეტერბურგისაგან სამუდამოდ გამგზავრებულს.

მოსკოვში გზად შეწერებული გიორგი ბატონი-შვილს, როგორც ცნობილია, დაუწერია „თავგადასავალი“, რომელიც მოსკოვშივე გადაუნუსხავს გიორგი ავალიშვილს¹ და თან დაურთავს გიორგის სამსტროფიანი ლექსი. ესე შემდგომში სამნი ლექსნი ამ ზემო ნაწერის შემოხტვისათა თანა ეწერა და ამაღ მეცა დავსწერე აქა“-ო, ვაუწყებს გიორგი ავალიშვილი.

დასაბუღებული ლექსი დამეზღილია², გამოცემა მას ცოლ-შვილისა და მოკეთე-მეგობრებისადმი მიძღვნილ ლექსად თვლის, მაგრამ თუ ვველა ზემოთქმულის შემდეგ მის შინაარსს განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ლექსიც, ვანსაკუთრებით პირველი ორი სტროფი, მხოლოდ მუხათუნისადმი შეუწელებელი გრძნობითაა შეთავრებული. „თავგადასავალში“ პოეტმა ერთი სიტყვითაც ვერ იხსენა იგი, სამაგიეროდ, იქვე დართულ სამსტროფიან ლექსში, საოცარი წინასწარპყვრტით გაღმობღვარა თავისი სევედა და გულბატყვილი:

„მოგვონდე მარად მტირალი, მოშორებებისთვის
წყლულია,
სული შენ დაგრჩა, გონება, მსხვერპლად მიიღე
გულია,
მსჯობდა არ თურემ შეგემცნე, რადგან მქმენ
გულმოყლულია,
განვალ შე სოფლით მტირალი, ვახსოვდეს
თქვენთვის თქმულია.

გაურა თქუჩნი გულსა ჩემსა, ვითა ტილო
ესუდრების,
წამწემ სიყვადდ გული მიწულს, თუალთა
ცრემლი მომქუხლების,
რაზომც მნათობს სინათლედ, ჩემთვის ბნელად
მოშუქლების,
ზამთრად მექცა მე ზაფხულად, ღრუბლით
ვრგვინევა მომქუხლების“.

ეპითეტს „მზე“ პოეტი არა მარტო სატრფოს

შესთან შედარებისათვის ხმარობს, არამედ მას-
ში (ეპითეტში) მიჯნურის სახელსაცქმეტს
მოვიგონათ მისი „ფისტიკაუტადლ თქმულთ მცა-
ჯამა“.

„სახელით მზეობ, საბით მოივარებ, ტანად
სართ ზარ ტურთად ასული“...

აგრეთვე შლ. ამავე მაჯამის უცანასკნელი
ტაბა:

„აქ მმა მოვიწერ მიდლობას დასა, მიიღე
ნაცულად მსხვერპლად ისული“...

და ზემო მოტანილი ლექსის პირველი სტროფი-
დან:

„სული შენ დაგრჩა, გონება, მსხვერპლად
მიიღე გულია“...

მესამე სტროფი: „გაურა თქუჩნი გულსა
ჩემსა“... უფრო ზოგადია. აქ გამოხატული გუ-
ლისწებილი და ცრემლთა დენა გამოიწვეულია
ზემოთ აღნიშნული მიზეზებით, სამშობლოსა სა-
მუდამოდ დატოვებით და ცოლ-შვილთან გაუ-
რით.

მუხათუნაზე დაწერილი, აგრეთვე, ანბანთქე-
ბანი, რომლებიც C ხელნაწერშია შესული და
ამიტომ საღაო ლექსებში მოხვედრილია:

„აღვახემ ქებად ბავსა, თუმც შევიძელ
მუბილდება,
ბანოვანთა უტურდესო, გიქო მადალმო
ბილცა,
გულს განაცული გულისათვის, შწილს მონებრი
მორბილება,
დავუკედ წერად, შენთვის ქებად, იძლვენ ესე
თხრობილება“...

როგორც დაინახეთ, აქ ხაზგასმულია შექების
ობიექტის მაღალი შთამომავლობა. შემდეგ:

უსულვაზურად გეხვევი უმანკოს აღნაგობსა,

ფიქრით გულისათ შენთან ვარ, ესმენელი
შენს უბმობასა“...

„ესმენულობ“ იმერისშია, რაც აქა-იქ გვხვდება
„ხუბმარდიანიში“¹, ბესიკი არავითარ შემთხვევა-
ში ამ სიტყვას ამ ფორმით არ გამოთქვამდა, იო-
დვე ამ ანბანთქებიდან:

„ვევილუბრ სურნელმოყოფელი, შორით
მაღლებნი გულისა;

¹ იხ. S-№ 303.

² იხ. ტრ. რუხაძე, დასაბუღებული ნაშრომი.

¹ იხ. ტრ. რუხაძის დასაბუღებული შრომა, გვ. 63.

შენ ქებას ვით აღვასრულებ, ქვეყნად მზელ
დასახელისა,
ჩემებრ უმეცართ მონისა, ნახვით წამლებო
სულისა,
ცნობა მიიღე წერილის, ღირსი მქმენ —
პავლეს თქმულისა“...

ამ სტროფში ურადლებას იპყრობს ერთი პა-
ტარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი. გ. ბაგ-
რატიონის ლექსის „მოგწერ დასა ტურფისა“
შესამე სტროფში ვკითხულობთ:

.... დაო, შენც იცი, მყოფსა მკვნობს
უბრწუნლო ჳირია,
პავლე სწერს მოციქულიცა — სჯული არს
სიყვარულა“...

ეს ტაეპი რომ შევადართო ანანთქებაში გამოთქ-
მულ ამავე არსს — „ცნობა მიიღე წერილის,
ღირსი მქმენ — პავლეს თქმულისა“, დაინა-
ხავთ, რომ პოეტმა ერთ ლექსში („მოგწერ დასა
ტურფისა“) ეპისტოლეოვან“ დაიმოწმა პავ-
ლე მოციქულის აზრი სიყვარულზე, მეორეგან
 („ანანთქებაში“) საჭიროდ არ ჩათვალა იმავეს
გამეორება და ლაკონურად მოაჯონა: „ცნობა მი-
იღე წერილის, ღირსი მქმენ პავლეს თქმულისა“,
ე. ი. სიყვარულისაჲ აგრეთვე შდ. „ხუბმარდი-
ნის“ მე-13 სტროფის პირველი ტაეპი: „მოგვი-
თხრობს ჩვენი წერალი — სჯული არს სიყვ-
არულა“.

ანანთქება „აღვახემ ქებად პავესა“, როგორც
დავინახეთ, გიორგი ბაგრატიონისაა, მიძღვნილია
შუბათონისადმი და დაწერილია ლექსის „მოგ-
წერ დასა ტურფისა“ შემდეგ.

გიორგის ვეუთენის და არა ბესიკს მეორე
ანანთქებაც, აგრეთვე შესული ბესიკის სადგო
ლექსებში და დაბეჭდილი C ხელნაწერიდან. ესაა:
„ამავს აწერო აღრიწდელა“.

ამ ლექსის განწყობილება, ცალკეული გამო-
თქმანი და, აგრეთვე, იმ ხელნაწერში არსებობა,
რომელშიაც მრავლადა გიორგი ბაგრატიონის
ლექსები, გვადლეს უფლებას ეს ანანთქებაც
შის პოეტურ მემკვიდრეობას მივუძღვროთ.

C-ს შემოუნახავს კიდევ ორი ლექსი, რომლე-
ბიც აგრეთვე გ. ბაგრატიონისად მივყვინია.

1) [ბრძენი მოხრებლს ირჩევს საჯდომლად]—
„ბრძენი მოხრებლს ირჩევს საჯდომლად, მინ-
დორთა ყუავილოვანთა, ამისათვის მარტო მე-
ოფთა განაპაბუყებს მქცოვანთა“... ეს ლექსი
ათრეპიანა მისი დასაწყისიც კი საუფლისხმოა.
სულხან-საბა სიტყვა „მოხრებლს“ ასე განმარ-
ტავს: „მღვამე არს მოხრებლი კლდისა, კაცთათვის
საპატიმრო, ვინა თვით თვისით შთაჯდეს სინანუ-
ლისათვის“.

ამ ლექსში ნათქვამია, რომ ბრძენს ანუ ხან-
დაზმულ იდამიანს ყუავილოვან მინდგრებში ნა-
ვარდს უჯობს მღვამეში ჯდომა, რადგან მარტო

ყოფნა მკოვანს აჯაბუყებს; ჳეუიანი თავს არი-
დებს ჩხებსა და შფოთს... ასეთი მსჯელობის
კვლავ პოეტის გოდება მოყვებუ იქნეს: „გაყოყრომ
უმეცრება კეთილსა გმობს, ავსა ეწუობა, სწავლის
მრუდად იყენებს; საუნისეველად სურნელოვანის
ნაცვლად არა სასიამოვნოს (კვამლს) ირჩევს...
ბნელის მანათობელ ლამპარს ჳარივით აქრობს.

უმეცრებამ, ე. ი. სიმართლის გამოუძიებლო-
ბამ იმსხვერპლა გიორგი ბატონიშვილი, მთხრებ-
ლში გაატარებინა სიჭაბუკის საუკეთესო წლები.
მისი პეუიხის ერთერთი ძირითადი მოტივოვან-
ესეცაა.

C ხელნაწერში, როგორც დავინახეთ, საკმაოდ
მოაბოვება გიორგი ბაგრატიონის ლექსები. ამ
კრებულში სულ 16 ლექსია შეტანილი. ამათგან
5 ვეუთენის ბესიკს, ერთი—თეიმურაზ II-ს.
ილხანიშნავია ისიც, რომ სხვათა ლექსები (ბესი-
კისა და თეიმურაზ II-ისა) რიგის მიხედვით
ბოლოშია მოქცეული და არ არის შერეული გი-
ორგი ბაგრატიონის ლექსებში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადამწერს ხელთ
ჳიონია გიორგი ბატონიშვილის ლექსების რვეულ-
ლი, გადაწერილია ისინი მიყოფიებით და შემდეგ
მიუძღვრება ბესიკისა და თეიმურაზ II-ის
ლექსები.

C ხელნაწერში მოთავსებული ლექსების გან-
ლაგება ისეთია: დასაწყისში შეტანილია აეტო-
რის დაუსახელებლად 10 ლექსი, მეთერთმეტე
ლექსს უწერია: „თქმული ბესარიონის, გაბათინის
ძისგან... ათინად ბრძენთა ვაზრდილი“, ამას
მოჰყვება თეიმურაზ II-ის „ხილთა ქება“. (აეტო-
რი არც აქ არის დასახელებული), შემდეგ ბესი-
კის ოთხტაეპიანი ანანთქება „არს ბრძენ
ხილით“... კვლავ აეტორის დაუსახელებლად: ამის
შემდეგ კვლავ ჩნდება აეტორი „ბესარიონისაგან
თქმული დედაფალ ანაზუდ“, კვლავ „ბესარიონ-
ისაგან თქმული — სევდის პაღს შეველ“ და
„ტყვმლოთა ისარნი“.

C ხელნაწერის უბრალო ქაღალდის კანს ზე-
ვიდან აწერია: „ბესიკის (?) ლექსები“. ბესიკის
ერთერთი გამომცემელი პოეტ. აღ. ბარამიძე
ამასთან დაკავშირებით წერს: „ვისაც უნდა ვეუ-
თენოდეს ტექსტში ჩართული კითხვითი და გაყ-
ვირებების ნიშნები, ის უსაულოდ თავის ადგილ-
ზეა. უკვე ეს გორგამეცე აღნიშნა, რომ კრებულ-
ში მოთავსებული ერთი ლექსი ბესიკის ქე-
ბას წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთი ლექსი
ბესიკისად არ შეიძლება ჩათვალოს და აეტო-
რებიც კარგად ცნობილია (მაგ. „ხილთა ქებისა“).
ლექსების უმრავლესობა ეი უსათუოდ ბესიკისად
უნდა მივიჩნიოთ“¹.

მაშასადამე, ამ რვეულის (S: 1088) ბესიკის
ლექსების რვეულად ჩათვლას უშთაყვარებლად ეწი-
ნააღმდეგება თეიმურაზ II-ის „ხილთა ქება“ და

¹ იხ. ბესიკის თხზულებათა დასახელებულ
გამოცემა, გვ. 178.

„ბესიკის ქება“; მართლაც, ბესიკი ზომ ვერ აქეზდა თავის თავს?

„ბესიკის ქება“ გიორგი ზაგრატიონისა და ეს სრულიად გასაგებია, აგრეთვე, გასაგებია ისიც, რომ გიორგი ზაგრატიონი განიცდის ბესიკის გულწინას; მისი ლექსები წიგნმწაკრეობა ბესიკისა და ამიტომ ზოგიერთი მათგანი შევიდა კიდევ მისი ნაწერების გამოცემაში, თუმცა, გამოცემულ სიტყვების გამო, არა ძირითადად, არამედ „სადაო“ განყოფილებაში.

ჩვენ ვეცით, რომ ბესიკი იმერეთის სამეფო კარზე მოღვაწეობდა; 1779 წელს იგი იგზავნებოდა სპარსეთში საგანგებო დავალებით სოლომონ I-საგან, ბესიკი პირველი კაცია და პირველი მრჩეველი იყო დავით მეფისაც, ასე რომ პატარა გოგონა ბესიკი ჯერ პაპის სიციოტელში ეყოლებოდა ნახელი, შემდეგ კი ყრბობაში დავით მეფის სასახლეში.

რეპეტილია, ქართლში უკვე სახელმწიფოებრივ მგონად იმერეთშიაც მოაპოვებდა სიყვარულსა და პოპულარობას თავისი ლექსების მომხიბლავი ხმებით, მუსიკალობით.

პოეტური განწყობილების ყრბისა და შემდეგ პოეტურ პატივსაცემის მუდამ მისი სახელი იქნებოდა ზაგრატიონი და სახელმწიფო მოღვაწე „მეღვწესობაში“.

„ბესიკის ქება“ დღესათვის ცნობილია მხოლოდ C ხელნაწერით. იგი ნაკლებია, მას აქვს დასაწყისი, სამი სალესო სტრიქონი, უკეთ, ამ ხელნაწერის დაზიანების გამო იგი არ იკითხება. შორეუ გვერდზე კი გადატანილია სტროფის შერთვებ ტყეში, რასაც მოწიბობს წინ დართული „და“ და მომდევნო სტროფისაგან განსხვავებული რითმა.

„და რა ვაჟო ბესარიონი, მე თავსა მეცეს ხმალები საწყალსა ბესარიონისა კვლავ ვთქუა სიტყვა მკლავლისა, მიჯნურობითა დამწვარი ცეცხლთა გულ-მონაგვლელისა, აშულსა მართებს ხმობანი, ბულბულთა ყვდანი ყელისა... ანდა „ვაქთ სარიონ, ის ბესარიონ, კუთთ მყარიონ, ყოვლმა ხმობელმა რიტორი ნი ხმანი, ჩვენთვის საკმანი, კეთილ კახმანი“

დასწერა იმან ბარათ შრომებელმა, და ვიწყით ქებანი, მისნი მკობანი, ჯერ გვიჩინს ხლებანი, შოველით ყოფნა შევამკობანი“...

ამ ლექსის ავტორი ბესიკს „მეღვწესობაში“ უწოდებს და მის პანაგებს რუსთაველისადმი აძლავს.

რუსთაველისაგან ხმატყვილობით არ აკლებდა არც ერთ გვარებს,

საყვარელთან მუდამ ყოფნა კაცსა მტად/ გააწვარებს, და მათის წერის გამო, რათ იქნებოდა შესამგარებს“.

თუ უკანასკნელ ორ ტაქსს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, გიორგიზე კარგად ვის ეცოდინებოდა იმერეთა მეფის სასახლეში მყოფი მდივან-წიგნობრისა და უბრველესი მგონის მიჯნურობის ამბები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსი „ბესიკის ქება“-ც გიორგი ზაგრატიონის კალამს ეკუთვნის.

შეიძლება გვეთხროს: გიორგი ბატონიშვილი ზომ 13 — 14 წლისა იყო, როცა ბესიკი გარდაიცვალა, როდის და როგორ დაწერა ჯერ კიდევ ურამს ამეთი ლექსი, როგორ მისცა ბესიკის პოეტურ ნიშნს ასეთი მაღალი შეფასება.

საქმე სწორედ იმაშია, რომ „ქება ბესიკისა“ დაწერილია არა ბესიკის სიციოტელში, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკლები სტროფის უკანასკნელ ტაქსს:

„და რა ვაჟო ბესარიონი მე თავსა მეცეს ხმალები“, რისთვის უნდა ეცეს ბესიკის მეხობებს თავსა ხმალები? მხოლოდ და მხოლოდ მისი უბედურებით, კუდი ამის მოსმენით. წინა დანაკლის სამ ტაქსში ლამაზად იქნებოდა მის უფალოდ გარდაცვალებაზე. შემდეგ სტროფში ვკითხულობთ:

„საწყალსა ბესარიონისა კვლავ ვთქუა სიტყვა მკლავლისა“... მეფისაგან პატივცემული და დაფასებული, დედოფლის ურადლებით გამოყვანილი ბესიკი რისთვის იქნებოდა „საწყალა“? ასე შეედრათ ბესიკი მოგხსენებით სიკვდილის გამო, და ბოლოს: მგონის შესახებ თხრობა გადატანილია ნაყოფში:

„ბესარიონ მეღვწესობაში ქებასა გვძღვნიდა იმგვარებს, რუსთაველისაგან ხმატყვილობით არ აკლებდა არც ერთ გვარებს“... რატომ „გვძღვნიდა“? და არ „აკლებდა“? თინამედროვე მეხობებს უფრო სწორი იქნებოდა ცოცხალ ბესიკზე ვთქვა: „გვძღვნიდა“, „არ აკლებდა“. ამჟამად, როცა „ბესიკის ქება“ იწერებოდა, იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ:

„ვიწყით ქებანი, მისი მკობანი, ჯერ გვიჩინს ხლებანი“...

უნდა გავიგოთ არა როგორც მასთან ფიზიკური ხლება, არამედ როგორც ბესიკის შინაგონ-ბეღი პოეზიის ნაკვალევზე სიარული.

1 და არა გააწვარებს გ. ლეონიძე, დასახელებული შრომა გვ. 56
2 გ. ლეონიძე, დასახ. შრომა, გვ. 54.

მამსაღამე, C ზელაწერის ლექსების უმრავ-
 ლესობა ევოლუციის არა ბესიეს, არამედ მის უმ-
 ცროს თანამედროვეს, „გამოუჩინებელსა“ და
 „მაფარულ“ პოეტს გიორგი ბაგრატი-
 იონს.

ზემო განხილულ გ. ბაგრატიონის ლექსები-
 დან ბესიეს მიეწერებოდა „მე სული ჩემი ფეწ-
 ქაშად“ (გვ. 96); „ეართ კარგის მგონე, მეფის
 ასულის მზეხათუნისათვის თქმული“ (გვ. 93); ან-
 ბანთქება „აღებამ ქებად ბაგემა“ (გვ. 94 —
 95); ანბანთქება „ამბავს აფწერ აღრინდელსა“
 (გვ. 93 — 94); „მოგზორად სულსა“ (გვ. 93) და
 და „როს განგიცადე ტურთაო“ (გვ. 96), როგორც
 უკვე გამოჩვენებულა, მათი ავტორიც გ. ბაგრა-
 ტიონია.

გიორგი ბაგრატიონი საკმაოდ ძლიერი ლირი-
 კოსია. მის პიროვნებას განსაკუთრებით ავითილ-
 შობილებს თავმდაბლობა. „ხუბმარდიანის“ წინა-
 სატყუარობას ასე ამთავრებს ტყუარობაში მყოფი
 შგოსანი: „...ნუ დამგმობთ და უგვანსა ამას ლექს-
 სა ნუ სამასხრო ყოფთ, ვინა, ამას გარდაცა მითქ-
 ვამს ანბანთქებანი ახხუთმეტრ, იამბიკონი შვიდ-
 ნი და წყობილ-ჩახრუხაულნი და ტაენი მჭავაი-
 ნი და მუხამბაზიცა მრავალ, შესხმაცა ვი ს ი მ ე
 კიდე, ხოლო ესე ქვემო თქმულნი აქა-იქ მდებარ-
 ზეობს წარმოუჩინებლად; და ერთიცა მოწამისა
 აღმიწერა, აღსავალი თვითო ოხთია იამბიკო,
 წარდგომა სავალობელი და სეინაქსარი ვამოკრე-
 ფით, რომელიცა მე შესაქართვება სამარადისოდ,
 ქრისტეს აქეთ ჩუგ, თვესა იენისსა თ“.

როგორც დავინახეთ, გ. ბაგრატიონის ლექსე-
 ბი კიდევცა საძიებელი. [მითქვამს] „შესხმაცა

ვისიმე კიდევ“ — იგულისხმება ლექსები „დათ“
 წოდებულ მიჯნურზე „მზეხათუნ“ „მატონიშვილ“
 ზე, რომელიც 1803 წელს სოლომონ ჩხეიძის
 ვილით მისთხოვდა სახლთუბუცესის ზურაბ
 წერეთლის ვაჟს — სვიმონს! (მზეხათუნი მიიც-
 ვილა 1830 წ.)².

გ. ბაგრატიონის თხზულებათა შესწავლა წარ-
 ზოვეილგენს ნიჭიერ პოეტს, რომელსაც შიუღია
 საფუძელიანი განათლება, გარდა ქართული ლი-
 ტერატურულ-ეულტურული შემკვიდრების
 ცოდნისა, მისთვის უცხო არ არის ღვთისმეტყვე-
 ლება, ფილოსოფია, ასტრონომია. მან კარგად
 იცის ჩახრუხაძის, რუსთაველისა და აღარაბინე-
 ბის პერიოდის შემოქმედების აზრი, განწყობი-
 ლება და წერის ფორმა. საკუთარი უბედურები-
 სი და სიყვარულის გრძნობის გამოსახატავად
 იგი მიმართავს ძველ ქართულ მგოსანთა პოე-
 ტურ სახეებს და ალაგებს მათ თავისი განწყობი-
 ლების შესაბამისად.

გ. ბაგრატიონის ლირიული შემოქმედება იმი-
 თაცაა საინტერესო, რომ იგი შედეგაა საზოგა-
 დოებრივი ცხოვრების აშლილობისა და აშლენად
 თუ მასში, ერთი მხრით პირადი მდგომარეობისა
 და განცდების გამოსახვა გვაქვს, მეორე მხრივ,
 იგი გეხატავს სახელმწიფოს პოლიტიკურ დაქ-
 საქსულობას, რითაც ასე უჭვედ ხასიათდება ფე-
 ოდალური საქართველოს უკანასკნელი ათეული
 წლები.

¹ Hd — № 9666.

² Ad — № 813.



ქართული რევოლუციური ხალხოსნობა იმეხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში

ქართულმა რევოლუციურმა ხალხოსნობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებაში. თუ ქართული ხალხოსნობა მხატვრული ლიტერატურის შესწავლის საქმე, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანდ წინწიწეულია, ამის ვერ ვიტყვი ხალხოსნობის რევოლუციური მოძრაობისა და იდეოლოგიის ისტორიის საკითხების შესწავლის შესახებ. 1927 წელს გამოქვეყნდა პროფ. ს. ხუნდაძის ორტომიანი კაბიტალური გამოკვლევა „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, რომელიც მოიცავს ქართული ხალხოსნობის მოძრაობისა და იდეოლოგიის მეცნიერული ანალიზის ცდასაც. მაგრამ ს. ხუნდაძემ, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ხალხოსნობა, ვერ მოასწრო თავისი შრომის დასრულება და წინამარქსისტული ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის მთელი სისრულთა წარმოდგენა. უდავოა ისიც, რომ ს. ხუნდაძის მთელი რიგი მოსაზრებანი შესწორებას მოითხოვენ. მისი წიგნის გამოკვლიდან ვაჩვენო 30 წელმა და, შეიძლება ითქვას, რომ ამ წლის განმავლობაში ქართული წინამარქსისტული რევოლუციურ-დემოკრატიული ხალხოსნობის მოძრაობის შესწავლა მნიშვნელოვანდ წინ არ წაწეულა. მთელ რიგ წერილებში, ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგ სახელმძღვანელოში, ჩვენი აკადემიის მიერ გამოცემულ საქართველოს ისტორიის მავტრში ქართული რევოლუციური ხალხოსნობის, როგორც, საზოგადოდ, ქართული ხალხოსნობის ისტორია არამწიფათად არასწორად შექმნება.

ამ წერილში მინდა ვისაბეთ გვარკვიით მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ქართული ხალხოსნობის მოძრაობის ზოგი ძირითადი საკითხი, დაავადინოთ 70-იანი წლების ქართველ რევოლუციურ ხალხოსნობა სოციალ-პოლიტიკური კონცეფციები და განვსაზღვროთ მათი ისტორიული ადგილი ქართულ წინამარქსისტულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ამთავითვე საქითა რამდენიმე შენიშვნა. ჩვენი მეცნიერულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი, რომ 70-90 წლების ხალხოსნობის მოძრაობა და, საზოგადოდ, ქართული ხალხოსნობა სუსტია,

ხანმოკლე მოძრაობა იყო და მას არ დავტოვებთ ირამე მნიშვნელოვანი კვალი ჩვენს რევოლუციურსა და გონებრივ მოძრაობაში, საფუძველს მოყლებულია.

საფუძველს მოყლებულია აგრეთვე ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერების ცდა, გამოტანილ იქნეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხალხოსნობა ჩვენი განმითავისუფლებული მოძრაობის გარეთ და წარმოდგენილ იქნეს, როგორც მემამულეთა და პრივილეგიურ კლასთა ინტერესების გამოხატეული მოძრაობა. ისინი იყენებენ, რომ რევოლუციური ხალხოსნობა გლეხების ძირითადი მასების იდეოლოგიაა. არც ისაა სწორი მოსაზრება, თითქოს „ნაროდნიკობის ტერიტორიული დასაბუთება და გარკვეული იდეოლოგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბება ზღვრა 80-იან წლებში“¹. ვისაც დაკვირვებით შეესწავლია ქართული მხატვრული ლიტერატურა და მეცნიერულ-ლიტერატურული წყაროები, მისთვის არ იქნება საუკვო, რომ უკვე 70-იან წლებში ხალხოსნობა წარმოადგენს ქართული მხატვრული ლიტერატურის თვალსაზრისით დაქტს და აზრის ერთ ძირითად მიმართულებათაგანს. როგორც რევოლუციამდელ, ისე მის შემდგომ ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში გაბატონებულად შეიძლება ჩიითვალოს აზრი, რომ ქართული ხალხოსნობა მთლიანად რუსული ხალხოსნობის ასლს წარმოადგენდა, რომ ქართული ხალხოსნობა მხოლოდ და მხოლოდ რუსული ხალხოსნობის გავლენით და მიმაძეუთ ჩამოყალიბდა. ამ არასწორი მოსაზრებათა ერთი წყაროთაგანი არჩილ ჯორჯაძეა და მას განუწვევებლივ იმეორებენ დღემდე ჩვენი მეცნიერები, ვინც გაკერით თუ სპეციალურად შეეხება ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხებს.

ამ დებულებათა შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ჯერ-ერთი, ხალხოსნობა, როგორც იდეოლოგია და მოძრაობა, არა მარტო რუსული, არამედ საერთაშორისო მოვლენაა. მეორედ, უდავოა რუსული ხალხოსნობის გავლენა ქართულზე. ქართული ხალხოსნობა გარკვეული აზრით, რუსული ნაროდნიკობის პირმშობა, მაგრამ

1 დ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 68, 1956 წ.

არ არის დასაფიქრებელი ის გარემოება, რომ ყოველგვარი იდეოლოგიის მათორნიზებული წყარო, საფუძველი ქვეყნის იდეოლოგიური ბრძოლებისა აგრეთვე იდეოლოგიური მოვლენებისა არის მშობლიური ქვეყნის ეკონომიური ბაზისი, ქვეყნის ეკონომიკა და ამით განპირობებული კლასობრივი ბრძოლები. ზოგიერთები იფიქრებენ, რომ უცხო ქვეყანაში წარმოშობილი იდეოლოგია გავლენის შიშინ ახდენს სხვა ქვეყნების გონებრივ მოძრაობაზე, როდესაც საამისო ეკონომიურ-პოლიტიკური, კლასობრივი პირობები არსებობს ამ ქვეყანაში.

ამრიგად, ქართული ხალხოსნობის მათორნიზებული წყარო, მასზე რუსული ხალხოსნობისა და სხვა იდეოლოგიურ ფაქტორთა გავლენის წყარო ქართული ისტორიული ვითარებაა. და თუ ლაპარაკია გავლენაზე, მას იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ ამ გავლენის საფუძველები არსებობდა თვით ქართულ სინამდვილეში. ქართული ხალხოსნობა რუსული ხალხოსნობის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად შოკიავს სპეციფიკურ ერთნებულ თვისებებს, და ეს იმიტომ, რომ მამინდელ ქართულ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო რუსულ ისტორიულ ვითარებასთან და ბევრი რამ სპეციფიკურიც.

ჩვენი შენივრულ ლიტერატურაში იშვიათი როდია შემოხვევა, როცა ქართული ხალხოსნობა წარმოადგენილია, როგორც ერთი მთლიანი მიმართულება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრისა. ზმირად არ არის განსხვავებული რევოლუციური ხალხოსნობა ლიბერალურისაგან. მეორე მხრივ, არ არის შეზნეული ცალკე მიმდინარეობაში თვით რევოლუციური ხალხოსნობის შგნით. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ხალხოსნობა, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მიმართულება, წარმოადგენს ქართული საზოგადოებრივი აზრის არა ერთ მთლიან, არამედ მამდინარეობებად დაშლილ მიმართულებას. ეს განსაკუთრებით იტქმის რევოლუციური ხალხოსნობაზე. მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ჩვენ უდავოდ საქმე გვაქვს საქართველოში რევოლუციური მოძრაობის, კერძოდ, რევოლუციური ხალხოსნობის აღმავლობასთან. ამ აღმავლობის უმთავრესი საფუძველებია: გლეხთა ბრძოლების გაშფიცება ჩვენში მიწისა და თავისუფლებისათვის, ქვეყანაში ახალი რევოლუციურია სიტუაციის შექმნა; რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა ევროპულ რუსეთის სატახტო ქალაქებში; რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა დასავლეთ ევროპაში.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას 70-იან წლებში იწვევდა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობა, ევროპაში კლასობრივი ბრძოლების გაშფიცება ზურთუზიასა და პროლეტარიატს შორის, პარიზის კომუნა და მასთან დაკავშირებული ფაქტები.

„სად ვიქნებოდით ჩვენ ახლა, — შენიშნავდა ლენინი, — რომ... საფრანკეთის მუშათა პოლიტიკური ბრძოლის შავალითებით არ გვესარგებნა და ის კოლოსალური ზიბგი არ მიგველა, რომ შევლა განსაკუთრებით პარიზის კომუნამ მოგვცა“¹.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მოწინავე ინტელიგენცია ფართოდ იყო დაკავშირებული ევროპულ რევოლუციურ მოძრაობასთან, იგი ვაფიციკებთ იდევენება თვალყურის პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობას, პარიზის კომუნის მსვლელობას, ზოლო მის ცალკეულ წარმოამდგენლებს შესადგებლობა ჰქონდათ არათუ თვალს ედევნებინათ მოწინავე რევოლუციურ-სოციალისტური, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისათვის ევროპაში, არამედ თვით ყოფილიყვნენ მონაწილენი როგორც პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობისა, ისე პარიზის კომუნის ბრძოლებისა. ასეთი კავშირისა და ფართო ინფორმაციის პირობებში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ევროპაში არ შეიძლება არ ყოფილიყო ზიბგი ქართული გონებრივი მოძრაობებისა. „საფრანკეთში რესპუბლიკის დაშვება, — წერდა გამორჩენილი მოღვაწე რუსული და ქართული რევოლუციური ხალხოსნობისა ი. ჯაბადარი, — კომუნისტების აჯანყება პარიზში და ერთსა და იმავე დროს ნეჩაევის პროცესი რუსეთში ჩვენ გვაღელვებდნენ. ჩვენ ატრემლებულები ვლამარკავოდით პარიზის დრამის შესახებ“².

ამისთანავე, არა მარტო ერთმა, არამედ პირობების მთელმა კომპლექსმა გამოიწვია საქართველოში 70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება და აღმავლობა. ამ აღმავლობას მოჰყვა საქართველოში რევოლუციური ხალხოსნობის პარტიის ჩამოყალიბება და მეფის ხელისუფლებისა და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია.

როგორია პირველი ქართული რევოლუციური ხალხოსნობის პარტიის სოციალ-დემოკრატიული პროგრამა და ამ პარტიის სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი? რა ისტორიულ ტენდენციის გამომხატვენი თავისი მოღვაწეობით 70 წ. წ. ხალხოსნები, რაში მდგომარეობს ამ მოძრაობის პროგრესულობა ან რა რეაქციულ მომენტებს შეიცავს მათი სოციალური კონცეფციები?

ჩვენ მერ პირველადი საარქივო მასალების შესწავლა ცხადყო, რომ საფუძველს შეკლებულია ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის მტკიცება, თითქოს პირველი ხალხოსნობის პარტია საქართველოში 80-იან წლებში ჩაისახა და ამ პარტიის ორგანიზაციის იყო. რაც შეეხება მტკიცებას რომ 70-იან წლების ქართული ხალხოსნობის მოძრაობა ამ ვასცილებითი წრეობანს ფარგლებს

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 463—464.
² ი. ჯაბადარი, „Процесс 50-ти“, თურს. „Былое“ № 8/20, 1907 წ. გვ. 7.

და რომ ეს მოძრაობა შემოიფარგლა უმოთაგრესად გორის ბაზრით და იგი მშვიდობიან, „კულტურულ-ტერაფიკულ“ ხასიათს ატარებდა, არაა სწორი. ხალხსონური მოძრაობა ჩვენში ძლიერდება მეტწილად საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, მისი აღმავლობა იწყება 1873 წლიდან. 1873 — 1875 წლამდე საქართველოში მრავლად წარმოიშვის სხვადასხვა ხალხსონური წრეები, რომლებიც ატარებენ არა თვითგანვითარების ხასიათს, როგორც ამას, უმოთაგრესად, ავღილი ჰქონდა 60-იან წლებში წარმოშობილ ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის წრეებში, არამედ ისინი მიზნად ისახევენ რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაციის ცარიზმისა და შემამულეების წინააღმდეგ, მიზნად ისახევენ მათ დამპყობსა და „სოციალიზმის“ დამყარებას.

როგორც სათანადო საარქივო და სხვა მეცნიერულ-ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, 1873 წლის შემდგომ ქართული რევოლუციური ხალხსონობა ცდილობს გამოვიდეს წრებობიანს არცა, მიიღოს ფორმა ფართო, ზეულ საქართველოში განფენილი ერთმანეთთან დაკავშირებული ხალხსონური წრეებისა ერთი ხელმძღვანელი ცენტრით, რომელიც (ამ ცენტრის საშუალებით) შეიძლება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კავკასიისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობასთან, რუს ხალხსონებთან, და მართლაც, 1875 წლისათვის საქართველოში უკვე არის პირველი დიდი არალეგალური, რევოლუციურ-ხალხსონური ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მაშინდელ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად განფენილ რევოლუციურ-ხალხსონურ წრეთა ერთმანეთს. მის ხელმძღვანელ ცენტრს ქმნიდა თავისი ბრძოლის მიზანი, პროგრამა და ჩამოყალიბებული ტაქტიკა, ამ დიდი არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის კვალს მეფის ხელისუფლებამ მიიკვლი, ორგანიზაციაში მის მკაცრად გაემუშება, რომელთაგან მთავარი იყო, ენდამბერის ცნობილი აგენტი ი. ოსელიანი. იგი დაკავშირებული იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ცენტრთან და ორგანიზაციის თვალსაზრისით წყვეტთან, ი. ოსელიანი ითვლებოდა ორგანიზაციის წევრად. ის უმოთაგრესად, როგორც ეს სათანადო მასალებიდან ჩანს, ხალხსონური ცენტრის მიერ გამოიზრული იყო კავშირის დასამყარებლად ცალკე წრეებსა და ხელმძღვანელთა შორის, იყო ხელმძღვანელთა არალეგალური მიმოფრენის დამატარებელი და არალეგალური შეხვედრებისა და თათბირების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფელი, ამ მდგომარეობის გამო ორგანიზაციაში ის შეღატაკებით ფართოდ იყო ინფორმირებული ხალხსონური მოძრაობის შესახებ, იცნობდა მოძრაობის მთავარ ხელმძღვანელებს და მის განკარგულებაში იყო ორგანიზაციის მთელი რიგი დოკუმენტები. ის სისტემატურად აწვდიდა ხელისუფლების ორგანოებს (1876 წლიდან) დაწერილებითი ცნობებს ხალხსონური მოძრაობის წყ-

სახებ და ხელში უვლებდა მათ ორგანიზაციის მიმოფრენას, ხელისუფლების სათანადო ორგანოებში ვერ მშვილად აღივებდნენ თვალყურს ხელხსონურ მოძრაობას, კრეფდნენ მასალებს, არ უშლიდნენ ხელს ორგანიზაციის, მოეწყობათ ყრლობა და გავსალათ მუშაობა იმ მიზნით, რომ უფრო მეტად ინფორმირებული ყოფილიყვნენ ორგანიზაციის მიზნებისა და ტაქტიკის საქმეში და ხელთ ჰქონოდათ ორგანიზაციის სრული პერსონალური შემადგენლობა. მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის მოახლოებისთან დაკავშირებით თვალყურის დევნების პოლიტიკა შეიცვალა მშვიდ რეპრესიების პოლიტიკით ორგანიზაციის წინააღმდეგ. 1876 წლის შემოდგომიდან (ოქტომბრიდან) დაიწყო ეს რეპრესიები და 1877 წლის გაზაფხულისათვის (მარტი) ენდამბერის მიერ არალეგალური რევოლუციური ხალხსონური ორგანიზაცია უკვე დაბრუნებული იყო, მისი თითქმის ყველა მთავარი და შენიშნული მოღვაწე — დაბატონებული. მიუხედავად ცდისა, მეფის ორგანოებმა ვერ მოახერხეს მთლიანად გაეცხსნათ ორგანიზაცია. რევოლუციურ-ხალხსონური წრეები რამდენიმე ასეულ კაცს ითვლიდა, როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, ხოლო „დანამულებრივი პროპაგანდისათვის“ მახუხს-გებაში მიცემული იყო 82 კაცი¹.

1877 წლის პეტერბურგს „50“-ის და „193“-ის პროცესის შემდეგ მეფის ხელისუფლებისათვის ცხადი იყო, რომ ის ვერ წავიდიდა პოლიტიკურ დამნაშავეთა დიდი გასამართლების გზით და ამიტომ დაბატონებულ რევოლუციურ ხალხსონობა დიდი ნაწილი 1877 წლის შემოდგომისათვის აღმინისტრაციული წესით გადასახლებული იქნენ რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში. ამით დამთავრდა ქართული რევოლუციურ-ხალხსონური მოძრაობის პირველი პერიოდი (1872 — 1877), რომლის შემდგომ ქართული რევოლუციური ხალხსონობა ახალ ფორმებს იღებს (ისახება ახალ რევოლუციურ-ხალხსონური მიმდინარეობის). ჩვენი მკვლევარები ფიქრობენ, რომ მეტწილად საუკუნის 70-ნი წლების რევოლუციურ-ხალხსონობა არალეგალური ორგანიზაციის დაბრუნებით დამთავრდა რევოლუციურ-ხალხსონური მოძრაობა და მან აღიზარა რევოლუციურ-ხალხსონური ხასიათი მიიღო. ამ პერიოდის არა აქვს საფუძველი. ვინც სერიოზულად შესწავლის წინამარქისტულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას ჩვენში, მისთვის ცხადი გახდება, რომ 1877 წლის შემდეგ ჩვენში უკვე არის მთელი რიგი რევოლუციურ-ხალხსონური მიმდინარეობანი და ძლიერი ქართული ნაროდნობა ვილიას ორგანიზაცია 80-იან წლებში, მათ შორის ძლიერი ნაროდოვოლუტრია სამხედრო ორგანიზაცია. მხოლოდ 1890 წლებში ხდება ხალხსონობაში ლიბერალური ხალხსონობა მთავარ მიმდინარეობად, რომლის წინააღმდეგ

¹ ი. ბ. საქ. სსრ-ის სია, ფ. 7 (ანაწ.), საქ. 7 ბ. 2506, ფ. ფ. 217 — 222, 1876 წ.

ქართველი მარქსისტების პირველი თაობა მივიღო ათი წლის მანძილზე აწარმოებს გააფთხებულ ბრძოლებს და გზას უკადვავს ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში რევოლუციურ მარქსიზმს.

არსებობს აზრი, რომ ქართულ რევოლუციურ ხალხოსნობაში იყო ელემენტები სეპარატიზმისა და ნაციონალისმისა. ეს აზრი, გამოთქმული ავტორიტეტულ საბჭოთა მეცნიერულ წრეებში, საფუძველს მოკლებულია. ქართულ რევოლუციურ ხალხოსნობა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი განმათავისუფლებელ მოძრაობაში იღვწენ ინტერნაციონალურ პოზიციებზე და ქართულ ხალხს განთავისუფლება ნაციონალური ჩაგვრებიდან, მათი სამართლიანი აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთობისა და შემამსუფთოებელი იდეების გზით, ექსპლუატატორულ ურთიერთობათა ლიკვიდაციის გზით, რომ ამ ამოცანის შესრულება შეიძლება განმათავისუფლებელ მოძრაობაში არა სეპარატიზმის საშუალებით, არამედ უდავლად შემჭიდროების, რუსეთის იმპერიის ხალხთა რევოლუციონერების ერთობლივი ბრძოლის გზით, რუსეთის ერთდროული გლეხური რევოლუციის გზით. „არც ერთი ჩემი თანამემამულე — წერილი გამოხენილი ხალხოსანი ი. ჯაბაძის 70-იანი წლების ქართულ ხალხოსნების შესახებ, — სეპარატიზმზე არ ფიქრობდა. ის იღვწოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სოციალური რევოლუციის გამარჯვებისათვის, დარწმუნებული იმაში, რომ ის მისცემს თავისუფლებას რუსეთის ხალხებს და, ამრიგად, ჩვენ, ქართველებსაც“¹. მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ქართველი ხალხოსნები თავის ორგანიზაციის თვლიდნენ რუსულ რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებულ მოძრაობად, მის ნაწილად, რომელსაც უნდა ჰქონოდა ამ მოძრაობასთან შეთანხმებული მოქმედების ხაზი და მისი სწრაფობა, ჰქონოდათ მტკიცე კავშირი და ფართო ინფორმაცია და ხელმძღვანელობა რუსეთის რევოლუციური ცენტრებიდან. მათ კი დედაქმონდად ასეთი კავშირი მოსკოვის, პეტერბურგის, საზღვარგარეთის რუსულ რევოლუციურ ცენტრებთან, „Бирюза“-ის რედაქციასთან და სხვა. თავის მხრივ, „მოსკოველი“ ხალხოსნური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქართველი ხალხოსნები, „50 პროცენტს“ გამოხენილი მონაწილეები ცდილობდნენ გამოეყვანათ ხალხოსნური მოძრაობა წრებიდან საფეხურიდან და შეეჭმნათ რუსეთის ერთიანი რევოლუციური ხალხოსნური არაღვალური ორგანიზაცია გლეხური რევოლუციის მოსამზადებლად. ესაი მათი ისტორიული დამსახურება მაშინდელ რევოლუციურ მოძრაობის წინაშე, მათ მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი რევოლუციურ მოძრაობაში. რასაკვირველია, არავითარ სეპარატიზმზე და ნაციო-

ნალიზმზე ამგვარი ფაქტების არსებობის დროს არ შეიძლება ლაპარაკი, როგორც სათანადო წყაროებიდან ირკვევა, ხალხოსნური სეპარატიზმის ტული ორგანიზაციის ცენტრსა და ქართველ ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებს წარმოადგენენ ე. იოსელიანი რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე პეტერბურგში, მ.ხ. ყიფიანი და ი. ჭიჭიბაძე, „მოსკოველი“ მოძრაობის აქტიური მონაწილე, რუსეთიდან ქართულ ხალხოსნებს ხელმძღვანელობისა და დახმარების უწყვედნენ რუსი ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელები — ი. ჯაბაძე, ა. ციციშვილი, გამყარებადი, ჩიკოტიძე, გ. ზანდუგიანი-მაიაშვილი (ბუნტარული) ტატიკის მიმხრე. ქართულ მოძრაობაში ხელმძღვანელებს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ან არიან ხალხოსნობის იდეოლოგები — ა. ფურცელაძე, ს. შვალაბლიშვილი, დ. კეხელი, შ. დავითაშვილი, სტ. ქრელაშვილი, ალ. ნანუაშვილი, გ. უთურგაძე, ხედავოვიჩი, ფავლენიშვილი, ლ. აბდუშელიშვილი, ვ. გობინიძე, პ. გამბრეაძე, ვ. სამადაშვილი, ვ. დვანიშვილი, ა. ზაქარაძე, ანჯაფორიძე, ა. მაყაშვილი, ლ. ჩერქეზიშვილი, თ. მაყაშვილი, ელენე ვიფიანი (დ. ყიფიანის ქალიშვილი) ო. და ვ. საფაროვიანი, ა. ჭიჭინაძე, ჩატაშვილი, ზ. ჭვიციანი, ი. კარბელაშვილი, ლ. აბდუშელიშვილი, ა. გულისაშვილი, კ. ფურცელაძე, ა. კორძაია, ა. ჯუღელი, ნ. კანდელაკი, ა. ჭიჭიბე, თ. ლევაია, ი. ლოლა, ს. შაისურაძე და სხვ.

70-იანი წლების რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობის ტერიტორიული ცენტრებია თბილისი, გორი და ქუთაისი, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ხალხოსნური წრეები იყო და რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში და სხვ. ხალხოსნური ორგანიზაციის არსებობა არსებობდა. ეს წრეები დავითაშვილი იყვნენ ჭალაქად მუშა-ხალხოსნობის, სოფლად-გლეხობისათვის, როგორც სათანადო მასალების შესწავლამ გვიჩვენა, არ შეესაბამება სიმართლეს იმის მტკიცება, თითქმის 70-იანი წლებში საქართველოში ხალხური მოძრაობა ჩამდგენიყო კარსაყვითლი წრის არსებობით იფარვლებოდა.

საკითხავია, როგორია სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, რა კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებს ისახავენ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ხალხოსნური მოძრაობა და პირველი ქართული არაღვალური ხალხოსნური ორგანიზაცია, რომელიც ხალხოსნური პარტიის სახით მოქმედებდა 1875 — 1877 წლებში?

ჩვენ ზემოთაღნიშნული, რომ ეს მოძრაობა, როგორც ამის ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი ფიქრობს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩათვალოს კულტურტრევერულ მოძრაობად. რომელიც მიზნად ისახავს აწარმოოს ხანგრძლივი პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა ინტელიგენციასა და გლეხობაში და რომლის მონაწილე ხალხოსნები თითქმის მიზნად ისახვდნენ ხანგრ-

1 ი. ჯაბაძის, დის. შრომა, ფურ. „Былое“, 1907 წ., № 8, გვ. 2.
9. „მნათობა“, №3.

ქლეი და შვიდობიანი არაღვეალური სოციალისტური პროპაგანდის გზით დერაზმით გლახობა მასები ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ.

არ შეიძლება, იტყვიან, როგორც განსვენებული ს. ხენდამე ფიქრობდა, რომ 70-იანი წლების ქართული ხალხისური მოძრაობა ლაქვისტულ მოძრაობად ჩავთვალოთ. მოაგრობის ოფიციალურ მასალებში ჰამინდელი ხალხისური ორგანიზაცია, რომლის ჩამოყალიბების თარიღად ცნობილია ამავე ოფიციალურ დოკუმენტებში 1875 წელი, იწოდება სოციალურ-რევოლუციური პროპაგანდისტულ ორგანიზაციად. მოძრაობის შესახებ საარქივო და სხვა პირველადი წყაროების ანალიზის შედეგად ჩვენ მივიღეთ დსკვნად, რომ 1875 — 1877 წწ. მოქმედი პირველი არაღვეალური ხალხისური ორგანიზაცია მართლაც არის სოციალურ-რევოლუციური პროპაგანდისტულ ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ცარიზმისა და მსხვილმემამულურ მიწათმფლობელობის დამსხვრევას გლეხური რევოლუციის ჰამინდების გზით. გლეხური რევოლუციის მომზადების ძირითად მეთოდად ხალხისური სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია თვლიდა არაღვეალურ პროპაგანდის ინტელიჯენციასა და გლეხობის მართალია, ხალხისური სოციალურ-რევოლუციური პროპაგანდისტული ორგანიზაციის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის შესახებ ჩვენ პირველად დოკუმენტურად მონაცემების სიუხვესთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ არსებული მონაცემებიდან, როგორცაა საარქივო მასალები, მოძრაობის მინაწილეთა შემთავრული ლიტერატურა ხალხისანი პროპაგანდისტთა პუბლიცისტთა, ნათლად ჩანს შემდეგი პოლიტიკური ამოცანის შესახებ ორგანიზაციის წევრთა შორის არ არსებობდა უთანხმოება, იტყვიან, რომ ხალხისანი პროპაგანდისტები პოლიტიკურად იყვნენ, მათ ეთანხმებოდა ქონდათ სოციალური განათავსებლობის საკითხი პოლიტიკური ბრძოლებისაგან, ისინი ისახავდნენ ერთ პოლიტიკურ ამოცანას — აგმადრებნიანთ გლეხობა ცარიზმის დასაშლად, დაემსხვრეათ არსებულ სახელმწიფოებრივი მანქანა, ლიკვიდაცია ყველა არმიისა და იძულების სხვა ორგანიზაციებისთვის, ვაწინაღობებნიანთ უმადლესი ჩინოვნიკობა და სამეფო გვარეულობა და ამით ვინა გაეხსნათ სოციალიზმისაკენ. რაც შეეხება ორგანიზაციის დემოკრატიული პროგრამის, მისი შინაგან ორითვად ხატუთა შეიძლება დასახილდეს ასე: მსხვილი მემამულური მიწათმფლობელების დამსხვრევა, მიწის სავითო-სახალხო კეთილდობად გადაქცევა და გვიანდობებით მიწათსარგებლობის დარწმუნება, რომელიც ხალხისანებს სოციალიზმად ქონდათ წარმოდგენილი. სხვათაშორის, ამათვე დასკვნად ვე მივიღებნენ მეფის საგანძობისთვის და სამოსახარალო ორგანიზება მათ განკარგულებაში ყველა მასალების შესწავლის საფუძველზე ხალხისანი პროპაგანდისტთა პოლიტიკური და დემოკრატიული პროგრამის შესახებ. გამოდიოდნენ რა მიწათსარგებლობის გათანაბრების იდეის მომხრედ, ხალხისანი პროპაგანდისტები ფიქრობდნენ, რომ პროპაგანდის და თანამშრომლობისათვის იყო ბრძოლა არა მარტო ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, არამედ სოციალიზმისათვის, — როგორც ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების თავიდან აცილება. ხალხისანები ფიქრობდნენ, რომ, თუკი მიწა გამოცხადდებოდა სავითო-სახალხო კეთილდობად, საქმე გვექნება მიწათსარგებლობაში გათანაბრების, თანამშრომლობის პრინციპის გატარებისათვის, ამით აღიკვეთებოდა ყოველგვარი ექსპლოატატორული ურთიერთობა და შეუძლებელი იქნებოდა მომავალში მათი წარმოშობა. მათთვის მიწების სხვა-ნაირად გადაქცევა, მიწათსარგებლობაში გათანაბრების პრინციპის გატარება ნიშნავდა სოციალისტური საწყისების განხორციელებას, სოციალიზმში გადასვლას. ეს მოწმობს იმას, რომ მათ, როგორც თეორიტიკოსებს, არ ესმოდათ გათანაბრებით მიწათსარგებლობის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, კაპიტალიზმთან, მეორე მხრივ, სოციალიზმთან. მათ არ ესმოდათ, რომ გათანაბრებით მიწათსარგებლობა თავისთავად არ ქნინდა პირიუბებს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, არ ესმოდათ, რომ ეს მოთხოვნები რევოლუციური-პროგრესული იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა თვალსაზრისით, უტოპური, რეაქციული სოციალიზმის თვალსაზრისით. მათ არ ესმოდათ, რომ „იქნება თუ არ იქნება მიწა მთელი ქვეყნის, მთელი ხალხის საკუთრება არ ეკუთვნისა“, ამით არ იცულებს მიწის მეტონობის სასტემა“², რომ „მიწათმოქმედების პროდუქტებისა და წარმოების საშუალებათა გაცემა-გამოცემა სრულიად არ არის დამოკიდებული მიწათმფლობელობის ფორმაზე“³.

მიუხედავად ამ იდეური კვანძისა, რომელშიაც ვახველო იყო ხალხისანი პროპაგანდისტთა ეს მოთხოვნები — მემამულეთა მსხვილი მემამულურ-მფლობელობის განადგურება, მიწის გამოცხადება ხალხის კეთილდობად, ბრძოლა გათანაბრებით მიწათსარგებლობისათვის — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, სწორედ ძალითა თვისუფალი განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით იყო უდარესად რევოლუციური-პროგრესული. მართალია, ამის მოთხოვნებს ქონდა ერთი მხელი და არა იქნა, როგორც ფიქრობდნენ ხალხისანები, მაგრამ ყოველივე ეს იყო მინიმუმ ბატონობის ნაშთთა ურყედაციის საქმეში. სწორედ ამიტომ იყო უდარესად გამართლებული ბრძოლა ამ

¹ ივ. ხაქ. სსრბის ცისა, ფ. 36, ხაქ. 15, 1876 წ. და სხვ.

² ლენინი, ტ. 15, გვ. 151.

³ ლენინი, იქვე.

პრინციპებისათვის. ამიტომ იყო ხალხსან-პრო-პაგანდისტთა ეკონომიური პროტარმა რადიკალური, რევოლუციური-დემოკრატიული და მათი მოძრაობა რევოლუციურ-პროგრესული. მიწათმფლობელობის შესაყენებრივი ნაგვისაგან გაქმნდის რევოლუციურ ხალხსანთა ვარიანტი იყო კაპიტალიზმისათვის გზის ისეთი გაქმნა, რომელიც უზრუნველყოფდა საწარმოო ძალთა აქტიურულ განვითარებას და მახვილს სცემდა აგრესულ ურთიერთობებში ახიურ ბარბაროსობას. მაგრამ ეკონომიური მოთხოვნების ამ რევოლუციურ-ისტორიულ მხარეს ვერ ხედავდნენ თვით მისი ავტორები.

„ველა ნაროდების შეცდომა ის არის, რომ ისინი, წერილი მეურნის წინა თვალთახედვით შეზღუდულნი, ვერ ხედავენ ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის ბურჟუაზიულობას, რომელშიც შედის გლეხი ბატონებრივი ბოკილებსაგან განთავსებულების შემდეგ. ისინი წერილ-ბურჟუაზიული მიწათმკვებების „შრომის საწყისს“ და „გათანაბრებლობას“, როგორც ბატონებრივი ლატიფუნდიების განადგურებას ლოზუნგს, აქცივენ აბსოლუტურ, თვითმარჩავედ, რაც ნიშნავს განსაკუთრებულ, არაბურჟუაზიულ, წყობილებას¹. ასეთი იყო ქართველ ხალხსან პროპაგანდისტთა წარმომადგენელნიც, მათი შეცდომა. მეორე მხრივ, ზოგიერთი ჩვენი საბჭოთა მკვლევარის და ზოგიერთი მარქსისტის შეცდომა წარსულში იმაში მდგომარეობს, რომ ვერ ამჩნევენ მოძრაობის ამ პროგრესულ მხარეს, ისინი ხალხსონობას რეაქციულ მოძრაობად მიიჩნევენ. მართალია, ხალხსონური თეორიები, როგორც სოციალისტური თეორიები, ნაშრობენილი და რეაქციულია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს თეორიები ძველი, ბატონებრივი არსებობის წინააღმდეგ უპირესად გაბედული ბრძოლის დროსა წარმოადგენდნენ. თანსწორების იდეა — უადრესად რევოლუციური იდეა საერთოდ აბსოლუტისმის ძველი წესწყობილების და განსაკუთრებით ძველი ბატონებრივი, მსხველმემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში².

შემორჩენილი წყაროები 70-იანი წლების რევოლუციურ ხალხსონების მოძრაობის შესახებ ნათლად გვიჩვენებენ, რომ პირველი ქართველი ხალხსონები ცარიზმისა და მემამულური მიწათმფლობელობის დანგრევის, თანსწორების იდეის განხორციელებას უპრობოდნენ გლეხური რევოლუციის საშუალებით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს რევოლუცია უნდა ყოფილიყო საერთო სარსული მსხველმის, რომ სუბატიკული ან შეუთანხმებელი გამოსვლები რუსულ რევოლუციურ მოძრაობასთან არაფრის მოქმედი არ იყო, რომ ქართველი რევოლუციური მოძრაობა უნდა ყოფილიყო მარქსისტული ნაწილი

საერთო-რუსული რევოლუციური მოძრაობისა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცარიზმის დამსხვრევა ისეთი სერიოზული საქმეა, რომ მხოლოეს ხალხსან და რევოლუციონერთა ხალხსონობის-სეთი ერთიან ფრონტს და წინააღმდეგი იყენენ ცალკე დამოუკიდებელი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციისა სუბარატივი რევოლუციური მიზნებით.

რევოლუციური ტაქტიკის თავისებურების თვალსაზრისით 70-იანი წლების ქართველი ხალხსონები განსხვავდებოდნენ როგორც ბაქუნისტ-ანარქისტებისაგან, ისე ლევისტებისა და, განსაკუთრებით, შტუქშელიზმით ტაქტიკის მომხრეთაგან. როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, ორგანიზაციის წევრთა შორის მოთხოვნიან აქტივ ანარქისტული ბუნტარული ტაქტიკის მომხრენი, იმ თვალსაზრისის მომხრენი, რომ უკიდურეს სიღრმეებამდე მიყვანილ გლეხობაში დიდი სიძულვილია მემამულეთა და ცარიზმისადმი და ამის გამო მათი ჩანს რევოლუციურ მოძრაობაში ადვილია სავსათა, მოეწეოს ცალკეული აჯანყებები, მიცემულ იქნეს საქმით მავალით, რომ დაინთოს გლეხური რევოლუციის დიდი ხანძარი, რომელიც წალკავს ცარიზმისა და ყველა უკრის ექსპლოატატორებს. მაგრამ საქართველოში არც ერთი ხალხსონური წყარო თავის უმრავლესობაში ამ ანარქისტულ-ბუნტარულ ტაქტიკაზე არ მდგარა.

70-იანი წლების ქართველი ხალხსონების სახით ბლანკისტურ-ტასივისულ ტაქტიკასა და თვალსაზრისებს აყვავდა შეურაცხველი მოწინააღმდეგე. ამის შესახებ საქმეა მასალის იტყუა გამოჩენილი რევოლუციონერთა ხალხსონის ი. აკბადაძის მოგონებანი. 70-იანი წლების ქართველ ხალხსონ რევოლუციონერებს ღრმად სწამდათ, რომ რევოლუციური მოძრაობა, აგებულია შეთქმულებით მეთოდზე, გამწირული იქნებოდა დასაღებავად, რომ მხოლოც სახალხო რევოლუციის შექმნა დემონსტრაცია ცარიზმი.

ლაკროვისა და ლავროვის მომხრეებისაგან 70-იანი წლების ჩვენი ხალხსონები იმით განსხვავდებოდნენ, რომ უარყოფდნენ რევოლუციის მომზადებასათვის ხანგრძლივი პერიოდის აუცილებლობას და ფიქრობდნენ, რომ საქარისით 2—3 წელიწადი ხალხს სელა და სოციალისტური პროპაგანდა გლეხობაში, რომ გლეხობა გაიკლნოს ხალხსონური ხელსაყვეთობით და ჩაებას რევოლუციური ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ, ისეთ ტაქტიკის საფუძვლად იყო ღრმა აწმენა, რომ გლეხობა რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა, რომ გლეხობა რევოლუციურ-სოციალისტური იყო როგორც წინააღმდეგობით, ჩვენი 70-იანი წლებს ხალხსონები რევოლუციის მომზადების ძირითად მეთოდად თვლიდნენ ხალხს ვახვლს და იქ ხალხსონური იდეების პროპაგანდას, მათი აზრით, რევოლუციურ ხალხსონობა იდეოლოგიურ მარქსისტულ ნაწილად იყენებდა თავის მიზანს გლეხობაში და ისინიც რევოლუციურ-

¹ ლენინი, ტ. 13, გვ. 289.
² ლენინი, ტ. 13, გვ. 289.

ხალხისურ ორგანიზაციის იმიტომ აწყობდნენ, რომ ხალხისური არალეგალური ორგანიზაციის ჩასდგომოდა სათავეში გლეხურ რევოლუციას. და მართლაც, როგორც სათანადო წყაროდან ჩანს, 70-იანი წლების ჩვენმა ხალხისებმა ვამაღეს მუშაობა პროპაგანდის საწარმოებად. უპირველეს ყოვლისა, საქართველოში გამოჩნულყო ხალხისური ორგანიზაციის პროპაგანდისტების გლეხთა მსახურთან დაკავშირების ფორმები და შექმნილყო პროპაგანდის იდეური და მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლები. ჩვენ აქ ვერ შევეხებთ 70-იანი წლების ქართული ხალხისური ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ მუშაობას. შევინშნავთ მხოლოდ, რომ 70-იანი წლების ხალხისურმა წრეებმა შეძლეს რუსეთიდან და ევროპიდან შემოეზიდათ დიდძალი ხალხისური რევოლუციური დემოკრატიული და წინამარქსისტული მოძიებისტური რუსული და ევროპული ლიტერატურა, უმთავრესად — რუსულ ენაზე და, აგრეთვე, მცირე რაოდენობით ევროპულ ენებზეც. ამ ლიტერატურის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიპოვებოდა არა მარტო თბილისსა და ქუთაისში, არამედ ეს ლიტერატურა აღწევდა მაშინდელ სამხრეთ ცენტრებში, დაბეჟსა და სოფლებშიც კი. აქ ჩვენ ვხვდებით ლიტერატურას პირიზის კომუნისა და პირველი ინტერნაციონალის შესაბებ, ინტერნაციონალის დოკუმენტებს, ჩერნიშევსკის ავრძალულ ნაწარმოებებს, რევოლუციურ პროკლამაციებს, გერცენისა და ოგაროვის გამოცემებს, ლაგოვის, ბაქუნინის, ტაჩევის ნაწარმებს, ევროპულ ანარქისტების ლიტერატურას. მაშინდელ რუსულ რევოლუციურ-ხალხისურ პერიოდიკს და სხვ. როგორც ირკვევა, 70-იანი წლების ქართველი ხალხისებები, რომელთაც ჩერნიშევსკის გადასახლებაში ყოფნისას დაბლა არ დაუშვიათ რევოლუციური დემოკრატიზმის დროშა, განსაკუთრებულ იყო გულისკერით ეყიდებოდნენ ჩერნიშევსკის ნაწარმებს, ჩერნიშევსკის მიანდეთ თავიანთ ბელადად. როგორც წყაროებიდან ჩანს, მარქსისტული ლიტერატურიდან ქართულ ინტელიგენციას 70-იან წლებში გავრცელებული იყო მარქსის „კაპიტალი“ მარქსის სამოქალაქო იმი საფრანგეთში და ინტერნაციონალის წესდება. „როცა პუბლიცისტში ვაქვართი, — იგონებს ა. ჯაბდარი, — მე თან წავიღე მარქსის „კაპიტალი“, წიგნი, რომელიც მე შევიყვარე და რომელსაც მე ვსწავლობდი ჯერ კიდევ 1872 წელს. მე ყოველთვის ვღებულობდი უფადეს სიამოვნებას, როცა მას ხელახლა ვითარებლობდი“¹. მართალია, 70-იანი წლების ხალხისებობისათვის მარქსიზმის მთელი რიგი ნაწარმოებები ცნობილი იყო და თვალყურს აღეწებდნენ პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობას, მაგრამ მხოლოდ მარქსიზმი ვერ გაიგეს.

70-იანი წლების ქართველი ხალხისებები ხელმძღვანელობდა და თეორეტიკოსებდა, ქართველი რევოლუციურ-დემოკრატიზმთან ერთად, რომელიც მათ ველოდალხისისა და კაპიტალიზმის კრიტიკისებად. ამ კრიტიკაში ქართველ ხალხისებობის თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა 70-იანი წლების ქართველი ხალხისებები, მატერულ ლიტერატურასა და მუშაობისტიკაში დაუპირისპირდნენ რა რევოლუციის შემდგომდროინდელ მემამულეთა იდეოლოგიებს და ქართული ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენლებს, დაამსხვრიეს მემამულური და ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის მთელი რიგი დებულებანი და თეორიები. მათ გვიჩვენებს გლეხთა რევოლუციის-შემამულური ხასიათი, გვიჩვენებს, რომ არავითარი მამამულიური ურთიერთობა არ არსებობდა ფეოდალისმის პირობებში წოდებათა შორის, მემამულესა და გლეხს შორის, რომ მემამულე ექსპლოატორი მძარცველია გლეხის, ის პარაზიტული კლასია გლეხის შრომის მიმართებელი. 70-იანი წლების ხალხისებმა გვიჩვენებს, რომ ფეოდალური ექსპლოატაციის საფუძველია მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა, რომ თვითნებობის, ძალადობისა და ჩაგვრის ფეოდალური სისტემა ბოროტია საწარმო ძალთა განვითარებისათვის და ცხველებურ მდგომარეობაში აყვების საზოგადოების მთავარ საწარმო ძალს — გლეხობას. ბურჟუაზიული დემოკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში 70-იანი წლების ქართველმა ხალხისებმა დაამსხვრიეს ბურჟუაზიული ლიბერალიზმი თეორიით, რომ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში გამოაწვევს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას, მათ ნათელყვეს, რომ კაპიტალიზმი ანტიხალხური საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაა, რომლის დამხაროთებელია ხომიდილის დავროგება ბურჟუაზიის მხარეზე, რომ გლეხობისათვის ამას ვაჩანებავს პიქეს, რომ სოციალისტური ურთიერთობებს პირობებში მშრომელთა შეუძლიათ მაღლიონ ადამიანური ცხოვრების პირობებს. 70-იანი წლების ქართველმა ხალხისებმა, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკისებაში, სწორად შენიშნეს მთელი რიგი კაპიტალისტური წინააღმდეგობანი; მათ გააყაროთიკეს ბურჟუაზიული დემოკრატია, თუმცა ვერ გაიგეს ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის ბრძოლის მნიშვნელობა სოციალისტური მოძრაობისათვის. ქართველი ხალხისებები არ ესმოდათ კაპიტალიზმის ადგილი ისტორიულ განვითარებაში. ხალხისებმა ვერ გაიგეს, რომ კაპიტალისტური განვითარება ამზადებს სუბიექტურ და მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს სოციალიზმის განსახორციელებლად, რომ კაპიტალიზმი ბადებს და რამზავს ექსპლოატორულ ურთიერთობათა წინააღმდეგ ისეთ საზოგადოებრივ ძალას (მუშათა კლასის სახით), რომელიც შესაძლებელია კაპიტალიზმისა და

რომლის მოძრაობისა და დიქტატორის სამუ-
ღებით შეიძლება გაისინას ვხა კაცობრიო-
ბამ თავისუფლებისა და კეთილდღეობის სამე-
როსაკენ. იყვენ რა რევოლუციონერები, 70-
იანი წლების ქართული ხალხსონები იმპო-
დენ იმისათვის, რომ დაეკათ ცარიზმი და მე-
ხაშულები. მათი ისტორიული დამახორება,
სხვათაშორის, იმში მდგომარებას, რომ მათ
ამოცანად დაისახეს ხალხსონ რევოლუციის სა-
შუალებით შეესრულებინათ ეს უდიდესი ისტო-
რული ამოცანა და იყვენ ამ ბრძოლის ერთი
პირველთაგანი გვირა-ორგანიზატორები. მაგრამ
მათ არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა საზოგადო-
დობრივი განვითარების პერსპექტივაზე და
ვერ შეიმუშავეს ბურჟუაზიულ-დემოკრატი-
ული რევოლუციის შეცნიერული თეორია. მათ
ვერ გააგეს, რომ რუსეთში ცარიზმზე და შემე-
ხაშულებზე გამარჯვება შეუძლებელი იყო მუშე-
თა კლასის ხელმძღვანელობის გარეშე, რომ
გლუხობა არ იყო სოციალისტური კლასი. მათ
ვერ გააგეს, რომ დემოკრატიულ რევოლუციაში
გლუხობას გამარჯვება არ შეეძლო მუშათა კლ-
სის ხელმძღვანელობის გარეშე, რომ გლუხობას
არ შეეძლო დამოუკიდებლად დარაბმული ცარ-
იზმისა და შემეხაშულებათა წინააღმდეგ, რომ მისი
იზოლირებულ მობრძობა ვერ გასცდებოდა
სტიქიურ ხაზიას და მუშათა კლასის ხელმძღვან-
ელობის გარეშე განწირული იყო. ეს ნიშნეს
იმას, რომ, მიუხედავად რევოლუციონერობისა
და ხალხის მხარეზე დგომისა, ხალხსონებს არ ეს-
მოდათ კლასების განლაგება და როლი რუსეთის-
სა და საქართველოს ისტორიულ პროცესებში.
70-იანი წლების ხალხსონები იყვენ ფეოდალიზ-
მიდან სოციალიზმში გადასვლის თეორიტიკოსე-
ბი, არაკამბატალისტური გზით განვითარების
თეორიტიკოსები, მაგრამ აქ მათი დამახორებმა
საიებით დასამშია მოხლო. დასვენ რა პრობ-
ლემა, მათ ვერ შეძლეს თავი გაერთვათ მიხთვის.

70-იანი წლების ქართული ხალხსონები რე-
ფორმისონისა და ლიბერალიზმის მტრები იყვენ
განმათავისუფლებულ მოძრაობაში. მათ არ სწე-
მდათ, რომ მეფის ხელისუფლებას ჰქონდა უნა-
რა რეფორმების გატარებისა ხალხის ინტერეს-
ების სასარგებლოდ, ისინი ფარდას ხდიდენ
ცარიზმის ანტიხალხურ პოლიტიკას. მიუხედა-
ვად ამისა, ისინი ვერ ამაღლდენ ცარიზმის
კლასობრივი ბუნების სწორ გაგებაზე. ბევრი
მკვლევარი 70-იანი წლების ხალხსონურ მოძრა-
ობას და იდეოლოგიას ბურჟუაზიულ ლიბერა-
ლიზმზე დაბლა აყენებს. ეს გაუგებრობაა. ლი-
ბერალიზმი და რევოლუციური ხალხსონობა
ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, განვითარ-
ების ისტორიული ტენდენციების გამომხატვე-
ლი არიან. რევოლუციური ხალხსონება არასოდეს
არ უფიქროს თანდათანობითი და მშვიდო-
ბიანი პროგრესის მომხრე, არ გამოსლან ცარ-
იზმთან ბურჟუაზიული მობრძობის მომხრედ.
მაშ, რაში მდგომარეობს 70-იანი წლების ხალ-

ხსონური მოძრაობის პროგრესული მხარე? იმი-
ში, რომ რევოლუციურმა ხელისუფლებამ თავის
მობრძობაში გამოხატეს გლუხობა ინტერესები,
კამბატალისტის განვითარების გლუხობა ვხა.
როგორც ცნობილია, ცარიზმის მიერ გატარე-
ხულმა გლუხობა რეფორმამ შექმნა მაქსიმუმი
პირობებისა, რომ ქვეყანა განვითარებულიყო
კამბატალისტურად შემამულური გზით. რეფორ-
მის შედეგად მიწის ძირითადი მსახურები კვლავ
დარჩა შემამულთა ხელში, შემამულური კვლავ
დარჩენ პრივილეგიურ წოდებად, მათ მიიღეს
წადებებისათვის დიდი თანხები, ლებელობდენ
წოდებრივ კრდობას და ცარიზმის ეკონომიური
ფინანსური პოლიტიკა ამკრა შემამულური
იყო. მეორე მხარე, რეფორმამ დატოვა გლუხობა
კლასი, რომელიც თავისუფალი იყო ფორმალურ-
რად გარეშე ეკონომიური იძულებისაგან, ჰქონ-
და წვრილი სწარმოთა საშუალებანი. წვრილი
მეურნე იყო გლუხობა არ იყო უზრუნველყო-
ფილი არც თავისუფლებით, არც მიწით. ასეთ
პირობებში არ შეიძლებოდა ის არ მოქმედო-
ყო კამბატალურ ურთიერთობებში შემამულესთან
შემამულე მსხვილი შემამულური მიწათმფლო-
ბელობა იყო მისი მთავარი დამახორელი და
შემამულური გლუხობა განწირული იყო
უპმძირესი ექსპლოატაციისათვის. გარდა ამისა,
გლუხობა იყო გადახმდელი წოდება, ის
იყო მთავარი წყარო მეფის რუსეთის სახელ-
მწიფო გადასახადებისა, მასზე მოდიოდა უპ-
მძირესი ტვირთი სახელმწიფო ბუჯარაგად-
სახადებისა; კაბალა და მიმეც სახელმწიფო გა-
დასახადები გლუხს ავდებდა საეკირო და საეხ-
ში კამბატალის ხელში და აუტანეს ხდიდა ში-
სი არსებობის პირობებს. ამავე დროს, გლუხობა
უფროდებრივი საქონლის მწარმოებელი ხლებო-
და და მისი როგორც საქონლის მწარმოებელი,
ხელს უშლიდა, ზღუდფილი ძველი მიწათმე-
ლების წყობა, შემორჩენილი წოდებრობა, გლუ-
ხებს, როგორც საქონლის მწარმოებელს, არ შე-
ძლებოდა არ მოეთხოვა ფეოდალიზმით გა-
ლენითლი მიწათმფლობელობის დამსხვრევა. ში-
წათმფლობელობის გამწმენდა ყოველგვარი ში-
საუკუნობრივი ნავთისაგან, მიწის განათავი-
სუფლება. გლუხს, როგორც წვრილმეურნეს, არ
შეეძლო არ ებრძოლა მეურნეობის თავისუფ-
ლად წარმოების პირობებისათვის, შემორჩენილი
წოდებრივი არტახებისა და ზღუდფების წინააღ-
მდეგ. ფეოდალური გადასახადებით შევიწროე-
ბული გლუხობა არ შეიძლებოდა არ გამოსლდი-
ყო არ გადასახადების წინააღმდეგ, არ ებრძოლა
ექსპლოატაციის წინააღმდეგ, არ მოეთხოვა მი-
წა და თავისუფლება. მისწრაფოდა რა გლუხობა
დავამსხვრია მსხვილი შემამულური მიწათმფ-
ლობელობა და მიეღო თავისუფლება, ამით ის
გამოდებოდა 70-იანი წლებში ძალად, რომლის
მოთხოვნათა განხორციელება, რომლის ინტე-
რესათა რეალიზაცია ნიშნავდა რუსეთის გამოყ-
ვანას სწრაფი ეკონომიური განვითარების გზა-

ზე, ქვეყნის საწარმოთ ძალების შემზოკველა არტაბეზიდან განთავისუფლებას. ამრიგად, რევოლუციის შემდეგ, 70-იან წლებში კვლავ ფაქტიურად კლასობრივი ინტეგრაციის შემამუღეთა და გლეხობას შორის, ორი ძირითადი ტენდენციისტირთული პროცესისა, ორი შესაძლებლობა კაპიტალიზმის განვითარებისა, განვითარებისა შემამუღური გზით და დემოკრატიული გზით ანუ, როგორც ლენინი ეწოდებდა, პრუსიული და ამერიკული გზით. შემამუღური გზით კაპიტალიზმის განვითარებისათვის იბრძოდნენ მეშაშულებები, ცარიზმი და ბურჟუაზიული მოთხოვნებიც, მიუხედავად ბურჟუაზიის ოპორტიუნისტობისა ცარიზმისა და შემამუღეთა მიმართ, წარმოადგენდნენ პრუსიული გზით ქვეყნის განვითარების ერთ ვარიანტივანს. გლეხობის ბრძოლა ობიექტურად წარმოადგენდა კაპიტალიზმის ამერიკული გზით განვითარების ტენდენციის, რევოლუციური ხალხისნების სოციალიზაციონალური პროგრამა მიმართული იყო მსხვილი შემამუღური მიწათმფლობელობისა და ცარიზმის დანერგვისაკენ. ამრიგად, რევოლუციური ხალხისნერა მოძრაობა გამობატავდა გლეხთა ინტერესებს, მათი სოციალიკონომიტიური პროგრამის განხორციელება ნიშნავდა იმ ის-

ტორიული ტენდენციის გამარჯვებას, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთისა და სსრკ-ის არტარებულ განვითარებას კაპიტალიზმის გლეხობა და ამით სოციალისტური რევოლუციის დამტარებასაც. ამ რევოლუციურ დემოკრატიზმში 70-იანი წლების ხალხისნობის პროგრესულობა და არა მათ სოციალისტურ ილუზიებში. რევოლუციურ ხალხისან პროპაგანდისტთა მოძრაობა ჩიხსახა საქართველოში ვასელი საეკუნის 70-იან წლებში. 80 წლის წინათ დარბეულ იქნეს მოძრაობა, მაგრამ მეფის ხელისუფლებამ ვერ შეძლო შეეზერებაინა განმთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. პირიქით, ისტორიამ რეინსტერული სიმტკიცით მოაწვავდა შემდგომი მისი აღმავლობა და შექმნა პირობები საქართველოშიც განვითარებულყო განმთავისუფლებელი მოძრაობის სწორი შეცნეერული თეორია მარქსიზმ-ლენინიზმის სახით და ჩვენშიაც განვითარებულყო მუშათა კლასი, როგორც ერთი რაზმთავანი რუსეთის მუშათა კლასისა და ავანგარდი განმთავისუფლებელი მოძრაობისა, ჩასახულიყო და განვითარებულყო კომუნისტური პარტია რომლის ხელმძღვანელობით წარმატებით დატვირთვინდა მშრომელი რევოლუციური მოძრაობა.



პროფ. შარვა ნათაძის



ბრძოლა ქართული კულტურის ირგვლივ

კულტურის ისტორიის პრობლემები ყოველთვის იწვევდნენ ვაცხოველებულ კამათს, მაგრამ დღევანდელ პირობებში, როდესაც ისინი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა დაპირისპირებას დაუკავშირდა, ბრძოლა გამწვავდა და მეცნიერული თანამშრომლობის ნაცვლად, კულტურული უპირატესობისათვის ბრძოლად გადაიქცა. ასეთი მიდგომა, რასაც იმდენ ზოგიერთი მეცნიერი დასავლეთში, სამსწახაროა, რადგან ეს ვერ შეუწყობს ხელს მეცნიერების წინსვლასა და ქვეყნობების გაშორებას.

ერთ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს საქმიან ცნობილი ევროპელი მეცნიერის ჯ. ვარტის მოხსენება, რომელიც მან წაბრუნა ერთ-ერთ კონგრესს დასავლეთში, და რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა რომში. მოხსენების სათაურია: „ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორია საშუალო საუკუნეებში“, კონგრესს, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია გამოჩენილ მეცნიერთ, მათ შორის ჩვენთვის ცნობილ ფრ. დელგარს, მოუსმენია ჯ. ვარტის მოხსენება და კამათიც ყოფილა მის ირგვლივ, მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ დასახელებული მოხსენება.

ავტორი გამოთქვამს მწუხარებას, რომ ევროპაში საშუალო საუკუნეებში ქართული მწერლობის შესწავლა აქამდე არ იყო ჯეროვანი ყურადღების საგანი. ამის მიზეზია, მისივე აზრით, არა მარტო ის უყურადღებობა, რასაც ბ. პეტერსმა უწოდა „სკანდალური მივიწყება დასავლეთის განსწავლელთა მიერ ქართული ლიტერატურისა“, არამედ ისიც, „რომ ქართული ნარკვევები დიდი ხნის განმავლობაში „ოგზე“ და „შეიღვე“ დაბოლოებულ მეცნიერთა მონოპოლიად იყო გადაქცეული, მათი ყურადღება, ბუნებრივია, არ იყო სპეციალურად ორიენტირებული... დასავლეთის მეცნიერებისადმი“¹.

თუ ქართული კულტურის ძეგლებისადმი უყურადღებობის ფაქტი აქ სწორად არის

აღნიშნული, გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს „ოგების“ და „შეიღვის“ მონოპოლიარუს და ქართველ მეცნიერთა დეაქონის ამგვარი შეფასება, ცხადია, კრიტიკას ვერ უძლებს. ქართული კულტურისა და ლიტერატურის შესწავლა არავისი მონოპოლია არ ყოფილა, და არც უნდა იყოს, და ჩვენ მოხარული ვიქნებოთ, თუ მეტი პატიოსანი და მიუდგომელი ევროპელი მეცნიერი მიიღებს მონაწილეობას ჩვენი კულტურის შესწავლის საქმეში.

ამ მონოპოლიაზე ლაპარაკის შემდეგ ჩვენი ავტორი გადადის თავის „თავიანთ თემაზე, სადაც მონოპოლია არა ჩანს. ის მოახსენებს კონგრესს ორი ვარეშობებისა გამო სწორედ ევროპულ მეცნიერებაში. ესაა ფსევდო-დიონისეს შესახებ ტრანსტონიკანის შრომა და ბერძნული „ბალავაჩიანის“ ავტორის შესახებ ფრანც დელგარის შრომა ორივე კულტურულ ლიტერატურულ ფაქტის შესახებ პატრიარქულ მომხსენებელს, ჯ. ვარტს, წარმოდგენილ აქვს მოკლე ცნობები, რომელთა აზრი, ირკვევა. იმაში მდგომარეობს, რომ უოველად დასაბუთების გარეშე კონგრესისათვის საუკეთესო უნდა გახდეს აღნიშნულ ნაშრომებში წამოყვანილი საკითხების მართებულობა.

ავტორი აცხადებს, რომ ის — დროის უქონლობის გამო — ვერ განაზიარებს ვერც ტრანსტონიკანის მიერ პეტრე ბერის არეობაგისტული წიგნებისადმი ავტორობის საბუთებს, ვერც ამ საბუთების საწინააღმდეგო მისაზრებებს (გვ. 434). მიუხედავად ამისა, მის აღმოჩენილ დრო მონიკანის მოწინააღმდეგეთა ნაშრომების დასახელებულად. ამასთან, იგი მიიჩნევს ასახელებს ერთ ავტორს პაუსანდეს, რომელიც აქვს უფლები იყო აღნიშნა, რომ „ფსევდო-დიონისე იმ ვარეშობის იმალემა, რომელშიაც მას პონიკანის ექვემდებარება“ (იქვე).

ამავე დროს, ჯ. ვარტი არ ასახელებს ავტორებს, რომლებიც მიესალმნენ პონიკანის აღმოჩენას. ჩვენი შეკითხვები იცნობს ამ ავტორებს და ამიტომ მათ აქ არ მოიხსენიებთ. ისევე, როგორც იცნობენ ვარტის მიერ დასახელებულ ოთხივე მასწავლებელთა მალაოთ-

¹ დასახ. მოხსენება (გვ. 432).

ნამდებობის პირს, რომელთა დამოკიდებულება ამ ახალ აღმოჩენისადმი მარტო მეცნიერული მოტყუებით არ განსაზღვრება. ამ ოთხ პირს ჩვენ შევხვდეთ ამის წინათ გამოქვეყნებულ გამოკვლევებში: **პეტრ ივრ** და **პრობლემა არეალტიკი**.¹ ჩვენ იძულებული ვიყავით, ნაშრომი დავემოაზრებინა შემდეგ სიტყვებით:

„Если церковные ученые запада вообще ничего другого не имеют сказать против нашего тезиса о тождестве Псевдо-Дионисия и Петра Ивера (Грузина) автора известных философско-теологических книг V-го века, то спор можно считать законченным. Обращаясь сегодня со словами признательности к светлой памяти Э. Хонигмана, мы заканчиваем краткий обзор всех возражений, выдвинутых против него после его смерти“.

ჯ. ჯარბიტი კარგად იცნობს ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეს; მარტო მისი უკანასკნელი ნაშრომი — სინას მთის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა რად ღირს! ამ მოხსენებაში ავტორმა ზედმეტივენი იცნობს კონგრესსს, რომ „საქართველოში ჰონიგმანის დებულება მიღებული იქნა უფრო მეტი დიდებით, ვიდრე დასავლეთში“. იმასაც აღნიშნავს, რომ „ჰონიგმანის შრომა პატივისცემით იქნა გადათარგმანად რუსულად უნივერსიტეტის „შრომების“ 59-ე ნომერში (1955 წ. გვ. 1-75)“. თარგმანი შესრულებული იქნა, თვითონ ნუცუშიძის მიერ, რომელმაც მას დაუწერა შესავალი და, ს. ყუბისიშვილთან ერთად, შენიშვნებიც დაურთოთ“. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ს. ყუბისიშვილმა „მხარი დაუჭირა ნუცუშიძე-ჰონიგმანის დებულებას“, შეიტანა ის მის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ პეტრე იბერიის ვახტანგისეული ცხოვრების აღწერილობასთან დაკავშირებით და გაამყარა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა მიიღო აღნიშნული დებულება და „დიდ ენციკლოპედიაში“ შეიტანაო.

ამრიგად, ჰონიგმანის აღმოჩენის ხედვის აღწერა აღმოსავლეთში ანუ საქართველოში — დასავლეთთან შედარებით — ავტორს უნაკლად აქვს მოხსენებული, კონგრესისათვის დასავლეთის შესახებ კი ვიტყვით, რომ მომხსენებელი რომ შეთღობ მასალა (მათ შორის — წიგნი უკანასკნელი ნაშრომით) გათვალისწინებული კომოდა, სურათი შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო წარმოდგენილი.

ამის შემდეგ ჯ. ჯარბიტი ვიდადის ბერძნული „ბალაგარიანის“² ავტორის საკითხზე. ჯ. ჯარბიტი კარგად იცნობენ საქართველოშიც, როგორც ქართული ჰეგლემის გამოჩენილ შეკვლევარს, მაგრამ ვიუგუბარია საკითხების დასმის ამგვარი ფორმა როგორც „არეოპაგოტიკის“, ისე „ბალაგარიანის“ შესახებ: „მოით-

ხოვენ აგრეთვე, — განაგრძობს ავტორი, — საქართველოსათვის იმ დამახივრებას, თითქოს მან ვაიყნო საშუალო საუკუნეებში ბერძენთა და დასავლეთის რომაო ევარლანმისა და იოსაფის შესახებ“ (იქვე). ამის შემდეგ ვაჩივს მოკლევას პ. პეტერსის სიტყვები: „ელინიზმის იმ ფონდების გამდიდრებაში, რომელიც გადაეცა ევროპას, აღსანიშნავია ცივილიზაციის ისტორიაში ქართული აგიოგრაფიის მნიშვნელობა“ (435).

გამოდის, მოხსენების თანხმად, რომ ასეთი „მოთხოვნა“ თითქოს ევროპულ მეცნიერებს წამოუყენებია — ავტრე პ. პეტერსისა (1931) და შემდეგ (1952) ერნ. ჰონიგმანის სახით.

მომხსენებელი ეხება, აგრეთვე, ფრ. დელგერის წიგნს, რომელსაც, ისევე როგორც ერნ. ჰონიგმანის წიგნს, „სენსაციურს“ უწოდებს. ეხება რა ფრ. დელგერის დავს პ. პეტერსთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ქართული ელტრების დიდი დამცველი იყო, ჯ. გორტი დელგერის მხარეზე დგება, თუმცა საბაზისოდ არავითარი საბუთი არ მოყავს, გარდა დელგერის აზრის გამოვრებისა, რომ ის ორი ბერძნული ხელნაწერი (მარკ. VII, 26 და პართისა 1771), რომელიც პ. პეტერსი ემყარება ექვთიმეს ავტორობის დასამტკიცებლად, „იზოლირებულად არიან სავსებით მრავალრიცხოვან ხელნაწერთა შორის... და მათი დამოწმება ღირებულებას მოკლებულია ბერძნული ბალაგარიანის წარმოშობის საფიქსის ვადასაწყობადო“ (გვ. 435).

აქ, ისე როგორც შემდეგაც, მეცნიერული ობიექტურობა აჩაა დაცული. ჯ. ჯარბიტი კარგად იცის, რომ დელგერის გამოსვლამ მთელ ევროპულ და ამერიკულ მეცნიერებაში ვერცხითათი თანაგრძობა ვერ გამოიწვია, თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ ერთ, სრულიად უმნიშვნელო, რეცენზიას (ბიბლიოგრაფიისას), რომლის შესახებ ჩვენ თავის დროზე მოვახსენებ „მნათობის“ მკითხველებს. არ ყოფილა არც ერთი სამეცნიერო გამოსვლა ევროპაში, რომელსაც ასეთი წინააღმდეგობა გამოეწვია, როგორც გამოიწვია დელგერის ნაშრომში.

ფრ. დელგერმა მე პატრიე მცა და წერილი მოაწერა ზემო წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით („ბალაგარიანის“ შესახებ), სიდაც სწორედ მისი წიგნისათვის ასეთი წინააღმდეგობის გაწვევას აღიარებდა და ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ჩემი კრატეოსები უზრად-ლებას არ ამხებულენ დამსავლეთის ტექსტთან დაკავშირებით გამოთქმულ ჩემს მოსაზრებებსო; განსაკუთრებით არ უცდია არავის იესუნა — როგორ მივიდა ექვთიმე აპოლოგტი არისტიდეს დედნამდეო“,³ და სხვ. ფრ. დელგერი, მიუხედავად ჩვენს საკითხში შეიღო-

¹ ფრ. დელგერის წერილი შ. ნუცუშიძისადმი (1957 წ. 21 აგვისტო, ქ. შიუენენი).

შეხება, დიდი შეცნობა. მან იცის, რა მნიშვნელობა აქვს არისტოტელს „ამოლოგიას“ ბალავარიანის აგებისათვის. დელაგერი სერიოზულ ანგარიშს უწყევს მისი დებულების კრიტიკოსებს, იგი ემზადება „უპასუხოს თავის კრიტიკოსებს“ (იქვე).

ჯ. გარიტი ეს ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ აცხადებს, რომ „დელაგერის დებულება არ იყო მიღებული ზოგიერთი წინააღმდეგობის გარეშე“. გერერთი, დელაგერის თვალსაზრისი არ არის განიარაღებული დღეს — არც ევროპაში, არც ამერიკაში და არც „აღმოსავლეთში“, თუ მომხსენებლის ტერმინს გაიშვებოთ. ჩვენი მომხსენებელი ასახელებს ფრ. პალკენს (ბოლანდესტს) როგორც დელაგერის კრიტიკოსს და არ იხსენიებს პროფესორ დ. შ. ლენგის მიერ მოცემულ გამანადგურებელ კრიტიკას¹ და მკვადალ სხვას. ჯ. გარიტი არ იხსენიებს ეტრს. „სიზის“ რეცენზენტს (1955 წ.), რომელიც აგრეთვე, არ იხიარებს დელაგერის შეხედულებას. ამერიკელი რეცენზენტი, დაუნეი (პარკარდის უნივერსიტეტი) სავსებით არღვევს ფრ. დელაგერის მთავარ საბუთს, აგებულს „ბალავარიანის“ დამსკვლის ტექსტთან შეგავსებაზე, და ნათელყოფს, რომ ის, რაც დელაგერს ი. დამსკვლის გამოთქმები ჰგონია, ამოღებული ყოფილა „ღამადებიდან“ და ფილოსოფიის პლატონისაგან².

ჩვენი პატივემყოფი მომხსენებელი სწორედ ამ ტექსტების შედარებას უთვლის ფრ. დელაგერს მთავარ საბუთად. ჯ. გარიტი მართალია იმ მხრივ, რომ თვითონ დელაგერიც ასევე მსჯელობს. „120-ზე მეტია დამსკვლთან დამთხვევა გამოთქმებში, ფორმულირებებში, დასაბუთებებში, რაც აშკარა საბუთია“³, ამბობს ფრ. დელაგერი თავის წერილში ჩემდამი. პალკენმა, რა თქმა უნდა, სუსტი საბუთი მოიყვანა, თითქოს ეს ადგილები ექვთიმეს შეიძლებოდა ზეპირად სმოგებოდა, როცა ის ბერძნულ „ბალავარიანს“ ქმნიდა⁴. მაგრამ დ. შ. ლენგმა⁵ და დაუნეიმ ხომ აშკარა ვაჭაღვს სწორედ ამ მთავარი საბუთის სისუსტე. საგულისხმოა, რომ ამერიკელი რეცენზენტი დაუნეი წერს: „მოვლი ეს ჩემი შენიშვნები, უნდა იღონოშნოს, შეეხება იმ ადგილების სპეციფიკურ გვეუფს, რომლებიც პროფ. დელაგერს მოუყვას თავისი საბუთების გასაძლიერებლად. ამავე ტიპის დანარჩენი საბუთების ღირებულება

ზას საკამათოდ აცხადებენ სხვა მიმოხილველნი“ (ცრ. ნაშრ., გვ. 168). **მართლმართლი**
რატომ არაა ყველა ეს კრიტიკა მართლმართლი თუც იცნობს მსოფლიო მეცნიერება, დასახელებული ჯ. გარიტის მოხსენებაში? თუკი გრნ. პონიგმანის წინააღმდეგ ყველა ჯიშის კრიტიკოსი ფეხზეა წამოყენებული, იმიტეტურობა მოითხოვდა, იგივე გზა გამოეყენებინა მომხსენებელს ფრ. დელაგერის მიმართაც. მაგრამ ეს იმიტეტურობა აქ არა ჩანს: როცა საჭირო იყო მომხსენებლისათვის გრნ. პონიგმანის დაუფლებლობა, ყველა მოწინააღმდეგე — დიდი და პატარა — მოაბიზუებული იქნა, ხოლო, როცა დელაგერის გადარჩენაზე მიდგას საქმე — მხოლოდ ერთი, ნახევრად კრიტიკოსი, გამოიხანა (არ დავგავიწყდეს პალკენის ნოქემი: „ქბილებით ვერ დაეცაე პ. პეტეტრისო“ — დელაგერის საპირისპიროდ). პ. პეტეტრისი და გრნ. პონიგმანი ჩვენი მომხრეებია, ხოლო გრნ. დელაგერი — ჩვენი მოწინააღმდეგე, და ნუ გაუყვირდება პატივემყოფი მომხსენებელი, თუ დამაბული ურთადლებით ვადევენებთ თვალს დასავლეთის მეცნიერთა ზოგიერთ სვლას, რომელიც საეჭუოდ გამოიყურება...
ჯ. გარიტი უდავოდ მართალია, როცა მოახსენებს კონგრესს, რომ „როგორც პონიგმანის, ისე დელაგერის წიგნზე პუნებრივად მიიპყრო ქართული მეცნიერთა ყურადღება. რომში შეენახე. — განაგრძობს იგი. — თბილისური შეტრნალის კმნათობის“ 1956 წლის მარტის ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ნუცებამის წერილი სათაურით: „ქართული ლიტერატურისა და კულტურის პრობლემები თანამედროვე დასავლეთის მეცნიერებში“ (გვ. 144 — 154). ჩვენი ეჭვი არ გვეძარება, რომ ევროპასა და ამერიკაში მოწინავე მეცნიერები კულტურის ისტორიის დარგში თვალს ადევნებენ, რა ხდება ქართულ საბუთა მეცნიერებაში. გარდა ჩვენი ავტორისა, ჩვენ ვიცნობთ დ. შ. ლენგს (ინგლისი), იმევე ფრ. დელაგერს (გერმანიაში), პ. დეეოს (ბელგიისში), რალვეულუსს (ამერიკაში) და სხვ. ვიცნობთ მიქელ თარხნიშვილს, რომლის გვარის დაბოლოებას „შეილზე“, წინააღმდეგ ჯ. გარიტის განცხადებისა, ხელი არ შეუშლია მისთვის დიდი ცოდნითა და სიღრმით იკვლიის ქართული კულტურის საკითხები, ისევე როგორც პროფ. რულოვისათვის, მიუხედავად მისი გვარის „ოჯე“ დამთავრებისა, არ შეუშლია ხელი „დიდი საბუთთა ენციკლოპედიის“ უკანასკნელ ტომში პირუთენელად შეეტრნა პეტრე იბერის ავტორობის ამავე საერთო მოშობილევში „ფილოსოფია“ და აღენიშნა, რომ არეობაგელის ფსევდონიმის ქვეშ ქართველი პეტრე იბერის დანახვა „საბუთურ და უცხოურ მეცნიერთა“ მიღწევას წარმოადგენსო.

ჯ. გარიტი წერს: „ავტორი (ე. ი. მე — შ. 5.) აღაგებს დელაგერისა და ასევე მისი მოწინააღ-

¹ დაბეჭდილია BSOAS-ში, 1955, 17 (2) („კვეთილზე ქართული და რომანი ბალავარი და იოსაფი“).
² ამერიკის საშუალო საუკუნეთა აკადემიის ურნალი Speculum, 1956 წ. 31, ნომერი I, გვ. 165-168.
³ Anal. Bolland, 1953, გვ. 478.
⁴ ლინდონი, BSOAS, 1955 წ. 27.

მდეგების დებულებას და, ამასთან, იძლევა სხვას, „საკმაოდ პარადოქსალურ დებულებას; ქართული „ბალავარიანი“ ავტორი ყოფილა იოანე მოსხი — „სამოთხის“ ავტორი (მე-7 საუკუნის დასაწყისში“; გვ. 437).

ჯერ-ერთი, მე დელაგერისა და მისი მოწინააღმდეგეების შეხედულებათა დაღაგებას არ ვიძლევი მხოლოდ. მე ვარღვევ დელაგერის დებულებას, ცხადია, ლიტერატურაში არსებული მასალისა და ჩემ მიერ დამუშავებული საფუძვლები; ეს დელაგერმა ვარჯად იცის. თავის უკანასკნელ „შენიშვნაში ჩემი ნაშრომის გამო დელაგერი აღნიშნავს: „ნუცუბიძე უარყოფს absohit ჩემს დებულებასო“¹. მაშასადამე, მე არა მხოლოდ „ვალაგებ“ დელაგერის შეხედულებებს. რაც შეეხება ჩემს თეზას იოანე მოსხის, როგორც წიგნის — „სიბრძნე ბალავარისი“ ავტორის შესახებ, მე სამისოდ ყველა არსებული საბუთი მაქვს მოყვანილი. ამ საკითხს მე ასეველი გვერდები მივუძღვენი და, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომელსაც ეს დებულება იწვევს ევროპულ მეცნიერებაში (დ. ლენგი, პ. დევი, დელაგერი), არც ერთი საბუთი და ჩემ მიერ დადგენილი თარიღები მოსხის ცხოვრებისა ჯერეურობით არავის დაურღვევია. მე ვამზადებ რუსულ ენაზე ახალ წიგნს „ბალავარიანი“, სადაც მოცემული იქნება ჩემი საზღვარგარეთელი კრიტიკოსების შეხედულებათა (მათ შორის — გარიტის თვალსაზრისის) კრიტიკული ანალიზი.

მომხსენებელა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იოანე მოსხს (საბაშვიდელს) თითქმის ქართული „ბალავარიანი“ მე-7 საუკუნის დასაწყისში შეეკმნას. ეს თარიღი საკამათოდ ეჩვენა ზოგ ქართველ მეცნიერსაც. ყველამ, ვინც ამ თარიღის ნადრეგობაზე ლაპარაკობს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ისტორიულ-ეტიმოლოგიურ მონა-

ცემთა ნიადაგზე არსებობს ფაქტები, რომლებიც საქართველოში „ბალავარიანობის“ შემოსვლის ამბავს უკვე მე-3-4 საუკუნეებიდან მოწმობენ. ეს ის დრო იყო, როდესაც შანიჭებში, მე-3 საუკუნიდან იკუმტიკურად შეფერილა ბუღიზმის იდეებითა და ქრისტიანობით, აღმოსავლეთიდან დასავლეთს აწვებოდა და მე-4 საუკუნეში არა მარტო საქართველოში შემოიჭრა და ქართული ეკლესიის მეთაური თავისი მხარეზე გადაიბირა („წიგნით მობიდანისა“), არამედ დასავლეთის დოგმატიკური ლიდერი ნეტარი აფესტინეც მიიბზრო.

რაც შეეხება იოანე მოსხის შესახებ ჩემი დებულების „საკმაოდ პარადოქსალურობას“ (როგორც ამბობს გარიტი), ეს ავტორის სტილის საკითხია. აქვე, ამ მოხსენებაში, ის ლაპარაკობს პონიგმანის „პასუხის საკმაოდ სენსაციურობაზე (assez sensationelle, გვ. 433), დელაგერს „ნაშრომის სენსაციურობაზე (un travail sensationelle) სტილი თვითონ პიროვნება და პარადოქსალური“, ჩემი აზრით, უფრო გამიზნავს საკმის ვითარების, ვიდრე „სენსაციურობა“; იგი მიუთითებს დებულების, თვალსაზრისის უჩვეულობას, სიხლეს, რომელიც მოცემულია ნაშრომში. ჩვენი, საბჭოთა მეცნიერება ნოვატორული მეცნიერებაა ზოლო ყოველი სიხლე პარადოქსალური არა გვეონია. ევროპაშიაც მიხედნენ ჩვენი ნაშრომის ამ მხარეს და პ. დევიო, მიუხედავად ცხარე „კამათისა, ჩვენი ნაშრომს „ნუცუბიძის ახალ თეზას“ უწოდებს (la these nouvelle). ასევე იქცევა ფრ. დელაგერი ზემოდასახელებულ წერილში, სადაც მწერს: „თქვენი ახალი თეზაო“ (votre neue these).

ამით ვამთავრებ ჩემს ზოგადი ხასიათის შენიშვნებს პატივცემული ჯ. გარიტის მოხსენების გამო და გამოუთქვამ იმედს, რომ ავტორი აქედან ზოგ რამეს გაითვალისწინებს, რითაც გამართლებული იქნება, რომ შან დასახელებული ფაქტები საშეცნებო კონგრესის ყურადღების საგნად გახადა.

¹ Byz. Zeitschrift, 1957 წ. წიგნი 50, გვ. 514.



ტყე და ჩვენი ქვეყანა

საქართველო რომ ერთ-ერთი უღამაზესი ქუთხეა, ეს საერთოდ ცნობილია. პოეტები მას სამოთხესაც კი აღარებდნენ და აღარებენ, აღფრთოვანებულნი არიან მისი ჩივისა და წარინჯის პლანტაციებით, ბალ-ვენახებით, მობობინე ყანებით, აქობრილი მთებით, ზურმუხტოვანი მდელოებით, შჩქეფარე მდინარეებით. ეს ასეა, მაგრამ, თუ გულდასმით და, გამჭრიახი თვალით დეაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს აღმოსავლეთ ზოგიერთ მხარეში უდაბნოს სუნთქეაც კი იგრძნობა, სადაც აუტანელი სიციხისა და პაპანაქების გამო კაცს სული ეხუთება. იშვიათი არ არის, რომ გაზაფხულზეც კი, როდესაც ამ მხარის მთა და ველის ზურმუხტოვანი მდელო ათასნაირი ქიორტა და თელაწარმტარი ყვავილიანი მთლით უწნა და იყოს შეშოსილი, გადარუჯულია და გადარუჯული, თითქოს ნაცარი გადაყურიათო, ისეთი იჭრი დაჰყარეს. მიღობარ დაუსრულებელ ველებზე და არსად წყალი, რომ პირი ჩაისვლო, არსად ზე, რომ მის ქორბუდის ჩიდალს თავი შეაფაროს. სამაგაჩროდ, აღმოსავლეთიდან მონაზერ ქარს მოაქვს გავარვარებული პაერი, თითქოს გახურებულ თონეს მოულოდნელად თავზე მოექცეოთ. ბუერგან ფეხი გამოფიტულ მიწაში იღვობა, ადგილ-ადგილ მოჩანს შვარალი ველებისა და ნახევარუდაბნოს ნაცრისფერი მცენარე. გამოცდილი თვალი მათ შორის შენიშნავს ირანის, შუაზიხისა და ზოგჯერ ანატოლიის ხრიოყ ადგილთა მკეადრებს, რომელნიც აქ, ეტყობა, თავს კარგად გრძნობენ. უნებურად იბადება კითხვა: სად გაქრა ატებრ-ლი ქალღმერთის ხეობაზე, მუხის ტყეებში ხორნაბუჯის, რუსთავის, სამუხის, მუხრანის, სურამსაშურისა და სხვანი შრავალნი?

მუხის ტყეებში კი არა, ბუერგან სოფელიც აღმზინის საცობრისის ნიშანწყალიც არა ჩანს; ჩაყვები იერის ნაპირებს, ჩახედა აღაზნის შესართავამდე და არსად სოფლის ნატომალი, ნანგრევიც კი არსად ეტყობა. ერთ დროს ხომ აქ ჰყავოდა სოფლები, ქალაქები, ერდოდან კეამლი ამოდიოდა, ღვიოდა ქართული კობრა, იშმოდა ქართული სიტყვა, ქართული სიმღერა. დღეს ამ ადგილებში ნახევრად უდაბნოდა გვაქვს, მაგრამ დაკვირვებულ თვალს შეუძლია ზოგი ისეთი პატარა ნიშანი ნახოს, რომელიც წარსულზე ცოტას არ გვიამბობს.

მდინარე იერისა და შირაქის უცბად ჩამოწ-

ვებილ ნაწილს ე. წ. აღესილებს¹ შორის-ელდარის ნახევარუდაბნო მდებარეობს. ამ ადგილს ველის სიგანე 7-8 კილომეტრია, ხურხუმოთი, ყარღანთი, აბზინდთი, უროთი და ნარეკლებით დაფარულია. აღესილებს რომ უახლოვდება, ჩნდებან ბურთისმაგვარი ქორბუდისანი კევის ხე და აკაჟ, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა და თელა, ეკლიანი ბუნებები: შავჯაგა, კოწახური, ძეჭვი, ფოთლებზეწილუბული თეთუბო და თრიშო, მოულოდნელ ნაყოფით დატვირთული ბროწეული და ლღვი. აღესილებიდან ველისკენ გამოჭრულია ხევი, რომელიც მინდორზე იწლება. ეს ხევი მოის ხნარცეებში ღრმადია შეჭრილი და ვიწრო ხრამსა და ხეობას ქმნის. ამ ხრამების გასწვრივ, ჩვეულებრივად ფერდობის ძირზე თითქოს ბაღი გაუშენებიათო, ისე გასდევს ბროწეულიან ვიწრო ზოლი, — მისი სიგრძე 10-12 კილომეტრია. გაზაფხულზე ბროწეულის ყვავილი აღისფრად ანთია, შემოღვრამაზე კი ბუნების ტოტი ნაყოფით ისეა დაქონებული, რომ მიწამდე დაბრია, თითქოს დალილა და მიწოლილა. ბროწეულის ზოგი ძირი კი ხემაგვარია, წელში ამართულა, ტოტები ძირს დაუბრია, რომელზედაც სიმწიფისაგან დამკლარი ნაყოფი აღისფრად ელვარებს და გავონდება: „გარეთ ატალსი, შიგნით ათასი“. აქ გავრცელებული ბროწეული ველურია, ეკლიანი, ისეთი ნაყოფიერილი, გეგონება, პანტაო. მაგრამ აი, უცბად თქმეა ათასში ერთი, მაგრამ მინც გამოვარდება მუშტის ოდენი ნაყოფებით დატვირთული ძირი. ასეთ ბროწეულის ტანისც ფოთლოცა და ნაყოფიც კეთილშობილური იერისაა, წყენი მისი ტკბილია და გემრიელი. ეს უკვე შინაური ტკბის ძირია, რომელიც ჩანს, ველურ წინაპარს შრავალი საფუენის წინათ დასცილებია, აღამაზის ხელს თავისებურად ჩამოუქანდაყვებია, უვარგესი რაცა ქონია, ჩამოეცილებია, კარგი უფრო მეტად გაუკეთილშობილებია, გაუქლიერებია, ახალიც მიუ-

¹ შირაქის ველის დებრესია, ჩანაწვევით, დასავლეთისაკენ კედელივით ამართული. იგი თიხოვანია და ამიტომ ქარის ეროზიის შედეგად კედელი იჭარება, თითქოს ხელოვნურად არის შეღესილი. ასეთ კედლებს ქიხიყელები აღესილებს უწოდებენ.

მატებია. მაგრამ საიდან და როგორ გაჩნდა იგი ამ უკაცრიელ ადგილას?

ჩვენი წარსულის ეპითომივებზე ბევრს რამეს გვეუბნება ეს უწყინარი ბროწეულის ბურქა

ცნობილია, რომ იორისა და აღზნის შესართავთან და მისი ამოყოლებით მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებამდე ჰყოლოდნენ სოფლები და ქალაქები. შემოსეულმა ურდოებმა გადაწვეს და მოსრეს სოფელი, დაანგრის ქალაქები, ამოხოცეს ხალხი, აჩეხეს ბაღები და ვენახები, მაგრამ, ისევე, როგორც ვეღლგან, ვერ მოსპეს ქართველი კაცის ძირი, ვერ მოსპეს მის მიერ მოშინაურებული და გაკეთილშობილებული ვახისა და ბროწეულის, მსხლისა და ვაშლის თუ სხვა მრავალი მცენარის ძირი.

გაუკაცრიელდა ივრის ხეობა. იჭაურები, ვინც გაღარბა, ქვეყნის შიგნით წავიდნენ, იქ დასახლდნენ, უკან ვეღარ დაბრუნდნენ. დაიწვრა სოფლები და მათთან ერთად დაიწვრა სარწყავი არხები, ქვები, წყაროები. მოაკლდა ბაღსა და ვენახს წყალი, ამოვარდა, გადახში. ამ ბაღებიდან და ვენახებიდან ზოგი უფრო გამძლე ხილის ჯიშები გადაჩნდა, მაგრამ კვლავ გავეღურდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პირველ ადგილსამყოფელს დაუბრუნდა.

ცნობილია, რომ ჩვენში მრავალი კულტურული მცენარე ველური ბუნებიდანაა გადმოტანილი, შინაურ გარემოში ადამიანის მიერ მოვლილი და გაკეთილშობილებული. ბროწეულიც ერთ-ერთი ასეთი მცენარეა. იგი ველურად დღესაც გვხვდება შირაქის ნათელ ტყეებში, სამუხში. ჰევეში წინაპრებმა სწორედ ამ ადგილსამყოფელიდან გადაიტანეს თავის ნაცვეთებზე და გააუმჯობესეს, აღმოსავლეთ საქართველოში გაერცყლებული ადგილობრივი ჯიშის ბროწეული სწორედ ასეთი წარმოშობისაა და, როდესაც ბალ-ვენახი უპატრონოდ დარჩა, ზოგი ბროწეული დაუბრუნდა თავის ველურ წინაპრებს, მრავალმა დაკარგა ახალი. შექმნილი კეთილშობილი თვისება, ზოგმა მათგანმა კი ეს თვისება დღემდე შეინარჩუნა (ყახთის ტყეებში ველური ვახის გვერდით ბევრი გვხვდება გავეღურებულიც, რომელთაც შინაური ვახის იერი დაუკარგავთ, გარეგნული იერით ძველ წინაპრებს დამსგავსებია).

გარდა ბალ-ვენახებისა, ძველად საქართველოს ამ მიდამოების შოა და ბარი დაფარული იყო მშვენიერი ოლეობთა და ტყერგებით, რომელნიც მორეკომდნენ სოფლებსა და მიწდგარებს, მაგრამ დღეს აღარც სოფელი, აღარც ქალაქი, აღარც ბაღი და აღარც ვენახია. არც ოლე არის და არც ტყე.

რასაკვირველია, ყოველივე ეს უძეად არ მოსკობილა, ვერც კიდევ სულ ახლო წარსულში ტყეები შეუღარებლად შეტი იყო, ვიდრე დღესაა.

ბარად მტკერის, აღზნის, ივრის, ქციის,

არავეის, ლიხვისა და სხვა მდინარეთა ნაპირების ტყეები შემოსილნი იყვნენ უღრან... და უსიერი ტყეებით, სადაც ბინადრობდნენ კირიჭი, ში, ეშვი და სხვა ნადირი მრავალი! აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მიდგმა მთების წინა კალთებზე აყრილი იყო მშვენიერი ტყერგები შუხის, რცხილისა და სხვათა.

თბილისს ქვემო მხარის მტკერისა და იორის ვაკენი თუ ბალ-ვენახითა და სახანავ-სათიფით არ იყო დატყრილი, ამეც დროს, თუკი ნიადაგს საკმარის სინესტე ჰქონდა, თელნარი-თელნარი და მუნხარით (გრძელყუნწა მუხა) იყო დაფარული. წყალ-ტუნწი მხარეები (სამგორა, გარეჯი, შირაქი) კი თავისებური ნათელი ტყით იყო მოსილი. ასეთი ნათელი ტყეები დღეს კიდევ არის გადარჩენილი ვაშლოვანში, ლუჯის წყალზე, ბუღთ-მოედანზე და, სავრთოდ, შირაქეულ-დარის ზოგიერთ მივარდნილ ხეობაში. ამ ნათელ ტყეებში გვხვდებოდა ისეთი ხეები, რომელნიც სხვა ტყეებში არ იბრდებოდა, ესენია: საკმელის ხე (კვივის ხე), ქართული ნეკერჩხალი, კავკასიური აკაი, მერყენა, მრავალნარი ღვია, ელდარის ფიჭვი და სხვ. ამ მცენარეთა მიერ შექმნილია არა მალნარი, ვ. ი. დაბურჭული ტყე, არამედ ნათელი ტყე, ხადაც ხეები ერთმანეთსაგან დაცილებული არიან 5-10 და ზოგჯერ 20 მეტრით. ასეთ „ტყეში“ ნიადაგის დიდი ნაწილი ვანათებულა, თავისუფალა. ხეთა ასეთი აღნაგობით ნიადაგის რესურსები (უმთავრესად წყალი) ჰემცენარის მიერ უფრო რაციონალურად არის გამოყენებული. ამ ხარისე ადგილებში ხეები რომ უფრო მჭიდროდ ყოფილებოდნენ, წყალი მათ დიდი რაოდენობით დასჭირდებოდათ, 2-3-ჯერ მეტი, ვიდრე ამის შესაძლებლობაა. ამ მხარის ნიადაგში წყალი ცოტაა იმიტომ, რომ ცოტრი დანალექი აქ მცირეა, სულ 300-500 მილიმეტრი, მაშინ როდესაც ბათუმში—2500 მმ ეს კიდევ არაფერი. მაგრამ საქმე ისაა, რომ წლის განმავლობაში დანალექები თანაბრად არ არის განაწილებული, სწორედ ზაფხულთა გვაღეიანი. ზაფხულში, დიდი სიცხეების დროს, როდესაც წყალი უფრო საჭიროა, წვიმა თითქმის არ მოდის; თუ მოვა, თქმისებურაა, წყალი ნიადაგში ვერ იჭრება, ნიადაგის სახით მიეჭრება ხეებისაგან და მცენარისათვის იკარგება. ჩანს, ამ ტყეებში უტყეო ფართობები, დიდი ველები ძველადაც არ ყოფილა. თავისუფალი, ხეს მოკლებული არე-ნი იყო, მაგრამ პატარანა, მცირენი. უტყეო იყო ნატყერები მალშინარი და ვეძიანი ადგილებიც (მრავალთად, ექმისის, სახარე და სხ. ტბების ნაპირები). ამ ვაკეების მიდგმა მთის წინაყოფების ფერდობებზეც კარგი ტყით იყო დაფარული. ხოლო ფრიად ცივაბო ფხვკეებზე ცხოვრობდა მშრალი ადგილების მცენარეობა (ქეჭვი, შვეჯავა, თრიშლი, თეთუბო, ურო, წივანა და მისთანანი).

სამხრეთ საქართველოს ზეგნები, სახელდობრ,

წილის, ჯაგაბეთის, ვომარეთ-ზურტაეტიისა და მისი მოსახლურე ლორე-ბაშბაქი და სომხეთის სხვა ანალოგიური ზეგნების უდიდესი ნაწილი ზღვის დონიდან 2000-2200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ტყეებით (წიფნარა, ფიჭვნარი, ზოგან წიფნარი, მუხნარი აღმოსავლეთის მუხნარსაგან შექმნილი და სხვ.) იყო დაფარული, მაგრამ დღეს ეს მხარეც უტყეოა.

როცა ტყე იშპობოდა, ნატყეებზე ხროვ ადგილად გადახვეწილი მცენარეულობა სახლდებოდა ახლა ძნელია კაცმა დიჯეროს, რომ ეს თვალწინდენი, ზოგჯერ ვაუღანბონებელი ველები ისტორიულ ხანაში ტყით იყო დაფარული. მაგრამ ბუნების პირობების ანალიზი და ისტორიული დოკუმენტები ამ მხარეთა ტყიანობას გვიდასტურებენ.

ვახუშტის შესანიშნავ შრომაში, რომელიც საქართველოს გეოგრაფიის სახელწოდებითაა ცნობილი, სხვა ცნობათა შორის ბევრია ცნობილი იმ ადგილთა შესახებ, რომელნიც დღეს უტყეოები არიან და რომელნიც ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ტყით ყოფილან დაფარულნი.

„ნაჭარმაგვევი იყო სადგური მეფეთა და კეთილ სანადირო, აწ კარალეთად წოდებლი, ადგილი ტურჯა ჰალიან-მინდვარიანი, ნადირიანი, ფრანველიანი“.

„ზოლო კვალად აღის წყლის დასადგულით არს წყალი სურამისა, გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის სახმარადან მტკვარს, ოსიანურს ზევით. აქ არს ჰალა სურამისა, მტკვარის კიდესა დაღალულიდან შოლამდე: არამედ გააკაფა (ხაზი ჩემია. — ნ. კ.) 94 მეფემან ვახტანგ დაჰმან დახენი“.

(ამ ტყის ნაშთი დღესაცაა გადარჩენილი ს. ოსიანურთან, გზის ქვემოთ, მტკვარისკენ და სოფ. გომიანი).

ამევე ტყიანადაა აღწერილი მუხრანის, წილკნის, საგურამოსა და სხვა მიწებებში. (მუხრანის ვეკზე ძველი ტყის ნაშთი სოფ. წილკანთან გადარჩენილია თელნარის ოღეს სახით, გორაკების ტყის ნაშთი კი გადარჩენილია, აგრეთვე, ქ. გორის დასავლეთით, სოფ. თედოწმინდის თავზე, მალხაზის წყვარზე).

ამევე ტყიანი ჩანს ჯავახეთში. ს. ჯიქიას მიერ გამოქვეყნებულ აჭარისტანის ვილაეთის დიდ დათვაში“ ცალკე გამოყოფილია ტყიანი ჯაგაბეთი. დღეს კი ამ ნაწილის სოფლების ირგვლივ ტყე აღარაა არის. მთის ველია. აჭარე ტყეთა წარსულ დიდებზე შეიძლება მხოლოდ თითოობილია დაჯაგებულ მუხის, ფიჭვის აბუსის ხის თუ სხვათა ნაშთით ვიშხველით.

ვახუშტის გეოგრაფიაში ტაბისყურის ნაპირები აღწერილია როგორც ნაქოვან-ფიჭოვანე, ხოლო დღეს ტბის ნაპირზე არც ფიჭვი არც ნაქი, ველის მცენარეობა შემოგვრჩა. ამევე წყაროს მიხედვით, კერძოთი ქედის ვულ-

თოვლის მთები „მარადი თოვლითაა მოსული“, დღეს მარადი თოვლი მთელს კეჭუყის ქედზე არსად ვხვდებით. ცნობილია, რომ ზღვრულ წიფნარს არსებობდა მხარის ერთ-ერთი ისეთი ნაწილი, რომელიც მისი ჰავის ნესტიანობას აღსატურებდა. შამსადამე, თუ წინათ იყო და დღეს არ არის, ჰავა უფრო გამომშრალა. ამევე ქედის (კეჩუყის) შამბიანის მთის ფერდობთა ბალახეული საფარის შესახებ ვახუშტევე წერს: „არამედ მთას ამს შამბიანი ეწოდებოს შამბალახ სიმაღლისაგან, რამეთუ ცხენოსანი კაცი და ჩქოსანი ირემი არ გამოჩნდებოს“. დღეს შამბიანის ფერდობი ისეთი ბალახითაა დაფარული, რომელიც კაცს მუხლამდე ძლივს სწევდა და რომელსაც ველის მცენარეულობის იერი დაჰკრავს. ესევე ჰავის პირობებს გაუარესების ნიშანი.

მეორე საბუთი იმისა, რომ ზემონათხვლილი უტყეო ადგილები ახლო წარსულში ტყით იყო დაფარული, თუთი მცენარეულია, უფრო სწორად, ძველი მცენარეულობის ისეთი მცირე ნაკვეთები, რომელნიც შემორჩენილი არიან დღეს გაარცლებულ ველებსა და ნახევარუღანბონთა მცენარეულობას შორის. ბევრგან, როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, გადარჩენილია ტყის ნაშთი, ტყის ნაღვეჯი — ასეთი ბევრია როგორც ზარადი, ისე მთაში, ხშირად ეს ნაშთი მალაღობარად ხეცაა, ხშირად ბუჩქია, ან დაჯაგებული, მიწსგართხმული ხე, ან ერთი-ორი და მეორეც, ან ველის ბალახეულობაში შემორჩენილია ტყის ბალახეული მცენარე. ამ მხრივ კლასიკური ფერჯივია, ძირეული ტყის ბალახი, მაგრამ დროთა ვითარებაში ტყის უკან დახვევის შემდეგ ველებში შემორჩენილი და მასთან შეგუებული. ასეთია ცის თვალი, გველის ლოზე და სხვა ზოგიერთი ტყის მცენარე. მაგრამ ველის პირობებს შეგუებული და შეთვისებული. გარდა ყოველივე ამისა, მთისა და მხარის ველის ნიადაგების შესწავლივც აღსატურებდა, რომ ეს ნიადაგები წარსულში სწორედ ტყისქვეშ მყოფი ნიადაგები, ტყის ნიადაგის ელემენტების დღევანდელამდე მატარებელი.



ტყეების უკან დახვევა ჩვენში დიდი ხნის წინათ დაიწყო. ამას ხელს უწყობდა და უწყობს მრავალნაირი პირობა.

საქართველოს თავისებური მდებარეობა (უღბანოს მცენარეების კერებთან: შუა აზიასთან, ირანთან, ანატოლიასთან სიახლოვე), რელიეფი (მთაგორიანობა), მტრის ურდოთა ხშირი შემოსევა, (ტყეების ნეხვა, სარწყავი არხების ნგრევა) და თვით ადგილობრივ მკვიდრობა მოქმედება (ტყისადმი დაუდევარი, გაუფრთხილებელი, ხშირად ვიღურობამდე მისული დამოკიდებულება).

საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველო, ესაზღვრება ანატოლიის ხროვე

ადგილებს, შორს არ არის ირანის უღაბნოსაგან, აზერბაიჯანის ტრამპლებითა და კასპიის ზღვის ვალში-ვამოლში თავისთავად ვუღაბნოეზული ნაპირებით დაკავშირებულია შუაზიანთან და, თუ ადგილობრივ დიპლომატურ ძველ ბუნებრივი პირობები იგი ადვილად მდიდრდება ამ შხარდინ ვაღმობეჯევილი მცენარეებით. პირობების დარღვევა კი ხშირია. უღაბნოს შხარევიდან (განსაკუთრებით შუაზიიდან) მოზაბერი ცხელი ქარი (ქვენი ქარი) ადვილად აზრობს და ფრთავს ჰერს, ნიადავს, რის გამო გამოუტრულ ადგილებში ადგილობრივ მცენარეს უზენელდება ფესვის მოცილება, ამ ცხელი ქარების ვაღუნა განსაკუთრებით ძლიერდება შიშინ, თუ ტუე შიოსპო, რადგან ნიადავის გომფიტის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად იმპინარეობს უტუეო შიოს ფერდობზე, წვიმის წყლისაგან ადვილად ირეცება, ქარი-საგან კი ადვილად იშლება და იქარება.

ისტორიულ წარსულში შტრის ურდობი ხშირად კავადუნე და წვაენუნე ტუეებს: „შიგ შიოსისხენი იმალეზანია“. შემდეგში ამ ტუეობა აღდგენაზე ზრუნვა ძნელი იყო. თავის სამეურნეო საქმიანობაში ადგილობრივი მკვიდრნიც შიოსდამაინე არ უფრთხილდებოდნენ, ჩეხუნენ, ნარეზზე საქონელს აძობებდნენ და ტუე წელს ველარ შირათდა. შიოს ფერდობებზე აკეთებდნენ ახოს, რომელსაც იყენებდნენ 5-10 წელი, ამ ხნის განმავლობაში იგი იფიტებოდა, ირეცებოდა, შიოსავალს აღარ იძლეოდა და თავს ანეზებდნენ, აკეთებდნენ ახალ ახოს, ძველი ახოდან კი წვიმის წყალი და ნიადავი დარჩენილ ნიადავსაც შიოსიანად რეცხდა, ჩნდებოდა დედაქანი. ასეთ ადგილებში უტუე მცენარეულობა ან სულ არ სახლდებოდა ან თუ დასახლდებოდა — ხროთი ადგილის ბალახეულობა. იერის არავის, ქსნის, ლიხვის, ძირულის და სხვა მდინარეთა ზეობებზე რომ მკერდნამოღარდული უტუეა ქეიბო და ფერდობებში, ესენი უშთავრისად ნაბოვარჩა არიან.

მართალია, ზოგან შიოს მიწათმოქმედების მაღალი კულტურაც იყო განვითარებული, მაგალითად, მესხეთში შიოს ფერდობზე შესანიშნავი ოროკობს („ორტოკ“-ტრანს) აკეთებდნენ და ისე აშენებდნენ მაღლებს, ან აკეთებდნენ სახანავსოებს, მაგრამ ესეთი სიკვლევი მკურნეობის ეს მაღალი წესი მივიწყებულ იქნა, რის გამო ბერესა ვარავათ. ზოგან კი, ნიკლებ დაქინების ფერდობებზე, დღესაც არის შიოს მკურნეობის თავისებური წესი. შიქა ფერდოს გარდგარდში ვაღაბნულია 15-25 მეტრის სიკვანებზე, შემდეგ 3-5 მეტრის სიკვანის ბუნქნარია დიპტოვებული. ამის შემდეგ კვლავ მოხუნულია 15-25 მეტრის სიკვანე და კვლავ დიპტოვებული ბუნქნარის ზოლი. ამგვარად აშენებოდა განეკრმინდერჩიანი ოროკო ბუნებრივი ბუნქნარის შესანიშნავი ზოლით, რომელიც ფერდოს ნიადავის ნამორეცხესაგან იფარავ

და. ასეთი მინდვრები ჩვენს შიოს შხარეში იშვიათი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ასეთ მინდვრის ზოლებს, ზოგადად, ვეღარ ვხედავთ. მაყვარად უტყვირებს: ტრაქტორს დიდი ფართობი სჭირად და ბუნქნარის ზოლებს ძირქვევენ, მინდვრებს აერთიანებენ, ეს კი დიდი შეცდომაა, რადგან შიოს მინდვრის თუ შხარევი ზოლები არ ექნება, იგი მაღე ჩამორეცხება, ხამობრიოცდება. სახანავ-სათესსაც დეკარავათ და ტუეც ვეღარ განახლებდა.

ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გამო, აღამიანი რომ თავისი ჩარევით კიდევ უფრო აუარესებდა, ნატუეობზე სახლდებოდა ველის, უღაბნოსა და ხროთი ადგილების მცენარეულობა. ჩვენს ქვეყანაში ბერისა ასეთი ადგილი, სადაც ტუეა და ველს შორის ეს სამკერდო-სასიციოცხო ბრძოლა დღესაც იმპინარეობს. ყველგან, სადაც აღამიანი შიოს ფერდოს შიადგა, წინდაუხედავად ჩეხავს შიოს ტუეს და შიგ საქონელს აძობებს, ტუე უკან იხევის, ადგილს უთმობს ძეძვიანს, რომელიც შექმნილია გვალიანი ადგილების ამტანი ეკლიანი მცენარე ძეძვისაგან. მაგალითად, ასეთი ბრძოლის ასპარეზია თრიალეთის ქედის კალთები ზეში და ქვეში ქართლში, კავკასიონის ქედის, საფურამოს, იალნოს, გომპოროს და სხვა ქედების წინა კალთები 700-800 მ. სიმაღლემდითილის მიდამოებში, შიოს ირვლევი მდებარე ბარი და გორაკები დაფარული იყო მშვენიერი ტუეებით. ამ გავრცელებული იყო სხედასხვანაირი ტუე: მტკვრის ქალეზში არსებობდა ბლის ტუე, ვერხვისაგან და გრძელი ყუნწა-მუხისაგან შექმნილი, გორაკთა ფერდობებზე გექონდა მუხნარები, სადაც იზრდებოდა ქართული მუხა, ნეკერჩხალი, იფნი, რცხილა, ჯავრცხილა, პანტა, მკეალო, თამელი და სხვა ამგვარი. ვაკეებზე, ბაიად ვეხედებოდა გრძელი ყუნწა მუხისა და თელის ტუეები. სამხრეთის ფერდობზე ნათელი ტუეც აღინაშნება. მაგრამ საღლაა დღეს ასეთი აქონრილი გორაკებში იგი ძეძვა დაფარა და ამჟამად ძეძვი, მაღლა მთებში (ყოჯორი, საფურამო, იალნო) ვაღარხეწულ ტუეებს გბრძვის, გბრძვის აღამიანის დახმარებით. ამ შეტევას ტუე ვერ უძლებს და უკან იხევის და ამ უკან დახევის რამდენიმე საფეხური არსებობს.

ეს საფეხურები შემდეგნაირია: მაგალითად, შიოს ფერდობზე ვეაქვს მუხნარ-რცხილდნარი ტუე. თუ ამ ტუეში, განსაკუთრებით სამხრეთ ფერდობზე, დიწყავს წინდაუხედავად ჩეხვა და საქონლის ძობება, შიშინ ასეთ ტუეში ადვილად სახლდება შხარდ ადგილსამოფილოს მცენარე. პირველ რიგში, თითოთიროდა ძეძვი, რომლის გარშემო თინდათან ჩნდება სხვა შიოს თანამყალო (მეფეჯავა, გრაკაო, უტო) ძივება თუ გავრძელება, შიშინ ვიღებთ ტუეს უკან დახევის პირველ საფეხურს, ასეთ მუხნარ-რცხილდნარს, რომელშიც, ძეძვის გარდა, შედარე-

მით მრავალ ჩნდება შეჯგაჯე და კორდის შემქმნელი ველის ბალახები ურო, წივანა, მათ ვარდა ბეგონდარა, იორდინეს სალაში და სხვანი. თუ ასეთ მუხნარში ძივება ვაგრძელდა, მუხაჲ და რცხილუ ჯაგდება და რაბდენიმე ხნის შემდეგ მივიღებთ მუხნარის ნაღვალს და რცხილს. ჯაგნარს, სადაც რცხილის ნაღვალად, ჯაგრცხილა ძლიერდება, მუხა კი მთლიანად ჯაგდება. სამაგიეროდ, მრავალდება ძეჭვი, ძეჭვიანის სხვა ზუნქები, და ტიბიური ველის მრავალი ბალახი ბევრჯგან ნიადაგი დაშლილა და გაღარცხილია. ასეთი ჯაგნარის აღდგენა ტყედ კიდევ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავაყრდნობთ და ცოტათოდენ მოვიღოთ ჭრებაჲ ჩავატარებთ.

ასეთ ჯაგნარში ძივება და ფიხის ჭრა თუ ვაგრძელდა, მუხა, რცხილა, ჯაგრცხილა, ნეკერჩხალი, იფნი და სხვა მუხის ტყის ელემენტი აღვიღად ჭრება და მათ ნალაგვეზე მთლიანად ბატონდება ძეჭვი, შეჯგაჯე, გრაცლა. ასეთი დაჯგუფება უკვე ტიბიური, ძეჭვიანი, რომელშიც უკვე კიდევ შეიძლება შეგვხვდეს მუხის ჯაგრცხილის, ნეკერჩხლის და მისთანათა თითო-თოილა ზუნქი. ასეთი ჯაგნარის აღდგენა ტყედ შეუძლებელია ტყის ჯიშების თესვის, რჯვისა და მათი მოვლის ვარჯზე, ასეთ ძეჭვიანში ტყის წარმომადგენელი საეგებით დარჩილიყო, ან სრულიად აღარ არის.

საქართველოს ძეჭვიანთა უზრავლესობა ნატყუვარზეა წარმოშობილი, ძეჭვიანს ტყე ჰყავს ვანდენილი, მაგრამ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ტყე მთის ფერდობა ძეჭვიანები ქართული მუხის ტყის შემდეგაა წარმოშობილი, დაბლობებში — გრძელუფნა, ქალის მუხის ტყის შემდეგ, შირაქელდარისაყენ — ნათელ ტყის შემდეგ და სხვა.

ვკვებ რაკი ტყე მოსპო, ვგერი ძეჭვიანზე მიღვა, ძეჭვიანები ბევრჯგან იღარ არის, ვატყხეს და ხანჯანსათყისად ვადაქციეს. ბევრჯგან მთის ფერდობი, ვერ კიდევა ვარჯი ძეჭვიანთა დაფარულა მთის ფერდობზე ესეც ვარჯი, მაგრამ საქმე ისაა, რომ, მას შემდეგ რაც ბარის სოფელს ტყე დაუშორდა მოსახლეობა ამ ძეჭვიანს მიაწყდა. ძეჭვის ფესვი და ძირი მსხვილი, სიწვავად ვარჯი აქვს. ამიტომ ჩვენში ტყე დაშორებულმა სოფელშიც იღო ვერაქვი და ძეჭვის ძირღესვიანად ჰყრის, ძირკვავს, ნიჭნის ფერდოს, ეს კი ხელს უწყობს და ამტარებს მის ჩამორცხვას, უფრო ვაბარიკვას და უკვე ნამდვილ უღანსოთა მცენარეებით დასახლება.

სწორედ ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლების ელემენტარულიკაცობა. ელემენტარნიმა უნდა შევიკვლიოთ შენა და სხვა სიწვავი. ესაა მთის ერთგობით ასეთი ელემენტრი მნიშვნელობა, რომელიც ტყეებში ვადაჩვენს ხელს უწყობს.

მთამალის ველზეც ტყეების უკან დასვენის

შედეგად წარმოიშვა, მაგრამ აქ ველებს წინ წამოწევას ძეჭვი კი არ უსწრებს, წინ ცქეჭო მთაში 1500 მეტრზე მაღლა არ შეიძლება, რომელიც ბალახული მცენარეა (ვკი ვარჯი, წივანა, კობრნილი, კიუფნა და სხვა). სამხრეთ საქართველოს ზეგნები—წალკა, ჯავახეთი, გომარეთ-ზურტაკეტი და სხვა დაფარული იყო ტყით. ჩრდილოეთითა და დასავლეთის ექსპონიციებზე ქარბობდა წიფლნარი და ნაჭენარი, სამხრეთისა და აღმოსავლეთისაზე — ფიჭვნარი და მუხნარი, აღმოსავლური მუხისაგან შექმნილი. ზეგნებით ბევრჯგან დაბლა იყო ჩამოსული არყნარიც ისპობოდა ტყე (ვკი დაუზრავილელი ჩეხე, საჭინლის ძივება), წიფლნარი და ნაჭენარი თანდათან ადგილს უთმობდა მუხნარს და ფიჭვნარს, მუხნარ-ფიჭვნარი — ლეიანის ლეიან მლეტ ისპობოდა და რჩებოდა შშრალი ადგილების ბალახული მცენარეულობა, რომელიც გამდიდრებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ველების და ანატოლიის ზეგანის ელემენტებით. ასეთი საფეხუკების ხელაზე დღესაც შეიძლება ვედახეთიში თეთრობის ხეობაზე, კობარეთის ხეობაზე, აბულ-სამსარზე ვადაჩვენლ ტყის ოღეში, ზურტაკეტი, დანალის მთაზე, გომარეთის მდამოებში და სხვა.

ამგვარად, ტყე ჩვენში ინტენსიურად ისპობა, უმთავრესად იმიტომ, რომ ადამიანი მის მოსპობაში უშუალო მონაწილეობას იღებს. ზუნების იმ ძალეს, რომელნიც ტყის მოსპობის ფაქტორნი არიან, თავისი დაუღვევარი მონაწილეობით ხელს უწყობს.

თუ შშრალი ადგილების მცენარეულობა ასე სწრაფად მრავლდება, ეს იმიტომაც, რომ ჩვენშიც წინათ შშრალი ადგილების მცენარეების ზღუდეები არსებობდა: ნათელ ტყეებში, ველის ტიპის ადგილსამყოფელობა, ტყიანი ადგილობის სამხრეთისკენ მიქციულ ციკლთა ფხვკობზე ასეთ ადგილების ახლომასობა, როდესაც შესაფერხ ახალი შშრალი ადგილი ჩნდება, ხროიკების მცენარე მასზე სწრაფად სსაღდება. მრავლდება და ბატონდება მუხნარული ქვეყნების მცენარეულობაც სწრაფად მოიწევდა და მოიწევს. ასე, მრავლითად, ანატოლიდან ვადა მოხვეწილი მცენარეები ცოტა რილია დასახლებული ჯავახეთში, ატენის ხეობაში, წალკაზე, ზურტაკეტი-გომარეთში და სხვაგან.

შუაბის ველებშია და უღანსობის ერთგობით მცენარე ძაღლნორა ნანახია სოფ. ვერდესა და სტალინის შირის, ასევე მოიწივენ ჩვენს ირანის შშრალი ადგილებს მკვიდრნი. მასისადაც, ჩვენს ტყეებზე იღრში მოაქვს ადალობარე მცენარეულობის უარყოფითს ელემენტებს, შუაბის, ირანის და ანატოლიის ველისა და უღანსოთა მცენარეულობის, და რა ვასაკვირველია, რომ, თუ ადამიანაც ხელი შეუწყო ამ იგარის, ჩვენი ტყეები ადგილად იხვედნენ და დახვედნენ უკან.

ასეთი პროცესი უფრო შენელებულად, მაგ-

რამ შინც მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოშიც. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში დანალექები — აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით — 4-5-ჯერ მეტია, მაგრამ ზაფხუ ბევრგან გვაღვივინი იცის, თუ ვერადონზე ტყე მოისპო და შოტიტელდა, ადვილად სახლდება შშრალი ადგილების მცენარეულობა. ასეთი კერები უკვე გაჩენილია ყვირილის, ძირულის, ჩხრიმელის ხეობებზე (გამამდიდრებელი წყარო — აღმოსავლეთ საქართველო), აქარის წყალზე, სუფსაზე და სხვებთან (გამამდიდრებელი წყარო-ანატოლია, ხმელთაშუა ზღვის სანაპირონი) კოდორზე, ზუგდიზე (წყარო-ჩრდილოეთ კავკასია, ხმელთაშუა ზღვის სანაპირონი). ეს პირველი ნიშნები იმის მარჯვენებელია, რომ განსაკუთრებული სიფაქიზითა და სისათუთით უნდა მოგვეცეთ ამ მხარის ტყეებსაც. თორემ გვიან იქნება თითზე ტყენანი.

• • •

საქართველოში ძველად ტყის ყადრი იყო. დღეს, იყოდნენ, რომ ტყეს ვაფრთხილებს უნდოდა, ამიტომ სახელმწიფო განიწმინდალაში ტყის მოვლა-პატრონობა ერთგვარად ახახული იყო, სახელმწიფო ტყის მოვლაზე ზრუნავდა.

ვახტანგ VI-ის კანონებში სწერია: „ტყე, პალაბი და წყალი ხელმწიფისაა“, ე. ა. სახელმწიფოაო. მაგრამ, ამავე დროს, ისიც კარგად იყოდნენ, რომ ბაღის კეთილდღეობისათვის ეს ყოველივე საჭირო იყო და ამასაც ითვალისწინებდნენ. ამავე კანონთა კრებულში სწერია: „სამი რომ არ დაეკუირებას კაცსა: ტყე, ბაღსი და წყალი“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტყის ჩუხვა ხელაღებთა წარმოებდა. არა, სახელმწიფოს ჰყავდა ტყისმცველი, მეთორღლენი, რომელთა ვალა იყო ტყის დაცვა.

ალექსანდრე მეფის 1430 წ. სიგელში, სადაც ჩამოთვლილი არიან სახელმწიფოს მოხელენი, ტყის მცველნიც არიან მოხსენებულნი. 1690 წ. მეფე ნაზარალიხანის სიგელში კი მოხსენებულია არ გე ვ ე ნ ი ს მ ე ვ ა რ ო ლ ე და სხვა.

ტყის ყადრი რომ ჩვენში კარგად იყოდნენ, ეს იქიდანაც დასტურდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ჰალის ტყეებში ტყის თავისებური, უადრესად რაციონალური მეურნეობა არსებობდა. ამ ტყეებისათვის ჯერ კიდევ შუა-საუკუნის სიგელები მოიხსენებენ სასარტყებს, მე-11-18 საუკუნის ძეგლების კი სასარტყებს გარდა მოახსენებენ: საკაფს, საშეშეს, საჯალჯეს, უკაფს, სასხლავს და მისთ. სასარტყეში აშხადებდნენ ჰეოს, მარგოსა და სარს, ხეებზე ამ მოთხოვნილებს მიხედვით იყო გამოყვანილი, დაბედილი, ჰალის ტყეებში ამ მიზნით ბევრგან დასაბედი ხეებს რვაოდნენ კიდევ. საჯალ-

ჯეში ძირითადად დატოვებული იყო ეკლიანი ბუჩქნარა: ჰაცივი, კუნელი, ვერხვები, ასკილი, კოწიხური, ჩიტავილა. ამ ბუჩქნარს წყურდენ სალომახად საჯალჯელე. სწავრებში — შეშა იურბობდა, უკაფში გამოჰყავდით სასოფლო-სამეურნეო იარაღის მასალა: ურმის ხელნეები, ზეწრები, გუთნის ყელი, სახლის თავხეები, კოჭები, ბოძები და სხვ. ტყის მეურნეობის ამგვარი წესი საქართველოში მეოცე საუკუნემდე მოჰყავდა. ასეთი ნაკვეთები იყო უმთავრესად ჰალისა და ვაყის ტყეებში, განსაკუთრებით კი ბევრი იყო მტკვრის, იურის, ჰციის, არავის, ქსნის და ლიხვის პირის ჰალეებში, კახეთში სპეციალური სასარტყები ცოტა იყო, რადგან ალუანის მარაქიანი ჰალა და ახლო მდებარე ტყე საკმაო მასალის იძლეოდა. აღმოსავლეთ საქართველოს ჰალის ტყეების მოსპობასთან ერთად შოისპო ტყის მეურნეობის წარმოების თავისებური წესიც. ევროპაში ასეთი ტიპის მეურნეობა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში წნდება, ჩვენში კი ასეთი მაღალკულტურული მეურნეობის არსებობის წერტილობითი დოკუმენტებით დადასტურება თუ მეთუ საუკუნეში გვაქვს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მეთუ საუკუნეზე ადრეც გვექონია და, აგერეთვე, იმასაც, რომ ტყის მოვლისა და სოფლის მეურნეობის წარმოების კულტურა ძალიან მაღლა მდგარა.

• • •

ტყე მარტო სილამაზე კი არ არის მხარისა, არამედ იგი ისეთი დიდი საუნჯეა, რომელიც ერის შრავალნაირ სისიციცლსა წაწყისებს ინახავს.

ჩვეულებრივად ტყე ისეთ ზუნებრივ საწარმოთა ძალად შიანითა, რომელიც უხვად იძლევა ძვირფას ხე-ტყეს: საშენს, სათევვეს, საშეშე და სხვა მასალას, გარდა ამისა, სხვადასხვანაყოფს: მავალის, პანტას, შვინდს, ზომარტლს, წიფლის წიწიბოს, რკოს და მისთანებს, ქერქს და ფოთოლს, საღებავის, წამლების და სხვანიეთიერებათა საკეთებლად, და სხვ. ეს მართალია, ამ შრავ ტყის მნიშვნელობა დიდია და განუზომელი, მაგრამ ჩვენში, როგორც შოთან ქვეყანაში, ტყის ეს მნიშვნელობა იზრდილება მისი მეორე უფრო დიდი მნიშვნელობით: ტყე ჩვენში, პირველ რიგში, ნიადაგის დამცველი, წყლის მარეგულირებელი და ჰაერზე განსაზღვრული ზემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია.

ჩვენი შოის ყალბები ტყით რომ არ იყოს დაფარული, ბარად არც ასეთი უხეშოსავლიანი ზალ-ფენახებმა, ჩიხისა და ციტრუსების, სამტრანალო და ტექნაფორი მცენარეების პლანტაციები და სახნავსათესი გვექნებოდა. ჩვენი ქვეყანა ევროპატრბობა და კლომატურა სადღერებათაც არ იქნებოდა განთქმული, უტყვეოდ ჩვენი შოის მდინარეა — ელექტროენერჯის

ეს დაუშვრტელი წყარო ბღ-ვენახებისა და ყა-
ნების მაცოცხლებელი ვა არ იქნებოდა, არა-
შედ ხალხის უზედურების წყაროდ გადიქვე-
ოდა, ჩვენი ხალხის ჯანმრთელობაც არ იქნე-
ბოდა ისეთი როგორც არის.

ქართველი ხალხი განთქმულია იმით, რომ
მსოფლიოს კულტურის საღარო გაამდიდრა
არა მარტო ხელოვნების შედევრებით, არამედ
მრავალნაირი კულტურული მცენარის ჯიშით.
საქართველოში შექმნილია 500-მდე ვაზის ჯი-
ში, 400-მდე ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის
და მისთანათა ჯიშო, მრავალნაირი პერეუ-
ლითა და ბოსტნეულით და სხვა მრავალი
კულტურული მცენარით. ამ შინაურ მცენარე-
თა უმრავლესობის წარმოშობა ტყესთანაცაა
დაკავშირებული. ვაზი ქალის ტყეებისა და
დაბლობთა ტყეების პირშითა, მთების წინაკალ-
თების ტყეებთან არის დაკავშირებული: ვაშლი,
მსხალი, ქლიავი, ბალი, ზღმარტლი, შინდი,
ყამბრო და სხვა. ნათელ ტყეების უკავშირდება
ბროწეული, ლეღვი და სხვა მრავალი. ჩვენი
წინაპარი დღევანდელ კულტურულ მცენარეთა
საწყისებს ტყეში პოულობდა, იქიდან გადმოჰ-
ქონდა თავის კარმიდამოზე, უფლიდა, აუშჯო-
ბეცებდა, არჩევდა და ამის შედეგად შეოცე
საუქუნემდე დიდი განმით მოვდა. მრავალი
ჩვენი ჯიშო ფრიად ფასობს ჩვენს საზღვრებს
გადაღმა (ვაზის ჯიშებიდან — საფერავი, რქა-
წითელი, ხიხვი, გორული და სხვ., პერეუბი-
დან—თეთრი დიკა, შავი დიკა, დღისი პური თეთ-
რი, დღისი პური წითელი და მრავალი სხვ.).

ტყის ხილველი მცენარეების მოშინაუბრების
პროცესებს დღესაც ვი ვხვდებით, განსაკუთ-
რებით ჩვენს შიგნ მხარეებში, თრიალეთზე,
გომპორზე და სხვაგან.

ტყე ვაჯარია და სიმშენიერე ჩვენი ქვეყ-
ნისა, ტყე ჩვენი ხალხის დაუშვრტელი ენერ-
გიის ერთ-ერთი ისეთი წყაროა, რომლმაც
მოგვცა საშუალება ქართველი ხალხი შეოცე
საუქუნემდე პირნათლად მოსულყოთ და მსო-
ფლიო კულტურის საღაროში თავისი წვლილი
შეიტანა.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიის 36 პრო-
ცენტი ტყითაა დაფარული. მართალია, ახლო
წარსულში ეს პროცენტი უფრო მაღალი იყო,
მაგრამ, თუ არსებულ ტყეებს გონიერულად
გამოვიყენებთ, არც ესაა ძალიან ცოტა. მიუხე-
დავად ამისა, ტყის პირდაპირი გამოყენების
თვალსაზრისით ჩვენ უტყეო ქვეყნად ჩავით-
ვლებით, რადგან ჩვენი ტყეების 95 პროცენ-
ტზე მეტი შიგნ ტყეა, ე. ი. ტიპიური ნიადაგის
დაძველი, წყლის შემწახველი და შიგნ მარე-
გულირებელი ტყე. იქ, სადაც შიგნ ფერდობზე
ტყე ასობოდა, ძლიერდება ვროზია, ნიადაგის
ჩაბორცება, ქანების დაშლა და ამის გამო
გასაქანი ვქდვება ღვარცოფებს. ეს პროცესები
განსაკუთრებით მკვეთრიადა გამოსახული ისეთ
მხარეში, სადაც შიგნ ფერდობებს დიდი დაქა-
10. „მნათობი“, № 3.

ნება, აქვთ და ძირითადი ქანებიც იღვრება
მშლელნი არიან. თავისებური წარსულნი გამრ-
კავასიონის ქედის სამხრეთი კალთებში და
შიგნ ტოტები ციკაბოა, ამავე ტყეებში
ქანებისაგან არიან შექმნილი (ქვიშაქვები, ში-
ფერის ფიქლები, კირქვები, კონგლომერატები
და სხვ.), რომელიც ძალიან ადვილად იშლე-
ბიან, საყმარისია შიგნ ფერდობზე ტყე პირწ-
მინდად გაიზრდოს, რომ ეს ფერდობი ღვარცო-
ფის დაუშვრტელ წყაროდ გადაიქცეს. ამას
ხელს უწყობს ისიც, რომ ჩვენი მდინარეების
უმრავლესობა შიგნ მდინარეა, კალაპოტიც
ძლიერ დაქანებული აქვს, რადგან შიგნელ
ფერდობზე წვიმის წყალი ნიდაგში და სრუ-
ლად არ ივრნება, ან ფრიად ცოტა და ნიადა-
გის ზედამირზე ნიაღვრად მოდის, რის გამოც,
მდინარის კალაპოტი სულ მცირე ხანში წყლი-
თა და შლამ-ბრეშით ივსება, მდინარე ვაკისი-
კენ დიდი სისწრაფით მოქვენება, ამ ახვედრულ
წყალსა და შსში გახსნილ დამწის პროდუქ-
ტებს თან მოაქვთ ყოველივე, რაც წინა ხვდე-
ბა; შიგნ ფარგლებს გამოცოლებული მდინარე
ვაკის კალაპოტში ვეღარ ვტყევა, ამოდის ნაპი-
რებიდან და ფარავს ყანებს, პლანტაციებს,
ბღ-ვენახებს; წყალდიდობა ვაკისის შემდეგ,
თვალწინ იშლება განადგურების სამწიელი სუ-
რათი: მრავალი ასეული ჰექტარი ან წყლისა-
განაა მოტაცებული, ან წარაყულია. გამოკ-
ლეულია (ავად. ე. გულისაშვილი, პროფ. გ. ტა-
რასაშვილი, დოც. ფარჯანაძე და სხვ.), რომ
მოტარებული ფერდობებიან წვიმის წყალს
10-ჯერ მეტე ტვიზა და ღორილი შიქვს, ვიდრე
ბალახით დაფარული ფერდობიდან, ხოლო, თუ
ფერდობი კალთა შერტული ტყითაა დაფარუ-
ლი, მაშინ იქიდან ტვიზა და ხრეში წვიმისა და
თოვლის ნაფურ წყალს თითქმის სრულიად არ
შოსდევს.

ამ საკითხს მსოფლიო მეცნიერებამ დიდი
ხანია უფრადლება შიქვითა და საყმოდ კარგად
შეისწავლა ტყის ნიადაგის ვადარცხვის პრო-
ცესები. ევროპის შიგნ ტყეებისათვის დადას-
ტურებულია, რომ ისეთი მდინარის აუზში,
სადაც კალთა შერტულია, 11 წლის ვანიავლო-
ბაში ვატანილია 521,8 კუბომეტრი მაჯარი ნა-
წილები, იმ აუზიდან ვი, ტყის კალთა 0,2 — 0,3
სიხშირისაა — 1701 კუბომეტრი.

დადგენილია, რომ დასავლეთ საქართველო-
ში ნატყევაირი ფერდობების ერთი ჰექტარიდან
ყოველწლიურად ირეცება 15-55 ტონა ნია-
დაგი და 64-440 კილოგრამი აზოტი.

ლაგოცხის სატყეოში ჩატარებულმა ცდებ-
მა დადასტურა, რომ ტყეყაში 10-ჯერ უფ-
რო მეტი იყო წვიმის წყლის ჩაშინადენი, ვიდ-
რე ისეთ ტყეში, რომლის კალთის შერტულე-
ბა 0,6 — 0,7 უდრიდა.

ატენის ხეობაში უტყეო ფერდობზე 339,5
მმ დანალექი დროს უტყეო ფერდობიდან მიწა
ჩამოიარეცხა 1435,9 კილოგრამი ჰექტარიდან.

ბალახით დაფარულიდან — 155,5 კილოგრამი, ტყინაში კი მიწა და მგარო ნაწილები წყალს არ გამოტრიანია.

მიწა, შლამნარევი და ღორღნარევი წვიმის წყალი ავსებს ხევეებს და დიდი სისწრაფით მოექანება ქვემოთ, ვაკისაკენ.

ვის არ ახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ მდ. ღურჯულის ღვარცოფმა ყვარელში რა საშინელება დაატრიალა, როდესაც მოულოდნელად მოგარდნილმა ღვარცოფმა სოფ. ყვარელს ერთი უბანი ქვიშა-შლამ ღორღში დამარხა. ღურჯულის ხევის ეს ბოროტება პირველი არ იყო და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არც უკანასკნელია: 1899 წელს მდ. ღურჯულის სოფ. ყვარელშივე დაანგრია 25 სახლი, 29 ბოსტო, წარიყა 25 ჰექტარამდე ვენახი, დაახლოებით 7 კაცი. 1906 წელს მან კიდევ უფრო დიდი უბედურება დაატრიალა: კვლავ დაანგრია მრავალი სახლი, ბოსელი, დაახლოებით რამდენიმე ათეული ადამიანი, შინაური პირუტყვი, წალეკა და წარიყა მრავალი ვენახი, ბაღი, სახნავე და სათიბი. თუ რა საშინელ ძალას წარმოადგენს ღვარცოფი, ეს თუნდაც იმით დასტურდება, რომ მან შიიდან ჩამოიტანა უზარაზარი ლოდი, რომელიც ათას ფუთზე მეტს იწონის.

1953 წელს ღვარცოფმა და ნაპირებიდან ამოკრანილმა თერგმა დიდი ზარალი მიყენა დარბაისს ხეობას, მრავალ კილომეტრზე დაანგრა გზა, წალეკა ხიდები, დაახლოებით და გოიტაკა ცხვრის ფარები და სხვა. ასევე დიდ ზარალს აყენებენ სოფლებს და ქალაქებს სხვა მდინარეებიც იმ ხეობებში, სადაც ტყეს უდიდრად ეპყრობოდნენ და ეპყრობიან.

იოანე ბატონიშვილი 30 წლის განავლობაში (წავიდა საქართველოდან 1801 წელს 9 თებერვალს, ვარაიკვალა პეტერბურგში 1830 წლის 15 თებერვალს) რუსეთის კულტურულ ცხოვრებასთან დაახლოებული, ნიჭიერი და განათლებული მეცნიერი, დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ამდიდრებს თარგმანებითა და ორიგინალური ნაშრომებით ქართულ წერილობითს კულტურას, თავს უყრის და ინახავს ძველ წერილობითს ძეგლებს. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მდიდარი კოლექცია გადავიდა ამჟამად ღენინგარის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ო. ბატონიშვილის კოლექციაში 370 ხელნაწერი (დიდი თუ პატარა ტანის) წიგნი იყო. ამჯერად ადგილზე ინახება 192 ხელნაწერი, სხვა 178 ხელნაწერი გადმოვიდა საქართველოს 1922

წლის 29 აგვისტოს საქომსაბჭოს დადგინებით და ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშვიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.¹

ღენინგარის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერთა ფონდი იოანე ბატონიშვილისეული ხელნაწერთა იწყება, ამას მოჰყვება რიგის მიხედვით კარადაში მ. საბინინის ფონდი და სხვათა.

ა. ბატონიშვილისეული კოლექციის შესახებ განყოფილებაში ინახება ცალკეულ ფურცლებზე საინვენტარო ჩანაწერები, რომლებიც დღემდე შინეული იყო ამ კოლექციის კატალოგად. საინვენტარო ჩანაწერები იძლევა ასეთ ცნობას: ნომერი, დასახელება (ხშირად მცდარი) და ფურცელთა რაოდენობა. ეს ჩანაწერები მე-19 საუკუნეშია შესრულებული ცუდი ხელით (რუსულ ენაზე).

ბ. ბატონიშვილისეულ კოლექციას რიგის მიხედვით მოჰყვება, როგორც ზემოთ ვთქვი, მ. საბინინის კოლექცია, ესე იგი, ხელნაწერების ის ჯგუფი, რომელიც მ. საბინინს შეუგროვებია და მიუყვამიდა ბიბლიოთეკისათვის. ხელნაწერთა ამ ჯგუფს ეწოდება საბინინის კოლექცია.

ბიბლიოთეკის გამგეობას დაუვალებია პეტერბურგის უნივერსიტეტის პრაფკატ-დოცენტ ნიკო შარისათვის, შეედგინა მოკლე კატალოგი საბინინისაგან შექმნილ ქართულ ხელნაწერებზე და 27 ხელნაწერ წიგნზე. მოკლე კატალოგი დაბეჭდილია.

მ. საბინინის კოლექციიდან ამჟამად ფონდში დაცულია მხოლოდ 10 ხელნაწერი, ხოლო 17 ხელნაწერი გადმოვიდა საქართველოს მუზეუმში 1923 წელს, დასახლებული დადგინების საფუძველზე. რიგით შემდეგ მოდის გრენის კოლექცია. ა. ნ. გრენს კავკასიაში მოგზაურობის დროს შეუგროვებია 17 ქართული ხელნაწერი და პეტერბურგის საჯარო ბიბლი-

¹ ღენინგარადიდან დაბრუნებული ფონდის დიდი რაოდენობა მოხდა საისტორიო-საეპოგრაფიო საზოგადოების H — ფონდში და აღწერილია ჩვენ მიერ. იხ. ქართული ხელნაწერების აღწერილობა, ტ. V. 1949წ.

ოთვეის გამგეობას გრენისაგან შექმნილი კოლექციის განხილვა უთხოვია ნიკო მარისათვის. გრენას კოლექციის მოკლე კატალოგი დაბეჭდილია.

ამ კოლექციიდან ამჟამად ადგილზეა მხოლოდ 9 ხელნაწერი, 8 ხელნაწერი საქართველოს მეტეუმშია. ფონდში შემდეგ მოსდევს დორნის კოლექცია, სახელწოდება. მიუღია მის ვაშო, რომ ბ. ა. დორნის, აღმოსავლური ენების სპეციალისტს, უწარმოებია პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ენებზე დაწერილი ხელნაწერების აღწერა და გამოცემა აღწერილობა ფრანგულ ენაზე 1852 წელს. დორნის ფრანგულ ენაზე 14 ქართული ხელნაწერი აღწერია და დაუჯგუფებია დარგების მიხედვით. ასე, მკვალათად: თეოლოგია — შესულია 9 ხელნაწერი, ფილოსოფია — შეტანილია 1 ხელნაწერი „სიბრძნე სიკრისა“, ისტორია — წერილები ერეკლე II-ის, სოლოზნი-ის და მათი ასულების. ეპიკური ძეგლები — ყარაბაღიანი* და აქილია და დამანი*, ამის მეტი სხვა არავითარი ცნობა არ გვაქვს დორნის აღწერილობაში. ამჟამად ადგილზე ინახება მხოლოდ 3 ხელნაწერი და ამას ეწოდება დორნის კოლექცია. ამის შემდეგ მოდის „ახალი სერბის“ სახელწოდებით ხელნაწერთა ერთი ჯგუფი, სულ 26 ხელნაწერი, ადგილზე არის 14 ხელნაწერი. „ახალი სერბის“ 14 ხელნაწერზე ცნობები ინახება ცალკე ყდაში, რვეულის ფურცელზე. ცნობები ამოწერილია სხვადასხვა წლის ანგარიშიდან. ირკვევა, რომ თითოერთი ხელნაწერი შემოსულობის მიხედვით ისწავლებლიდა და იბეჭდებოდა ბიბლიოთეკის წლიურ ანგარიშთან ერთად, ვინაიდან ეს ცნობები განხეული იყო სხვადასხვა ნაბეჭდ წიგნში, „отчет“-ებში, ამოწერეს და ამოწერილი პირები ინახება ერთად. ქართულ ხელნაწერთა ფონდის უკანასკნელ ჯგუფი, აქამდე განუზილავი, შეესწავლელ ხელნაწერთა ჯგუფი იყო ჩვენ შევისწავლეთ ეს განუზილავი კოლექცია და აღმოჩნდა 7 ხელნაწერი, რომლებიც თანამშრომლებს უპოვნიათ აღმოსავლური ხელნაწერების დაბარისხების დროს. ამით იხერება ქართული ფონდი, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ქართული ფონდის შედგენილობა ასეთია:

| | | |
|-------------------------------|---|-----|
| 1. იოანე ბაგრატიონის კოლექცია | — | 192 |
| ხელნაწერი, | | |
| 2. მ. საბინინის | „ | 17 |
| 3. ა. ნ. გრენის | „ | 9 |
| 4. ბ. ა. დორნის | „ | 3 |
| 5. „ახალი სერბი“ | „ | 14 |
| 6. „განუზილავი“ კოლექცია | | 7 |

სულ — 242 ხელნაწერი.
ჩვენ მიზნად გვაქვს შევადგინოთ ამ ქართული ფონდის ერთიანი საკატალოგი აღწერილობა, რის მიხედვითაც თითოეული ძეგლის

გარეგნული სახე და შინაარსი ნათქვამი, გავიგოთ ხელნაწერი ძეგლის ლექსიკონი და ხელნაწერის შექმნიდან თუ გაღწეულია თუ არა თავდასასვლილი (ხელნაწერის ისტორია), გავარკვეოთ თითოეული ხელნაწერის მნიშვნელობა და ხელი შევეწყობო სხვადასხვა დარგის მკვლევარებს ხელნაწერ პირველწყაროზე მითითებით.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ქართული ხელნაწერი ფონდი შეიცავს ფართო სფეროს მათკაცს. ფონდში წარმოდგენილია შედეგი დარგები: ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია, ენათმეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა, მათემატიკა, მედიცინა, ლეთსამეტყველება, აგიოგრაფია და სხვა. ქართულ ფონდში შემავალი ხელნაწერთა მნიშვნელოვანია ნების, დაწერილობის და თემატური შრავალკომპონენტების მიხედვით. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ფონდი დაუმრეტელ წყაროს იძლევა რუსეთისა და საქართველოს სულაერი ძეგლებზე ურთიერთობის ისტორიისათვის. უამრავი წერილობითი მასალა ვხვდებით სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისათვის. ხელნაწერი ფონდი გვაძინებს პირველწყაროს აგრეთვე ბაგრატიონთა კართან დაკავშირებულ შვიგნობარ-მოღვაწეთა წრის შესახებ და მათ მიერ გაწეულ შრომის ცხოვრების ახალ გარემოში. მათ დაკავშირებას რუსეთის კულტურულ ცხოვრებასთან.

ქართულ ფონდში მოქცეული ხელნაწერებია ქრონოლოგიურად XI — XIX საუკუნეებს მოიცავს. ყველაზე ადრინდელი ხელნაწერია იოანე ბაგრატიონისეული სახარება № 212, დაწერილია ტბეთში, ეტრატზე, ნუსხურით. № 210 იმავე კოლექციისა, ოთხთავი, ეტრატზე ნუსხურით. ახლავს თარიღი „ქართონიყისა ცხრასთ მე მე წელსა სრულ ვყავ.“ ეს თარიღი ჩვენ შემდგდროინდელ (შეიძლება ფიქტურია) მინაწერად გვაჩვენება, თორემ ამ მინაწერით 995 წელს უნდა დასრულებულიყო ეს ნუსხა.

ამ სახარების შესახებ დაწერილებით აღწერილობაშია ცნობები.

ამჯერად მივუთითებ მხოლოდ ერთ მინაწერს, რის მიხედვით ჩვენ თეოლოგის ცოცხლება თავისი შრომისმოყვარეობით უპრეტენზიო ქართველი კაცი: „ღმერთო, შეიწყალე ამისი შემკვამევი ბეროც ვლია. უფალმა ღმერთმა უწყის, ავი ვსაკეთებელი იყო. რაოდენა ძალმელვა სიკეთისა, მოვიპირევი, ძმანო, შენდობასა უყოფდეთ“.

იოანე ბაგრატიონისეული ხელნაწერი № 29 არის მოსე ხანელის „ამირან დარჯანიანი“ დათარიღებული ნუსხა 1699 წლით, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია. ფრად მნიშვნელოვანია ანდერძ-მინაწერები, რომლებიც გვცინობს ხელნაწერის შექმნის ისტორიას.

ა. ბაგრატიონისეული ხელნაწერი № 223, პროცე დიადროსის „კავშირი“, გადაწერილია 1757 წელს ითანე ორბელიანის მიერ, მეტად საინტერესოა ნუსხაა. ფილოსოფიური ლიტერატურის ქართული თარგმანების ისტორიის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის ანდერძს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი მამუცა ბარათაშვილის „ქაშნიკი“ იმავე კოლექციიდან № 36, კალიგრაფიული ხელით შესრულებული ნუსხაა.

ქაშნიკ სტროფებში ჩასწორებები ვახტანგ VI-ის ნამუშევარი უნდა იყოს. ვახტანგ VI-ის შრომაზე გვაითმებს ხელნაწერი № 33, პაომატიკის სახელმძღვანელო, რომელიც მელქისედეც კავკასიის მიერ არის გადაწერილი და ვახტანგ VI-ის ბრძანებით თარგმნილი რუსულიდან ქართულად. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ესე წიგნი მე, მიხაილ, ვთარგმნე რუსულიდან ქართულად. ოდეს მობძანდა მეფე ვახტანგ ქართლისა მოსკოეს. მან მიბრძანა და თეით მანვე შეაფურცლეს ენით გაასწორა და ვრცლად დასწერა საუკუნომცა არიან წიგნი და ესანი ცხოვრებისა მისისანი, ამინ“.

ა. ნ. გრენის კოლექციიდან № 5 (18) არის 1700 წელს გადაწერილი „ზატიკი“, ამ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებს და ქრონიკებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის წარსულის ისტორიისათვის. ძველი შექმნილია კავთისხევის ბეგლემის ლეთისშობლის ტაძრისათვის შესაწირად. ამ ხელნაწერზე 78 წლის შემდეგ მინაწერის აზრი ასეთია: „მე, გიორგი სახლბუღის ძემან დავითმა, შევაფურცევი და განვაბეღებინე სახსენებლად შობლისა ჩემისა ქართულის ასულის გუქასთვის. ვინცა წაიკითხოთ შენდობა უბრძანეთ...“

№ 8 (1) (გრენის კოლექცია). ჩვენი აზრით, „რუსულანინის“ ნაკული ნუსხაა. ტექსტში გვხვდებით სათაურებს: „ჯამშედის ამბავი, ხელმწიფის ქალის ამბავი, ფრიდონ ხელმწიფის ამბავი, მანუჩარ ხელმწიფის ამბავი, ჩინეთის ხელმწიფის ამბავი და სხვ.“

ნ. მარი ამბობს: „Данный текст не представляет собою пересказ „Шах-наме“, в большинстве же случаев, хотя имена те же, что и в „Шах-наме“, но рассказы являются истории совершенно иные“ (Отчет Имп. Пуб. библ. 1892 г. стр. 243).

ამ შენიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს მკვლევარისათვის ტექსტის კრიტიკულად დადგენის დროს.

№ 9 (4) გრენის კოლექციიდან „გულასპიანი“ 1861 წელს არის გადაწერილი. გადაწერა აცხადებს, რომ დედა ამ ხელნაწერისა პირველი ნუსხაა, საქართველოში ნაპოვნიო. ამ ცნო-

ბასაც მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიის მკვლევარისათვის.

№ 15 (12). (გრენის კოლექციაში) „მითრიანი“ საინტერესოა ძველია. ტექსტის ხელი ვახტანგის ხელს ჰგავს. კ. კვეციძე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 389-391 გვ. გვ. „მითრიანი“ შენაარსს იძლევა და სქოლიოში აღნიშნავს: „მეორე ნუსხა ინახება ლუნინგრადის გრენის კოლექციაში 15 (18). უნდა იყოს: 15 (12).“

სრულად არაფერია ნათქვამი ამ ძველთან ვახტანგ VI-ის დამოკიდებულების შესახებ. ნიკო მარს ამ ნუსხის შესახებ ამბობს: „Мириани“ роман царя Вахтанга (I) (არ არის სწორი არც რომანია და არც ვახტანგის ორიგინალური ნაწარმოებია. ზღაპარია, რაზედაც კ. კვეციძე მითითებს) рукопись XVIII века, без начала и конца. 53 л. Роман (I) этот был переведен на французский язык академиком Броссе. „Отч. И. П. Б. 1892 г. стр., 274.“

იმის დასასაბუთებლად, რომ ვახტანგ VI-ს ეკუთვნის ტექსტი „მითრიანი“, ნიკო მარს საბუთი არ მოაქვს, მაგრამ ვახტანგ VI-სთან ამ ხელნაწერის დაცემის შესახებელია. ხელნაწერის ხელი გვაფიქრებინებს, რომ უნდა იყოს ვახტანგის მიერ გადაწერილი ბატონიშვილობის პერიოდში და, სავარაუდოა, იქნებ მისი ნათარგმნი არის. ტექსტის ხელი იძლევა ამის საფუძველს-ვახტანგის ხელს ჰგავს. ეს ნუსხა საინტერესოა ლიტერატურის ისტორიისათვის.

მ. საბინინის კოლექციიდან მთელ რიგ ხელნაწერებს აქვს დიდი მნიშვნელობა კულტურის ისტორიისათვის. ასე, მაგალითად, № 83 ძვირფასად შექმნილი დიპლომა თეიმურაზ ბაგრატიონისა, რომელიც მისთვის მიუცა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის 1837 წელს. ნაწერია ფრანგულ ენაზე, ასევე 832 დიპლომა, ვაიკოშვილი თეიმურაზისავე სახელზე Королевским обществом антикваров в Копенгагене 27/1 — 1844 წ. გერმანულ ენაზე. ამ ხელნაწერი დოკუმენტით ერთი ბატარა ფაქტობრივი მასალა ემატება თეიმურაზ ბაგრატიონის ბიოგრაფიის.

ბ. ა. დორნის კოლექციიდან ხელნაწერი, № 646, „ლოცვანი“ პატარა ზომისაა, შეწყვილია ბირდღერებითა და ილუსტრაციებით. იშვიათად დამუშავებულ ქაღალდზეა ნაწერი (დორნი მასალად პერგამენტს ასახელებს!) ნუსხურით. ხელნაწერში 40 ილუსტრაცია არის, შესრულებული უნდა იყოს რუსი მხატვრის მიერ, ძველი იძლევა ამის საბუთს. ეს ხელნაწერი ხელეწიფების ისტორიისათვის არის მნიშვნელოვანი.

ტექსტის ბოლოს მხედრულით ნაწერს ბაგრატ ბატონიშვილის ლოცვის საქართველოს

კულტურისა და პოლიტიკურ ისტორიისათვის იქვს მნიშვნელობა.

თანე ბაგრატიონისეული ხელნაწერი, № 53, უნაკვს მასალას შეიცავს „ხელმწიფისა“ იესტორიის, გოგია აღვექსანდრეს-ქე ბაგრატიონის ლაიაკული მემკვიდრეობიდან. ამ წიგნში („ყარამანიანი“) გოგია ბაგრატიონის ხელითვე არის ჩაწერილი მისივე ლექსებო, რომელთა შესახებ „ხელმწიფისა“ ანდერჰ-მინაწერში ამაბობს, რომ სხვა ლექსები აქა-იქ მიფარული დამწერიოთ. ამ მიფარული ლექსების ძებხას აწარმოებდნენ მკვლევარები, ამ ნუსხამ კო ზოგიერთს მიგვაგნებინა.

„ახალი სერიის“ ხელნაწერთა ჯგუფი განსაკუთრებით უყრადღების ღირსია, უამრავ მასალას მოიცავს საქართველოს ისტორიული წარსულის ნათელსაყოფად. ამ „სერიის“ დაკომპლემტებასა და განხილვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი ჰაქარაძეს. ხელნაწერი № 14 „ახალი სერიიდან“ სახარება-სამოციქულოა ეტრატზე ნაწერი, 880 ფურცელი. ნუსხური XVI საუკუნის შეიმღება დათარიღდეს. ხელნაწერის მინაწერები აცოცხლებს XVI საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ყოფას. მოხსენებულ პირთა მიხედვით ხერხდება ტექსტის დათარიღება.

ქობისტრე შარაშიძე გასცნობია ხელნაწერს 1955 წლის 23 თებერვალს და ხელნაწერის შესახებ იქვე ყუთში ჩაუდგია ჩანაწერი: „Почерк нельзя отнести к классической эпохе грузинской культуры; переписчик основной части рукописи Зосим Валели известен и другими своими трудами, он жил в самом конце XV и в начале XVI в.н., к началу XVI в. относится также царствование в Картли царя Давида, имя которого упоминается чуть ли не на каждой странице“ მკვლევარ ქობისტრე შარაშიძის აზრი ხელნაწერის დათარიღების შესახებ საყვებით მართალია და ჩვენც დავყვარდებით ამ მოსაზრებას. ამ ხელნაწერის ყდაზე გადაყრული ქსოვილი ტექსტის თანადროულია, ქსოვილებზე მომწევე საყვილისტიისათვის საინტერესო მასალა ქართული ქსოვილის შესასწავლად.

„ახალი სერიის“ № 17 პერგამენტის ორი ფურცელი მხარობელთა გამოსახულებაა. ეს ორი ფურცელი პერგამენტი მხატვარისათვის მნიშვნელოვანი ძველია სურათები შეკრულბულია სათელი საღებავებით, ქართული ტიპის სახეები გვაფიქრებინებს, რომ შესრულბული უნდა იყოს ქართული მხატვრის მიერ კლასიკურ პერიოდში.

ამვე სერიიდან ხელნაწერები № 8,9 სახარებას ნაწვეებება (მერგამენტის 48 ფურცელზე) გადაწერილ ვეარაუდობთ მოხსენებულ პირს „გიორგი კუტიასიძეს“. ხელნაწერი X საუკუნის ასომთავრული ხელით არის შესრულბული. „კატალოგის“ ფურცელზე ასეთ 11. „მნათობი“ № 3.

ცნობას ვითხელობთ: „отрывки грузинских Евангелий V, VI или X век“. (2) ხელნაწერი შეუძენიათ 1879 წელს, რა ხელით არა ჩვენს დამწერლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ამვე კოლექციიდან უყრადღებას იპყრობს დიდი სიფაქიზით შეფუთული და საგანგებოდ დაცული, კილზე დაწერილი ორი ფურცელი ეს ხელნაწერი არის ფრაგმენტი ფსალმუნიდან. VIII-IX საუკ. საგანგებოდ დაცულობა ადასტურებს ამას, თუ რაოდენი სიფაქიზითა და სიფარულით ეპყრობოდნენ ქართულ ხელნაწერ ძველებს XIX საუკუნის რუსეთის მწიგნობრები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ კავკასიის ზალთა კულტურული ძველების დაცვით, მათი შესწავლის მიზნით.

ჩვენ მიერ შესწავლად იქნა ბიბლიოთეკის ქართულ ფონდში დაცული ახალი ვარკვევული ჯგუფი ხელნაწერებისა, იყო სულ 7 ხელნაწერი, ახალ, დისამუშევრებელ კოლექციაში აღმოჩნდა ერთი, განსაკუთრებით საყვარადღებო, ნუსხა, № 27: ქართულ-თურქული ლექსიკონი, 38 ფურცელი, თურქული სიტყვები ნაწერია ქართული ტრანსკრიპციით. იწყება „ბ“ ბნელი (ქარანლუხ (მატი) ქაზ... და ახე შემდეგ გრძელდება „ნ“ წიხალი (ილაქ) წითელი ყირიზი (წებო) თუთხა... „ხელნაწერზე სალექსიკონი ხასიათის მინაწერებია. ამ ტიპის ხელნაწერი დაიცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა Q ფონდში (ახალი ფონდი). ირკვევა, რომ ერთი ლექსიკონი შედგენაზე და რამდენიმე ნუსხა არსებობს. ლექსიკონოგის ისტორიისათვის ამასაც მნიშვნელობა აქვს. სხვა დანარჩენი ხელნაწერები ამ ახალი ჯგუფიდან XVIII-XIX საუკუნისა საყვარული თხზულებებია და მათი მინაწერები საინტერესო მასალას წარმოადგენს.

ჩვენ არაფერია ვითქვამს დარგობრივად მნიშვნელოვან ხელნაწერებზე, მხატვრული ლიტერატურიდან საინტერესო კრებულებზე, სამკურნალო წიგნებზე, ლექსიკონებზე და სხვ. ყველა დარგის წარმომადგენელი ძველები მეტ-ნაკლებად, როგორც ტექსტი ისე ტექსტზე დართული ჩანაწერები, თავდურცილი თუ ანდერჰი ბევრ მასალას გვაწვდის რუსული და ქართული კულტურული ურთიერთობის ასახუნელად, აგრეთვე, გვაწვდის პირველწყაროს ეროვნული კულტურის ამაღლებისათვის ზრუნვისა და თავდაღების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ფონდის ავტორგრაფები, რომელთა ავტორგრაფუნდა ჩაეთვალოთ ბაგრატიონთა სწავლული შტო და ის წრე ქართველებისა, რომლებიც რუსეთში ცხოვრობოდნენ და შემოქმედების შრომას ეწეოდნენ, (განსაკუთრებით პეტერბურგში მცხოვრები ქართველები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან). ჩვენ ვამოტყუნებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, მათი ავ-

ტოგრაფების საშუალებით, რომელთაც მნიშვნელობა აქვს მე-19 საუკუნის პირველი ათიანი წლებიდან.

„ახალი სერიიდან“ ხელნაწერი № 4, გადაწერილია 1821 წელს ბელგრადაში. გადაწერილი ასე ზაქარიას-ძე გაბაშვილი შოგვეთხრობს იმ სერიოზულ და მთხვე შრომებზე, რაც ტექსტის აღდგენისათვის ჩაუტარებია და ბოლოს ასე ამთავრებს: „აღესრულა სამხთო ლიტურგია წმიდისა იოანე ოქროპირისა, რომელი ესე აღუწერე სულიერსა მამასა და მოძღვარსა ჩემსა ვიწროის დიდებულისა ევლესიისა არხიმანდრიტსა ზახარიას, მე ყოვლად უღირსმან პროთოიერმან ზაქარია მოძღვრის ძემან გობაონმან ასე, პურობილებასა და ექსოხიობასა შინა მყოფმან ქალაქსა ბელგორათს მონასტერსა შინა წმიდისა ნიკოლოზის საკვირველმოქმედისა ქრისტესით წელსა ჩუკა, ოცესა ივნისსა კ“. ასე გაბაშვილის პიროვნების შესახებ უკვე ითქვა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში, მაგრამ ამ ავტოგრაფულ ანდერძს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ასე გაბაშვილის თავდადასავალის დოკუმენტალური ჩვენებისათვის.

ან კიდევ: ხელნაწერი იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან, № 358, დართული აქვს პეტრე ლარიძის ლექსი „მხილება“. ლექსში გადმოცემულია სამეგრელოს დედოფლის ნინოს ტრესე-ოში ყოფნის გამო სამეგრელოს მცხოვრებოთა გულსტკივილი. ნაწარმოებში ჩანს პოეტის პატრიოტული იდეა (დასახელებული ლექსი მთლიანად შეეა აღწერილობაში).

მ. საბინინის კოლექციიდან № 13 (1), ხელნაწერი „წიგნი სიბრძნე-სიკრტისა“. გადაწერი-

ლია 1814 წელს ბაგრატ ბაგრატიონის მიერ. თხზულებაზე ავტოგრაფული ფაქტობრივი მკაფიო საუკუნის პირველი ნახევრის ~~საუკუნის~~ პრაქტიკის ერთ მონაცემთა გეაცნობს, ევროპულ, ქართველ ბაგრატიონთა კარის მდგომარეობისა და საქმიანობის ნათელ სურათს იძლევა. ავტოგრაფულ ანდერძში ბაგრატ ბაგრატიონი წერს: „თვესა აპრილსა 26, თუმცაღა არა ჯერ იყო ჩემ მიერ წიგნისა ამისა აღწერა, ვარა ვინაითგან ვიყავე მწირ მამტლით ჩემით დიდსა როსიისა შინა, ამაღ აღარ მივეც თავი ჩემი უქმობასა, მწუხარებასა და მითი ვანვარტე დრო რაოდენიმე. იძულებულმან დისა ჩემისა შეუღლისა თუთ მოურავის, თავადის ჩოლო-ყაშვილისა დურმიშხანის ასულის ჩერქვეზი-შვილის სულხანის კნეინას სოფიოსაგან, რა-შელმანცა მიაქლა წიგნისა ამის აღწერა და ვერ ურჩ ვეჭმენ მისსასა. უკეთუ შეცდომა რამე აბლოთ. ნუ გამკიცხავთ ამიტომ დედანი დიდათ ცუდი ნაწერი და უკანონოთ დათხუ-ლი იყო და საშმის ვაჭირებით ვამოვსწერე ესე წიგნი წელსა 1814, აპრილის 26 სრულ იქმნა, ვასილის ოსტროვში, ზამთრის სახლში.

აღწერა წიგნი ესე მალბენელ და მარტოს გამაძღვინებელი „სიბრძნე სიკრტისა“ ხელითა მეფის ვიორგის ძის, ბაგრატის მიერ, სამეფოსა ქალაქსა სანჯათ პეტერბურღსა 1814 წ.“

ამ პერიოდის შემსწავლელ მკვლევართათვის ამოწერილი ანდერძი ერთ-ერთ კარგ დოკუმენტს წარმოადგენს.

ასეთია ლენინგრადის საეკარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ზოგადი სურათი.



უილიამ ბლეიკი

ინგლისური ლიტერატურისა და მხატვრობის ერთ-ერთი თავისებურია და ორიგინალური მოვლენა პოეტი და მხატვარი უილიამ ბლეიკი (1757 — 1827).

ბლეიკის თითოეული და მდიდრმხატვრული პოეზიით იწყება ინგლისური რომანტიზმის ოქროს ხანა. ის ამბობენითი პროფეტული პათოსი, რომელიც ნიშნდობლივია ბაირონისა და შელის რომანტიკული პოეზიისათვის, ის, რაც ინგლისურ პოეზიაში რომანტიზმმა მოიტანა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში — მითოლოგიურ-მიბლიურ სიუჟეტთა გამოყენება დიდი რევოლუციური განწყობილების გამოსახატავად, განმანათლებლურ რაციონალიზმისადმი დაპირისპირება, პოეტურია სიახლე — უკვე ბლეიკის წარმტაც პოეზიაში იწონებენ თავს შეილის ვაზდებულებით, სიღრმითა თუ ძალით.

რომანტიკოსი-ამტიმისტი ბლეიკი მუდამ მომავალს გასცქეროდა: „ყოველი პატროსანი კაცი წინასწარმეტყველია“, — ამბობდა ბლეიკი. მან თავის პოემებს „წინასწარმეტყველური წიგნები“ უწოდა, რათა იგი აიგეუებს პოეტის შისიას წინასწარმეტყველს მისისათან. ერთგან ბლეიკი პირდაპირ აცხადებს: „ისმინეთ პოეტის დაღიდე ყველამ, ვინც აშყის, წარსულს, მომავალს ხედავს“.

ბლეიკი თავის პოეტურ კრებულებს თვითონ შექდებდა გრავირული წესით და ურთავდა მით მეტად ორიგინალურ საყუთარ სურათებს. ის, რაც არ გამოსახებოდა სიტყვით, განსახიერებებს პოელობდა სურათების მლასტიკურ სახებში. ბლეიკის ეს წიგნები ხელოვნების უნიკალური შედგენილება. ბლეიკი აგრეთვე შესრულებული აქვს „სახატების“ და დანტეს „ღუთებრივი კომედიის“ იშვიითი ილუსტრაციები, ასობით გრაფიკული, აკვარელური ნამუშევერები. ბლეიკის დროის კრიტიკა კი უგუთებულყოფდა გაბედულ ხელოვნს.

როგორც მხატვარი, ბლეიკი მისი ეპოქის ინგლისის ხელოვნების არახელი პროტესტანტია. ბლეიკი სასტიკად ვმობდა აკადემიზმს, კლასიკური მინერებისადმი მიზაძვას, რის ვამო იგი პრერაფელტ პოეტებმა და მხატვრებმა თავის მამათვარადე კი აღიარეს.

ბლეიკის ცხოვრება მოკლებულია ისეთ თავგადასავლურ რომანტიკულ ამბებს, როგორც შელისა და ბაირონისა. მას არც რაიმე სკოლაში უსწავლია ოდესმე. ღამანშიც არასოდეს გიდა-

ულახავს. იგი დაიბადა მეწინდის ოჯახში, 1757 წლის 28 ნოემბერს, ლონდონის ხელოსანთა და ამქართა უბანში, სადაც თითქმის მთლიანად გაატარა თავისი 70 წლის ცხოვრება.

ბლეიკს ბავშვობიდანვე აღზარდა მხატვრობის ბრწყინვალე ნიჭი. 14 წლის ასაკიდან თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა გრავირად. მან მინიც იშვიითი განათლება მიიღო. გამუდმებით სწავლობდა უცხო ენებს, ბრწყინვალედ გაეცნო რენესანსის ხელოვნებას, გახდა მიტელანჯელოსა და დიურერის თაყვანისმცემელი. 1778 წელს, 21 წლის ბლეიკი უკვე სამეფო აკადემიის წევრია. ეს კი იოლი საკმე არ იყო. მალე მან დასტოვა აკადემიის შემზღვეული გარემო, რადგან „ის იყო კაცი ნიღბის გარეშე“ (აწერია მის საფლავის ქვას).

1783 წელს, 26 წლის ბლეიკმა გამოსცა პირველი კრებული „პოეტური ნაწახატები“. მრავალი ლექსი შესული ამ კრებულში ინგლისური პოეზიის ნამდვილი მარგალიტია. „პოეტურ ნაწახატებში“ ვხვდებით, როგორც მდიდარ პოეტურ ფანტაზიას, აგრეთვე ხალხური ხალადის სისადავეს, ელიზაბეთის ხანის ტკბილი ლირიკის, აღორძინების ხანის შედიტატიურა პოეზიის უბადლო პოეტურ ათვისებას.

საერთადღებთა პოემა „უილიამ ბონდი“. მთავარი გმირი უილიამი ცხოვრების პრაქტიციზმის, ეგორისტური „მე“-ს კარნახით გადიწვეტს მიატოვოს ავადმყოფი სატრფო და სხვა ქალწულს და უკავშირდეს. მასში არის ორთაბრძოლა კეთილსა და ბოროტს, პუმანურ გრძნობათა და ეგოიზმს შორის. იმარჯვებს გრძნობა და სიყვარული, უილიამი ამბობს: „მე მეგონა სიყვარული თბილ მზის სხივებთან არის, ო, არა, მას მოვიარის შექში ჰქონია ბინავ მე სიყვარულს დღის სინათლეში ვეძებდი, მაგრამ ტკბილი სიყვარული დამის წყვდიადი ყოფილა. ეძებეთ სიყვარული სხვის იარათა განკურებაში, სხვისი წუხილის გახარებაში, ღამის სინელეში, ზამთრის თოვლში, განწირულუბნსა და გარიყულთა შორის ეძებეთ სიყვარული“. პოეტს მიანდა, რომ გონებაში არის მარადისი ჭიდილი კეთილსა და ბოროტს შორის; იგი ერთ-ერთი პირველთაგანი აყენებს ეჭვის ჭვეშ განმანათლებელთა რაკიონალიზმს.

ბლეიკის პოეზიის მოწინავე პოეტურული მიზანდასახულობა მოჩინს ბალადში „მეფე გვინი“. „მეფენო, ჩემს ლექსს დაუტევე ყური“, — მიმართავს მონარქებს პოეტი. ნორვეგიაში ყოფილა

ხალხის მიაგვრელი მეფე გვინი. ხალხი აჯანყდა. ბლეკი, თავისი ეპოქის ბევრ დიდ მოაზროვნესაგან განსხვავებით, ხალხში სტიქიურ ძალს კი არ ხედავს, არამედ ძალს, რომელსაც წარმართვა სჭირდება: „კლდეთა შორის იღვიძებს გორდესი“, ხალხის ბელადი. „მის მოპყვებთან ამხედრებულნი, თითქოს მთისაგან მოწყვლადარა ზვავი; ასე შვიკრი და მწყირალი გულით, ლომი ნადეულზე გამოდის ღამით“. ბლეკი უმღერის აჯანყებას და სჯერა — მას გამარჯვება უნდა მოჰყვეს. ბალადა „მეფე გეინში“ ხალხი ამარცხებს მიაგვრელებს, მეფეს. ბლეკმა ისიც იცის, რომ შეუძლებელია ბორკილების დამსხვრევა სისხლიანი ბრძოლის გარეშე.

1789 წ. ბლეკის პოეტური ძიებანი დაევირგინდა პოეტური კრებულთა „უშანკობის სიმღერები“ და „თელის წიგნი“.

„შაკია პოლეშია განმანათლებლებთან მან სუსტად ჯერ კიდევ პირველ კრებულში დასახაეს შემდგომ რომანტიკოსთა ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თვისება იქნება (ბაირონის „მან-ფრედი“ განსაკუთრებით). „უშანკობის სიმღერებით“ ბლეკის ნოვატორება კიდევ უფრო აშკარაა ყველა დემსი, შესული ამ კრებულში, დაწერილია ფოლკლორის ენით. ამით პოეტი დაუპირისპირდა კლასიციზმის რაციონალისტურ პოეტიკას. ცხადია, კრებულის თემატიკა პოეტური ვენის, სტილის შესაბამისია: სიმღერები, ბუნება, შეცვარის არაჲი, ლექსები ვახუშტულზე, საღამოზე, კრავზე. უნდა აღინიშნოს, რომ გამოსახვის საშუალებანი და შინაარსი — მათი დამოკიდებულება ბლეკთან, როგორც პოეზიაში, ისე მხატვრობაში, ორგანულ მთლიანობაში.

ესთეტიკურ-იდურ ძიებნათა გამოკლები ნაყოფიერი 1789 წელს ბლეკმა შექმნა არა მარტო „უშანკობის სიმღერები“, აგრეთვე მცირე ღრამატული პოემა „თელის წიგნი“. პოეტი ცდილობს განსაჯოს „შინჯ რა არის ჩვენი ყოფი-წუთისოფელი“, „რისთვის იბადება ტბათა ლითოსი, რომ გაიღობოს და შერე მოკვდეს?“ ბლეკი გმობს სიყვდილს, სიყვადს, სიციუტლეს უმღერის, მაგრამ ღრმად ვეღარ იჭრება ამ საკითხში. საფრანგეთის რევოლუციის ტალღა ინგლისის ნაპირსაც მოადგა. როგორც უნდა იყოს მომავალი, რა გზით უნდა იაროს კაცობრიობამ, — პარლერის ეს ძველი კითხვა ბლეკთან მწვავე ხასიათს იღებს.

საფრანგეთის რევოლუციის წლებში ბლეკი ინგლისელ იაკობინელთა ბელადებს — თ. პეინს, უ. გოდინს უკავშირდება. პოეტი ცდილობს მომავალი ეპოქის სურათი, შისქერ სვლის გზა წარმოადგინოს. წერს „წინასწარმეტყველურ წიგნებს“, პოემა-მითებს. კაცობრიობის მომავალი, პოეტის აზრით, უტოპიურა წყობილებაა, სადაც აღმართნი, მისი მეობა იდეალურად თავისუფალი იქნება. ბლეკის პოემების მითოლოგიურ-ბიბლიურ სიუჟეტები დაეფუძნებულა კონკრეტულ, სტიქიურულ ამბებთან. პოემებში „საფრანგეთის

რევოლუცია“ (1791), „ამერიკა“ (1792) რევოლუციონერები მითოლოგიურ სუბტექსტზე ერთნაწილადგენილი. ბლეკმა შელუქულად გამოხატა ადრე გვიჩვენა პრობლემათი მეამბოხე გმირები, რომლებიც იუბიკტის, იეგოვის — ხალხთა მიაგვრელებს უჯანყდებიან. ბლეკის პოემებში ხალხის მხარეზე იბრძვის დამონებული კაცობრიობის მეგობარი, თავისუფლებისა და ხალხის სიმბოლური არსება — იორკი, იორკი ურბენს უბრისპირდება. ურბენი არსებული წყობილება, ჩაგვრისა და დამონების გამასახიერებელი სიმბოლური არსებაა ბლეკის პოემებში. ამ პოემა-მითებში („ალბიონის ქალიშვილის ბილვანი“, „ეგვიპთა“, „შალტონი“, „ეკუსალინი“, „საფრანგეთის რევოლუცია“, „ამერიკა“ და სხვა) ბლეკმა საკუთარი მითოლოგიური სისტემა შეიმუშავა. ფიქრი და მსჯელობა კაცობრიობის მომავალზე, რევოლუციებზე, ყოფიერებაზე და სიუჟეტულზე ამ პოემებში ვახვეულია რთულ, ხშირად ქაოტურ და ქარავმულ-სიმბოლურ საბურველში. ყველა პოემა-მითა დაწერილია გ. წ. „უიტმენის რიტმის“ თავისუფალი სტრიქონებით. ბლეკი ასეთი ლექსუბობის პიონერთაგანია.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ბლეკის პოემა-მითა „ზეკისა და ჯოჯობეთის ქორწინება“ (1790). იგი იყო ბ. შოუს საფუძვლად წიგნი პოემას ახლავს აფორიზმა მწერები — „ჯოჯობეთის ანდაზები“. ისინი ინგლისის ჯოჯობეთური სოციალური-სინამდვილის გამოპიბილია, სადაც „უიტმენი ავტუბულია კანონების ქვევით, საროსკობები — რელოვის ავტურებით“. ამ პოემაში გენილურად არის განმკურტილი ბუნებისა და საზოგადოების განვითარების დიალექტიკური არსება: „წინამდღევანათა გარეშე არ არსებობს პრაგმისი“, — ამბობს ერთგან ბლეკი.

„თავისუფლების სიმღერაში“ (1790) ბლეკი მსოფლიოს ხალხებს მიმართავს რევოლუციური მოწოდებით. ამ სიმღერაში იგი რევოლუციის მიზნად სახავს ფეხტვემ ვათელო აღმართის უფლებათა აღდგენას. ამადე ღრის, იგი ქადების ღრმად ქემინისტურ პანთეიზმს, რომლის უღრესად დადებითი თვისება ის არის, რომ ბლეკი აცხადებს: „ბუნება უდაბნაოდ უნაყოფია“, ნამდვილი ფლათება აღმართნი: „ყველა ღვთაება აღმართის გულში ბინადობს“.

არის ზოგადი, რომ შემოქმედს ისე ვაიტაცებს მის მიერ ერთხელ ნაბოვი ერთი სტილი ან პოეტური ფორმა, რომ სამუდამოდ ჩაიფლობა მისში, ასე არ არის ბლეკთან, 1794 წ. იგი წერს კლასიკურ ლექსუბობაზე დაფუძნებული ლექსების კრებულს — „გამოუცდილობის სიმღერები“, რომელსაც ათავრია აქვე საერთო „წინასწარმეტყველური წიგნების“ მითოლოგიურ სიუჟეტებთან. „გამოუცდილობის სიმღერებით“ ბლეკი სრულად საწინამდღეო პოზიციიდან ამოტყებს მას, რაც ერთხელ ბავშვის თვალთა დაგვანბანა „უშანკობის სიმღერებში“. ბლეკი უბრუნდება — „უშანკობის სიმღერების“ თემებს, ხშირად

რად იმეორებს იმავე სათაურებს. მაგრამ როგორ არა ჰგავს გამოცდილი თვალით დანახული ტრავმებით აღსავსე ინგლისური სინამდვილე იმ უტროპიური სამყაროს, რომელიც პეტრა უმანკოების სიმღერებშია დაგვიხატა. სამრეწველო რევოლუციის პირველივე შედეგები მოასწავებენ პროლეტარატის ძალას. ბლერისაც უგრძობია ეს ახალი ძალა, რაც მან მისტიკურად წარმოადგინა ზმირად. ბლერია იშვიათი რევოლუციური პათოსით აცხადებს: „ღამე დნება, მზე სხივებს, იბაღება მძინარ ზაღში“.

ბლერს არასოდეს ავიწყდება მხილვასა და იდეერობასთან ერთად ბრწყინვალე პოეტური ყალიბი, რასაც ზმირად ივიწყებენ ზოლმე სოციალური თემატიკით გატაცებული მწერლები და მხატვრები. „მისი რწმენა იყო აბსოლუტური და მტკიცე... მასში არ ყოფილა რაიმე სპეკულაციური“ (სუნიმერანი). სასიამოვნოდ მოსასმენ ლექსში იგი ოსტატურად აქსოვდა ბერძენული სინამდვილის გმობას, რაც ზოლითი გასდევს მთელ მის შემოქმედებას. ბლერია პირდაპირ კი არ აცხადებს, რომ ზაღთა ტანჯვაში, რაც ომის პოლიტიკას მოაქვს, ბოლო მიუძღვით ქვეყნის პატონატორებს, არამედ იძლევა ბრწყინვალე პოეტურ საბეს: „სისხლად სდიოდა ტარის კედლებზე დამკრულ შემობრის ფილური კენესა“, „და შეღამით ქუნაში შესმის ნორჩი მესვეის წყველა-განება“. აქ საინტერესოა ისიც, რომ ბლერმა ინგლისურ პოეზიაში პირველმა ჩახატა კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი ქალაქის კონტრასტული სურათები. მან, პირველმა, შემოიტანა ინგლისურ პოეზიაში, ვერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს, ურბანისტული თემატიკა, შემოიყვანა პოეზიაში „ქალაქთა პლებეური ელემენტები“ (ინგლისი).

მე-19 საუკუნის დასაწყისში მთავრობის რეაქცია დემოკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ კიდევ უფრო მწვავედება. ბერია რევოლუციონერი ემიგრაციაშია. უოველგვარი თანაგრძობა გამოავლენულმებული იდეებისადმი უღმობლად ისჯება. „მზეცი და როსკობი განაგებენ ვანუი-ობავად“ (ბლერ). საფრანგეთში სათავესთან

ნაპოლეონია. იწყება ახალი სისხლისმღერელი ომები. ბლერია არც ახლა არის ცხოვრების მთელმხარე მჭერტელი. ბლერს წერს: „სინამდვილეები სულელებად მეჩვენებან თემთა პალატა და ლორდთა პალატა, ჩემი აზრით, სავსეა სულელებით. ორივე ისინი დამაინერ სახას მოკლებულად მიმანია“.

1809 წ. ზაფხულში ბლერს ჰქონია სურათების გამოდენა. მაგრამ თანამედროვეობა მას ვერ უგებს. ბლერია მშვიდი კაცი ყოფილა, სჯეროდა საკუთარი თავის, არ ეძლეოდა პესიმიზმს. ამისობაში ინგლისურ პოეზიაში ორი ახალი მზე ამობრწყინდა: ბაირონი და შელი.

1818 წ. ბლერს წერს პოემას „მარადისი სახარება“. აქ ქრისტე მორჩილებსა და მშვიდობიანობის განსახიერება, ნამდვილი რევოლუციონერი და შეამბობება, როგორც ბაირონის კენი. ბლერის ქრისტეს სძულს მდიდრები და ღვთის მსახურნი. ასე ბლერთან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით და ძალით, ისე როგორც ბაირონსა და შელისთან, იგრძნობა მილტონის „დაკარგულ სამთხის“ სატანური სუნთქვა. ის ამბავი, რომ მათოლოგიურ-ზიზღიერი სიუჟეტები გამოყენებულია სრულიად სხვადასხვა ხასიათის რომანტიკოსებთან ეერომაში და რუსეთში (ლერმონტოვის „დემონი“), მაგრამ არ გვხვდება ბარათაშვილთან მიუთითებს, თუ რაოდენ უხვია ქართველი გენიოსის შემოქმედებაში უშუალო ცხოვრებისეულ-რეალისტური განცდები, და რამდენად თავისუფალია იგი ეეროპული გავლენისგან.

სოცოცლის ბოლო წლებშიც ბლერია ისევ სიღარიბეში ცხოვრობდა. და ასე გაჭირვებასა და სიღარიბეში აღმოხდა სული მოხუცებულ ზელოვანს, რათა ათეულა წლების შემდეგ შეთრედ დაბადებულყო, აჟ სამარადისოდ, რადგან „მარადისობა შეუვარებულია გამოა ნაწარმოებებში“ (ბლერ).

ბუმბერაზი პოეტისა და მხატვრის შემოქმედება ახლოა საბუთა დამიანებისათვის თავისი პემინიზმით, ოპტიმიზმითა და მგზნებარე მებრძოლი სულით.



მთის ხალხური პოეზიის შესწავლისათვის

მთის ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ, განსაკუთრებით კი საგმირო-სასიტორიო პოეზიამ იმთავითვე მიიქცია ჩვენი საზოგადოების ყურადღება. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში უკვე ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, რომ ზვეი, მთითულთ-გულამაყარი და თუმ-ფეშვა-ხევისტურეთი ხალხური პოეზიით მდიდარი მხარეა. ამ კუთხეების ხალხური პოეზიის მრავალი ნიმუში ჩაიწერეს და გამოაქვეყნეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

ა. ჭავჭავაძე, ვეპა-ფეშველა, აკაკი წერეთელი და ალ. ყაზბეგი არა მარტო აღფრთოვანებულნი იყვნენ მთის ხალხური პოეზიის შალაშხატერელობითა და ღრმა იდეურობით, არამედ ზშიარდ იყენებდნენ კიდევ ამ ნიმუშებს თავის ღირსშესანიშნავ ნაწარმოებთა მასალად.

მთის ხალხური პოეზიის მოკერძაბულენი მარტო ზემოაღნიშნული მწერლები როდი იყვნენ. ამ პოეზიის შეკრებებს, გამოქვეყნებასა და გამოკვლევას ხალხით მოაკიდეს ზელი ისეთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა როგორც იყვნენ: ბაჩანა, ნ. ურნელი, დ. ხიზანავილი, თ. რაზიკაშვილი, ი. გომელიერი, ი. ბუჭრაული, პ. უმიკაშვილი და სხვანი.

ამჯერად ხალხური სიტყვიერების ფართოდ გამოკვლევის დრო და საშუალება არავის ჰქონდა. შეკრების უზირველესი მიზანი იყო ამ ისტორიული სიმდიდრის დიდუბვისაგან გადაარჩენა, დროულად ჩაწერა. ამიტომ არის, რომ თანამედროვე ქართველ ფოლკლორისტებს უფრო მეტად შავი, დასამუშავებელი მასალა შემორჩათ ზელი, ვიდრე შემოქმედული და მეცნიერულად შესწავლილი ხალხური სიტყვიერება. ეს მით უმეტეს, ითქმის მთის ხალხური ზეპირსიტყვიერებაზედაც. საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარებამდე თუმცა არსებობდა მთის ზეპირსიტყვიერების ზოგიერთ თავისებურებათა გამოკვლევის ცდა, მაგრამ მას არა სისტემატური, არამედ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დიდი ყურადღება ექცევა ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხსაც. პროფ. ა. შანიძემ პირველმა გადაადგა ნაბიჯი მთის ხალხური პოეზიის მეცნიერულად შესწავლის გზაზე. ჯერ იყო და „წულთქველი“ დაბეჭდა ბესარიონ გაბურის დახმარებით შეკრებილი მასალები სათანადო მეცნიერული აპარატურის დაბრთვის,

1931 წელს კი გამოიცა მისივე „ხალხური პოეზიის“ I ტომი, რომელიც მოიცავს ხევისტურული ზეპირსიტყვიერების მნიშვნელოვან ნაწილს. 1939 წელს გამოქვეყნდა ივ. ხორნათელის ფეშვარი მილესკებანი, ხოლო იმავე პირის მიერ შეკრებილი მასალები „ფეშვა-ხევისტურული პოეზიის“ სახელწოდებით 1949 წელს გამოიცა ქ. სიხარულიძემ. 1953 წელს შ. ჩიქოვანის რედაქციით გამოქვეყნდა „ხალხური სიტყვიერება“ ტ. III, თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ფეშვურ-თუმურთი მასალები. აქ დასახელებული სპეციალური კრებულების გარდა მთის ხალხური პოეზიის ნიმუშები გამოქვეყნებულა პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერებაში“, ვ. კოტეიშვილის „ხალხური პოეზიაში“, „საუნჯის“ ტომებში, გ. ნათაძის „ხალხური ლეშებსა და ზღაპრებში“, ა. გომიაშვილისა და რ. გვეტაძის მიერ შედგენილ „ხალხური პოეზიაში“, აკადემიის ფოლკლორისტების მიერ გამოცემული „ხალხური სიტყვიერების“ I ტომში, ცალკეულ ეთნოგრაფიულ ნაშრომებში და სხვ.

მთის ხალხური პოეზიის კვლევის მხრივაც ყურადღება მიექცა. გარდა იმისა, რომ კრებულებს თან ახლავს საჭირო მოკლე მიმოხილვები, გვაქვს ცალკეულ საკითხებზე სპეციალური გამოკვლევებიც. ზივი საკითხებსა თავის ნაშრომში გააშუქეს პრაფესორებმა შ. ჩიქოვანმა და ქ. სიხარულიძემ.

1950 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა „ხალხური სიტყვიერების“ პირველი ტომი და აქამდროდესა დაწყებული ტექსტების მეცნიერულ-საერთო გამოკვლევა, საჭიროა უფრო მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოვეცილოთ მთის დიალექტებზე შექმნილი ხალხური სიტყვიერების ტექსტების გამოკვლევას, რომ თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რაც აქამომდე გამოცემებს შეტანილებად გაჩნიათ.

დადგენითი სისტორიო პოეზიით. ვფიქრობთ არ დაგვირდება იმაზე ლაპარაკი თუ რა მნიშვნელობა აქვს ზეპირსიტყვიერებას და მით უმეტეს სასიტორიო ზეპირსიტყვიერებას ისტორიისათვის. ჩვენ დანაშაულად მიგვიჩნია ერთი კალმის მოსმით ჭაღალდზე დავაბინჯოთ ის, რაც ზეპირმა სიტყვიერებამ საუკუნეთა განმავლობაში არ დაამბინჯა და შეურყენელად შემოგვიჩინა.

მაგრამ აი როგორ მოვლენებთან გვაქვს საქმე. პროფ. ა. შანიძის „ხალხურ პოეზიაში“ გვითხულობთ: „გულან მოვიდა ლაშქარი, ჰეი კარგებში შაფარი“ (გვ. 4) აქ გვაგვებარს არაფერია, ხვესურათის ძველი სოფელი გულანი მტრის ჯარს აუღია, სოფელ ჰეიში კი კარგები დაუღვამთ. სოფელი ჰეი ვეფაფშაველასაც აქვს „ხალხური“ ნახსენები: „პორმეშელთ ჰეიელთ ვაეუხსა ლულელებიცა სტანია“.

ხალხურ ლექსში, საიდანაც ჩვენ ეს სიტყვები ამოვიღეთ, გადმოცემულია ხვესურეთის დასაპყრობად ზურაბ ერისთავის ლაშქრობა. ზურაბს შუბხვესურეთამდე შეუღწეგია და სოფელ ჰეიში კარგები დაუღვამს. ამ ფაქტს აქვს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა. შემდეგ გამოცემულ კრებულში კი (ვ. კოტეტიშვილი — „ხალხ. პოეზია“ გვ. 86, რ. გვეტაძისა და ალ. გომიაშვილის „ხალხ. პოეზია“ გვ. 208) გვითხულობთ: „გულან მოვიდა ლაშქარი, ჰეი კარავი დაღვარა“.

აქაი შანიძის იმავე კრებულის სხვა ლექსში გვითხულობთ:

დადგე, დაგვეკუნ, ზურაბო, ნარჩამნ ორთ
შენის კმლისანი,
თორ ჩვენაც შამოგეცდებით, მესხნი ჩვენაც
გვეონ წყლისანი (გვ. 4).

მოიელი ხალხი, ცოტა არ იყოს, მუქარის კილოთი აფრთხილებს ზურაბს: რაც დაგვბოცე იქმარე, თორემ შამაცე ხალხი ჩვენაც გვეყავს და შევეცდებით დაგამარცხოთ. შვენიერი ქართული სიტყვა „შემოგეცდებით“ ახალ კრებულში (ა. გ. და რ. გ. გვ. 96). შეცვლილია სიტყვით „შემოგეცდებით“. „შემოგეცდებით“ — მეზობლებს ნიშნავს, „შემოგეცდებით“ — გაქცევას. ჩვენ ვხედავთ, ამ ერთი სიტყვის შეცვლამ რა დამართა ამ შვენიერ საისტორიო-პატრიოტულ ლექსს — მივიღეთ სრულიად საბარისპირო აზრი.

ა. შანიძის კრებულში მოთავსებულია ლექსი სათაურით „თიფის თრახე“. ეს ლექსი მისთვის 1930 წელს გადაუცია პოეტ ალ. გომიაშვილს. ა. შანიძე ამ ლექსს საუცხოოს უწოდებს და დასძინს: „თუ აქამოდღე იგი ხვესურეთში და რამოდენადმე მეზობელ კუთხეებშიც იყო გავრცელებული და ცნობილი, ამიერიდან ქრესტომათიეშიც შევა და რასაკვირველია, არ დიკარგება“ („ხალხური პოეზია“ გვ. 017). ამ მართლაც და საუცხოო ლექსის ერთი ადგილი ა. შანიძის კრებულში შემდეგნაირად იკითხება:

„ვეწინდელებს ახლებსა ძველები ჯობდეს
ციდითაო:
ამარგებდიან ადგილსა, თოფით იჭირდეს,
კმლითაო,
...ბაენებით ედგა წამალი, ძღებოდეს თოფის
კმლითაო“.

აქვს ალ. გომიაშვილსა და რ. გვეტაძეს „ხალხურ პოეზიაში“ (გვ. 222). იქ შეცვლილია „ხალხურ ერთი სტრიქონის დაეცალა: „ბაენებით ედგა წამალი, ძღებოდეს თოფის კმლითაო“ წყარო: „შეშებით ედგა წამალი, ძღებოდეს თოფის ზლითაო“. როგორც ჩანს ალ. გომიაშვილს შეეძომად მიუხედავად თაისივე ჩაწერილი ტექსტის და სხვა ვარიანტების ეს ადგილი. აღბათ მასში ეჭვი გამოიწვია ზოგიერთმა ხვესურელმა სიტყვამ. ა. შანიძის ვარიანტებში ნახმარი სიტყვა „ბაენებით“ (ბაკანი ტამბეს, ვარცლს ნიშნავს), გამოცემულს რუსული სიტყვა Банка-დან წარმოშობილად მიუჩნეგია და შეუცვლია შესაბამისი ქართული სიტყვა „შეშებით“ და ნაცვლად „ბაენებით ედგა წამალი“ გვითხულობთ: „შეშებით ედგა წამალი“. ასეთი ვასწორების შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ მომარბეს შეშებით რაღაც დასაღვეი ან წასასმელი წამალი ედგათ, მაშინ როდესაც ხალხურ ლექსში ლაპარაკია თოფის წამალზე — დენთზე. სტრიქონის მეორე ნაწილი ხალხური ლექსის მიხედვით გვეუხებება: თოფს ახლიდენენ (დაახლოდნენ. ზღა — ქლა) მინამდე, სანამ გულს არ იჯერებდნენ (გაძღებოდნენ). ვასწორების შემდეგ კი: მეორეები „თაფლის ზლით ძღებოდეს“, „თოფის ზღა“ თუ „თაფლის ხალი“ რა არის ან რა შუაშია გაუგებარია.

ამავე კრებულში დაბეჭდილ ცნობილ ხალხურ ბალადაში „ვეფხვი და მოყმე“ ერთი ტაევი იკითხება: „შახფარდა ვეფხესა ნაწოლსა“. სიტყვა „შახფარდა“ არც კეთნურად და არც ლიტერატურულად არაფერს არ ნიშნავს (ყოველ შემთხვევაში, ამ კონტექსტში) და მისმა შეტანამ წინადადებაში გარგებრობა და უახრობა გამოიწვია. ეველა სხვა ვარიანტში კი ვასაგები ქართული იყო ნათქვამი: „შაღვარდა ვეფხესა ნაწოლსა“ (შეგარდნა — უტბად შეხვედრას, შეხეჩებას, შეფეფთებას ნიშნავს).

მოტანილი მავალითებთან ჩანს, რა დამართო თვითნებურმა გადაცემათამ აზრობრივად და მხატვრულად სრულყოფილ ხალხურ ლექსებს. ასეთი დამახინჯებანი ძალიან ბევრია და შათი სათითაოდ ჩამოთეგლა დიდ დროს მოითხოვს. მდგომარეობა რომ უფრო ნათელი იყოს, ავიღოთ ზურაბ ერისთავის ლაშქრობაზე შექმნილი ერთი ლექსი, რომელიც სიტყვა-სიტყვით ერთნაირად აქვთ გამოქვეყნებული თაის „ხალხურ პოეზიაში“ ჯერ ვ. კოტეტიშვილს (გვ. 106), ხოლო შემდეგ ა. გომიაშვილსა და რ. გვეტაძეს (გვ. 213).

ამ ლექსში რამდენიმე სიტყვავა, იმაზე მეტა შეცვლილია, მავალითად:
არის ყურო (დურა ვ. კ.) უნდა იყოს დელი:
ნაყარო — ნაყარვეე; ბატონს — ბაცეს; დარბაზს — დარანს; დაეხევეთ — დაეხევეთ; ცდანი — ცალი; ბორჩალოს — საკამატელოს; ტბაიერი — ძბლაიქინი; მკაცრათ — კეთეს; ჩასჭურნეს — ჩაწურეს და სხვ.
გამოცემლებმა, რატომ არ გაუწიეს ინგარიში იმას, რომ „ბორჩალოს ქედი“ და „ბა-

ეს ლექსი იმავე სათაურით გამოქვეყნებული



ტონი“ ზეცურეთში არ იქნებოდა, ან და რა აზრი აქვს ამ სინტაქსურად მოუწესრიგებელ სიტყვათა კროფის: „ისარიც ზვერი დავხევეთ, ჯგირისივ ვამოცდანიო“. რა შვირდისი პოეტურა სტრიქონებია განადგურებული და აზარად ქცეული შემდეგ ნაწევრში:

„კეთოს ზაყარეს ისარა, დილა რა ცაბა წამით.
კაბეს ჩაწურეს ლაშქარა, რა საკალმახე
წყალიო“

(კვათე და კაბე ადგილის სახელებია) ზემოთ მოტანილ ვარიანტში კი ამის ნაცულად ასეთი უაზრო სტრიქონებია: „შაკარათ ზაჰარცხეს ისარნი, როგორც ნავალსა ცხვარნიო“.

ასე გამოცემულ ტექსტს არა მარტო ისტორიული, დიალექტოლოგიური და სხვა მეცნიერული ღირებულება არა აქვს, არამედ უკარგისია მკითხველსა საზოგადოებისათვისაც.

გველასათვის ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ სიტყვიერებას ენათმეცნიერებისათვის და კერძოდ დიალექტოლოგიისათვის. სხვადასხვა დიალექტზე შექმნილი ხალხური ნაწარმოები, რომელშიც შემონახულია ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანა, ძვირფას მასალას წარმოადგენს დიალექტოლოგიური კვლევისათვის. სამწუხაროდ ყველა გამომცემელი არ იხენდა პასუხისმგებლობას ამ მნიშვნელოვან საქმისადმი. ადგილი აქვს ისეთი შესწორებებისა და ცვლილებების შეტანას, რაც დიალექტის განადგურებას იწვევს.

მასობრივ მოცულებას წარმოადგენს დიალექტიზმების შეცვლის ცდა ლიტერატურული ფორმებით. ასეთი შეცვლის ერთადერთი დადებითი შარე მხოლოდ ის არის რომ დიალექტების არ მცოდნე თანამედროვე მკითხველისთვის ტექსტი ადვილად გასაგებია ხდება. მაგრამ, მეორე მხრით ხალხური ნაწარმოები კარგავს ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას, კარგავს ეთნოგრაფიულ კოლორიტს, ხშირ შემთხვევაში მხატვრობასაც და, ბოლოსდაბოლოს, ასეთ მოქმედებას მიყვავართ ხალხური ნაწარმოებების ლიტერატურული ვარიანტების შექმნამდის.

ხშირად ასეთი გადაცემების შედეგად მიღებულია ასეთი ფორმები, რომლებიც არც კუთხურია და გაუმართლებელია ლიტერატურული ენის კანონების მიხედვითაც. მაგალითად, ვადაცემების გამო ირდგვეა შეთანხმება რიცხვში. სინტაქსური წყვილიდან ერთ სიტყვას ცვლიან, მეორეს კი ისევე ძველ ფორმით ტოვებენ, რის გამოც მიიღება შემდეგა:

„დრო აღარ დარჩა მოყმესა ვა და ვ წითლ-
ნეს ჰმლისანი“ (ა. გ. და რ. გ. „ხალხ. პოეზია, გვ. 57) უნდა იყოს: „ვ ა და ვ წითლ ნეს“.
„ნელ-ნელა გაქრა ფრანგებმა დრო იყვნეს წა-
ქცევისანი“. (იქვე) უნდა იყოს: „დრონ იყვნეს“.
„ორნი ზენც ვაჟავად ვაჟაკი (იქვე, გვ. 118),
უნდა იყოს: „ორნი, ვაჟაკი“.
ზოგჯერ არის კუთხური ფორმის ვითომდა აღ-

დგენის ცდა, რაც აგრეთვე არასასურველ შედეგს გვაძლევს. მაგალითად:

„გზის თავში მახვდეს ლეგებმა,
გზის ძირ ნაფადეს მკედარია“.

„მისვლელ მახვდეს ურჯულო...“ (ა. გ. და რ. გ. „ხალხ. პოეზია, გვ. 324) აქ სიტყვაში „მახ-
კლეს“ „ხ“ ზედშეტილია და არ არის გამართლებული არცერთი დიალექტის მიხედვით. უნდა ყოფილიყო „მაჟღეს“.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს შემდეგ მაგალითშიც:

„ზვენ უარამანი ვინ მახკლა,
ხელი ვინ კიდრა გმირსაო“. (გ. ნათაძე, „ხალხური ლექსები და ზღაპრები“, გვ. 15) აქაც პირველ სიტყვაში „ხ“ ზედშეტილია, ხოლო მეორეში („კიდრა“) იგი საჭიროა, მიიტოვო რომ ეს ზვერა ზეცურებულ დიალექტში გამოხატავს პირს (მეორე პირში — სუბიექტს, ხოლო მესამეში — ირიბ ობიექტს) ე. ი. ცვლის სალიტერატურო ენაში ხშირებულ პირის ნიშან „პ“-ს.

აბასწორია ფორმაც აგრეთვე „ჩემ მაგვირად უთხარდი, ნიყო კუდოლ ქალგზა“. („საუნჯე“, II, გვ. 293). „უთხარდი“ არც ლიტერატურულა და არც კუთხურია. ლექსი ფშვერია და უნდა იყოს ფშვეური ფორმით: „უთხარდი“.

ბ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერებაში“ წერია:

„შინ შეუშველე, ტარიელ, (დამპირდა შენი გმირობა)
აეთიანდილ დაუსტეტებო ქაჯებს (აქეთ)
ზედმოვლილებო“ (გვ. 22).

საერთოდ გასაგებია რაზედაც არის ლაპარაკი, მაგრამ რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა „შინ შეუ-
შველო“? ასეთი სახით არაფერს, ვინაიდან იგი დამახინჯებულია უნდა იყოს „შინში, მიშველე, ტარიელ, დამპირდა შენი გმირობა“. ახლა გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ შინში მითილებია ბიძაშვილს უწოდებენ. იქვე (გვ. 60) ვითიბულობთ: „არშითა ურიდან ყორანნი, საქლეს ბუ-
დობდიანო“. სიტყვების ასეთი დაყოფით ძნელად, მაგრამ მაინც გამოდის აზრი, რომ ყორანნი შინ (განი) კი არ ურიდან არამედ საქლესზე (შინზე) ვაქმარათვთ ხუდლები. მაგრამ ასე როდია. უნდა იყოს: „არშით (არმა სოფელია) აყრილან ყორან-
ნი“. იქვე „აი ყორანისშვილები“ (გვ. 23) უნდა იყოს „ითყარა ხთიშვილები“ და სხვ.

ტექსტების უნაკლოდ გამოცემისათვის, გარდა ცოდნისა, საჭირო არის ამ საქმისადმი მონდომებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოპურება. რას უნდა მივაფეროთ ქვემოთ აღნიშნული შეცდომები, თუ არა დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას „ითესებოდე ჭერ-ფქვილი, ხორბილი ამოხდიოდე“. („საუნჯე“, II, გვ. 86). სიანტერესულია, ფქვილის დათესვით ხორბლის როგორ ამოვა? უნდა იყოს: „ჭერ იფქლო“ (იფქლი ხორბ-

ლის ჯიშია). იმავე ტომში, 295 გვერდზე, გვითხვლობთ:

„დაღა მარიანობის თვე, დილა გათენდა
გრალია,
ხემა დაყარა ფოთოლი, მწვანით აისხეს
რთვილია,
აყრილა მთაში ცხვარ-ძროხა, ბარად ჩამოდანს,
თბილია“.

მარიანობის თვე — აგვისტოა; ნუთუ აგვისტოს დასაწყისში ტყეს ფოთოლი გასცვივდა, მიდამო დათრთვია, სიცივის გამო მთიდან ცხვარ-ძროხა აიყარა და ბარში ჩამოვიდა? ნამდვილად კი უნდა იკითხებოდეს ასე: „გორჯობის თვე დაღდა, დილა გათენდა გრალია“. გორჯობის თვე იგივე გორჯობის თვეა ანუ ნოემბერი.

რაც შემთხვევაში უყურადღებობას იჩენენ ხალხური ლექსების მიმართ ეთნოგრაფებიც, ეს განსაკუთრებით შეინიშნება სერგი მაკალათის ეთნოგრაფიულ შრომებში. მაკალათისათვის ავიღოთ მისა წიგნი „ხევესურეთი“. 105 გვერდზე ვკითხვლობთ: „დღამაც ქნა შავის ლედისა, გათავებამდის არ იყო“. უნდა იყოს: „გათავებამაც არ იყო“.

ან: „პური და ღვინო უსტუმროდ ვის უამხ, ნუშც უამებო“. უნდა იყოს: „ვის უამხ, ნუშც უამება“.

ერთერთი საუკეთესო სასტუმარ-მასპინძლო სახატბო სიძლერის ტექსტს კი ასეთი სახე მიუღია:

„სასტუმრიელო მზეს ჰგვიხართ,
მასპინძლო მთვარესა,
მტრისა დასატრებლად
ქვას ჰგვიხართ გორიელსაო“.

ამ სიტყვების გროვას ლექსისა აღარაფერი განიხილა: არც რითმა, არც რიტმი, არც აზრი.

ა. შანიძის „ხალხურ პოეზიაში“ კი, რომელიც ზემოთდასახელებულ ნაშრომზე ხუთი წლით ადრე არის გამოქვეყნებული, ეს ლექსი სწორად არის დაბეჭდილი:

„სასტუმრიელო მზეს ლგვიხართ,
მასპინძლოდა მთვარესა;
დასატრებლად მტრისადა
ქვას ლგვიხართ მგორიალესა;
ადვილად გასაგერმავად
მგელს ლგვიხართ მორიალესა“ (გვ. 198).

ზოგ შემთხვევაში კარგად დაბეჭდილ სიტყვებს გაყეთებული ბევს მცდარი განმარტებანი. მოვიტანო რამდენიმე მაგალითს პ. უმიჯაშვილის „ხალხური სიტყვებებიდან“: სატანი — ერთობ და ყველი (გვ. 34). „სატანი“ მთაში უწოდებენ

შოლოდ ყველს და არა ორივეს. იარალი-სარალი ლევის ჯარისა (97). სინამდვილეში გვეჩვენებს რალ ტოტემენზე ლაპარაკი. იტრამისა ფშაქაში (43). ნამდვილად მდინარე კახეთში. ჭარი — ადგილი ხევში (400). ჭარი ხომ დალესტანშია. ჭერხო — სოფელია ქმოსტროჩას თემში (56). „ჭერხო“ სოფელია კი არ არის, ხევისურული სახლის ზედა სართულია. მეორე, შეცდომაა თვით განმარტებამაც: „ქმოსტროჩა“ არ არსებობს, არის სოფლები ქმოსტა, და რაშკა და თუ ერთად ვიხმართ უნდა იყოს: ქმოსტ-როშკა. სიმაღხევით — ხითათით (22). განმარტებაც არა სწორია და თვით სიტყვაც შეცდომით არის დაბეჭდილი: უნდა იყოს: „სიმატკვეთ“, რაც ფედ ყოფნას და ზოგჯერ კი ბრაზიანობას, გაუტყეულობას ნიშნავს, და სხე. ესა თუ ის სიტყვა რომ სწორად ვერ განიშარტოს, ეს კიდევ შესაძლებელია, მაგრამ რით ვგანმარტოთ, რომ „სიუნჯის“ II ტომში ერთი და იმავე ადამიანის გვარი სამჯერ დამახინჯებული სახით ვგვხვდება. „შენიშენებში“ 401 გვერდზე, გვითხვობთ: „ნათქვამი გ. ქაბუშანაურისაგან“; 493 გვერდზე: „ნათქვამი ს. აბხოტნი გ. ვაბუშანურისა, ხოლო 495 გვერდზე: „ნათქვამი გ. ბუშანურისაგან“ ეს ერთი და იგივე პიროვნება, ხალხური მედიკეტი გიორგი ვაბუშანურია.

ამ წყაროში მოტანილი ფაქტები ცხადყოფს, თუ როგორ მახინჯდება შინაარსის, მხატვრობის თუ ენობრივი ფორმების მხრივ საუკეთესო პოეტური ნიმუშები, რომელშიაც ხალხმა თავისი მაღალი მორალი, ღრმა სიბრძნე და უსაზღვრო ფანტაზია ჩააქსოვა და თავიანთი თაობის ზეპირი გზით სათუთოდ და შეურყენელად გადაიხცა. ისევე კითხვა: როგორ მოვიტყუო ასეთი ტექსტების მიმართ. ვგავსწოროთ თუ არა ისინი. ან უფრო სწორად აღვადგინოთ თუ არა ახალ გამოცემებში ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წესით უნდა იყოს.

მთის დიალექტები დღე და დღე იცვლება, სიტყვები იკარგება, გეოგრაფიული და პირთა სახელები იფიქსდება. ამიტომ სულ ახლო მომავალში ამ დამახინჯებული ტექსტების უნაკლად გამართვა შეუძლებელი გახდება. ახალ გამოცემაში ისინი უმჯველად უნდა გავასწოროთ.

აუცილებლად მივგანჩნა ახალ გამოცემაში გასწორდეს ენობრივი შეცდომები, გეოგრაფიული და სახალხო გმირების სახელები. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, დამახინჯებთა უდიდესი ნაწილი ჩამწერებისა და გამომცემლებისაგან მომდინარეობს და არა მთქმელებისაგან. ამიტომ გასწორება გამართლებული უნდა იყოს ფოლკლორისტული, ისტორიული და დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, რომ იგი არ იწყვედეს მთქმელების იმდროებას.

წიგნების მიმოხილვა

მთა ლომთათიძის თხზულებათა სრული კრებულით გამოცემის გამო



ქოლა ლომთათიძის მეტად მძიმე სოციალ-პოლიტიკურ პირობებში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. ეს ის ხანა იყო, როცა გამაფრებელი რეაქცია მუსრს ავლებდა რევოლუციურ მოძრაობის ყოველგვარ გამოვლინებას, როცა ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა მეფის თვითმპყრობელობა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, რომლებიც აჯანყდნენ მეფის ტახტის წინააღმდეგ. მეფის ვაცოფებულმა აგენტებმა განსაკუთრებით ნაშანში ამოიღეს გურიი, სადაც ყველაზე უფრო აბაბოქრდა რევოლუციის ტალღები და სადაც როგორც რევოლუციონერმა და მწერალმა ფეხი აიდგა ქოლამ.

ქოლა ლომთათიძის პირველი მოთხრობები დაიბეჭდა „მოამბეში“ და „ცნობის ფურცელში“. ამ მოთხრობებმა მაშინვე მიიპყრეს მკითხველთა ყურადღება. მისი ნაწარმოებების თითოეული სტრიქონი გულის სიდრემებზე წვდებოდა და აღაზნებდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შურისძიებისა და ბრძოლის სულისკვეთებით. ამავე დროს საგონებელში აგდებდა მეფის სატრაპებს, ბოქაულ-ჩაფრებსა და მამასახლის-იასაულებს.

ქოლა ლომთათიძე უმოავრესად წერდა „სპინდონი მტორიშვილის“ „ქოლას“ და „გურის“ ფსევდონიმით. მაგრამ ზოგერთი არსებული ფაქტის მიხედვით ბევრი მისი მოთხრობა უცნობი ფსევდონიმით დაიბეჭდა, რაც საბოლოოდ უნდა დააზუსტონ და გამოაყლიონ ლიტერატურის მკვლევარებმა.

ეს არაა ქოლას უცდავი მოთხრობების მთავარი გმირები, რა მოტივები ასულდგმულებდა ქოლას, როგორც მწერალს, ნამდვილ პოეტსა და ქვემარტი შემოქმედს? ქოლას მოთხრობების მთავარი გმირები, რასაკვირველია, რევოლუციის ციხელით ანთებული მებრძოლებია, მეფის თვითმპყრობელობის ჯერ-დღეობაში მომწყვდევულნი, რომლებიც ფრთხილ-მოდებულ არწივებივით ასვლებიან ციხის კედლებს, სწყურიათ სიცოცხლე, თავისუფლება, რომელთა დევიზია ბრძოლა მშრომელთა ზალხის კეთილდღეობისათვის.

ქოლა არანაკლები სიმამკვიდრით ხორცშესხმული სტრიქონებით აგვიწყებს თავის მოთხრობებში მეფის პირისხლიან აგენტებს, მეფისდროინდელ რუსეთის საპყრობილეების ჯერდღეობებს, აღამიანის პიროვნებისა და

ღარსების იქ გამეფებულ დამამცირებელ რეჟიმს. ამ თემაზე დაწერილი ქოლას მოთხრობა „საპყრობილე“ დიდა დრამატისმითა და თან მწარე იუმორით არის აღსავსე, აქ თქვენ გესმით სულშემბუთავ ჯერდღეობებში მყოფ აღამიანების კენესა, ეცნობით მათ „მცველებად“ და „მოსათვინიერებლად“ დაყენებული ჯილათების პირუტყველ მოქმედებას, გრძნობთ სიკვდილის წინაშე მდგარ პატიჰარის სუნთქვას ამშორებულ და სიცოცხლის მომწყველელი პაერთ, სადაც თეთოფულ დაჭირავებულ არამზადს უფლება აქვს ფეხქვეშ გათელოს ყოველივე წმინდათა წმინდა, რაც კი აღამიანს გააჩნია. აქ ამ სატუსალონო თუ ვინც ერთი წელი დაყავი სიკვდილის მოლოდინში არც გასიორნებენ, ისე შეგუქამს სიბინძურე, ისე აწყრადლები ოფლით, რომ მუხლ-მოდრეკილი შევედრება მათ: — ჩქარა გაათავეთ, ბარემ დამახჩნეთ... მაგრამ მოუხდებათ ამ მძიმე პირობებისა ქოლას და მის გმირებს მაინც სწყურიათ სიცოცხლე, სწყურიათ ბრძოლა, უნდათ იბილონ თავის სამშობლოს ლეკვადროვანი ცა, მზე, მთავარე, მეგობრებო... დაბ ქოლას სათნოებით და სინახით აღსავსე გულს სწყუროდა სიცოცხლე და სიუვარული. „არ ვიცა რად, ღმერთმანა არ ვიცი რად, მაგრამ ეს კია რომ არსად ისე არ სწყურია აღამიანს სიცოცხლე, როგორც სატუსალონში“, ამბობს თავისუფლების მოყვარე ქოლა იმავე მოთხრობაში.

ქოლა პატარ-პატარა მოთხრობებშიაც კი მოხდენილად, სხარტად და პოეტურად ასახავს მეფისდროინდელ ყოველგვარ უსამართლობას, უკედმართი ცხოვრების პირობებს და საზოგადოებაში არასწორედლებიანობის ვითარებას. ავტორი მუდამ გამოდის ყველა ჩაგრულის დამცველად და მებრძობად. ამ მხრე ვანსაყუთრებით აღსანიშნავია მისი ორი პატარა მოთხრობა — „ცხოვრების გულიდან“ და „შეყვარებულნი“, სადაც ნათლად ისმის უფუფეობა, ცხოვრების მწარე ზეედროსავან განაწილები, ქუჩაში გასტყორცნილი, ნამესახილი დედაქალის მწარე გოდება: „მე დედა ვარ ლოთი ქმარიან გან ბოტოვებულნი... შენ, პატოსანო აღამიანო როდის იყო, რომ ზომები მიიღე-არ ვაჭრუნელიყავ!“

რებით გვიანდელია და მისგან მომდინარეობს.

ასეთია ის საკუთრადღებო შედეგები, რასაც
იძლევა ძველი ქართული ენის ამ პირველბა-
რისხოვანი ძველის ახალ ხელნაწერთა გაცნო-
ბა. მომავალი კვლევა-ძიება იმ მხრივ ზეერ რა-
მის შეავსებს და დაახსურებს, ან შეცვლის კო-
დეც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამიერიდან
მეცნიერებს ხელთა აქვთ სათანადოდ გამო-
ცემული და სამეცნიერო აპარატურით აღჭურ-
ვილი ტექსტი ქართული ბალაგარიანის ორივე
რედაქციისა. ჯ. შარბაძე

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია



საბჭოთა საბიბლიოთეკო მშენებლობის მას-
შტაბები და ის საგანმანათლებლო მუშაობა,
რასაც ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალრიც-
ხოვანი ბიბლიოთეკები ეწევიან, ლოკალური
აუცილებლობით აყენებს საბჭოთა კავშირის
ცალკეული ხალხების საბიბლიოთეკო საქმის
ისტორიის შესწავლას.

სამწუხაროდ, საბჭოთა ბიბლიოთეკათმყოფ-
ნეობის ლიტერატურაში ისტორიული თემატი-
კის საკითხებზე ნაშრომები ჯერ კიდევ ცო-
ტია. ამდენად დიდ ინტერესს იწვევს სი-
ქართულოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირ-
ექტორის ელადიმირ უზნაძის ახლახან გამო-

ეკმული წიგნი — «თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია (1846—1917 წ. წ.)». ავტორი საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის კარგი მკვლევარია. იგი კითხვლობს ბიბლიოთეკათმკვლევების ისტორიის კერძის პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, აქვს სხვა ნაშრომებიც.

საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას საქართველოში შორეულ წარსულში აქვს სათავე, კერძოდ, იგი იწყება IV საუკუნიდან, როცა ცნობილი ხდება კოლხეთის აჯალმების საქმიანობა. წიგნების, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის და სხვა მკვლევართა შრომებში გახსენებული ცალკეული ცნობები მწიგნობრობის საქმის ორგანიზაციის, პერსონალური ბიბლიოგრაფიის, სამონასტრო ინვენტარისა და წიგნადი ფონდების ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ ეს ცნობები არასაკმარისია, მათ არა აქვთ სტრუქტურა, სისტემური ხასიათი და სრულ წარმოდგენას ვერ გვაძლევენ თვით ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ. თუ უძველესი დროის საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის დაუმუშავებლობა შეიძლება აიხსნას საქონის სირთულეთა და სათანადო მასალების სიმცირით, სამაგიეროდ, გაერმართლებულია უფრო გვიანი ხანის ბიბლიოთეკების ისტორიის უქონლობა. ასე, მაგალითად, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, როცა უფრო გახშირდა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა, დღემდე, ე. ი. 250-ზე მეტი წლის განმავლობაში, დეკარტე რეორგანიზაციის ნაბუჯი, ისე უამრავი ხელნაწერი (საარქივო) მასალა, ეს მასალები მოიცავენ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის თითქმის ყველა მხარეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი არის საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის «ახალი ისტორიის» დასაწყისი. ამ ისტორიის მეტად მწიგნობრობის რეალია დაარსება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა, რომლის ჩაბაჟვისა და ზრდის ეფლენება ვ. უსნაძის ნაშრომი.

ხანგრძლივი საარქივო ძიების გზით ავტორმა შეძლო გაერკვია რომ ბიბლიოთეკის, როგორც თვითკარული დაწესებულების, გახსნამდე არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებისაგან შემდგარი წრეები, რომლებიც ერთიანდებოდნენ მწიგნობრობის მოყვარულთა ოჯახებში. ამ გარკვეული წრეების გაერთიანებებმა წარმოქმნა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები.

ვ. უსნაძის ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისაგან: 1. წინასიტყვაობა; 2. ბიბლიოთეკები საქართველოში X — XVII ს. ს.; 3. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიული მო-

მოხილვა (1846 — 1917 წ.წ.); 4. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების წესდებები, მისი შედგენილობა და კრებულები; 5. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზაცია და წიგნადი ფონდის კატალოგები; 6. მკითხველთა მომსახურება; 7. დასკვნები.

სადა პირველწარმოებისა და დამუშავების საფუძველზე ავტორმა დაადგინა, რომ თბილისში ბიბლიოთეკის დაარსების იდეა ეკუთვნის ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში. საგულისხმოა აღინაშნოს, რომ ამ იდეას მხარს უჭერდნენ მოწინავე რუსი ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, უწინარესად — დიდი რუსი მწერალი ვრიხოვოლოვი. საუკუნით მართალია ავტორი, როცა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიის იწყებს დ. ყუფიანისა და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ 1842 წელს ჩამოყალიბებულ კერძო ბიბლიოთეკის, სწორედ ეს ბიბლიოთეკა იყო პირველი საჯარო ბიბლიოთეკა თბილისში; როგორც ცნობილია შემდეგში (1848 წ.) ამ ბიბლიოთეკის ფონდი შეუერთდა მ. ვორონოვის მიერ 1846 წელს დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკის ფონდს.

ძალგა რა მეორე თავში ბიბლიოთეკის ზოგადი ისტორიის მიმოხილვას, ავტორი მომდევნო თავებში დაწერილებით იკვლევს ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ფონდის წყაროებს, არკვევს ბიბლიოთეკის ორგანიზაციისა და კატალოგების საკითხს და მკითხველთა მომსახურების ამოცანებს, რაც ახლებურად და ამომწურავად აქვს ავტორს ჩამოყალიბებული.

წიგნი მოიპოვება დღემდე უცნობა და ავტორის მიერ პირველად მიკვლეული რიგი ფაქტები. ასე, მაგალითად, ავტორს დადგენილი აქვს, რომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შემსწავლი განსაკუთრებული როლი შეასრულა 1832 წლის შემოქმედების ცნობილმა მონაწილემ პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა, რომელმაც საკუთარი სახსრებით ააგო ბიბლიოთეკის შენობა.

სამწუხაროდ, რეცენზიის ფარგლები საშუალებას არ იძლევა დაწერილებით შეჩერდეთ ნაშრომის ყველა ნაწილზე, სადაც ავტორის ფართოდ აქვს მოცემული თბილისის პირველი საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობის ისტორიის აღწერა.

ვ. უსნაძის შრომა საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევაა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიის შესახებ და იგი ძირითადად განიცა ზვეს სპეციალურ ლიტერატურაში.

გიორგი ბაძრაძე

კრებული რუბაქის შესახებ



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემის მთავარი რედაქტორის, პროფ. ი. ლომიძის მიერ გამოქვეყნებული კრებული „რუბაქი“ დიდი ტაჯივი პოეტის, რუბაქის დაბადების 1100 წლისთავს მიეძღვნა. კრებულში შესულია ამავე უნივერსიტეტის სპარსული ფილოლოგიის კათედრის წევრთა სამეცნიერო შრომები, რომლებშიც პოეტის ცხოვრებისა და შექმნილების ცალკეული საკითხებია განხილული. წიგნს დართული აქვს რუბაქის ლექსების ქართული თარგმანი.

კრებული იწყება დოქ. ვ. ფუთურაძის წერილით, რომელშიც მიმოხილულია რუბაქის ეპოქა; მოკლედ და ამოწურავადაა მოწოდებული ცნობები არანის ნაციონალური ცენტრალიზებული სახელმწიფოს დარსებების შესახებ. სრულყოფილიადაა გადმოცემული სამანიანთა სოციალ-ეკონომიური და კულტურული ყოფა.

პროფ. დ. კობიძე თავის შრომაში რუბაქის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს განიხილავს. შრომაში დახასიათებულია რუბაქიმდელი ტაჯიკურ-სპარსული მწერლობა, მოცემულია მისი სათავეების მოკლე მიმოხილვა. რუბაქის ბიოგრაფიისა და მისი პოეტური შემოქმედების კვლევის ბევრმა მეცნიერმა მიუძღვნა სპეციალური შრომა. ცნობილი ირანელი მეცნიერის სეიდ ნაფისის სამტომიანი ნაშრომიც ამავე საკითხებს შეეხება. ნაფისიმ თავი მოუყარა პოეტის შესახებ არსებული რაოროც აღმოსავლურ, ასევე ევროპულ მასალებს. პროფ. დ. კობიძის გამოკვლევაში ზედმიწევნითაა შესწავლილი ეს ნაშრომი და ზოგი უმართებელი ასრია გაკრიტიკებული.

აღმოსავლეთის და დასავლეთის მეცნიერები თავს იმტვირთავენ რუბაქის ბიოგრაფიის საკითხებზე და მათიც ვერ დადგინდა ჯერბნობით, რა ერქვა „რუბაქის“ ფსევდონიმით ცნობილ პოეტს, რა წარმოშობისაა, ან რას უნდა ნიშნავდეს თვით ეს ფსევდონიმი. პროფ. დ. კობიძის აზრით იგი რუბაქის დაბადების ადგილზე მიუთითებს. ზოგი მეცნიერი ამ ფსევდონიმს აღმოსავლურ საყარას „რუდ“-ს უკავშირებს, ზოგიც წყაროსავეს. არსებობს გადმოცემა, თითქოს რუბაქი ბრმა ყოფილიყოს დაბადებიდანვე. ცნობებს ამის შესახებ გვაწვდის მოამბედ ოფეი. შემდეგი დროის მეცნიერები აღარ იზარებენ ამ შეხედულებას. პროფ. დ. კობიძე ვთანხმება ნაფისის, რომელიც ზოგი ლექსის მონაცემით დასაზოგადოდ რუბაქის პოეტი შემოქმედების გათვალისწინებით ასკენის, რომ პოეტია თვალბინილი უნდა ყოფილიყო.

რუბაქი სამანიანების კარის პოეტი იყო. ნასრ მუროის კარზე იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ფიქრითა თითქოს მოხუცებულობის ვაშს პოეტი კარიდან გაქაფვებით. ამის ერთერთ და ხანდახან ერთადერთ

მიზეზად რუბაქის ყარმატელობას ასახელებენ. ზოგი ცნობა ნასრ მუროეს ყარმატელთა მოძრაობის წევრად ასახელებს. მაშინ, ცხადია, რუბაქის გაძევების მიზეზად ყარმატობა იღარ გამოგვადგება. სარწმუნოც რომ არ იყოს ეს ცნობა, ერთი ამჟამად — ყარმატობა არა ყოფილა ისეთი ხასიათის მოქრაობა, რომლის მიმდევარიც ასეთ სასტიკ რისხვას დაიმსახურებდა. ამიტომ პოეტის გაძევების მიზეზი სხვაგან უნდა ვეძოთ. საერთოდ ისიც საეჭვოა — ჰქონდა ამ ფაქტს ადგილი?

დ. კობიძის აზრით აღმოსავლეთში გავრცელებული ე. წ. „რაიე“ — დეკლამატორი რუბაქის არ უნდა ჰყოლოდა ამ უბრალო მიზეზის გამო რომ თავად რუბაქი შესანიშნავი დამკვერლი და მომღერალი ყოფილა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი სტროფი:

„ეი მაჯ, შენ ახლა ჩემი ლექსი გაიზუპირე და იმღერე (სოქვი) ჩემგან გული და ფიქრი, შენგან სხელი და სული.“

გამზიარულით, ღვინო ვსვათ და ვიღბნოთ, ვსოცნით ბაგენი ფერაის მსვავსთა“. (გვ. 42) ნაფისი „მაჯს“ დეკლამატორის სახელიდ მიიჩნევს. დ. კობიძის სხვაგვარად ესმის იგი. „მაჯ“ სპარსულში შეიძლება ნიშნავს; აქვდა ლამაზს, ტურფას. ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს სტროფის ამგვარ გაგებაში. სხვა საკითხია პუადა რუბაქის დეკლამატორი თუ არა. საქმე ისაა, რომ „მაჯ“ კონტექსტით მხოლოდ მამაკაცი შეიძლება იყოს, რაც მეოთხე სტროფით დასტურდება: „ვსოცნით ბაგენი ფერაის მსვავსთა“.

პროფ. დ. კობიძის აზრით რუბაქის გარკვეული წვლილი მიუძღვის ირანელი საგმრო ეპოსის ლიტერატურულ დამუშავებაში. „შა-ნამეს“ გმირებს რუბაქი ისეთი ეპითეტებით იხსენიებს ცალკეულ სტებებში, რომ კაცი დაეჭვდება პოეტის „მუფთა წონის“ გმირებს ხომ არ გულისხმობსო. დ. კობიძემ საგანგებოდ შეისწავლა მოთყარების ზომით დაწერილი რუბაქის ყველა ბეითი და გამოიტყვა, რომ პოეტს აღნიშნული ზომით არც ერთი სტება არ შეუთხზავს. ნაწილი ასეთი ბეითებისა უცვლელად გვხვდება შემდგომ „შა-ნამეში“. მკვლევარი ამაში ხედავს რუბაქის გავლენას ფარდოსის შემოქმედებაზე და დასაშვებად მიაჩნია, რომ „შა-ნამეს“ ზოგი ეპიზოდი რუბაქის მიერ იყოს შეთხზული. დღემდე არავის მიუქცეია ამ ფაქტისათვის ჯეროვანი ყურადღება. ნაფისიც გვარტის უვლის აღნიშნულ საკითხს.

ილ. გვახარიას წერილი რუბაქის პოეტისა შეეხება. წერილში სპეციალურადაა შესწავლილი სალქსო ფრამები, ზომები (მეტრი), ეფთოის ზოგი მომენტები და შედარება-მეტაფორები. ილ. გვახარია საგანგებოდ ჩერდება ლექსის ერთ-ერთ

ფორმაზე (ყაზალი) და ამტიკებს, რომ იგი რუ-
დაქის დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული სა-
ლესო ფორმა იყო. აღ. გვახარის სასახლოდ
უნდა ითქვას, რომ შან შესწლო ისეთი პეტაფო-
რის ვახსნა, რომელმაც საგონებელში ჩააგდო
ცნობილი ირანისტები კ. ჩაიკინი და ა. შანი.

პატარა შენიშვნა უნდა გვაკეთოთ ერთი აღ-
გლისათვის. ნაშრომის 105-ე გვერზე აღ. გვა-
ხარის შიაკეს ასეთი ბეითი:

„თუ ბროლინი იხალავ (ღვინოს) იტყვი

წითელი თვალა (მარჯალიტი) მოსე იზრანის
(ძის) ხელი“. და დაძინეს: „აქ გადაჯერით უნდა
იფლისხმებოდეს ზინდის ენიზოდი მოსეს სას-
წაულბრივი ძალის შესახებ — ხელის გათეთრე-
ბა... ყურანის ტექსტში „იზრანის ოჯახის“ შესა-
ხებ სურათში ეს მომენტია არა ჩანს“. (გვ. 105)
დასახელებულ სურათში ეს მომენტი მართლაც
არა ჩანს, მაგრამ მოსეს სასწაულბრივი ძალის
შესახებ ენიზოდი ყურანის რამდენიმე სურათში
დადასტურებული. ყურანის მე-26 თავში ვკით-
ხულობთ: „... მოსე გამოცხადდა ფარაოსთან...
გდააგდო თავისი კერძობა, რომელიც ნაშველი
გველ იქცა. მერმე ხელი გაიწვავა და თეთ-
რა აღიპოვნენ იგი ყველა მყურებელსა“, ხოლო
მე-7 თავში (სურა „ვალსახედავი“) ვკითხულობთ:
„მოსე თავისი კერძობი გადააგდო და იმ წამსვე
ცხად გველად იქცა. მოსემ ხელი გამოიღო უბო-
თთან და სრულიად თურა იქმნა მყურებელთა
წინაშე“. (ყურანი შუამშვიდისა, 1906. გვ. 149;
355). ეს მომენტი კიდევ ორგანაა დამოწმებული
ამვე ტექსტში თავი 28 „ამბავი ანუ თავადა-
სავალი“ და სურათში „ტა პა“ თავი 20. საეილდე-
ბული არაა მოსეს სასწაულბრივი ძალის შე-
სახებ ენიზოდები მიანიცდებიან ბაბლიდის შე-
მოსულებად ჩავთვალოთ მისინ, როცასაც ყურანი იც
კარგად იცნობს მას. ჩვენ ამით არა გვსურს ვაშ-
კიკოთ, თათქოს რუდაქისათვის უცხო იყო
ქრისტიანული გზამკვლევი ან ბაბლიური ენი-
ზოდები.

დოქ. ლ. თუმიშვილის წერილი ეხება რუდა-
ქის ენის ზოგ თავისებურებას. პოეტის ენა დღემ-
დე არაა ჯეროვნად შესწავლილი. წერილში გან-
ხილულია რუდაქის ოროგრაფია, ფონეტიკა,
მორფოლოგია და ლექსიკა.

დოქ. კ. ფლავის წერილი რუდაქის და ომარ
ხაიამის შემოქმედების საერთო ნიშნებს ეხება.
კ. ფლავის აზრით ამ ორ პოეტს ძირითადად სამ-
ყაროს მატერიალისტიკა გავება. ღვინის ამო-
ლოფია, ქალისა და განცხრომის კულტი ანათესა-
ებს, სეფროლა მითთვის სოციოლური და დილაქ-
ტიკურა მოტივებიც. ორივე პოეტი ღვთისმგომ-
ბელადა გამოკვლავებული და მოტანილია საამი-
სო საბეჭდში.

ვერ დავთხანხმებთა მკვლევარს ამ პოეტთა
მსოფლმხედველობის შეფასებაში. ისლამის
დოგმატიზმი და სიხარბე ზიზღს იწვევს ორივე
პოეტში, ხაიამთან ეს უფრო ხაზგასმულია. მას
არცერთი პოზიტიური რელიგია არ მოსწონს და

კიდევ მეტა, არც სწამს. შეიძლება არის ვაზო
ვაწერთ პოეტს ღვთისმობას, რუდაქისათვის
და განსაკუთრებით ხაიამისათვის. რუდაქისათვის
ბელი წყევადასული პედონტორი უნდა იყოს სე-
ფიური მისტიციზმისათვის.

წიგნს ბოლოს ერთგვანად. მ. თოდუას მიერ თარ-
გმნის რუდაქის ლექსები. თარგმანისათვის და-
შახასიათებელია ლექსის ლაღი და ბუნებრივი
მდინარება. იშვიათია ყურთმთარგმელი და ულ-
ხათი გამოთქმები. მკითხველს ხიბლავს ის
უშუალობა და სიმსუბუქე, რომელიც ტექსტის
ზუსტ და ზედმიწევნით გაგებასთან და გაღმარე-
მასთან არის შეთავსებული. იშვიათად მოიძიებ-
ნება თარგმანში ლექსი ხელოვნურობის დაღს
რომ ატარებდეს. მთარგმნელის სასახლოდ უნ-
და ითქვას, რომ შან ქართული პოეზიისათვის
ასეთი უცხო ფორმა, როგორიცაა ყაზალი ძალ-
ზე ბუნებრივი და ლაღი წასაკითხი გახდა.

თარგმანში აქა-იქ მაინც გვხვდებით ქართული
ენისათვის შეუფერებელ ფორმებსა და სი-
ტუვებს. მ. თოდუა წერს: „სანამდე ჰეიუს ტრია-
ლუს“... უნდა „სანამდე ჰგია“. „ჰეიუს“ მრავ-
ლობითი რიცხვის ფორმაა „ჰეიასი“. ლექსში ლა-
შარაგია საწუთროზე. ამდენად მრავლობითის
ფორმა აქ უადგილოდაა ნახშირი. გვხვდება ფე-
რთფე კონკრეტული ადგილისათვის შეუფერებ-
ლად ხმარებული სიტუვები: „ავახაოთ ჯელგი“
„მებრევი მხარე“, „ვარღი ღღანებს“ და სხვ
დღენში ლაშარაგია ავახაოთა ხროვანზე, „ავახაოთ
ჯელგი“ არ გამოოსცემს დედნის აზრს. „გულამ“
ვარღის წყალს ნიშნავს, „გულაბის წყალს“ ქარ-
თული მკითხველი აღიქვამს როგორც მსხლის
ერთობი ჯიშის, გულაბის წვეს. დედანში კი
ვარღის წყლის ნუღსუნებებაა. ზოგჯერ ტექსტი
ზედმიწევნით გაუბრალოებულია, აცლია რუდა-
ქისეული ენიური სიღარბისლე თარგმანში ზო-
გან ასეთ ადგილებსაც ეხედებით: „წუთისოფელი
თავის ღვიძლს შეიღებს, როგორ გვექცევა შენ
გენაცვალუ!“, „რა არის წუთისოფელი ეს ჩვენა
იფი-ბიწია“, ან „ეს რა. დრო იყო ღმერთმანი
მკურდანი გადავირევი“ ანდა „ასი თავი ვის
აბაა“ და სხვ. გვხვდება გაუგებარი და ბუნდო-
ვანი ადგილებიც: „სული ტყბილია და ძვიარფასი,
შან თავის მამას მიანდო, შან დედას თავი შიადო
და თავი მასში არაა“. (გვ. 167).

ჩვენს შენიშვნებში ოდნავადაც ვერ ამკირებს
თარგმანის მატერულ ღირებულებას. იგი მა-
ღალ დონეზეა შესრულებული და მკითხველზე
კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს პირველი თარ-
გმანია, რომლითაც ქართული მკითხველი ტა-
ჯიკურ-სპარსული პოეზიის პირველი კლასიკო-
სის შემოქმედებას ეცნობა.

კრებულში გაშუქებულია რუდაქის ცხოვრე-
ბისა და შემოქმედების ყველა ძირითადი საკით-
ხი, რუდაქის პოეტური შემოქმედურობის შემსწავ-
ლუთათვის იგი ერთგვარი სახელმძღვანელო
წიგნი იქნება.

სოკა ნასრედინის ანეკდოტები



ვინ არ იცნობს ხოჯა (იგივე ეფენდი, მოლა) ნასრედინს, ვის არ გაუგია მისი სახელი, მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მასთან დაკავშირებული ანეკდოტები. ვინ არის იგი, ლეგენდარული კრებითი ტიპი თუ რეალური ისტორიული პიროვნება, არაბი, სპარსელი, თურქი? მისი სახელით ენობილ შრავალ არაკთავან რომელი ეკუთვნის მას და რა პირობებშია შეთხზული? ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა ამ საკითხთა გარშემო, მაგრამ ბევრი რამ დღესაც გაურკვეველია. ნაწილობრივ ეხება და არკვევს მათ ახლადდაარსებული აღმოსავლური ლიტერატურის გამოცემლობის მიერ მოსკოვში გამოცემული კრებული „ანეკდოტები ხოჯა ნასრედინის შესახებ“.

ხოჯა ნასრედინის პიროვნების თაობაზე რამდენიმე შეხედულება არსებობს. ტრადიციული აზრით ნასრედინი იყო თემურლენგის თანამედროვე (მე-15 ს.). სინამდვილეში ამ ორი პიროვნების დაკავშირება მოხდა გაცილებით გვიან, გარკვეული აღრევის შედეგად. ნასრედინის არაკებში ჩვენ ვხვდებით ისტორიულ პიროვნებათა ხეცებას, რომელნიც უფრო ადრე მოღწეობდნენ (მაგ. შეიად-ამაზა მე-13 ს.). ამ საუკუნეს უკერს მზარს ხოჯას მშობლიურ ქალაქად აღიარებული აქშეპირის სანაბეში ნაბოენი საფლავის ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია თარიღი 833 წელი ჰაჯრით (1284/1285 წ.). ამავე ქალაქის არქივში თურქმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ამ ეპოქის დოკუმენტები, სადაც იხსენიება ვინმე ბრძენი ნასრედინი. თითქოს ეს მცორედი, მაგრამ დოკუმენტურა ფაქტები იძლეოდნენ გარკვეული დასკვნის შესაძლებლობას. მაგრამ უკანასკნელი დროის კვლევამიჯნის ისინი უფრო მახვილგონიერულად მიანიხი, ვიდრე დამარწმუნებლად. ფიქრობენ, რომ ნასრედინის სახე შეიქმნა უფრო ადრე, სხვადასხვა ხალხებში მიიღეს მის გამოთქრწყვაში მონაწილეობა (არაბებში, თურქებში, სპარსელებში, შუა აზიისა და კავკასიის ხალხებში). სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სიტუაციაში ეთიარღება იგი, იცლის გარეგნობას, ზოგჯერ სახელსაც, მაგრამ ყოველთვის რჩება სახალხო გმირად, შარბლის მოქმედ მებრძოლად უსამართლობისა და უციკობის წინააღმდეგ. რამდენად უკავშირდება იგი რეალურ პიროვნებას, ეს საკითხი ნაკლებ სინტერესოდ არის მიჩნეული.

პირველად ანეკდოტები ხოჯა ნასრედინის შესახებ ჩაიწერა მე-16 საუკუნის თურქმა მწერალმა ლამიამ. მან შეადგინა ნაკვესების კრებული, რომელშიც შეტანა არაბულ და სპარსულ წყაროებიდან ამოწერილი მასალი, აგრეთვე მის სამშობლოში ზებირად ვაერადე-

ბული არაკები. აქ ვხვდებით რამდენიმე ანეკდოტს ნასრედინის შესახებ. საგულესნობა, რომ ისინი შეტანილია ამ თავში, რომელიც მოგვითხრობს „დუენანათა“ (სულელების) შესახებ. ამრავად, ნასრედინიც თავდაპირველად გვესახება მოსულელთა, უფრო მასხარა, ვიდრე ბრძენ პირად. თანდათან ხდება ამ უკანასკნელი მომენტის გაძლიერება. მე-17 საუკუნეში ნასრედინის ვრცელად იხსენიებს ცნობილი თურქი მოგზაური და ისტორიკოსი ველია — ჩელები, ხოლო მე-18 საუკუნისათვის ჩნდებიან ანეკდოტების სპეციალური კრებულები. ამ დროისთვის ხოჯა ნასრედინს უკვე საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ხალხის ყოფაში. წინანდელი მასხარა თანდათან იქცა ენაწერე ზემარად, რომელიც ღარიბ-ღატაკთა დამცველის როლს ასრულებდა. იგი არა მარტო იცილობდა და აცინებდა სხვებს, იგი ზედოდა და განიცდიდა ადამიანის ტკივილებს. იგი იცავდა თავისი კერის მუზობლების, მათი სახით კი საერთოდ, უბრალო ხალხის ინტერესებს:

„ერთმა ძუნწმა ჰკითხა ხოჯას: „შენც გიყვარს ფული?“ — დაბ, — უბასუხა ხოჯამ, — მიყვარს, რადგან ფულის წყალობით ადამიანი აღარ არის დამოკიდებული უსინდისო ძუნწებზე“.

„იმ სოფლის აღამ (მოურავმა) რომელშიც ნასრედინი იყო სტუმრად, ჰკითხა მას: „ხოჯა, ვინ არის უმაღლესი, მეფე თუ მიწათმოქმედი?“ — „ცხადია, მიწათმოქმედი, — უბასუხა ხოჯამ. — მან რომ პური არ მიოყვანოს მეფე ხომ შიმშილით მოკვდება“.

ერთი მკვლევარის მოსწრებული თქმით ხოჯა ნასრედინში შერწყმულია ორი ტიპი: იგია ბრძენი ეზოზე, მაგრამ იგივეა მოსულელი ზემარა. სისულელე ზმირად იწვევს სიცილს. ნასრედინის მიერ სულელურ მდგომარეობაში ჩაყენებული მოწინააღმდეგე დაციწვას იმსახურებს. მაგრამ ხდება ისეც, რომ სიცილის იბიექტს თვით ნასრედინი წარმოადგენს. აქ თითქოს იგი, როგორც ფიქრობენ, ესხვისება თავის თავს; ნასრედინი ისე ეპყრობა ნასრედინსე, როგორც უცხო ვინმეს. ზმირად მის ნაენომი-მეგობარსა და მეუღლეს სურთ განეგებ ჩააყენონ ხოჯა სულელურ მდგომარეობაში, მაგრამ იგი ოსტატურად იძერგნა თავს და მათვე ტოკებს პირში ჩალავამოკლებულს.

სამოლოოდ გამოიყოფ და ხალხის შეგნებაში ჩამოყალიბდა ხოჯა ნასრედინი, როგორც მახვილგონიერი ბრძენი, რომლის ხან კთილი, ხან მამხილებელი დომედი ასხივონდება სხვადასხვა საუკუნეებსა და ქვეყნებს. თურქულს ვარდა

ენობილია სპარსული, შუა აზიური, ამიერკავკასიური ენებზე ანეკდოტებისა. ცხადია, ყოველ მთავარში შეცვლილია და გადასხვაფერებული გარკვეული ელემენტები. ზოგა ნასრედინის პოპულარობა და სახელი ხან მზრდება, ხან მცირდება, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. მაგრამ ვიდრე ის რჩება რაიმე მხროველობის თანადროული, მარად იცოცლებს, როგორც გამართობი, დამკვიდრი და დამრავლებელი.

ქართულ ენაზე გამოიკა 1941 წელს „მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი“, რომელიც სპარსულთან ოსტატურად თარგმნა ა. ჰელდემ. მაგრამ უნდა ეთვლებოდა, რომ ნასრედინის ანეკდოტები კარგად იყო ენობილი ქართული საზოგადოებისათვის გაცილებით აღრეული ხანდა. ერთი ლიტერატურული ფაქტი ამჟამად მოწმობს ამას.

სარეცენზიო გამოცემის წინასიტყვაობაში მოტანილია ერთი არაკი სულხანსაბა ორბელიანის კრებულებიდან („გლახაიის სიზმარი“) და მითითებულია მსგავსება ნასრედინის ანალოგიური სიტყვების შქონე ანეკდოტზე. ის გარემოება, რომ „სიბრძნე სიცრუის“ ზოგიერთი არაკი პარალელში აქვს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ვერ ზ. ავალიშვილი „სიბრძნე სიცრუის“ გერმანული თარგმანის შესავალში, შემდეგ კი მასზე დაყრდნობით ს. იორდანიშვილი რუსული თარგმანის კომენტარებში დაასაბუღებს ხელი არაკი, რომელიც სავსეთა სიბასა და ნასრედინისთვის („გლახაიის სიზმარი“, „ქუთუბი შერვალი“, „შეკლავი და ვირი“, „უმეცარი დილაქი“, „გლახა და შიდიარი“). სარეცენზიო კრებულის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დავუმატოთ მათ რიცხვს კიდევ სამი: „მეხილე და შუქვი“ (შდრ. № 276), „ორნი ამხანაგი და დათვი“ (შდრ. № 35), „მთიელ

და კაცის ხე“ (შდრ. № 252), განსაკუთრებით სავსესხმო ეს უკანასკნელი.

საბას ამ არაკის სხვადასხვა სტილისტურ ანალოგიებზე მიუთითებენ. მათგან ყველაზე უფრო აბლსაა საბასთან ვარდინის კრებულში მოთავსებული „კაკალი და სიზმართი“. ოღონდ შევსება არაკით, საბას არაკის ახასიათებს ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი დეტალი: აქ კაკალს ავლეს ხეზე შემომკლარი ყვავი. ვარდინის არაკში კაკალი ღვთის განგებით ვარდება, სპარსულ იგავში — ყოველგვარი მიზეზის გარეშე. მხოლოდ ნასრედინისეულ ანეკდოტში, რომელსაც მთარგმნელმა უწოდა „სიბასის ხეები ხის ძირში“, დეტალი ზუსტად იგავე დეტალი — ყვავის მიერ კაკლის ჩამოვლება.

ვფიქრობთ, ასეთი სავსით რაოდენობის არაკების სიუჟეტური დამთხვევა, ზოგჯერ დეტალურად კი, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ჩანს, ნასრედინის ანეკდოტები საბას დროს გავრცელებული და პოპულარული ყოფილა საქართველოში. წყარო უფრო ფოლკლორული იგარუდება, ვიდრე შიგნობრული.

ეს არ ნიშნავს, თითქმის დიდი ქართული იგავთოსტატი უკვლელად იმეორებდეს თავის რომელიმე წყაროს, მათ შორის, სხვებზე ანეკდოტებს. უბრალო შედარება კი მოწმობს, რომ ნასრედინის არაკები გაკლებით უფრო მსუბუქია, ფუნატიკურია, ნაკლებ დიდაქტიურია; მათი საყრდენია მოულოდნელობა, გართობის მომენტი. სულხანსაბა ორბელიანის არაკებთან შედარებით მათ აკლიათ ის სიღრმე, ინტელექტუალური სინათლე და გამიზნულობა, რაც ახასიათებს „სიბრძნე სიცრუის“. აღაფრის ვაშლობთ საბას სტილისტურ უპირატესობაზე. საერთოდ, ეს უკვე სხვა თემაა.

ალ. გვახარია

აღმოსავლეთ საქართველოში აგრარული ურთიერთობათა განვითარების საკითხისათვის



საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის დაშლის პროცესის საკითხი არა ერთხელ გამხდარა ქართველ ისტორიკოსთა და ეკონომისტთა კვლევის საგანთ. რეგულურობად და რეკო-

А. Я. Паничхан. К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии. Академия наук СССР, ответ. редакторы — С. Г. Струмилин и Г. В. Хачавуридзе, 1957 г.

ლუციის შემდეგ გამოქვეყნდა რუსულ და ქართულ ენებზე მთელი რიგი შრომებისა, რომლებიც ეხებოდა აქ და საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა საკითხებს. ასეთ გამოკვლევებს მიეკუთვნებიან: ივ. ჯავახიშვილის, ს. ავალიანის, ილ. ზახტაძის, ჯ. ზაქაძე-ბერიძის, ს. ჯანაშვიის და სხვათა შრომები.

ა. ფარცხავას შრომაც „აგრარულ ურთიერთობათა განვითარების საკითხისათვის რეფორმადელ აღმოსავლეთ საქართველოში“ ამ შრო-

მების გვერდით სდგას და აგრძელებს ქართველ მეცნიერთა მიერ დაწყებულ დიდ შრომას. ავტორის სრულებით გაჩვენული ამოცანა აქვს დასახული: გამოარკვიოს ქართველ რევოლუციონერულ საზოგადოებრივ სტრუქტურაში სტრუქტურის წინააღმდეგობრიობა. აჩვენოს ზედმეტი პრადექტის წარმოშობის კონკრეტული ფორმები და მისი მითვისების წესები ორმაგი ჩავჯვრისა და გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

შრომა შესავალისაგან და ოთხი თავისაგან შედგება. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შრომის შესავალი, სადაც ავტორს გამოყვანილი აქვს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება XVIII საუკუნის დამლევისათვის. აქ განხილულია საარტიკო მასალების საფუძვლებზე მოსახლეობა და მისი დასახლების სიმჭიდროვე. ავტორის ცნობით 1862 წელს თბილისის მოსახლეობა უდრიდა 577.267 და 1 კვ. მეტრზე მოდიოდა 13, 46 მცხოვრები. საკმაოდ დამაჯერებლად არის მოცემული შრომის ამ ნაწილში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი მეურნეობის დარგების მიხედვით—სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ვაჭრობა და სავაჭრო გზები, ქალაქის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, ფეოდალური იერარქია, ფეოდალური რენტის ფორმები, ავტორის გამოთქვნილი აქვდა ის მასალა და გამოქვეყნებული შრომები, რაც შესავალში მოცემულ საფუძვლებთან არის დაკავშირებული. შეიძლება აღნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი რამ, რაც ჩვენი აზრით უფროაღებების ღირსია.

ავტორი წერს ხელისაწილი ამქრების შესახებ. „უფრო მსხვილ ქალაქებში, მაგ. თბილისში, გორში, ხელოსნები გაერთიანებულნი იყვნენ ამქრებში, რომელთა სათავეში უსტაბაშვი იდგნენ“ (გვ. 13) ამქრული გაერთიანების ხელოსნებისა საქართველოში, ისე როგორც რუსეთში სხვა ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენდნენ, ვინმე დასაყვამ ევროპაში. საქართველოში და რუსეთშიაც ხელოსანთა გაერთიანებას ამქრებში უფრო ფისკალური ხასიათი ჰქონდა მეფის ხაზინისათვის. ამქრები საქართველოში არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე, ვინაიდან ასეთ ბრძოლას ქალაქის ხელოსნების დამოუკიდებლობისათვის საქართველოში აღგაი არ ჰქონია.

ავტორმა სცადა ფეოდალური ურთიერთობის სურათის წარმოდგენა ვახტანგ VI კანონების ანალიზის საფუძველზე. იგი სამართლიანად მიუთითებს რომ „სამართლის არ შეუძლია არ გამოხატოს კლასობრივ ძალების რეალური თანაფარდობა“ (გვ. 21) აქედან მას გამოჰყავს დასკვნა იმის შესახებ, რომ ვახტანგ VI კანონთა კრებულში მოთავსებულ უცხოურ და ძველ კანონებს შედარებითი მნიშვნელობა ჰქონდა

და ფეოდალური საქართველოში არ გამოიყენებოდნენ. ამ დებულებაში უნდა გავითვალისწინოთ დავითანობით ავტორის იმის გამოტყობილებული კანონები მართლაც არ იყო გამოყენებული ფეოდალური საქართველოში. უფრო დრამატიკი გამოკეთება ანალიზი ამ უცხოური კანონებისა, საქართველოს ფეოდალური ურთიერთობისათვის შეიძლება ასე კატეგორიულად ავტორს არ გამოეთქვა ეს აზრი. ფაქტობრივად ურთიერთობა ზოგჯერ სცილდება ამას რაც კანონშია აღნიშნული.

კარგად არის განმარტებული სათავეში მიწათმფლობელობის ისეთი ძველი ფორმა, როგორიც იყო სახელის მამული. რუსეთშიც იყო ასეთი ინსტიტუტი *Верная*-ის სახით. აქაც *верная*-სთან ვეაქვს საქმე. მაშასადამე, ამ ინსტიტუტში წმინდა და ქართული, თავისებური არაფერია.

წიგნის პირველ თავში „ეკონომიკური აგრარული პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში“ ავტორი გამოდის ვ. ი. ლენინის ამ ფუძემდებელ დებულებიდან, რომ კავკასიის უკრ პოლიტიკური „დაყვობა“ მოხდა და შემდეგ კი მისი ეკონომიკური „დაყვობა“. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ლენინის ეს დებულება მთლიანად შეეხება აღმოსავლეთ საქართველოში. კარგად არის მოცემული წიგნში ძირითადი ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური თავისებობისა რუსეთის მხრივ. განხილულია ორი პერიოდი ეკონომიკური მმართველობისა სავლეთი რევოლუციამდე, ბატონყმური ურთიერთობის ნაწილობრივი რეალმენტაციის საქართველოში. საყვარელი მამულების სეკულარიზაცია და სხვა. ავტორი ეხება კავკასიის ეკონომიკის საკითხს და ეროლოვის დამოწმებით აღნიშნავს, რომ გერმანელებმა თავის დასახლებით კავკასიაში ადგილობრივ მოსახლეობას მცირე სარგებლობა მოუტანეს, სამაგიეროდ რუსებმა დასახლებულმა კავკასიაში თავისი სამეურნეო გამოყვამებით და სამართლიან ჩვევებით სერიოზული დამხარება აღმოუჩინეს ადგილობრივ მოსახლეობას. არც პირველი და არც მეორე მოსაზრება არც ერთი მასალით გამაგრებული არ არის.

ამავე თავში მოცემულია სამაჩაბლო გლეხების მოკლე ისტორია და ოსეთის გლეხობის ბრძოლა მამაბელთა წინააღმდეგ. სამწუხაროა რომ ავტორს შესაძლებლობა არ ქონია ამ საკითხისა და საერთოდ ოსი გლეხობის ეკონომიკური ვითარების შესახებ გამოყვამებით სპეციალური მონოგრაფია ვ. დ. აბავეისა, სადაც ავტორი ნახავდა მეტად სანტიკრესო მასალებს ოსი გლეხების ბრძოლისა მამაბელის წინააღმდეგ.

წიგნის ცენტრალური ნაწილს წარმოადგენს მეორე თავი რომელიც ეხება გლეხობის ფუნქციონირებას დასახლებების პროცესს რევოლუციამდე აღმოსავლეთ საქართველოში. ავტორს სრუ-

ლიდ გარკვეული დებულება აქვს მოცემული, სახელდობრ, რომ რეფორმამდელ საქართველოში ადგილი ჰქონდა გლეხობის ფენებად დანაწილებას. ავტორის ეს დებულება სრულიად საწინააღმდეგავია იმ აზრისა, რომ ნიკოლაევი ზოგი ქართველი ისტორიკოსი იზიარებს. ისინი საერთოდ უარყოფენ ფენებად დაყოფის პროცესის არსებობას რეფორმამდელ საქართველოში. ავტორი თავის ამ დებულებაში არ არის მარტო. ბ. ნ. ა. ცაგარელის შრომა.

ა. ფანცხავა არ სცდება როდესაც სწერს, რომ არსებობს განსხვავება გლეხების ფენებად დაყოფის პროცესს შორის რეფორმამდელ და რეფორმის შემდეგ პერიოდში. პირველ პერიოდში ფენებად დაყოფის ემბრიონალური ხასიათი აქვს უნდა ეთქვას, რომ ეს წინასაბურთო ხასიათი ფენებად დაყოფისა მოცემულია ჰორნბოლდის უთანასწორობის სახით. რეფორმის შემდგომ პერიოდში კი წნდებიან სოფლის მოსახლეობის ახალი ტიპები—სოფლის ბურჟუაზია და სოფლის პროლეტარიატი. კამერალურ აღწერების მასალების საფუძველზე ავტორმა გლეხურ მოსახლეობის ოთხი ფენა შენიშნა: მდიდარი, შემდებულები, საშუალონი, ღარიბები მასალები ფენებად დაყოფის რომ ეხება პოტანოლია 1804, 1828, 1821 და 1842 წლებსათვის. შესწავლილია და ანალიზებულია ფენებად დაყოფის პროცესი გლეხობის სხვადასხვა კათეგორიებისა. კარგად არის გამოჩეული ღარიბი გლეხების შრომის განვითარება სოფელ და სოფლის მოსახლეობის პაუპეროზაციის პროცესი ავტორი ამ ანალიზის შემდეგ იმასაც კი აღნიშნავს, რომ ხშირი იყო შემთხვევები პატარონების მიერ მოჯამაგირეთ და მათი ბავშვების გაყიდვისაც საქართველოს საზღვრებს გარეთ.

კარგად არის მოცემული თემის დაშლის პროცესის ანალიზი. აქ მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის სათემო მიწათმფლობელობის შესახებ მასალები ჩატომლაც მ. კოვალევისკის შრომაზე დაყრდნობით მოჰყავს. ცნობილია, რომ 1884 წ. „ღარიბებაში“ №№ 168, 263, 267, 289, 270 დაიბეჭდა შაქრის ხელმოწერით სერია სტატისტიკისა სათაურით: „საერთო მიწათმფლობელობაზე ჩვენში“. ამ სტატისტიკაში სიანტერესო მასალაა მოცემული სათემო მიწათმფლობელობის შესახებ ჰიზოში, შიდა კახეთში, ქართლში. ა. ფანცხავას შექმნილ უფრო მეტად ესარგებლა ამ მასალებით, მაშინ თემის დაშლის პროცესი უფრო მეტწილად წარმოადგებოდა.

დიდი ინტერესით აკისრება წიგნის მესამე თავი — „საეპრო მიწათმოქმედების აღმოცენება და განვითარება“. წიგნის ამ ნაწილში ავტორის განხილული აქვს საეპრო მიწათმოქმე-

დების ჩანასახების აღმოცენება და განვითარება მუშაშეღობა მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ჩანასახების სასურველი იქნებოდა მხოლოდ წინასწარ იმის განსაკუთრება, თუ რა იგულისხმება საეპრო მიწათმოქმედების სახით და რით განსხვავდება ეს პროცესი საქართველოში რეფორმამდელ და რეფორმის შემდგომ პერიოდში. არის თუ არა განსხვავება საეპრო მიწათმოქმედების განვითარებაში საქართველოსა და რუსეთს შორის.

წიგნის უკანასკნელი ნაწილი მიძღვნილი აქვს მიწის რენტის ფორმების განვითარების რთულ და მნიშვნელოვან საკითხს. ავტორმა შესწავლია პერიოდების მიხედვით განხილია რენტის ფორმების განვითარება და ამდენად ამ საკითხში სრული გარკვეულობა იქნა შეტანილი. ანალიზი ფეოდალურ რენტის განვითარებისა ილუსტრირებულია დიდი ისტორიული კონკრეტულ მასალით.

წიგნით ამ ნაწილში ავტორის შეიძლება შევნიშნოთ შემდეგი: ცნობილია, რომ ფეოდალურ ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით საერთოდ იზრდება რენტის მოცულობა. ავტორი იმას კარგად არკვევს შრომის ამ ნაწილში, მაგრამ ეს მასალები, რომელიც ამ ზრდის ეხება ვადაქარბებული უნდა იყოს 1864 წლის მასალებით საკომო ვადისათვის შეადგინდა ფაქტურად 47 მანეთს. 1863 წელს კი ეს ერთი წლით აღერ დ. ყოფიანი ამ ვადასახადს ანგარიშობდა 148 მან. 38 1/3 კაპ წარმოუდგენელია ამ ორი მამვენებლის ასე დაშორება.

შრომში მოყვანილია მეტად საინტერესო მასალები სოფლის მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებების შესახებ (გვ. გვ. 229, 259, 277) სამწუხაროდ არ არის დასაბუთებული ამ ცვლილებების მიზეზები.

ერთი მეორე საკლიც დასდევს წიგნს: ავტორი არსად არ ცდილა მეტირედენი პარალელები გაველო რაც საკითხების განხილვისას საქართველოს და რუსეთს შორის. ფეოდალიზმის დაშლის პროცესი ხომ სავსებით ერთგვარად არ მიმდინარეობდა რუსეთსა, როგორც მეტროპოლიასა და საქართველოსა როგორც კოლონიას.

მეტად მეტირედ არის წარმოდგენილი გლეხთა აჯანყებანი, რომელთაც ფეოდალიზმის დაშლაში საკმაოდ დიდი როლი თამაშავს.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა ქართულ ისტორიოგრაფიას კარგი წიგნი შესძინა ა. ფანცხავას შრომის სახით.

დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება

გ. ბერიძის მიერ
გამოცემულია



ლოც. მაშია დღე მზაყე თითქმის ორი თვეელი წელია, რაც საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი საკითხი მონაგრაფიულად შეისწავლა და დაამუშავა. მრავალ საკითხს, თუ პრობლემას მან პირველად მიაქცია ყურადღება, ახლებურად დასვა და გადაჭრა იგი.

მარკსიზმ-ლენინიზმის საფუძვლიანი ცოდნა, მდიდარი საარქივო მასალის შესწავლა, სათანადო ლიტერატურისა თუ გამოქვეყნებული წყაროების ღრმა ანალიზი დოც. მ. დუმბაძეს საშუალებას იძლეოდა არაერთი მართებული დასკვნა მოეცა და ძირითადად სწორად გაეშუქებინა დასავლეთ საქართველოს ისტორიული ვაწავითარების პროცესი XIX ს. პირველ ნახევარში.

მ. დუმბაძის ნაშრომი „დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში“ სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს და ყველა ის შეკვლევა, ვინც დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური პრობლემების დამუშავებას მოყიდებს ხელს, მ. დუმბაძის წიგნს გვერდს ვერ აუვლის. საპირით მიგვაჩინა თანმიმდევრულად გადმოცემით წიგნში განხილულ საკითხებზე ის ობიექტური შთაბეჭდილებანი, რომელიც ჩვენ მიგვიძღოდა ამ წიგნის შესწავლა-დამუშავების შედეგად:

1. საჩიკენო შრომის ავტორისათვის ცნობილია, რომ მისთვის საინტერესო პრობლემის ზოგიერთ საკითხებზე არსებობს გამოკვლევები, თუ მასალი — წყაროები. ეს გამოკვლევები და მასალა-წყაროები სხვადასხვა ხასიათისაა. ავტორი ამ გამოკვლევა — მასალა-წყაროების უმოთხარეს ჩამოთვლის მხოლოდ და არ იძლევა მათ ყოველმხრივ განხილვა-შეფასებას. ამ რთით ასაბუთებს ის ამ გაჩემოებას: „ჩვენ შეგნებულად ვიკავებთ თავს ნაშრომისათვის გამოყენებულ გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელი დიდი საარქივო მასალის, ისევე როგორც ლიტერატურული წყაროებისა და ნარკვევების, დეტალურ-კრიტიკული განხილვისაგან. ამის მიზეზი ისაა, რომ წიგნის მოცულობა შეზღუდულია“ (გვ. 8) და ამ წიგნის მოცულობის გაზრდისაგან თავშეკავების გამო ხელი აუღია ავტორის მიმოხილვალტერატრა და თავისი დამოკიდებულება ეჩვენება მაშინაც კი, როცა თვით ავტორის განცხადებით, ამ საკითხზე არსებული წყაროები და ლიტერატურული მასალები არა მარტო უხვია და მრავალრიცხოვანი, არამედ ისინი შეიცავენ უზუსტობას, შეცდომებს, სადავო საკითხებს.

მამია დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური ვაწავითარება). საქ სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1957.

ავტორი იცხადებს, რომ წყაროებისადმი კრიტიკული განხილვისათვის გვერდის ალა ამ შემთხვევაში ნაკლად არ ჩაითვლებათ (იქვე). პირადად მე კი ვფიქრობ, რომ ეს ამ სერიოზული ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად ითვლება.

2. წიგნის შესავალშივე ავტორი ეცამთება პროფ. ალ. ფირცხალაშვილს, პროფ. ა. კვიციანიძეს, დოც. შ. ბურჯანიძეს და პროფ. ს. კაკაბაძეს 1810 წლის იმერეთის აჯანყების შეფასების საკითხზე. ავტორი იცხადებს, რომ 1810 წლის დიდი აჯანყება იმერეთში ფართო მასობრივ მოძრაობას წარმოადგენდა, ეს მოძრაობა კოლონიურმა რევოლუციამ, გამოაწვია, სხვადასხვა კლასების დროებითი გაერთიანება გამოიწვია მდგომარეობის დამიმეხამ: „მოწინააღმდეგე კლასები, წერს იგი, — სხვადასხვა მიზეზით ჩაებნენ საერთო მოძრაობაში: გამწვავდა გლეხთა ექსპლოატაცია, ფეოდალები კარგადნენ ჰელ პოლიტიკურ უფლებებს, იმერეთის მეფე დამოუკიდებლობისათვის (და არა ოსმალეთის ინტერესებისათვის) იბრძოდა. აჯანყება ცარიზმის კოლონიური რევოლუციის წინააღმდეგ წარმოართა, საგარეო ძალის მოშველიება ამ ბრძოლაში მის მიზანს ვერ ცვლიდა, სულ სხვაა საწინაო აჯანყების პერსპექტივათა შესახებ“.

დოც. დუმბაძის მტკიცებით „რუსეთ-ოსმალეთის შორის მიმდინარე ომის ვითარებაში 1810 წ. აჯანყება ობიექტურად ხელს უწყობდა რუსეთზე ოსმალეთის გამარჯვებას, ამერკავესიაში რუსეთის დამარცხების შემთხვევაში დასავლეთ საქართველოში ჩამორჩენილი ოსმალეთს გააბატონებოდა. ამდენად, აღნიშნულ მოძრაობას პროგრესული პერსპექტივა არ ჰქონია“ (ივ. 9). ავტორი განაგრძობს: „კოლონიური ჩავერისა და ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლა მაშინ, მიუხედავად მისი პერსპექტივებისა, განმითავისუფლებებ ხასიათს ატარებდა და სამართლიანი იყო“ (10). ეს დებულება უფრო ვრცლად გამოჯრებულია შრომის 196 გვერდზე. დუმბაძის აზრით, მოძრაობა პერსპექტივაში, რამდენადაც ის თურქთა ბატონობას გამოიწვევს, პროგრესული არ არის, მაგრამ ამდენადაც ის ცარიზმს ებრძვის და განმითავისუფლებულია, სამართლიანია.

1810 წ. იმერეთის აჯანყებას მართლაც რომ ისეთი თავისუფლება მოეტანა, რომელიც პროგრესს ემსახურებოდა, რა თქმა უნდა, ჩვენ მას სამართლიანად მივიჩნევდით, მაგრამ ამ მოძრაობას ზომ თავისუფლება არ მოქონდა, ის ცარიზმის უხეშ ძალას უბრისპირებდა უფრო უხეშა და ბნელ ძალას — ოსმალეთს. ამდენად ეს მოძრაობა, ჩვენი აზრით, განმითავისუფლებული ხასიათის გამოსვლებს არ შეიძლება მივაკუთვნოთ.

3. დავს იწვევს ნაწილის შესავალი მოცემული ავტორის განცხადების ერთი ადგილი: „აქ პირველად ხდება სპეციალური კვლევის სივრცე აქამდის შეუსწაველი, ან ნაკლებად შესწავლილი ისეთი საკითხები, როგორცაა რუსეთის შთავრება და საქართველოს საზოგადოებრივი კლასები; სათავადოთა სისტემის დაშლა“... და სხვ. (გვ. 11). ჩვენ ვთვლით, რომ სპეციალურ ლიტერატურაში სათავადოთა სისტემის დაშლა საკმაოდ დიდი ხანია შესწავლილია.

4. პირველი თავის პირველი ორი პარაგრაფის მიმართ შევნიშნავთ:

ა) არ არის მართალი თითქოს XIII საუკუნეში სრულდებოდა გლეხთა მიწაზე მიწაგრების პროცესი. (გვ. 12). ეს პროცესი არც მე-14 საუკუნეში იყო დასრულებული და საამისო ბრძოლა მათში მხოლოდ იწყებოდა.

ბ) მართალი არ არის თითქოს ამ დროს „თანდათანობით იზრდებოდა მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობა და დიდ აზნაურთა პოლიტიკური გავლენა“ (12). ისეთი რამ დიდი ხნის წინათ იყო დაწყებული და ახლა არსებითი გარდატეხა ხდებოდა დიდაზნაურთა სასარგებლოდ.

გ) ზნეღვაინია და არსებითად არც სწორი თითქოს „ძველ ერისთავობას თანდათანობით ეკლიდა ჯერ „დიდებელი აზნაურობა“ და შემდეგ „თავადობა“, რომელსაც ერთთავობის საშუალო ფენები დაეკისრა. მთავრებმა და ერისთავებმა საბოლოოდ დაიპირიპირეს თავიანთი სამფლობელოების წერილი აზნაურთა და გლეხთა“ (გვ. 16).

ჯერ ერთი, „დიდებულება“ და „თავადობა“ ერთი და იგივე არ არის. „დიდებულება“ თანამდებობის ნიშნავდა და „თავადობა“ ფეოდალური სახლის თავაყოფის — ფეოდალური დომინის ფაქტობის. მეორე, მონღოთა ბატონობის დროს, მონღოთა ხელის შეწყობით „დიდებულება“ (თანამდებობა) წინააღმდეგ იყო წამოყენებული, მაგრამ როცა ქვეყანა განთავისუფლდა მონღოთა ბატონობისაგან, კვლავ ქართული ფეოდალური ურთიერთობა თავისი ნორმალური გზით წავიდა, „თავადობამ“ „დიდებულებას“ სძლია. ამ ნიადაგზე აღმოცენდა სათავადოები.

დ) არ არის მართალი თითქოს „XV ს. 60-ანი წლების დასაწყისში დასავლეთ საქართველოში კვლავ აღდგენილ იქნა გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს გაქმნილი მეფის ხელისუფლება“ (18). დასავლეთ საქართველო ცალკე სამეფოდ გამოეყო 1489 წელს. ეს კი 60-ანი წლების დასაწყისი არ არის.

5. კარგ შთაბეჭდილებას სტოეებს პირველი თავის შესახებ პარაგრაფი, სადაც სწორად და გაგებულად საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, ვფიქრობთ, საჭირო იყო უფრო გამოკვეთილად თქმულიყო ამ პოლიტიკურ პარტია-დაჯგუფებებზე, რომლებიც მამინ საქართველოში არსებობდნენ.

6. ავტორის საკვლევი ობიექტის ძირითადი საკითხები მეორე თავიდან იწყება რუსი დამპყროვებით ჩერდება იმერეთის სამეფოს და დამსხვრეტ საქართველოს სამთავროების საზღვრებზე, მოსახლეობაზე, ფეოდალურ ბატონყმურ მეურნეობაზე. ამ ახლებურად წყდება მრავალი საურთაღლებო მოვლენა. ავტორი ძირითადად სწორად ასათვებს XIX ს. დასმდეულ დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას და კარგად ავლენს პოლიტიკური ერთეულებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნებს. მიუხედავად ამისა, ზოგი რამ მეორე თავშიაც დაზუსტებას, ან გადასინჯებას მოითხოვს.

ავტორის მტკიცებით, დასავლეთ საქართველოში, როგორც ზღვის სანაპირო ქვეყანაში, ამ დროს ზღვას არ ჰქონია მოსახლეობისათვის ისეთი სამეურნეო მნიშვნელობა, როგორც მას წარსულში ჰქონდა“ (58) ამის მიზეზი ოსმალთა ბატონობა იყო. ცოტა ქვემოთ კი ნათქვამია, რომ „ზღვაზე ნადირობა მუთუფეობა რჩებოდა მკვიდრთა მეურნეობის ერთ-ერთ დარგად“ (იქვე).

7. მე პირადად მიჭირს გავიზიარო ავტორის შემდეგი დებულება: „აღმოსავლეთისაგან განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სოფლები წარმოადგენდნენ ერთმანეთისაგან განსაკუთრებულ კარმიდამოების უკან. მოსახლეობა აქ არ ყოფილა კონცენტრირებული განსაზღვრულ პუნქტებში. კონცენტრირებული დასახლების დროს შედარებით ნაკლებადაა განვითარებული მიწის ფონდის ინდივიდუალიზაცია და თემობრივი საკუთრება თავის ძალას ინარჩუნებს. ასე იყო აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთის რიგ რაიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა თემურ მიწის სარგებლობის მნიშვნელოვან ვადმონაშთებს. დასავლეთ საქართველოში გაცილებით კარმიდამოები განფენილი იყო ერთმანეთისაგან მოშორებით, განცარპოებით, მდინარის ნაპირებზე, მთებსა და ტყეებში. ასეთი დასახლება აღრმავებდა საკუთრების ინდივიდუალიზაციას“ (58). ცნობილია, რომ არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართლ-კახეთშიც გვხვდა ჰქონდა პირად სარგებლობაში მყოფი კარმიდამო — საკომლე — ფუძე, რომლის იურიდიული მფლობელი ფეოდალი იყო, მაგრამ, რომელსაც გლეხი მემკვიდრეობით ფლობდა ეს საკომლე შედგებოდა: ჭურ-მარნითა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, სახანეთა, სათიბითა, წყლითა, წისქვილითა, საწყლისპირითა... და სხვ. (დოკუმენტები 1, 174).

ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სოფელი ერთიანი მთლიანია, განა ეს თემობრივი საკუთრების არსებობით აიხსნება? რა თქმა უნდა, არა. მიწის პარცელარული საკუთრება ჩვეულებრივი თვისება იყო არა მარტო ქართული ფეოდალიზმისათვის, არამედ

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმისათვისაც.

8. მესამე თავში, როგორც აღნიშნული იყო, დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხებზეა საუბარი. ვრცლად არის მიმოხილული მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის პოლიტიკური ვითარება, დახასიათებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი, ამასთან ერთად დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა შესწავლილია იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების ფართო ფონზე. შრომის ეს თავიც, ჩვენი აზრით სრულყოფილიაა წარმოდგენილი. და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოკ. მ. ღუმბაძის ასეთი დებულება: „ცარიზმის მფლობელობის განმტკიცება ამიერკავკასიაში კოლონიზაცია — რუსიფიკაციის პოლიტიკის ფართო ვასიანს უხსნიდა. ძლიერდებოდა ჭარბი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების გროვული და სოციალური ჩავერა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩამორჩენილი არაწინაშე პოლიტიკური ბატონობის შეცვლას შეფარებით მოწინავე რუსეთის ბატონობით მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიური და ეტნოგრაფიული ცხოვრების პროგრესისათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა“ (251). ეს დებულება ნაშრომში, ავტორის მიერ წამოყენებულ სხვა მრავალმნიშვნელოვან დებულებებთან ერთად, თავის დასაბუთებას პოულობს.

9. მიუხედავად ამისა, მესამე თავში განხილული საკითხების ნაწილი მაინც იმსახურებს შენიშვნებს. ამ შენიშვნათა ნაწილი არაბასეებითა, მაგრამ თუ ჩვენ მაინც მივაქცევთ ავტორის ყურადღებას მხოლოდ იმბიტომ, რომ გვინდა თუ ეს წიგნი კვლავ გამოიცემა ასეთი რამ აღარ გამოარდეს. ასე მაგ. „ახალციხის საფაშო ქველთავანზე წარმოადგენდა ოსმალეთის საფრედენ ბაზას, რომლის მფლობელი იგი ახორციელებდა თავის პოლიტიკას საქართველო-ამიერკავკასიაში“ (გვ. 141).

10. მონოგრაფიის მეოთხე თავში ვრცლად არის დახასიათებული ცარიზმის კოლონიზური პოლიტიკის მთელი არსი და იმ პირობის

ხასიათი და ხერხები, რომლითაც ქართველები თავს იცავდნენ ვასულის სარტყლის ქაღალდის ქვეშ.

შეიძლება ამა თუ იმ საკითხის ღუმბაძისეულ ინტერპრეტაციას არ დავთანხმდეთ, მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს მისი ნაშრომის ღირებულებას. ნაშრომის მეოთხე თავიც, მესამე თავის მსგავსად, საერთოდ, მაღალ დონეზეა შესრულებული. მაგრამ აქაც იმდენი საკითხებია დაგნული და განხილული, რომ ნაშრომის ეს თავი უფრო „მიმოხილვის“ ემსგავსება. სქმე გვაქვს ზოგადი ისტორიულ ანალიზთან. ალბათ ამით აიხსნება, რომ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას ავტორი სათანადო საბუთებ მხოლოდ პოულობს და არ იძლევა ამ საბუთისა თუ წყაროს აკრედიტაციის დახასიათებას. ხშირად იგი იძულებულია განაცხადოს, რომ ამა თუ იმ საკითხზე მას მონოგრაფია აქვს დაწერილი და აქ მხოლოდ იმ მონოგრაფიაში მოღებულ დასკვნებზე მოაქვს. მაგრამ, სიმწუხაროდ, უველა მისი მონოგრაფია გამოქვეყნებული არ არის.

11. უკანასკნელი მეხუთე თავი შეისწავლის ისეთ მოვლენებს, რომლებიც ამირობადგენდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად მომხდარ ისტორიულ პროცესებს.

სათანადო კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებით გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რა მოქმედა ობიექტურად რუსეთის მფლობელობაში საქართველოს.

მონოგრაფიის V თავში ავტორი პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, გვაძლევს XIX ს. რუსეთში დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ღრმა ანალიზს, რომელიც მდიდარ საარქივო მასალას ემყარება. ეს თავიც ავტორის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მ. ღუმბაძის მონოგრაფია მრავალი წლის შემოაბის ნაყოფია და ვიმეორებთ, კარგად შენაძენია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის.

დ. ზარბიძისმილი



ახალი წიგნები

საპარტიო სსრ სახელმწიფო ბაიბლიოთეკა
 „საბჭოთა საპარტიო“

- კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ნატვიის თვალი, რედ. ლ. კალანდარიძე, გვ. 114, ფასი 1 მან. 35 კაპ.
 მ. ვოკო — მოთხრობები, ტ. III, რედ. დ. შენგელია, გვ. 666, ფასი 14 მან.
 მიხ. შილოშვილი — წყნარი დონი, წიგნი II, თარგმ. თინათინ ჯავახიშვილისა, რედ. რ. ქორჭია,
 გვ. 450, ფასი 7 მან. 80 კაპ.
 სანდრო ცულიქურიძე — ლექსები, პიეზები, რედ. ი. ხომტარია, გვ. 408, ფასი 11 მან. 50 კაპ.
 ანასტასია ერისთავი-ხომტარია — თხზულებანი, ტ. II, რედ. ე. ხომტარია, გვ. 354, ფასი 6 მან.
 80 კაპ.
 რევაზ ინანიშვილი — მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, რედ. ე. ჯავახიძე, გვ. 148, ფასი
 3 მან. 35 კაპ.
 ანა ზევერა — მიცვალებულნი ახალგაზრდები რჩებიან, თარგმ. ვერმანულიდან თ. კლენტისა და
 თ. გელაშვილისა, რედ. ე. ჯორჯანიელი, გვ. 454, ფასი 14 მან. 70 კაპ.
 რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები — ელენე ვირსალაძის რედაქციით, რედ. ე. ხომტარია,
 გვ. 446, ფასი 9 მან.
 ი. კ. ენკოლოპიკა — პუსკინი საქართველოში, რედ. ეთ. ზუბიაშვილი, გვ. 202, ფასი 5 მან.

საბავშვები

- ვეა ფშველა — რჩეული, რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 624, ფასი 23 მან. 10 კაპ.
 ი. გრიშაშვილი — საბავშვო ლექსები, რედ. მ. ჭავჭავაძე, გვ. 78, ფასი 2 მან. 40 კაპ.
 შალვა რაღიანი — კონსტანტინე გამსახურდია, რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 624, ფასი 23 მან.
 10 კაპ.
 გრაგოლ ნიქოვანი — კაცი გამოქვაბულში, რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 108, ფასი 2 მან. 60 კაპ.
 შირ მღვიმელი — ცეცხლები, რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 30, ფასი 3 მან. 40 კაპ.
 მ. ლერმონტოვი — აშუღ-ფარები, თარგმ. ი. საათაშვილისა, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 16, ფასი
 3 მან.
 ა. ტვარჯოვსკი — ლენინი და მეღმეღე, თარგმ. ე. გორგაძისა, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 16
 ფასი 1 მან. 30 კაპ.
 ანა ხაბუტაშვილი — ლოს საყვარი, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 46, ფასი 2 მან. 40 კაპ.
 მამია ასათიანი — შიგნის სიყვარული, რედ. ვ. ბაიაძე, გვ. 172, ფასი 5 მან. 80 კაპ.
 შალვა ამისულაშვილი — გამარჯვების საღებები, რედ. რ. მარგინი, გვ. 72, ფასი 2 მან. 20 კაპ.
 ვახტანგ გორგაძელი — დღის იმედი, რედ. ხ. ბერძენი, გვ. 96, ფასი 2 მან. 40 კაპ.
 დავით ნოზაძე — დიდი რუსი მოგზაურები, რედ. გრ. ზარდალაშვილი, გვ. 110, ფასი 3 მან.
 პარმენ ტანიშვილი — ნამცეცა, რედ. შ. ჭავჭავაძე, გვ. 96, ფასი 3 მან.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»